

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE OF
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა
გზაჯვარედინზე

II

(ნაწილი II | Part II)

BLACK SEA REGION AT THE CROSSROADS OF
CIVILIZATIONS

ბათუმი | Batumi
2024

მთავარი რედაქტორი: როინ მალაყმაძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო)

რედაქტორები: ნიკოლაი დურა (კანონიკური სამართლის დოქტორი, რუმინეთის

მეცნიერებათა აკადემია, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი,

რუმინეთი)

ოლეგ ჯიბაშვილი (ისტორიის დოქტორი, ბათუმის

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო)

Editor-in-Chief: Roïn Malakmadze (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia)

Editors: Nicolae V. Dură (PhD in Canon Law, the Academy of Romanian Scientists,
Ovidius University of Constanta, Romania)

Oleg Jibashvili (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia)

© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტი, 2024 • Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University,
2024

ISSN 2960-9208

E-ISSN 2960-9267

სარედაქციო კოლეგია: **როინ მეტრეველი** (აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველო), **დევიდ ბრაუნდი** (ემერიტუს-პროფესორი, ექსეტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი), **ვინსენტ კოპჩევი** (ანთროპოლოგიის დოქტორი, ოსტრავას უნივერსიტეტი, ჩეხეთი), **ჯაბა სამუშია** (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), **თეონა ბერიძე** (ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), **თამილა ლომთათიძე** (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო), **ელზა ფუტკარაძე** (ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო), **უჩა ოქროპირიძე** (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), **ნინო ინაიშვილი** (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო), **მაია ჭიჭილეიშვილი** (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო), **ხათუნა დიასამიძე** (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), **ლელა სარალიძე** (ისტორიის დოქტორი, რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტი, საქართველო), **მირიან ხოსიტაშვილი** (ეთნოლოგიის დოქტორი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველო), **ვახტანგ მაისაია** (პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო), **როზეტა გუჯეჯიანი** (ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), **ჯემალ კარალიძე** (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), **ემზარ მაკარაძე** (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), **ელენა დიაკოვა** (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სკოვოროდას სახელობის ხარკოვის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა), **სუდან ალთუნ** (ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის (ყარსის) უნივერსიტეტი, თურქეთი), **კალიბექოვა მანანა** (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვალიხანოვის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ყაზახეთი), **ნერიმან ილმაზი** (ფილოლოგიის დოქტორი, რიზეს უნივერსიტეტი, თურქეთი).

Editorial Board: **Roin Metreveli** (Academician, Georgian National Academy of Sciences, Georgia), **David Braund** (Emeritus Professor, University of Exeter, United Kingdom), **Vincenc Kopeček** (PhD in Anthropology, University of Ostrava, Czechia), **Jaba Samushia** (Candidate of Historical Sciences, Iv. Javakishvili Tbilisi State University, Georgia), **Teona Beridze** (PhD in Philology, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Tamila Lomtadze** (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Elza Putkaradze** (PhD in Philology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Ucha Okropiridze** (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Nino Inaishvili** (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Maia Tchitchileishvili** (PhD in Art History and Theory, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Khatuna Diasamidze** (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Lela Saralidze** (PhD in History, Regionalism Research Institute, Georgia), **Mirian Khositashvili** (PhD in Ethnology, National Parliamentary Library of Georgia, Georgia), **Vakhtang Maisaia** (PhD in Political Sciences, Caucasus International University, Georgia), **Rozeta Gujejiani** (PhD in History, History and Ethnology Institute of Tbilisi State University, Georgia), **Jemal Karalidze** (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Emzar Makaradze** (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), **Elena Dyakova** (Candidate of Historical Sciences, Skovoroda Kharkiv National Pedagogical University, Ukraine), **Sudan Altun** (PhD in Philology, Kars University, Turkey) **Kalybekova Manana** (PhD in History, Ch. Ch. Valikhanov Institute of History and Ethnology, Kazakhstan), **Neriman Yilmaz** (PhD in Philology, University of Rize, Turkey).

რეცენზენტები:

დავით ყოლბაია (ისტორიის დოქტორი, ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრის კავკასიოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი. პოლონეთი)

მერაბ ჩუხუა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო)

ლავრენტი ჯანიაშვილი (ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო)

Reviewers:

David Kolbaia (PhD in History, Head of the Department of Caucasian Studies at the Center for Eastern European Studies, Faculty of Oriental Studies, University of Warsaw, Poland)

Merab Chukhua (Doctor of Philological Sciences, Ar. Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi State University named after Iv. Javakhishvili, Georgia)

Lavrenti Janiashvili (PhD in History, Institute of History and Ethnology named after Iv. Javakhishvili, Tbilisi State University named after Iv. Javakhishvili, Georgia)

სარჩევი / Contents

არქეოლოგია / Archaeology

- მირანდა თურმანიძე / Miranda Turmanidze.....12**
ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი მძივსაკიდები / The Beads Found on the Hellenistic Period Settlement
- თორნიკე მამისეიშვილი / Tornike Mamiseishvili.....27**
რომაული სამაგიდო თამაშები და გონიო-აფსაროსი / Roman Board Game Pieces in Gonio-Apsaros
- ნარგიზ სურმანიძე / Nargiz Surmanidze34**
ტარიელ ებრალიძე / Tariel Ebralidze
ზვიად დიასამიძე / Zviad Diasamidze
ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული სოფელ ფურტიოდან / Curved Sided Bronze Axe from the Purtio Village

ისტორია და პოლიტოლოგია / History and Politology

- ირაკლი ალიმბარაშვილი / Irakli Alimbarashvili.....46**
საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1791-1792 წლების (საკანონმდებლო კრების) შესწავლა საქართველოში / Study of the Great French Revolution of 1791-1792 (Legislative Assembly) in Georgia (until 1921)
- მიჰაი ბადესკუ / Mihai Badescu60**
მარიეტა საფტა / Marieta Safta
რეგიონულ დონეზე კონსტიტუციური სამართლიანობის გაძლიერება საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით / Enhancing Constitutional Justice at the Regional Level through International Cooperation
- ირაკლი ბარამიძე / Irakli Baramidze.....73**
მარიამ ალექსანდრია / Mariam Aleksandria
ბათუმის ოსმალური ადმინისტრაცია (1918 წლის აპრილი-დეკემბერი) / Ottoman Administration of Batumi (April-December 1918)
- რარეშ ბარდუ / Rareş Bardu.....87**
ბერძნული და ლათინური წარწერების ამსახველი მასალები ბერძნულ-რომაული კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ მცირე სკვითიაში / Evidence of Greek and Latin Inscriptions on Greco-Roman Culture and Civilization in Scythia Minor

გიორგი ბაციკაძე / Giorgi Batsikadze.....	99
ქართული სოციალ-დემოკრატიის ზოგადი ხასიათი და პირველი ნაბიჯები ბათუმში / The General Character of the Georgian Social Democracy and the First Steps in Batumi	
სვიტლანა ბერეჟნა / Svitlana Berezhna.....	112
ელენა დიაკოვა / Helen Dyakova	
ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონში კაზაკთა დასახლებების შექმნა / Creation of Cossack Settlements in the Northern Black Sea Region	
ოთარ თურმანიძე / Otar Turmanidze.....	123
ჩაის პირველი ფაბრიკები საქართველოში / The First Tea Factories in Georgia	
ფატმა კამილოღლუ / Fatma Kamiloglu.....	134
ინდირა ფუტკარაძე / Indira Phutkaradze	
თურქული მედიის ანალიზი რუსეთ-უკრაინის ომში / Analysis of Turkish Media in the Russia-Ukraine War	
მერაბ მეგრელიშვილი / Merab Megrelishvili.....	152
ნიკოლოზ მეგრელიშვილი / Nikoloz Megrelishvili	
შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910) / Black Sea Saint Nicholas Customs (1856-1910)	
უჩა ოქროპირიძე / Ucha Okropiridze.....	164
აჭარა პოსტსაბჭოთა პერიოდში (1990-2023 წლები) / Ajara in the Post-Soviet Period (1990-2023 years)	
გეორგიან-იონუტ შტანი / Georgian-Ionuț Stan.....	177
გველის კუნძული – მოკლე ისტორია და მისი სამართლებრივი სტატუსი წლების განმავლობაში / Snake Island – a Short History and Its Legal Status over the Years	
ნაილა ჩელებაძე / Naila Chelebadze.....	185
გიორგი ჩიტაია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და ბრძოლის შესახებ / Giorgi Chitaya about the Struggle for the Liberation of Batumi and the Struggle	

სამართალი / Law

ჩირუგუ გიანინა მადალინა / Chirugu Gianina Mădălina.....	201
ხანდაზმულთა უფლებები პანდემიის პერიოდში რუმინეთში / The Rights of Elderly from Romania during the Pandemic Period	

ანდრეი ტინუ / Andrei Tinu.....213
მოქალაქეობის კონცეფცია ფილოსოფიური და თეოლოგიური
პერსპექტივიდან / The Concept of Citizenship from a Philosophical and
Theological Perspective

ლიტერატურა და ფოლკლორი / Literature and Folklore

ვატი აბაშიძე / Pati Abashidze.....222
საქართველოს ისტორიული წარსული ქართულ ფოლკლორსა და ვახტანგ
ორბელიანის შემოქმედებაში („ძველი დმანისი“, „ორი სიზმარი“) / Georgia's
Historical Past in Georgian Folklore and works of Vakhtang Orbeliani ("Old
Dmanisi", "Two Dreams")

სუდან ალთუნი / Sudan Altun.....230
თურქეთში არსებული ლიტერატურული კერები და მოღვაწეები XIX
საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში / Literary Centers and Figures in
Turkey in the 19th Century and the Beginning of the 20th Century

დალი ბეთხოშვილი / Dali Betkhashvili.....247
ოსმალეთის ქართველების საკითხი აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში
 („ოსმალეთის ქართველებს“) / The Issue of Ottoman Georgians in Akaki
Tsereteli's Journalism ("To Ottoman Georgians")

როინ მალაყმაძე / Roin Malakmadze.....256

საბა კალანდარიშვილი / Saba Kalandarishvili
რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის ანარეკლი ქობულეთურ
ფოლკლორში / Reflection of the Russian-Ottoman War of 1877-1878 in Kobuleti
Folklore

თამარ პაიჭაძე / Tamar Paichadze.....272

რომანტიზმის რეცეფციისათვის ქართულ სიმბოლისტურ დისკურსში / For
the Reception of Romanticism in Georgian Symbolic Discourse

ინგა სანიკიძე / Inga Sanikidze.....284

XII საუკუნის პოლიტიკური რეალობა და სიბერის არგუმენტი
„ვეფხისტყაოსანში“ / 12th Century Political Reality and the Argument of Oldness
The Knight in the Tiger's Skin

ელზა ფუტყარაძე / Elza Phutkaradze.....294

როინ მალაყმაძე / Roin Malakmadze
იბრაიმ გორაძე - მწერალი და მთარგმნელი / Ibraim Goradze – a Writer and
Translator

თამარ შარაბიძე / Tamar Sharabidze.....	303
მეცხრამეტე საუკუნის ქუთაისის ბულვარის ბულვარული ქრონიკა / The Boulevard Chronicle of Kutaisi Boulevard of the Nineteenth Century	
თინა შიოშვილი / Tina Shioshvili.....	315
თქმულება თამარ მეფის ხელის მაძიებელ ჭაბუკზე ტაოურ ფოლკლორში / A Story about a Young Man Seeking the Hand of King Tamar in Taoian Folklore	
შორენა მახაჭაძე / Shorena Makhachadze.....	320
"Nonfiction" ჟანრის ორიგინალური ნიმუში / Original Works of the Nonfiction Genre	
ციალა ნარაკიძე / Tsiala Narakidze.....	330
გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცველი ჯადოსნური ზღაპარი ლაზურ ფოლკლორში / A Magical Fairy Tale Containing the Story of a Stepchild and a Stepmother in Laz Folklore	

ენათმეცნიერება / Linguistics

ცისნამი ბერიძე / Tsisnami beridze.....	338
მერისის ხეობის მეტყველების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება / Some Phonetic Features of the Speech of the Inhabitants of Merisi Gorge	
ნერიმან ილმაზი / Neriman Yilmaz.....	348
იუსუფელის რაიონის ჰიდრონიმია / Hydronym of Yusufeli District	
გიორგი მულიანი / Giorgi Muliani.....	360
ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა ფერეიდნულ დიალექტში / Vocabulary Denoting Kinship in the Fereydani Dialect	

ეთნოლოგია / Ethnology

ლია ლურსმანაშვილი / Lia Lursmanashvili.....	374
ნინო ხაბეიშვილი / Nino Khabeishvili	
გულნარა კვანტიძე / Gulnara Kvantidze	
ნატო ფაილოძე / Nato Pailodze	
ნანული აბესაძე / Nanuli Abesadze	
აჭარული ხელსაქმის თანამედროვე ასპექტები (ღებვა, ქსოვა, ორნამენტი) / Modern Aspects of Ajarian Handiwork (Knitting, Embroidering and Coloring)	

ნინო დოლიძე / Nino Dolidze.....391
ხათუნა დარსაველიძე / Khatuna Darsavelidze
ქართული ტრადიციული სამოსის სილუეტი და მისი კოდირება / Georgian
Traditional Clothing Silhouette and Its Coding

თამილა ლომთათიძე / Tamila Lomtadidze.....400
ნანული ნოლაიდელი / Nanuli Nogaideli
თამაშობათა ეთნოლინგვისტური ასპექტები / Ethnolinguistic Aspects of Games

დალი ნიკოლაიშვილი / Dali Nikolaishvili.....410
ავთანდილ უჯმაჯურიძე / Avtandil Ujmajuridze
დავით სართანია / Davit Sartania
მევენახეობა ისტორიულ მესხეთში ოსმალური დავთრების მიხედვით /
Viticulture in Historical Meskheta according to Old Turkish Defters

რელიგიის ისტორია / History of Religion

ირინა არაბიძე / Irina Arabidze.....421
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხისათვის (რუს-
ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისია, 1917 წ.) / The
issue of Restoration of Autocephaly of the Georgian Orthodox Church (The
Commission for the Agreement on Georgian-Russian Church Interests, 1917)

ნინო გაგოშაშვილი / Nino Gagoshashvili.....445
„უწერელი ჩუეულება“ ქრისტიანი ქალების შესახებ / The Unwritten Custom
about Christian Women

ლაშა დეისაძე-შარვაშიძე / Lasha Deisadze-Sharvashidze.....456
1997 წლის პრობლემური მოვლენები საქართველოს მართლმადიდებელ
ეკლესიაში – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლა / The Problematic
Events of 1997 in the Georgian Orthodox Church – Exit from the World Council of
Churches

ნიკოლაი დურა / Nicolae V. Dură.....466
ტომის მცირე სკვითის ეკლესიის „Prima Sedis Episcopalis“ ისტორიული და
სამართლებრივი მოწმობები მისი წინამძღოლების სამართლებრივი
სტატუსის შესახებ / Tomis, „Prima Sedis Episcopalis“ of the Church of Scythia
Minor. Historical and Legal Testimonies about the Juridical Status of its Primates

ალინ კატოიუ / Alin Cătoișu.....497
მათეუს ბასარაბის ეპოქა და მისი მნიშვნელობა სამხრეთ-აღმოსავლეთ
ევროპის კონტექსტში / The Epoch of Matthew Basarab and Its Significance in the
South-East European Context

- ტიუდორ კოშმინი / Tudor Cosmin.....506**
 რუმინული კულტურა და სულიერება ფანარიოტთა ეპოქაში / Romanian Culture and Spirituality in the Phanariot Era
- კატალინა მიტიტელუ / Cătălina Mititelu.....532**
 კაცობრიობის ორი უძველესი ინსტიტუტი, „ნიშნობა“ და „ქორწინება“, ბიბლიური და სამართლებრივი ტექსტების მიხედვით. განხილვა და შეფასებები / Two ancient institutions of mankind, „Engagement“ and „Marriage“, in the light of the biblical and legal texts. Some considerations and assessments
- იოან-გეორგ როტარუ / Ioan-Gheorghe Rotaru.....550**
 ელინიზმის ძირითად პრობლემებთან დაკავშირებული შესაბამისი ასპექტები და მისი გავლენა / Relevant Aspects of the Fundamental Problems of Hellenism and Its Influence
- კრისტინა ელენა პოპა ტაჩე / Cristina Elena Popa Tache.....581**
 საზღვაო სამართლის ევოლუცია და მნიშვნელობა თანამედროვე მრავალდარგიან სამყაროში / The Evolution and Importance of the Law of the Sea in the Contemporary Multidisciplinary World
- ფლორინ ტიუდორესკუ / Florin Tudorescu.....605**
 წმინდა კალინიკის კანონი და მისი მნიშვნელობა რუმინიკის ეპარქიისთვის / The Law of Saint Calinic and its importance for the Diocese of Râmnic

კულტურა და ხელოვნება / Culture and Art

- მაია ჭიჭილეიშვილი / Maia Tchitchileishvili.....615**
 კონსტრუქტივიზმი XX საუკუნის 20-იანი წლების ბათუმის არქიტექტურაში (საცხოვრებელი სახლების მაგალითზე) / Constructivism in 1920s Architecture in Batumi (on the Example of Residential Houses)

განათლება / Education

- ნაილე მიქელაძე / Naile Mikeladze.....642**
 კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობის დამკვიდრების საკითხისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფინური მიდგომის გათვალისწინებით / Considering the Finnish Approach to the Issue of Establishing Tolerance towards Cultural Diversity in the Georgian Educational System

სოციოლოგია / Sociology

- სოფიო მახაჭაშვილი / Sopio Makhatchashvili.....652**
გენდერული საკითხი მახლობელ აღმოსავლეთში XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული შავიზღვისპირული კორესპონდენციების მიხედვით / Gender Issue in the Middle East according to the Publications Published in Georgian Press of the Beginning of XX Century
- ნუგზარ ჩხაიძე / Nugzar Chkhaidze.....666**
ქ.ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი (სოციოლოგიური ანალიზი) / Some Aspects of the Activities of the Creative Intelligentsia of Batumi (A sociological analysis)

ეკოლოგია / Ecology

- გიული გიგუაშვილი / Giuli Giguashvili.....685**
შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი: საქართველოს ახალი სატრანზიტო პერსპექტივა / Black Sea Submarine Power Cable Project: Georgia's New Transit Perspective
- ირაკლი მიქელაძე / Irakli Mikeladze.....697**
ლამზირა ზოიძე / Lamzira Zoidze
ქალაქ ბათუმის რუდერალური ფლორა, სტრუქტურა და ბიოეკოლოგიური თავისებურებანი / The Ruderal Flora, Structure and Bioecological Features of the City of Batumi
- დალი ქამადაძე / Dali Kamadadze.....711**
ავთანდილ მესხიძე / Avtandil Meskhidze
რამაზ ჭაღალიძე / Ramaz Chagalidze
აჭარის ზღვისპირა სანაპიროს ზამთარმოყვავილე დეკორატიული მცენარეები / Winter-flowering Decorative Plants of Ajara Coast

- ვიქტორ ჩიუპინა / Victor Ciupină.....719**
შავი ზღვის რეგიონის საზღვაო ტრანსპორტის ზოგიერთი ასპექტი და მძიმე მეტალების ჯანმრთელობის რისკის შეფასება ზღვის თევზში მოსახლეობისთვის / Some Considerations on the Maritime Transport in the Black Sea Area and Health Risk Assessment of Heavy Metals in Marine Fish to the Population

ტურიზმი / Tourism

- მაია აზმაიფარაშვილი / Maia Azmaiparashvili.....727**
სასტუმრო სექტორის ბიზნეს გარემო საქართველოში და მდგრადი განვითარების ტენდენციები / The Business Environment of the Hotel Sector in Georgia and Sustainable Development Trends

არქეოლოგია / Archaeology

The Beads Found on the Hellenistic Period Settlement ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი მძივსაკიდები

Miranda Turmanidze

PhD in History,

Researcher at Batumi Archaeological

Museum of LEPL Ajara Museum,

e-mail: turmanidze.miranda@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-7133-6494>

Abstract: Beads are a common archaeological find in necropolises; however, they are rarely encountered in settlements. The beads and bead pendants made from various materials from the Hellenistic period burials stand out for their exceptional diversity. During the Hellenistic era, there was a noticeable shift in the development of material culture in Colchis (and in the ancient world in general), with the emergence of qualitatively new elements in both material and spiritual culture structures. In this regard, the glass (polychrome, monochrome) and semi-precious stone bead pendants found in Hellenistic period graves in southwestern Georgia are of particular interest. A comprehensive study of these beads will allow us to better understand jewelry-making, stone and bone processing, and glass production, as well as trace the evolution of the respective workshops. Beads and jewelry, in general, help us form a picture of ancient fashion and costumes. Changes in bead shapes and ornamentation, taking into account technological details (ornament, shape, material), also provide dating material. Specifically, dating significance is attached to elements such as polychrome decoration, pear-shaped and biconical forms, the so-called "sandwich" glass technique ("gilded" and "silvered" glass), and others. Thus, their detailed study will assist in dating archaeological sites and understanding jewelry production practices.

Key words: Black Sea Coast, pendants, Hellenistic period, Polychrome and monochrome pendants.

მირანდა თურმანიძე

ისტორიის დოქტორი,

სსიპ აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური

მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი,

ელ-ფოსტა: turmanidze.miranda@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-7133-6494>

აბსტრაქტი: მძივები მიეკუთვნება მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვარს ნეკროპოლებზე; მაგრამ, როგორც წესი, იშვიათად გვხვდება ნამოსახლარებზე. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ელინისტური ხანის სამაროვნებიდან მომდინარე სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები და მძივ-საკიდები. ელინისტურ ეპოქაში კოლხეთის (ზოგადად იმ პერიოდის სამყაროში) მატერიალური კულტურის განვითარებაში შეიმჩნევა მკვეთრი გარდატეხა და თვისობრივად ახალი ელემენტების გაჩენა ნივთიერი და სულიერი კულტურის სტრუქტურაში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ელინისტური ხანის სამარხებში აღმოჩენილი მინისა (პოლიქრომიული, მონოქრომიული) და ნახევრადძვირფასი ქვებისაგან დამზადებული მძივ-საკიდები. მძივების სათანადო და ყოველმხრივი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ საიუველირო, ქვისა და ძვლის დამუშავებისა და მინის წარმოების საქმეს, ასევე თვალი გავადევნოთ შესაბამისი სახელოსნოების ევოლუციას. მძივები, და საზოგადოდ, სამკაული გვეხმარება წარმოდგენა შეგვექმნას ანტიკური ხანის მოდასა და კოსტიუმზე. მძივების ფორმათა და ორნამენტის ცვლილება, ტექნოლოგიური დეტალების გათვალისწინებით (ორნამენტი, ფორმა, მასალა), დამატარიღებელ მასალასაც წარმოადგენს. კერძოდ, დამატარიღებელი მნიშვნელობა აქვს ისეთ ელემენტებს, როგორცაა პოლიქრომიული დეკორი, მსხლისებური და ბიკონუსური ფორმები, ე.წ. სენდვიჩისებური მინის („ოქროფენილი“ და „ვერცხლითფენილი“) ტექნიკა და ა.შ. ამგვარად, მათი დაწვრილებითი კვლევა დაგვეხმარება არქეოლოგიური ძეგლის დათარიღებასა თუ საიუველირო საქმის წარმოების შესწავლაში.

საკვანძო სიტყვები: შავიზღვისპირეთი. საკიდები, ელინისტური ხანა, პოლიქრომიული და მონოქრომიული საკიდები.

შესავალი: მინისა და ლითონისაგან დამზადებული საკიდები არქეოლოგიური მასალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა არა მხოლოდ მრავალრიცხოვნებით, არამედ მრავალფეროვნებითაც; მრავალფეროვნება ვლინდება როგორც ნაირგვარ ფორმებში, ასევე მასალაშიც, რისგანაც მძივებს ამზადებდნენ. კიდევ მეტი, მძივები სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ ძეგლებზე გვხვდება, სადაც მათ სხვადასხვაგვარი დატვირთვა აქვთ. იშვიათ შემთხვევებში მძივები კომპლექსის თარიღის დაზუსტების საშუალებასაც იძლევა. ამავე დროს მძივები, არქეოლოგიური მასალის სხვა კატეგორიების მსგავსად, გვიქმნის წარმოდგენას მისი მომხმარებელი საზოგადოების ხელოსნური წარმოების და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებაც.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: მძივ-სამკაულის შესწავლისას გამოყენებულია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერთა კვლევები. (ე. გოგაძე, ე.გიგოლაშვილი, ნ.ვაშაკიძე, ე. ალექსეევა, ა.კისა და სხვა). მათი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია პარალელებისა და გავრცელების არეალის მოძიება - დადგენა.

მეთოდოლოგია: სტატიაში გამოყენებულია კვლევის ზოგადი და ვიწრო სამეცნიერო მეთოდოლოგია. მათ შორის: ანალიზის, შედარების და ტიპოლოგიური დაჯგუფების მეთოდები. რათა განისაზღვროს მათი ფუნქცია, დანიშნულება და სამარხში ჩატანების პრინციპი.

დისკუსია/შედეგები

ძვ.წ. IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაში დაიწყო დიდი პოლიტიკური ძვრები, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის სახელთანაა დაკავშირებული. ამ ძვრებმა სათავე დაუდო ძველი სამყაროს ისტორიაში თვისობრივად ახალ ეტაპს, რომელსაც ჩვეულებრივ ელინიზმის ეპოქას უწოდებენ და მის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს პირობითად ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. I საუკუნის 30-იანი წლებით განსაზღვრავენ. ელინიზმი კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპადაა მიჩნეული (ლორთქიფანიძე, 1984: 38-57).

ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან კოლხეთის მატერიალური კულტურის განვითარებაში შეიმჩნევა მკვეთრი გარდატეხა და თვისობრივად ახალი ელემენტების გაჩენა ნივთიერი და სულიერი კულტურის სტრუქტურაში. მასთან ერთად, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ისახება ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული ორი არეალი: ზღვისპირა ზოლი და აღმოსავლეთი ოლქები. ახალი ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნები ასახულია დაკრძალვის წესებსა და მატერიალური კულტურის ზოგიერთ ელემენტში (ლორთქიფანიძე, 2002: 209-210).

ზღვისპირა კოლხეთში ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნეში ძირითადად ორმოსამარხებია გავრცელებული, მაგრამ სამარხეულ ინვენტარში კარგად შეინიშნება მატერიალური კულტურის ზოგიერთ სახეობაში (კერამიკასა და სამკაულებში) ახალი ტიპოლოგიური ნიშნების გაჩენა (ლორთქიფანიძე, 2002: 209-210).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანი. იგი მდებარეობს ძვ.წ. V საუკუნის კოლხური სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთით და ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ელინისტურ სამაროვანზე წარმოდგენილი მასალის დაწვრილებით შესწავლის საფუძველზე სამაროვანი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება

(ვაშაკიძე, 1982: 83-86; კახიძე, ვიკერსი, 2004: 113-123; Вашакидзе, Кахидзе, 1990: 456-459).

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანი მძივსამკაულის შემადგენლობის მიხედვით ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალის შემცველი სამაროვანია. ქვის მძივების მასალად გამოყენებულია სარდიონი და გიშერი. მინის მონოქრომიული და პოლიქრომიული მძივები ფორმათა სხვადასხვა სახეობით ხასიათდება. წარმოდგენილია ე.წ. „სენდვიჩისებური“ მინის ნიმუშები, ოქროსა და ვერცხლით შედგენილი საკიდები. სტატიაში განხილულია სხვადასხვა მასალისაგან (სანახელავო ქვა, მინა, ლითონი) დამზადებული საკიდები. ელინისტური ხანის საკიდები გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით.

უპირველეს ყოვლისა საუბარს ნახევრადმვირფასი და სანახელავო ქვებისაგან დამზადებული საკიდებით დავიწყებ. ნახევრადმვირფას ქვებში მძივ-საკიდების დიდ ნაწილს გიშრის ცალები წარმოდგენენ, თუმცა საკიდიდან მხოლოდ ერთი სახეობა გვხვდება.

„გიშერი“ - სომხური სიტყვაა და ღამეს ნიშნავს. ამ ტერმინით წარსულშიც და დღესაც აღინიშნება სანახელავო ტიპის ნახშირი. თანამედროვე მინერალოგიურ ლიტერატურაში ამ ტიპის ნახშირების ჯგუფს მურა ნახშირებს უწოდებენ. (Myzafarov, 1965: 327; გეოლოგიური ლექსიკონი, 1955: 145). გიშრის დამუშავება რთულ ტექნიკასთან არაა დაკავშირებული. ის მარტივად იჭრება, იხვრიტება და პრიალდება. ამიტომ მისგან პატარა ნაკეთობების დამზადება რთული საქმე არ იყო.


ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 120 ცალი გიშრის მძივ-საკიდეა აღმოჩენილი. აქედან მხოლოდ ერთი სახეობის საკიდეა აღმოჩენილი, ისიც ერთი ათეული ცალი. საკიდე წარმოადგენს სტილიზებული ცულის ფორმის საკიდებს, რომლებიც საკმაოდ კოხტადაა დამუშავებული, ზედაპირი გაპრიალებულია, სიმაღლე 1-0,7სმ შორის მერყეობს, არხის დიამეტრი – 0,1 სმ-ა (სამარხები ##195, 206, 209). ცულისებური საკიდები აღმოჩნდა



პანტიკაპეიონში და ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება (Алексеева, 1978: 19; ტიპი 107ბ). ჩვენთან მსგავსი გიშრის საკიდე დადასტურდა ვანის #16 სამარხში (2 ც.). სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. III საუკუნის დას-წყისით თარიღდება (კაჭარავა, მჟავანაძე, 1986: 31, კატ. 68, სურ. 1411-12).

გიშრის სამკაულები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ძვ.წ. I ს-ის კომპლექსებში (Рехвиашвили, 1957: 43), ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ და ბერძნულ სამაროვანზე ერთეული სახითაა წარმოდგენილი და

თანაც დაშლილია, ისე რომ ფორმის გარკვევა ძნელდება. კოლხეთში და საერთოდ ამიერკავკასიაში ამ პერიოდის ძეგლებზე გიშრის სამკაული საკმაოდ მცირე რაოდენობით გვხვდება. ეს მაშინ, როდესაც იმავე პერიოდის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე ისინი ასეულობით არის აღრიცხული (Рехвиашвили, 1957:43; Алексеева, 1978:6-8]. დღესდღეობით გაუგებარი რჩება, რა მიზეზით ქრება ანტიკური ხანის კოლხეთში გიშრის სამკაული, მაშინ როდესაც მისი ადრეული ნიმუშები მრავლად არის დამოწმებული ძვ.წ. XV-XIV სს. ძეგლებზე (Рехвиашвили, 1957: 49).



ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან დამზადებული მძივ-საკიდების მომდევნო ჯგუფში გაერთიანებულია სარდიონის ცალები. მათი რაოდენობა ძალზედ მოკრძალებულია: სულ 5 მძივი და 2 საკიდია აღმოჩენილი (სამარხი #209). ორივე საკიდი ცრემლისებური მოყვანილობისაა. მოყავისფრო-წითელი, სიმეტრიული, კარგად გაპრიალებული. სიმაღლე 0,9-0,6სმ შორის მერყეობს, არხის დიამეტრი კი 0,1 სმ-ია.


ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე ლითონისაგან დამზადებული რამდენიმე საკიდია დადასტურებული. ესაა ოქროსა და ვერცხლის ნიმუშები. ყველა შედგენილია.

183-ე სამარხში აღმოჩნდა შედგენილი ვერცხლის საკიდი: ქვის (შესაძლებელია მარმარილოს) სამკუთხედისებურ გულარს (ტაბ. I-16) შემოკრული აქვს ცრუ გავარსით შემკული ვერცხლის ფირფიტა. ქვა ერთი



შეხედვით ცხოველის ეშვსაც მოგვაგონებს, ზედა ნაწილი მომრგვალებული აქვს, ხოლო ზურგი - ბრტყელი. ცრუ გავარსით შემკული მხოლოდ გარეთა ზედაპირია, უკანა მხარე კი სადაა. გავარსი საკიდს ორიგად შემოუყვება. ყუნწი შემსხვილებულ ადგილასაა მირჩილული. საკიდი მოტეხილია. (1,5x1,1სმ). 183-ე

სამარხში მხოლოდ ეს ერთი საკიდია აღმოჩენილი და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას მაგიური დანიშნულება ჰქონდა. ანალოგიური მძივები აღმოჩენილია საირხისა და ვანის სამარხებში. საირხის სამარხი ძვ. წ. V-IV სს. თარიღდება, ხოლო ვანისა კი - ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით. ფიჭვნარის ნიმუშისაგან მოყვანილი პარალელები იმით განსხვავდება, რომ ამ საკიდებს ვერცხლის ნაცვლად ოქროს გარსაკრავი აქვთ. საირხისა და ვანის შემთხვევებშიც მკვლევარები ფიქრობენ, რომ საკიდებს ავგაროზის მნიშვნელობით იყენებდნენ (მახარაძე, წერეთელი, 2007: 77; Kacharava, 200: 305-306).



საინტერესო ვერცხლის საკიდი აღმოჩნდა 209-ე სამარხში. ის თვალ-ბუდიანია. თვალბუდე ოვალური ფორმისაა, ირგვლივ შემოუყვება ცრუ გავარსი. თვალბუდეზე მირჩილულია ყუნწი, რომელიც დამზადებულია ბრტყელგანიკვეთიანი მავთულის ღეროსაგან. ყუნწს სიგრძივ ჩამოუყვება ორი არა ღრმა ღარი (ტაბ. I/14). მსგავსი ოქროს საკიდი აღმოჩენილია ვანის მე-15 სამარხში (ჭყონია, 1981: 70). აღიარებულია, რომ ასეთი საკიდები დამახასიათებელია ელინისტური პერიოდისათვის.

1 ცალი ოქროს ნახევარმთვარისებური საკიდი 52-ე სამარხშია აღმოჩენილი (ტაბ. I/15). ის დამზადებულია ოქროს თხელი ფირფიტისაგან. საკიდს ბოლოები მოკაუჭებული აქვს, სადაა. ზურგზე მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან გაკეთებული ყუნწია მირჩილული. დამზადებულია ყვითელი ფერის ოქროსაგან. მსგავსი სამკაული ასტრალურ რწმენა-წარმოდგენებს, კერძოდ, მთვარის კულტს, უნდა უკავშირდებოდეს. მათი ადრეული ნიმუშები ცნობილია ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ბერძნული ნეკროპოლიდან, საირხეს, ვანის მდიდრული სამარხებიდან. ნახევარმთვარისებური მოყვანილობის საკიდები დამახასიათებელია ელინისტური ხანისა და მომდევნო ეპოქების ოქროს სამკაულებისათვის. მათ წარმომავლობას ახლო აღმოსავლეთს, კერძოდ, მესოპოტამიას უკავშირებენ (ჭყონია, 1981: 70).

მინის გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე ცალები მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში მზადდებოდა, მაგრამ განსაკუთრებული მრავალფეროვნება წარმოებაში შეიმჩნევა ელინისტურ პერიოდში. ამ დროს ჩნდება მძივებისა და მძივსაკიდების ახლი ფორმები, როგორცაა მსხლისებური, ამფორისკოსისებური, გულისებური, დელფინისებური და სხვა.

გაცილებით მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება მონოქრომიული მინის საკიდები. ელინისტური ხანისათვის ჩნდება საკიდების ახალი ფორმები. ესენია: ამფორისკოსისებური, გულისებური, დელფინისებური, ცულისებური და თოხისებური ცალები. ამასთან ერთად არსებობას აგრძელებს ძველი ფორმის საკიდები (პირამიდული და ზარისებური).

ყველაზე ადრეული ნიმუშებია მინისა და ეგვიპტური ფაიანსის პირამიდული საკიდები. ისინი დამოწმებულია ფიჭვნარის ყველა სამაროვანზე. მათ წაკვეთილი კონუსის ფორმა და მკვეთრი მოხაზულობა აქვთ. წაკვეთილ წვერში დატანილია წვრილი ნახვრეტი (სამარხები # 131, 135). საკიდების ეს სახეობა ძვ.წ. V საუკუნიდან ჩნდება. მსგავსი ცალები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ძვ.წ. V ს. კოლხურ და ბერძნულ ნეკროპოლებზე. 2005 წელს კი ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე აღმოჩნდა სამი მინიატურული პირამიდული საკიდი, რომელთაგან ორი


მინისაგანაა დამზადებული (ლურჯი და შავი), ერთი კი - ოქროსაგან. სამივე საკიდს ოქროს ყუნწი აქვს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ავგაროზის დანიშნულებით გამოიყენებოდა. მინის პირამიდული საკიდები ცნობილია დაბლაგომისა და ზემო ფარცხმის მოგვიანო ხანის - ძვ.წ. IV-III სს-ის ქვევრსამარხებიდან. ვანში აღმოჩენილი ოქროს პირამიდული საკიდი ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება (ჭყონია, 1981: 107, კატ. # 31). როგორც უკვე ითქვა, კოლხეთში ამ ფორმის საკიდები ჩნდება ძვ.წ. V საუკუნეში და არსებობას ელინისტურ ხანამდე განაგრძობს, თუმცა ელინისტურ ხანაში მხოლოდ ერთეული ცალეებითაა წამოდგენილი.

ადრეულ იერს ატარებს კონუსურტანიანი, ზარისებური ფორმის ცისფერი გამჭვირვალე მინის მინიატურული საკიდი, რომელიც აღმოჩნდა მე-200 სამარხში (1,2x0,5x0,6სმ). ის იდენტურია კოლხური სამაროვნიდან მომდინარე ნიმუშისა. ანალოგიური საკიდები ცნობილია




ვანიდანაც – ერთი მათგანი #11 სამარხშია აღმოჩენილი, რომელიც ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებითაა დათარიღებული; დანარჩენი ნიმუშები ზოგადად თარიღდება ძვ.წ. VI-IV და IV-III საუკუნეებით (გიგოლაშვილი, 1983: 111-112, კატ. # 489). წალკის რაიონის სოფ. კუმჩის სამაროვნის #5 სამარხიდანაც არის ცნობილი ჩვენთვის საინტერესო ტიპის მიმსაგავი. სამარხი ძვ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული; თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ის ძვ.წ. IV საუკუნეს განეკუთვნებოდეს, რადგან მასში აღმოჩენილი ინვენტარი (თვალადი მძივები, ვერცხლის ოთხკუთხაგანიკვეთიანი სასაფეთქლე რგოლები და სხვ.) აშკარად ადრეულ იერს ატარებს (გაგოშიძე, 1982: ტაბ. VI-5,6). ამგვარი საკიდები ლარი-ლარიდან (ჩართოლანი, 1968: 105) და პაპიგორის სამაროვნიდან (მარგიშვილი, 1992, ტაბ. XXIII) არის ცნობილი.

ელინისტურ პერიოდში ფართოდ ვრცელდება სხვადასხვა სტილიზებულ გამოსახულებიანი საკიდები, დამზადებული გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე მინისაგან. ასეთი საკიდების პირველ ჯგუფში



გაერთიანებულია გამჭვირვალე მინის ამფორისკოსისებური ცალეები. ფიჭვნარში ამ სახის რამდენიმე ათეული საკიდი არის აღმოჩენილი. მათში ორი ტიპი გამოიყოფა: ძირბრტყელი (სამარხები ##65, 171, 172, 181, 198, 209) და ძირწვეტიანი (სამარხები ##65, 172, 198, 209). ნ. ვაშაკიძე ციხისძირის სამაროვნის ინვენტარის - მათ შორის, რა თქმა უნდა, მიმსაგავი საკიდების - შესწავლის საფუძველზე აღნიშნავს, რომ ძირწვეტიანი ცალეები ადრეული ხანის (ძვ.წ. IV ს. დასასრული და III საუკუნის პირველი ნახევარი) სამარხებისათვისაა დამახასიათებელი, ხოლო ძირბრტყელი ცალეები კი – უფრო გვიანდელი (ძვ.წ. III ს. დასასრული - II საუკუნე) სამარხებისათვის (ვაშაკიძე, 1989: 33).


ძირწვეტიან ამფორისკოსებს (8 ც.) ქუსლი მკვეთრად აქვთ გამოყოფილი (ტაბ. I/6), ხოლო ძირბრტყელი ნიმუშების (18 ც.) ქუსლი



ტანისაგან ოდნავაა გამოყოფილი (ტაბ. I/5). ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე ამ სახის ნიმუშები შემდეგი ფერის მინისგანაა დანზადებული: ლურჯი, ყავისფერი, თეთრი და წყლისფერი. 65-ე და 209-ე სამარხებში ორივე ფორმის საკიდებია დადასტურებული, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ რაღაც პერიოდში ორივე ფორმის ნიმუშები

ერთდროულად გამოიყენებოდა. ანალოგიური ამფორისკოსისებური საკიდები დადასტურდა მელიტოპოლის ყორღანში, ქალის მდიდრულ სამარხში, ასევე მონა ქალის სამარხში. საკიდები დამზადებულია გაუმჭვირვალე მინისაგან. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება (Онайко, 1970: 107, კატ. XLIII, ა, ბ). ძირწვეტიანი ამფორისკოსისებური საკიდი დადასტურდა სოფ. ლვოვთან, სკვითურ სამარხში, სადაც ის შემადგენელი ნაწილი იყო ეგვიპტური ფაიანსის ე.წ. იოტებისაგან შემდგარი ყელსაბამისა. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება (Куньшев, Николова, Полин, 1982: 21, 28-29, სურ. 6, ყორღანი #16, სამარხი #1).

საკმაო რაოდენობითაა (25ც.) აღმოჩენილი სხვადასხვა ფერის (ყავისფერი, ლურჯი, თეთრი, მწვანე) მინის დელფინისებური საკიდები (სამარხები #65, 198, 172, 209, 212). ყველა ნიმუში გამჭვირვალე მინისაგანაა დამზადებული. დელფინის კუდი ზემოთაა აწეული, პირი გამოკვეთილია.




სიგრძივი არხი თავის არეშია დატანილი (ტაბ. I/8). არხის დიამეტრი თანაბარია (1,7-1,5x0,2x1,6-1,4სმ). ზემოთ დასახელებული სამარხეული კომპლექსები, რომლებიც შეიცავდა დელფინის გამოსახულებიან მძივსაკიდებს, გვიანდელი (ძვ.წ. III ს.) სამარხების რიგს


მიეკუთვნებიან. ამ სამარხებში ჩვეულებრივ ჩნდება “ოქროფენილი” მინის მძივები, თვალადი მძივების გვიანდელი ვარიანტი და ა.შ. დელფინისებური საკიდი აღმოჩენილია ვანში. ის ძვ.წ. IV-III ს. თარიღდება (გიგოლაშვილი, 1983: 104, კატ. # 494, ტაბ. 49). ასეთი მძივსაკიდები ცნობილია დაბლაგომიდან (ინახება ეროვნული მუზეუმის ფონდში #ბ-494), ცხაკაიდან (გრიგოლია, ბარამიძე, ფხაკაძე, ლორთქიფანიძე, 1973: 33, ტაბ. XVI). ცნობილია ისინი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ელინისტური ხანის თითქმის ყველა სამაროვნიდან - ზემო ფარცხმის (ვაშაკიძე, 1985: 101), წიფნარისა და ზენობის ქვევრსამარხები (ვაშაკიძე, 1973: 80-81, ტაბ. X-1,2,4). გამონაკლისია მხოლოდ ციხისძირის სამაროვანი, რომელზეც ამ სახის საკიდი არ არის ცნობილი. დელფინის ფორმის საკიდები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან (უსტ-ლაბინსკი) ძვ. წ. III-II სს. მიეკუთვნება (Анфимов, 1951: 177).

მონოქრომიული საკიდების შემდეგ ჯგუფში გაერთიანებულია გულისებური საკიდები (ტაბ. I/3-4). გვხვდება, როგორც გაუმჭვირვალე (ყვითელი), ასევე ნახევრად გამჭვირვალე მინისგან (თეთრი, ლურჯი, ყავისფერი, წყლისფერი) დამზადებული ცალები. მათი რაოდენობა 16-ს აღწევს (სამარხები # 65, 172, 180, 196, 200, 209). ცილინდრული არხი სიგრძივით დატანილი, არხის ბოლოები ერთმანეთის ტოლია (1,3-0,8x0,2x1,4-1სმ).

სამარხ #209-ში აღმოჩნდა ყვითელი მინისებური პასტისაგან დამზადებული მამაკაცის სახის გამოსახულებიანი საკიდი. ხუჭუჭა თმა და წვერი რელიეფური ხაზებითაა გადმოცემული. მამაკაცს სწორი, თხელი ცხვირი და ღრმად ჩამჯდარი თვალები აქვს. საკიდის მეორე მხარეზე მხოლოდ თმებია გადმოცემული, ხოლო სახე ნახვრეტის დატანის გამო დაზიანებულია. საკიდის კუთხეების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ყალიბშია ჩამოსხმული. თავდაპირველად მას მიძივის ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა, რაზეც მიგვითითებს ის ფაქტი, რომ არხი ბოლომდე არაა გახვრეტილი. ის ქინძისთავის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო (ტაბ. I/11). ასევე არხში შეინიშნება ლითონის ჟანგი (უფრო რკინის). მ. ვიკერსი ფიქრობს, რომ იგი უნდა წარმოადგენდეს ჰერაკლეს გამოსახულებას. მსგავს გამოსახულებიანი საკიდი აღმოჩენილია ქერსონესში, მას გ. ბელოვი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით ათარიღებს, თუმცა მის განსაზღვრებას არ იძლევა (Белов, 1962: 180-181, სურ. 14-27). მსგავსი საკიდი, დამზადებული ყვითელი გაუმჭვირვალე მინისაგან, დადასტურდა სოფ. ნაგორნოესთან (ქვლადიკავკაზთან) აღმოჩენილ სკვითურ სამარხში. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულითა და III საუკუნის დასაწყისით თარიღდება (Мозолевский, 1973: 229-234, სურ. 37/6, სამარხი #3). მსგავსი ყვითელი ფერის მედალიონები, რომლებიც შტამპური წესითაა დამზადებული, აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. III-IV საუკუნეებით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსში (28 ცალი). მათზე სხვადასხვა ცხოველებისა და გორგონას გამოსახულება იკითხება. ყველა ნიმუში წუნდებულია და ვ. ჩიხლაძე თვლის, რომ ისინი ადგილობრივი წარმოებისა უნდა იყოს. წუნდებული ნივთების შემოტანა გაუმართლებელი იქნებოდა, რადგანაც ეს ნივთები ავი



კი



წუნდებულია და ვ. ჩიხლაძე თვლის, რომ ისინი ადგილობრივი წარმოებისა უნდა იყოს. წუნდებული ნივთების შემოტანა გაუმართლებელი იქნებოდა, რადგანაც ეს ნივთები ავი

თვალისაგან დასაცავად იყო განკუთვნილი (ჩიხლაძე, 2005: 143, ტაბ. I/146).

თითო ნიმუშითაა წარმოდგენილი, ყავისფერი და ლურჯი გამჭვირვალე მინისაგან დამზადებული თოხისებური და ცულისებური საკიდები (ტაბ. I/1-2). მათი სიგრძე 1,3-1 სმ შორის მერყეობს. ასეთი ნიმუშები პანტიკაპეიონშია აღმოჩენილი და ძვ.წ. III-II საუკუნეებითაა დათარიღებული (Алексеева, 1978: 74, ტიპი 200). თოხისებური საკიდის ანალოგიური ნიმუში, დამზადებული გაუმჭვირვალე ცისფერი მინისაგან, დაცულია მაინცის რომაულ-გერმანულ მუზეუმში. საყურე ახ.წ. I-II სს. თარიღდება (Deppert-Lippitz, 1985: 21, კატ. 54, ტაბ. 25/54). ცულისებური, ნახევრად გამჭვირვალე მინისაგან დამზადებული საკიდი აღმოჩენილია ჩრდილოეთ კავკასიაში - დეგორში, ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ სამარხში. ამ საკიდთან ერთად დადასტურდა ლურჯი მინის დელფინისებური საკიდიც (Мошинский, 2006: 54, ტაბ. 29/12). სავარაუდოდ, სამარხი ძვ.წ. IV საუკუნით უნდა დათარიღდეს აღმოჩენილი მძივსაკიდების მიხედვით.



65-ე სამარხში სხვადასხვა სახის მძივებთან ერთად ყავისფერი მინის მინიატურული, ამფორისკოსისებური საკიდები დადასტურდა (7 ცალი). მათ წაწვეტებული ძირი აქვთ, რომელიც კარგადაა გამოყოფილი. ნახვრეტი ყელის არემია დატანილი (0,3x0,2x0,2სმ). მინის იდენტური საკიდი აღმოჩნდა ტანაისის 237-ე სამარხში, რომელიც ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება, აგრეთვე 221-ე სამარხში, რომელიც ძვ.წ. II-I სს. მიეკუთვნება. როგორც ფიჭვნარში, ასევე ტანაისში, საკიდი მძივების ასხმაში შედიოდა (Алексеева, 1975, ტაბ. 18\13; 19).



ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე წარმოდგენილი პოლიქრომიული მინის საკიდები მცირე ჯგუფს ქმნიან. მათგან უპირველესად აღსანიშნავია საკიდი ადამიანის სახის გამოსახულებით (სამარხი #65). სახე და ყურები დამზადებულია მწვანე გაუმჭვირვალე მინისაგან, თვალები გადმოცემულია შავი წვრილი მძივებით, ცალი თვალი დაცულია, მეორე კი ამოვარდნილი. შავი, ცისფერი, ყვითელი, ყავისფერი და ლურჯი მინის თოკისებურად დაგრებილი ძაფებისაგან შედგენილია ჩალმისებური თავსაბურავი. სახეზე შეინიშნება წინ წამოწეული მოკლედ შეკრეჭილი წვერი (ტაბ. I/10).

135-ე სამარხში დადასტურდა დიდი ზომის მასიური პოლიქრომიული მძივი, ცილინდრული მოყვანილობის, ადამიანის სახის ორმაგი გამოსახულებით - ე.წ. „ნიღბები“. მსგავსი ნიმუში ცნობილია ყაზბეგიდან, ძვ.წ. V საუკუნის ფენიდან (წითლანაძე, 2004: 51, ტაბ. 21), დაბლაგომის ძვ.წ. III ს-ით დათარიღებული სამარხიდან (თოლორდავა, 1976: 68, ტაბ. II).

მსგავსი საკიდების ფრაგმენტები ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. III საუკუნის კულტურულ ფენაში (გიგოლაშვილი, 1983: 41, კატ. #459); ურეკში, გვიანანტიკური მასალის თანხლებით. ა. აფაქიძე ამ საკიდს უფრო ადრეულად თვლის, ვიდრე სამარხის დანარჩენ ინვენტარს და შესაძლებლად მიაჩნია მისი ავგაროზის სახით შემორჩენა (აფაქიძე, 1947: 105). მსგავსი საკიდი გვხვდება ასის ხეობაში, ლუგოვოს ძვ.წ. VI-V სს. სამაროვანზე (Крупнов, 1960, ტაბ. XIX3,5). სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ „ნიღბებს“ ეგვიპტური, უფრო ალექსანდრიული სკოლის ნაწარმად მიიჩნევენ. თუმცა მათი მცირე აზიის სანაპიროზე დიდი რაოდენობით აღმოჩენის გამო, სირიის პოლიქრომიული მინის ნაწარმადაც თვლიან (Kisa, 1908: 14; Куптин, 1950: 9).

65-ე სამარხში აღმოჩენილი ადამიანის სახის გამოსახულებიანი საკიდები ცნობილია ტავრიის ქერსონესში, სადაც ისინი ძვ.წ. IV-II საუკუნეებით თარიღდება (Leskov, 2008: 20); ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარ საკიდებს ე. ალექსეევა ძვ. წ. III-I სს-ით განსაზღვრავს (Алексеева, 1982: 41, ტიპი - 459). მაიკოპში აღმოჩენილ ამ სახის საკიდს ა. ლესკოვი ძვ.წ. V-IV სს. ათარიღებს (Leskov, 2008: 35, კატ. 35). მსგავსი საკიდები ცნობილია ცენტრალური ევროპიდან, ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, სადაც მათ ძვ.წ. VI-V სს-ით ათარიღებენ (Tatton-Brown, 1988: 145-150). თუმცა აღნიშნავენ, რომ ისინი ელინისტურ პერიოდშიც აგრძელებენ არსებობას. ამ სახის საკიდების წარმოშობას ძველ სირიულ და ფინიკიურ სახელოსნოებს უკავშირებენ. დიდი ნაწილი ამ სახის მძივსაკიდებისა დაკავშირებულია პტოლემაიოსების ეპოქასთან (Алексеева, 1982: 34). თუმცა ეგვიპტეში ადამიანის სახის გამოსახულებიანი საკიდები დადასტურებულია ძვ.წ. VIII საუკუნეში (Vives, 1920: 35). კოლხეთში ამგვარი საკიდები მხოლოდ ელინისტურ ხანას უკავშირდება (ვანი, დაბლაგომი, ციხისძირი).



65-ე სამარხიდან მომდინარეობს მინიატურული დოქის ფორმის საკიდი (ტაბ. I/12). საკიდის ზედაპირი შემკულია ცისფერი, ფირუზისფერი და ყვითელი მინის არარელიეფური ლაქებით. პარალელი ამ საკიდს ეძებნება დაბლაგომში ძვ.წ. IV ს-ით დათარიღებული მდიდრული სამარხიდან (თოლორდავა, 1976: 70-76, სურ. 86). ასეთი საკიდები ცნობილია

მელიტოპოლის, მალაია ლეპეტიხას, შიროკოეს ყორღანებიდან, რომლებიც ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება (Спицин, 1901: 75, სურ. 9-11; Онайко, 1970: 107, კატ. XLIII). ანალოგიური მძივები აღმოჩენილია სკვითურ სამარხებში, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება (Фридман, 1978: 159, სურ. 3/3, ყორღანი #3).



პოლიქრომიული მინის საკიდის ბოლო ნიმუშს ფრინველის გამოსახულებიანი საკიდი წარმოადგენს (სამარხი #134, 170). ის ლურჯი ფერისაა, თვალები თეთრი მინის რელიეფური წერტილებითაა გადმოცემული, მკერდის არეში შემოუყვება თეთრი მინის ორი რელიეფური ხაზი (ტაბ. I/13). ელინისტური ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ფიგურული საკიდები (იხვის, ხბოს, მაიმუნის თავის გამოსახულებები). ფრინველის გამოსახულებიანი მინის საკიდები აღმოჩენილია სვანეთში, ლარი-ლარის სამაროვანზე (ჩართოლანი, 1976: 21, ტაბ. X-1,2); დაბლაგომში (თოლორდავა, 1976: ტაბ. 86); აღმოსავლეთ საქართველოში პაპიგორის ქვევრსამარხში (მარგიშვილი, 1992: 39], წნისის სამაროვანზე (კვიციანიძე, 1983: 30). ცნობილია ნიმუშები ჩრდილო შავიზღვისპირეთის სამაროვნებიდან (Алексеева, 1982: 42; Белов, 1962: 165, 175). ლურჯი მინის ფრინველის გამოსახულებიანი საკიდის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს ქერსონესში (დაუთარიღებელი) აღმოჩენილი ნიმუში (Алексеева, 1982: ტიპი 471). ამ სახის მონოქრომიული და პოლიქრომიული მინის მძივსაკიდებია დადასტურებული ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე.

ამგვარად, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე მძივები შემდეგი სახეობებითაა წარმოდგენილი: გიშრისაგან დამზადებული მძივსაკიდები ელინისტურ ხანას უკავშირდება და წინა პერიოდთან შედარებით გაცილებით მრავალრიცხოვანი ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ქვის მძივებიდან ისევ გვხვდება სარდიონის ცალები, წარმოდგენილი უფრო ადრეული – წინარეელინისტური ხანის ნიმუშებით. მათი წინარეელინისტური ხანით დათარიღება დაფუძნებულია კოლხეთში აღმოჩენილ ანალოგიებზე. რაც შეეხება ქარვას, ის საერთოდ აღარ გვხვდება.

ძვ.წ. III საუკუნიდან ვრცელდება გულის, დელფინის, ამფორისკოსის და ცულისებური ფორმის მინის საკიდები. ამავე საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება პოლიქრომიული მინის მძივსაკიდები: „ნიღბები” ადამიანის სახის გამოსახულებით, მტრედისა და დოქის ფორმის.

ძვ.წ. III საუკუნიდანვე შემოდის „ოქროფენილი” მინის მძივები. თუმცა ისინი მცირე რაოდენობით დასტურდება. ელინისტურ სამაროვანზე წარმოდგენილ მძისაკიდებს შორის გვხვდება როგორც ძვ.წ. IV-III სს–ის დამახასიათებელი, ასევე უფრო ადრეული – ძვ.წ. V-IV საუკუნეების ნიმუშები. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა 65-ე სამარხი, რომელშიც ერთადაა წარმოდგენილი ძვ.წ. IV ს-ის იოტები; ეგვიპტური ფაიანსის ოთხკუთხა სექტორებად ზედაპირდაყოფილი მძივი, რომელიც ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება; ძირბრტყელი ამფორისკოსისებური საკიდი, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს და III საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება; ძვ.წ. V-IV სს-ის მარტივი ზედნადები ფარისებური თვლიანი მძივი; „ოქროფენილი“ მინის, ტალღოვანორნამენტიანი,

შვინდისკურკისებური ფორმის, თვალადი და მოზაიკური მძივები და აგრეთვე ადამიანის, დოქის, მტრედის, გულისა და დელფინისებურ გამოსახულებიანი საკიდები, რომლებიც ძვ.წ. III-II საუკუნეებით თარიღდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგომიძე., 1976: - გაგომიძე იულონი „მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის", სსმმ, ტ. XXXII-B, თბ., 1976, გვ. 5-30;
2. გაგომიძე., 1985: - გაგომიძე იულონი „ქართველი ქალის სამკაული", თბ., 1985;
3. გაგომიძე., 1982: - გაგომიძე იულონი „თრიალეთის სამაროვნები", კატალოგი, თბ., 1982;
4. ვაშაკიძე ,1973: - ვაშაკიძე ნინელი „შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები მდინარე სუფსის აუზში" , სდსმ, III, თბ.,1973 , გვ. 74-87;
5. ვაშაკიძე, 1985: - ვაშაკიძე ნინელი „ზემოფარცხმის სამაროვანი" სდსმ, XIII, თბ., 1985, გვ. 23-116;
6. ვაშაკიძე., კახიძე., 1979: - ვაშაკიძე ნინელი, კახიძე ამირან „ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები, სდსმ, VII, თბ., გვ. 42-58;
7. ვაშაკიძე, კახიძე., 1985: - ვაშაკიძე ნინელი, კახიძე ამირან „არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე", სდსმ, VIII, თბ., გვ. 68-83;
8. თოლორდავა., 1976: - თოლორდავა ვერა „არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წლებში", ვანი II, თბ., 1976, გვ. 48-68;
9. თოლორდავა., 1986: - თოლორდავა ვერა „მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან", ვანი II, თბ., 1976, გვ. 68-79;
10. კაჭარავა., 1986: კაჭარავა დარეჯან, მჟავანაძე ზაზა „ ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში", ვანი, VIII, თბ., 1986, გვ. 9-34;
11. კახიძე., 2004: - კახიძე ამირან, ვიკერსი მაიკლი „კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში", ფიჭვნარი I, ბათუმი, 2004;
12. ლორთქიფანიძე., 2002: - ლორთქიფანიძე ოთარი „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან", თბ., 2002;
13. მახარაძე., 2007: - მახარაძე გიორგი, წერეთელი მანანა „საირხე", თბ., 2007;
14. მარგიშვილი, 1992: - მარგიშვილი სოსო „ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთიდან", თბ., 1992;
15. ჩართოლანი.,1976: - ჩართოლანი სოსო „მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის", თბ., 1976;

16. ჩიხლაძე., 2005: - ჩიხლაძე ვერა „ჭინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ყვითელი ფერის მინის მედალიონები და მძივები“, 2005, 2, იბერია-კოლხეთი, გვ. 142-144;
17. ჭყონია., 1981: - ჭყონია ანული „ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან“, ვანი VI, თბ., 1981;
18. Алексеева., 1975: - Алексеева Е.М “ Античные бусы Северного Причерноморья”, вып. Г1-12, САИ, М., 1975;
19. Алексеева ., 1978: - Алексеева Е.М “Античные бусы Северного Причерноморья”, вып. Г1-12, САИ, М., 1978;
20. Алексеева., 1982: - Алексеева Е.М “Античные бусы Северного Причерноморья”, вып. Г1-12, САИ, М. 1982;
21. Белов ., 1962: - Белов Г. Д. “Эллинистический дом в Херсонесе”, ТГЭ, VII, Л., 1962, gv. 143-182;
22. Крупнов., 1958: - Крупнов Е.И. “Новые данные по археологии Северного Кавказа”, СА, 3, М., 1958, gv. 97-110;
23. Кубышев ., 1982: - Кубышев А.И., Николова А.В., Полин С.В. “Скифские курганы у с. Львова на Херсонщине, кр. Древности степной Скифии”, Киев, 1982, gv. 130- 148;
24. Куфтин., 1950: - Куфтин Б.А. “Материалы к археологии Колхиды”, т. 2, Тб., 1950;
25. Мозолевский., 1973: - Мозолевский Б.Н. “Скифские погребения у с. Нагорное близ г. Орджоникидзе на Днепропетрошине”, кр. Скифские древности, Киев, 1973, gv. 187-135;
26. Мошинский ., 2006: - Мошинский А.П. “ Древности горной Дегори VII-IV вв. до н.э.”, ТГИМ, 154, М., 2006;
27. Онайко ., 1970: - Онайко Н.А. “ Античный импорт в Приднепровье и Побужье в IV-II вв. до н.э.”, САИ, вып. Д1-27, М., 1970;
28. Фридман ., 1987 : - Фридман М.И. “Скифские курганы у с. Дугчаны на Херсонщине”, АНУИА, Киев, 1987, gv. 159-171
29. Deppert-Lippitz., 1985: - Deppert-Lippitz B „Goldshmuck der Römerzeit“, Römisch-Germanischen Zetralmuseum, Bonn, 1985;
30. Kacharava ., 2005: - Kacharava D “Recent finds at Vani, Dialogues d’ histoire ancienne”, Supplement 1, 2005, gv. 291-309;
31. Kisa ., 1908: - Kisa A „Das Glas in Atertume“, I, Leipzig, 1908;
32. Leskov ., 2008: - Leskov A.M “The Maikop treasure”, USA, 2008;
33. Tatton-Brown., 1988: - Tatton-Brown V “Rod-formed glass pendants and beads of the 1st millennium BC”, Catalogue of Greek and Roman Glass in the British Museum, vol. I, Core- and rod-formed vessels and Mycenaean cast objects, 1988, pp. 135-160;

34.Vives ., 1920: - Vives A “ Estudio de arqueologia Cartaginesa. La necropolis de Ibiza”, 1920, AE, part II.

شك. 1.



Roman Board Game Pieces in Gonio-Apsaros
რომაული სამაგიდო თამაშები და გონიო-აფსაროსი

Tornike Mamiseishvili

PhD Student, Batumi Shota Rustaveli State University
Research assistant, Cultural Heritage Protection Agency of Ajara

Tel: +995 555 284 285

email: tornike.mamiseishvili@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-8031-4668>

that in the 3rd and 4th centuries we can already speak of an ethnic synthesis between the Latin element and the oldest one of the Greek populations and even the Geto-Dacian one.

Fig. 1

In terms of content, researcher A. Aricescu observes the use of poetic terms, rarely found in prose inscriptions. This fact shows the existence in Tomis of an elevated literary culture that could only be appreciated and spread among a highly educated population, undoubtedly acquired in local cultural and education institutions.

The funerary inscriptions also contain interesting data about the spread of Christianity in Scythia Minor. Thus, in the vocabulary and sculptural motifs of the funerary stelae, elements of the new faith appear progressively, starting with the second half of the 4th century, framed at the beginning by elements specific to pre-Christian funerary epigraphy. On a funerary stela from Tomis, from the beginning of the 4th century, although a Christian symbol appears, namely the dove, the text does not contain any clue related to the new religion. (Munteanu, 1977: 100)

Another Christian inscription from the same metropolis also includes pagan elements. Besides the Christian formulation- *spiritum deo redere* - (to give the soul to God), the closing formula is the well-known greeting - *Ave vale viator* (farewell passerby)- found on many Roman funerary monuments. (Popescu, 1977: 12). The phenomenon is explained by the fact that when the Christians left the catacombs, after the decree of Mediolan in 313 of Constantine the Great, there were not enough Christian sculptors or epigramists who could create texts in accordance with the teachings of the new religion. However, in Scythia Minor, since the beginning of the 4th century, purely Christian epigraphic documents appear, completing the picture of the religious life here, sometimes confirming documentary sources, such as the acts of martyrdom, the minutes of the ecumenical synods, also attended the bishops of Tomis, or the occasional descriptions of the homeland found in the works of the Scythian monks, such as John Cassian and Dionysius Exiguus (the Humble One).

One of the important testimonies in this category is a part of a limestone cross (fig 2), discovered near Mangalia, which on one side has the words "light-life" written in Greek, and on the other side, in Latin "here a prayer was made for the commemoration of bishop Stefan...". According to specialists, this comes from the 4th and 5th centuries, and confirms the



Fig. 2


documentary testimonies, attesting to the existence of a bishopric See of Calatis. (Munteanu, 1977: 100)

Another fragmentary marble slab, from Tomis, from a martirium, commemorates a former bishop whose name has not been preserved, but supposed to be Titus or Philus, mentioned in the Acta Sanctorum on 3rd of January. He suffered during the persecution of Licinius in the years 319-320, his tomb being rebuilt later, probably in the 4th-5th century. And this artifact comes to confirm the documentary testimonies regarding the existence of an episcopal seat in Tomis. (Munteanu, 1977: 100)

II- Inscriptions on household objects

Apart from the funerary monuments, epigraphic markings can also be found on the personal and household items that belonged to the ancient inhabitants of Scythia Mynor. On such objects, such as amphorae and oil lamps, formulas such as the Grace of God, God Help, God is almighty, Mother of God, Mary gives birth to Christ, frequently appear in the Christian period. These short formulas can also be linked to the theological turmoil of the 5th-6th century which, at the Third Ecumenical Synod (431), also concerned the cult of the Mother of God.

Among these objects we note a Christian ceramic oil lamp from the 4th century on which we can see a representation of the 12 apostles and the Saviour Jesus Christ, framed by the biblical text written in Latin PACEM MEAM DO VOBIS. (fig.3)



Among the Christian epigraphic testimonies related to Scythia Minor, one of the most important and spectacular is that found on the object called "The Plate of Paternus" (fig.4), *Fig. 3* discovered in 1912 at

Malaja Pereščepina near Poltava, in Ukraine, as part of a treasury of a proto-

Bulgarian chagan. This plate of Byzantine origin comes from the 6th-7th century and once belonged to Metropolitan Paternus of Tomis. It is 61 cm in diameter and weighs 6,224 g. The weight of the raw material (silver and gold) is certified by an inscription on the back. The total of 6,855.59 g differs quite a lot from the actual weight, but this fact is normal, because due to corrosion, part of the disc was lost. Four guarantee stamps indicate the production of the disc during the reign of Emperor Anastasios. One of them has the inscription DN ANASTASIV(s) PP AVG, and another contains the name of Ioannes Kometos, identified with Ioannes Paphlagonianus, who in 498 was *comes sacrarum largitionum*. In the central part of the disk is a large chrismon, which is flanked by the letters alpha and omega. Around the central part is written the text +EX ANTIQVIS RENOVATVM EST PER PATERNVN REVERENTISS (imum) EPISC (opum) NOSTRVN AMEN+. Restoring *ex antiquis* means that silver and gold were taken from other objects and melted down to make this new disc. The border is decorated with various zoomorphic motifs and vines. On this edge, eight gold medallions with cruciform decoration were later inserted, in which precious stones were embedded (these were lost). The modification was made in a barbarian workshop, and the addition of the crosses emphasized the Christian significance of the disk, of which the owner was aware. Bishop Paternus is none other than the one mentioned in Tomis at the end of the 5th century and in the first two decades of the 6th century and is known as the first metropolitan of Scythia Minor in 520. The inscription shows that the disk was in the possession of this bishop and that it was offered to him by the Tomitian citizens, after 498. The fact that the language used for the votive inscription is Latin indicates that at the beginning of the 6th century, this language was prevalent in the use of the church of Scythia Minor.



Fig.4

III- Homage and votive inscriptions

Another category of inscriptions, discovered in Scythia Minor, are those present on certain public monuments commemorating important events in the history of the citadel or the empire, and the votive ones, through which whole communities or

prominent citizens showed their gratitude and paid their respects to Roman emperors or various deities.

Regarding the quantitative and qualitative ratio and the area of distribution of the inscriptions, it can be noted that those in Greek are more often found, especially in the big cities on the seashore, and those in Latin are common in the interior of the province and in the settlements on the banks of the Danube. (Popescu, 1977: 101)

Both Greek and Latin were used mainly in their vulgar form typical of South-Eastern Europe. Researched from a phonetic and morphological point of view, these inscriptions denote linguistic phenomena that led to the evolution of Vulgar Latin towards the Romanian language spoken today. We can also see the evolution of some Greek words towards the form in which they were assimilated in Romanian. The quality of the language of an inscription is also given by the social or cultural status of the one who orders it and by the place where it is made. Inscriptions from rural areas are often of poor quality, both grammatically and calligraphically, as well as the material on which they are applied.

After the 5th century, the Byzantine Empire, weakened by internal struggles, islamic expansion, and barbarian raids could no longer control the Danube border, and lost most of the former province of Scythia Minor. Certain heavily fortified cities, such as Tomis and Histria, remained under Byzantine control for a while, eventually falling under the blows of the Avars, proto-Bulgarians and Slavs at the beginning of the 7th century. The Romanized population does not disappear, however, and begins to be remembered by the historical sources under the name of *vlahs* or *romanois* (speakers of the Latin language), living both in Dobrogea and in the rest of the Balkans alongside Bulgarians and other Slavic peoples. It comes to have an important political role in the battles between the new formed empire called by scholars the Romanian-Bulgarian one, and Byzantium in the 12th century. Regarding the Christian faith and the cult, the Romanian scholar Ștefan Pascu claims, quite rightly, in an older work, that "*the Latin language is not definitively replaced by the Slavonic one until the 11th century and the Romanians had not completely broken their ties with the Church of Rome until this time. The rite is increasingly oriented towards Byzantium, but the ecclesiastical language remains Latin*" (Prunduș, Plaianu, 1994: 33). The proof is provided by a codice from the 11-th century that is preserved in the library of the University of Zagreb. Written in Latin, it contains a lyurgical rite consisting in a combination between the Roman and the Byzantine ones, specifying that it is the rite used by Saint Niceta, Bishop of Remesiana (present-day Bela Palanka, Serbia), in the Roman province of Dacia Mediterranea, who preached the Christian faith between the Goths and the Dacians at the south and north of Danube.

Through its rich archaeological heritage, the land between the Danube and the sea, today called Dobrogea and in ancient times Scythia Minor (Dură, 2006: 15-45), offers the Romanian people almost a thousand years of documentary and archeological attested history, between the 2nd and 12th centuries, while the rest of the area of Romanian ethnogenesis, the so-called Carpathian- Danubiano-Pontic space, the material and documentary evidence of late antiquity and the early Middle Ages is, as in other parts of Europe, scarce. These testimonies, and also the very concrete reality of the existence today's Romanians, with their unified language and civilization, and the consciousness of their own identity, testify to what many scholars call a miracle of history, namely, the continuity and existence in these lands (Dură, 2023: 185-202), of a people of Latin origin in a sea of Slavs.

To be able to understand this "miraculous" phenomenon of Romanization and the continuity of our ancestors in these lands, as well as the way in which they have appropriated, in late antiquity, the values of Greco-Roman civilization, the epigraphic testimonies from Scythia Minor, from which we pointed only a few of the most prominent, constitute to be a generous field of research, which is enriched even today through new discoveries.

Bibliography

1. Aricescu, A. (1963), *Unique Tomitan Inscriptions in Verse*, Revista de studii clasice, nr. V, Bucharest, pp. 319-332.
2. Buzoianu, L., Bărbulescu, M. (2013), *Unique Greek Epigram from Tomis. Pontica nr. XLVI*, Published by the National History and Archeology Museum, Constanța, pp. 311-322.
3. Dură N. V. (2006). „*Scythia Mynor*” (*Dobrogea*) și *Biserica ei apostolică. Scaunul arhiepiscopal și mitropolitan al Tomisului (sec. IV-XIV)* [“*Scythia Mynor*” (*Dobrogea*) and its Apostolic Church. The archiepiscopal and metropolitan see of Tomis (4th-14th centuries)], Ed. Didactică și Pedagogică, București.
4. Dură N. V. (2023). *Scythia Minor (Dobruja) and the Acculturation Process of Its Inhabitants (Natives, Temporary Conquerors and Nomads)*, in vol. *Black Sea Region at the Crossroads of Civilizations I*, Batumi, p. 185-202.
5. Munteanu, M. (1977), *Christian Testimonies Preserved in the Archeology Museum of Constanța*, in vol. *De la Dunăre la Mare, mărturii istorice și de artă creștină*, published by the Archiepiscopate of Tomis and the Lower Danube, Galați, pp 98-104.
6. Ovidius Publius Naso, (2019), *Tristia, Epistulae Ex Ponto*, published by Ex Ponto, Constanța.
7. Popescu, E. (1977), *Some Considerations Regarding the Language of the Christian Inscriptions in Scythia Minor in the 4th-6th Centuries*, in vol. *De la*

Dunăre la mare, mătrurii istorice și de artă creștină, published by the
Archiepiscopate of Tomis and the Lower Danube, Galați, pp. 123-134.

8. Prunduș, S., Plaianu, C. (1994), *Catholicism and Romanian Orthodoxy. Brief History of the United Romanian Church*, Publishing House Christian Life, Cluj-Napoca.

The General Character of the Georgian Social Democracy and the First Steps in Batumi

ქართული სოციალ-დემოკრატიის ზოგადი ხასიათი
და პირველი ნაბიჯები ბათუმში

Giorgi Batsikadze

PhD Student at Batumi Shota Rustaveli State University

e-mail: Giorgibatsikadze21@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-8671-8667>

Abstract. This article discusses the general character of Georgian social democracy and the early activities of the organization in Batumi. The history of Georgian social democracy is a particularly interesting and complex topic, as its development process was not only connected to all the major historical events that took place in Georgia during the first two decades of the 20th century but also, to some extent, defined them.

The first group of Georgian social democracy, the "Mesame Dasi" began to form in 1892, based on European Marxist socialism and opposing Russian narodnik socialism. In fact, the "Mesame Dasi" became the first ideological union to start a political struggle for the protection of the working people's interests amid intense class struggles. At the same time, a different direction emerged, known as revolutionary social democracy, which later transformed into the so-called Bolshevik wing. The processes occurring against the backdrop of the diversity of socio-political ideas created a mosaic image of Georgian social democracy. In 1903, the "Mesame Dasi" joined the Russian Social Democratic Labor Party (RSDLP), and the process of forming Georgian Menshevism continued for several years. This integration into the RSDLP was one stage of its development, facilitating its transformation not merely as a part of Russian Bolshevism or Menshevism, but as a distinctly Georgian social democracy defined by local needs and characteristics.

One of the main centers of the party's activities was the city of Batumi. Social democracy considered the proletariat to be the main revolutionary force. Accordingly, industrial centers, characterized by a growing concentration of workers, held particular interest for social democrats. The rise of industrial life in Batumi and the large number of workers contributed to the activity of the social democrats in the city, while the social ideas of the social democrats made them popular among the workers. The article focuses on the establishment of the "Mesame Dasi" the activation of the social democratic movement, and the differing opinions on national, political, and social issues. It also examines the initial steps of the organization in Batumi, including protests and its leaders.

Key words: Social Democracy; Mesame Dasi; Batumi; Workers; Political party; Social class; Georgia; Protest.

გიორგი ბაციკაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ელ-ფოსტა: Giorgibatsikadze21@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-8671-8667>

აბსტრაქტი: სტატია ეხება ქართული სოციალ-დემოკრატიის ზოგად ხასიათსა და ორგანიზაციის მოღვაწეობის დასაწყისს ბათუმში. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია ერთობ საინტერესო და კომპლექსური თემა იმდენად, რამდენადაც მისი განვითარების პროცესი არათუ მხოლოდ უკავშირდებოდა მე-20 საუკუნის პირველ ოცწლედში საქართველოში განვითარებულ ყველა ძირითად ისტორიულ მოვლენას, არამედ გარკვეულწილად განსაზღვრავდა კიდევ მას.

ქართული სოციალ-დემოკრატიის პირველი ჯგუფი - „მესამე დასი“ 1892 წლიდან იწყებს ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნება ევროპულ მარქსისტულ სოციალიზმს და უპირისპირდება რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს. ფაქტობრივად, „მესამე დასი“ ხდება პირველი იდეური გაერთიანება, რომელიც მწვავე კლასთა ბრძოლაში მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვისთვის იწყებს პოლიტიკურ ბრძოლას. პარალელურად, თანდათან განვითარდა განსხვავებული, ე.წ. რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა მიმართულეობა, რომელიც მოგვიანებით ე.წ. ბოლშევიკურ ფრთად გარდაიქმნა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეათა მრავალფეროვნების ფონზე მიმდინარე პროცესებმა შექმნეს ქართული სოციალ-დემოკრატიის მოზაიკური სურათი. 1903 წელს მესამე დასი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუერთდა, ქართული მენშევიზმის ჩამოყალიბების პროცესი წლების განმავლობაში გრძელდებოდა და რსდმპ-ში ინტეგრირებაც მისი განვითარების ერთ-ერთი ეტაპია, რომელმაც ხელი შეუწყო მის ტრანსფორმირებას არა როგორც რუსული ბოლშევიზმისა თუ მენშევიზმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, არამედ ადგილობრივი საჭიროებებითა და მახასიათებლებით განსაზღვრულ ქართულ სოციალ-დემოკრატიად.

პარტიის მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს ქალაქი ბათუმი წარმოადგენდა. სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატს მთავარ რევოლუციურ ძალად მიიჩნევდა. შესაბამისად, ინდუსტრიული ცენტრები, რომლებიც მუშების მზარდი კონცენტრაციით ხასიათდებოდა, სოციალ-დემოკრატებისთვის განსაკუთრებულ ინტერესებს ატარებდა. თავის მხრივ ბათუმის ინდუსტრიული ცხოვრების აღმავლობა და მუშების სიმრავლე

განაპირობებდა პარტიის აქტიურობას ქალაქში, სოციალური იდეები კი მის პოპულარობას მუშებში. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია „მესამე დასის“ ჩამოყალიბების, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გააქტიურების ეტაპსა და ეროვნულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობაზე. ამასთანავე, ორგანიზაციის მოღვაწეობის საწყის ნაბიჯებზე ბათუმში, საპროტესტო აქციებსა და მის ხელმძღვანელებზე.

საკვანძო სიტყვები: სოციალ-დემოკრატია; მესამე დასი; ბათუმი; მუშები; პოლიტიკური პარტია; სოციალური კლასი; საქართველო; პროტესტი.

შესავალი. ქართული სოციალ-დემოკრატია საქართველოს და ევროპის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საყურადღებო ნაწილია. მე-19 სუკუნის 90-იან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის ბატონყმური მარწუხებისგან განთავისუფლებული და ცივილიზებულ იდეებს ნაზიარები ახალგაზრდობა, რომელიც აკრიტიკებს და ემიჯნება წინამორბედით იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში ცალსახად უმრავლესობის, მშრომელი ხალხის ინტერესებს აყენებს და აქტიურ ბრძოლას ითხოვს. თერგდალეულთა ეროვნული და მის საწყისზე აღმოცენებული ე.წ. „მეორე დასის“ ხალხოსნური ჯგუფების შუალედური მიმართულება შექმნა ე.წ. „მესამე დასმა“, რომელმაც ეროვნული და სოციალური პრობლემების გადაჭრის გზა უმრავლესობის სასარგებლოდ მიმართულ კლასთა ბრძოლაში დაინახა, მშრომელი ხალხი დააყენა პოლიტიკური ბრძოლის ცენტრში და კიდევ განსაზღვრა მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ცხოვრების ბედი.

ქართველი ახალგაზრდების მიერ თავისთავად ჩამოყალიბებული ე.წ. „მესამე დასი“ გარდაიქმნა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად, რომლის ნიშანდობლივი მახასიათებლების ქართულ რეალობასთან თანხვედრა განსაზღვრავდა პარტიის წარმატებებს, სწორედ ამ მახასიათებლების განხილვას შევეცდებით წიმანდებარე სტატიით და ამასთანავე, ყურადღებას გავამახვილებთ ბათუმში, მის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ პოლიტიკურ ცენტრში, პარტიის პირველ ნაბიჯებზე. სამეცნიერო სტატია ეფუძნება პერიოდულ პრესას, მემუარულ და სამეცნიერო ლიტერატურას.

მეთოდები: სტატიით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისათვის ისტორიზმისა და ობიექტურობის უმთავრეს პრინციპებზე დაყრდნობით, უპირველეს ყოვლისა, ვიხელმძღვანელებთ მონაცემთა შეგროვების, სინთეზისა და ანალიზის მეთოდებით. საარქივო

მასალის, პერიოდული პრესის, მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე განვითარებულია მსჯელობა და წარმოდგენილია ლოგიკური დასკვნა.

მსჯელობა/შედეგები. 1890-იანი წლებიდან ქართველ ახალგაზრდებში ვრცელდება ევროპული მარქსისტული სოციალიზმი, რომელიც ვარშავაში მცხოვრები ქართველი სტუდენტების მეშვეობით შემოდის და უპირისპირდება რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს. ამ მოვლენის გარიჟრაჟზე ჩანან ნოე ჟორდანიას, ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, კარლო ჩხეიძე, მიხა ცხაკაია, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე, ევგენი ვაწაძე, რაჟდენ კალაძე, ისიდორე კვიციანიძე, იოსებ კაკაბაძე. ეგნატე ნინოშვილის ძალისხმევით იწყება ქართველი მარქსისტების თავმოყრა და ორგანიზაციის ჩამოყალიბების ცდა. პირველი კრება შედგა ყვირილაში 1892 წელს, სადაც გამოიკვეთა ნაროდნიკული და მარქსისტული პოზიციები. 1893 წელს თბილისში გამართულ მეორე კრებაზე ჩამოყალიბდა ქართული მარქსისტული ჯგუფი და მიღებულ იქნა ნოე ჟორდანიას სამოქმედო პროგრამა, რომელიც მომდევნო წელს სათაურით - „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“, გაზეთ მოამბეში დაიბეჭდა შემოკლებული სახით. ეს ჯგუფი, ე.წ. მესამე დასი, ასპარეზზე გამოვიდა 1894 წელს ეგნატე ნინოშვილის საფლავზე (ჟორდანიას A, 1990: 408-411). აქ წარმოთქმულ სიტყვაში სილიბისტრო ჯიბლაძემ ხაზი გაუსვა თანამოაზრეთა ჯგუფის მსოფლმხედველობას, რომელიც არ ცნობდა კლასთა შერიგების ჭავჭავაძისეულ პრინციპებს, არამედ აღიარებდა კლასთა ბრძოლას და ამ მწვავე ბრძოლაში ჩაგრული მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად (კვალი, N22, 1894: 15).

ერთობ ნიშანდობლივია ნოე ჟორდანიას საპროგრამო წერილი „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“. მასში აბსოლუტურად ნათლადაა აღიარებული ეროვნული იდენტობის და ერთიანობის პრინციპები. დაქსაქსულობა და ერთიანი ეროვნული ცნობიერების ნაკლებობა ერის მისუსტების უმთავრეს მიზეზადაა დასახელებული. საერთო ნივთიერ და ეკონომიკურ ურთიერთკავშირს უნდა შეექმნა ეროვნებისა და ერის გონებრივი ერთობის შეურყეველი ნიადაგი (მოამბე N5, 1894: 102-121). პროგრამა ეკონომიკურ კეთილდღეობას ბედნიერების მთავარ პირობად, ხოლო ვაჭრობისა და წარმოების გაძლიერებას კავშირისა და ერთიანობის ძალად მოიაზრებდა; ბურჟუაზიის გაძლიერებას უნდა გამოეწვია უმცირესობის გამდიდრება უმრავლესობის გაღარიბების ხარჯზე, რაც თავის მხრივ განაპირობებდა გაღარიბებული უმრავლესობის შეკავშირებას და კეთილდღეობისთვის ბრძოლაში გაერთიანებას (მოამბე N6, 1894: 88-89).

ამდენად, თავდაპირველი პროგრამით გაერთიანების ძირითად მიზანს ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნა წარმოადგენდა, რომელიც

თავისუფალი შრომისა და წარმოების განვითარების გზით უნდა მიღწეულიყო. ეკონომიკური ურთიერთკავშირის განმტკიცება უზრუნველყოფდა ეროვნულ ერთიანობას. ბურჟუაზიული წეს-წყობილება უნდა მოსპობილიყო არა რევოლუციური, არამედ თავისთავადი განვითარების გზით. მათ კი ამ პროცესში უნდა დაეცვათ მშრომელი ხალხის ინტერესები.

ამგვარად მიმდინარეობდა სოციალ-დემოკრატების პუბლიცისტური საქმიანობაც. ეგნატე ნინოშვილის აზრით, ინტელიგენციის ძალისხმევა საყოველთაო სოციალური განვითარებისა და თანასწორობისაკენ უნდა მიმართულიყო (ნინოშვილი, 1954: 535-537). იგი არ ეწინააღმდეგებოდა კაპიტალიზმს, თუმცა თვლიდა, რომ მისი განვითარების ფონზე ინტელიგენციას უნდა მოემზადებინა საფუძველი სოციალური თანასწორობისათვის და გაეზიარებინა ევროპული გამოცდილება (კვალი N40, 1893: 7-8). კაპიტალიზმის განვითარება მიაჩნდა, ერთი მხრივ, ქართველთა ეროვნული ერთიანობისა და მეორე მხრივ, სოციალურ კლასებად დაყოფის მიზეზად ივანე გომართელს (კვალი N37, 1901: 807). დაჩაგრულთა ინტერესებისთვის ბრძოლას თვლიდა მესამე დასის უმთავრეს საზრუნავად სილიბისტრო ჯიბლაძე (ჟორდანიას, 1920: 307). ბურჟუაზიასთან მიმართებით შრომის და მშრომელთა მფარველობა მიაჩნდა სოციალ-დემოკრატის, როგორც მომავლის დასის, მიზნად ნოე ჟორდანიასაც (კვალი N34, 1895: 11). ეროვნული განვითარება ნიშნავდა ეკონომიკურ განვითარებას. მსგავსად ნინოშვილისა, ჟორდანიაც ევროპულ გამოცდილებას ემხრობოდა, ქართული ეროვნული ნიადაგის საფუძველზე, რისი საზოგადოებრივი გათავისებაც ისტორიულ საკითხად მიაჩნდა (კვალი N35, 1895: 12). იგი თვლიდა, რომ კლასთა ბრძოლა განაპირობებდა ეროვნულ ზრდას. ამ გარდაუვალ და ბუნებრივ პროცესში მათ უნდა გაეგრძელებინათ სამოციანელების გონებრივი მოღვაწეობა, რასაც საბოლოოდ მუშათა კლასის მიერ კოლექტიური ურთიერთობების დამყარება მოჰყვებოდა (კვალი N18, 1896: 303-304). მსგავს პოზიციას იზიარებდა არჩილ ჯაფარიძეც, რომლის აზრითაც შრომის დანაწილება და ეკონომიკური განვითარება უძლოდა წინ ეროვნულ და პოლიტიკურ გაერთიანებას. სოციალ-დემოკრატის მიზანი უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის განთავისუფლება ბურჟუაზიის გავლენისაგან (ჩვენი ცხოვრება N9, 1906: 2-3). ჟორდანიას ბურჟუაზიაში ხედავდა მშრომელთა კლასის გაძლიერების ფაქტორს იმდენად, რამდენადაც მასთან ბრძოლა მიაჩნდა ყოველმხრივი წარმატების კატალიზატორად (კვალი N1, 1898: 3-4). ბურჟუაზიასთან შეთანხმება შეუძლებლად მიაჩნდა რაჟდენ არსენიძეს, იმდენად, რამდენადაც სოციალ-დემოკრატის და მშრომელთა კლასობრივი მოძრაობის მიზანს ბურჟუაზიული წყობის დამლასა და სრული თანასწორობის დამყარებაში ხედავდა (კვალი N27, 1903: 421). შედარებით რადიკალურია ფილიპე მახარაძე, რომელიც კლასებს

შორის ბრძოლის უკიდურესად გამწვავებაში ხედავდა ჩაგრულთა მდგომარეობის გაუმჯობესების გზას (კვალი N20, 1895: 12). ბურჟუაზია მიაჩნდა სოციალური პროგრესის დაუძინებელ მტრად (კვალი N21, 1895: 9). შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ უკვე იკვეთებოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიკაში იდეური განშტოებების საფუძვლები.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო მუშაობაში ზოგჯერ ერთმანეთს ერწყმოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიკაში არსებული მიმართულებები, პრინციპულ საკითხებზე განსხვავებები გამოკვეთილია. გარდა ზემოთ თქმულისა, ავტონომიის თემა იყო ინტერპარტიული უთანხმოების ერთ-ერთი ინდიკატორი. მაგალითად, რამდენადაც არჩილ ჯავარიძე სეპარატიზმს თავადაზნაურობის, ხოლო ნაციონალურ-ტერიტორიულ ავტონომიას ბურჟუაზიის გაძლიერების საშუალებად აღიქვამდა, ფიქრობდა, რომ იგი ვერ მოაგვარებდა მშრომელთა პრობლემებს (ჩვენი ცხოვრება N13, 1906: 2-4). იგი უარყოფდა კულტურულ ავტონომიას, ხოლო ტერიტორიულ ავტონომიას მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერდა მხარს თუ იგი ააშკარავებდა კლასთა ბრძოლასა და ხელს უწყობდა პროლეტარიატის გათვითცნობიერებას. საერთოდ კი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დეცენტრალიზაციას და ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას ანიჭებდა უპირატესობას (ჩვენი ცხოვრება N14, 1906: 2-3). ალექსანდრე წულუკიძე თვლიდა, რომ ავტონომია ბურჟუაზიის მოთხოვნილება იყო და პროლეტარიატის დაქსაქსვის საფრთხეს ქმნიდა, რომელსაც პირველ რიგში ერთობა ესაჭიროებოდა. ამავდროულად, იმდროინდელ რუსეთში, ხელისუფლების დემოკრატიზაციამდე ავტონომია ფუჭი მცნება იყო, დემოკრატიზაციისთვის კი მშრომელთა გაერთიანება იყო საჭირო, რასაც ავტონომია ხელს შეუშლიდა (მოგზაური N17, 1905: 261-263). ფილიპე მახარაძეც ეწინააღმდეგება ავტონომიას, რადგანაც იგი არა მუშათა კლასის, არამედ თავადაზნაურობის, სამღვდელოების და ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველად მიაჩნდა. მისი აზრით, ეროვნულ საკითხს ავტონომია ვერ გადაწყვეტდა. ეროვნული კითხვა იგივე სოციალურ კითხვად მიაჩნდა და მისი მოგვარების წინაპირობად მუშათა საერთოეროვნულ ერთიანობას ხედავდა, რასაც უნდა დაემხო ბურჟუაზიული წყობილება და დაესრულებინა სოციალური განხეთქილება, მისი აზრით, მაშინ გადაწყდებოდა ეროვნული საკითხიც (მოგზაური N21, 1905: 325-326). კავკასიის საერთო ავტონომიას ემხრობოდა ვლადიმერ დარჩიაშვილი. აქვე ჩანს, რომ იგი არ იზიარებდა ზოგად და ბუნდოვან ფორმულირებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა ეროვნული თვითგამორკვევის უფლების თაობაზე და ხალხის სურვილის გამორკვევის მნიშვნელობაზეც ამახვილებდა ყურადღებას (ივერია N211, 1905: 2). მიუხედავად იმისა, რომ ივანე გომართელი კოსმოპოლიტურ პოზიციაზე იდგა და მსოფლიო ერთა ერთიანობას აღიქვამდა პროლეტარული

ნაციონალიზმის საბოლოო შედეგად, აშკარად აღიარებდა ეროვნულ საკითხს და ეროვნულ ინტერესადაც უმრავლესობის, შესაბამისად მშრომელების ინტერესები მიაჩნდა, რომელიც პიროვნების დამოუკიდებლობაში, ეროვნულ თავისუფლებაში, პოლიტიკურ და სოციალურ თანასწორობაში მდგომარეობდა. თავდაპირველად, იგი არ აკონკრეტებდა ფორმას, თუმცა თვლიდა, რომ ქართველ მშრომელებს შინაური ცხოვრება უნდა მოეწყობოთ იმგვარად რომ უზრუნველყოთ ერის ბუნებრივი განვითარება (გომართელი, 1906: 3-55). 1917 წელს კი ცხადად უჭერდა მხარს ავტონომიას (საქართველო N74, 1917: 2).

ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ორი ჯგუფი გამოიკვეთა. კერძოდ, გაზეთ „კვალის“ მიმართულება (მესამე დასი), დამოუკიდებელი ქართული ორგანიზაციის შექმნა-შენარჩუნებას ემხრობოდა, ხოლო გაზეთ „ბრძოლის“ მიმართულება (რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები) რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან შერწყმას. 1901 წელს გაზეთ ბრძოლის რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია არ წარმოადგენდა ცალკე მოძრაობას, არამედ ექვემდებარებოდა (უნდა დაქვემდებარებოდა) რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (ბრძოლა N1, 1901: 2). ნოე ჟორდანიას კი საქართველოს ევროპის სისხლ-ხორცეულ ნაწილად მიიჩნევდა და მასთან ცხოვრებისეულ კავშირსაც თავისთავადად აღიქვამდა (კვალი N14, 1896: 231), ხოლო 1901 წელს სილიბისტრო ჯიბლაძე დასავლეთ ევროპელ სოციალ-დემოკრატებთან საიდუმლო კავშირის დამყარებას ცდილობდა. საბოლოოდ რევოლუციონერთა მიმართულებამ იმძლავრა და 1903 წელს მესამე დასიც რსდმპ-ს შეუერთდა. მესამე დასის შესუსტებაზე ჟორდანიას და ჯიბლაძის დაპატიმრებამაც იმოქმედა (გურული, ვაჩნაძე, 1999: 90). 1902 წლის დასაწყისში, ციხეში მყოფი ჟორდანიას გაკვირვებით შეხვდა თბილისის ორგანიზაციის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილად გამოცხადებას. მას აფიქრებდა პოზიციათა შეუთავსებლობა და გათქვევების საშიშროება იმ ფონზე, რომ რუსეთის პარტიაში არ იდგა გლეხისა და ნაციონალური საკითხები, განსხვავდებოდა ორგანიზაციული მიდგომა (ჟორდანიას B, 1990: 40).

დამოუკიდებელი პარტიის ჩამოყალიბების მომხრე ქართველების პოზიციის ცვლილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის სიტუაციაც გახდა, რაც რუსი სოციალ-დემოკრატების პრაქტიკული აქტიურობით შეიქმნა. კერძოდ, 1890-იანი წლებში მუშებს შორის ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ფონზე, რომელსაც ენერგიულად ხელმძღვანელობდნენ რუსეთიდან ჩამოსული კოგანი, ლუზინი, ფრანჩესკები და სხვა სოციალ-დემოკრატები, ჩამოყალიბებული წრეები ამზადებენ საფუძველს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად (გურული, ვაჩნაძე, 1999: 51-57). ცხადია, აღნიშნული

გაერთიანებებიც რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიური ნაწილი გახდა და ინტერნაციონალურ ხასიათსაც ატარებდა. იგი ერთგვარი საპასუხო მოქმედება იყო „მესამე დასის“ საპირწონედ და რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციების განსამტკიცებლად. ამ განხეთქილებაში აქტიური პოზიცია თავიდანვე პრორუსულმა რევოლუციონერებმა დაიჭირეს. არალეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი გამოსვლისთანავე უარყოფდა ლეგალურ ბრძოლას და ამით ფაქტობრივად ემიჯნებოდა რუსეთის იმპერიაში პირველი ლეგალური მარქსისტული გაზეთი „კვალის“ ბანაკს (ბრძოლა N1, 1901: 1-2). აქტიური აგიტაცია-პროპაგანდა, რევოლუციური იდეების გავრცელება და მუშებს შორის პრაქტიკული რევოლუციური მუშაობის გაძლიერება მყარ ნიადაგს უქმნიდა ქართული სოციალ-დემოკრატიის რევოლუციონერ ფრთას.

ზოგადად, ზემოთ ხსენებული ფონის გათვალისწინებით და ამის გარეშეც, როგორც ჩანს, ნოე ჟორდანიას და მესამე დასელებს კარგად ესმოდათ პარტიული რევოლუციური ძალის ერთიანობის მნიშვნელობა წარმატებისათვის. ძალთა გაერთიანება უნდა ყოფილიყო იმ ეტაპამდე მისვლის საშუალება, რომელზეც დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა გაჩნდებოდა. საერთო მოძრაობისგან მესამე დასის იმთავითვე ჩამოშორება მის პოზიციას შეასუსტებდა, მითუმეტეს რომ რევოლუციონერებს მუშებს შორის უფრო მყარად ედგათ ფეხი.

1903 წელს რსდმპ მეორე ყრილობაში მონაწილეობისას კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა უთანხმოება არა მხოლოდ ქართულ და რუსულ სოციალიზმს შორის, არამედ, ერთი მხრივ, ქართულ, სახელდობრ კი მესამე დასის, და მეორე მხრივ, მენშევიზმ-ბოლშევიზმს შორის. კამათი მიმდინარეობდა ეროვნულ, გლეხის, ენის, ცენტრალიზაციის, საორგანიზაციო და სხვა საკითხებზე. მიუხედავად განსხვავებებისა, ქართველი სოციალ-დემოკრატები ყრილობის საბოლოო რეზოლუციას შეუერთდნენ და მის იდეურ ჩარჩოშიც მოექცნენ, მათ შორის მესამე დასელი ჟორდანიაც. დადგენილება გარდა ადამიანის ზოგადი და ფუნდამენტური უფლებების, თანასწორობის, მუშათა და გლეხთა სამუშაო პირობების დაცვისა, გულისხმობდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას და ფართო ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობას იმ ტერიტორიებისთვის, რომლებიც ხასიათდებოდნენ განსაკუთრებული საცხოვრებელი პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით (Второй Съезд РСДРП, Протоколы, 1959: 421).

ჯერ კავკასიის კავშირში, შემდეგ კი რსდმპ-ში გაერთიანების ეტაპზე დადასტურდა რუსული სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება საქართველოში. ჟორდანიას ამის მნიშვნელობა კარგად ესმოდა და მოჰყვა კიდევ მისი გააქტიურება. მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის მიმდინარე ქიშპობის ფონზე ქართული სოციალიზმის გაძლიერების საშუალება შეიქმნა. როგორც

ჩანს, ჟორდანიამ წარსული შეცდომები გაითვალისწინა და აქტიური მოქმედება დაიწყო სიტუაციის ხელში ასაღებად. მესამე დასისეული დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი ეროვნული ინტერესების საკითხისადმი დამოკიდებულების პოპულარობამ, კავკასიის კავშირსა და ადგილობრივ კომიტეტებს შორის გაფუჭებულმა ურთიერთობებმა, მუშებს შორის აგიტაციის გაძლიერებამ და ჟორდანიას ავტორიტეტმა 1905 წლისათვის შექმნა სიტუაცია, როდესაც საქართველოში არა მენშევიკური ან ბოლშევიკური, არამედ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია აკონტროლებდა სიტუაციას (ჯონსი, 2007: 153-160). კავკასიის ორგანიზაციათა ორგანო ჟურნალი „სოციალდემოკრატი“, რომელიც უფრო ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანო იყო, აკრიტიკებდა ბოლშევიზმსა და ლენინს, თუმცა არც მენშევიზმის აშკარა აპოლოგეტის როლში გამოდიოდა (სოციალდემოკრატი N3, 1905: 11-15). იგი მიანიშნებდა რუსული და ქართული პირობების, შესაბამისად, რუსული და ქართული სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვაობის ასპექტებზე, დამოუკიდებელი და მყარ იდეოლოგიურ პოზიციაზე მდგარი ორგანიზაციის შენარჩუნების მნიშვნელობაზე (სოციალდემოკრატი N4, 1905: 1). ქართული ორგანიზაციის დამოუკიდებლობის იდეა შემდეგაც არსებობდა. ივანე გომართელი 1906 წელს წერდა: „სოციალიზმის დიად სამეფოში ქართველი ერი თავისი საკუთარი სახით უნდა წარსდგეს და ჩვენი პროლეტარიატი სოციალიზმის სამფლობელოში უნდა შევიდეს, როგორც საერთაშორისო პროლეტარული პარტიის ქართველი წევრი (გომართელი, 1906: 55).

ქალაქი ბათუმი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტი, ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის ერთ-ერთ ასპარეზად თავიდანვე იქცა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმის მოსახლეობა 20000 სულს აჭარბებდა (Кавказский календарь на 1898 год: 342-343). ქალაქში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ სლავური ეროვნების ჯგუფები (რუსები, უკრაინელები, ბელორუსები), სომხები, რომელთა რიცხოვრივი შემადგენლობა თითქმის თანაბრად ნაწილდებოდა, აგრეთვე ბერძნები და სხვა ეთნიკური ჯგუფები. მუშებს შორის ასეთი მრავალეთნიკური სურათი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალური ხასიათის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

„მესამე დასი“ საკმაოდ წარმატებით იკავავდა გზას ბათუმის მოსახლეობაში. ქალაქში ინდუსტრიული მრეწველობის აღმავალი ტემპი და მუშების სიმრავლე სოციალ-დემოკრატებისთვის მუშაობის ხელშემწყობ გარემოს ქმნიდა. საუკუნის დასაწყისში, ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მუშებისგან შედგებოდა, რომლებიც უმთავრესად საქართველოს რეგიონებიდან იყვნენ თავმოყრილი. ბათუმში ჩამოსული „მესამე დასელები“ დღითიდღე აძლიერებდნენ თავიანთ მუშაობას. მათ შექმნეს საკვირაო

სკოლა. აგრეთვე, ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა, სადაც თავს უყრიდნენ ლიტერატურასა და ჟურნალ გაზეთებს, მოქმედებდნენ აქტიურად (კლდიაშვილი, 1961: 133-134).

თბილისის კომიტეტის მითითებით 1901 წლის მიწურულს იოსებ ჯუღაშვილი ბათუმში გაემგზავრა. მის მისიას შეადგენდა საქართველოს მეორე სამრეწველო ქალაქში სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ჩამოყალიბება. იოსებ ჯუღაშვილის ინტენსიური მუშაობის შედეგად 1901 წლის დეკემბერში, სილიბისტრო ლომჯარიას ბინაში, შეიქმნა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. იოსებ ჯუღაშვილთან ერთად კომიტეტის ხელმძღვანელ ბირთვს შეადგენდნენ: კოწია კანდელაკი, ილარიონ დარახველიძე, დარისპან დარახველიძე, სილიბისტრო თოდრია, მიხეილ გაბუნია, ვარლამ კალანდაძე, გერონტი კალანდაძე, თეოფილე გოგიბერიძე, პორფილე ქურიძე და სხვები (კომუნისტი N10, 1937:1).

1902 წლის იანვარში დაიწყო მანთაშევის ქარხნის მუშების პროტესტი, რომელიც ქარხნის ადმინისტრაციის მხრიდან დათმობებით დასრულდა (კარალიძე, 2009: 77). ამას მოჰყვა როტმილდის ქარხნის მუშების საპროტესტო გამოსვლა თებერვალში. ქარხნის ადმინისტრაციამ მუშებს უარი განუცხადა მოთხოვნების შესრულებაზე, რის გამოც ქარხანაში დაიწყო გაფიცვა. საქმეში ჩაერია ბათუმის გენერალ-გუბერნატორი დრიაგინი, რომელმაც მუშათა ხელმძღვანელები დააპატიმრა. სიტუაცია მეტად გართულდა, რამდენიმე ასეული მუშა ციხესთან მივიდა და მოითხოვა დაკავებული ამხანაგების განთავისუფლება. ხელისუფლებამ ციხესთან გამოიძახა ჯარი ესტატე ანთაძის მეთაურობით (ასს, ფ. 1, ან. 1, საქ. N139, ფურც. 4-6). დავით კლდიაშვილი ციხესთან მყოფ ამბოხებულ მუშებს შორის მეთაურთა რანგში ქართველებს ასახელებს (ანთელავა, გოგიბერიძე, ბაბილოძე). საპროტესტო დემონსტრაცია ორმხრივი სროლითა და დიდი მსხვერპლით დასრულდა.

1903 წელი სოციალ-დემოკრატიის პარტიის ბათუმის კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის აქტიურობით აღინიშნა. პოლიტიკური აქტივობის პიკად ითვლება 16-18 ივლისის დემონსტრაცია. ამ დღეებში ბათუმი აბოზოქრებულ ზღვას დაემსგავსა. საარქივო მასალების მიხედვით მუშათა დემონსტრაციის ხელმძღვანელთა შორის ფიგურირებენ შემდეგი პირები: თევდორე ფარულვა, ანტონ მაზინი, აშოტ მუსოიანი, კონსტანტინე კანდელაკი, ალექსანდრე კოპალეიშვილი, ვლადიმერ ჯიბლაძე, ნოე ჩხეიძე, ივანე მგელაძე, კონსტანტინე კალანდაროვი, გერასიმე კალაძე, ალექსანდრე დგებუაძე, ნიკოლოზ ტომარაძე და სხვები (ცქვიტარია, 1959: 97).

1905 წლის 29 მარტს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს გადასცა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ბრალდებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა სია,

რომელთა მიმართ დაწესდა გაძლიერებული მეთვალყურეობა. ესენი არიან: პარმენ თოფურია, თენგიზ ფირცხალავა, ილია გაგუა, ტარიელ ქავთარაძე, ფილიპე ცერცვაძე, ალექსანდრე მელია, დიმიტრი სიგუა, ნიკოლოზ გაბუნია, ნიკოლოზ პერტია, გიორგი შევარდნაძე, ნოე ჩხეიძე, სამსონ რუხაძე, მიხაკო კომახიძე, კონსტანტინე ბერიძე, ნიკოლოზ ალექსევი, გიორგი ნანიევი, მიხეილ რიკოვი, ალექსეი კრუხმალიევი, მარკიანე გერასიმენკო, ვასილ ნაუმოვი, რომან კრისევიჩი, ანდრეი ბელოვი, დიმიტრი ფიოდოროვი (ასს, ფ. 1, ან. 1, საქ. 166, ფურც. 49).

რევოლუციის აღმავლობის დროს (1905) აჭარაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსეთიდან სპეციალური მისიით გამოგზავნილი რუსი სოციალ-დემოკრატები: ფიოდოროვი, ბელოვი, და სხვები. ფიოდოროვი ხელმძღვანელობდა ბათუმში ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებულ რამდენიმე ანტისამთავრობო აქციას. რევოლუციის დაღმავლობის წლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის ეროვნული შემადგენლობა სიჭრელით ხასიათდებოდა. ცარიზმის რეპრესიების სუსხი იწვნია ბათუმის კომიტეტის მთელმა შემადგენლობამ ეროვნების განურჩევლად.

დასკვნები. მე-19 საუკუნის მიწურულიდან საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულმა „მესამე დასმა“ დღის წესრიგში მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები დააყენა. ამავდროულად კი შეითავსა წინამორბედი დასების შუალედური როლი, ეროვნული და სოციალური საკითხებისადმი სპეციფიკური მიდგომით. ეროვნული კეთილდღეობის წინაპირობად უმრავლესობის ინტერესების დაცვა და ეკონომიკური კეთილდღეობა მიიჩნია და ამ მიმართულებით წარმართა პოლიტიკური განვითარების ვექტორიც. პოლიტიკური სიმტკიცე მყარ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებზე უნდა დაფუძნებულიყო. „მესამე დასმა“ განსაზღვრა ქართული სოციალ-დემოკრატიის შინაარსი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიისგან თავდაპირველი დამოუკიდებლობა მოგვიანებით რუსების გააქტიურებითა და ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ორი მიმართულების, კერძოდ, დამოუკიდებელი პარტიის შენარჩუნების მომხრეთა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან (რსდმპ) შეერთების მომხრეთა გაჩენით გაგრძელდა. ამ უკანასკნელის გაძლიერებით 1903 წელს ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ-ში აღმოჩნდა. ეს გახლდათ მისი განვითარების ერთ-ერთი ეტაპი და ამ პროცესების პარალელურად ნოე ჟორდანიას აქტიურობით მიმდინარეობდა „მესამე დასის“, ე.ი. დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის მომხრეთა დომინირების აღდგენის ეტაპი.

ერთი მხრივ, ქართულ სოციალ-დემოკრატიაში არსებული ორივე მიმართულების აქტიურობითა და მეორე მხრივ, მუშების მრავალფეროვნებით შიდაპარტიული უთანხმოება ბათუმის სოციალ-დემოკრატიის ჯგუფში ნაკლებად აისახა. მაგრამ ისევ ინტერნაციონალურმა

გარემოებამ განსაზღვრა პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი „მესამე დასისეული“ მიდრეკილების გამარჯვება, რაც შემდეგ განსაკუთრებით გურიაში მიმდინარე რევოლუციური პროცესებით გამოვლინდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

საარქივო დოკუმენტები:

1. აჭარის საარქივო სამმართველოს (ასს), ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე N139
2. ასს, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე N166

ლიტერატურა:

3. გომართელი, 1906: - გომართელი ი., ეროვნული საკითხი, ტფილისი, 1906.
4. გურული, ვაჩნაძე, 1999: - გურული ვ., ვაჩნაძე მ., ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), „მერიდიანი“, თბილისი, 1999.
5. კარალიძე, 2009: - კარალიძე ჯ., აჭარა 1878-1903 წლებში, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009.
6. კლდიაშვილი, 1961: - კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961.
7. ნინოშვილი, 1954: - ნინოშვილი ე., თბულებათა სრული კრებული, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1954.
8. ჟორდანია, 1920: - ჟორდანია ნ., თბულებანი, ტ. I, ტფილისი, 1920.
9. ჟორდანია A, 1990: - ჟორდანია ნ., რჩეული ნაწერები, „საქართველო“, თბილისი, 1990.
10. ჟორდანია B, 1990: - ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბილისი 1990.
11. ცეკიტარია, 1959: - ცეკიტარია პ., აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890–1919), „სახელგამი“, ბათუმი, 1959.
12. ჯონსი, 2007: - ჯონსი ს., სოციალიზმი ქართულ ფერებში, თბილისი, 2007.
13. Второй Съезд РСДРП, Протоколы, 1959.

პრესა:

14. ბრძოლა, N1, 1901.
15. ივერია, N211, 1905.
16. კვალი, N40, 1893.
17. კვალი, N22, 1894.
18. კვალი, N20, 1895.
19. კვალი, N21, 1895.
20. კვალი, N34, 1895.
21. კვალი, N35, 1895.

22. კვალი, N14, 1896.
23. კვალი, N18, 1896.
24. კვალი, N1, 1898.
25. კვალი, N37, 1901.
26. კვალი, N27, 1903.
27. კომუნისტი, N10 (4812), 1937.
28. მოამბე, N5, 1894.
29. მოამბე, N6, 1894.
30. მოგზაური, N17, 1905.
31. მოგზაური, N21, 1905.
32. საქართველო, N74, 1917.
33. სოციალდემოკრატი, N3, 1905.
34. სოციალდემოკრატი, N4, 1905.
35. ჩვენი ცხოვრება, N9, 1906.
36. ჩვენი ცხოვრება, N13, 1906.
37. ჩვენი ცხოვრება, N14, 1906.

Creation of Cossack Settlements in the Northern Black Sea Region
ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონში კაზაკთა დასახლებების შექმნა

Svitlana Berezhna,
doctor of philosophy, professor,
vice-rector for scientific, innovative and international activities,
Kharkiv National Pedagogical University named after H. S. Skovoroda
Email: [beregnav@gmail.com/](mailto:beregnasv@gmail.com/)
ORCID: 0000-0001-7629-2175

Helen Dyakova
Candidate of Historical Sciences, Associate Professor
Kharkiv National Pedagogical University named after H. S. Skovoroda
e-mail: djakova.elena.hnpu@gmail.com/
ORCID ID: 0000-0001-7767- 0756

Abstract: The space of the modern Northern Black Sea region was formed over several centuries under the influence of various geopolitical, socio-economic, and anthropological factors. The dynamic changes in this region at the present stage, activate interest in the Northern Black Sea region's past and identify patterns in its urban transformation.

After the collapse of the Golden Horde, the Northern Black Sea region in the 14th century became part of the Wild Fields, that is, a territory that seemed to be not inhabited by anyone and did not belong to any state. Nevertheless, life was in full swing on the Wild Fields. People came to this region, freedom-loving, desperate, and simultaneously desperate, adventurers, defeated rebels. It is to such people that the Cossacks belong, who, in addition to the Zaporizhzhia Sich, founded hundreds of farms and winter quarters. Many of these settlements still exist today in a modified form.

This study will help to see in the geographical and historical landscape the general picture of the gradual colonization of the Northern Black Sea region in the 16th–18th centuries, carried out by the Zaporizhzhia Cossacks. At that time, the Cossacks actively explored the middle Dnieper region (as is commonly believed in historiography) and the Northern Black Sea region. Indeed, at the time of the liquidation of the Zaporizhzhia Sich in 1775, there were about 4 thousand farms and winter quarters created by them.

The scientific novelty of the work lies in the fact that for the first time, the geographical features of the laying of winter quarters by the Cossacks were determined. The composition of their population was clarified, the factors

demonstrating the dispersed nature of the habitat of various class, national, and confessional groups of the population of the Northern Black Sea region living in Cossack winter quarters were described; regularities of formation of such properties of urban space as continuity, homogeneity, and orderliness are revealed.

Key words: Northern Black Sea region, wintering place, economic activity, creation of settlements, Cossack

სვიტლანა ბერეჟნა

ფილოსოფიის დოქტორი, ხარკოვის სკოვოროდას ეროვნული
პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი,
პრორექტორი სამეცნიერო, ინოვაციურ და
საერთაშორისო საქმიანობაში,
ელ-ფოსტა: beregnasv@gmail.com
ORCID: 0000-0001-7629-2175

ელენა დიაკოვა

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხარკოვის
სკოვოროდას ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ელ-ფოსტა: djakova.elena.hnpu@gmail.com
ORCID ID: 0000-0001-7767- 0756

აბსტრაქტი: თანამედროვე ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონის სივრცე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა სხვადასხვა გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ანთროპოლოგიური ფაქტორების გავლენით. ამ რეგიონში მიმდინარე ეტაპზე მიმდინარე დინამიური ცვლილებები აძლიერებს ინტერესს ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონის წარსულის მიმართ, ავლენს კანონზომიერებებს მის ურბანულ ტრანსფორმაციაში.

ეს კვლევა გეოგრაფიულ და ისტორიულ ლანდშაფტში დაგვეხმარება XVI-XVIII საუკუნეებში ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონის თანდათანობითი კოლონიზაციის ზოგადი სურათის დანახვას, რომელიც განხორციელდა ზაპოროჟიის კაზაკების მიერ. იმ დროს კაზაკებმა აქტიურად აითვისეს არა მხოლოდ შუა დნეპრის რეგიონი (როგორც ამას ჩვეულებრივ ისტორიოგრაფიაში სჯერათ), არამედ ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონი. ყოველივე ამის შემდეგ, 1775 წელს ზაპორიჟია სიჩის ლიკვიდაციის დროს მათ მიერ შექმნილი დაახლოებით 4000 ფერმა და ზამთრის კვარტალი იყო.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონი, გამოზამთრების ადგილი, ეკონომიკური საქმიანობა, კაზაკები

Introduction: The space of the modern Northern Black Sea region has been forming for several centuries under the influence of various geopolitical, socioeconomic, and anthropological factors. Dynamic changes in this region at the present stage activate the interest in the Northern Black Sea region's past and identify patterns in its urbanistic transformation.

The purpose of this publication is to define the types of Cossack settlements in the Northern Black Sea region and the Azov Sea region and the time of their existence. The following tasks are subordinated to the goal: to clarify the preconditions for the appearance of settlements; to define their types; to outline their location in geographical space; and to analyze the social composition of the inhabitants.

The scientific novelty of the work lies in the fact that for the first time, the patterns of forming such properties of the urban space as continuity, homogeneity, and orderliness have been defined.

Methods: The study used traditional methods for historical research, such as the method of analyzing historical sources, descriptive, analytical and others.

Discussion/Results: The purpose of this publication is to define the types of Cossack settlements in the Northern Black Sea region and the Azov Sea region and the time of their existence. The following tasks are subordinated to the goal: to clarify the preconditions for the appearance of settlements; to define their types; to outline their location in geographical space; and to analyze the social composition of the inhabitants.

The scientific novelty of the work lies in the fact that for the first time, the patterns of forming such properties of the urban space as continuity, homogeneity, and orderliness have been defined.

The creation of settlements by the Cossacks has interested historians and local historians since the 19th century. The scientific contribution to this problem can be divided into two categories. The first category includes studies devoted to one of the types of settlements, namely winter quarters, and the second category includes publications covering this topic superficially, in the context of the general history of the Cossacks.

The creation of settlements by the Cossacks has interested historians and local historians since the 19th century. The scientific contribution to this problem can be divided into two categories. The first category includes studies devoted to one of the types of settlements, namely winter quarters, and the second category includes

publications covering this topic superficially, in the context of the general history of the Cossacks.

One of the first to talk about Cossack settlements was Apollon Skalkovskyi. In his publications, the researcher covered the history of the existence of Cossack settlements. In the first part of his work "Chronological review of the history of the Novorossiysk Territory: 1731–18 23", he mentioned winter quarters (zymivnyky) and slobodas where family Cossack atamans and farmers lived (Skalkovsky, 1836: 7). In his more thorough book "History of the Nova Sich", in the VII chapter entitled "Public Economy, Revenues and Duties of the Zaporizhian Host", information is collected about the location of Cossack settlements by "palankas", the economic activity of their inhabitants (Skalkovsky, 1846: 221-259). Analyzing the experience of the statistical description of the Novorosiiia region, the historian also mentioned Cossack settlements (Skalkovsky, 1853: 10 etc.).

Among the books of the pre-revolutionary period, directly dedicated to winter quarters, the work of Vasyl Bidnov (written under the pseudonym V. Stepovyi) should be singled out. It was this researcher who first singled out the winter quarters as a separate object of research and defined the role of Cossack settlements in the socio-economic history of the Zaporizhian Sich (Bidnov, 1916).

One of the most authoritative researchers of Cossack history is considered to be Dmytro Yavornytsky (Yavornytskyi, 1993). Studying various aspects of the Cossack past, the historian paid attention to the economic activity of the Cossacks. D. Yavornytskyi believed that Cossack settlements were farms and winter quarters, where family Cossacks were engaged in crafts and agriculture (Yavornytskyi, 1993: 251). Another historian, Dmytro Bahalii, supported him. At the same time, D. Bahalii recognized that the Cossacks, alongside military goals, set themselves the task of colonizing the Wild Fields, which the Cossacks considered to be a deserted region (Bagaley, 1889: 25).

In the Soviet era, the history of the Cossacks was mostly covered in general terms. Economic and ethnographic aspects were studied superficially, which led to the study of the creation of settlements and their economic status. Regarding the topic we are researching, there are publications from the 1920s and 1930s (Kirichenko, 1931; Slabchenko, 1923). Mikhail Kirichenko noted that the Cossacks settled on new, unoccupied lands "as primo occupanti, often without any permits and even without the knowledge of the Zaporizhian government" (Kirichenko, 1931: 61). Such resettlement also created new settlements. By the way, his colleague Mikhail Slabchenko, analyzing the economy of the Hetmanate (Left-Bank Ukraine), believed that *occupantio* and *labor* determined the entire policy of not only the Cossacks but also of the entire Ukrainian people" (Slabchenko, 1923: 46).

In the Soviet era, Elena Apanovich and Volodymyr Holobutsky were considered the most prominent experts on Cossack history. In their works, these scholars also examined the colonization processes of the Cossacks, and their creation of estates on new, unoccupied lands (Apanovich, 1999; Golobutsky, 1956).

After the proclamation of Ukraine's independence, the history of the Cossacks took one of the central places in Ukrainian historiography.

A significant number of scholars, and local historians, especially from Dnipro, Zaporizhian, Kherson, and Mykolaiv, are engaged in research on various aspects of the history of the Cossacks. Among them, the works of Anatoliy Boyko, Oleksandr Oliynyk, and Vasyl Pirko should be noted (Boyko, 2009; Oliynyk, 2005; Pirko, 2003; Pirko, 2004). A. Boyko and his student O. Oliynyk directly dealt with the formation of winter quarters, their genesis, and the economic activity of the Cossacks. They thoroughly investigated the colonization directions in steppe Ukraine, the conditions of existence of settlements, their economic development, and socio-cultural significance. V. Pirko focused his attention on the study of the settlement of Donbas, part of which is part of the Azov region.

The existing source base for this topic includes the memoirs of Erich Lasota, Guillaume Levasseur de Beauplan, and Prince Semen Myshetsky (Travel notes of E. Lassotas, 1873; Giyom de Boplan, 1990; Myshetsky, 1852). These people visited the Zaporozhian Sich in the 16th–18th centuries and left memoirs about their stay in the Cossack environment. They also described the Cossacks' housing, everyday life, and traditions. These documents formed the basis for further scientific research on the history of Ukraine and the Cossacks in particular.

Therefore, the historiographical and source bases indicate the need for further research on Cossack settlements. Moreover, scientists have thoroughly studied winter quarters, touching on other categories of settlements only in passing.

Life in the Northern Black Sea region has been boiling since ancient times. Being part of the area of many trade routes, the Black Sea coast was inhabited by various peoples, replacing each other over many centuries and at the same time leaving a piece of their culture in the studied region.

In the 13th century, the territory of the Northern Black Sea region became part of the Golden Horde. Soon, this country began to disintegrate into separate. In the 15th century, a large territory appeared, which in historiography received the name of the Wild Fields (in Latin "Loca Deserta"). At the beginning of its existence, the Wild Fields covered the steppe spaces from the Caspian to the Black Sea. It was believed that no one inhabited this territory and did not belong to any state. But the government of the Crimean Khanate, proclaiming itself the successor of the

Golden Horde, claimed territorial claims to the Black Sea and Azov lands. But the citizens of neighboring states of the Polish Kingdom, the Grand Duchy of Lithuania, and the Moscow principalities did not care about this. Due to poverty, and economic, social, religious, and cultural oppression, men from these countries fled to the Wild Fields in search of booty and freedom. The historian D. Bahalii called this process "peaceful colonization" (Bagaley, 1889: 2). However, this does not correspond to reality, because there were clashes between the fugitives and the Crimean Tatars, as the scientist himself wrote more than once. His colleague M. Slabchenko spoke of free, uncontrolled peasant colonization (Slabchenko, 1923: 167), with which it is easier to agree. Among the fugitives, many were desperate but freedom-loving, desperate, capable of risk and adventure. Such people were called runaways, industrialists, and later - Cossacks. They came to the Field in the spring, hunted, fished, collected honey from wild bees, and returned home in the fall. That is why they received such a name – runaways. To protect themselves from robbers, they united in gangs.

In Ukraine, there were several categories of Cossacks. The runaways and industrialists laid the foundation for the most respected and courageous Cossacks – the Zaporizhian Cossacks. They were also called Zaporizhians or lower Cossacks. The first official mention of the Zaporizhian Cossacks appears in the "Polish Chronicle" by Martin Belsky in 1489 (Pirko, 2004: 21). This suggests that there were already many Cossacks on the Wild Fields, and they constituted a formidable military force. That means they had their settlements.

To define the housing of the Cossacks, researchers use the following terms: hut, burdock winter quarters, village, and later, from the 18th century, slobods (Oliynyk, 2005: 56, 88).

The word "burdiuh" (burdock) has Tatar origins and means a tarred turned-out animal skin for use as a container for liquid. However, the Cossacks called their dwelling that way - a semi-dugout. In a dug-out, four walls of brushwood were placed and earth was piled around. The top of the building was covered with reeds. The burdock was plastered with clay. The interior decoration was minimal – a stove for cooking food, a table, and a bench. Icons were an obligatory attribute (Yavornytskyi, 1990: 252).

The term "shalash" (hut) also has Turkic origins and is translated as a tent. Such dwellings were built in the summer. After all, this is the simplest light shelter, for the construction of which only sticks, branches, and stones are needed, and for covering – grass, turf, the bark of trees, and skins of animals. Huts were mainly built for fishing (Yavornytskyi, 1990: 81).

According to Oleksandr Oliynyk, settlements that were not subordinate to the

Zaporozhian Sich but were located within its borders were called huts (Oliynyk, 2005: 95). The settlements of the Cossacks were called winter quarters. Winter quarters are a type of hut and at the same time a certain modification of a house. The name itself shows that they were built to winter in the steppe. Dmytro Yavornytsky noted that the Cossacks build "first burdocks, then winter quarters and, finally, villages of family and non-family Zaporozhians" (Yavornytskyi, 1990: 59). Thus, the winter quarters were more capital-intensive than the burdocks.

Oliynyk believes that the basic centers of the bands of runaways, and later of the Cossacks, were the koshes, "where in the winter part of the band or artel of industrialists stayed at the head of their elected leader-father" (Oliynyk, 2005: 7) to protect the equipment. The term "*kosh*" also has Turkic origins and means state, camp (Oliynyk, 2005: 40).

Therefore, it can be seen that the first settlements were primitive and were designed as temporary shelters. The Crimean Tatars had a certain influence on the everyday life of industrialists and Cossacks, as seen from the lexicon that has survived to our time. The significant migration to the Wild Fields led to the emergence of the Cossacks as a separate estate and the creation of already stationary settlements by them.

The first information about the existence of Cossack settlements is found in the August 20, 1576, royal charter of the Polish king Stefan Batoriiia. Here, among other things, it is said: "From the Samara lands through the steppe to the Don itself, where even before the hetman Predslav Liantskoronskyi the Zaporizhian Cossacks had their winter quarters, and all that should remain forever with the Zaporizhian Cossacks..." (quoted from Oliynyk, 2005: 41). It is known that Predslav Liantskoronskyidied in 1531, and he made his first campaign against the Tatars in 1518. This means that the Zaporizhians had their winter quarters even before Lanckoroński's hetmanship, already in the 15th century.

Mykhailo Hrushevsky presented an interesting concept of the origin of the Cossacks in his book "Essays on the History of the Ukrainian People". He believed that the industrialists on the Wild Fields united into armed detachments at first to protect themselves from Tatar attacks. Gradually, the defense turned into an offensive, that is, the Cossacks themselves began to attack the Tatars (and not only them, but also merchants and in general any travelers). Among the industrialists, who by the end of the 15th century were already called Cossacks, some wanted to fight, not work. And so the men who were engaged in crafts hired such warriors to protect their property. Over time, these warriors united into a single army and formed the Zaporozhian Sich. Thus, according to M. Hrushevsky, the Cossacks arose (Hrushevskyi, 1990: 153-155).

According to the scientists, in the 15th century, there was a differentiation of runaways into Sich Cossacks, that is, those who were eager for military affairs, and Cossacks-nestlings (in Ukrainian "sydni"), who lived in winter quarters or villages and were engaged in farming.

The term "hnizdiuk" is derived from the word "nest". It is used in the phrase "to build a nest", one of the interpretations of which is "to arrange a family life, to improve your home." The word "sit" is to be in one place, not going to other lands. Thus, it was believed that the nestlings were mainly engaged in farming, but in case of need, they went on a campaign with the Zaporizhians.

At the turn of the 15th–16th centuries, crafts became an additional occupation of the Cossacks. Agriculture and cattle breeding come to the fore. And because of this, the area of the winter quarters significantly increases, because two or three owners lived here. So, there were already two or three houses with outbuildings: barns, stables, cellars, winter rooms for bees, etc. (Yavornytskyi, 199: 250). That is, temporary shelters from bad weather were replaced by large estates, where the inhabitants settled down thoroughly. Therefore, the houses were built comfortable and cozy. Unlike the Sich, where women were forbidden to stay, Cossack families lived in these settlements. To manage the economy, the Cossack government allocated people. Among the assistants could be both Zaporizhians and prisoners.

From this time, the main task of the nestlings was to supply food to the Sich people. In addition to economic activity, Cossack settlements had the functions of a modern hostel and dining room, where residents collected information, and important data was transmitted to the Sich. And in addition, the winter quarters remained a stronghold of the colonization of the southern territories.

As for the location of Cossack settlements, they were founded in special cities. A place was chosen to construct a winter quarter near a river, at the mouth of an adjacent ravine, or on a large island. This was due to the need for water for survival, farming, and shelter from bad weather. No less important was protection from enemy attacks. Therefore, many settlements were located on the coast of the Dnipro, Dniester, Don, and their tributaries. The Cossacks gradually settled in the southern regions: first in the area of modern central Ukraine, in the Donbas, and already in the 16th centenary they mastered the Black Sea and Azov (Pirko, 2003: 144).

After the establishment of the Nova Sich in 1734, the number of winter quarters increased significantly. They were divided among eight palankas. Most of them covered the territory between the Bug and Dniester rivers. Winter quarters were mainly located on the right bank of the Dnipro (Bagaley, 1889: 24-26).

As for the ownership of winter quarters and farms, it could be different. Any Cossack could set up a winter quarters or a farm. But over time, more and more settlements were created by wealthy Cossacks, Cossack officers, and hetmans, not only Zaporizhian but also Left-Bank and Sloboda, who settled in other regions of Ukraine. This is especially evident during the 18th century, after the establishment of the Nova Sich.

In general, from the very beginning of the formation of the Cossacks, its social peculiarity was diversity. Among the Cossacks were impoverished peasants, townspeople, wealthy people, and even nobles. It is worth mentioning only the founder of the Zaporizhian Sich, Dmytro Vyshnevetskyi, who had large landholdings in the Grand Duchy of Lithuania. There were many descendants of nobles among the atamans and representatives of the Cossack officers, who had good family fortunes but considered it necessary for themselves to be Cossacks. As is known, the Cossack elite also received large incomes during successful military campaigns. After the victory, they received trophies and monetary rewards from monarchs. Therefore, they had the opportunity to engage in entrepreneurship and establish winter quarters, and farms for farming. In these settlements, the Cossack elite settled family Cossacks or singles who for some reason could not fight.

In the 18th century, the Russian Empire actively fought against the Ottoman Empire and the Crimean Khanate for the Black Sea and Azov lands. Capturing these territories, the tsarist government actively built cities and fortresses here. For this, land was allocated to settlers from other empire regions and even Western European countries. And this led to the reduction of Cossack allotments.

The historiography has not yet determined the number of Cossack settlements. At one time, understanding the final elimination of the danger from the Turks and Tatars, who ravaged the border regions of neighboring states for centuries, the Russian Empire government decided to destroy the Zaporizhian Sich. For this, agents were sent to its territory under the guise of conducting fortification works. But these agents were also supposed to count the number of winter quarters and people living there. The numbers varied greatly. Thus, Prince S. Myshetskyi counted 4,000 winter quarters (Myshetskyi, 1852: 83), A. Skalkovsky, based on official reports, counted only 431 winter quarters in 4 palankas (Skalkovsky, 1846: 153). Modern historian A. Boyko, using a large source base, counted 5,767 Cossack settlements. And even he considers this figure incomplete (Boyko, 2009: 126). Therefore, this question remains unresolved.

However, no matter how many Cossack settlements there were after the liquidation of the Zaporizhian Sich in 1775, they were reorganized into villages, slobodas, and hamlets. According to A. Boyko, the villagers left their homesteads

because they could not pay the land tax. "In fact, by destroying the Zaporizhian winter quarters, the government itself turned Southern Ukraine into a "Wild Fields", to then spend huge sums of money to populate it", the historian summarizes (Boyko, 2009: 129). However, this does not correspond to reality. After immediately joining the Northern Black Sea region, the Russian Empire government began to develop cities, villages, and slobodas. Most of the new settlements were founded on the sites of Cossack's winter quarters. After all, their location corresponded to all the canons of urban planning of that time. Therefore, many winter quarters became part of the newly created settlements. It is known that such large cities as Yelysavethrad (now – Kropyvnytskyi), Katerynoslav (now – Dnipro), Mykolaiv, Oleksandriya (now – Zaporizhzhia), Kherson were built on the site of Cossack settlements. Mariupol, Velyka Lepetikha, Makiivka, and other cities of Donbas, the Northern Black Sea region, and the Azov Sea also "grew" from winter quarters. The list of modern villages is counted in thousands.

Thus, studying the history of Cossack settlements on the Northern black sea coast, we concluded that they existed from the 15th to the 18th centuries. Having emerged as temporary wintering places for industrialists, the settlements eventually became a critical economic and military-strategic factor in the history of both the Zaporizhian Cossacks and the general history of Ukraine. At the end of the 18th century, they turned out to be a significant factor in the organization of urban planning in the Northern Black Sea region.

References:

1. **Apanovych, 1999:** – Apanovych O. The Lord follows the plough: Ukrainian agriculture. peasantry and Cossacks in the context of the ideas of Serhiy Podolinskyi and Volodymyr Vernadskyi. – URL: https://chtyvo.org.ua/authors/Apanovych/Hospod_za_pluhom_ide/ (date of application 30.11.2023).
2. **Bagaley, 1889:** – Bagaley D. I., "Colonization of the Novorossiysk region and its first steps along the path of culture. Historical sketch", Type. G.T. Korczak-Novitsky, Kyiv, 1889.
3. **Bidnov, 1916:** – Stepovy V. (Vasyl Bidnov), Zaporozhskiy zimovnyk: (historical information)", printing house K.A. Andrushchenko, Katerynoslav, 1916.
4. **Boyko, 2009:** – Boyko Anatoliy, "The Zaporozhian winterer in the last quarter of the 18th century", - Collection: "Scientific works of the historical faculty of the Zaporozhye National University", XXVI, Ed. Zaporizhzhia National University, Zaporizhzhia, 2009, p. 126-129.
5. **Giyom de Boplan, 1990:** – Beauplan, Guillaume Levasseur de, "Description of

- Ukraine", translated from French, notes and foreword by Kravets Yarema. Kind. "Kamenyar", Lviv, 1990.
6. **Travel notes of Erich Lassota, 1873:** – Brun Philip, “Travel notes of Erich Lassota, sent by the Roman Emperor Rudolf II to the Cossacks in 1594.” Printing house P.P. Merkulyev, St. Petersburg, 1873.
 7. **Golobutsky, 1956:** – Golobutsky Vladimir, “Black Sea Cossacks”, Publishing House of the Academy of Sciences of the Ukrainian SSR, Kyiv, 1956.
 8. **Grushevskiy, 1990:** – Grushevsky Mikhail, “Essay on the history of the Ukrainian people”, Publishing House “Lybid”, Kyiv, 1990.
 9. **Kirichenko, 1931:** – Kyrychenko Mykhailo, "Social and political system of Zaporizhzhia (XVIII century)". "Proletar" Publishing House, Kharkiv; Dnipropetrovsk, 1931.
 10. **Myshetsky, 1852:** – Myshetsky Semyon, “The story of the Zaporozhye Cossacks, how they began long ago, and where they came from, and in what condition they are now, composed by the engineering team.” Odessa, 1852 – URL: <http://litopys.org.ua/samovyd/sam11a.htm> (date of publication 11/30/2023)
 11. **Oliynyk, 2005:** – Oleksandr Oliynyk, "The Zaporozhian Winter Book of the Times of Nova Sich (1743-1775)", "Dyke Pole" Publishing House, Zaporizhzhia, 2005.
 12. **Pirko, 2004:** – Vasyl Pirko, "Settlement and Economic Development of Steppe Ukraine in the XVI-XVIII Centuries." kind. "Eastern Publishing House", Donetsk, 2004.; Пірко, 2004.
 13. **Prydniprovyia, 2014:** – "Prydniprovyia: historical and local studies: a collection of scientific works", edited by Svitlenko Serhiy, 12, ed. "Lira" Dnipropetrovsk, 2014.
 14. **Skalkovsky, 1836:** – Skalkovsky Apollo, “Chronological review of the history of the Novorossiysk region 1731-1823”: [in 2 hours], part I. from 1731 to 1796. City printing house, Odessa, 1836.
 15. **Skalkovsky, 1846:** – Skalkovsky Apollo, “History of the New Sich, or the last Kosh of Zaporozhye.” Printed at the City Printing House, Odessa, 1846.
 16. **Skalkovsky, 1853:** – Skalkovsky Apollo, “Experience of a statistical description of the Novorossiysk region”: [in 2 hours], part 2: “Economic statistics of the Novorossiysk region”, printing house of L. Nitsche, Odessa, 1853.
 17. **Slabchenko, 1923:** – Slabchenko Mikhailo, “Dominion of the Hetmanate of the 17th–18th centuries. T. 1. Land Volodinia and Forms of Rural Dominion.” Derzhavne Vydavnistvo of Ukraine, Kharkiv, 1923.
 18. **Yavornitskiy, 1990:** – Yavornitsky Dmitry “History of the Zaporozian Cossacks”: [in 3 volumes], vol. 1, Naukova Dumka, Kiev, 1993.

The First Tea Factories in Georgia

ჩაის პირველი ფაბრიკები საქართველოში

Otar Turmanidze

PhD in History,

Chief scientific researcher at the Department of

History and Archaeology of

Niko Bardzenishvili Institute of

Batumi Shota Rustaveli State University,

e-mail: otar.turmanidze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-0482-2404>

Abstract: Tea farming and tea industry in Georgia is a non-traditional branch of economy. Its development began in the 80s of the 19th century and continued until the end of the Soviet regime. It has become the leading branch of Georgian economy. The first tea factories in Georgia were organized before the Soviet Union. Their construction was due to the introduction and spread of tea culture, the increase in the production of raw materials.

Along with private entrepreneurs, the Russian government was also interested in the development of tea-brewing and tea industry. The initiators of this case were Solovyov, Popov, Nakashidze, the Royal Office and others. They planted tea plantations, built the first tea factories. Solovtsov built the first tea processing plant in Buknar village of Chakvi valley. The Popov tea factory was located in Salibauri, which was commissioned in 1898. Chakvi royal manor tea factory was put into operation in 1899.

In the following years, Sinitsin, Verderevski, Diadyusha, Nakashidze tea factories, treasury factory in Zvana village of Ozurgeti Mazri were added to them. Thus, 8 tea factories were working in Georgia before the First World War. 6 of them were in Adjara, and 2 in Guria. After the establishment of the Soviet government, tea factories were nationalized. Small tea factories were closed, and medium and large factories were declared state property.

Key words: tea plantation, tea factory, entrepreneurs, costs, hired workers.

ოთარ თურმანიძე

ისტორიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,

აბსტრაქტი: საქართველოში ჩაის მეურნეობა და ჩაის მრეწველობა ეკონომიკის არატრადიციულ დარგს წარმოადგენდა. მისი განვითარება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება და საბჭოთა ხელისუფლების დასასრულამდე გაგრძელდა. იგი საქართველოს ეკონომიკის წამყვან დარგად იქცა. საქართველოში ჩაის პირველი ფაბრიკები გასაბჭოებამდე მოეწყო. მათი მშენებლობა განპირობებული იყო ჩაის კულტურის დანერგვა-გავრცელებით, ნედლეულის წარმოების გადიდებით.

მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის განვითარებით კერძო მეწარმეებთან ერთად, რუსეთის ხელისუფლებაც დაინტერესდა. ამ საქმის დამწყებნი იყვნენ სოლოვცოვი, პოპოვი, ნაკაშიძე, (სახელთა ინიციალები მაინც დავწეროთ) რუსეთის საუფლისწულო უწყება და სხვები. მათ გააშენეს ჩაის პლანტაციები, ააგეს ჩაის პირველი ფაბრიკები. ჩაის გადამამუშავებელი პირველი საწარმო სოლოვცოვმა ააგო ჩაქვის ხეობის სოფელ ბუკნარში. პოპოვის ჩაის ფაბრიკა სალიბაურში მდებარეობდა, რომელიც ექსპლოატაციაში 1898 წელს შევიდა. ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკა 1899 წელს ამოქმედდა.

მომდევნო წლებში მათ შეემატა სინიცინის, ვერდერევსკის, დიადიუშას, ნაკაშიძის (აქაც ისევე) ჩაის ფაბრიკები, სახაზინო ფაბრიკა ოზურგეთის მაზრის სოფელ ზვანაში. ამრიგად, საქართველოში პირველი მსოფლიო ომის წინ ჩაის 8 ფაბრიკა მუშაობდა. მათგან 6 იყო აჭარაში, ხოლო 2 გურიაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაის ფაბრიკების ნაციონალიზაცია განხორციელდა. ჩაის წვრილი საწარმოები დაიხურა, ხოლო საშუალო და მსხვილი ფაბრიკები სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა.

საკვანძო სიტყვები: ჩაის პლანტაცია, ჩაის ფაბრიკა, მეწარმეები, დანახარჯები, დაქირავებული მუშები.

შესავალი. საქართველოში ჩაის კულტურას და მრეწველობას საფუძველი ჩაეყარა XIX სა-უკუნის 80-90-იან წლებში. ამ დარგის განვითარებით დაინტერესდნენ უცხოელები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კაპიტალი დააბანდეს მასში. ამის შედეგად დარგმა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მართალია, მოგებას უცხოელი მეწარმეები იღებდნენ, მაგრამ ამ ახალი დარგის განვითარების შედეგად გაჩნდა სამუშაო ადგილები, მოსახლეობის ნაწილს ფულადი

შემოსავლის წყაროები გაუჩნდა. მძიმე სამუშაო პირობების მიუხედავად, ამ მხარეს საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოში ჩაის კულტურა და მრეწველობა ძირითადად განვითარდა აჭარაში, გურიაში და სამეგრელოში. წამყვანი იყო აჭარა. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის საქართველოში ჩაის ფოთლის გადამამუშავების 8 ფაბრიკა მუშაობდა. მათგან 6 იყო აჭარაში, ხოლო 2 – გურიაში. მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ მოსახლეობამ შეისწავლა ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი ფაბრიკების მანქანების მექანიზმი და მისი წარმოების წესები. ამ პარამეტრებითაც ჩაის ფაბრიკების ისტორიის შესწავლა აქტუალურია. ეს არის ცოდნა და გამოცდილება, რომელთა პრაქტიკული გამოყენება ყოველთვის აქტუალურია. სამწუხაროდ, ამჟამად ჩაის ფაბრიკები განა-დგურებულია. მისი აღდგენა და განვითარება სამომავლოდ დიდად წაადგება საქართველოს ეკონომიკას.

წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. ჩაის პირველი ფაბრიკები საქართველოში ქრონოლოგიურად მოიცავს XIX საუკუნის 80-90-იან წლებს და 1921 წლამდე პერიოდს. ამ თემის შესახებ პირველწყაროები ძირითადად დაცულია პეტერბურგისა და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივებში, იმ დროინდელ პერიოდიკაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პეტერბურგის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის საუფლისწულო უწყებისა და ფინანსთა სამინისტროს ფონდები (515, 22), საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის სააქციზო უწყების მასალები (ფონდი 370) და სხვა. ამ ფონდებში არის დაცული მასალები საქართველოში ჩაის ფაბრიკების მშენებლობისა და განვითარების შესახებ.

ჩაის პირველი ფაბრიკები საქართველოში არაერთმა ავტორმა განიხილა. მათგან აღსანიშნავია ი. კლინგენი, ვ. ლიუბოშენკო, ვ. ბაბილოძე, ა. ბაჯელიძე, შ. ჯაფარიძე, ო. თურმანიძე და სხვები. მაგრამ საკითხი სრულყოფილად შესწავლილი არ არის. ჩვენი ნაშრომის მეშვეობით სამეცნიერო სფეროში შემოვიდა ახალი მასალები. ამასთან, თემა დაწერილია ახალი ხედვითა და მიდგომით, დაკავშირებულია თანამედროვე მდგომარეობასთან.

მეთოდოლოგია. ნაშრომი დაწერილია მეცნიერებაში აპრობირებული მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო პრინციპების – ისტორიზმისა და ლოგიკურობის საფუძველზე. ამ პრინციპების მიხედვით შერჩეული და დალაგებულია საკითხები. ამასთან, ნაშრომში გამოყენებული ანალიზისა და სინთეზის, შედარების, შეჯერების, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

დისკუსია/შედეგები: ჩაის კულტურა და ჩაის მრეწველობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო და XX საუკუნის 50-80-იან წლებში მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. იგი საქართველოში ვითარდება XIX საუკუნის 80-

იანი წლებიდან და ახალი აღმავლობა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1985 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში აწარმოებდნენ 620,8 ათას ტონა ჩაის ფოთოლს. მათგან საქართველოში – 581,1 ათას ტონას, აზერბაიჯანში – 31,7 ათას, ხოლო რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარეში – 8,0 ათას ტონას (HX, 1987:244). ჩაის ფოთლის გადამუშავება საქართველოში ადგილზე ხდებოდა. XX საუკუნის 80-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში 100 ჩაის ფაბრიკა მუშაობდა. მათგან საქართველოში – 97, აზერბაიჯანში – 2 (ლენქორანი და შემახია), კრასნოდარის მხარეში – 1. აქ ჩაის ძირითადი მწარმოებელი საქართველო იყო.

XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში აწარმოებდნენ 68,1 ათასი ტონიდან 117 ათას ტონამდე ჩაის პროდუქციას (HXI, 1987:103), რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობას 75-78%-ით აკმაყოფილებდა. ჩაის კულტურა და ჩაის მრეწველობა განვითარებული იყო დასავლეთ საქართველოში. გამორჩეული იყო ოზურგეთის საკრებულო, სადაც XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში 100 ათას ტონამდე ჩაის ფოთოლს კრეფდნენ. ამ მოსავლის გადამუშავებისათვის 20-მდე ჩაის ფაბრიკა მუშაობდა. რაც შეეხება აჭარას, ამ რეგიონში 1985 წელს აწარმოეს 73,3 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რაც ყველაზე მაღალი მოსავალია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს (HXA, 1987:127). ამ დროისათვის აჭარაში 6 ჩაის ფაბრიკა მუშაობდა (ხუთი-პირველადი გადამუშავების, ხოლო ერთი – დამფასოებელი). მიკროფაბრიკები მოეწყო ზოგიერთ მეურნეობასთან.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეკონომიკისადმი, კო-ნკრეტულად ჩაის დარგისადმი პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. ახალი სახელმწიფო ხელისუფლების, კერძოდ კი, ქვეყნის სათავეში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად მოსული, საქართველოს გამწვანებელი ედ. შევარდნაძის არაგონივრული პოლიტიკის შედეგად მოსპეს ჩაის მეურნეობა და მისი მრეწველობა: ამოძირკვეს ბუჩქები, დაანგრეს ფაბრიკები, ჯართად გყიდეს მანქანა-დანადგარები, დაითხოვეს და გადააგვარეს სპეციალისტთა კადრები. მართალია, საბჭოთა რეჟიმის დროს წარმოების საშუალებათა საკუთრებისა და მართვის ფორ-მები მანკიერი იყო. ამიტომ ახალი ხელისუფლება, თავისი პროგრამის მიხედვით, ვალდებული იყო შეემუშავებინა რაციონალური ეკონომიკური, პოლიტიკა, რის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა არსებული საწარმოების, მათ შორის ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის არა მარტო შენარჩუნება, არამედ განვითარებაც, ამ დარგის საწარმოების – მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, არსებული ბაზრების გარდა ახლის გამოძებნა. მაგრამ აღნიშნულმა ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა, რაც ძვირად დაუჯდა ქვეყანას.

ამჟამად საქართველოს შიდა ბაზარი მარაგდება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი ჩაის პროდუქციით. საქართველოს მოქალაქეები

იძულებული არიან თურქეთში გადავიდნენ და ჩაის პლანტაციებში გროშებზე იმუშაონ. არადა საქართველოში ჩაის მეურნეობასა და მრეწველობაში ათასობით ადამიანი იყო დასაქმებული.

ჩაის კულტურის გაშენება-განვითარება, ჩაის მრეწველობის შექმნა არაერთი თაობის შრომის შედეგია. ძალზე მნიშვნელოვანია ამ დარგის შექმნა-განვითარების პირველი თაობის დამსახურება. მათ შრომის შედეგად საქართველოში შეიქმნა ჩაის პლანტაციები, გადამამუშავებელი ფაბრიკები. მეჩაიეობის განვითარებით დაინტერესებულ ადამიანებს ცარიზმის მთავრობაც კი ეხმარებოდა. ასეთი დაინტერესება იმით იყო განპირობებული, რომ, ჩაის მწარმოებელ ქვეყნებთან ერთად, მასზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა ევროპასა და ამერიკას შტატებში. ჩაი შეი-ცავს ისეთ სამკურნალო ნივთიერებებს, როგორცაა ალკალოიდი, კოფეინი, ტანიინი და სხვა. XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე, ერთ ადამიანზე გათვლით, ჩაის მოხმარებით პირველი ადგილი ეკავა დიდ ბრიტანეთს, მეორე – ამერიკის შეერთებულ შტატებს, მესამე – რუსეთს, მეოთხე გერმანიას და ა. შ. (Людименко., 1919:42).

ჩაის ნაწარმი ამ ქვეყნებში ჩინეთიდან, ინდოეთიდან და ცეილონიდან შეჰქონდათ და მისი რეალიზაციით კომერსანტები დიდ ფულად შემოსავალს იღებდნენ. მაგალითად, 1902-1912 წლებში რუსეთში შეჰქონდათ 47,2 მლნ რუბლიდან 77,4 მლნ რუბლამდე ჩაის პროდუქცია (Овтреар, 1913:22). ჩაის პროდუქციის იმპორტისა და რეალიზაციისათვის 20 ფირმა მუშაობდა. მათგან აღსანიშნავია გუბკინასა და ვისოცკის ფირმები. 1904-1915 წლებში გუბკინა-კუხნეცოვის ჩაის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის ფულადი შემოსავალი 2 415 ათასი რუბლიდან 3 348 ათას რუბლამდე აღწევდა, ვისოცკის ამხანაგობის – 482 ათასი რუბლიდან 2 511 ათას რუბლამდე (პცსსა, ფ. 32, ან. 1, ს. 365, ფურც. 91). ჩაის პროდუქციის ვაჭრობით მნიშვნელოვანი მოგება ჰქონდა კ. პოპოვს, რომელმაც აჭარაში მეჩაიეობის თავისი მეურნეობა მოაწყო.

მაღალი ფინანსური შემოსავლების გამო ცარიზმის მთავრობამ განიზრახა ჩაის პროდუქციის ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიზაცია მოეხდინა. ამისათვის პროექტიც შეადგინეს, რომელიც 1915 წელს გამოქვეყნდა (МЧТСПВРГМ, 1915) მაგრამ ჩაის სავაჭრო ფირმების წინააღმდეგობის გამო პროექტი ვეღარ განხორციელდა.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში რუსეთში ჩამოყალიბდა შეხედულება მეჩაიეობის საკუთარი წარმოების განვითარების შესახებ. მეცნიერებმა ვოეკოვმა, ბუტლეროვმა, ზეიდლიცმა, ტიხომიროვმა, ზემლერმა, ნოლდენმა და სხვებმა თავიანთ შრომებში დაასკვნეს, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კერძოდ დასავლეთ საქართველოში შესაძლებელი იყო ჩაის კულტურის გაშენება. ამისათვის გამოდგებოდა აქაური ბუნებრივ-კლიმატური პირობები. მეჩაიეობის გაშენება-განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო ბოტანიკოსის ნ. ზეიდლიცის გამოსვლა პეტერბურგის

მებაღეობის საერთაშორისო კონგრესზე 1884 წელს. ნ. ზეიდლიცი ეროვნებით იყო გერმანელი, მუშაობდა კავკასის სტატისტიკის რედაქტორად, ცხოვრობდა ქ. თბილისში. ნ. ზეიდლიცის მოხსენებაში გაანალიზებულია მეცნიერების შრომები და მათ საფუძველზე მოცემულია დასკვნა, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ხელსაყრელია მეჩაიეობის განვითარებისათვის.

ნ. ზეიდლიცს პირველი გამოეხმაურა ა. სოლოვცოვი. იგი იყო რუსეთის არმიის გადამდგარი ინჟინერ-პოლკოვნიკი, ცხოვრობდა თბილისში და დაგროვილი ჰქონდა მნიშვნელოვანი კაპიტალი, რაც შესაძლებლობას აძლევდა კაპიტალისტური წარმოების შექმნისათვის. ჩაის სამრეწველო წარმოება საქართველოში თავდაპირველად აჭარიდან, კერძოდ, ქობულეთიდან დაიწყო. პირველი პლანტაცია ა. სოლოვცოვმა მოაწყო კონტრიშის საპოლიციო უბნის ჩაქვის ხეობაში 1884 წელს. ჩაის პლანტაციას 1893 წელს 2 დესეტინა, 1897 წელს – 55, ხოლო 1899 წელს – 66 დესეტინა ეკავა (თურმანიძე, 2004:141). 1895 წელს ააგო ჩაის პირველი საწარმო, რომელიც ორი ოთახისაგან შედგებოდა. ერთში მიმდინარეობდა ჩაის ფოთლის დაგროვება, მეორეში – გადამუშავება. ჩაის საწარმოს მანქანა-დანადგარები ინგლისიდან შემოიტანა და სპეციალისტებიც მოიწვია. მათ შორის იყო ბისეტა, რომელსაც ინდოეთის ჩაის ფაბრიკებში მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ა. სოლოვცოვის ჩაის საწარმო ფაბრიკად ვერ ჩაითვლება, რადგან მანქანა-დანადგარები მოძრაობაში მოდიოდა არა მექანიკური ძალის, არამედ ხელით გამოყენებით. იგი არც მანუფაქტურა იყო, რადგან შრომის დანაწილებას ადგილი არ ჰქონდა. თავისი არსით ა. სოლოვცოვის ჩაის საწარმო იყო მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია.

ა. სოლოვცოვმა თავის მეურნეობაში წარმოებული ჩაის პოპულარიზაციისათვის მნიშვნელოვანი შრომა გასწია და არაერთი ჯილდო დაიმსახურა. ა. სოლოვცოვი 1897 წლის 31 დეკემბერს (ძვ. სტილით) გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს მეურნეობის მართვა. ჩაის მოსავალი და გადამუშავება ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1897 წელს დაამზადეს 5 ფუთი ჩაის მზა პროდუქცია, 1898 წელს გაორმაგდა, 1899 წელს დაამზადეს 250 ფუთი, 1900 წელს – 950, 1901 წელს – 1400, ხოლო 1902 წელს – 1700 ფუთი. ჯერ კიდევ 1895 წელს ა. სოლოვცოვმა ხელშეკრულება დადო ხარკოველ (უკრაინა) კომერსანტთან ჩაის პროდუქციის გასაღების შესახებ. სანაცვლოდ ველიტჩენკომ სოლოვცოვს სესხად მისცა 63 ათასი რუბლი, რომელსაც დაფარავდა ჩაის პროდუქციის მიწოდებით. ამასთან, სოლოვცოვმა ვალდებულება აიღო, რომ გაზრდიდა ჩაის ფართობსა და მოსავალს (პცსსა, ფ. 22, ან. 2. ს. 1810, ფურც. 6, 11). მაგრამ სოლოვცოვის მემკვიდრეებმა მეურნეობის მართვა ვერ შეძლეს და ბოლოს იგი ჩაქვის საუფლისწულო მამულმა შეისყიდა.

საქართველოში ჩაის პირველი ფაბრიკა 1898 წელს მოსკოველმა კომერსანტმა კონსტანტინე პოპოვმა ააშენა. იგი მსხვილი კომერსანტი იყო, რომელსაც ჩინეთიდან შემოჰქონდა ჩაის პროდუქცია ევროპაში, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ასაღებდა. პოპოვის საკუთრებაში იყო ჩაის გადამწონი ფაბრიკები, მაღაზიები, საწყობები და სხვა. 1913 წელს პოპოვის ფირმის ძირითადი კაპიტალი 1,5 მლნ რუბლს, ხოლო წმინდა მოგება ნახევარ მლნ რუბლს შეადგენდა (პცსსა, ფ. 23, ან. 24, ს. 892, ფურც. 27-64; თურმანიძე., 2004:13). რუსეთში არსებული ჩაის ვაჭრობის ფირმებიდან, მხოლოდ პოპოვი დაინტერესდა ჩაის წარმოების საკუთარი მეურნეობის მოწყობით.

პოპოვმა საქართველოში ჩაის თავისი მეურნეობის მოწყობისათვის სათანადოდ შეისწავლა აღმოსავლეთის სუბტროპიკული ქვეყნების (ჩინეთი, ინდოეთი, ცეილონი, იაპონია, კუნძული იავა) ბუნებრივ-კლიმატური პირობები, წარმოების ფორმები და წესები. ამ მიზნით მან ამ ქვეყნებში 4 ექსპედიცია მოაწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, პრაქტიკოსი სპეციალისტები. 1892 წელს მან ბათუმის ოკრუგის კინტრიშის საპოლიციო უბანში შეიძინა 300 დესეტინა მიწა და შეუდგა ჩაის მეურნეობის მშენებლობას, რომელიც 10 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 300 დესეტინიდან ჩაის კულტურა გააშენა 140 დესეტინაზე (127 დესეტინა პლანტაცია, 13 დესეტინა სანერგე). ჩაის პლანტაციები მოაწყო სამ სოფელში: ჩაქვში სალიბაურსა და კაპრეშუმში. ჩაის მეურნეობის მშენებლობისათვის 1892-1902 წლებში დახარჯა 1 835 ათასი რუბლი. მათ შორის ფაბრიკის მშენებლობაზე – 70 ათასი რუბლი (პცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 148, 151, 152). პოპოვის ჩაის მეურნეობის მშენებლობას ჩინელი ლაო ჯინ ჯაო ხელმძღვანელობდა, რომელიც ჩინეთში ექსპედიციის დროს შეარჩიეს და წამოიყვანეს. ფაბრიკის ექსპლოატაციაში გადაცემამდე ჩაის ფოთოლს საოჯახო წესით ამუშავებდნენ. ფაბრიკამ პირველი პროდუქცია, 350 ფუთის ოდენობით, 1899 წელს დაამზადა. უკვე 1901 წელს დაამზადა 1800, ხოლო 1902 წელს – 2400 ფუთი (პცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 11).

ჩაის ფაბრიკა რკინა-ბეტონის შენობა იყო, რომელიც ორი სართულისაგან შედგებოდა, მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობა ჩინეთიდან შემოიტანა, ხოლო მათი დამონტაჟება და სამუშაოდ გამართვა დიდი ბრიტანეთიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა გააკეთეს. თავდაპირველად ჩაის ფაბრიკა გათვლილი იყო 30 მომუშავეზე, პოპოვის მეურნეობა, მათ შორის ჩაის ფაბრიკა ელექტროენერჯის ბაზაზე მუშაობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პოპოვის ჩაის მეურნეობის ნაციონალიზაცია განხორციელდა. იგი სახელმწიფოს საკუთრება გახდა. ჩაის ფაბრიკა წარმატებით მუშაობდა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პოპოვის ჩაის მეურნეობა გაანადგურეს, ფაბრიკა დაანგრეს, მანქანა-დანადგარები კი

ჯართად გაყიდეს. ამჟამად, პოპოვის ჩაის ფაბრიკა, როგორც სხვა სამრეწველო საწარმოები, ისტორიის კუთვნილებაა.

საქართველოში რიგით მეორე ჩაის ფაბრიკა საუფლისწულო უწყებამ ააშენა. იგი ექსპლოატაციაში 1899 წელს გადაეცა და შეეძლო წლიურად გადაემუშაებინა 75 ათასი გირვანქა ჩაის ფოთოლი (გირვანქა უდრის 450 გრამს). ფაბრიკა რომანოვების საგვარეულოს საკუთრებას შეადგენდა. რუსეთის იმპერიაში რომანოვების საგვარეულოს საკუთრებაში ჰქონდა დიდძალი ქონება, მათ შორის მიწები ყმა-გლეხებით დასახლებული, საწარმოები. ამ ქონებას სპეციალური სამინისტრო მართავდა. კავკასიაში არსებობდა საუფლისწულო მამულების ინსპექტურა, რომელსაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ი. კლინგენი ხელმძღვანელობდა. მისი ხელმძღვანელობით კინტრიშის საპოლიციო უბნის ჩაქვის ხეობაში მოეწყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების შედარებით მსხვილი მეურნეობა. ი. კლინგენმა, სოლოვცოვისა და პოპოვის სამეწარმეო საქმია-ნობის გაცნობის შემდეგ, გულმოდგინედ შეისწავლა ჩაქვის ხეობა და პეტერბურგის საუფლისწულო მამულების მთავარ სამმართველოში მოხსენებითი ბარათი წარადგინა, წინადადებას იძლეოდა ჩაქვში მოეწყოთ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობა.

ი. კლინგენის წინადადებას მხარი დაუჭირეს და დაიწყო მუშაობა. საუფლისწულო უწყებამ ჩაქვის ხეობის სოფლებში შეიძინა სახაზინო მიწები, ნაწილი იყიდა ბეჟანიძეებისაგან. მეურნეობის საერთო ფართობი 16 ათას დესეტინამდე აღწევდა. აქ გააშენეს ჩაის მცენარე და სხვა სუბტროპიკული კულტურები. ძირითადი იყო ჩაის კულტურა, რომლის ფართობი 1895 წელს 8 დესეტინას, 1898 წელს – 50, ხოლო 1899 წელს–70 დესეტინას შეადგენდა. ჩაქვის საუფლისწულო მამულის მშენებლობისათვის 1894-1898 წლებში დაიხარჯა 662 ათასი რუბლი. გარდა ამისა, ჩაის ფაბრიკის მშენებლობისათვის დაიხარჯა 40 ათასი რუბლი. ჩაის პირველი შემოსავალი მოიწიეს 1899 წელს 3950 გირვანქის ოდენობით. გადამუშავების შედეგად დაამზადეს 930 გირვანქა პროდუქცია. 1900 წელს დაამზადეს 5000 გირვანქა, ხოლო 1901 წელს – 24 ათასი გირვანქა (პცსსა, ფ. 515, ან. 91, ს. 164, ფურც. 150, 241, 301, 302; სცსსა, ფ. 13, ან. 12, ს. 576, ფურც. 5, 6; კლინგენი..., 1900:30, 36, 40-42).

ჩაის გაშენების არეალი ფართოვდებოდა. თუ 1899 წელს ჩაის კულტურა გაშენებული იყო აჭარის 6 სოფელში, 1915 წლისათვის სოფლების რაოდენობა 20-მდე გაიზარდა (თურმანიძე, 2004:76-77). 900-იანი წლებიდან მეჩაიეობა ვითარდება გურიასა და სამეგრელოში. გურიაში ჩაის პირველი პლანტაცია მემამულე მიხეილ ნაკაშიძემ მოაწყო ოზურგეთის მაზრის სოფელ ზედოუბანში 2 დესეტინაზე. მომდევნო წლებში ჩაის კულტურის გაშენებას გურიისა და სამეგრელოს გლეხებიც შეუდგნენ. თუ 1909 წელს ჩაის პლანტაციები 5 მეურნეს ჰქონდა, 1915 წლისათვის გურიასა და სამეგრელოში

მეჩაიეობას 243 მეწარმე ეწეოდა. ცხადია, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის ფართობი და მოსავალი. საქართველოში 1905-1910 წლებში ჩაის კულტურის ფართობი 387,5 დესეტინიდან 644,3 დესეტინამდე გაიზარდა. მოსავალი კი 638 985 გირვანქიდან 972 241 გირვანქამდე. ძირითადი მწარმოებელი აჭარა იყო. 1915 წლისათვის საქართველოში ჩაის კულტურის ფართობი 892,4 დესეტინას, ხოლო მოსავალი 1 597 852 გირვანქას შეადგენდა (თურმანიძე, 2004:75,81 სკ., 1923:40; სცსსა, ფ. 370, ან. 1, ს. 989, ფურც. 121).

ჩაის მოსავლის ზრდასთან ერთად ახალი ფაბრიკების მშენებლობა და არსებულის ტექნიკური განახლება მიმდინარეობდა. 1905 წელს გაიხსნა სინიციინისა და ნაკაშიძის ჩაის ფაბრიკები. 1907 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ვერდერევსკის, 1909 წელს – დიადიუმას, 1915 წელს – ზვერევის ფაბრიკები. ჩაის მეურნეობის აღმშენებლობითა და განვითარებით ცარიზმის ხელისუფლებაც დაინტერესებული იყო. იმპერიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ 1913 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ზვანაში ჩაის ახალი ფაბრიკა ააშენა. ამრიგად, საქართველოში 1915 წლისათვის ჩაის 8 ფაბრიკა არსებობდა. თავისი სიმძლავრით აღსანიშნავია ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკა.

შედარებით მძლავრი იყო საუფლისწულო უწყების ჩაქვის ჩაის ფაბრიკა, რომლის ტექნიკური განახლება არაერთხელ განხორციელდა. 1915 წელს ჩაქვის წყალზე ჰიდროელექტროსადგური ააგეს, რომელიც ფაბრიკას უზრუნველყოფდა ელექტროენერგიით. 1911 წლის ცნობით, ფაბრიკაში მუშაობდა 29-დან 81-მდე მუშა-მოსამსახურე, წლიურად საშუალოდ 50 მომუშავე. მუშების დიდი ნაწილი სეზონური და დღიური მუშები იყვნენ. საშტატო განრიგით უვადო მუშა-მოსამსახურე 8 კაცს ითვლიდა (ООПСПКОПАДЗК, 1912:218). ფაბრიკაში თავისი ნედლეულის გარდა გარეშე პლანტატორების ჩაის ფოთლის გადამუშავება ხდებოდა. პლანტატორებისაგან ჩაის ფოთოლს ყიდულობდა 13 კაპიკად, ხოლო მათთვის გადამუშავებასა და შეფუთვაში ახდე-ვინებდა 28 კაპიკს (თურმანიძე, 2004:119).

თავისი სიმძლავრით აღსანიშნავია რუსეთის იმპერიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ჩაის ფაბრიკა, რომელიც ოზურგეთის მაზრის სოფელ ზვანაში მდებარეობდა. ფაბრიკა მომსახურეობას უწევდა გურიისა და სამეგრელოს გლეხებს, რომლებსაც ჩაის წვრილი პლანტაციები ჰქონდათ. 1916 წლის ცნობით, ზვანას ჩაის ფაბრიკაში 50 მუშამოსამსახურე ითვლებოდა (გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916, 4 თებერვალი). პოპოვის ფაბრიკა თავისი სიმძლავრით მესამე ადგილზე გამოდიოდა. საშტატო განრიგით 9 უვადო მუშა-მოსამსახურე მუშაობდა. ჩაის ფოთლის გადამუშავების დროს ფაბრიკაში სამუშაოდ იწვევდნენ სეზონურ მუშებს. ნაკაშიძემ ჩაის ფოთლის გადამუშავება 1906 წლიდან დაიწყო და მოსავლის ზრდასთან ერთად, პროდუქციის გამოშვებაც

იზრდებოდა. სინიციინისა და დიადიუმას ჩაის ფაბრიკები შედარებით ნაკლები სიმძლავრის იყო. თითოეულ მათგანში სამტატო განრიგით ხუთ-ხუთი მუშა-მოსამსახურე აღირიცხა (სცსსა, ფ. 370, ან. 1, სს. 926, 958, 989). საქართველოში 1905 წლიდან მოყოლებული მინიმუმამდე შემცირდა საოჯახო წესით ჩაის ფოთლის გადამუშავება. ამ მიმართულებით ძირითადი დატვირთვა ფაბრიკებზე მოდიოდა. 1906-1915 წლებში საქართველოში ჩაის ფაბრიკებმა დაამზადეს შემდეგი ოდენობის ჩაის პროდუქცია (გირვანქობით, აცსსა, ფ. 370, ან. 1, ს. 926; თურმანიძე..., 2004:79, 82).

წლები	აჭარა	გურია და სამეგრელო	სულ ჯამი
1905	156 346	–	156 346
1906	113 251	872	114 123
1910	239 432	2 480	241 797
1915	389 432	6 896	396 328

გასაბჭოებამდე საქართველოში ჩაის პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი იყო აჭარა. აჭარაში მუშაობდა ჩაის 6 ფაბრიკა. ჩაის ფოთლის გადამუშავება ძირითადად საუფლისწულო უწყების ჩაქვის ფაბრიკაში მიმდინარეობდა. 1915 წელს ამ ფაბრიკამ დაამზადა 321 ათასი გირვანქა ჩაის პროდუქცია – საერთო რაოდენობის 82%. პირველ მსოფლიო ომამდე საქართველოში ხუთი ხარისხის ჩაის პროდუქცია მზადდებოდა: უმაღლესი, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და ე.წ. „ნამცეცი ჩაი“. ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო არმიისათვის (KK, 1916:360).

პირველი მსოფლიო ომის წლებში ჩაის პროდუქციის ხარისხი გაუარესდა. ჩაის პროდუქცია დაიჯავშნა არმიისათვის. ამიტომ მთავარი ამოცანა იყო არა ხარისხი, არამედ რაოდენობა. თუმცა ომის წლებში შესამჩნევად დაქვეითდა ჩაის მოსავალი და, ცხადია, პროდუქციის წარმოებაც, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩაის ფაბრიკების ნაციონალიზაცია განხორციელდა. სახელმწიფოს საკუთრება გახდა საუფლისწულო უწყების, პოპოვის, ნაკაშიძის, ზვანას სახაზინო ფაბრიკები. სინიციინის, დიადიუმას, ვერდებევსკის, ზვერევის ჩაის ფაბრიკები, როგორც წერილი საწარმოები, დაანგრის. საბჭოთა ხელისუფლებამ მეჩაიეობის განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა: კიდევ უფრო დიდი მასშტაბით დაიწყო ჩაის მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მშენებლობა.

ამრიგად, საქართველოში ჩაის კულტურის გაშენება-განვითარება, ჩაის ფაბრიკების მშენებლობა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. შეიქმნა

ეკონომიკის ახალი დარგი, შემენილია საყურადღებო გამოცდილება. მართალია, მეჩაიეობას უცხოელები ეწეოდნენ, მათ დაიტაცეს ქართული მიწები, მუშათა შრომის პირობები ჯოჯოხეთური იყო, მაგრამ მათი შრომა დადებით შეფასებას იმსახურებს. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (ჩაის მეურნეობის განადგურება დანაშაულად უნდა ჩაითვალოს) პროკომუნისტური, ძალადობით მოსული ხელისუფლების მიერ, ჩაის მეურნეობის გეგმაზომიერი განადგურება, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი (ფ.), 370, ანაწერი (ან.) 1, საქმეები (სს.) 926, 958, 989; ფ. 13, ან. ან. 12, ს. 576.

პცსსა-პეტერბურგის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 32, ან. 1, ს. 365; ფ. 22, ან. 2. ს. 1810; ფ. 23, ან. 24, ს. 892; ფ. 515, ან. 91, ს. 164.

სკ – სტატისტიკური კრებული 1909-1921. საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო. ტფილისი, 1923.

თურმანიძე – ოთარ თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.), გამომცემლობა „ალიონი“. ბათუმი, 2004.

გაზ. თ. აზ. – გაზეთი თანამედროვე აზრი, 1916, 4 თებერვალი.

НХА – Народное хозяйство Аджарской АССР, статистический сборник, издательство «Сабчота Аджара». Батуми, 1987.

НХГ – Народное хозяйство Грузинской ССР, статистический ежедневник. издательство «Сабчота сакартвело». Тбилиси, 1987.

КК – Кавказский календарь на 1917 год. Тбилиси, 1916.

НХ СССР – Народного хозяйство СССР за 70 лет, статистический ежегодник. Издательство «Финансы и статистика». Москва, 1987.

Овтреаг – Обзор внешней торговли России по европейской и азиатской границам за 1912 год, часть I. С.-Петербург, 1913.

Мчтспврчм – материалы по чайной торговле в связи с проектом ведения России чайной монополии. Петербург, 1915.

оопспкопадзк – Обзор отраслей промышленности служащих предметов косвенного обложения и положение акцизного деле в Закавказской крае за 1911 год. Тифлис, 1912.

Клинген – И. Клинген, Краткое описание удельного Кавказского подтропической хозяйства в связи результатами удельной экспедиции на дольной Востоке. С.-Петербург, 1900.

Любименко - Любименко В. Н. , Чай и его культура в России. Петербург, 1919.

Analysis of Turkish Media in the Russia-Ukraine War
თურქული მედიის ანალიზი რუსეთ-უკრაინის ომში

Fatma Kamiloglu

PhD in Advertising,
Asst. Prof. at the Department of Public
Relations and Advertising of Istanbul Nişantaşı University,
e-mail: fatmakamiloglu@yahoo.com
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0242-5216>

Indira Phutkaradze

PhD in Political Science and International Relations,
Asst. Prof. at the Department of Political
Science and Public Administration,
Istanbul Nişantaşı University,
e-mail: ia.phutkaradze84@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0242-5216>

Abstract: In general, the influence of the media on the process of shaping the bilateral relations and public perception of the countries is undeniable, which was clearly demonstrated during the First World War. In addition to providing the public with content information such as defamation, propaganda, defamation, murder, fake news and enmity, the media also actively deals with topics such as impartiality, friendship, peace, conflict resolution and mediation, hence it can be said , that the media can create the language of political communication, give events direction and be a party or protect neutrality, a clear example of this is the Russia-Ukraine war that started in February 2022, in which the media is actively involved. It is the media that creates the information background and influences the agenda of the society, which directly or indirectly affects the relations between the countries. Perception and knowledge of events developed in the world is mainly carried out through mass media Media, as an important tool of political processes, becomes especially important when it merges with the political sphere.

If we look at history, we will see that there are periods of upswing and downswing in Russian-Turkish relations. As for Turkey's attitude towards Ukraine, with the declaration of Ukraine's independence in 1991, Turkey chose the path of good neighborly relations and cooperation with Ukraine. In general, Turkey tries to play the role of a mediator in ensuring peace in the region. Accordingly, Turkey, in the current Russia-Ukraine war, offers the parties the role of a mediator in the field of conflict resolution. It must be said that there is a difference of opinion regarding this war in the Turkish society, which is well reflected in the Turkish media. The

media is a powerful mechanism for causing changes in the society, therefore this study aims to reveal the direction of the coverage of the Russian-Ukraine war in the Turkish media, especially in the social media, and how all this affects the relations between the interested countries. Within the scope of the research, the Twitter accounts of the 5 most read newspapers in Turkey were taken as basis. The last year's tweets of these Twitter accounts regarding the Ukraine-Russia War were analyzed. In the analysis, negative and positive attitudes about the war were measured. In the selection of newspapers, the distribution of right and left tendencies as well as the highest reading rate were taken into consideration.

Key words: Russia-Ukraine War, Public diplomacy, Turkish Media, Twitter

ფატმა კამილოღლუ

რეკლამირების დოქტორი,

სტამბოლის ნიშანთაშის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან

ურთიერთობისა და რეკლამის დეპარტამენტის

ასისტენტ-პროფესორი,

ელ-ფოსტა: fatmakamiloglu@yahoo.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0242-5216>

ინდირა ფუტკარაძე

პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,

სტამბოლის ნიშანთაშის უნივერსიტეტის პოლიტიკური

მეცნიერებისა და საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის

ასისტენტ-პროფესორი,

ელ-ფოსტა: ia.phutkaradze84@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0242-5216>

აბსტრაქტი: ზოგადად, მედიის გავლენა ქვეყნების ორმხრივ ურთიერთობებსა და საზოგადოებრივი აღქმის ჩამოყალიბების პროცესზე უდაოა, რაც კარგად გამოჩნდა კიდევ პირველ მსოფლიო ომის პერიოდში. მედია, გარდა იმისა, რომ საზოგადოებას აწვდის ისეთი შინაარსის ინფორმაციას, როგორცაა ცილისწამება, პროპაგანდა, რეპუტაციის შელახვა, მკვლელობა, ცრუ ამბები და მტრობა, ის აქტიურად ეხება ისეთ თემებსაც, როგორცაა მიუკერძოებლობა, მეგობრობა, მშვიდობა, კონფლიქტების გადაწყვეტა და შუამავლობა, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მედიას შეუძლია შექმნას პოლიტიკური კომუნიკაციის ენა, მისცეს მიმართულება მსვლელობას და იყოს მხარე ან დაიცვას ნეიტრალიტეტი, ამის ნათელი მაგალითია 2022 წლის თებერვალში დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომი, რაშიც აქტიურადაა ჩაბმული მედია. სწორედ მედია ქმნის საინფორმაციო ფონს და ახდენს გავლენას საზოგადოების დღის წესრიგზე,

რაც პირდაპირ თუ ირიბად ახდენს გავლენას ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე. მსოფლიოში განვითარებული მოვლენების აღქმა და შემეცნება ძირითადად სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხორციელდება. მედია, როგორც პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ის ერწყმის პოლიტიკურ სფეროს.

თუ გადავხედავთ ისტორიას დავინახავთ, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში არსებობს როგორც აღმასვლის, ასევე დაღმასვლის პერიოდები. რაც შეეხება უკრაინასთან თურქეთის დამოკიდებულებას, 1991 წელს უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, თურქეთმა უკრაინასთან კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გზა აირჩია. ზოგადად, თურქეთი, ცდილობს შეასრულოს შუამავლის როლი რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. შესაბამისად, თურქეთი, მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომში, მხარეებს სთავაზობს შუამავლის როლს კონფლიქტის მოგვარების სფეროში. უნდა ითქვას, რომ თურქეთის საზოგადოებაში ამ ომთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა, რაც კარგად აისახება კიდევ თურქულ მედიაში. მედია არის საზოგადოებაში ცვლილებების გამომწვევი ძლიერი მექანიზმი. აქედან გამომდინარე, ეს კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს თუ რა მიმართულებით ხდება რუსეთ-უკრაინის ომის მსვლელობის გაშუქება თურქულ მედიაში, განსაკუთრებით კი სოციალური მედიაში და ყოველივე ეს როგორ ზემოქმედებს დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე. ამ მიზნით, შერჩეულ იქნა 6 საინფორმაციო არხის Twitter-ის (2023 წლის ივნისი-ივლისი-აგვისტო) პოსტები. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნება „დისკურსული ანალიზის“ მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი, სახალხო დიპლომატია, თურქული მედია, Twitter.

Introduction. Public diplomacy, a Cold War concept, is defined as an area of activity of international relations and communication process management. Media is used as a public diplomacy tool due to its ability to reach interlocutors quickly, easily, and effectively (Baritci, 2023)

All countries that are leaders in the globalizing world benefit from the power of media in the international arena (Ertekin, 2012). Media is the greatest power in conveying the activities of states (Yıldırım, 2015). States especially need international media organizations that will present developments regarding foreign policy to the world public from their own perspectives. Public diplomacy has a significant place in this understanding that states have (Baritci, 2023). Among the

application areas of public diplomacy, media stands out thanks to its power to reach people all over the world and create a certain impact on them (Yıldırım, 2015). Public diplomacy is defined in its broadest sense as “the process by which a government communicates with foreign publics to create an understanding of its nation's ideas and ideals, institutions and culture, as well as national goals and current policies” (Tuch, 1993). Technological developments have one of the biggest shares in the diversification and development of public diplomacy practices over time. In this process, media has emerged as the most important element in countries' ability to tell their own stories to others in the context of public diplomacy (Baritci, 2023).

The media affects many events, from the conversations of people around the world in their daily lives to the activities of senior executives and politicians (Bektaş, 2013). The role played by the media in determining the agenda is "not only bringing certain events and situations to the agenda, but also affecting the order of importance within the agenda itself" (İnceoğlu, 2015). What makes the media so important in terms of public diplomacy is its agenda-setting power. Although states attach great importance to international media organizations in their public diplomacy activities, naturally they cannot always control the flow of information. In other words, when the situation is evaluated from the perspective of public diplomacy, while states tell their own stories to gain legitimacy in the world public opinion, other media organizations continue to tell the stories of others. Therefore, the reflections of the developments in the world in the international media are of great importance (Kavoğlu, 2013).

As for one of the most popular forms of media, the emergence of social media has had a profound impact on political communication, transforming the ways of disseminating political information, forming public opinion, and engaging citizens in political processes. Social media platforms have democratized political communication, allowing individuals to voice their opinions, engage in discussions, and mobilize for collective action (Chadwick, 2017). Social media has revolutionized the distribution of political information and the shaping of the political agenda (Gibson & McAllister, 2017). Moreover, social media platforms are an alternative source of news for many users, facilitating the spread of information. Twitter, for example, provides a platform for collective action that allows citizens to rally around common causes and challenge political authorities (Lotan, 2011).

Turkey has been actively pursuing a peace-oriented policy in public diplomacy and world politics for the last 20 years. This approach, which reflects Atatürk's phrase "Peace at home, peace in the world", focuses on good relations with neighbors and the resolution of conflicts through negotiations. In this context, Turkey actively

undertakes a mediation role and produces peace-oriented solutions by bringing the parties together. Another important actor of public diplomacy and peace studies is the media, along with the states. The power of the media in establishing peace, in its constructive mediating role and in creating effective public support is undeniable.

In the light of this information, this research aims to determine, in the most general sense, whether the peace-oriented mediation approach of Turkish public diplomacy is seen in the Turkish media. The approach of the Turkish media in the Russia-Ukraine war, which started in February 2022 when Russian President Vladimir Putin declared a "special military operation" in Ukraine, was under scrutiny.

In this context, covering the last year of the war, between 5 October 2022 and 5 October 2023, the accounts of the 5 newspapers (Hürriyet, Sabah, Cumhuriyet, Sözcü and Yeni Şafak) X (Twitter) that best represent Turkey's media structure, with their reading, following rates and ideological stances, were examined with Content Analysis and Ego Analysis. The aim of this analysis is to determine what kind of language the Turkish media used during the Ukraine-Russia war. In this context, answers to the following questions were sought in the research:

How many total tweets did each media platform post in the last year? What percentage of these tweets are about the Ukraine-Russia war?

1. Has the rate of war-related news decreased monthly in the last year??
2. What language was used in the context of Positive, Negative and Neutral in war-related news in the last year?
3. What is the month-based Tone Distribution and Ego Analysis of news tweets about the Russia-Ukraine war?
4. What are the prominent word bubbles from war-related tweets?
5. Does the Turkish media's presentation of the war coincide with Turkish policy?

The follower numbers of the X accounts of these newspapers are as follows: Hürriyet 4.3 million, Sabah 2.2 million, Cumhuriyet 3.5 million, Sözcü 1.7 million and Yeni Şafak 1.1 million. The appearances of newspapers' X accounts are as in the table.



FINDINGS


Number and Total Volume of Russia-Ukraine War News in Turkish Media

The total volumes of tweets and the total number of news stories shared about the Russia-Ukraine war in the Turkish media in the last year are as follows;

Pages	Total Volume	Russia-Ukraine War
HÜRRİYET	42.3 K	406
SABAHA	61.3 K	404
CUMHURİYET	84.1 K	245
YENİ ŞAFAK	44. K	640
SÖZCÜ	75.1 K	640

Turkish media made an average of 467 news stories about the Russia-Ukraine war in X in the last year. News about the Russia-Ukraine war has decreased month by month in 2023. In the last months of 2023, almost no news was made. The visibility of the war in the media has completely decreased. Another noteworthy data in the table is that Cumhuriyet newspaper, which is left-oriented and has the highest value in terms of news volume, reported less about the war compared to other newspapers. Hürriyet and Sabah newspapers, which are right-leaning and positioned in the center, made news at almost the same rates. The Islamic-leaning Yeni Şafak newspaper and the left-leaning Sözcü newspapers made the same number of news.

Content of Russia-Ukraine War News in Turkish Media



In the tweets of the five newspapers included in the analysis, negative words were used in 57% of the news about the Russia-Ukraine war. Negative words such as war, death, destruction, injury, against, reaction, retreat and challenge come to the fore in news content. On the other hand, the usage rates of positive constructive

words such as peace, agreement and reconciliation remained at 12%. The usage rate of neutral words is 31%. Despite Turkey's constructive, conciliatory, mediator and peace-oriented approach, Turkish media aims to increase reading rates by using more negative words for war.

Data by Newspapers

Hürriyet/All News Sharings

General View

Volume Information

Number of Shares


42.3K

Views

185.4B

Access

3.3B



Hürriyet Newspaper shared a total of 42.3 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 185.4 billion views and 3.3 billion Reach. The most seen news is generally related to Türkiye news and domestic politics.

Hürriyet/Russia-Ukraine War Posts

Russia-Ukraine

War News

Number of Shares


406

Views

1.7 B

Access

31M




Hürriyet's Russia/Ukraine War posts between October 5, 2022 and October 5, 2023 are 406 in total. These Tweets reached 1.7 billion views and 31 million Reach. The prominent news is mostly about Russian and Ukrainian citizens who came to Turkey from the war.

Hürriyet/Word Analysis: Frequently Used Words

Words	Volume	Words	Volume
Ukraine	241	Russia-Ukraine	39
Russia	179	flash	35
war	167	news	29
Putin	56	Erdogan	27
Latest situation in the Ukrainian war	84	Russian	27
first	41	came	24
new	40	explained	46
Zelensky	40	EU	12

The first 5 words that stand out most frequently in Hürriyet's posts about the Russia-Ukraine War are Ukraine, Russia, war, Putin, the latest situation in the Ukraine war.

Tone Distribution of Hürriyet/Savaş News – Ego Analysis Volume Information



When Hürriyet examines the posts about the Russia/Ukraine War, 62% consists of Negative, 27% Neutral and 11% Positive content. Hürriyet's use of more negative words about the war reveals that it is trying to attract attention by revealing more of the horror of war. The content of a more constructive discourse is 11%.

Sabah/All News Shares

General View

Volume Information

Number of Shares


61.3K

Views

159.9B


Access

4.3B



Sabah Newspaper shared a total of 61.3 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 159.9 billion views and 4.3 billion Reach. News content is focused on domestic politics, similar to Hürriyet.

Sabah/Russia-Ukraine War Shares




Sabah's Russia/Ukraine War posts between October 5, 2022 and October 5, 2023 are 404 in total. These Tweets reached 958 Million views and 25 Million Reach. America's appreciation of Turkey's critical role in mediation is at the forefront of the news.

Sabah/Word Analysis: Frequently Used Words

Words	Volume	Words	Volume
Russia	300	grain	48
Ukraine	280	USA	47
Russia-Ukraine	131	President Erdogan	43
war	158	continue	39
President	104	Foreign affairs	39
State	80	did	39
Minister	79	came	38
Putin	70	Defense	37
Erdogan	66	minister	36
Türkiye	52	meeting	20

The words Sabah uses most frequently in its posts about the Russia-Ukraine War are Russia, Ukraine, Russia-Ukraine, war, president.

Tone Distribution of Morning/War News – Ego Analysis Volume Information



Sabah's posts about the Russia/Ukraine War are 56% consists of Negative, 31% Neutral and 13% Positive content.

Cumhuriyet/All News Sharings

General View

Volume Information

Number of Shares


84.1K

Views

297.6B

Access

7.5B



Cumhuriyet Newspaper shared a total of 84.1 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 297.6 billion views and 7.5 billion Reach.

Republic /Russia-Ukraine War Posts

Russia-Ukraine

War News

Number of Shares

245

Views

850M

Access

17.7M





The Republic's Russia/Ukraine War posts between October 5, 2022 and October 5, 2023 are 245 in total. These Tweets reached 850 million views and 17 million Reach. The news about how Erdogan maintains the balance between the two countries attracts attention.

Republic / Word Analysis: Frequently Used Words

Words	Volume	Words	Volume
Ukraine	108	explanation	23
Russia	83	claim	11
war	74	Russia-Ukraine	9
Zelensky	29	reaction	9
Putin	18	output	9
USA	15	World	8
opposite	13	attack	8

The words Cumhuriyet uses most frequently in its posts about the Russia-Ukraine War are Ukraine, Russia, war, Zelenski and Putin.

Tone Distribution of Republic / War News – Ego Analysis Volume Information



When Cumhuriyet's posts about the Russia/Ukraine War are examined, 58% consists of Negative, 33% Neutral and 9% Positive content.

Spokesperson/All News Sharings

General View

Volume Information

Number of Shares


75.1K

Views

278B

Access

6.3B



Sözcü Newspaper shared a total of 75.1 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 278 billion views and 6.3 billion Reach.

Sözcü /Russia-Ukraine War Shares

Russia-Ukraine War News

Number of Shares


640

Views

680M

Access

30.6M





Sözcü's Russia/Ukraine War posts between October 5, 2022 and October 5, 2023 are 640 in total. These Tweets reached 680 million views and 30 Million Reach

Word Analysis: Frequently Used Words

Words	Volume	Words	Volume
Russia	323	the plane	18
Ukraine	322	opposite	17
war	128	new	16
Russia-Ukraine	78	UAV	16
Zelenskiy	64	NATO	14
Putin	44	Türkiye	14
USA	36	EU	13

The words that Sözcü uses most frequently in its posts about the Russia-Ukraine War are Russia, Ukraine, war, Russia-Ukraine, Zelenskiy.

Tone Distribution of Spokesperson / War News – Ego Analysis Volume Information



Sözcü's posts about the Russia/Ukraine War, 59% consists of Negative, 27% Neutral and 14% Positive content.

Yeni Şafak/All News Sharings

General View

Volume Information

Number of Shares


44K

Views

54B

Access

3.2B



Yeni Şafak Newspaper shared a total of 44 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 54 billion views and 3.2 billion Reach.

Yeni Şafak /Russia-Ukraine War Posts

Russia-Ukraine

War News

Number of Shares


640

Views

680M

Access

30.6M



Yeni Şafak's Russia/Ukraine War posts between October 5, 2022, and October 5, 2023 are 640 in total. These Tweets reached 680 million views and 30 million Reach.



Yeni Şafak /Word Analysis: Frequently Used Words

Words	Volume	Words	Volume
Russia	428	Erdogan	86
Ukraine	422	USA	80
war	225	President Erdogan	73
President	124	grain	64
State	106	Türkiye	63

Putin	101	Russian	54
Russia-Ukraine	99	opposite	49
President	95	Defense	49
Zelenskiy	46	Defense	49

The words most frequently used by Yeni Şafak in its posts about the Russia-Ukraine War are Russia, Ukraine, war, president, state, Putin.

Tone Distribution of Yeni Şafak /War News – Ego Analysis Volume Information



Yeni Şafak's posts about the Russia/Ukraine War 53% consists of Negative, 34% Neutral and 13% Positive content.

Conclusion. Turkish media in the last year has made an average of 467 news stories about the Russia-Ukraine war in each media. News about the Russia-Ukraine war has decreased month by month in 2023. In the last months of the year, there was almost no news. The visibility of the war in the media has completely decreased. In the tweets of a newspaper included in the analysis, negative words were used 57% of the time in news about the Russia-Ukraine war. Negative words such as war, death, destruction, injury, against, reaction, retreat and challenge come to the fore in news content. On the other hand, the usage rates of positive constructive words such as peace, agreement and reconciliation remained at 12%. The usage rate of neutral words is 31%. Despite Turkey's constructive, conciliatory, mediator and peace-oriented approach, Turkish media aims to increase reading rates by using more negative words for war.

Hürriyet Newspaper shared a total of 42.3 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 185.4 billion views and 3.3 billion Reach. Hürriyet's Russia/Ukraine War posts are 406 in total. These Tweets reached

1.7 billion views and 31 million Reach. When the most used words are examined, the first 5 words that stand out are Ukraine, Russia, war, and Putin. When the tone distribution is examined, 62% consists of Negative, 27% Neutral and 11% Positive content.

Sabah Newspaper shared a total of 61.3 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 159.9 billion views and 4.3 billion Reach. Sabah's Russia/Ukraine War posts are 404 in total. These Tweets reached 958 million views and 25 Million Reach. When the most used words are examined, the first 5 words that stand out are Russia, Ukraine, President, War and State. When the tone distribution is examined, 56% consists of Negative, 31% Neutral and 13% Positive content.

Cumhuriyet Newspaper shared a total of 84.1 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 297.6 billion views and 7.5 Billion Reach. Republic's Russia/Ukraine War posts are 245 in total. These Tweets reached 850 million views and 17 Million Reach. When the most used words are examined, the first 5 words that stand out are Ukraine, Russia, War, Zelenski and War. When the Tone Distribution is examined, 58% consists of Negative, 33% Neutral and 9% Positive content.

Yeni Şafak Newspaper shared a total of 44 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 54 billion views and 3.2 billion Reach. Yeni Şafak's Russia/Ukraine War posts are 640 in total. These Tweets reached 680 million views and 30 million Reach. When the most used words are examined, the first 5 words that stand out are Russia, Ukraine, President, State and Putin. When the Tone Distribution is examined, 53% consists of Negative, 34% Neutral and 13% Positive content.

Sözcü Newspaper shared a total of 75.1 thousand tweets between 5 October 2022 and 5 October 2023. These Tweets reached 278 billion views and 6.3 billion Reach. Sözcü's Russia/Ukraine War posts are 640 in total. These Tweets reached 680 million views and 30 million Reach. When the most used words are examined, the first 5 words that stand out are Russia, Ukraine, War, Zelenskiy and Putin. When the Tone Distribution is examined, 59% consists of Negative, 27% Neutral and 14% Positive content.

References:

Aydeniz, H., Baritci, F., (2019) "The Media as Public Diplomacy Tool: The Case of TRT World", *Journal of Erciyes Communication*, July, Volume 6, Number 2, 1551-1576.

Baritci F., (2023), Kamu Diplomasisi ve Dijitalleşen Uluslararası Medya, Halkla ilişkiler ve Reklamcılıkta Dijital Trendler, Ed: İbrahim Kiçir, Celil Ünal, Literaturk academia

Bektaş, A., (2013), “Kamuoyu, İletişim ve Demokrasi”, (4. bs), Bağlam Yayınları;

Chadwick, A., (2017), “The hybrid media system: Politics and power”, Oxford University Press

Ertekin, B. A., (2012), “Uluslararası Sistemde Görsel-İşitsel Medyanın Kamu Diplomasisi ve

Kamuoyu Yaratmadaki Önemi: TRT'nin Türkçe Dışında Yayın Yapan Kanalları Üzerine Bir

İnceleme”, Elektronik Sosyal Bilimler Dergisi, 11(42), 323-354.

Gibson, R. K., McAllister, I., (2017), “Populism, social media, and political communication”, Political Studies Review, 15(3), 316-324.

İnceoğlu, Y. G., (2015), “Uluslararası Medya”, Der Yayınları;

Kavoğlu, S., (2013), “Yapılandırmacı Perspektiften Kamu Diplomasisi ve Türkiye: ABD Yazılı Basınından Yansımalar”, İstanbul Üniversitesi İletişim Fakültesi Dergisi, 45, 115-128

Lotan, G., Graeff, E., Ananny, M., Gaffney, D., Pearce, I., & Boyd, D., (2011), “The revolutions were tweeted: Information flows during the 2011 Tunisian and Egyptian revolutions”, International Journal of Communication, 5, 1375-1405.

Tuch, H. N., (1993), “Communicating with the world: U.S. public diplomacy overseas”, (2. bs). St. Martin's Press;

Yıldırım, G., (2015), Uluslararası Halkla İlişkiler Perspektifinden Kamu Diplomasisi. İstanbul, Beta Basım.

Cumhuriyet gazetesi-

<https://twitter.com/cumhuriyetgzt?t=gDye54GsHxJF39WWfwJi2Q&s=08>Sözcügaze

tesi- <https://twitter.com/gazetesozcu?t=TbmHw-mpJdXhjS65bxOTuA&s=08>Yeni

Şafak gazetesi- https://twitter.com/yenisafak?t=8yMyll7Iz_tkjF_kQRrUBQ&s=08

Hürriyet gazetesi-

https://twitter.com/Hurriyet?t=tmicY_rsGQ4jouTLwZcMQ&s=08

Sabah gazetesi- <https://twitter.com/sabah?t=JxbkDpqmUZVLZryZ-xnl8w&s=08>

Black Sea Saint Nicholas Customs (1856-1910)
შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910)

Merab Megrelishvili

PhD in History,
Researcher at Niko Berdzenishvili Institute
Of Batumi Shota Rustaveli State University,
e-mail: merab.megrelishvili@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0009-7140-9173>

Nikoloz Megrelishvili

PhD in Law, Batumi Shota
Rustaveli State University,
e-mail: merab.megrelishvili@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0002-3639-5019>

Abstract: After the Crimean War (1853-1856), the Kobuleti coast of the Black Sea had a particular military strategic function. The outpost of St. Nicholas included the area at the mouth of the Natanebi, where the quay of Shekviteli was located. Professor Tamaz Beradze names the year 1737 as the date of the fortress's foundation. On the map of Western Georgia at the beginning of the 19th century, the fortress of St. Nicholas is marked. In honor of the Russian king Nicholas, it was also referred to as Nikolaevsky. Initially, it was a customs checkpoint located on the sand hill, where there was a quarantine zone, a provision store, and a barracks for up to 30 guards. In 1788-1792, the Nakashidze princes enjoyed the right to be customs officers under the will of Simon III Gurieli. In 1812, according to the Treaty of Bucharest, the Russians occupied it, and the Russian-Turkish border was approved there. In 1813, with the will of the chief ruler of Georgia, Nikoloz Rtishchev, Guriel developed the construction of St. Nicholas Fortress.

Black Sea Nicholas Customs was established in 1856, and its principal duty was to monitor the border and establish control over imported goods. The customs checkpoint of St. Nicholas was subordinated to the Quarantine-Customs Office of Poti, which was part of the Kutaisi Customs District. Customs affairs in the North Caucasus and Transcaucasia were managed by the Customs and Quarantine Department, whose residence was in Tbilisi. Initially, the customs house of St. Nicholas was located on the border of Guria-Adjara. After 1878, the customs checkpoint was moved to the Churuksu area. At the same time, a customs quarantine supervision was established in Batumi, which supervised the ships in the port of Batumi. Then, the customs of St. Nicholas moved to Makryal, near the

Turkish border. The border villages of Nikolovaevsky checkpoint were Khofa, Arkhavi, and Vytse. Sailing ships used to enter Kobuleti from Turkey.

On August 25, 1865, the Ministry of Maritime Affairs of Russia (Petrograd, Minister N. Krabe) approved the rules of operation of surveillance ships on the southeastern coast of the Black Sea. Coastal surveillance was established by Azov barques, which made fast trips along the coast. Commercial ships had to pass through the quarantine zone. Control of ships sailing between Constantinople and Sukhumi was established. Control was mainly carried out in the quarantine zone, where ships detained on the seas were brought for inspection. The goods seized from foreign ships were kept in customs warehouses for one year, and before that, they were confiscated. On July 23, 1857, it was forbidden to export oak wood.

Trade goods were mainly imported from Poti, Ochamchire, Kerch, Rostov, Redut-Kale, and Evpatoria. They used to import European luxury items, perfumes, mirrors, and watches. In 1857, various types of fish were named among the items brought to the customs territory, as well as tobacco, vegetables, fruits, flour, beans, halwa, sheep's wool, paints, and metal. There was a sizeable demand for Asian shawls in the Russian market, which supplied Moscow enterprises.

On May 31, 1866, the Minister of Internal Affairs of Russia, Baluev, approved the instructions of the quarantine customs, rights, and duties of employees.

Particular prohibitions were imposed on religious servants who came from Constantinople. They were admitted with the permission of the Russian Synod.

According to the decision of the Ministry of Foreign Affairs of Russia on December 19, 1878, and the decision of the Asian Department on May 19, 1886, customs had established exceptional control over the import of weapons, paper, and wool. Customs used to carry out medical checks on ships arriving from abroad to prevent various diseases' proliferation. On July 8, 1910, based on the Minister of Finance of Russia, the Black Sea St. Nicholas customs was canceled, and it was declared as the Churuksu customs crossing point. Since 1918, Russian Old Orthodox Christians settled in Shekvetili. In 1920, the castle of Shekvetili was demolished.

Key words: customs, quarantine zone, border control, berth.

მერაბ მეგრელიშვილი
ისტორიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი,
ელ-ფოსტა: merab.megrelishvili@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0009-7140-9173>

ნიკოლოზ მეგრელიშვილი

სამართლის დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ელ-ფოსტა: merab.megrelishvili@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0002-3639-5019>

აბსტრაქტი: 1853-1856 წწ. ყირიმის ომის შემდეგ შავი ზღვის ქობულეთის სანაპიროს განსაკუთრებული სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. წმინდა ნიკოლოზის ფორფოსტი მოიცავდა ტერიტორიას ნატანების შესართავთან, სადაც მდებარეობდა შეკვეთილის ნავმისადგომი. პროფესორი თამაზ ბერაძე ციხე-სიმაგრის დაარსების თარიღად ასახელებს 1737 წელს. XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია წმინდა ნიკოლოზის ციხე-სიმაგრე. რუსეთის მეფე ნიკოლოზ პირველის საპატივცემულოდ მას მოიხსენიებდნენ ნიკოლაევსკის სახელითაც. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ქვიშის ბორცვზე მდებარე საბაჟო საგუშაგოს, სადაც განთავსებული იყო საკარანტინო ზონა, პროვიანტის მაღაზია და ყაზარმა 30-მდე გუშაგისთვის. 1788-1792 წლებში სიმონ მესამე გური-ელის ნებით შეკვეთილში მეზაჟეობის უფლებით სარგებლობდნენ თავადი ნაკაშიძეები. 1812 წელს ბუქარესტის ზავის მიხედვით შეკვეთილი რუსებმა დაიკავეს და აქ დამტკიცდა რუსეთ-თურქეთის საზღვარი. 1813 წელს საქართველოს მთავარმმართველ ნიკოლოზ რტიშჩევის ნებით გურიელმა განაახლა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრის მშენებლობა.

1856 წლიდან დაარსებულ შავი ზღვის ნიკოლოზის საბაჟოს ძირითად მოვალეობას შეა-დგენდა საზღვრის მეთვალყურეობა და კონტროლის დაწესება შემოტანილ საქონელზე. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო-საგუშაგო ექვემდებარებოდა ფოთის საკარანტინო-საბაჟო კანტორას, რომელიც შედიოდა ქუთაისის საბაჟო ოკრუგში. ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში საბაჟოს საქმეს ხელმძღვანელობას უწევდა საბაჟო-საკარანტინო სამმართველო, რომლის რეზიდენცია თბილისში იყო. თავდაპირველად წმინდა ნიკოლოზის საბაჟო მდებარეობდა გურია-აჭარის საზღვარზე. 1878 წლის შემდეგ საბაჟო-საგუშაგო გადაიტანეს ჩურუქსუს მიდამო-ებში. ამავე დროს ბათუმში დაფუძნდა საბაჟო საკარანტინო ზედამხედველობა, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა ბათუმის პორტში არსებულ გემებს, შემდეგ წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გადააქვთ მაკრიალთან, თურქეთის საზღვართან ახლოს. ნიკოლოაევსკის საგუშაგოს სასაზღვრო სოფლები იყო: ხოფა, არხავი, ვიწე. თურქეთიდან ქობულეთში შემოდიოდა იალქნიანი გემები.

1865 წლის 25 აგვისტოს რუსეთის საზღვაო საქმეთა სამინისტრომ (პეტროგრადი, მინისტრი ნ. კრაზე) დაამტკიცა შავი ზღვის სამხრეთ-

აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული მეთვალყურე გემების მოქმედების წესები. სანაპიროს მეთვალყურეობა დაწესებული ჰქონდათ აზოვის ბარკასებს, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ აწარმოებდნენ სწრაფ რეისებს. კომერციულ გემებს უნდა გაეცლოთ საკარანტინო ზონა. დაწესდა კონტროლი კონსტანტინეპოლსა და სოხუმს შორის მოცურავე გემებზე. კონტროლი ძირითადად წარმოებდა საკარანტინო ზონაში, სადაც შესამოწმებლად მოჰყავდათ ღია ზღვაში დაკავებული გემები. უცხო გემებიდან ჩამორ-თმეული საქონელი ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა საბაჟოს საწყობებში, ხოლო შემდე კი ხდებოდა მათი კონსფისკაცია. 1857 წლის 23 ივლისს აკრძალეს მუხის ხის გატანა.

სავაჭრო საქონელი ძირითადად შემოდის ფოთიდან, ოჩამჩირიდან, ქერჩიდან, როსტოვიდან, რედუტკალედან, ევპატორიიდან. შემოქონდათ ევროპული ფუფუნების საგნები, პარფიუმერია, სარკე, საათები. 1857 წელს საბაჟოს ტერიტორიაზე შემოტანილ საგნებს შორის დასახელებულია თევზის სხვადასხვა სახეობა: სელდი, ოლოვა, ასევე თამბაქო, ბოსტნეული, ხილი, ფქვილი, ფასოლი, ხალვა, ცხვრის შალი, საღებავები, ლითონი. რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო აზიურ შალზე, რითაც მარაგდებოდნენ მოსკოვის საწარმოები. აზიური შალისგან ევროპაში კერავდნენ საუკეთესო ტანსაცმელს.

1866 წლის 31 მაისს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბალუევმა დაამტკიცა საკა-რანტინო საბაჟოს ინსტრუქცია, რომელშიც მინიშნებულია საბაჟოს წევრთა საქმიანობა და მათი უფლება-მოვალეობანი.

განსაკუთრებული აკრძალვები იყო დაწესებული კონსტანტინეპოლიდან გადმოსული რელიგიის მსახურთა მიმართ. მათი ვიზირება ხდებოდა რუსეთის სინოდის ნებართვით.

1878 წლის 19 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და 1886 წლის 19 მაისის აზიური დეპარტამენტის გადაწყვეტილებით საბაჟოს განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული იარაღის, ქაღალდის და შალის შემოტანაზე. უცხოეთიდან შემოსულ გემებზე სხვადასხვა დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით წარმოებდა სამედიცინო შემოწმება. 1910 წლის 8 ივლისს რუსეთის ფინანსთა მინისტრის საფუძველზე შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გაუქმდა და გამოცხადდა ჩურუქსუს საბაჟო გადასასვლელ პუნქტად. 1918 წლიდან შეკვეთილში დასახლდნენ რუსი ძველმართლმადიდებლები (სტაროვერები). 1920 წელს შეკვეთილის ციხე დაანგრიეს.

საკვანძო სიტყვები: საბაჟო, საკარანტინო ზონა, საზღვრების კონტროლი, ნავმისადგომი.

1853-1856 წწ. ყირიმის ომის შემდეგ შავი ზღვის ქობულეთის სანაპიროს განსაკუთრებულ-სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. გიორგი ყაზბეგი ნაშრომში „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევები“ განსაზღვრავს რა წმინდა ნიკოლოზის საგუმავოს საზღვრებს, მიანიშნებს მდინარე ჩოლოქის შავი ზღვის სანაპიროსთან შესართავს, აჭარა გურიის მთების ქედს, 50 ვერსის მანძილზე, ჭახათის მთიდან შავნაბადის მთამდე. რუსეთის დაბლობზე, ანუ ჩოლოქის ხაზზე თურქეთისკენ სამი გზა მიდიოდა. ერთი გზა მიუყვებოდა ზღვის ნაპირს წმინდა ნიკოლოზის საგუმავოსთან, მეორე გადიოდა ჩოლოქის საგუმავოსა და სოფელ ლეღვაზე, ხოლო მესამე კი ქვემო (ბოგოლსკის) ბოგილის საგუმავოსთან ოჩხამურის ტერიტორიაზე. ამათგან პირველი გზა ხელსაყრელი იყო ბორბლიანი ტრანსპორტისთვის, იგი მიუყვებოდა ზღვის ქვიშიან ნაპირს და ჩოლოქთან, კინტრიშის (ლიმონის) მინდორზე გადიოდა. ჯერ კიდევ 1658 წელს ეს ადგილი მოინახულა იერუსალიმის პატრიარქმა პაისმა, დიაკონ დოსითეოსთან ერთად. იგი ნაშრომში „მოგზაურობა გურიაში“ აღნიშნავს, რომ ფაზისიდან ისინი გაემგზავრნენ ქობულეთში არსებულ გურიის ნავმისადგომში, საიდანაც აჰყვანენ მდინარეს ზემოთ ორი საათის სავალზე, რის შემდეგ 1659 წლის 22 მარტს მივიდნენ ტაძართან და გურიის მთავრის სახლთან. ქობულეთის ნავმისადგომის დანიშნულებაზე მიანიშნებს ქრისტოფორე კასტელი, რომლის აღბომში ჩანახატს აქვს მინაწერი „ბავშვებით დატვირთული ხომალდი მიდის ჯოჯოხეთში“. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ გურიიდან ყოველწლიურად გაყავდათ გაყიდული ბავშვები. ამავე ადგილზე ნავმისადგომის და ციხე-სიმაგრის მშენებლობა დოკუმენტებით მე-18 საუკუნეში დასტურდება. 1723 წელს შეკვეთილის ციხეში ოსმალეთის გარნიზონი იდგა. XIX საუკუნის დასაწყისში წმინდა ნიკოლოზის ფორფოსტი მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ნატანების შესართავთან, სადაც მდებარეობდა შეკვეთილის ნავმისადგომი. პროფესორი თამაზ ბერაძე ციხესიმაგრის დაარსების თარიღად ასახელებს 1737 წელს. XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია წმინდა ნიკოლოზის ციხე-სიმაგრე. რუსეთის მეფე ნიკოლოზ პირველის საპატივცემულოდ მას მოიხსენიებდნენ ნიკოლაევსკის სახელითაც. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ქვიშის ბორცვზე მდებარე საბაჟო საგუმავოს, სადაც განთავსებული იყო საკარანტინო ზონა, პროვიანტის მაღაზია და ყაზარმა 30-მდე გუმავისთვის. 1788-1792 წლებში სიმონ მესამე გურიელის ნებით შეკვეთილში მეზაჟეობის უფლებით სარგებლობდნენ თავადი ნაკაშიძეები. 1812წელს ბუქარესტის ზავის მიხედვით შეკვეთილი რუსებმა დაიკავეს და რუსეთ-(თურქეთის)ოსმალეთის იმპერიათა საზღვარი აქ დამტკიცდა. 1813 წელს საქარ-თველოს მთავარმმართველ ნიკოლოზ რტიშჩევის ნებით განაახლა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრის მშენებლობა. 1850

წელს საბაჟო მოინახულა ნიკოლოზ დუნკელ ველინგმა. ველინგის ცნობით 1810 წელს რუსებმა გურიაში, კერძოდ ნატანების შესართავთან, შეკვეთილში განალაგეს ბელევესკის ფეხოსანთა პოლკი და მოაწყვეს თავდაცვითი ნაგებობანი. აღნიშნულ პოლკს ეკუთვნოდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. აქედან გურულებს გაჰქონდათ სიმინდი, ბზა, ურთხელი, მერქანი. გურულებმა ქობულეთზე კონტროლი დაკარგეს 1774 წლის ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ. შეკვეთილთან არსებული წმინდა ნიკოლოზის ციხე-სიმაგრე ნახსენები აქვს კარლ მარქსს 1854 წელს გამოცემულ სტატიაში, რომელიც ეხება რუსეთ-ოსმალეთის საომარ მოქმედებებს სელიმ ფაშას და რუსეთის ჯარს შორის. 1829 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ ადრიანოპოლის ტრაქტატში გარკვევით არის მითითებული, რომ წმინდა ნიკოლოზის ნავსადგური არის შავი ზღვის სამხრეთით არსებული სასაზღვრო პუნქტი. 1879 წლის 23 მაისს შავი ზღვისპირეთის საბაჟოებს მიეცათ ბრძანება, რომ მკაცრი მეთვალყურეობა დაეწესებიათ თურქეთის დროშის ქვეშ მოცურავე თევზსაჭერ ფელუკებზე, განსაკუთრებით ფეოდოსიის და ყირიმის ნახევარ-კუნძულზე, სადაც უცხოური გემებისთვის აკრძალული იყო თევზჭერა და დელფინების რეწვა. (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 10 ფურც. 25) 1865 წლის 25 აგვისტოს რუსეთის საზღვაო საქმეთა სამინისტრომ (პეტროგრადი, მინისტრი ნ. კრაბე) დაამტკიცა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული მეთვალყურე გემების მოქმედების წესები. სანაპიროს მეთვალყურეობა დავალებული ჰქონდათ აზოვის ბარკასებს, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ აწარმოებდნენ სწრაფ რეისებს (მიმოსვლას). კომერციულ გემებს უნდა გაევლოთ საკარანტინო ზონა. დაწესდა კონტროლი კონსტანტინეპოლსა და სოხუმს შორის მოცურავე გემებზე. კონტროლი ძირითადად წარმოებდა საკარანტინო ზონაში, სადაც შესამოწმებლად მოჰყავდათ ღია ზღვაში დაკავებული გემები (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 ფურც. 8) უცხო გემებიდან ჩამორთმეული საქონელი ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა საბაჟოს საწყობებში, ხოლო შემდეგ კი ხდებოდა მათი კონსფისკაცია. 1857 წლის 23 ივლისს აკრძალეს მუხის ხის გატანა (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 ფურც. 66)

1866 წლის 5 აგვისტოს წმინდა ნიკოლოზის საბაჟო სამეგრელოს მმართველს აცნობებდა, რომ შეთქმული თავადები ტიტე ინაიშვილი და მარღანია აპირებდნენ სამურზაყანოსა და სამეგრელოდან თურქეთში გადასვლას (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 ფურც. 63). 1869 წელს წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს საზღვრებში შემოვიდნენ შემდეგი გემები: „ქრისტიანა“, „წმინდა ეკატერინე“, „წმინდა მიხეილი“, „ფეოდოსია“, „ვასილი“, „წმინდა ნიკოლოზ წინასწარმეტყველი“, „სოფია“, „ვლადიმირი“, „ალექსანდრე“, „წმინდა იაკობი“, საბაჟოს შედგენილი ჰქონდა გემების შემოსვლის ცხრილი, რომელშიც მითითებული იყო, თუ საიდან შემოვიდა გემი, რა საქონელი შემოიტანა და რომელი მიმართულებით წავიდა და ა.შ. სავაჭრო საქონელი

ძირითადად შემოდის ფოთიდან, ოჩამჩირიდან, ქერჩიდან, როსტოვიდან, რედუტ-კალედან, ევპატორიიდან (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 26 ფურც. 35) შემოჰქონდათ ევროპული ფუფუნების საგნები, პარფიუმერია, სარკე, საათები. 1857 წელს საბაჟოს ტერიტორიაზე შემოტანილ საგნებს შორის დასახელებულია თევზის სხვადასხვა სახეობა: სელდი, ოლოვა, ასევე თამბაქო, ბოსტნეული, ხილი, ფქვილი, (ფასოლი) ლობიო, ხალვა, ცხვრის შალი, საღებავები, ლითონი. რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო აზიურ შალზე, რითაც მარაგდებოდნენ მოსკოვის საწარმოები. აზიური შალისგან ევროპაში კერავდნენ საუკეთესო ტანსაცმელს. საბაჟოს მიერ დაწესებული გადასახადი სავალდებულო იყო ყველა რანგის ადამიანისთვის. განსაკუთრებით დიდი გადასახადი იყო დაწესებული სავაჭროდ აკრძალულ საქონელზე, ასე მაგალითად, 1882 წელს ფოთის საკარანტინო საბაჟო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ნიკოლოზის საბაჟოზე მაღალი გადასახადი დაუწესეს ირანის პრინცს ბეხშენ-მირზას, კერძოდ, მან შემოიტანა ქოლგები, რომლის სახელურებში განთავსებული იყო ძვირფასი თვლებით შემკული ხანჯალი (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 ფურც. 58) საყოველთაო ვაჭრობაში ჩართული იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომი ქართველი ვაჭრებიც: ალექსანდრე აბაშიძე, ვასიკო არობელიძე, ვასილ ართმელაძე, ბეშიტაიშვილი, გაბრიელ ვასაძე, ოქროპირ ღლონტი, სიმონ ბოგვაძე, ალექსანდრე ვარშალომიძე.

1879 წლის 1 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალმა სანიმუშო სამსახურისთვის ორდენებით დააჯილდოვა კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, კავკასიის საცეზურო კომიტეტის წევრი თავადი ჯორჯაძე თბილისის გუბერნიის საქმის მწარმოებელი გლეხთა საკითხებში თავადი ჭავჭავაძე, ფოთის საკარანტინო საბაჟო კანტორის წევრი ანდრონიკაშვილი და ბევრი სხვა (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 40 ფურც. 1) 1866 წლის 31 მაისს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბალუევმა დაამტკიცა საკარანტინო საბაჟოს ინსტრუქცია, რომელშიც მინიშნებულია საბაჟოს წევრთა საქმიანობა და მათი უფლება-მოვალეობანი. ინსტრუქციის ზოგად ნაწილში განსაზღვრულია საკარანტინო სახლის დირექტორის მოვალეობა, მიღებულ საქონელზე ჰიგიენური წესების დაცვის, მისი დათვალიერება გადანაწილების, დასაწყობების და სხვა საკითხები (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 27 ფურც. 40) საკარანტინო პაკხაუზებში საქონელს 3 დღის განმავლობაში ტოვებდნენ, ხოლო აზოვის პორტებში გასაგზავნს 6-8 თვეს. ცალკე პუნქტი იყო გამოყოფილი საკარანტინო პორტის კაპიტანზე. მის ძირითად მოვალეობას შეადგენდა საკარანტინო პორტში გემების მიღების საერთო წესების დაცვა. საკარანტინო წყლებში აკრძალული იყო გემების თავისუფალი მოძრაობა. პორტის კაპიტანის რეზიდენციაზე გამოფენილი იყო საკარანტინო ყვითელი ფერის დროშა. ასეთივე ფერის სიმბოლოები იყო სავაჭრო გემებზე. პორტის კაპიტანს საკარანტინო წყლებში შემოსული გემების შესამოწმებლად გააჩნდა

კითხვარი. ინსტრუქცია გარკვეულ ვალდებულებას უწესებდა სასაზღვრო დაცვას. ისინი თვალყურს ადევნებდნენ და იცავდნენ სახმელეთო და საზღვაო საზღვარს.

1856 წლიდან დაარსებულ შავი ზღვის ნიკოლოზის საბაჟოს ძირითად მოვალეობას შეადგენდა საზღვრის მეთვალყურეობა და კონტროლის დაწესება შემოტანილ საქონელზე. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო-საგუშაგო ექვემდებარებოდა ფოთის საკარანტინო-საბაჟო კანტორას, რომელიც შედიოდა ქუთაისის საბაჟო ოკრუგში. ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში საბაჟოს საქმეს ხელმძღვანელობას უწევდა საბაჟო-საკარანტინო სამმართველო, რომლის რე-ზიდენცია თბილისში იყო. თავდაპირველად წმინდა ნიკოლოზის საბაჟო მდებარეობდა გურია-აჭარის საზღვარზე. 1878 წლის შემდეგ საბაჟო-საგუშაგო გადაიტანეს (ჩურუქსუს) ქობულეთის მიდამოებში. ამავე დროს ბათუმში დაფუძნდა საბაჟო საკარანტინო ზედამხედ-ველობა, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა ბათუმის პორტში შემოსულ გემებს, შემდეგ წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გადადის მაკრიალთან, თურქეთის საზღვართან ახლოს. (ნიკოლაევსკის) ნიკოლოზის საგუშაგოს სასაზღვრო სოფლები იყო: ხოფა, არხავი, ვიწე. თურქეთიდან ქობულეთში შემოდიოდა იალქნიანი გემები (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 21 ფურც. 5) 1910 წლის აპრილში ნიკოლოზის საბაჟოს მმართველმა გოგიტიძემ და ქობულეთის N25 შავი-ზღვისპირა სასაზღვრო რაზმის უფროსმა, შტაბის როტმისტრმა ტირტოვმა ხელი მოაწერეს საბაჟოს დადგენილ საზღვრებს, კერძოდ ეს იყო ჩურუქსუს სანაპირო ზოლი, სიგრძით 66 საჟენი, ნიკოლოზის საბაჟოს შენობიდან, სამხრეთით მდებარე სულეიმან ხინიკაძის სახლამდე, და სიგანით 39 საჟენი, არიფ მოწყობილის საცხოვრისამდე, სულ 2500 საჟენი. თურქულ სეინერებს ნებადართული ჰქონდათ თევზჭერა დადგენილ საზღვრებში, მაგრამ ხშირად ისინი არ-ღვევდნენ წესებს და გადმოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სათევზაოდ და ხის მასა-ლის შესაძენად (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 21 ფურც. 25). საბაჟო შემოსული და გასული გემების შე-სახებ ინფორმაციას უგზავნიდა საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტს. ძირითადი საზღვაო ტრან-სპორტი იყო რუსეთის და თურქეთის ბარკასები და ფელუკა. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო კონტრაბანდისტულ საქონელს კონფისკაციას უკეთებდა (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 ფურც. 5). 1899 წლის 11 იანვარს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანების საფუძველზე რუსეთის იმპერიაში შემოსვლა აეკრძალათ გერმანიის 9 მოქალაქეს, ავტრიის 21 მოქალაქეს, თურქეთის 27 მოქალაქეს, ირიანის -13, რუმინეთის -7, ბელგიის -5, საბერძნეთის -2, შვეიცარიის, ბულგარეთის თითო მოქალაქეს და საფრანგეთში მცხოვრებ ემილ მატისს (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 78 ფურც. 8).

1897 წლიდან წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს თარჯიმანი იყო ვასილ კლდიაშვილი, მებაჟეების მოვალეობას ასრულებდნენ პროკოფი ნიკოლაიშვილი და გიგო ჯაველიძე.

1885 წელს რუსი ემიგრანტები ავრცელებდნენ ბიბლიის ფორმაში გადაწერილ რევოლუციური შინაარსის წიგნებს. რუსები განსაკუთრებულ შიშს გამოთქვამდნენ საფრანგეთის მოქალაქე თეოფილე ლატიეს მიმართ, რომელიც სამხედრო განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსული ენის თარჯიმნად. გარკვეული დროის განმავლობაში ფრანგი ლატიე რუსეთში კონსულის თანამდებობას ითავსებდა და ჩაბმული იყო ანტისახელისუფლებო მოძრაობაში (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 13 ფურც. 7), რის გამოც ხელისუფლება მას ეჭვით უყურებდა.

1885 წელს ინგლისის გემებს თურქული დროშით ტრაპიზონიდან საქართველოში გადმოჰყავდათ ჩერქეზები. მათი გარკვეული ნაწილი სახლდებოდა აფხაზეთში. ამას წინ აღუდგა ილია ჭავჭავაძე და მოითხოვა აფხაზეთში ქართველი მთიელების ჩასახლება.

1889 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ ნიკოლოზის საბაჟოს საგუშაგოსადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ოზურგეთის მცხოვრებლები, სიმინდით დატვირთული გემებით გადადიოდნენ თურქეთში (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 13 ფურც. 39)

საქართველოში შემოსული უცხო გემები კონტრაბანდისტულ საქონელს აგდებდნენ ბათუმის ბულვარის სანაპიროსთან ახლოს, რომელსაც შემდეგ გამოუჩნდებოდა პატრონი. ნიკოლოზის საბაჟოს განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული საქართველოში შემოტანილ უცხოურ ლიტერატურაზე. XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის საზღვრებში ვრცელდებოდა ყალბი ფული. 1874 წლის 13 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალს საბაჟოებს ავალებდა მხარდაჭერას რუსული საზღვაო-სავაჭრო საზოგადოების გემების მიმართ, რომლებიც შავი ზღვის პორტებში კონტრაბანდისტული საქონლის გამოვლენის მიზნით აწარმოებდნენ სწრაფ რეიდებს. განსაკუთრებული მეთვალყურეობა იყო დაწესებული 1552 ტონა მოცულობის ნორვეგიულ გემზე „RHOS“, რომლის კაპიტანი იყო იახონსენი. ეს გემი 1893 წელს აშენდა გერმანიის ქალაქ შტეტინგში, მიულერის და გოლბერ-გრაბოვის ქარხანაში. ამ გემს გააჩნდა კონტრაბანდისტული საქონლის ფარულად გადატანისთვის აუცილებელი, კონსპირაციულად მოწყობილი კაიუტები. 1878 წელს ჩოლოქის საზღვართან ვაჭრობის წესებს არეგულირებდა გენერალ-მაიორ გრიგოლ გურიელის პირველი რაზმი, ზღვის მხრიდან კაპიტანი ლუგულოვი და მთის მხრიდან გურიის მე-4 რაზმი, კაპიტანი გუგუნავას მეთაურობით (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 41 ფურც. 2).

საბაჟოზე განსაკუთრებული აკრძალვები იყო დაწესებული კონსტანტინეპოლიდან გადმოსული რელიგიის მსახურთა მიმართ. მათი ვიზირება ხდებოდა რუსეთის სინოდის ნებართვით.

1878 წლის 19 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და 1886 წლის 19 მაისის აზიური დეპარტამენტის გადაწყვეტილებით საბაჟოს განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული იარაღის, ქაღალდის და შალის შემოტანაზე. 1906 წლის 15 აპრილს საბაჟოს ზღვისპირა დაწესებულებებს ეცნობათ, რომ ანტვერპენიდან გამოსული იარაღით დატვირთული გემი „ხერსონი“ (კაპიტანი შულცი) დროდადრო ცვლიდა გემის სახელწოდებას და შავიზღვისპირეთში აწარმოებდა იარაღით ვაჭრობას (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 20 ფურც. 25), რაც საბაჟოსთვის საგულისხმო ინფორმაციას შეიცავდა.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ფიქსირდება იარაღით მოვაჭრე ყაზი-ყუმუხის ოლქის სოფელ გურტახის მცხოვრებ სულთან-გაქი მუჰამედის მიმართ, რომელსაც ბრალდებოდა მთის მოსახლეობაში კონსტანტინეპოლიდან შემოტანილი იარაღით ვაჭრობა.

უცხოეთიდან შემოსულ გემებზე სხვადასხვა დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნითაც იყო დაწესებული კონტროლი. 1882 წლის 1 აგვისტოს რუსეთის ელჩი კონსტანტინეპოლში საბაჟოებს ატყობინებდა, რომ ინდოეთის ქალაქ ბომბეიდან გამოსულ გემზე „HESNERAY“ ფიქსირდება ქოლერიის ავადმყოფობით სიკვდილის შემთხვევა. გემზე გამოცხადდა კარანტინი. ამ პერიოდში ქოლერა დაფიქსირდა მექსიკ. არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე საბაჟო აწარმოებდა გემების დათვალიერებას და ავადმყოფათა გადარ-ჩენის მიზნით მათ გადაყვანას ბათუმის საავადმყოფოში (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 ფურც. 41).

საყურადღებოა, რომ 1906 წელს შავი ჭირის აცილების მიზნით დაწესდა კონტროლი იაპონიის ქალაქებიდან და, მათ შორის, ქალაქ კაბედან შემოტანილ საქონელზე (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 20 ფურც. 37).

წმინდა ნიკოლოზის საბაჟო ადგენდა სტატისტიკურ მონაცემებს საკაბოტაჟე გემების მიერ სხვადასხვა პორტებში შემოტანილ საქონელზეც (ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 ფურც. 28).

ამრიგად, წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს დაწესებული ჰქონდა საზღვრები, რომელიც იცავდა რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიას.

1910 წლის 8 ივლისს რუსეთის ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გაუქმდა და იგი გამოცხადდა ჩურუქსუს საბაჟო გადასასვლელ პუნქტად. 1918 წლიდან შეკვეთილში დასახლდნენ რუსი „სტაროვერები“ (ძველმართლმადიდებლები). 1920 წელს შეკვეთილის ციხე დაანგრის.

დანართი: შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს საქმიანობის ამსახველი საარქივო-დოკუმენტები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 10 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N10

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 5 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N5

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 26 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N6

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N12

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 40 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N40

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 27 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N7

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 21 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N21

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 78 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N78

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 13 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N13

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 41 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N41

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 12 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N12

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 20 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N20

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 83 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N83

ასს. ფ. ი-13, ან. 2, ს. 95-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 2, საქმე N95

ასს. ფ. ი-13, ან. 1, ს. 41-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-13 ანაწერი 1, საქმე N41

მალხაზ სიორიძე 2003 :-ბათუმის საბაჟო ბათუმი 2003 წ.

დიმიტრი ბაქრაძე 1987: - „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. ბათუმი 1987 წ.

ნიკოლოზ ბერძენიშვილი 1964 : - „ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისთვის საქართველოში“. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I თბილისი 1964 წ.

თედო სახოკია 1985 :- „მოგზაურობა გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი“. ბათუმი 1985 წ.

აბელი სურგულაძე მალხაზ სიორიძე 1996 :- „პორტო-ფრანკო“. ბათუმი 1996 წ.

რევაზ უზუნაძე 2001:- „ნაოსნობა ბათუმის ოლქში (სამხედრო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები)“. ბათუმის უნივერსიტეტი 2001 წ.

გირგი ყაზბეგი 2012 : - „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო, სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევები“. ბათუმი 2012 წ.

თამაზ ბერაძე 1981: -, ნაოსნობა შუა საუკუნეების საქართველოში“. თბილისი 1981 წ.

Ajara in the Post-Soviet Period (1990-2023 years)
აჭარა პოსტსაბჭოთა პერიოდში (1990-2023 წლები)

Ucha Okropiridze

PhD in History,

Chief scientific researcher at the Department of

History and Archaeology of

Niko Bardzenishvili Institute of

Batumi Shota Rustaveli State University,

e-mail: ucha.okropiridze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-1696-0781>

Abstract: The paper begins with the events that developed in Georgia in early 1989. It tells about the processes developed here on April 9, 1989, and the events surrounding the autonomous formations in Georgia. It discusses the results of the elections of the Georgian Congress on September 30, 1990, and the elections of the Supreme Council of Georgia on October 28 of the same year and their influence on the current events in our region. The relationship between the activities of the parties of the national direction in Adjara and the national government of Georgia at the initial stage of their coming to power and the attitude of Aslan Abashidze's government towards it is studied. The prerequisites for the creation of the "Revival Union" in Adjara after the December-January 1991-1992 military-criminal coup in Georgia and the dynamics of its formation, the struggle against the putschist coup in Georgia are analyzed.

The driving impulses of the October 11, 1992 "Hope" and the subsequent "Uimedon" elections in Georgia and its results in Adjara and Georgia as a whole are investigated. The activity of the Adjara National Forces and its activities in the struggle for the restoration of legality in Georgia.

The coup d'état of March 1, 1994 - the ratification of Georgia's entry into the CIS. year by the Parliament and the role of the Adjara deputation in this case.

The changes in the state and system structures of the Autonomous Republic of Adjara in 1991-2002 have been studied. The arrival of Mikheil Saakashvili in the central government of Georgia and the changes implemented in the autonomy of Ajara - on May 6, 2004, A. from the government of Ajara. The departure of Abashidze and the establishment of the government of the National Movement here, the policy pursued by him until 2012. Since October 2012, Saakashvili's team has left the government of Georgia and the modern policy of the "Dream" government in the Autonomous Republic of Adjara. Its activities and priorities.

Key words: Ajara; Post-Soviet period; Batumi.

უჩა ოქროპირიძე
ისტორიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ელ-ფოსტა: ucha.okropiridze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-1696-0781>

აბსტრაქტი: ნაშრომი იწყება 1989 წლის დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენებით. მასში მოთხრობილია აქ 1989 წლის 9 აპრილს და შემდგომ განვითარებული პროცესებისა და საქართველოში არსებულ ავტონომიურ ფორმირებების გარშემო მიმდინარე მოვლენების შესახებ. მასში განხილულია როგორც 1990 წლის 30 სექტემბრის საქართველოს კონგრესის, ისე ამავე წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგები და მათი გავლენა ჩვენს რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე. შესწავლილია აჭარაში ეროვნული მიმართულების პარტიათა საქმიანობისა და საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება მათი ხელისუფლებაში მოსვლის საწყის ეტაპზე და ასლან აბაშიძის მთავრობის დამოკიდებულება მის მიმართ. აჭარაში „აღორძინების კავშირის“ შექმნის წინაპირობები საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ და გაანალიზებულია მისი ჩამოყალიბების დინამიკა, ბრძოლა საქართველოში მომხდარ პუტჩისტურ გადატრიალებასთან.

გამოკვლეულია 1992 წლის 11 ოქტომბრის „იმედისა“ და მასზე მიყობებული „უიმედობის“ არჩევნების წარმმართველი იმპულსები საქართველოში და მისი შედეგები აჭარაში და სრულიად საქართველოში. აჭარის ეროვნულ ძალთა აქტივობა და მისი საქმიანობა საქართველოში კანონიერების აღდგენისათვის გამართულ ბრძოლაში.

1994 წლის 1 მარტის სახელმწიფო გადატრიალება - „დსთ“-ში შესვლის რატიფიცირება საქართველოს ე. წ. პარლამენტის მიერ და აჭარის დეპუტაციის როლი ამ საქმეში.

შესწავლილია 1991-2002 წლებში მომხდარი ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო და სისტემურ სტრუქტურებში. საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლა და აჭარის ავტონომიაში განხორციელებული ცვლილებები - 2004 წლის 6 მაისს, აჭარის ხელისუფლებიდან ა. აბაშიძის წასვლა და აქ ნაცემოდრობის ხელისუფლების დამყარება, მის მიერ გატარებული პოლიტიკა 2012 წლამდე. 2012 წლის ოქტომბრიდან სააკაშვილის გუნდის წასვლა

საქართველოს ხელისუფლებიდან და „ოცნების“ მთავრობის თანამედროვე პოლიტიკა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მისი საქმიანობა და პრიორიტეტები.

საკვანძო სიტყვები: აჭარა; პოსტსაბჭოთა პერიოდი; ბათუმი.

1989 წლის დასაწყისში განსაკუთრებით რეზონანსული იყო საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოებისადმი მიძღვნილი საპროტესტო გამოსვლათა ტალღა, რომელმაც მთელს აჭარაში ჰპოვა გამოხმაურება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სრულიად საქართველოს მასშტაბით ასევე არნახული გამოცოცხლება მოჰყვა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას. 1989 წლის 4 აპრილს თბილისში დაწყებული გრანდიოზული აქციების გამოძახილი იყო იმავე წლის 7 აპრილს ბათუმის გარეუბანში, სოუქ-სუს სასაფლაოს ეკლესიის ეზოში ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ აქტივისტთა თათბირი, რომელზედაც დაისვა თბილისში მიმდინარე აქციისადმი დამოუკიდებლობის საკითხი...

1989 წლის 9 აპრილის ღამეს თბილისში დატრიალებული ამბები ბათუმში იმავე დილით გახდა ცნობილი. ბათუმელ აქტივისტთა 20 კაციანმა ჯგუფმა წმ. ილიას ძეგლიდან სოუქ-სუს სასაფლაომდე მანძილი გაშლილი დროშით გაიარა იმედიტ, რომ ქალაქის მოსახლეობა შეუერთდებოდა მათ, რაც არ გამართლდა. 10 აპრილს, ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტის ეზოში მოეწყო მიტინგი-მანიფესტაცია ქალაქში შემდგომი მსვლელობით [მიქელაძე, 2005]. იმავე დღეს ინსტიტუტის უკან, ბათუმის ბულვარში გაშენდა 9 აპრილის ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სკვერი, სადაც შემდეგ დაიდგა გრანიტის სტელა წარწერით – „ცხრა აპრილის ცრემლი“...

9 აპრილის შემდეგ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე კიდევ უფრო მწვავედ დაისვა საქართველოში არსებულ ავტონომიებთან ურთიერთობის საკითხი. პირველი ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც 20 ათასამდე კაცი ესწრებოდა და სადაც პირდაპირ დაისვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი, გაიმართა 1989 წლის 26 მაისს ბათუმის ბულვარში მდებარე ძველ შადრევნებთან. ამ თემაზე პოლემიკამ ფართო ხასიათი მიიღო საქართველოსა თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრესასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებში.

1990 წლის 30 სექტემბერს ჩატარებულ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში, აჭარიდან გაიმარჯვეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, ედპ-მ და რესპუბლიკურმა პარტიამ [სია შედგენილია ტარიელ მახარაძის მიერ ჩემთვის გადმოცემული მოგონებებისა და დოკუმენტების საფუძველზე], ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბრის

საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში აჭარაში, ბათუმის გარდა (დავით ბერძენიშვილი და თამაზ დიასამიძე), კომუნისტებმა გაიმარჯვეს [ოქროპირიძე, 2005]. 1990 წლის 30 ნოემბრის აქცია, - კომუნისტური მმართველობის მიერ თავისი ძალების გენერალური დათვალიერება...

1991 წლის 6 თებერვალს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის XI უზენაესი საბჭოს XII სესია, რომელმაც მიიღო კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ [„აჭარა“, № 23, 1991]. სულ მალე, ამ კანონთა და დადგენილებათა მიღების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში დაიწყო ცვლილებები. მისი ხელისუფლების სათავეში მოვიდა ასლან აბაშიძე, ხოლო მარტის დასაწყისში ქ. ბათუმსა (ტარიელ ფუტკარაძე) და აჭარის რაიონებში ში - ანზორ თხილაიშვილი, ხელვაჩაურში - ბესარიონ ბიბინიშვილი, ქედაში - სანდრო ბერიძე, შუახევში - შოთა ფუტკარაზე და ხულოში - ბეჟან გობაძე) დაინიშნენ პრეფექტები და ჩამოყალიბება დაიწყო პრეფექტურებმა [ოქროპირიძე უ., 2005: 27-29; მიმართვა., „აღდგომა“, № 6 (103), 1996]. ამ დროს, აჭარაში მოქმედ ოპოზიციონერ კონგრესმენტთა აქტივობა საკმაოდ ორგანიზებულ და მრავალფეროვან ხასიათს ატარებდა. ბათუმში განლაგებული მათი საკოორდინაციო საბჭოს შტაბი და მისი მომხრეები აჭარის მოსახლეობისათვის შეურაცხმყოფლად თვლიდნენ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს, მოუწოდებდნენ აჭარის მოსახლეობას ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ბოიკოტირებისაკენ და სხვა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას უდიდესი სიხარულით შეხვდა აჭარის მოსახლეობაც. მაგრამ მეტად ნიშანდობლივი იყო აქ მოქმედ ოპოზიციურ ძალთა დამოუკიდებულება აღნიშნული აქტისადმი. მათ, ფაქტობრივად, ამ ისტორიული აქტის ბოიკოტირება სცადეს. ხოლო ქ. ბათუმმა და აჭარის მოსახლეობამ უდიდესი ზეიმით აღნიშნა საქართველოს ისტორიაში ეს უდიდესი მოვლენა და ქალაქ ბათუმში გაიმართა სადღესასწაულო მიტინგი-მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათეულ ათასობით ადამიანმა... [[„აჭარა“, № 6 (18.719), 1991]. სულ მალე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებიდან, აჭარაში ქედის, შუახევის და ხულოს პრეფექტურებთან არსებულმა საკრებულოებმა ქ. ბათუმის მაშინდელი პრეფექტის, ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივას თანადგომა გამოუცხადეს და აჭარის ხელისუფლების გვერდის ავლით საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინეს ამ საკრებულოების გადაწყვეტილება აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით, რაც პირად შეურაცხყოფად იქნა აღქმული ასლან აბაშიძისა მიერ და ამ გადაწყვეტილების გასაბათილებლად იგი აქტიურად ამოქმედდა. ამას კი

მოყვა 1991 წლის 22 - 23 აპრილის სახელისუფლებო გადატრიალების მცდელობა აჭარაში [ტალიაშვილი, 1994].

ამ მოვლენების პარალელურად აქ მიმდინარეობდა ეროვნული მოძრაობის ავანგარდში მდგარი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკურ ბლოკში შემავალ ადგილობრივ სუბიექტთა გაძლიერება-განმტკიცებაც.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებაში აჭარას მონაწილეობა თითქმის არ მიუღია, მაგრამ კანონიერი ხელისუფლებისადმი მისი მხარდაჭერაც არაეფექტური იყო. უნდა ითქვას, რომ ამ რეგიონიდან გამოსულმა პოლიტიკაზე პრეტენზიის მქონე პიროვნებებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ისტორიაში ამ სამწუხარო ამბების იდეოლოგიურ მომზადებაში, რასაც შემდეგში, სამხედრო პუტჩის პერიოდში, თან სდევდა, მათი ასევე განსაკუთრებული „თავგანწირვა“ თავის გამოჩენის მიზნით

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დაწყებისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ გაატარა სასწრაფო ღონისძიებები თბილისში განხორციელებული ძალადობის აქტის რეგიონზე გავრცელების აღსაკვეთად, რაშიც მას თანადგომა განუცხადა ამ კუთხეში მოქმედმა ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის ძალებმა. თავის მხრივ აჭარის ხელისუფლებამ 1991 წლის 25 დეკემბერს ე. ბათუმში შექმნა „აღორძინების“ კავშირის საინიციატივო ჯგუფი. მისი დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდა 1992 წლის 24 აპრილს ბათუმში. ორგანიზაციას ეწოდა „აჭარის აღორძინების სრულიად საქართველოს კავშირი“, ხოლო მისი დევიზი გახდა „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ [დემოკრატიული აღორძინების კავშირის (შემდგომში დაკ) არქივი, აღწ. 1, საქმე 1, 1991].

აჭარის ხელისუფლებამ, მიუხედავად ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა პოზიციისა, რომლებიც პირდაპირ ეპატიჟებოდნენ აჭარაში საქართველოს დამატყვევარ კრიმინალურ ბანდებს, შეძლო აჭარის მოსახლეობის თავის გარშემო კონსოლიდაცია და ამ კუთხეს თავიდან ააცილა ის უდიდესი კატაკლიზმები, რამაც, ფაქტობრივად, დანაწევრებამდე მიიყვანა ქართული სახელმწიფო.

1992 წლის 7 მარტს საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. იმავე დღით თარიღდება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი“, რომელშიც იგი უდიდეს იმედსა და მხარდაჭერის რწმენას გამოთქვამს აჭარის მოსახლეობისა და მისი ხელისუფლებისადმი [მიმართვა აჭარის.., 2005: 7].

1992 წლის 19 აპრილს თავად ე. შევარდნაძე ჩამოვიდა და იმოგზაურა ზემო აჭარაში, ხოლო 20 აპრილს მოაწყო შეხვედრები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

სააქტო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებისა და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან [გაზ. „საჩინო“, № 1, 1991]..

მაშინდელი აჭარის სინამდვილეში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1992 წლის 8 მაისის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, რომელზედაც წარმოშობილი წინააღმდეგობის გამო რესპუბლიკური პარტიის წევრმა ოთარ ზოიძემ და ჰელსინკის კავშირის ყოფილმა წევრმა ბეჟან გობამემ დღის წესრიგში დააყენეს ასლან აბაშიძის გადაყენების მოთხოვნა, მაგრამ ასლან აბაშიძემ მოხერხებული მანევრით თავიდან აიცილა ეს საშიშროება და შემდეგში ფაქტობრივად გააუქმა აჭარის უზენაესი საბჭო და მისი უფლება-მოვალეობანი მისსავე პრეზიდიუმს გადაულოცა[„დრონი“, 1992, 16. 05].

ამის პარალელურად კონგრესმენ-ოპოზიციონერები აჭარაში ამ დროს მიმართავდნენ სხვაგვარად მოაზროვნეთა და პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა აზრის დატერორების უნიკალურ მეთოდებს – აქციებში მონაწილე ხალხისა და პიროვნებების ლანძღვა-გინებასა და დამცირებას, მათი აზრების უსამართლო განქიქება-დაცინვას [ოქროპირიძე, 2009: 160-161]..

1992 წლის 11 ოქტომბრის „იმედის“ არჩევნებში ამ ძალებმა აჭარაში თავი მოიყარეს საარჩევნო ბლოკში „11 ოქტომბერი“. აჭარაში მოქმედი ე. წ. ოპოზიციური ძალები წუხდნენ ხუნტის ხელისუფლების აქ გაუვრცელებლობის შესახებ და საქართველოში არჩევნებზე საუბრისასაც, ისევ აჭარაში მათ მიერ დაფიქსირებულ დარღვევებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მაგრამ აჭარაში იყვნენ ძალები, რომლებიც ობიექტურად აფასებდნენ საქართველოში შექმნილ ურთულეს ვითარებას და აქტიურად მოქმედებდნენ საერთო ქართული ინტერესების შესაბამისად [იქვე: 169]..

1992 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აქტიურად ხდებოდა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია. ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული ხსნის და დაუმორჩილებლობის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციები.

1993 წ. მარტის პირველ ნახევარში ბათუმში შეიქმნა საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების აჭარის სამხარეო ორგანიზაცია, ხოლო 1993 წლის 21 მარტს ჩატარდა სრულიად საქართველოს ეროვნულ პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება [გაზ. „საქართველოს სამრეკლო: № 3 (5), 1993: 1]. 1993 წლის 27 მარტს კი აჭარის დელეგაციამ ქ. ზუგდიდში მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობა „ჭყონდიდელის“ პირველი კონფერენციის მუშაობაში. ჭყონდიდელური მოძრაობის სათათბიროს ახალ წევრებად კონფერენციამ აირჩია – უჩა ოქროპირიძე, ჯემალ გამახარია, დავით ქობალია, ავთანდილ ჩიტაძე და როლანდ გაგუა [გაზ. „ჭყონდიდელი # 2, 1993].

მოძრაობა „ჭყონდიდელისა“ და კონსტანტინე გამსახურდიას აჭარის ორგანიზაციებმა ბათუმში თავიანთი პირველი გაერთიანებული აქცია

ჩაატარეს 1993 წლის 31 მარტს; იმავე წლის 9 აპრილს კი მიტინგი-მანიფესტაციის მონაწილენი დაგეგმილი სვლა-გეზით მივიდნენ ბათუმის ბულვარში მდებარე 9 აპრილის მემორიალთან და დადეს ფიცი, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლებდნენ ედუარდ შევარდნაძის მოღალატურ რეჟიმთან. კანონიერების აღდგენის მოთხოვნით მთელ საქართველოში გაიშალა აქტიური მუშაობა – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103 თანამშრომლის მიმართვისადმი მხარდაჭერამ საქართველოში საყოველთაო ხასიათი მიიღო. აღნიშნულ მიმართვას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა აჭარაც – სრ. საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა (შემოკლ. - ე. პ. მ. - უ. ო.) „ჭყონდიდელის“ აჭარის სამხარეო და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების აჭარის ორგანიზაციები.[გაზ. „იბერია-სპექტრი“, № 79, 1993]. ანალოგიური მიმართვა გააკეთა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების აჭარის ორგანიზაციამაც, [„იბერია-სპექტრი“, № 80, 1993: 2].

ამასთან, ბათუმში შესაძლებელი გახდა კონსტანტინე გამსახურდიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება [„აღდგომა“, №6 (103), 1996: 4-5].

1993 წლის 8, 9 და ივლისს ქ. ზუგდიდში შედგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია; აჭარიდან აღნიშნულ სესიას დეპუტატის სტატუსით ესწრებოდა ტარიელ ფუტკარაძე, აგრეთვე მიწვეული სტუმრები [„ვერისი“, № 1, 1993: 1].

1993 წლის სექტემბრის დასაწყისში ედუარდ შევარდნაძემ მორიგი მოგზაურობა მოაწყო დასავლეთ საქართველოში და 5 სექტემბერს შეხვედრები მოაწყო ქუთაისში, ფოთში. იმავე დღეს ეწვია ბათუმს და შეხვდა ასლან აბაშიძეს [გაზ. „იბერია-სპექტრი“, № 85, 1993: 6]. აჭარის ხელისუფლებამ სცადა ურთიერთ დაპირისპირებულ მხარეთა შორის ნდობის აღდგენა და ურთიერთ კომპრომისის მიღწევის მიზნით ორივე მხარე ქობულეთის რაიონში სოფელ ბობოყვათში მდებარე სამთავრობო რეზიდენციაში მიიწვია. აქ მოლაპარაკება გაიმართა 1993 წლის 8 და 9 სექტემბერს. მაგრამ, ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერა, რადგან ამ შედეგისთვის ყველაფერი გააკეთა შევარდნაძის ხელისუფლებამ. ასეთ ვითარებაში, 1993 წლის 24 სექტემბერს საქართველოში დაბრუნდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 26 სექტემბერს ზუგდიდში გაიმართა გრანდიოზული მიტინგი; აქციას აჭარიდან დაესწრო ზუგდიდში სპეციალურად ჩასული სოლიდური წარმომადგენლობა. მასზე საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის დაწყებისადმი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ უჩა ოქროპირიძე და ნინო ნოღაიდელი.

საინტერესოა 1993 წლის 24 ოქტომბრის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა ბატონ ზვიად

გამსახურდიასადმი“, რომელშიც ნათლად არის დახატული საქართველოში შექმნილი ვითარება, შემდეგ კი ნათქვამია: „... პრინციპულად ვგმობთ და ვემიჯნებით ძალისმიერ პოლიტიკურ კურსს. ჩვენ პირველებმა ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობა დანაშაულია“ [„აღორძინება“, № 22, 1993: 1].

1994 წლის 1 მარტს კონდოტიერთა კასტამ, რომელსაც მითვისებული ჰქონდა საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება – 125 ხმით, 69-ს წინააღმდეგ რატიფიცირება გაუკეთა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლას. მათ შორის ამ ფაქტს დადებითი ხმა მისცეს დეპუტატებმა აჭარიდან... [„ქართველი ერი“, № 5 (59), 1994: 1-2].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ. 9 აპრილი) აჭარაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები არ მომხდარა (გარკვეულ დრომდე) და იგი კვლავ 2 ქალაქის, 5 სასოფლო რაიონის და 7 დაბისაგან შედგებოდა. მაგრამ 1991-2002 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო, აღმასრულებელმა სასამართლო ხელისუფლებამ და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა. ამ წლებში 4-ჯერ ჩატარდა აჭარის ა. რ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნები, ჩამოყალიბდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტები და ქვეკომიტეტები, შეიქმნა მინისტრთა საბჭო, აირჩიეს კონტროლის პალატა და უზენაესი სასამართლო. შემოიღეს ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტი და გაზარდეს მისი უფლებამოსილება, არჩეული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორპალატიანი პარლამენტი, რაც გაგრძელდა ასლან აბაშიძის აჭარის ხელისუფლებიდან გამეფებამდე, 2004 წლის 6 მაისამდე.

ხელისუფლების მიერ გატარებული სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები მეტწილად აისახა მთელი რეგიონის ცხოვრებასა და ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე, ცენტრსა და რეგიონს შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ხელისუფლებიდან ედუარდ შევარდნაძის წასვლის შემდეგ, რამდენიმე თვეში, ასლან აბაშიძემ აჭარა დატოვა და მოსკოვს მიაშურა. ხოლო აჭარა საკანონმდებლო დონეზე კვლავ დაუბრუნდა საქართველოს კონსტიტუციურ და საკანონმდებლო სივრცეს. ახალ საფეხურზე ავიდა მხარის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღმშენებლობა. შეიქმნა და აშენდა თანამედროვე ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურები - განახლდა და თანამედროვეობას შეეფარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ბაზა.

აჭარის ხელისუფლებიდან ასლან აბაშიძის წასვლის შემდეგ მას პრეზიდენტის ბრძანებულებით დროებით, როგორც საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ლევან ვარშალომიძით მართავდა, რომელიც

2004 წლის 20 ივლისიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახდა და იგი ამ თანამდებობაზე 2012 წლამდე დარჩა.

სააკაშვილის გუნდის საქართველოს ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 2012 წლის 30 ოქტომბრის აჭარის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, გახდა არჩილ ხაბაძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კი მიხეილ მახარაძე. ამავე წლის 1 ნოემბერს კი შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაც შემდეგი შემადგენლობით: გიორგი თავართქილაძე - ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, ზაურ ფუტყარაძე - სოფლის მეურნეობის მინისტრი, ნუგზარ სურმანიძე - ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მინისტრი, გიორგი თავამაიშვილი - განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრი. ჩამოყალიბდა აჭარის უმაღლესი საბჭოს 5 კომისია - აგრარული და თვითმმართველობის, განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცესო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა. ხოლო 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს აპარატის რიცხოვნება განისაზღვრა 79 სამტატო ერთეულით.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრიორიტეტად გამოცხადდა ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის მკურნალობა, ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობის აღდგენა და პაციენტისათვის ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება. აგრეთვე შშმ პირების, ომის ვეტერანების თუ ტერიტორიული 2022 წელს განათლების კულტურის და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენდა 82 413200 ლარს, ხოლო 2023 წელს აღნიშნული ბიუჯეტი გაიზარდა 12 079 000 ლარით და შეადგინა 94 492 200 000 ლარი. რაც სამინისტროს სფეროში შემავალი თითოეული მიმართულებით გაზრდილ მხარდაჭერას და ახალ შესაძლებლობებს გულისხმობს... – აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

...მასშტაბური პროექტებია დაგეგმილი 2023 წლისათვის, რაც 80 სკოლის მშენებლობა რეაბილიტაციას გულისხმობს.

გასულ წელს სამინისტროს მხარდაჭერით და ფინანსური უზრუნველყოფით 300-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო საერთაშორისო გამოცდილება. ეს ციფრი, ისევე როგორც ბევრი სხვა მონაცემი, იქნება მზარდი 2023 წლისათვის.

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა/ დაფინანსებისათვის 7 მილიონი დარი დაიხარჯება მიმდინარე წელს...

ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქში 560 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯ „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა.

კულტურის მიმართულებით... ამ სფეროს ხელშეწყობა 30 მილიონი ლარი მოხმარდება. 6.5. მილიონი დაიხარჯება კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე [მინისტრის საათი, ...]

..2022 წლის წინასწარი მონაცემებით, აჭარაში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 116.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელს 37%-ით აღემატება...

...ბიზნეს სექტორის 2022 წლის კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით ბრუნვა გაზრდილია 20%-ით გამოშვება 16%-ით, ხოლო დასაქმება 8%-ით

2023 წელს ბათუმი არაერთი მსოფლიო დონის სპორტული ღონისძიების მასპინძელი იქნება. 26 მარტს საზეიმო ვითარებაში 21 წლამდეელთა ევროპის ჩემპიონატის თასი შემოვა ბათუმის სტადიონი უმასპინძლებს ეროვნული ნაკრების მნიშვნელოვანმა ტაქებს ფეხბურთში... სამინისტროს სხვადასხვა პროგრამის 400 სტუდენტს დაუფინანსდება საზღვარგარეთ სწავლა და სტაჟირება.

რეგიონში გასულ წელს დაფიქსირდა 3,5 მლნ-ზე მეტი ტურისტული ვიზიტი. გრძელდება რეგიონის პოზიციონირება მნიშვნელოვან გამოფენებზე, როგორცაა – ბერლინის, მადრიდის მილანისა და ისრაელის ტურისტული გამოფენები [აჭარის მთავრობის სხდომა]. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეებისათვის წლიური დახმარების ლიმიტის განსაზღვრა 5000 ლარით. ამასთან ღვიძლით დაავადებულებს აღნიშნული ორგანოს ტრანსპლანტაციისათვის გამოეყოფათ ერთჯერადად 40000 ლარი. ფინანსდება წელიწადში 5 პაციენტი რიგითობის მიხედვით. (2016 წლისთვის აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ღვიძლის ტრანსპლანტაციას აფინანსებდა 10 000 ლარით).

განათლების მიმართულებით პრიორიტეტად რჩება სისტემის ინფრასტრუქტურული განვითარება, განათლების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიმართულებითა აკუმულირებული პროგრამების განხორციელება და მათი დაფინანსება.

2017 წელს პრიორიტეტულად გამოცხადდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, კულტურის ორგანიზების ინსტიტუციური განვითარება და სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული სპორტის მხარდაჭერა და სხვა.

მნიშვნელოვანია რეგიონში ინვესტიციების მოზიდვაზე ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებაზე ზრუნვა, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის განვითარება, ქ. ბათუმში მრავალ პროფილური საავადმყოფოსა და საერთაშორისო სტანდარტების ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა, რომელიც უკვე გაიხსნა და 2023 წლის 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მატჩებისა და ფინალის მასპინძელიც გახდა.

დაიწყო ქალაქთმშენებლობის და სივრცითი მოწყობის, აგრეთვე ინვესტიციების მოზიდვის პროგრამების განხორციელება. ამ უკანასკნელის 2017 წლის ბიუჯეტი 1.797.000 ლარი იყო გათვალისწინებული. სათანადო საინვესტიციო ინფრასტრუქტურის შექმნისა და მისი სათანადო მომსახურებისათვის ვიდეო რგოლებისა და სარეკლამო მასალის გარდა გათვალისწინებული იქნა ყოველ წლიური საერთაშორისო საინვესტიციო ბიზნეს-ფორუმის - „Invest in Batumi“-ის ორგანიზება, რომლის ბიუჯეტმა 2017 წელს 335.000 შეადგინა.

მიმდინარეობს საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რასაც თან სდევს სათანადო ტექნიკის შეძენა. მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად წარმოებს მუშაობა გზებზე არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცდილობდა 2015-2018 წლებში თავისი საქმიანობის პრიორიტეტად ექცია თავისი საქმიანობის გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეებთან საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმების შექმნით უზრუნველყო მათი ჩართულობა აგრარულ სფეროში საქმიანობის ყველა ეტაპზე და ა. შ. და ა. შ.

აჭარის მთავრობის მუშაობის შედეგია მთის კანონის მიღება და მაჭახლელთა ძალისხმევით (როინ მალაყმაძე და მოძრაობა „ფიცის კაცები“) შედეგად, მისი გავრცელება მდინარე მაჭახლის ხეობაზეც, „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის ეტაპობრივი განხორციელება, ყველა მუნიციპალიტეტში სოციალური სახლების მშენებლობა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაორმაგება; ამოქმედდა ბათუმის საფეხბურთო სტადიონი, რომელზედაც ჩატარდა 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი და, რაც მთავარია, მისი ფინალი; აგრეთვე ბათუმში აშენდა უნივერსალური სპორტკომპლექსი, აქტიურად მიმდინარეობს ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება [აჭარის მთავრობის ანგარიში 2022-2023 წლები, 15 ივნისი, Adjara.gov.ge/description.aspx?gtid=1184114].

2022 წელს განათლების კულტურის და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენდა 82 413200 ლარს, ხოლო 2023 წელს აღნიშნული ბიუჯეტი გაიზარდა 12 079 000 ლარით და შეადგინა 105 446 000 ლარი. რაც სამინისტროს სფეროში შემავალი თითოეული მიმართულებით გაზრდილ მხარდაჭერას და ახალ შესაძლებლობებს გულისხმობს... – აღნიშნა მათა ხაჯიშვილმა.

...მასშტაბური პროექტებია დაგეგმილი 2023 წლისათვის, რაც 80 სკოლის მშენებლობა რეაბილიტაციას გულისხმობს.

გასულ წელს სამინისტროს მხარდაჭერით და ფინანსური უზრუნველყოფით 300-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო საერთაშორისო

გამოცდილება. ეს ციფრი, ისევე როგორც ბევრი სხვა მონაცემი, გაიზრდება 2023 წლისათვის.

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა/ დაფინანსებისათვის 7 მილიონი ლარი დაიხარჯება მიმდინარე წელს.

ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქში 560 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯ „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს.

კულტურის მიმართულებით, ამ სფეროს ხელშეწყობას 30 მილიონი ლარი მოხმარდება. 6.5 მილიონი დაიხარჯება კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე [მინისტრის საათი ...]

2022 წლის წინასწარი მონაცემებით, აჭარაში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 116.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელს 37%-ით აღემატება.

ბიზნეს სექტორის 2022 წლის კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით ბრუნვა გაზრდილია 20%-ით, გამოშვება 16%-ით, ხოლო დასაქმება 8%-ით.

2023 წელს ბათუმი არაერთი მსოფლიო დონის სპორტული ღონისძიების მასპინძელი იქნება. 26 მარტს საზეიმო ვითარებაში 21 წლამდეელთა ევროპის ჩემპიონატის თასი შემოვიდა ბათუმის სტადიონმა უმასპინძლა ეროვნული ნაკრების მნიშვნელოვან მატჩებს ფეხბურთში. სამინისტროს სხვადასხვა პროგრამით 400 სტუდენტს დაუფინანსდება საზღვარგარეთ სწავლა და სტაჟირება.

რეგიონში გასულ წელს დაფიქსირდა 3,5 მლნ-ზე მეტი ტურისტული ვიზიტი. გრძელდება რეგიონის პოზიციონირება მნიშვნელოვან გამოფენებზე, როგორცაა – ბერლინის, მადრიდის, მილანისა და ისრაელის ტურისტული გამოფენები [აჭარის მთავრობის სხდომა]. წელს მათი რიცხვი, ვარაუდით, კიდევ უფრო გაიზრდება.

არ შეჩერებულა სამართლებრივი და კანონ შემოქმედებითი საქმიანობა მის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებით, რაც თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითად მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

მიქელაძე, №1, 2005: - მიქელაძე ნ., „მოგონებები“, გაზ. ჟამთააღმწერელი“, 2005 წლის №1;

ოქროპირიძე, 2005: - ოქროპირიძე, უ., „საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და აჭარის ავტონომიის პრობლემა“, გამოც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2005;

„აჭარა“, № 23, 1991: – გაზეთი „აჭარა“, 1991 წლის №23;

მიმართვა... „აღდგომა“, № 6 (103), 1996];
„აჭარა“, № 6 (18.719), 1991;
ტალიაშვილი, 1994: – ტალიაშვილი ი., „არა მეფენი, ანუ პერის პარპაში“, გაზეთი „მზგეფსი“, 1994, № 15;
დემოკრატიული აღორძინების კავშირის (შემდგომში დაკ) არქივი, აღწ. 1, საქმე 1, 1991;
მიმართვა აჭარის..., 2002: – „მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი“, გაზ. „ქამთააღმწერელი“, 2005 წლის № 2;
მიმართვა..., 1996: – „მიმართვა აჭარის მოსახლეობას!“, გაზ. „აღდგომა“, 1996, № 6 (103);
გაზ. „საჩინო“, № 1, 1991;
გაზ. „დრონი“, 1992, 16. 05;
ოქროპირიძე, 2009: - ოქროპირიძე უ., „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე პერიოდი და აჭარა (1988.X-1994 I.III)“, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2009;
გაზ. „საქართველოს სამრეკლო: № 3 (5), 1993: 1;
გაზ. „იბერია-სპექტრი“, № 79, 1993;
გაზ. „იბერია-სპექტრი“, № 80, 1993: 2;
გაზ. „აღდგომა“, №6 (103), 1996: 4-5;
გაზ. „ეგრისი“, № 1, 1993: 1;
გაზ. „აღორძინება“, № 22, 1993: 1;
გაზ. „ქართველი ერი“, № 5 (59), 1994: 1-2;
აჭარის მთავრობის ანგარიში 2022-2023 წლები, 15 ივნისი, Adjara.gov.ge/description.aspx?gtid=1184114;

Snake Island – a Short History and Its Legal Status over the Years
გველის კუნძული – მოკლე ისტორია და მისი სამართლებრივი
სტატუსი წლების განმავლობაში

Georgian-Ionuț Stan

PhD Student at Bucharest University
of Economics, Romania

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-9480-7347>

Abstract: Snake Island is a small, uninhabited, and remote island located in the Black Sea, not far from Ukraine and Romania common border on Danube River. Over the years, this small island played a noteworthy role in controlling the Danube mouths and its important role can be noticed significantly increased these days. Taking into consideration the present invasion of Ukraine by Russia, an interdisciplinary study, both historical and juridical, is more than welcome to observe why this tiny island was so beloved by different actors over the time and nowadays also plays a significant role. From juridical perspective this sui generis island plays a large role to determine maritime delimitation. The last dispute in which this island was involved concerned the maritime delimitation between Ukraine and Romania, and the particularities of the island determined the countries right over maritime zone (EEZ).

Key words: Snake Island, Black Sea, history, international law, legal status, Danube, maritime boundaries.

გეორგიან-იონუტ სტანი

ბუქარესტის ეკონომიკის უნივერსიტეტის
დოქტორანტი, რუმინეთი

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-9480-7347>

აბსტრაქტი: გველის კუნძული არის პატარა, დაუსახლებული კუნძული, რომელიც მდებარეობს შავ ზღვაში, უკრაინასა და რუმინეთის საერთო საზღვრის სიახლოვეს, დუნაის მდინარეზე. წლების განმავლობაში ეს პატარა კუნძული მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დუნაის ნაპირების კონტროლში, ხოლო მისი მნიშვნელობა რეისათვის კიდევ უფრო გაიზარდა. უკრაინაში რუსეთის შეჭრის გათვალისწინებით, ისტორიული და სამართლებრივი ინტერდისციპლინური შესწავლა ძალზე მისაღებია, რათა გავიგოთ, რატომ იყო ეს პატარა კუნძული სხვადასხვა აქტორებისთვის მნიშვნელოვანი და რატომ აგრძელებს ის კვლავ

ყურადღების ცენტრში ყოფნას. სამართლებრივი პერსპექტივიდან ეს „*sui generis*“ კუნძული დიდ როლს თამაშობს საზღვაო გამყოფი ხაზის განსაზღვრაში. ბოლო დავა, რომელშიც ეს კუნძული იყო ჩართული, შეეხებოდა უკრაინასა და რუმინეთს შორის საზღვაო გამყოფ ხაზთან დაკავშირებით და კუნძულს ჰქონდა დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებიც განსაზღვრავდა ქვეყნების უფლებას საზღვაო ზონაზე (EEZ).

საკვანძო სიტყვები: გველის კუნძული, შავი ზღვა, ისტორია, საერთაშორისო სამართალი, სამართლებრივი სტატუსი, დუნაი, საზღვაო საზღვრები.

1. Introduction

The universality and immensity of world history does not really leave room for increased attention to small geographical spaces or less notable historical facts.

However, history is rich in different conflicts that reconfigured borders, gave birth to new peoples, or led to the demise of peoples. Sometimes gaining of small new territories ensured the survival of peoples or at least secured a strategic position in relation to other nations. Not infrequently we have been given to see certain military conflicts or actions of force for some territories or islands, for which apparently there would be no interest in³⁸.

Nevertheless, if we go beyond appearances, we will find that these insignificant territories can play an overwhelming strategic role.

In addition to the aspects shown above, the 20th century showed us that apparently insignificant territories can hide important natural resources, so the economic importance of these places should be considered, as well as strategic position.

2. Short history of The Black Sea and Snake Island

The term of "sea" can represent, from historical point of view, a geographical area that throughout history has been the source of the development of peoples and

³⁸ An example is the history of Falkland (Malvinas) Islands. These islands were source of a powerful conflict between United Kingdom and Argentina, and ignoring the appearances we can say these islands can play a significant strategic role around South Atlantic.

civilizations³⁹. Except for the chronological limits, the division of history into stages can have as its starting point the geographical framework of a sea or an ocean, as for example in the case of Europe and the Near East, where the Mediterranean Sea was the cradle of many civilizations, such as the Egyptian, Phoenician, Greek, Roman and Byzantine⁴⁰. Although other issues are more notable, such as the Baltic issue and the "Battle of the Atlantic", the issue of the Black Sea is of interest due to the nature of transition and crossroads between Europe and Asia, which affected the peoples along the Black Sea⁴¹.

In the opinion of the great Romanian historian Gheorghe I. Brătianu, the history of the Black Sea can be divided into the Greco-Iranian era, the phase before the Middle Ages, the era of the Mongols and the Italians, the stake of the straits until the Ottoman conquest.

Unfortunately, his great work on the history of the Black Sea does not continue beyond the phase of the Ottoman conquest.

By referring to the historical phases shown by the great Romanian historian, at least until the Ottoman conquest, we cannot fail to note the fact that the Black Sea region was an area of crossroads of civilizations.

If in the past, the Black Sea basin was dominated by Hellenistic and Roman influences, the closer we get to the present day, we will find that the history of this area was dominated by two great powers - the Ottoman Empire and the Russian Empire.

Thus, the struggle of these powers was to dominate other peoples and gain new territories. Therefore, at some points, these two great powers were in positions of conflict, conflicts that mainly affected the local populations and areas around the Black Sea. It must be stated that for none of these two great powers, the Black Sea was not the cradle of their civilization, but still they wanted to dominate this area.

Turning our attention to Snake Island, we will note that it is located at an approximate distance of 45 kilometres from the city of Sulina in Romania and its surface being about 17 hectares⁴².

The history of Snake Island begins with that of the Greek settlements in Dobruja, the historian Gheorghe I. Brătianu, showing that on this rock there was a sanctuary

³⁹ Gheorghe I. Brătianu, *Marea Neagră. Vol.I. de la origini pînă la cucerirea otomană*, Editura Meridiane, Bucharest, 1988, p. 85.

⁴⁰ *Ibid.*, p. 85.

⁴¹ *Ibid.*, p. 87.

⁴² Dominiuș I. Pădureanu, *Insula Șerpilor*, article published in *Revista Istorică*, Romanian Academy Publishing House, no. 9-10, Bucharest, 1995.

erected in honour of Achilles Pontarches, the protector of sea navigation and trade⁴³.

For the Greek civilization, this island, which they called Leuke, was not only relevant from a strategic and economic point of view, but this importance is also found in terms of mythology⁴⁴. The cult of Achilles covers the entire Black Sea basin, but Snake Island plays a particularly important role in his cult, being considered the very place of his burial⁴⁵.

The Ottoman period is not so significant for the history of the island as the island did not receive a special attention. In that time the island was called by the Ottomans *Yılan Adası*⁴⁶.

During the Russian period, the Snake Island received a more special attention, and some excavations and archaeological research were made at that time⁴⁷.

With the passage of time, we will notice that this small island no longer received due attention, referring to a wide spectrum, its importance being rather strategic, and starting with the 21st century, another importance was discovered - the economic one.

3. Treaty of Paris and Romanian-Soviet hand-over protocol

In the recent history of the island, it has been part of the Ottoman Empire, the Tsarist Empire, Romania, the USSR and currently part of Ukraine.

Romania continuously ruled this island during the interwar period both de jure and de facto, and de jure we consider that the island belonged to Romania until 1997.

During the Second World War, Romania initially allied with the Axis powers to recover Bessarabia and Northern Bukovina from the occupation of the USSR.

Starting on August 23, 1944, Romania left the alliance with the Axis powers and participated, alongside the allied powers, in the war against Germany.

⁴³ Gheorghe I. Brătianu, *Marea Neagră. Vol. I. de la origini pînă la cucerirea otomană*, Meridiane Publishing House, Bucharest, 1988, p. 148.

⁴⁴ Guy Hedren, *The Cult of Achilles in the Euxine*, published in *Hesperia: The Journal of The American School of Classical Studies of Athens*, Vol.60, No. 3 (Jul.-Sep.), pp 313-330, available at: <https://www.ascsa.edu.gr/uploads/media/hesperia/148068.pdf>.

⁴⁵ *Ibid.*

⁴⁶ Podossinov Alexander, *Leuke/Achilleios Nisos*, 2007, Enciclopedia of Hellenic World, Black Sea, available at: <http://www.ehw.gr/1.aspx?id=10722>

⁴⁷ *Ibid.*

Of course, the quality of Romania after August 23, 1944, was not considered, this meant the conclusion of a peace treaty with the Allied Powers in 1947 in Paris.

Article 1 of the Treaty settled the borders of Romania as they were defined on 1st of January 1941, excepting the border between Romania and Hungary. On 1st of January 1941 the border between Romania and USSR was settled on Chilia branch of Danube, and Snake Island belonged to Romania.

Even the Treaty between Romania and Allied powers signed in 1947 in Paris did not mention anything about the ownership of Snake Island, in 1948 USSR imposed Romania to sign a hand-over protocol to transfer the ownership of the island from Romania to USSR⁴⁸.

Until the collapse of USSR, Romania never questioned the legal status of that handover protocol, and starting with 1948, Snake Island belonged *de facto* to USSR.

4. Romanian-Ukrainian friendship treaty⁴⁹

After the collapse of USSR, in 1991, Ukraine inherited all borders with Romania of former USSR, including the Snake Island issue and moreover a maritime dispute over a surface about 12.225 sq. km near the island.

After a negotiation process between Romania and Ukraine, in 1997, the parties signed The Friendship Treaty. According with the article 2 of this treaty, Romanian-Ukrainian border (as it was) is inviolable, and both parties will refrain to question this border as it is defined.

It is very important to mention that Romania and Ukraine agreed to not use military force between themselves and to use diplomatic negotiations to solve potential issues. Also, the parties of the treaty agreed to not let third parties to use their territory against to the other party.

Recognizing the border from Romania and Ukraine as it was *de facto* and the ownership of Snake Island to Ukraine, this treaty between Romania and Ukraine also validated the fact from 1948 when Romania ceded with a hand-over protocol the Snake Island to USSR.

⁴⁸ Romanian Ministry of External Affairs, *Delimitarea spațiilor maritime în Marea Neagră*, available at: <https://www.mae.ro/node/3109> .

⁴⁹ Available in Romanian version at: <https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocumentAfis/50921>

The treaty did not establish the maritime delimitation near Snake Island, but both parties agreed by the Treaty of Friendship to solve this issue in a diplomatic manner.

5. Romanian-Ukrainian dispute over the maritime zone near the Snake Island

Even it was established by the Friendship treaty between Romania and Ukraine to negotiate and to delimit the maritime area near the Snake Island, this wasn't an easy-going process and between 1998-2004 were conducted 34 rounds of negotiations, but none of them led to desirable outcome and to settle the border without intervention of a third party⁵⁰.

This territorial dispute was noticed to the International Court of Justice from Hague in 2004.

Both parties involved in this dispute contested the claim of the other party, and the claiming was related to the status of Snake Island. Romania claimed the Snake Island is not a proper island, being just a simple rock. On the other hand, Ukraine claimed the Snake Island is a true island and all the maritime area that surround the island should belong to Ukraine according to the international laws principles.

The argument used by Romania was taken into consideration by the court, and the status of Snake Island crucial when the court analysed the claims of both parties.

In 2009, the International Court of Justice from Hague decided that 79,34% from the disputed territory belongs to Romania and the rest of it belongs to Ukraine⁵¹.

6. Conclusions

From a historical perspective we can notice a small geographical area sometimes can get a special attention for a multiple reason. The mythology and religion can represent a special symbolist to such a kind place. So, for Greek people Snake Island was attached to religious facts, and they considered the Snake Island the burial place of Achilles. When we go further throughout the history, we will notice this place lost its religious importance and its strategic position near the Danube mouths gained more importance. As we get near to the present time, it is clearer the economic reason can also determine a great status for some areas.

⁵⁰ Romanian Ministry of External Affairs, *Delimitarea spațiilor maritime în Marea Neagră*, available at: <https://www.mae.ro/node/3109> .

⁵¹ *Ibid.*

Coming to nowadays Russia aggression also included this tiny island due to its strategic position, but Ukraine succeeded to regain this place right after Russian attempt to seize it. The Russian aggression strengthen again the importance of the island, meaning the strategic position.

From a juridical perspective⁵² the recent history of the island and the shifting of its ownership showed us an important lesson that the best solution to solve a territorial dispute is by diplomatic manners and when it is not possible a third-party should be involved to solve the issue. If both parties involved in conflict recognize the legitimacy of the third-party, the most convenient quality of this third-party should be the impartiality, and this condition is meet by court status.

Even the island was not the object of the trial between Romania and Ukraine, its status determined which party from the conflict was right to receive a bigger part of territory which was claimed.

The decision of International Court of Justice from Hague from 2009 become a reference point for international law, more specific for the others maritime delimitation dispute between countries, being constantly cited in the jurisprudence of the Court and of the other courts⁵³.

References

- [1] Brătianu, Gheorghe I., Marea Neagră. Vol. I de la origini pînă la cucerirea otomană, Meridiane Publishing House, Bucharest,1988, translation from original manuscript written and published in French: „La Mer Noire: Des Origines à la Conquête Ottomane”, de Societas Academica Dacoromana, Munchen, 1969.
- [2] Hedren, Guy, The Cult of Achilles in the Euxine, published in Hesperia: The Journal of The American School of Classical Studies of Athens, Vol.60, No. 3 (Jul.-Sep.).

⁵² For more details about peaceful settlement of international disputes, according to international law - Roxana Alina Petraru, *Soluționarea pașnică a diferendelor Internaționale – Principiu Fundamental al Dreptului Internațional Public (Peaceful Settlement of International Disputes – A Fundamental Principle of Public International Law)* (October 31, 2013). *Annals of The Constantin Brancusi University – Juridical Sciences Series, No. 3, 2013, Available at SSRN:*

https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2372902

⁵³ Ministry of Foreign Affairs, *11 ani de la procesul de la Haga, care a adus României 9.700 de km² de platou continental și zonă economică exclusivă*, available at:

https://www.mae.ro/sites/default/files/file/anul_2020/pdf_2020/2020.02.03_brosura_web_proces_haga.pdf

- [3] Pădureanu, I Dominiu, Insula Șerpilor, article published in Revista Istorică, Romanian Academy Publishing House, no. 9-10, Bucharest, 1995.
- [4] Petraru, Roxana Alina, Soluționarea pașnică a diferendelor Internaționale – Principiu Fundamental al Dreptului Internațional Public (Peacefull Settlement of International Disputes – A Fundamental Principle of Public International Law) (October 31, 2013). Annals of The Constantin Brancusi University – Juridical Sciences Series, No. 3, 2013.
- [5] Podossinov, Alexander, Leuke/Achilleios Nisos, Enciclopedia of Hellenic World, Black Sea, 2007
- [6] www.legislatie.just.ro
- [7] www.mae.ro
- [8] www.ascsa.edu.gr
- [9] www.ehw.gr

Giorgi Chitaya about the Struggle for the Liberation of Batumi and the Struggle
გიორგი ჩიტაია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში
და ბრძოლის შესახებ

Naila Chelebadze

PhD in history, Senior Researcher of Department of
Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili
Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor
of St. Tbel Abuserisdze Teaching University

of Georgian Patriarchate,

e-mail: naila.chelebadze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0003-2451-1753>

Abstract: Based on the memories of academician Giorgi Chitaya, the prerequisites for the formation of the author's political views are studied. The paper describes various issues of the period of Georgia's independence and its active social and political activity as the head of the city of Poti during the period of the First Republic of Georgia. The article analyzes the issue of the Act of Independence of Georgia, the worst situation created at the southern borders after the declaration of independence of Georgia, and the maintenance and strengthening of its defense together with the Poti detachment G. Chitaya's active involvement. The author's memories make visible the difficult political situation created in the country as a result of the establishment of the Soviet government on February 25, 1921, the crisis of the government of independent Georgia, the separate issue of the removal and emigration of the Menshevik government to Batumi, the positions of the government members. The danger that hit Georgia again at the southern border and would lead to the loss of Batumi is especially emphasized. 1921 After March 18, Giorgi is still actively involved in the struggle for the liberation of Batumi. Chitaya with his comrades, who described with the usual accuracy a number of important issues of the attack on Batumi (from Sochi-Gagra - Poti-Batumi and from Akhaltsikhe through the Goderdzi pass - in the direction to Batumi) and the liberation of the city. In the work, a proper place was given to the presentation of the strong national position of the prominent Georgian public figure, Niko Nikoladze, whose associate is the author himself.

Key words: Ethnography, Damkom, Ozakom, City Head, First Republic, Intervention

ნაილა ჩელებაძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

ელ-ფოსტა: naila.chelebadze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0003-2451-1753>

აბსტრაქტი: აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მოგონებების მიხედვით შესწავლილია ავტორის პოლიტიკური შეხედულებების ფორმირების წინაპირობები. ნაშრომში აღწერილია საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის სხვადასხვა საკითხი და მისი, როგორც ქალაქ ფოთის თავის, აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტის შედგენის საკითხი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამხრეთის საზღვრებთან შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და მისი თავდაცვის შენარჩუნება-განმტკიცების საქმეში ფოთის რაზმთან ერთად გ. ჩიტაიას აქტიური ჩართულობა. ავტორის მოგონებები თვალსაჩინოს ხდის 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად ქვეყანაში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების კრიზისს, მენშევიკური მთავრობის ბათუმში გახიზვნისა და ემიგრაციაში წასვლის ცალკეულ საკითხს, მთავრობის წევრთა პოზიციებს. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის საფრთხე, რომელიც საქართველოს კვლავ დაატყდა სამხრეთ საზღვართან და ბათუმის დაკარგვას მოასწავებდა. 1921 წ. 18 მარტის შემდეგ ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში კვლავ აქტიურადაა ჩართული გ. ჩიტაია თანარაზმელებთან ერთად, რომელმაც ჩვეული სიზუსტით აღწერა ბათუმზე შეტევისა (სოჭი-გაგრიდან - ფოთი-ბათუმისაკენ და ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილით - ბათუმის მიმართულებით) და ქალაქის განთავისუფლების არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ნაშრომში სათანადო ადგილი დაეთმო გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის მტკიცე ეროვნული პოზიციის წარმოჩენას, რომლის თანამოაზრედაც თავად ავტორი გვევლინება.

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, დამკომი, ოზაკომი, ქალაქის თავი, პირველი რესპუბლიკა, ინტერვენცია

გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია (დ. 10 ნოემბერი, 1890, ფოთი - გ. 28 აგვისტო, 1986, თბილისი) ქართველი ეთნოლოგი, ეთნოგრაფი, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), საუკუნეების შემდეგ აღდგენილი ფაზისის სახალხო აკადემიის პირველი რექტორი (1974).

გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგი გიორგი ჩიტაია ფოთში დაიბადა. მისი მშობლები წარმოშობით სენაკის მაზრის სოფელ ორპირიდან იყვნენ. 1897 წელს დაამთავრა ფოთის საქალაქო სასწავლებელი, ხოლო 1911 წელს თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის სპეციალობით. სტიპენდიის მისაღებად მას გიმნაზიის ქართული ენის პედაგოგმა სერგი გორგაძემ უშუამდგომლა. პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგე მაშინ ნიკო მარი იყო. მარმა გიორგი ჩიტაია ჩართო ანისის ნაქალაქარის გათხრებში, ამის შემდეგ გ. ჩიტაიამ იოსებ ორბელის მიერ მოწყობილ შირაქის ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა, რასაც მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი „გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“. გ. ჩიტაიას უნივერსიტეტში ასევე ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ცაგარელთან და ივანე ჯავახიშვილთან. სწავლის პარალელურად გ. ჩიტაია აქტიურად მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში (ქართველი..., 2010:8), რომლის გამგეობის თავმჯდომარე იყო 1912-1916 წლებში. მცირე ხნით გ. ჩიტაია კენიგსბერგის უნივერსიტეტში სწავლობდა და შემდეგ ისევ პეტერბურგში დაბრუნდა.

1917 წელს გ. ჩიტაია ფოთში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო გიმნაზიის მასწავლებლად. ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ეჭირა ქალაქ ფოთის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა პირველი რესპუბლიკის დროს 1918-1921 წლებში.

გ. ჩიტაიამ 1922 წლიდან სამეცნიერო მუშაობა დაიწყო. თავდაპირველად მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ეთნოლოგიის განყოფილებაში. 1926 წელს იყო მუზეუმის სწავლული მდივანი. ამავე წელს დაიწყო მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გამოაქვეყნა სამი ნაშრომი ეთნოლოგიის პრობლემებზე. 1936 წლიდან იყო ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული სექციის, 1938 წლიდან კი ეთნოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი. 1961 წელს დაინიშნა ამავე ინსტიტუტში საქართველოს და კავკასიის ეთნოგრაფიული სექტორის გამგედ, 1970 წელს საქართველოს ეთნოგრაფიული განყოფილების გამგედ.

1936-1939 წლებში გ. ჩიტაიას მეცადინეობით დაარსდა ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში, 1940 წელს მისივე თაოსნობით შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრა და 1973 წლამდე თავად ხელმძღვანელობდა მას. 1966 წელს თბილისში დააარსა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს. ხელმძღვანელობდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების დაარსებას საქართველოში.

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ქართველოლოგიური კვლევის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო სამეცნიერო მემკვიდრეობა დღემდე წარმოადგენს გზამკვლევს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის შესწავლის საქმეში. ეთნოგრაფიული ძიების არცერთი უბანი არ დაუტოვა ყურადღების გარეშე: მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლას და მყარი მეცნიერული საფუძველი შეუქმნა მას, აღზარდა არაერთი მეცნიერი. შექმნა პირველი სალექციო კურსი და ზოგადი ეთნოგრაფიის შესავალი. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საველე ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას, დანერგა საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი და პირველმა ნათელჰყო მისი უპირატესობა. ყოველივე ეს აისახა მეცნიერის ორასამდე ნაშრომში, რომლებიც დაფუძნებულია მდიდარ საველე მასალაზე.

აკად. გიორგი ჩიტაიას დიდი დამსახურებაა ქართველოლოგიური სამეცნიერო მიღწევების უცხოეთში პოპულარიზება და იქ მოღვაწე მეცნიერებთან მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები - კალისტრატე სალიასთან, გასტონ ბუაჩიძესთან და სხვებთან, რითაც საბჭოთა პერიოდში ხელმისაწვდომი გახდა არაერთი უცხოური სამეცნიერო გამოცემა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბატონ გიორგის მონდომებით საველე ექსპედიციაში ჩართული იყო არაერთი ცნობილი მხატვარი, რამაც მათი შემოქმედებითი ბედიც რამდენადმე განისაზღვრა. ესენია: შარლემანი, ს. ქობულაძე, უ. ჯაფარიძე, ნ. ბრაილაშვილი, ზ. წერეთელი და სხვ. (გ. ჩიტაია, 1991:77).

აკად. გ. ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობის გვირგვინია თბილისის ღია ცის ქვეშა მუზეუმის დაარსება, რითაც წარმოჩნდა მეცნიერის ორგანიზაციული ნიჭი და უნარი მისივე თეორიულად დასაბუთებული ეთნოგრაფიის პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისა (ჩიტაია, 2001:9). სახელოვან მეცნიერს მუზეუმის დაარსების იდეა ჯერ კიდევ 1940 წ. დაებადა (ჩიტაია, 2001:157), რომელიც 1966 წელს განახორციელა თავის კოლეგებთან ერთად. იგი პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმია კავკასიაში, რომელიც დღეს დამაარსებლის საპატივცემულოდ ასე იწოდება - „გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ (ინტერნეტ-რესურსი: <https://ka.wikipedia...>).

დიდი სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად გ. ჩიტაიას თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში, რაც მეტადრე ჩრდილშია ქართულ ისტორიოგრაფიაში. გიორგი ჩიტაიას სიცოცხლის პერიოდში მისი ბიოგრაფიიდან ამოღებული იყო 1918-1924 წლები. ეს ის წლებია, რომელსაც მხცოვანი მეცნიერი სიცოცხლის ბოლო წლებში ასე აფასებდა – «1918 წლის 26 მაისი, ყველაზე ნათელი დღეა საქართველოს ისტორიაში. მერე – იმედის გაცრეება, სულის დაცარიელება...» (ქართველი, 2010:9), აშკარაა, მეცნიერს საბჭოური იდეოლოგიურ სივრცეში აბრკოლებდა თავისი პოლიტიკური წარსულის დაარქივება არა მარტო თავმდაბლობის, არამედ კოლეგების, ახლობლების მიმართ გამოჩენილი სიფრთხილის გამოც. როგორც ამ პერიოდის, ისე ადრინდელი თუ მერმინდელი მნიშვნელოვანი ამბები, მოგონებები და შთაბეჭდილებები ცალკეული პიროვნების შესახებ, აღწერილია აკად. გიორგი ჩიტაიას ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში, რომლის გამოცემა შესაძლებელი გახდა პატივცემული მეცნიერის გარდაცვალების 5 წლისთავზე, 1991 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ შემდეგი სახელწოდებით - „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე.“ ამ საქმეში განსაკუთრებულია მეცნიერის ნამოწაფარის, ეთნოლოგის, პროფესორ თამილა ცაგარეიშვილის დამსახურება, რომელსაც ასე ემადლიერება თავის ბოლოსიტყვა-გამოსათხოვარში: „და, ბოლოს, მადლობა უნდა ვუთხრა ღმერთს, რომ მომივლინა თქვენნაირი ადამიანი“ (ჩიტაია, 2001:426). სწორედ ქალბატონ თამილას მრავალწლიანი შრომისა და თანამონაწილეობის შედეგად გამოიცა გიორგი ჩიტაიას შრომების ხუთტომეული, რითაც მისმა კოლეგებმა და მოწაფეებმა აღასრულეს მეცნიერის უკანასკნელი სათხოვარი (ჩიტაია, 2001:427).

სახელოვანი მეცნიერის ავტობიოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებში საყურადღებოა მე-20 ს. პირველ მეოთხედში ბათუმის განთავისუფლების ბრძოლის ცალკეული დეტალი, სადაც დიდი დაკვირვებისა და ინტუიციის გარეშე იკითხება მეცნიერის თავდადება, არაპასიური მჭვრეტელობა საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის მიმართ.

გიორგი ჩიტაიას ლტოლვა თავისუფლებისაკენ და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ადრეული ასაკიდან დაიწყო. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს, როცა ახალგაზრდებს თავისუფლების იდეალად საფრანგეთი და მისი პრეზიდენტი ჰყავდათ, გ. ჩიტაიას თანაკლასელთან ერთად გადაუწყვეტია ემიგრაციაში წასვლა, რაც უშედეგოდ დასრულდა. ამ ამბავს ასე იგონებს პატივცემული მკვლევარი: „დავადექით მალთაყვისაკენ მიმავალ გზას, მერე ზღვისაკენ გადავუხვიეთ და ზღვაში შევტოპეთ, იმ იმედით, რომ მიმავალი რომელიმე გემიდან დაგვინახავდნენ და

წავიყვანდნენ. გემი ჯერ არ ჩანდა. ამ დროს თავს წამოგვადგნენ ცხენებით, ნაპირზე გამოგვადეს, მათრახიც გულუხვად დაგვკრეს და შინისკენ გვიჩვენეს გზა. ასე დასრულდა ჩვენი ოდისეა საზღვარგარეთ გაპარვის შესახებ (ჩიტაია, 1991:14).

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას პოლიტიკისადმი დაინტერესებას აძლიერებდა ფოთში არსებული ვითარებაც, სადაც არაერთი პოლიტიკური ხასიათის გამოსვლა ხდებოდა. თავის მოგონებებში საუბარია 1910 წ. ფოთში ჩატარებული მიტინგის შესახებ, სადაც ანარქისტებისა და სოციალ-დემოკრატიების გამოსვლებში გაეცნო მიხაკო წერეთლის, გოგელიებისა და სხვათა პოლიტიკურ შეხედულებებს (ჩიტაია, 1991:15,16). გ. ჩიტაიას სულიერი აღზრდის, ეროვნულ კულტურასთან დაახლოებისათვის იმჟამინდელ ფოთში კარგი პირობები არსებულა. იმხანად ფოთში ორი მართლმადიდებლური ეკლესია მოქმედებდა. ქალაქის საკრებულო ტაძარში ყოფილა მღვდელი გიორგი გეგეჭკორი, მომღერალ-მგალობელთა გუნდს კი ავქსენტი მეგრელიძე ხელ-და. „მეც გავხდი ამ გუნდის წევრი. უნდა აღვნიშნო, რომ გუნდში სიმღერის გარდა, სამ ყმაწვილს სხვა მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული: საუქმო დღესასწაულებზე აღსავლის კარებთან ბერძნულად უნდა გვეგალობა ისპოლიტ ეტი დესპოტა“, ამ გალობას სამჯერ ვიმეორებდით“ (ჩიტაია, 1991:13). მომავალ მეცნიერს შემეცნებითი საზრდო ფოთის გიმნაზიის სახელოვანი პედაგოგებიდან ეძლეოდა. მეცნიერი დიდი პატივისცემით იგონებს პედაგოგ ა. ჩაჩანიძე-გაწერელიას, ს. გორგაძესა და სხვ. ბატონი გიორგი მოგვიანებითაც დიდი სიყვარულითა და სიამაყით იგონებს შესანიშნავ პედაგოგს, საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს - სერგი გორგაძეს, რომელმაც შეძლო მეცნიერული კვლევის სავესებით მშობლიურ ნიადაგზე გადმოტანა (ჩიტაია, 1991:19-20; ჩიტაია, 2001:393).

გ. ჩიტაიას პიროვნების საბოლოო ფორმირება მოხდა პეტერბურგში, უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე, სადაც მან რამდენიმე წელი გაატარა - 1911-1945/16 წწ. (ჩიტაია, 1991:24;42). იმხანად პეტერბურგის სამეცნიერო კერა მძლავრ სამეცნიერო სკოლას წარმოადგენდა ნიკო მარისა და ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, „სადაც ქართველოლოგიური სამეცნიერო ძიება და ეროვნული თვითშემეცნების გამოკვეთვა ხდებოდა“ (ჩიტაია, 2001:389). მომავალი მეცნიერის მასწავლებლების, უფროსი მეგობრების წრეს შეადგენდნენ: ექ. თაყაიშვილი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, იოსებ ორბელი, გ. ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ ადონცი, შჩერო, შახმატოვსკი, სმირნოვი, ეგნატე კრაჩკოვ-კურტენე, კოვალევსკი, ტურაევი, პეტროვსკი, ბარტოლდი, პლატონოვი და სხვ. (ჩიტაია, 1991:21;24). ამ დიდებულ წრეში გ. ჩიტაიასთან ერთად უმაღლეს განათლებას ეუფლებოდნენ: ევქსევი მიქელაძე, დავით ყიფშიძე, აკაკი შანიძე, რობერტ ბლეიკი, იოსებ ორბელი და სხვ.

ამდენად, გ. ჩიტაიას მსოფლმხედველობა ქართველოლოგიური მეცნიერების უდიდეს მოამაგეთა წრეში ყალიბდებოდა, რომლის წევრთა უმრავლესობა უანგაროდ, დაუღალავად ემსახურებოდა ქართული ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეს. ამის მაგალითია პირველი მსოფლიო ომის პერიოდში დაწყებული დიდი სტუდენტური მოძრაობა, რაც კავკასიაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო მოხდა. ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის დროს გ. ჩიტაია გახლდათ სტუდენტთა ორგანიზაციის „ზემლიაჩესტვო“-ს (ნ.ჩ. „საზოგადოება“) წევრი, რომლის თავ-რე კირა მესხი ყოფილა. სტუდენტთა სოციალური პრობლემების დასაძლევად შექმნილი ორგანიზაცია ომისა და რევოლუციების ავბედობის ჟამს კარგად ითავსებდა პოლიტიკურ ფუნქციას და, ამიტომ, ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა სისტემატიურად ესწრებოდა ამ ორგანიზაციის ყველა სხდომას (**ჩიტაია, 1991:15-16; 30-31**). გ. ჩიტაიას მოგონებიდან ჩანს, რომ კავკასიაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო, „ზემლიაჩესტვოს“ ინიციატივით მოწვეულ გაერთიანებულ კრებას დიდძალი ქართველი და სომეხი სტუდენტი დასწრებია, რადგან ხალხის სწორ პოზიციაზე დასაყენებლად იქ უნდა მიეღოთ მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება. სომეხი სტუდენტებისაგან განსხვავებით, მონაწილეთა უმრავლესობა ნეიტრალიტეტის დაცვას ემხრობოდა. რეზოლუციის შემუშავება მიენდო სამეულს: მუხრან ხოჭოლავას, რომელიც კრებას თავ-და, კრების წევრ რამიშვილს და გიორგი ჩიტაიას (**ჩიტაია, 1991:30-31**). კრების გადაწყვეტილების მართებულობა მაშინ დამტკიცდა, როცა ოსმალეთში მოხდა ბერძენი და სომეხი მოსახლეობის აწიოკება, ოსმალთა მიერ არტაანისა და სხვა პუნქტების დაკავება და მზადება ბათუმსა და ყარსზე შეტევისათვის (**შდრ. სიორიძე, 2011:236**).

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გ. ჩიტაია სხვა სტუდენტებთან ერთად აქტიურად ეხმარებოდა ლაზარეთებსა და საავადმყოფოებში მოთავსებულ დაჭრილ ქართველ მეომრებს (**ჩიტაია, 1991:40-41**).

1916 წლის დასასრულს, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, გ. ჩიტაია საკმაო პოლიტიკური გამოცდილებით დაბრუნდა საქართველოში. ეს პერიოდი პოლიტიკური პარტიების აქტიურობით აღინიშნა (**ჩიტაია, 1991:42-43**).

როგორც ცნობილია, 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, დროებითმა მთავრობამ გააუქმა კავკასიის სამეფისნაცვლო და დააფუძნა „ო ზ ა კ ო მ ი“ (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი), ხოლო საქართველოს ცალკეულ ქალაქებში კი იქმნებოდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. ამ პერიოდში პარტიებმა მიიღეს პოლიტიკური საქმიანობის სრული თავისუფლება. სწორედ ამ დროიდან, 1917 წლიდან, გ. ჩიტაიას საქმიანობა მშობლიურ ქ. ფოთში წარიმართა, სადაც იგი ამხანაგებმა პოლიტიკურ მუშაობაში ჩააბეს და აირჩიეს მუშათა, ჯარისკაცთა და

მეზღვაურთა რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ. პარალელურად გ. ჩიტაია ახალგაზრდების განათლების საქმეს ემსახურებოდა. „...1917 წელს ფოთში ჩავედი საცხოვრებლად, იმავე წელს მიმიწვიეს ახლად გაეროვნებულ ვაჟთა გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იმ ხანად გიმნაზიის დირექტორი იყო სერგი დანელია.....იმ დროს ძალიან მომრავლდა ნიჭიერი ახალგაზრდობა. ალბათ, ცხოვრების შემოტრიალებამ გამოიწვია ნიჭიერების აფეთქება“ (ჩიტაია, 1991:47).

ქ. ფოთში მდგომარეობა მეტად რთული იყო, ამიტომ მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა რევოლუციურ საბჭოში გიორგი ჩიტაიას საქმიანობა წარმართა რევოლუციური წესრიგის დასამყარებლად, რადგან იმ პერიოდში თურქეთის ფრონტიდან ევაკუირებულ ჯარის ნაწილებს ფოთში სხამდნენ, ხოლო ფოთიდან კი ჩრდილოეთით აგზავნიდნენ, რათა გემებს ჯარის ახალი ჯგუფების ევაკუირების შესაძლებლობა მისცემოდათ. სავარაუდოთ ეს ამბები 1918 წლის მარტის ბ რ ე ს ტ - ლ ი ტ ო ვ ს კ შ ი დადებული სეპარატისტული ხელშეკრულების შემდგომ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც მოხდა საბჭოთა რუსეთის მიერ არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქის დათმობა. მართალია, ამ ხელშეკრულებას ამიერკავკასიის სეიმი არ აღიარებდა, თუმცა თურქეთზე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევაც არ შეეძლო. სწორედ ამ დროს დაიწყო კავკასიის ფრონტის დაშლა, რომელიც ბოლშევიკების მიერ იყო დემორალიზებული და რასაც მოჰყვა ჯარისკაცების სახლებში დაბრუნება. ამ მძიმე ვითარებას ფოთში მოჰყვა ევაკუირებული ჯარის ნაწილების ჯარისკაცთა დებოშიორობა, საწყობების ძარცვა, სამიკიტნოებში ლოთობა, რამაც ქალაქში წესრიგის დაცვის საქმე მეტად გაართულა. კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა სოჭა-გაგრის საზღვართან, საიდანაც თეთრგვარდიელების რაზმები აპირებდნენ შემოჭრას. ამ ფრონტს ფოთელებმაც მიაშველეს რაზმელები (ჩიტაია, 1991:44). საქმე იმაში იყო, რომ ტრაპიზონის ფრონტის დაშლის შემდეგ ბათუმში ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ხელი შეუწყო აქ ფრონტის დასუსტებას, რათა სამხედრო ძალა იქედან გამოეყვანათ და ნიადაგი მოემზადებინათ სახელმწიფო გადატრიალებისათვის. აღნიშნულ პერიოდში ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს, რომელიც 1917 წელს შეიქმნა, უშუალო კავშირი ჰქონდა პეტერბურგის „ბრძოლის კავშირთან“ და თანდათან ძლიერდებოდა (სიჭინავა, 1958:209). როგორც ცნობილია, მანამდე, 1917 წლის აგვისტოში ფრონტზე წარუმატებლობით გამოწვეული ვითარების განსამუხტავად, მოქმედების ერთიანი პროგრამის შემუშავების მიზნით, შეიქმნა „ი ნ ტ ე რ პ ა რ ტ ი უ ლ ი ს ა ბ ჭ ო“, რომელშიც გაერთიანდნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და ფედერალისტური პარტიები.

ამდენად, როდესაც 1918 წლის მარტში ბათუმის მისადგომებთან ქართულ ჯარს მძიმე თავდაცვითი ბრძოლები ჰქონდა ოსმალთა

წინააღმდეგ, ბოლშევიკებმა შეძლეს ცალკეულ კუთხეში, მათ შორის სამეგრელოსა და აფხაზეთში აჯანყებების მოწყობა, რამაც ბათუმის ფრონტზე გასაგზავნი ძალების იქ გადასროლა, სამხედრო ძალების გახლეჩა და ბათუმის დაცემა განაპირობა (**ვადაჭკორია, 2010:50-51**).

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ადრიდანვე შეიქმნა არაერთი კომიტეტი, გაერთიანებული დამკომი და ა.შ. დიდი საფრთხე მოდიოდა თურქეთის მხრიდან. მდგომარეობას ერთგვარად ამსუბუქებდა ის გარემოება, რომ 1914-1918 წლებში თურქეთში ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის კომიტეტის საჯარისო ფორმირება ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე გ ი ო ნ ი (**სურგულაძე ა., სურგულაძე კ., 1994:3-4; სულაძე, 2010:174-175; გრძელიძე, 1995:22-36**), რომელიც რეალურად გერმანიის სარდლობის კომპეტენციაში იმყოფებოდა, ფორმალურად კი - სამხედრო თვალსაზრისით ექვემდებარებოდა ტრაპიზონის ვალს (გუბერნატორს), რომელსაც, ცხადია, არ მოსწონდა ლეგიონერები (**სიორიძე, 1998:74;77;79**).

როდესაც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ბათუმი და მისი შემოგარენი, სადაც გამალებული ბრძოლები მიმდინარეობდა. საფრთხეში აღმოჩნდა აჭარა-სამცხის საზღვარიც (**ფუტყარაძე, ..., 2017:105**). 1918 წელს ქვეყნის თავდაცვის შენარჩუნება-განმტკიცების საქმეში გ. ჩიტაიას აქტიური და მეტად საპასუხისმგებლო ჩართულობის ამსახველი ჩანს მოგონების ეს ნაწილი: „ფოთში ხმა მოვიდა, რომ თურქები ჩვენს სამხრეთის საზღვრებს უტევენ, უკვე აჭარისწყლის მახლობლად იმყოფებოდნენ და დახმარება იყო საჭირო მათს მოსაგერიებლად. ჩვენც შევამზადეთ რაზმი და ბათუმს გავემგზავრეთ. იქიდან აჭარისწყალზე წავედით და იქ დავბანაკდით. დაბანაკებას ვამბობ, თორემ ბანაკის არავითარი პირობები არ იყო. იმ ღამით ატყდა განგაში, ვეცით ჩვენს თოფებს, მოვემზადეთ საბრძოლველად, თუმცა ბევრს არც თოფი გვივარგოდა. იმ ღამეს მტერი არ გამოჩენილა, მეორე, მესამე დღეს ისევ უკანვე დაგვაბრუნეს“ (**ჩიტაია, 1991:45**).

ამდენად, აღწერიდან ნათლად ჩანს საქართველოს ცალკეული კუთხის, მათ შორის ფოთის მხარის აქტიური ჩართულობა ბათუმისა და მისი შემოგარენის დასაცავად.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკა მრავალი პრობლემის წინაშე იდგა. როგორც შენიშნავდა ბატონი გიორგი, ღიად იყო დატოვებული მიწის საკითხიც, რის გამოც გლეხობა და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები აჯანყებებს აწყობდნენ. მდგომარეობა 1920 წლის შემოდგომაზე ვერც II ინტერნაციონალის წარმომადგენლობის ჩამოსვლამ და ვერც ევროპული ქვეყნების პროტექტორებად მოწვევამ ვერ გამოასწორა. ქართველი ხალხი მწარედ განიცდიდა უცხოელების ინტერვენციას. გ. ჩიტაიას მიერ ჩაწერილი თბილისში გავრცელებული

გულშემზარავი სიმღერის ტექსტიც იქ არსებული უიმედო განწყობის გამომხატველია:

„ეს ქვეყანა ძმაო
სამი კაცის არის
ღმერთის, ინგლისელის,
შემდეგ კომისარის“ (ჩიტაია, 1991:45-46).

როდესაც 1918 წელს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაიწყო საბჭოს ახალი არჩევნების ჩატარება, ქალაქ ფოთში, სრულიად ახალგაზრდა 28 წლის გიორგი ჩიტაია პირველსავე სხდომაზე აირჩიეს საბჭოს შემადგენლობაში „...ახალი საბჭოს წინაშე ნიკო ნიკოლაძემ ქალაქის თავის პატივი და საბჭოს თავმჯდომარეობა მე გადმომბარა. წარმოიდგინეთ როგორი სურათი იქნებოდა? საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაბრძენებული, ერის სამსახურში გაჭაღარავებული, არა მარტო საქართველოში, რუსეთსა და საზღვარგარეთ ცნობილი პიროვნება და მის გვერდით ახლად უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა. მე მას ვცვლიდი, ასე ისურვა ისტორიამ და ცხოვრების განვითარების ახალმა ეტაპმა“ (ჩიტაია, 1991:46).

ეს ემოცია და მადლიერება ნიკო ნიკოლაძის მიმართ ბატონ გიორგის წლებს შემდეგაც არ განელებია: „ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა ნიკო ნიკოლაძემ. ის რომ არ შემხვედროდა, მამაჩემი საერთოდ სკოლაშიც არ მიმაბარებდა ალბათ. მერე ფოთის ქალაქის თავად ამირჩია, თავისი ადგილი დამითმო სრულიად ახალგაზრდას, გვერდში ამომიდგა და ცხოვრების იმედი მომცა“ (ჩიტაია, 2001:424). გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ილია ჭავჭავაძეს “მათი რაზმის ფალავნად“ მიაჩნდა (ზამბახიძე, 1955:32), ქალაქ ფოთის თავი იყო 1894-1912 წლებში. ამ მძიმე პერიოდში მან ეს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე გიორგი ჩიტაიას, თავის თანამოაზრესა და საიმედო პიროვნებას მიანდო. მაშინაც კი, როცა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრა, ნიკო ნიკოლაძე, როგორც ამიერკავკასიის დელეგაციის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა 1918 წლის საზავო კონფერენციაში, რომელიც ბათუმში გაიმართა (11-26 მაისი; 20-21 მაისი; 31 მაისი-4 ივნისი). ვითარება მეტად დაამძიმა ამიერკავკასიაში ლიდერობისთვის ოსმალეთისა და გერმანიის ინტერესთა შეჯახებამ, რადგან ოსმალეთის მხრიდან თურანის შექმნის სურვილი ცხადია მიუღებელი იყო მისი მოკავშირე გერმანიისათვის. ამიტომ გერმანია შეეცადა რჩევა მიეცა ნ. ჟორდანიასათვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.

რაჟდენ არსენიძის მოგონების მიხედვით, დამოუკიდებლობის აქტის პროექტი 25 მაისს შეიმუშავა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ გიორგი

გვაზავა, რაჟდენ არსენიძე, კონსტანტინე აფხაზი და პავლე საყვარელიძე. იმავე დღის ბოლოს, გვიან ღამით, შედგა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც პროექტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები. პროექტის ტექსტი გადაეცა ნ. ჟორდანიას, რომელმაც გაითვალისწინა შენიშვნები და ტექსტის საბოლოო რედაქცია შეიმუშავა. სხვა ვერსიის მიხედვით, დამოუკიდებლობის აქტის პროექტის პირველი ვარიანტი, ჯერ კიდევ 22 მაისს, ბათუმში შეადგინა ზურაბ ავალიშვილმა და იქიდან თბილისში წამოიღო ნოე ჟორდანიამ. არსებობს მოსაზრება, რომ ბათუმში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი პროექტი შეუდგენია ნიკო ნიკოლაძესაც, რომელიც იქ ჩასულ ნ. ჟორდანიასთვის გადაუცია. (ავალიშვილი, 1990:55; ჯანელიძე, 2010:43; სარალიძე, 2023; ინტერნეტ-რესურსი: <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index>).

მას შემდეგ, რაც თურქეთის ფრონტიდან რუსეთის ჯარების ევაკუაცია დამთავრდა, ფოთში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ იგი დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წლის თებერვალში საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მთავრობა კრიზისს განიცდიდა, რადგან საზღვარგარეთიდან აქტიური დახმარების იმედი აღარ ჩანდა. ასეთ ვითარებაში გააქტიურდნენ როგორც შინაური, ისე გარეული მტრები. 1921 წლის 25 თებერვალს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რითაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა.

მენშევიკური მთავრობა იმედს არ კარგავდა და შემდეგ ლოზუნგს ავრცელებდა: „თებერვალი ბოლშევიკებისაა, მარტი - მენშევიკების იქნებაო“ - ასე იგონებს იმ პერიოდს ბატონი გიორგი (ჩიტაია, 1991:48-49). მენშევიკური მთავრობა ბათუმში გაიხიზნა და საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, რომელსაც თან მიჰქონდა რამდენიმე ათეულ ყუთში მოთავსებული ეროვნული განძი. ნავსადგურში მთავრობის მიერ დაქირავებული გემი სურსათით უკვე იტვირთებოდა და ემიგრანტებიც მზად იყვნენ გემზე ასასვლელად. „ამ იმედით დიდძალ ამაღას იწვევდნენ გასამგზავრებლად. მეც შემომთავაზეს გავყოლოდი, მაგრამ კატეგორიული უარი ვუთხარი“ (ჩიტაია, 1991:49). როგორც ცნობილია, სხვა მამულიშვილებთან ერთად ნიკო ნიკოლაძემ თავი შეიკავა ემიგრაციაში წასვლაზე, რაც გვიქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ ისინი ბათუმში ყოფნის დროსაც ურთიერთთანამშრომლობდნენ და იზიარებდნენ ეროვნულ-დემოკრატიული იდეების ერთგულნი იყვნენ, რადგან „რწმენით გაორებული ადამიანი, არც შინ ვარგა და არც გარეთ“ (ჩიტაია, 2001:423). მეცნიერის ამ სიტყვებში არ ჩანს მენშევიკებისადმი, როგორც თანაპარტიელებისადმი სიმპატია - “ერთადერთი სიკეთე, რაც მენშევიკური მთავრობის ხელიდან გამოვიდა, ვგონებ სკოლისა და კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებათა

ნაციონალიზაცია იყო“ (ჩიტაია, 1991:46). ამგვარი შეფასება, ვფიქრობ უნდა გამორიცხავდეს მის მენშევიკობას.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ბათუმიდან 1921 წ. 18 მარტს, ღამით, ემიგრაციაში წავიდა (სდსინ, 2012:37). იმავე თვეში წითელი არმიის შეტევა მრავალი მიმართულებით წარიმართა. მათგან ორი შეტევა ბათუმის აღებას ითვალისწინებდა. ერთი კოლონა სოჭი-გაგრიდან - ფოთი-ბათუმისაკენ, მეორე - კაზაკების არმია კი ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილით - ბათუმის მიმართულებით დაიძრა (ჩიტაია, 1991:48). მხოლოდ ს. ორჯონიკიძის მკაცრი ბრძანების შემდეგ დ. ჟღობას საკავალერიო დივიზიამ გოდერძის უღელტეხილიდან ბათუმისაკენ აიღო გეზი. მას აჭარისწყალთან გზა გადაუღობა თურქეთის რაზმმა და ბათუმში არ შეუშვა. ასეთ ვითარებაში ქართველმა მებრძოლებმა 2 საათიანი ბრძოლის შედეგად ოსმალები დაამარცხეს. 1921 წლის 18 მარტს დ. ჟღობას რაზმის ერთი ნაწილი ბათუმში შევიდა, დანარჩენი კი 19 მარტს 17 სთ 18 წუთზე. ამან შესაძლებლობა მისცა გ. მაზნიაშვილს 19 მარტს დილით გამარჯვება მოეპოვებინა კახაბრის ველზე გამართულ ბრძოლაში (სდსინ, 2012:40-41; სურგულაძე, 2013:231). ამდენად, ქართულმა არმიამ 17, 18, 19 მარტის ბრძოლებით გაანთავისუფლა ბათუმი და მისი მიდამოები ოსმალთა ჯარისაგან (სდსინ, 2012:41).

1921 წლის 18 მარტის ხელშეკრულებით, „მიმავალმა“ და „მომავალმა“ მთავრობებმა საქართველოსათვის ბათუმის შენარჩუნების მიზნით ხელი მოაწერეს შეთანხმებას. მოლაპარაკებაში მონაწილე სამივე მხარეს ქართველები წარმოადგენდნენ. ქუთაისის შეთანხმების შედეგად, თურქებს გადაეცა საქართველოს ისტორიული ოლქები ართვინი, ოლთისი, არტანის, ასევე ოსმალეთმა უარი თქვა ბათუმსა და მის ოლქზე (თოიძე, 2009:10; ვადაჭკორია, 2010:77; ჯანელიძე, 1995:147).

ამასობაში წითელი არმია სვლას განაგრძობდა. საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან ევაკუირებულნი ბათუმში იმყოფებოდნენ, მათ შორის ფოთელებიც, რადგან 1921 წლის 5 მარტს საოკუპაციო ჯარმა ფოთი დაიკავა (სდსინ, 2012:34). ბათუმის განთავისუფლებისათვის წარმოებული უმძიმესი ბრძოლების შესახებ აკად. გიორგი ჩიტაია, როგორც თვითმხილველი და მონაწილე, მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის: „... საშინელ პირობებში აღმოვჩნდით: ვცხოვრობდით რკინიგზის საბარგო ვაგონებში, ჭირდა საკვების შოვნა. ამას დაემატა დიდი უბედურება, თურქეთის ჯარები მოისწრაფოდნენ ბათუმის ხელში ჩასაგდებად.

ერთი დღე იყო, ციხიდან პოლიტიკური პატიმრები განთავისუფლდნენ, ქალაქში გამოცხადდა ბოლშევიკური ხელისუფლება სერგო ქავთარაძის მეთაურობით. ამ დროს ბათუმში თურქეთის ჯარი შემოიჭრა, ფოსტა დაიპყრო და შეუდგა ბრძოლას ვაგზლის დაკავებისათვის. აქ მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწია გენერალმა მაზმიშვილმა (ნ.ჩ.

მაზნიაშვილი) დარჩენილი ქართველი ჯარისკაცებით. თურქებმა არათუ ვერ აიღეს რკინიგზის სადგური, ფოსტაც დაჰკარგეს და იძულებული გახდნენ ბათუმში დაეტოვებინათ. ბრძოლა მთელ ღამეს მიმდინარეობდა. რამდენიმე დღის შემდეგ გოდერძის უღელტეხილიდან დამხმარე რაზმიც შემოვიდა ბათუმში. რეალურად ოსმალები ფლობდნენ ფოსტა-ტელეგრაფისა და ქალაქის მილიციის სამმართველოს შენობებს, თუმცა ოსმალებმა ვეღარ შეძლეს ბრძოლის გაგრძელება და 20 მარტს დილით, 9 საათზე, ქიაზიმ-ბეის გაგზავნილმა გარნიზონის მდივანმა აუწყა გ. მაზნიაშვილს რომ ბრძოლის გაგრძელება მათ აღარ შეეძლოთ, 3 დღის ნაშიმშილებ მეომრებთან ერთად. მაზნიაშვილმა მათ საგზალი მისცა. ამდენად, 1920 წლის 20 მარტს, დილის 12 საათზე, ბათუმში არცერთი ასკერი აღარ იყო (**ჩიტაია, 1991:49; შდრ. სდსინ, 2012:41**).

ბათუმის განთავისუფლების შემდეგ, როგორც გვამცნობს ბატონი გიორგი, ფოთში დაბრუნებულებს ახალი ხელისუფლება დახვდათ თავისი ჩვევებითა და წესრიგით - „ერთხანს მეც მომიხდა ფოთიდან განრიდება. გადავწყვიტე თბილისში გადასვლა“ (**ჩიტაია, 1991:49-50**).

ქვეყანაში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. დაიწყო ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა, მათი დაპატიმრებები. 1924 წლის დასაწყისში დააპატიმრეს 38 აქტიური მენშევიკი (**ენდელაძე, 2004:17-18**). ამ გზით საქართველოს საგანგებო კომისიამ მრავალი ორგანიზატორი ჩამოაცილა აჯანყების მზადების საქმეს. მართალია, გიორგი ჩიტაია საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ განერიდა ფოთს, თუმცა, როგორც ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, 1923-1924 წლების რეპრესიები რამდენადმე მასაც შეეხო. საქმე იმაში იყო, რომ საქართველოს საგანგებო კომისიას აჯანყებისათვის მზადება არ გამოჰპარვია, რომელმაც მაისის პირველივე რიცხვებში მიიღო გამაფრთხილებელი ცნობა იმის შესახებ, რომ „პ ა რ ი ტ ე ტ უ ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს ამზადებდა 26 მაისისთვის (**ენდელაძე, 2004:119**).

მეორე ექსპედიციის დროს (**ჩიტაია, 1991:52-53**), 1924 წლის აგვისტოს ბოლოს, მესხეთში, არქიტექტორ შავიშვილთან ერთად ზარზმაში მუშაობის დროს, გაიგო აჯანყების დაწყების შესახებ, რომ სურამის უღელტეხილი ჩაკეტილი იყო და ბათუმში მხოლოდ გოდერძის გადასასვლელით შეიძლებოდა ჩასვლა (**ჩიტაია, 1991:54; ჩიტაია, III, 2001:204**). იქვე ორივე დააპატიმრეს (**ჩიტაია, 1991:54**) და „სამეულის“ გადაწყვეტილებით მისჯილი დახვრეტა მოულოდნელად შეიცვალა, რასაც მხცოვანი მეცნიერი „განგების მიერ სიცოცხლის მეორედ ჩუქებად“ თვლიდა (**ჩიტაია, 1991:55; ჩიტაია, III, 2001:214**).

ქართული ეროვნული იდეის მატარებელი გიორგი ჩიტაია 1924 წლის აჯანყების ირგვლივ განვითარებული მოვლენების საქმის კურსშია. როდესაც მესხეთში, კერძოდ ზარზმაში სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა, მას იქ

გაუგია აჯანყების ამბავი - „მენიშნა - შეტყობილი მქონდა ოპოზიციური პარტიები აჯანყებას ამზადებდნენ, სათანადოდაც ემზადებოდნენ, მაგრამ რიცხვი, თუ როდის უნდა დაეწყოთ აჯანყება, არ ვიცოდი. ის კი არა, პარიტეტულმა კომიტეტმა შემომთავაზა აფხაზეთში მეხელმძღვანელა აჯანყებისათვის, მაგრამ მე კატეგორიულად ვიუარე გარკვეული მიზეზით: ეს იქნება ავანტიურა, ხალხი გაიჟლიტება და პარიტეტული კომიტეტი კი გადარჩება-მეთქი..“**(ჩიტაია, 1991:55)**. საგულისხმოა, რომ ნიკო ნიკოლაძე, რომლის აზრს ამ შემთხვევაშიც აშკარად იზიარებდა ბატონი გიორგი, 1924 წლის აჯანყების წინააღმდეგი იყო და დამკომს თავშეკავებას ურჩევდა.

გამოსვლები მოხდა, ხალხის სისხლი დაიღვარა, ხოლო პარიტეტული კომიტეტის წევრები, რომლებიც კოლექტიურად შიო მღვიმევის მონასტერში შეიპყრეს - გადასახლებით დაისაჯნენ.

ამრიგად, XX ს. პირველ მეოთხედში განვითარებულ მოვლენათა აღწერილობის სიზუსტე და თანმიმდევრობა გვაფიქრებინებს, რომ აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ თითქმის საუკუნის სიცოცხლის მანძილზე გონებაში შემონახული ნაფიქრალი გადმოგვცა სიცოცხლის ბოლო წლებში ჩაწერილ მემუარებში, რასაც, ფაქტია, საბჭოთა რეჟიმის პერიოდში მას დოკუმენტის სახით ვერ შეინახავდა. მიგვაჩნია, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის შესწავლაში აღნიშნული ჩანაწერები გარკვეულ ადგილს დაიკავებს, სადაც სამეცნიერო მემკვიდრეობის გვერდით სათანადო ადგილი დაეთმობა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გაწეულ დამსახურებას, მის თავდაუზოგავ მოღვაწეობას საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნება-განმტკიცების საქმეში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ავალიშვილი, 1990: – ავალიშვილი ზურაბ, საქართველოს დამოუკიდებლობა, 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებები ; ნარკვევები. I, გამომც., „საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი“, თბილისი, 1990.

გრძელიძე, 1995: – გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), თბილისი, 1995.

ვადაჭკორია, 2010: – ვადაჭკორია შოთა, დამოუკიდებელი საქართველო და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა, მეომრის ბიბლიოთეკა #8, თბილისი, 2010.

ზამბახიძე, 1955: – ზამბახიძე ვლადიმერ, სახალხო განათლების ქართული მოამაგეები, კრებული, II, თბილისი, 1955.

თოიძე, 2009: – თოიძე ლევან, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, გამომც., „ახალი აზრი“, თბილისი, 2009.

- მაზნიაშვილი, 1990: – მაზნიაშვილი გ., მოგონებანი (1917-1925), ბათუმი.
- მაზნიაშვილი, 2014: – მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, თბილისი, 2014..
- ნოზაძე, 1989: – ნოზაძე ვ., საქართველოს ადდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი, 1989..
- სარალიძე, 2023: – სარალიძე ლევა, ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), გამომც., „ფავორიტი“, თბილისი, 2023..
- სდსინ, 2012: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ბათუმი, 2012..
- სიორიძე, 1998: – სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ბათუმი.
- სიორიძე, 2002: – სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი, 2002.
- სიორიძე, 2011: – სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, I, თბილისი, 2011.
- სიჭინავა, 1958: – სიჭინავა ვლადიმერ, ბათუმის ისტორიიდან, გამომც., „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1958.
- სულაძე, 2010: – სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.), თბილისი, 2010.
- სურგულაძე, 1991: – სურგულაძე აკაკი, სურგულაძე პაატა, საქართველოს ისტორია, გამომც., „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი, 1991.
- სურგულაძე, 2013: – სურგულაძე აკაკი, სურგულაძე პაატა, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2013.
- ურუშაძე, 1964: – ურუშაძე აკაკი, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გამომც., „თსუ“, თბილისი, 1964.
- ურუშაძე, 1945: – ურუშაძე ავთ., მოგონებანი, პარიზი, 1945.
- ურუშაძე, 2011: – ურუშაძე ლ.ზ., როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია, თბილისი, 2011.
- «ქართველი მეცნიერები» – გიორგი ჩიტაია, 2010: ბიობიბლიოგრაფია, გამომც., „მერიდიანი“, თბილისი
- შარაძე, 1991: – შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 1, თბილისი, 1991.
- შარაძე, 1993: – შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 2, თბილისი, 1993.
- ჩიტაია, 2001: – ჩიტაია გიორგი, შრომები ხუთ ტომად, III, გამომც., „მეცნიერება“, თბილისი, 2001.
- ჩიტაია, 2001: – ჩიტაია გიორგი, შრომები ხუთ ტომად, V, გამომც., „მეცნიერება“, თბილისი, 2001.
- ჩიტაია, 1991: – ჩიტაია გიორგი, ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, გამომც., „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

ფუტკარაძე, 2017: – ფუტკარაძე შუშანა, მალაყმაძე როინ, ლომთათიძე თამილა, ფუტკარაძე ელზა, ჩელევაძე ნაილა, ფუტკარაძე შორენა, წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, ბათუმი, 2017.

ჯანელიძე, 2009: – ჯანელიძე ოთარი, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, გამომც., „უნივერსალი.“ თბილისი, 2009.

ჯანელიძე, 2010: – ჯანელიძე ოთარი, უკანასკნელი თერგდალეული, გამომც., „უნივერსალი.“ თბილისი, 2010.

ინტერნეტ-რესურსი:

პერტია:პერტია დ., დამოუკიდებელი საქართველო და ინგლის-საფრანგეთის გემები (1918-1921 წწ.). ინტერნეტ-რესურსი:

<https://matiane.wordpress.com/2010/02/15/independent-georgia-and-english-french-ships/>

„გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. ინტერნეტ-რესურსი: <https://ka.wikipedia...>

დამოუკიდებლობის აქტი. ინტერნეტ-რესურსი: <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index>.

The Rights of Elderly from Romania during the Pandemic Period

ხანდაზმულთა უფლებები პანდემიის პერიოდში რუმინეთში

Chirugu Gianina Mădălina

PhD in Sociology,

Lecturer at Ovidius University Constanta, Romania

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-2836-4254>

Abstract: The purpose of the paper is to highlight the impact that the pandemic had, from a legislative point of view, on the elderly in Romania. In order to outline this idea among the proposed objectives, we highlight the analysis of the legislative changes in Romania, the analysis of the influence of these changes on the quality of life of the elderly and what were the main restrictions imposed and whether they affected the rights of the seniors in Romania. The theoretical study will show that the pandemic has led to the violation of several rights of the elderly, especially the right to health.

Key words: elderly, rights, pandemic, restrictions, limitations

ჩირუგუ გაინა მადალინა

სოციოლოგიის დოქტორი,

კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის ლექტორი

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-2836-4254>

ანოტაცია: ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს პანდემიის გავლენა რუმინეთის ხანდაზმულ მოსახლეობაზე საკანონმდებლო კუთხით. ამ იდეის განსახორციელებლად, კვლევის ძირითადი ამოცანებია: რუმინეთში საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი, ამ ცვლილებების გავლენა ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხზე, ასევე იმ ძირითადი შეზღუდვების შეფასება, რომლებიც დაწესდა და რამდენად შეეხო ისინი რუმინელი ხანდაზმულების უფლებებს. თეორიული კვლევა აჩვენებს, რომ პანდემიამ გამოიწვია ხანდაზმულთა რამდენიმე უფლების დარღვევა, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის დაცვის უფლების შეზღუდვა.

საკვანძო სიტყვები: ხანდაზმულები, უფლებები, პანდემია, შეზღუდვები, ლიმიტაციები

Introduction. On February 26, 2020, the first case of COVID-19 was confirmed in Gorj County, in southwestern Romania. The infected person was in direct contact with an Italian who visited Romania between February 18 and 22 and tested

positive on his return to Italy. Indeed, the Italian authorities alerted Romanian counterparts, thus facilitating the rapid identification and isolation of contacts, some of which were subsequently tested positive for SARS-CoV-2. In addition, as the first patient did not show any symptoms of COVID-19, a potential overpropagation scenario was avoided. Although the "zero patient" was quickly identified in Romania, other cases followed. By March 14, Romania had exceeded 100 confirmed cases, most of them being Romanian citizens returning from severely affected areas. On March 25, Romania increased these restrictions by establishing a military ordinance. The new measures have included isolating citizens over the age of 65 in their homes and reducing the daily movement of the population to a minimum, such as essential shopping and visiting pharmacies or hospitals. Indeed, the country has begun to face serious problems in managing the growing number of patients with COVID-19. Romania has one of the largest diasporas in the European Union (EU), with over three million citizens living abroad. Due to the economic uncertainties and the atmosphere of panic associated with the COVID-19 pandemic, many have returned to Romania, especially from severely affected countries such as Italy or France. As the human migration movement proved to be a good predictor of an epidemic, successive waves of returning citizens posed a huge challenge for border control and healthcare authorities.

This problem had to be resolved quickly, as at present the stages of spread were crucial in determining the results of epidemic control. In addition, public concerns about these issues required careful management, as an inadequate approach has the potential to lead to a stigmatization of those returning. In March 2020 alone, more than 250,000 Romanians returned from abroad, and their number was expected to increase in the weeks before Easter. In response, all Romanian citizens returning from the regions affected by COVID-19 were forced to sign a 14-day self-isolation declaration. However, many citizens did not honestly report where they were returning, some of them even taking deviated routes to enter Romania.

The dramatic example was the case of a retired officer who lied about traveling abroad when he was hospitalized (Rădulescu, 2020). By the time he was diagnosed with COVID-19, he had infected at least 30 people, including medical staff. In addition, there have been countless examples of people who have not taken into account the official guidelines by attending large social gatherings. This led to hundreds of people quarantined after coming into contact with confirmed patients. In response to widespread non-compliance with official guidelines, the authorities have introduced mandatory self-isolation or institutionalized quarantine for those returning from countries with a moderate and severely affected level, respectively. An important aspect is that the police escorted most citizens returning to

quarantine units in their counties of origin, thus avoiding an overload of infrastructure in border regions.

The answers of the Romanian authorities to the pandemic. Romania has the lowest level of health of all EU countries (WHO, 2022) and faces the problem of staff shortages due to the continued emigration of medical staff. As a result, many rural areas do not have access to healthcare facilities, with the nearest medical units often being located at considerable distances. These pre-existing problems have exacerbated the challenges posed by the COVID-19 pandemic. By the end of March 2020, an increasing number of hospitals in Romania were dealing with cases of COVID-19. As infections began to be reported among medical staff, many departments were closed and patients with other conditions were transferred to either the same hospital, or to other medical units. However, in many cases, this type of response was not used early enough. As a result, infections began to spread rapidly among medical staff and patients, leading to hospitals and even entire cities to be quarantined.

A dramatic example of such a scenario took place at the county hospital in Suceava, in northeastern Romania. There, inadequate management, along with a lack of protocols and inadequate protective equipment, led to an explosion of COVID-19 cases. In addition, the hospital management tried to hide the irregularities and not report the initial cases among the medical staff. Unfortunately, patients with the condition were infected and many of them died due to complications associated with COVID-19.

Consequently, on March 30, as more and more cases were reported, the government decided that Suceava and several neighboring localities should enter into total isolation. In addition, the administration of the county hospital was taken over by the army, which purchased adequate protective equipment and established strict protocols for all medical staff. The unfortunate series of events that took place in Suceava demonstrates the crucial role of health authorities. As a result, due to the dangerous conditions in which they had to work, several doctors and nurses from across the country resigned officially. Their concerns were not limited to the safety of health care for health workers themselves, but also included the well-being of patients who were not yet infected with SARS-CoV-2. As some of these resignations entered into force, alarm signals were sounded at national level, which led local and national authorities to accelerate the provision of the resources needed to deal with the epidemic.

At the same time, concerns have arisen about the effects of large-scale resignations on already insufficient staff. These waves of resignations, which were meant to

raise public awareness of health problems, created a wave of public protests. Indeed, these actions gave the impression that patients were abandoned in a difficult period. As a first response, government officials discussed the withdrawal of the rights of resigning medical staff to practice medicine.

This highlighted the challenges facing medical staff in reporting problems in the health system. It has also shown that hasty and uncoordinated actions can lead to public unrest, thus emphasizing the responsibilities of medical staff. From the restrictions on hospitality (where people had to find innovative solutions and make difficult decisions for their employees and businesses), up to legal provisions that have had an impact on professional life. At the beginning of the pandemic, the legal provisions have made workers in the care system (including elderly care centers) forced to spend 14 days in solitary confinement at work.

A preventive measure of isolation at work for two weeks has been implemented by the government for people employed in social assistance and child protection units. They were the only workers forced to leave their families and homes for such a period, and later they were forced to isolate themselves for two weeks when they returned from work. The government has tried to compensate for these strict measures by providing a risk incentive. However, the payment for workers was expected to be approved, which in turn is dependent on the reimbursement of European funds. It is recognized that the elderly remain at increased risk of COVID-19.

Socio-cultural importance in controlling the epidemic. Romania-specific socio-cultural determinants influenced the management and control of the COVID-19 pandemic. Corruption has affected the Romanian health system for years, which has led to a loss of public confidence in its services. Consequently, the prospect of being deprived of essential care and / or acquiring nosocomial infections following hospitalization has discouraged people from seeking medical help. In order to raise awareness about COVID-19, the Romanian authorities have initiated an information campaign at national level through various media channels, including television and social networks. Thus, preventive measures were encouraged, such as social distancing, wearing masks and using disinfectants. However, the many fines given by the authorities during the epidemic have illustrated the reluctance of many citizens to comply with the restrictions imposed on their daily lives. Situations of public unrest have also become apparent, especially where quarantine centers for people suspected of COVID-19 have been opened. These situations were mainly caused by confusing and often poorly transmitted information, which did not take into account specific socio-cultural determinants.

Romania has one of the highest levels of poverty, social exclusion, and limited access to education in the EU, and any public information campaign should have taken these issues into account. Romania is also one of the most religious countries in the EU, with over 80% of its population identifying as an Orthodox Christian. While most major religions and other Christian denominations in Europe quickly announced measures in response to the pandemic. European Orthodox churches have been among the slowest to respond, in part because of their extremely conservative doctrines. Indeed, Orthodox rituals and ceremonies have had the potential to dramatically increase COVID-19 transmission events, because they often involve large gatherings of people and close contact between believers. However, despite the shortcomings and delays, the Romanian Orthodox Church followed the recommended measures. These communications and other efforts were the result of an active dialogue between high-ranking Church experts and officials. In addition, to support collective efforts to reduce the burden of the pandemic, The church has adapted pre-existing structures to provide charitable help for vulnerable people and has even created quarantine centers for patients with COVID-19. This demonstrates that health authorities establish effective communication channels that penetrate all strata of society and subsequently exploit them during public health crises. When combined with conventional control measures, these approaches will simultaneously inform and guide public opinion on health issues.

The situation of the elderly during the pandemic in Romania. In Romania, the COVID-19 pandemic has further aggravated the situation of the elderly, who are already facing a series of social problems. General economic and social vulnerability, poor access to infrastructure and health services, especially in rural areas, as well as the inadequacy of dynamic and integrated measures to protect the elderly are the main obstacles to ensuring a dignified life for this category of population.

The studies reveal several problems faced by social workers in Romania, these problems being identified in the period before the COVID pandemic 19. The main problems concern the insufficiency of human resources and the employment of people without special training in the field, the large workload, the large number of cases and their increase in complexity, a low level of understanding from heads of institutions and colleagues with other qualifications on the priority needs of customers, bureaucracy, too many forms to fill out, insufficient material and logistical resources, lack of adequate working space, difficulties in cooperating between institutions and also within the same institution, lack of uniform working methodologies, concerns about personal issues, personal safety at work, reduced

access to vocational training, emotional and mental problems, emotional and mental stress, lack of professional supervision, job insecurity.

To all these issues, legislative changes are added and the fact that part of the legislation and methodologies allows interpretations of how procedures can be applied in field work. Social workers note that all these are obstacles to effective intervention. In addition, the unequal distribution of social services in communities increases social inequalities, making certain sections of the population more vulnerable. Any crisis situation highlights weaknesses and brings vulnerabilities and instabilities of operation to the surface, at a personal level but also at the level of group, community and society. However, strengths and more positive aspects can also be brought to attention and available resources can be (re) discovered.

The activity of social workers has undergone substantial changes due to the restrictions imposed to limit the transmission of SARS-CoV-2 virus. All restrictive measures were necessary and beneficial for the safety of professionals and customers. The implementation of social spacing measures has generated limitations on the work of social workers, who usually work directly with socially disadvantaged groups and people who do not have many resources. In Romania, the state of emergency was established for a period of 30 days on March 16, 2020, by Decree no. 195/2020 and was extended for another 30 days by Decree no. 240/2020. In accordance with Article 10, row 1 of the Military Law Ordinance no. 8/2020, during the state of emergency, a preventive isolation measure was imposed at work or in special areas dedicated to employees in residential social centers. On May 15, 2020, the Emergency Situations Committee declared the alert state, according to Decision no. 24 / 14.5.2020. Subsequently, the alert status was extended for additional periods of 30 days to date. In order to maintain the health and safety of beneficiaries and employees of social services, the Ministry of Labor and Social Solidarity and its subordinate institutions have developed instructions and recommendations such as: replacement of monitoring visits, with telephone or digital technology monitoring, online (by e-mail), where possible, telephone and online, members of integrated teams, with other local professional teams, families of beneficiaries, temporarily unavailable staff, authorities, adoption of a flexible work schedule / establishment of individualized work programs; hiring additional staff without competition; suspension of social services; identifying volunteers to support staff; identifying volunteers to support staff; identifying, as a matter of priority, families / relatives who can take over their beneficiaries at home during the state of emergency. The recommendations also emphasize that, in this context, the need for specific training and supervision is imperative for social services, social service employees, in order to provide psychosocial support to beneficiaries.

The National College of Social Workers of Romania (2020) has developed sectoral recommendations that include: making a more flexible program, working from home, when possible, limiting as much as possible the population's access to the institution's offices, limiting field activity and using alternative solutions, such as telephone and video calls, sending documents by e-mail, WhatsApp and so on.

The recommendations of the Ministry of Labor and Social Protection (2020) also aimed at establishing up-to-date procedures for regulating access for residents, staff in centers, volunteers and representatives of the authorities, isolation for 14 days upon admission to the center, depending on the epidemiological assessment, interruption of access to new beneficiaries during the state of emergency, providing detailed procedures for various activities (collecting medical information, medical waste, special access and exit routes for staff, purchasing the necessary materials, postal services, compliance with hygiene rules and disease control, maintaining social distance).

Military order no. 8 (Articles 9 to 12) contains measures with a direct impact on the protection of the elderly: banning the closure of public and private care centers for the elderly and supporting the human resources involved in the care of the elderly. These measures were welcome, given the closure of old people's homes (ex. Râmnicu Vâlcea) and the illness of some residents (ex. Galați).

In addition to the general health and hygiene measures imposed by the pandemic, there are specific care measures, especially for people with reduced mobility or even for patients immobilized in bed. Older people who do not have a companion or who have reduced mobility in both spouses are particularly vulnerable. For example, the limited availability of public transport can cause travel problems for some chronic patients (for example, dialysis treatment, oncological treatment in a city other than the city of residence). Reducing funding for private social service providers (for example, home care) can lead to a reduction in the number of beneficiaries, limiting their access to the care they need (Voicu, 2020).

On a generally precarious health and characterized by age-specific vulnerabilities, on an existing situation of limited access to health services, a threat has been overcome which has led to further restriction of health services. Ambulances were closed, and hospitals limited treatment and intervention to urgent cases only. At the beginning of the pandemic, many patients were discharged, including oncological ones. Patients with chronic, oncological, autoimmune diseases were generally abandoned, and all efforts were directed to treat patients with Covid-19. This situation posed a risk for several categories of patients: patients with chronic diseases, cancer patients who could not be operated on and treated if no medical emergencies were considered, patients with current problems who could not

address the specialist doctors under the conditions of restricting the medical services offered.

The access of oncological patients to treatment was limited and transformed in the context of the pandemic: interventions at the largest oncological center in the country decreased by almost half, access to life through radiation therapy and chemotherapy was only done with testing for Covid-19, treatments with radiation therapy and chemotherapy decreased dramatically, and some patients discontinued treatment for fear of infection. In all hospitals, the number of hospitalizations compared to previous years has decreased. Lack of access to healthcare is also reflected in the increase in mortality compared to previous years.

In Romania, due to the high risk of infection with COVID19 for people over 65, military decree 3 established a time interval of 11-13 years for their movement outside the home (article 2). The measure has been criticized as discriminatory by pensioners' organizations that are part of the National Council for the Elderly. According to the amendments published in Military Order 4, travel outside the originally established time intervals is possible "if performed for medical reasons, such as planned oncological treatments, dialysis, etc., using their own means of transport or family / caregivers or, if necessary, a specially planned medical transport "(Article 1). In accordance with the Military Order no. 10, persons over the age of 65 may travel outside the home in the following hours: 7-11 a.m. and 7-10 p.m. (Voicu, 2020).

As the geriatrics predicted it would happen, being locked up at home for long periods of time has caused a significant number of elderly people to have reduced mobility and experience muscle weakness and joint pain. Everyday activities, such as climbing stairs or washing, have suddenly become difficult, and previously independent elderly people have come to depend on walking aids to travel short distances.

Reduced mobility has a chain effect, and the elderly have stated that they have gained weight, that they have joint and muscle pain and that they feel constantly weak. Low mood, lack of support for meal preparation, deterioration of physical health and increased pain had an impact on the appetite and nutrition of older people. This pandemic is a disease lived socially, in several layers, from the structural exterior imposed by social isolation to inner psychological isolation. As self-isolation is one of the main recommendations during the COVID-19 pandemic, being adopted as a social policy by the vast majority of affected countries, this raises the question of whether it should be treated as a private matter or a matter for society. Socially isolated people are correlated with low levels of well-being.

From a functionalist perspective, social isolation is a form of social exclusion, which directly affects welfare and social cohesion. Thus, it cannot be labeled as a private matter but rather as a public issue. Social isolation is the outward aspect of loneliness. Loneliness can be considered as social suffering - not just metaphorically - because magnetic resonance examinations show a brain activation in the same region when experiencing pain or rejection (Wu 2020). Social isolation disproportionately affects the elderly, turning it into a serious public health problem.

შესავალი: თურქეთი-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ წინა საუკუნეში დაიწყო.

თურქეთში შექმნილი ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედება თავდაპირველად ფოლკლორული ნიმუშებით შემოიფარგლებოდა და იმ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს მოიცავდა, რომლებიც იქ მცხოვრებმა ჩვენებურებმა შექმნეს სხვადასხვა დროს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ამ ტექსტების ჩაწერა ძალზე იშვიათად ხდებოდა, მათი უმეტესობა დღესდღეობით დაკარგულია და ჩვენამდე მათ მიერ შექმნილი ფოლკლორული შემოქმედების მცირე ნაწილია მოღწეული.

ჩვენებურების ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედების ისტორიაში ახალი ეტაპის დადგომა და ამ თვალსაზრისით იქაურ სახალხო მთქმელთა და მხატვრულ სიტყვას შექიდებულ ავტორთა რამდენადმე გააქტიურება უკვე მუჰაჯირობასთან აღმოჩნდა დაკავშირებული. კერძოდ, ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად თურქეთში გახიზნული ის ქართველები, რომელნიც შემოქმედებითი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული, თავიანთ ნოსტალგიურ გრძნობებს ქართულ ენაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი (იშვიათად წერილობითი) ფორმით შექმნილი მხატვრული ტექსტით გამოხატავდნენ.

შუშანა ფუტყარადის მიერ გაწეული უდიდესი შრომის შედეგად დღეისთვის შეკრებილია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების მეტყველების ნიმუშები, ამ უნიკალური სამუშაოს შესრულების დროს მკვლევარს რამდენიმე პოეტური მარგალიტიც ჩაუწერია: მუჰაჯირ ქართველებს, ჩვენებურებს, დღემდე შეუნახავთ ძველი

ადათწესები, ხალხური სიმღერები, ცეკვები, ზღაპრები და თქმულებები. ამავე დროს შეუქმნიათ ახალიც.

ერთ–ერთ ლექს–სიმღერაში ჩვენებურები თავიანთ თავს ადარებენ „შეფრენილ ფუტკარს“. სკა რომ გამრავლდება და ახალი ოჯახები გამოეყოფა, იმაზე იტყვიან, „სკამ მართვე გამოუშვაო“. მართვე (ფუტკარის ახალი ოჯახი) ზოგჯერ წინასწარ გამზადებულ ახალ სკაში არ შედის და სადმე სხვაგან დაიბუდებს, სხვაგან შეფრინდება. აი ასეთ დედა სკიდან გამოსულ მართვეს ადარებენ თავიანთ თავს, იმ მართვეს, ფუტკარს, რომელსაც გზა დაეზნა და სხვა ქვეყანაში შეფრინდა, სხვაგან დაიდო ბინა. ქალაქ ინეგოლის მცხოვრებმა ქაზიმ უჩარმა (დავითაძემ) ასე მითხრა: „შეფრენილი ფუტკარი, აჭარიდან გამოქცეული მართვე ჩვენ ვართ იანი. მოვსულვართ აქა და შამოფრენილვართ, აქ გაგვიკეთებია ბუდეები, აქ მოვფუსფუსებულვართ, გამოვმცხოვრებულვართ. ჩვენ ძველე ბსაც ამაზე სიმღერა მუფგონებიან „შეფრენილო ფუტკარო“.

საინტერესოა აგრეთვე სიმღერა „თეთრო მამალი“. სიმღერის ტექსტი ალეგორიულია. ჩვენებურები ლექსის შინაარსს ასე ხსნიან: „თეთრი მამალი“ არის სამშობლოზე ფიქრისა და ოცნების ალეგორიული სახე. „ლამაზი ქალი კი მუაჯირთა შთამომავლობის სიმბოლოა...დრო გასულა, სამშობლოდან გადმოხვეწის შემდეგ, ჩვენებურები შეგუებიან ბედის ტრიალს, აღარ ფიქრობენ მემლექეთში დაბრუნებაზე, ამიტომაც აღარ ყივის თეთრი მამალი. ადრე თუ მუჰაჯირი ქალები, თვალეზში ცრემლებჩამდგარი, იგონებდნენ გურჯისტანს, ახლანდელი ქალები აღარ ტირიან, ახალ სამშობლოში გაუჩენიათ კერა და დღენიადაგ მას ევლებიან თავს. ღელე გაღმაში – მიტოვებულ სამშობლოშიც – ბევრი რამ შეცვლილა, ძველები წასულან წუთისოფლიდან, ახალგაზრდები მოსულან მათ ადგილას. ე.ი. ლექსში სამი ალეგორიული სახეა: თეთრი მამალი, ლამაზი ქალი – და ღელე გაღმა.... (ფუტკარაძე, 1993: 16–17)

თურქეთელ ქართველთა ზეპირპოეტური შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად „გურჯულ ვაიზში“ (სწავლა–დარიგებაში) გამოვლინდა. საკმაოდ ვრცელი მოცულობის ამ პოეტური ტექსტის მეშვეობით ჩვენებურები მშობლიურ ენაზე ისმენდნენ იმ ზნეობრივ შეგონებებს, რასაც მათ მაჰმადიანური რელიგია უწესებდათ უმთავრეს ცხოვრებისეულ პრინციპებად. „გურჯული ვაიზი“ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოები იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მასში თურქეთელ ქართველთა ეროვნულ–პატრიოტული თვალთახედვაცაა და მშობლიური ქართული ენისადმი გამძაფრებული სიყვარულიც გამოვლინდა ემოციურად ძალზე შთამბეჭდავი ფორმით. (ნიკოლეიშვილი, 2015: 6–7)

ქართულენოვანი შემოქმედება სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

1. სტამბოლის ქართული სავანის მღვდელთმსახურთა და ამ ქვეყანას სხვადასხვა დროით თავშეფარებულ ქართველ ემიგრანტთა აქტიურ

საგამომცემლო, შემოქმედებით, პოლიტიკურ და ეროვნულ–საგანმანათლებლო საქმიანობასთან;

2. თანამედროვე თურქული ლიტერატურის იმ რამდენიმე წარმომადგენლის მოღვაწეობასთან, რომელიც ეთნიკური წარმომავლობით ქართველები არიან.
3. იმ ავტორთა მიერ შესაბამისი პერიოდის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებთან, რომელთაც დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებულ, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმებული ყარსის ხელშეკრულების ძალით კვლავაც თურქეთისათვის გადაცემულ ქართულ რეგიონებში მოუხდათ ცხოვრება და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება. (ნიკოლეიშვილი, 2015: 7–8)

სტამბოლის ქართული სავანე: ქართველების მიერ საუკუნეთა მანძილზე უცხოეთში ნაშენები ქართული საგანმანათლებლო ცენტრები თითქმის ყველა დაიკარგა: განადგურდა ხელნაწერების უმეტესობა, გაიძარცვა, გასხვისდა ათონის ივერიონი, ჯვრის მონასტერი პეტრიწონი, სინა, შავი მთისა თუ ანტიოქიის კერები... ამჟამად ერთადერთ გამონაკლისს, საიმედოდ შენახულსა და დაცულს, წარმოადგენს სტამბოლის ქართული სავანე (Altun, 2023: 1144).

სტამბოლის ერთ–ერთ უბანში – გალათაში – უძველესი დროიდან არსებობდა ქართველთა ახალშენი–დასახლება. 1453 წლიდან ოსმალებმა ამ ადგილს უწოდეს „გურჯუ კაფუ“ – „ქართველთა კარი“ და დღემდე ასეა ცნობილი. გალათაში ქართველებს ჰქონდათ თავიანთი სალოცავი, საყდარი (როგორც იქაურები უწოდებენ) წმ.პეტრეს სახელობის ეკლესია. აქაური ქართველები უმეტესად მესხეთ–ჯავახეთიდან გადმო–სახლებული კათოლიკეები იყვნენ (ფუტკარაძე, 2002).

ქართველების რიცხვი სტამბოლში განსაკუთრებით გაიზარდა 1828–29 წლებისა და 1877–78 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომების შემდეგ. პროცესი, რამაც გამოიწვია ქართველების მიგრაცია, კარგადაა აღწერილი თვითმხილველების, მოგზაურების, ისტორიული წყაროების, XIX საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა სხვათა მიერ.

საქართველოდან თურქეთში გადახვეწილი ქართველების აღსანიშნავად აღსანიშნავად გამოყენებულია სიტყვა „მუჰაჯირი“, რომელიც ჩვენს ენაში დამკვიდრდა მე–19 საუკუნის ბოლო მეოთხედში და ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს, სამშობლოდნ წასულს. ტერმინი „მუჰაჯირი“ არაბულია; მუჰაჯირი ქართველები კი თავისიანებს „ჩვენებურებს“ ეძახიან (ფუტკარაძე, 1993: 9).

მუჰაჯირობის ისტორია, მისი გამომწვევი მიზეზები კარგად არის შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში. ეს საკითხი, ომის შედეგები, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები, რუს ხელისუფალთა

მმართველობის ბარბაროსული ფორმები და გამუსულმანებული მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმი – სხვადასხვა კუთხით არაერთგზისაა აღწერილი ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის გრიგოლ ორბელიანის, სერგეი მესხის, ზაქარია ჭიჭინაძის, მემედ-ბეგ აბაშიძის, პეტრე უმიკაშვილის და სხვათა მიერ.

თურქეთში მომრავლებულმა და მომძლავრებულმა ქართველობამ სტამბოლის უბნებში – გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, პერაზე, ფაფასქვერში, უსკუდარში – დააარსეს სალოცავები, რომლებიც გახდა ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები. თუმცა მათი კვალი ჟამთასვლამ წაშალა.

საინტერესოა უსკუდარის ეკლესია–მონასტრის ბედი, რომელიც გასული საუკუნის 20–იან წლებამდე ფუნქციონირებდა. იგი დააარსა მამა პეტრეს (პეტრე ხარის–ჭირაშვილის) მიერ ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ. (ეკლესია აშენდა 1861 წელს და აქვე დაფუძნდა დედათა და მამათა მონასტერი). ანდერძის თანახმად წირვა–ლოცვა ქართულ–ბერძნულ ენაზე უნდა წარმოებულყო. 1881 წელს გაიხსნა ქართულ–ბერძნული სკოლაც. მაგრამ ეკლესიის ბედი უკუღმა დატრიალდა 1910 წლიდან, როცა ეპისკოპოსმა სარდიმ ქართულ ენაზე წირვა–ლოცვა მოსპო და საყდარი თავისი შემოსავლებიანი სახლებითა და მრევლით მახლობელ უბანში მდებარე ლათინთა ეკლესიას მიაკუთვნა. ამ არასასიამოვნო ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც საქართველოში ისე სტამბულსა და ევროპის რიგ ქვეყნებში. განსაკუთრებით აქტიურობდა ფრანგულენოვანი გაზეთი „ლა ტურკი“, რომელმაც არაერთი წერილი დაბეჭდა. დავას ქართველებსა და იტალიელებს შორის იძიებდა ვექილი საბრო–ბეგ შამბაშიძე და ოსმალეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, შარიათის პროფესორი მუფთი ხასან–ფეჰმი ირემაძე. თუმცა საქმის საბოლოო გამოძიებისა და სამართლიანი განჩინების გამოტანას ხელი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა და ეს საკითხი მივიწყებას მიეცა (სახალხო გაზეთი, 1911).

საბედნიეროდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა სტამბოლის ერთ–ერთ უბანში, ფერიქოაში, ქართველ კათოლიკეთა სავანე (ეკლესია–მონასტერი), რომელიც ასევე დაფუძნა ახალციხელმა ქართველმა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა, ცნობილი ქველ–მოქმედის იაკობ ზუბალაშვილის დახმარებით. მამა პეტრეს თაოსნობით 1861 წელს სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში–ფერიქოიში, ბომონთში აშენდა წმ. მარიამ ღვთის–მშობლის სახელობის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია. მალე გაიხსნა მამათა და დედათა მონასტრებიც. 1870 წელს ამუშავდა სტამბა, სადაც 200–ზე მეტი დასახელების წიგნი დაიბეჭდა. დაფუძნდა ბიბლიოთეკა.

1908 წელს ფერიქოის სავანეში ოფიციალურად გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც წლების განმავლობაში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებიდან იგზავნებოდა ემიგრანტული

ლიტერატურა; ამ ბიბლიოთეკაში დღემდეა დაცული უნიკალური ქართული გამოცემები დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ არსებულ სტამბებში (ნაჭყებია, 2009: 10).

თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის მნიშვნელოვანია სტამბოლის ქართული სავანის, როგორც ქართული კულტურის უძლიერესი კერისა და იქ შექმნილი თარგმნილი თუ ორიგინალური ნაწარმოებების მიმოხილვა. როგორც ამ კერის ცნობილი მკვლევარი შუშანა ფუტკარაძე მიგვითითებს ეს სავანე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში გადაიქცა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კულტურისა და განათლების ცენტრად, მათი ერთიანობისა და ძმობის ტაძრად, სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა მშობლიურ კერად (ფუტკარაძე, 2012: 18). განუზომელია ამ კულტურის ცენტრის მიერ გაწეული ღვაწლი თურქეთში მცხოვრები მილიონობით ქართველის განათლებისა და თვითშეგნების ამაღლებისთვის. თავისი ეროვნული მნიშვნელობით, ქართული კულტურის ეს ცენტრი საზღვარგარეთ ამ პერიოდში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო კერა იყო (Altun, 2023: 51). სტამბოლის ქართული სავანე თავისი დანიშნულებით, ქართველი ერის წინაშე გაწეული სამსახურით, ბევრად ემსგავსება ადრეულ საუკუნეებში საზღვარგარეთ მოქმედ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს. (ფუტკარაძე, 2012: 23)

როგორც მკვლევარი გურამ შარაძე წერს, ქართველ კათოლიკეთა მონასტერი სტამბოლის მაშინდელ განაპირა, დღეს კი დიდად პრესტიჟულ უბანში – ფერიკვეიში აგებულია (1859–1861 წწ.) ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელობაზე. მონასტერთან არსებულა როგორც მამათა ისე დედათა სავანე. პეტრე ხარისჭირაშვილს ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე დაუწესებია, აგრეთვე, დაუარსებია სასწავლებელი, წიგნთსაცავი და სტამბა, შეუძენია საკმაოდ ვრცელი სამონასტრო მიწები. მამა პეტრეს მხარში ედგნენ ახალციხიდან წამოსული მოწაფეები – იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი) და სტეფანე გიორგაძე. სამონასტრო სკოლაში საღმრთო საგნებს გარდა ასწავლიდნენ ექიმობას, წამლების კეთებას უცხო ენებს, მასწავლე-ბლობას... ამ სკოლამ ბევრი სასიქადულო მამულიშვილი გამოზარდა. მათ შორის საკმა-რისი დავასახელოთ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერები მიხეილ თამარაშვილი და მიქელ თარხნიშვილი, აგრეთვე, ერთ დროს აქაური მღვდელი, უკანასკნელად ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი შალვა ვარდიძე...

კონსტანტინეპოლის ქართული სავანე ჯერ კიდევ 1870-იანი წლებიდან შესდგომია ქართული წიგნების ბეჭდვას, რომელთა უმეტესობა აღწერილია „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიაში, ნაწილი კი ჩვენი ისტორიული ბედეუკულმართობის გამო, საერთოდ არ მოხვედრილა საქართველოში და

ამდენად, უცნობია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის (შარაძე, 1993: 461–463).

გარდა სასულიერო (ქრისტიანული) შინაარსის გამოცემებისა, წიგნთსაცავში ასევე საკმაოდ მრავლად გვხვდება სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის გამოცემები, ქართველი ემიგრანტების მიერ ევროპასა და ამერიკაში დაბეჭდილი წიგნები და ჟურნალ–გაზეთები. ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად, მონასტრის არქივში ძველი ქართული ხელნაწერებიცაა საკმაოდ მრავლად დაცული (ნიკოლეიშვილი, 2015: 66).

სტამბოლის ქართული სავანის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, შუმანა ფუტკარადის ინფორმაციით, ამ სავანის სიძველეთსაცავში დღესდღეობით დაცული დოკუმენტების რაოდენობა 83 000 ერთეულზე მეტია. ხელნაწერთა და გამოცემათა უდიდესი ნაწილი (80 პროცენტზე მეტი) ქართულენოვანია, დანარჩენი კი ლათინურ, ფრანგულ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე (სულ–17 ენაზე) არის შესრულებული. სავანის არქივის უნიკალურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იქ ადრინდელ საუკუნეებში გამოცემული წიგნებიც ყოფილა დაცული. მათგან ყველაზე ძველი 1523 წელს ლათინურ ენაზე დაბეჭდილი სახარებაა (ფუტკარაძე, 2012: 68).

სტამბა: სტამბოლში ქართული კულტურის განვითარებას დასაბამი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. სტამბულში ქართული დასახლებანი, სავაჭრო ცენტრები, ეკლესიები და სასწავლებლები ადრეც არსებობდა, მაგრამ ხელშესახებად მნიშვნელოვანი როლი ამ თვალსაზრისით მათ არ შეუსრულებიათ. სტამბოლის ქართული სავანის გადაქცევას ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ მძლავრ უცხოურ კერად პ. ხარისჭირაშვილის მიერ 1870 წელს იქ ქართული სტამბისა და გამომცემლობის დაარსებამაც არსებითად შეუწყო ხელი. მოყოლებული 1870 წლიდან 1933 წლამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა. სტამბოლის გამომცემლობა მხატვრულ ლიტერატურას გარდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებულ პოლიტოლოგიურ წიგნებსაც და უცხოური მხატვრული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშებისა და საქართველოსთან დაკავშირებით უცხოელ ავტორთა მიერ დაწერილი ნაშრომების ქართულ თარგმანებსაც სცემდა (Altun, 2023: 1145). იქაური გამომცემელი XX საუკუნის ათიან და ოციან წლებში ამ თვალსაზრისით იმდენად დიდ აქტიურობასაც კი იჩენდნენ, რომ მხატვრული ტექსტებისა (როგორც ორიგინალურისა, ისე ნათარგმნისა) და მეცნიერულ–პოლიტოლოგიური ნაშრომების გამოცემა იმდროინდელი მათი საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად იქცა.

1870 წლიდან მეოცე საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა. თემატურად ეს წიგნები ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ესენია:

1. სასულიერო ხასიათის გამოცემები;
2. სასწავლო და ზოგადსაგანმანათლებლო წიგნები;
3. მხატვრული, ისტორიული და საქართველოს ეროვნულ – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული პოლიტოლოგიური ხასიათის გამოცემები;
4. უცხოური მხატვრული ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშთა და საქართველოსთან დაკავშირებით უცხოელ ავტორთა მიერ თარგმნილი ქართული თარგმანების გამოცემები (ნიკოლეიშვილი, 2015. 85–88).

ჩვენთვის საინტერესო ამ გამოცემებიდან გახლავთ ქართული მხატვრული ლიტერატურის და ისტორიულ – პოლიტიკური აზროვნებისთვის მნიშვნელოვანი ნაწარმოებების და მწერლების წარმოჩენა, რადგანაც სწორედ ეს ნაშრომები ასახავენ თურქულ – ქართული ლიტერატურული ურთიერთობების იმ მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც შემდგომში, მეოცე საუკუნის ლიტერატურული ურთიერთობებით გაგრძელდა და რომელიც დღეისთვის მნიშვნელოვან, ახალ, ეტაპზეა გადასული.

სტამბოლის ქართულ სავანეში XIX საუკუნეში ძირითადად რელიგიური და მოს წავლევებისთვის განკუთვნილი სასწავლო ლიტერატურა გამოიცემოდა. პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც აქ დაისტამბა, იყო ივანე გვარამადის „ყვავი-ლების კონა“, რომელიც, როგორც ა. ნიკოლეიშვილი (გვ. 95) აღნიშნავს, ლიტერა-ტურულად დახვეწილი კრებული არ არის, მაგრამ ინტერესს იწვევს იმის გამო, რომ აქ დასტამბული პირველი პოეტური კრებულაა.

სტამბოლში გამოცემული არასასულიერო ხასიათის წიგნების ავტორთა უმრავლესობას ან ამ ქალაქს დროებით თავშეფარებული პოლიტიკური ემიგრანტები წარმოადგენდნენ, ანდა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. ერთადერთი წიგნის ავტორი კი არაემიგრანტიც იყო – სტამბოლში იმხანად ხანმოკლე პოლიტიკურ – დიპლომატიური მისიით მყოფი პავლე ინგოროყვა (ნიკოლეიშვილი, 2015: 101).

სტამბოლის ქართულ სავანეში გამოცემული წიგნებიდან ჩვენი ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი საქმიანობები ვრცლად აქვს განხილული ლიტერატურათმცოდნესა და ცნობილ ქართველ მკვლევარს ავთანდილ ნიკოლეიშვილს, რომელსაც ფასდაუდებელი შრომა აქვს გაწეული ამ მნიშვნელოვან ქართულ სავანეში მოღვაწე ადამიანების ნაშრომთა კლასიფიცირებასა და თურქულ – ქართული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ქართულ სამეცნიერო სივრცეში

წარმოსაჩინად. მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ნაწერების სრული აღწერა და შესწავლა ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს პირდება მკვლევარებს, დღეისათვის ცნობილი და შესწავლილი ავტორების საქმიანობა ასე გამოიყურება:

პეტრე სურგულაძე: 1. საქართველო თავისუფლებისაკენ;

2. საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო;

3. დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა;

3. სურგულაძის მიერ ამ წიგნების გამოცემა დაკავშირებული იყო საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ საჭიროებებთან და მისი შეხედულებები საქართ-ველოს დამოუკიდებლობაზე, ეს წიგნები იყო ანგარიშგასაწევი და აქტუალური.

პავლე ინგოროყვა: 1918 წელს გამოცემული წიგნი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ არის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის დასარიგებელი წიგნი, სადაც უნდა განეხილათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ეს კონფერენცია არ გაიმართა. წიგნი განხილული საკითხები სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო და პავლე ინგოროყვა ისტორიულ დოკუმენტებსა და მყარ სტატისტიკურ მონაცემებზე დამყარებით აცლიდა საფუძველს ყველა იმ ტერიტორიულ პრეტენზიას, რომელსაც საქართველოს უყენებდნენ იმხანად მისი მოწინააღმდეგე ქვეყნები.

ნიკოლო მიწიშვილი: სტამბოლის სავანესთან არსებული ქართული გამომცემ-ლობების მიერ დასტამბულ ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკოლო მიწიშვილის პოეტური კრებული „შავი ვარსკვლავი“. ეს წიგნი პოეტის მეორე კრებულია. ნ. მიწიშვილის პოეტური კრებულისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მასში შეტანილი ლექსებით ავტორმა საკმაოდ მძაფრად გამოხატა სულიერი სასოწარკვეთა ცხოვრებისეული მიზანსწარაფვის ვერმპოვნელი და მსოფლმხედველობრივად გაორებული ქართველი ემიგრანტისა (ნიკოლეიშვილი, 2015: 135).

ნოე ჟორდანიას: 1923 წელს, თავისი მთავრობის წევრთა დიდ ნაწილთან ერთად იმ დროისათვის უკვე საფრანგეთის დედაქალაქში დამკვიდრებულმა, მან სწორედ სტამ-ბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სტამბა-გამომცემლობაში დასტამბა ემიგრანტობის პერიოდში დაწერილი თავისი ახალი წიგნი „ბრძოლის საკითხები“. ეს წიგნი ახალი რეალობიდან გამოსავლის მოსაძებნად დაწერილ ერთგვარ საპროგრამო წიგნადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ნოე ჟორდანიას ამ წიგნი მკითხველს განუმარტავდა თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს აღედგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (ნიკოლეიშვილი, 2015: 150).

ვანო ალიხანაშვილი: 1923 წელს სტამბოლში გამოიცა ვანო ალიხანაშვილის პოლიტოლოგიური ნარკვევი „რამ დაგვლუპა და რა გვიხსნის“. აღნიშნული წიგნის გამოცემით სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობა კვლავაც შეეცადა ფართო საზოგადოების სამსჯავროზე განსასჯელად გამოეტანა ჩვენი ქვეყნის სახელ–მწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის განმაპირობებელი გარემოებანი და მათი დაძლევის სამომავლო პერსპექტივები (ნიკოლეიშვილი 2015:152).

პავლე მოსულიშვილი: 1922 წელს დაუწერია და გამოუცია სტამბოლის სავანის გამომცემლობაში ერთადერთი დრამატული ჟანრის ნაწარმოები „შენ ხარ მზე“, ეს არის ოთხმოქმედებიანი ფანტასტიკური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან.

მართალია, პავლე მოსულიშვილმა თავის პიესაში ჩვენი ქვეყნის ისტორიის მხოლოდ რამდენიმე ფართოდ ცნობილი ეპიზოდი წარმოსახა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილ ამ ეპიზოდთა ხორცმესხმის უმთავრესი მიზანი პირველ ყოვლისა იმ საბრძოლო სულისკვეთების განდიდებაა, რითაც მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ნაწარმოების მესამე მოქმედებაში, სადაც სადაც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის ამბავია მოთხრობილი, მწერალმა ჩვენი ეროვნული ყოფისთვის უაღრესად მნიშვნელოვან სამ უმთავრეს მხარეს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება – გასული საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა მესვეურებს შორის ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ერთმანეთთან მიმართების გარკვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილ უკომპრომისო დაპირისპირებას, საკუთარი სამშობლოს გამყიდველთა და მოღალატეთა საბედისწერო როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და საქართველოს პოლიტიკურ–სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემას (ნიკოლეიშვილი, 2015: 173).

1917–1923 წლებში სტამბოლის ქართული სავანესთან არსებული სტამბა–გამომცემლობის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული წიგნების გამოცემა იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მხედართა კავშირის მიერ მომზადებული და 1923 წელს გამოქვეყნებული კრებული „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას“ (სამწუხაროდ, წიგნში მის შემდგენელ – გამომცემელთა ვინაობა მითითებული არ არის) აღნიშნული გამოცემით მისი ავტორშემდგენელი და სტამბოლს თავშეფარებული ჩვენი პოლიტიკური ემიგრანტები ოპერატიულად გამოეხმაურნენ საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა ბრძანებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად

მებრძოლ ქართველ პატრიოტთა მასობრივად დახვრეტის ტრაგიკულ მოვლენას (ნიკოლეიშვილი, 2015: 178).

ალექსანდრე მანველიშვილი: ამერიკაში მცხოვრები ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე მანველიშვილმა 1932 წლის 10 აპრილს პარიზის საზოგადოებრივის მოხსენებად წაკითხული წიგნი „ვეფხისტყაოსანი და რუსთველის ზნეობრივი იდეოლოგია“, სტამბოლის სავანის მღვდელმსახურის შალვა ვარდიძის ინიციატივითა და დაფინანსებით 1933 წელს გამოსცა. ეს იყო სტამბოლის ქართული სავანის მიერ დასტამბული უკანასკნელი წიგნი (ნიკოლეიშვილი, 2015: 183).

სტამბოლის ქართულ სავანეში გამოცემული ნათარგმნი წიგნები: 1921 წელს სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურმა შალვა ვარდიძემ თარგმნა და გამოსცა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს „ქართველები კონსტანტინეპოლში“ და რემონ ჟანენის „ქართველები იერუსალიმში“. 1924 წელს კი მათ მიხაკო წერეთლის მიერ თარგმნილი „გილგამეშიანიც“ შეემატა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გამოცემები ორიგინალურ ნაწარმოებებს არ წარმოადგენდა, ისინი მაინც იქცა ჩვენი სულიერი კულტურის მნიშვნელოვან შენაძენად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო, პირველ ყოვლისა, შალვა ვარდიძის თარგმანებია, რომელთა გამოცემითაც სტამბოლურმა გამომცემლობამ ქართველ ემიგრანტ ავტორთა მიერ იქ დასტამბულ წიგნებში მძაფრად გამოვლენილ ეროვნულ-პატრიოტულ მისწრაფებებს კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შესძინა იმით, რომ ჩვენი ერის დიდ ისტორიულ წარსულსა და იმჟამინდელ პრობლემებზე ამჯერად უცხოელები წერდნენ უღრმესი სიყვარულითა და სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით (ნიკოლეიშვილი, 2015: 190).

ევგენი დალეჯიო დ'ალესიო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე იტალიელი დიპლომატი, სწავლული და მოგზაური საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებული პიროვნება იყო. 1918 წელს, როდესაც საქართველოს დიპლომატიური მისია კონსტანტინეპოლში ჩავიდა, იქ მყოფი დალეჯიო ამ მისიის მდივანი გახდა, საქართველოს ქვეშევრდომობა მიიღო, იმოგზაურა ამ ქვეყანაში და ქართული ენა შეისწავლა. დალეჯიო მაღალ შეფასებას აძლევდა სტამბოლის ქართულ სავანეს და თვლიდა, რომ ეს იყო ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების დიდი კერა თურქეთში.

თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან დაკავშირებით საყურადღებოა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს წიგნი „ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში“. წიგნის ავტორი წარჩინებულ იტალიელთა ოჯახის შთამომავალია. ის დაუახლოვდა კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველებს, მან იმოგზაურა საქართველოში, ისწავლა ქართული ენა. იგი დაინტერესდა თურქეთში გადახვეწილი ქართველებით და 1921 წელს მათ შესახებ დაწერა წიგნი. ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა კონსტანტინეპოლში

მცხოვრები ქართველების, მათი რაოდენობის, ქართული ენის მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით. ავტორი ახასიათებს ქართველების მდგომარეობას, განმარტავს მათი წარმატების მიზეზებს. ქართული ენის შესახებ წერს: „ქართველთ სამშობლო ენა მაინც დღემდის შენახული აქვთ, თუმც ოსმალეთის მთავრობა იმათ გათურქებას ძალიან ცდილობს. ქართველ მუსლიმანთა სოფლებში ყველა ოჯახის ენა-ქართულია, რადგან ქალი საზოგადებაში ვერ გადის და ასე თუ ისე თურქებთან დიდი მიმოსვლა არა აქვს, სამშობლო ენა დღემდის დაცულია; მხოლოდ დღეს ქართულ ენასაც დიდი განსაცდელი მოელის (დ'ალესიო, 1990: 14). დ'ალესიო ასევე საუბრობს ქართველთა ეროვნული შეგნების-ცნობიერების საკითხზე და წერს: „ეროვნული შეგნება ქართველ მუსლიმანებში საერთოდ არ არის განვითარებული, რადგან სჯულის ფანატიზმს მარადის დაუქვეითებია იგი. თუმც სისტემატიურად თურქიზმი სპობს მას, მაგრამ, პრაქტიკულად კი, ეროვნული გრძნობა დღესაც ძალზე ცოცხალია მათში. საერთოდ ყველანი ამაყობენ, რომ გურჯები-ქართველები არიან და თუ სადმე ან თავიანთში ქრისტიან ქართველს შეხვდნენ, საზოგადოდ გარეგნულად მაინც პატივს სცემენ და შეგნებულნი კი, ყოველნაირ დახმარებასაც აღმოუჩენენ თუ შესაძლებელია” (დ'ალესიო, 1990: 14).

ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს თარგმნა და სტამბოლში გამოსცა შალვა ვარდიძემ, რომლის სამეცნიერო – ლიტერატურული საქმიანობაც გვიჩვენა ამ წიგნის ხელმეორე გამომცემელმა გურამ შარაძემ. მისი კვლევის მიხედვით, კონსტანტინეპოლის ქართული სავანის წევრთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პატრ შალვა ვარდიძეს, რომელიც გარდა სასულიერო მოღვაწეობისა, ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. გარდა მეცნიერული ნაშრომებისა, შალვა ვარდიძეს პოეზიაშიც უცდია კალამი. ეს არის პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალ „ბედი ქართლისაში” დაბეჭდილი ორი ლექსი „ჩემი ლოცვა” და „წმინდა ნინოს”, ეს ლექსები პატრიოტული ხასიათსაა და ავტორი, რომელიც ნატრობს სამშობლოს მიწაში დასაფლავებას, შესთხოვს საქართველოს განმანათლებელს კვლავ გადმოხედოს მის ბედკრულ სამშობლოს (დ'ალესიო, 1990: 49–53).

რემონ ჟანენი ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე, მკვლევარი და ბიზანტიოლოგია. გამოჩენილ მეცნიერს საქართველოს შესახებ სხვა ნაშრომებიც აქვს დაწერილი. „ქართველები იერუსალიმში” რემონ ჟანენის მიერ პალესტინაში გამოკვლეული ქართული სავანეების საფუძველზე დაიწერა. ამ წიგნისადმი ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტზე და წარსულ დიდებაზე უცხოელი მკვლევარი წერს. ამ ნაშრომს იერუსალიმში ქართველ ღვთისმსახურთა მოღვაწეობისა და იქ არსებულ ქართულ სიწმინდეთა შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად დიდ მნიშვნელობა აქვს.

იასე მეხუზლას (რაჭველის) შემოქმედებითი მოღვაწეობა სტამბოლში.

იასე რაჭველი მეცხრამეტე – მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა სტამბოლში და მას, მართალია, წიგნი არ გამოუცია, მაგრამ თავისი პუბლიცისტური წერილებით ეხმაურებოდა მაშინ მიმდინარე დიდ პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს ორივე ქვეყანაში. სტამბოლში ცხოვრების პერიოდში იასე რაჭველის ეროვნულ–პატრიოტული მოღვაწეობა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართ – ერთის მხრივ, იგი აქტიურად ცდილობდა იქაურ ქართველებში შეძლებიდაგვარად გაეღვივებინა ეროვნული ცნობიერება, მეორეს მხრივ კი მოკავშირის როლი შეესრულებინა თურქეთში მცხოვრებ ქართველობასა და საქართველოს შორის.

სტამბოლის სავანემ, როგორც ქართული სულიერებისა და კულტურის კერამ XX საუკუნის 60–იანი წლებიდან, ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. მართალია, რთული და ძნელად დასაძლევი წინააღმდეგობანი მის ისტორიაში მანამდეც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ სავანეში მოღვაწე ქართველი მღვდელმსახურთა აქტიური ძალისხმევის შედეგად ვითარების სასიკეთოდ შეცვლა იმხანად მაინც ხერხდებოდა (ნიკოლეიშვილი, 2010: 75). XIX საუკუნის 60–იან წლებში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში აგებულ ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან დაარსებულ სტამბა–გამომცემლობაში 70–იანი წლებიდან დაწყებული საგამომცემლო საქმიანობა 1933 წლამდე გაგრძელდა, შემდგომ კი შეწყდა და ამ დიდი ეროვნული საქმის ასაღორძინებლად გარკვეული ნაბიჯები მხოლოდ გასული საუკუნის 70–იანი წლებიდან ჯერ ახმედ მელაშვილმა გადადგა ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემით, შემდეგ კი თურქეთში მოღვაწე სხვა ადგილობრივი ქართველები ცდილობენ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის გაგრძელებას.

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართულ მწერლობაში შეინიშნება ერთი დიდი თემა, ესაა გულისტკივილი სამშობლოს მოწყვეტილი და ქართულ ხმას მონატრებული თანამემამულეთა გამო. როგორც მკვლევარები წერენ: „უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოს თემა, მეტადრე, ომამდე, უფრო 30–იანი წლებიდან, აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებისათვის იყო ყველაზე დამახასიათებელი. ეს ნიშანდობლივი ფაქტია. აჭარა ხომ თავად იყო მონაწილე ცხოველი ისტორიული პროცესებისა; სწორედ ამ რეგიონს შეეხო ყველაზე მწვავედ გაყოფა–განაწილების, გასხვისების ტრაგიკული მოვლენები. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, მოსკოვში, სტამბოლ–ანკარასა თუ ევროპაში მიღებული გადაწყვეტილებების გამო რომ გადადიოდა იგი ხელიდან ხელში. ამ პროცესების მრავალი მონაწილე ჯერაც ცოცხალი იყო და არც ეზოსა თუ ყანის ბოლოში გავლებული საზღვრების გამო ერთმანეთს მოწყვეტილი ნათესავების ტკივილს უჩანდა დაამების პირი. ამასთან, ეს იყო რეგიონი, რომელმაც საუკუნეებს გამოატარა ქართული ენა, ცნობიერება, ზნეობა, ტრადიცია...“

მეორე მხრივ, კი გაცოცხლებული მხატვრული სიტყვა ახლად იკრებდა ძალას, ახლადაჩნდებოდა საუკუნეებით დაგუბებული სათქმელის გამოხატვის საშუალება და იმდენად ღრმა იყო ჭრილობა, იმდენად მაღალი ღირებულებისა იყო ეს თემა, რომ თვით სოციალისტური რეალიზმის პირობებში ფეხადგმულმა ადგილობრივმა მწერლობამაც კი არაერთხელ გადააბიჯა დამკვიდრებულ ზღვარს: ყველაზე ნიშანდობლივი იდეოლოგიური ნაწარმოებებისათვისაც კი ის არის, რომ უმეტესწილად სწორედ „იქაურ ქართველებზე“ საუბარი მათში და არა მხოლოდ „მთელი თურქეთის მშრომელ მოსახლეობაზე“. ამ უკანასკნელის ბადალი უკიდურესობანი ხომ ესოდენ დამახასიათებელი იყო პროლეტარული კულტურისათვის, განსაკუთრებით მისი ადრეული ეტაპისათვის (სარფი, 2015: 309–310).

დასკვნა: ნაშრომში “თურქეთში არსებული ლიტერატურული კერები და მოღვაწეები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში”, საუბრობს ქართველთა მიერ უცხოეთში დიდი ძალისხმევითა და რუდუნებით ნაგები საგანმანათლებლო კერების შესახებ, მათ მძიმე ხვედრზე, რამდენადაც ჟამთა სიავემ ბევრი მათგანი აღგავა პირისაგან მიწისა, განადგურდა უამრავი ძვირფასი ხელნაწერი, გასხვისდა არაერთი კერა ქართული კულტურისა, მაგრამ მაინც სასიამოვნო ფაქტად რჩება ის, რომ ერთადერთ გამონაკლისად იქცა სტამბოლის ქართული სავანე, სადაც მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსები, სასულიერო პირები, გამორჩეული მოღვაწენი ქართული კულტურისა და მეცნიერებისა, არაერთი ცნობილი ისტორიული პირი.

ესაუბრება მკითხველს ბიზანტიის დედოფალ მარიამის ქველმოქმედების, გალათას უბანში „ქართველთა კარის“ („გურჯუ კაფუ“) არსებობის, იქ აგებული საყდარ-სალოცავთა შესახებ და მკითხველს თვალწინ უცოცხლებს საქართველოს შრომით, ბრძოლით, ახალ-ახალი მიღწევებით, წარმატებებით სავსე ისტორიას.

გამოყენებული ლიტერატურა :

დ’ალესიო 1990: – ევგენი დალეჯიო დ’ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, ფრანგულიდან თარგმნა, შალვა ვარდიქემ, თბ., 1990.

ნიკოლეიშვილი 2015: – ა. ნიკოლეიშვილი, ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში, ქუთაისი, 2015.

ნიკოლეიშვილი 2010: – ა. ნიკოლეიშვილი, თურქული დღიურები, ქუთაისი, 2010.

ნიკოლეიშვილი, 2011: – ფარნა-ბექა ჩილაშვილი (ფაჰრედინ ჩილოღლუ) – თურქეთში მოღვაწე ქართველი მწერალი და მამულიშვილი, ჟურნ. წელიწდეული, ქუთაისი, 2011.

სარფი, 2015: – სარფი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველოლოგიის ცენტრის ავტორთა კოლექტივის მონოგრაფია, რედაქტორები: პროფ. მალხაზ ჩოხარაძე, პროფ. მამია ფაღვა, ბათუმი, 2015.

სახალხო გაზეთი, 1911: – წერილი სტამბოლიდან, „სახალხო გაზეთი“, 1911, 29 ივლისი.

ფუტკარაძე 2012: – შ. ფუტკარაძე, სტამბოლის ქართული სავანე, თბ., 2012.

ფუტკარაძე 1993: – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ფუტკარაძე 2002: – შ. ფუტკარაძე, ქართული საყდარი სტამბოლში, გაზეთი: „ლიტერატურული საქართველო“, 27 სექტემბერი, 2002.

შარაძე 1993: – გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მესამე, თბ., 1993.

Altun 2023: – S. Altun, “სტამბოლის ქართული სავანე - უმნიშვნელოვანესი კერა თურქულ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის” . *RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi*, (33) , 1141-1153. DOI: 10.29000/rumelide.1283492.

Altun 2023: – S. Altun, *XIX. – XX. Yüzyıllar Türk-Gürcü ve Gürcü-Türk Edebi İlişkilere Gelişim Süreci*, “Kuramdan Uygulamaya Karşılaştırmalı Edebiyat Çalışmaları”, (Editörler: F. Devletabadi, A. Yetim, S. Altun), Ankara: Akçağ Yayınları.

Çiloğlu 1994: – F. Çiloğlu, “Gürcüler” *Dünden Bugüne*, İstanbul Ansiklopedisi, Cilt: 3, İstanbul, 1994, s. 453-454.

Öztürk 2015: – G. M. Öztürk, 19. Yüzyıl Türk-Gürcü Edebi Etkileşim Süreci, *Turkish Studies - International Periodical for the Languages, Literature and History of Turkish or Turkic*. Volume 10/4 Winter 2015, p. 773-780, ISSN: 1308-2140, www.turkishstudies.net, DOI Number: <http://dx.doi.org/10.7827/TurkishStudies.7598>, ANKARA-TURKEY.

Putkaradze 2012: – Sh. Putkaradze, *İstanbul Gürcü Ocağı*, Tiflis: Artanuji Yayınları.

Ratiani 2015: – İ. Ratiani, *Gürcü Yazını ve Dünya Edebiyatı Süreci*, Tiflis.

Üstünyer 2010: – İ. Üstünyer, *Gürcü Dili ve Edebiyatı Üzerine Okumalar*. İstanbul: Kaknüs Yayınları.

Üstünyer 2013: – İ. Üstünyer, *Gürcistan'da Türk Edebiyatı Çalışmaları: Lisanüstü Tezler*. Erzurum: Fenomen Yayınları.

Üstünyer 2018: – İ. Üstünyer, Edebiyat İlişkileri (1965-1978) Adlı Derlemeler Işığında Gürcü Edebiyatının Dünya Edebiyatı İle İlişkilerinin Analizi. Analysis Of Relationship Of Georgian Literature With The World Literatures In The Light Of The Compilationscalled Literary Interrelations (1965-1978). *Uluslararası Sosyal Araştırmalar Dergisi / The Journal of International Social Research*, Cilt: 11 Sayı: 59

Ekim 2018 Volume: 11 Issue: 59 October 2018 www.sosyalarastirmalar.com Issn:
1307-9581 <http://dx.doi.org/10.17719/jisr.2018.2634>.

**The Issue of Ottoman Georgians in Akaki Tsereteli's Journalism
("To Ottoman Georgians")**

ოსმალეთის ქართველების საკითხი აკაკი წერეთლის პუბლიცისტულ
 („ოსმალეთის ქართველებს“)

Dali Betkhoshvili

Doctor of Philology, Associate Professor
Samtskhe-Javakheti State University
e-mail: dali.betkhoshvili@yahoo.com

Tel: +995 555 48 81 29

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6947-160X>

Abstract: In Akaki Tsereteli's rich artistic thought, a special place belongs to his important publicism, in which many pressing issues are brought to the fore, which shows the unified Georgian national spirit and must be considered in a single context to show the integrity of the country. This issue is discussed in Akaki Tsereteli's journalistic letter "To the Ottoman Georgians", written in 1875-77, where the issue of non-Muslim Georgians in one part of Georgia is conveyed with painful lines, but still it preserves the national spirit and is still Georgian in its essence.

Akaki Tsereteli talks about the issue of divided Georgianness in a journalistic letter to "Ottoman Georgians" and it shows Georgians who have different beliefs but are still united. According to the author's note, although the perverse fate has lost the nation's centuries-old unity, split it in two, separated it by faith, ... but the plague and the disease are still together, one and the same.

The issue raised by the author in the named journalistic letter was not only problematic and important in previous centuries, but even today it is painfully felt in the worldview of every Georgian and represents the pain of the whole country. This problem runs through the history of Georgia like a red line, having become its political, social, religious and cultural problem, it has also become the subject of modern research, which is still looking for ways to solve it.

Akaki Tsereteli's analytical journalistic letter clearly shows the belief that the religious condition, language, history... of the Ottoman Georgians are united and inseparable from the rest of Georgians and shows the indivisibility of the country and the nation on a unified national path.

Thus, Akaki Tsereteli's publicist letter to the "Ottoman Georgians" stands in the service of the idea of the national integrity of Georgia and aims at the way of the country's state settlement.

The topic is relevant and has great theoretical and practical value, as many of Akaki's journalistic letters are unstudied and need to be investigated in terms of the problems raised in them, the essence and purpose reflected in them. One of these problems is the analytical issue, which does not lose its relevance not only in Akaki's era, but also today, it needs to be revived, looked at and analyzed with new eyes. The problem, of course, should be understood first of all in a unified national perspective, which should also be considered in the context of the Christian part of the whole world.

Key words: Akaki Tsereteli; Ottoman Georgians; Georgia; national pain; religion; culture.

დალი ბეთხოშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: dali.betkhoshvili@yahoo.com

ტელ: +995 555 48 81 29

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6947-160X>

აბსტრაქტი: აკაკი წერეთლის მდიდარ მხატვრულ ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მის მნიშვნელოვან პუბლიცისტიკას, რომელშიც არაერთი საჭირობოროტო საკითხია წინა პლანზე წამოწეული, რაც ერთიან ქართულ ეროვნულ სულს წარმოაჩენს და ქვეყნის მთლიანობის საჩვენებლად ერთიან კონტექსტშია გასააზრებელი. ეს საკითხი განხილულია აკაკი წერეთლის პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“, დაწერილი 1875-77 წლებში, სადაც მტკივნეული შტრიხებით არის გადმოცემული საქართველოს ერთი კუთხის ქართველთა გამაჰმადიანების საკითხი, მაგრამ მაინც ეროვნულ სულს რომ ინარჩუნებს და თავისი არსით კვლავ ქართულია.

პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“ აკაკი წერეთელი საუბრობს გახლეჩილი ქართველობის საკითხზე და მასში ახლა სხვადასხვა რწმენის მატარებელი, მაგრამ მაინც ერთიანი ქართველობაა ნაჩვენები. ავტორის შენიშვნით, მართალია უკუღმართმა ბედმა დაუკარგა ერს მრავალსაუკუნოვანი ერთობა, ორად გახლიჩა, სარწმუნოებით განასხვავა, მაგრამ ჭირი და ლხინი მაინც ერთადაა, ერთმოწილე.

დასახელებულ პუბლიცისტურ წერილში ავტორის მიერ წამოჭრილი საკითხი არა მარტო წინა საუკუნეებში იყო პრობლემატური და მნიშვნელოვანი, არამედ დღესაც მტკივნეულად განიცდება თითოეული ქართველის მსოფლმხედველობაში და მთლიანი ქვეყნის სატკივარს

წარმოადგენს. ეს პრობლემა წითელი ხაზით გასდევს საქართველოს ისტორიას, მის პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ და კულტურულ პრობლემად რომ იქცა, თანამედროვე კვლევის საგნადაც არის გადაქცეული, რომელიც კვლავ ეძიებს მისი მოგვარების გზებს.

აკაკი წერეთლის საანალიზო პუბლიცისტურ წერილში ნათლად იკვეთება რწმენა იმისა, რომ ოსმალეთის ქართველების სარწმუნოებრივი მდგომარეობა, ენა, ისტორია... ერთიანი და განუყოფელია დანარჩენი ქართველობისაგან და წარმოაჩენს ქვეყნისა და ერის განუყოფლობას ერთიან ეროვნულ გზაზე.

ამდენად, აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილი „ოსმალეთის ქართველებს“ საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეის სამსახურში დგას და ქვეყნის სახელმწიფოებრივად მოგვარების გზას ისახავს მიზნად.

თემა აქტუალურია და დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მომცველია, რამდენადაც აკაკის ბევრი პუბლიცისტური წერილი შეუსწავლელია და გამოკვლევას საჭიროებს მათში წამოჭრილი პრობლემების, მათში ასახული არსისა და დანიშნულების თვალსაზრისით. ამ პრობლემებიდან აღნიშნული საანალიზო საკითხიცაა, რაც არა მარტო აკაკის ეპოქაში, არამედ დღესაც არ კარგავს აქტუალობას, საჭიროა მისი ხელახლა გაცოცხლება, ახლებური თვლით შეხედვა და გაანალიზება. პრობლემა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ერთიან ეროვნულ ჭრილშია გასააზრებელი, რაც მთლიანი სამყაროს ქრისტიანული ნაწილის კონტექსტითაცაა გასათვალისწინებელი.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი; ოსმალეთის ქართველები; საქართველო; ეროვნული ტკივილი; რელიგია; კულტურა.

შესავალი: აკაკი წერეთლის მდიდარ მხატვრულ ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მის მნიშვნელოვან პუბლიცისტიკას, რომელშიც არაერთი საჭირობოროტო საკითხია წინა პლანზე წამოწეული, რაც ერთიან ქართულ ეროვნულ სულს წარმოაჩენს და ქვეყნის მთლიანობის საჩვენებლად ერთიან კონტექსტშია გასააზრებელი. ეს საკითხი განხილულია აკაკი წერეთლის პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“, დაწერილი 1875-77 წლებში, სადაც მტკივნეული შტრიხებით არის გადმოცემული საქართველოს ერთი კუთხის ქართველთა გამაჰმადიანების საკითხი, მაგრამ მაინც ეროვნულ სულს რომ ინარჩუნებს და თავისი არსით კვლავ ქართულია.

აღსანიშნავია, რომ პუბლიცისტიკის ჟანრი განსხვავებული შტრიხებით გვაცნობს მწერალს, როგორც ერისა და ქვეყნის ჭირისუფალს, მისი ჯვარისმტვირთველისა და მოამაგის პიროვნებას. აკაკის შეხედულებები ხელახლა ცოცხლდება და მტკივნეულად წარმოაჩენს ოსმალის

საქართველოს, ოსმალის ქართველების ჭირ-ვარამს, განსაცდელს, რომელიც კვლავ ხვალინდელი გზის ძიებაშია პრობლემის მოგვარების მიზნით. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია ახლებური თვალთახედვით კიდევ ერთხელ იქნას დანახული და გააზრებული აღნიშნული საკითხი, პრობლემის არსი და მნიშვნელობა ერთიანი ეროვნული და გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით; საკითხის თანამედროვე კუთხით გააზრების საფუძველზე, ნაშრომი წარმოაჩენს იმ ეროვნულ მუხტს, რომელიც ერის ერთმთლიანობის საფუძველია.

ამდენად, ეს საკითხი სამეცნიერო დონეზე უნდა იქნას გამოტანილი და დღეს მისი განხილვა არა მარტო ჭრილობას აცოცხლებს, არამედ კურნავს კიდევ, ამიტომ სამეცნიერო აზრით მისი კვლავ გაცოცხლება და გააზრება დროულიცაა და აუცილებელიც. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ნაშრომის მნიშვნელობა და ღირებულება.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: აჭარის საკითხი რომ ყოველთვის პრობლემატური, საინტერესო და მსჯელობის საგანი ხდებოდა, ჩანს როგორც მწერალ-პუბლიცისტთა ნააზრევში, ასევე მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებშიც, კერძოდ, აღნიშნულს გარკვეული ადგილი ეთმობა სერგეი მესხის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ეგნატე ნინოშვილის და სხვა მოაზროვნეთა შემოქმედებაში. აჭარის სხვადასხვა პრობლემატურ საკითხზე კვლევები წარმოდგენილია პ. უმიკაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, მიხ. თამარაშვილის, ა. ახვლედიანის, დ. ბაქრაძის და სხვათა შრომებში, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურაბ კიკნაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის („აკაკი წერეთელი და ოსმალეთის ქართველობა“, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“, VI, 2014; „თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება“, წერილი 1; „თურქეთელ ქართველთა ქართულენოვანი პოეზია“, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, IV), დალი ბეთხოშვილის⁷⁶, გურამ ბახტაძის („აჭარა XIX საუკუნის ქართულ

⁷⁶ იხ. აჭარის საკითხი შემდეგ კვლევებში: აჭარის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ვითარების თავისებურებანი ადიგენის მაღალმთიანეთში (რამდენიმე სოფლის მაგალითის მიხედვით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომების კრებული „წელიწდეული“, XII, ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ეძღვნება ცნობილ ქართველოლოგს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სამოცი წლის იუბილეს, ქუთაისი, 2020 წ., გვ. 46-58.

აგრეთვე, დ. ბეთხოშვილი, აჭარის საკითხი ილია ჭავჭავაძის ნააზრევში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის

მწერლობაში“, დისერტაცია, თსუ, 2001), მაია არველადის (აკაკი წერეთლის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი უცნობი დოკუმენტები (აკაკი და მაჰმადიანი ქართველები)“, ქართველური მემკვიდრეობა, XXIII, 2019), ლუკა დვალისშვილის („აკაკი წერეთელი და აჭარის შემოერთების პრობლემა“, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, 2010), ოთარ გოგოლიშვილის („აკაკი და აჭარა“, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“, VI, 2014) ორიგინალური შრომები, რომლებშიც ძალზედ აქტუალურად და საინტერესოდაა წამოჭრილი და გაანალიზებული არაერთი საკითხი: სწავლა-განათლების, რწმენის, ისტორიული, ეროვნული, კულტურის და სხვ. რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება აჭარის რეგიონის შესახებ არსებული პრობლემების გასააზრებლად.

მეთოდოლოგია: კვლევის განხორციელებისთვის ნაშრომში გამოყენებულია პრობლემაზე დაფუძნებული კვლევა, ისტორიული-ლიტერატურული, ჰერმენევტიკული და ანალიტიკური კვლევის და შედარებითი ანალიზის მეთოდები, რომელთა მეშვეობით დამუშავდა აკაკი წერეთლის ნააზრევი აღნიშნულ საკითხზე განსახილველი წერილის მიხედვით, რათა გამოიკვეთოს ნააზრევი და დასკვნები კვლევის შესახებ, საკითხი გააზრებულ უნდა იქნას ერთიან ეროვნულ ჭრილში თანამედროვე პრობლემების კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც ხელს შეუწყობს საკითხის უკეთ წარმოჩენას და შედეგების ჩამოყალიბებას.

დისკუსია/შედეგები: საკვლევ პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“⁷⁷ აკაკი წერეთლის მიერ წამოჭრილი საკითხი არა მარტო წინა საუკუნეებში იყო პრობლემატური და მნიშვნელოვანი, არამედ დღესაც მტკივნეულად განიცდება თითოეული ქართველის მსოფლმხედველობაში და მთლიანი ქვეყნის სატკივარს წარმოადგენს. ეს პრობლემა წითელი ხაზით გასდევს საქართველოს ისტორიას, მის პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ და კულტურულ პრობლემად რომ იქცა, თანამედროვე კვლევის საგნადაც არის გადაქცეული, რომელიც კვლავ ეძიებს მისი გადაჭრის გზებს.

აკაკი წერეთლის ნააზრევი მოიცავს პრობლემის კვლავ წამოწევისა და მოგვარებისათვის ბრძოლის პათოსს. ასეთ პუბლიცისტურ წერილებში, პირველ რიგში, ერის ავბედითი ისტორიაა გაცოცხლებული არდავიწყებისათვის და კვლავ დღის წესრიგში აყენებს და, მეორეც,

ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“, I, შრომების კრებული 2022 წ.

⁷⁷ აღნიშნული წერილის გარკვეული, ადრეულად მიჩნეული ნაწილი, განთავსებულია ა. წერეთლის თხზულებანი, 1988 წ. და დაწერის თარიღად მიწერილია 1880 წ., ხოლო მთლიანი სახით წერილი დაცულია აკაკის ახალ კრებულში „უცნობი პუბლიცისტიკა“, რომლის შენიშვნაში ვკითხულობთ, რომ ნაწილი პირველად ქვეყნდება.

აღნიშნული პრობლემა გადაჭრას მოითხოვს, რისთვისაც საჭიროა გარკვეული ეროვნული ცნობიერების ამაღლება, რათა მოძიებულ იქნას ის ნიადაგი, რომელიც იქნება მყარი საფუძველი საკითხის მოგვარების ფარგლებში.

გ. ბახტაძის აღნიშვნით, „მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა, მკითხველის ცნობიერებაში აჭარის საკითხის შემოტანის მიზნით, უპირატესობას პუბლიცისტურ სიტყვას ანიჭებს, რადგან ეს ჟანრი ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა მკითხველის ცნობისწადილს“ (ბახტაძე, 2001: 15).

ა. ნიკოლეიშვილის მოსაზრებით, „ოსმალეთის ქართველობისადმი აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ძირითადად ორი მიმართულებით წარმოჩნდა, პირველი, ამ იმპერიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მწერლის დამოკიდებულებითა და მეორე, სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებთან ურთიერთობით... ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქართველთა ხვედრით აკაკის განსაკუთრებული დაინტერესება, პირველ ყოვლისა, იმ დამოკიდებულებით გამოვლინდა, რასაც იგი ისტორიული ავბედობის გამო დედასამშობლოს მოწყვეტილ აჭარაში მცხოვრები ჩვენი თანამომხმეებისადმი იჩენდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. აჭარის პრობლემისადმი ამგვარი ინტერესი ა. წერეთელმა თავდაპირველად ამ მხარის შემოერთებამდე დიდი ხნით ადრე გამოხატა“ (ნიკოლეიშვილი, 2015: 253).

„მაჰმადიანი ქართველების საკითხის ირგვლივ დიდ ინტერესს იჩენდა აკაკი წერეთელი. პრაქტიკული საქმიანობის გარდა, პოეტი როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე პუბლიცისტიკაში, აღწერდა და აანალიზებდა საქართველოს გარეთ, განსაკუთრებით ირანსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფას. „ბაში-აჩუკში“ მან მძაფრი ფერებით დახატა სამშობლოდან ძალით წაყვანილი და შემდეგ მუსულმანების სამსახურში ჩამდგარი აბდუშაჰილის ფსიქოლოგიური პორტრეტი“ (არველაძე..., 2019: 12).

ლ. დვალიშვილის მოსაზრებით, „მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, როგორც კი თურქეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, კერძოდ კი აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააქტიურდა, როგორც ირკვევა, აკაკი მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება და რეგულარულად გზავნიდა წერილებს ჯერ ქართულ, შემდეგ კი რუსულ პრესაში. „ისმაილ თამაზ ოღლის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა აკაკის წერილი „ბათუმი 17 სექტემბერს“ (დვალიშვილი, 2010: 65).

„აღსანიშნავია, რომ ისტორიულად აჭარამ სამსაუკუნოვანი მძიმე უღელი განიცადა თურქეთის დამპყრობლური პოლიტიკისაგან, რამაც თავისი კვალი დაამჩნია მათ რწმენას, ფიზიკურ არსებობას, ზნე-

ჩვეულებებს, ქართულ სამეცყველო ენას, კულტურას, რელიგიას... მაგრამ ამ უმძიმეს ვითარებას გაუძლო და ქართული სულით აღვსებულმა მაინც მოაღწია დღემდე; ამ დიდი ტკივილის დაღი, სამი მძიმე საუკუნის შემდეგაც, დღესაც ატყვია აჭარის მოსახლეობას..." (ბეთხოშვილი, 2020: 46).

პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“ აკაკი წერეთელი საუბრობს გახლეჩილი ქართველობის საკითხზე, მასში ახლა სხვადასხვა რწმენის მატარებელი, მაგრამ მაინც ერთიანი ქართველობაა ნაჩვენები: „ჩვენო ერთო ტომო და ერთ მოგვარე ძმებო! დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნოებითი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით და დაგვაშორა ერთმანეთის ქვეშევრდომობით, მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთის ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით; ორგვარივე სისხლი სდულს ჩვენში დღესაც, რომელსაც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისათვის თავგანწირულად შეერთებულად ვანთხევდით; იგივე გული სძგერს ჩვენში, რომელიც ძველად ჩვენის ქვეყნის ერთობისათვის სიყვარულით იმსჭვალებოდა, – და იგივე ამაყი და პატიოსანი სული გვამხნევეს, რომლითაც ჩვენ მაშინ ერთად გაუყოფლად ქვეყანაში ქებით ვიხსენიებოდით“ (წერეთელი, 1988: 490). აკაკი წერეთელი ოსმალეთის ქართველებს მიმართავს და აღნიშნავს, რომ: „დღესაც ჩვენ მივენდობით იმავე ერთს ღმერთს, რომელიც ადრე გვფარავდა. ჩვენა გვაქვს საერთო ისტორია, რომელიც საქართველოსადმი ღვაწლში თქვენ უფრო დიდ წილს გიძებს, როგორც შემხებს, მოსამძღვრეებს, – ის არ დაიკარგება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედა ენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოებაშიც კი შეგინახავს...“ (წერეთელი, 1988: 490-491). აკაკის ნააზრევინიდან გამომდინარე, რაც უნდა სხვაობა არსებობდეს ბედკრულ ადამიანებსა და დანარჩენ ქართველებს შორის, ეს ერთიანობას ვერ დაარღვევს და ვერ მოშლის ძირშივე ფესვგადგმულ მათ ურყევს კავშირს.

აკაკი წერეთელი დროებით ცალცალკეობას, ორად, საერთო ქართულის ორად გაყოფას საერთო ბედისა და ძალის განახევრებად მოიაზრებს, რაც ჭირის გაორმაგებას და ლხინის განახევრებას იწვევს, მაგრამ ეს დროებითია, მომავალში ორივე ნაწილი მაინც შეეკავშირება ერთმანეთს და ერთ საერთო ეროვნულ სივრცეში განთავსდებიან.

აკაკი წერეთელი თავისი დაკვირვებული მახვილი თვალით ორივე მხარეს მოუწოდებს დაფიქრებისაკენ, რათა მოსალოდნელი და დასაშვები ომისა და შუღლის შემთხვევაში, მხარეებმა თავი მყარად უნდა დაიცვან და ერთმანეთის აოხრება არ უნდა მოინდომონ, წინაპართა გზა და ერთობა უნდა დაიცვან. აკაკი ამძაფრებს სათქმელს და აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში: „...ჩვენი წინაპრების ძვლები საფლავში შეიძვრიან!“ (წერეთელი, 2010: 64). აკაკის შენიშვნით, ორგულობის მიზეზი არავის აქვს და კიდევ უბრუნდება რწმენის საკითხს: „...საორგულოდ ის მიზეზი საკმაო

არ არის, რომ თქვენ მაჰმადიანები ხართ და ჩვენ ქრისტიანები. ღმერთი ერთი და იგივეა ყველასათვის, ის არის გამრჩევი ყველასი ზეცას და აქ არავის მართებს თავისთავად ამათ ანგარიში. ამ მიზეზებმა არ უნდა გაგვაორგულოს ერთმანეთზედ“ (წერეთელი, 2010: 64).

ავტორის შენიშვნით, მართალია უკუღმართმა ბედმა დაუკარგა ერს მრავალსაუკუნოვანი ერთობა, ორად გახლიჩა, სარწმუნოებით განასხვავა, ... მაგრამ ჭირი და ლხინი მაინც ერთადაა, ერთმოწილე: „...ჩვენ ერთი, ერთის ბედსქვემ უნდა ვიყოთ“ (წერეთელი, 1988: 490-491), - წერს აკაკი და გამოთქვამს იმედს, რომ „ველოდოთ საერთო კეთილდღეობას, მოვემზადოთ მისთვის და ბედი თვით გვიჩვენებს, სად და რა სჯობს ჩვენთვის“ (წერეთელი, 2010: 64).

აკაკი წერეთლის დასახელებულ პუბლიცისტურ წერილში „ოსმალეთის ქართველებს“ კიდევ ერთხელ მკვეთრად გამოიკვეთა ოსმალის საქართველოს წარმომადგენელთა სულიერ-მატერიალური, ეროვნული, კულტურული ღირებულებები: ენა, რელიგია, სამშობლოს სიყვარულის განცდა და ა. შ. რომელთა შესახებ არაერთი შეხედულებაა გამოთქმული, მაგრამ პრობლემა კვლავ არ კარგავს აქტუალობას და დღესაც ისტორიის თანამდევ ტკივილადაა გადაქცეული.

ამდენად, აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილი „ოსმალეთის ქართველებს“ საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეის სამსახურში დგას და ქვეყნის სახელმწიფოებრივად მოგვარების გზას ისახავს მიზნად, რამეთუ სახელმწიფოებრივი საკითხის მოწესრიგების გარეშე ქვეყანას ვერ ექნება პრეტენზია საერთო ევროპულ სივრცეში ღირსეული ადგილის დაკავებისა და დამკვიდრებისა, რომ მსოფლიო სივრცის ღირსეული წევრი გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არველაძე..., 2019: - არველაძე მაია, ზარდიაშვილი ელისაბედ, „აკაკი წერეთლის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები (აკაკი და მაჰმადიანი ქართველები), „ქართველური მემკვიდრეობა“, XXIII, თბილისი, 2019.

2. ბახტაძე, 2001: - ბახტაძე გიორგი, „აჭარა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში“, დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2001.

<https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/March/dissertations/baxtadze-achara-disertacia.pdf>

3. ბეთხოშვილი, 2022: - ბეთხოშვილი დალი, „აჭარის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ვითარების თავისებურებანი ადიგენის მაღალმთიანეთში (რამდენიმე სოფლის მაგალითის მიხედვით)“, ქუთაისის

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომების კრებული „წელიწდეული“, XII, ქუთაისი, 2020.

4. დვალიშვილი, 2010: - დვალიშვილი ლუკა, „აკაკი წერეთელი და აჭარის შემოერთების პრობლემა, „ქართველური მემკვიდრეობა“, XIV, თბილისი, 2010.

5. ნიკოლიშვილი, 2015: - ნიკოლიშვილი ავთანდილ, „აკაკი წერეთელი და ოსმალეთის ქართველობა“, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“, VII, ქუთაისი, 2015.

6. წერეთელი, 1988: - წერეთელი აკაკი, „თხზულებანი, ლექსები, პოემები, დრამები ლექსად, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, პირადი წერილები“, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ჯენეტო ჭანტურიამ, თბილისი, 1988.

7. წერეთელი, 2010: - წერეთელი აკაკი, „უცნობი პუბლიცისტიკა“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2010.

<https://literaturatmcodneoba.tsu.ge/ucnobi%20akaki.pdf>

Reflection of the Russian-Ottoman War of 1877-1878 in Kobuleti Folklore
რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის ანარეკლი ქობულეთურ
ფოლკლორში

These chronicles have kept as memories the wit of the 19th century classics, the methods of teaching in the gymnasium, the spirit of the police and, most importantly, the style of the boulevard. This is the garden in which rank inequality does not exist, here everyone is equal to each other and right here the marriage of both the men and women, amount of the dowry are decided as well as selection of the host for that day dinner, along with bigger issues - for example, the fate of the Kutaisi elections and important world issue, both the lies and rumors are invented here, even duels are held here, etc.

Elguja Tavberidze tells us the history of the boulevard in detail, uses the records of historians, journalism, archival materials, but never turns the narrative into providing dry information. His comments, based on the principle of "how would it have been really (when contradictory facts collide)", are highly artistic. The knowledge of historical facts is combined with them, the spirit of the era is captured, the ability of scientific argumentation is visible, and the style of the author is highly sophisticated, in which artistry is not lost at any moment. The

author discusses the name of the garden - the French word for boulevard, for which the people of Kutaisi used the word "Gulvardi" (heart of roses). "This folk name was so popular that it even reached the last decades."

There are many "romantic episodes" included in the work, one of which is outstanding - the romance between Prince Konstantine Petrovich Oldenburg, the colonel of the grenadier regiment, and his already married Agrafina Japaridze. These romantic episodes are, of course, connected to the boulevard.

Elguja Tavberidze introduces us to many important people of our country, presents their thoughts, relationships, and attitudes, which we cannot even list in a brief overview. The work is a chronicle of the entire nineteenth century, it is large-scale, and that makes it significant. The writer's words are rich in logical, scientific argumentation along with artistry. The words characteristic of the western dialect naturally makes it clear that the events typical of the whole of Georgia in the 19th century are taking place in the west of our country, in Kutaisi, the "Gulwardi" of Georgia.

Key words: Kutaisi, boulevard, chronic, 19th century, history

თამარ შარაბიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ქართული შედარებითი ლიტერატურის ასოციაციის (GCLA) წევრი
ელ-ფოსტა: shagno12@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-5900-9082>

აბსტრაქტი: ელგუჯა თავბერიძის „BOULEVARD“ მეცხრამეტე საუკუნის ქუთაისის ბულვარის ბულვარული ქრონიკაა, მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი ლიტერატურული ნაწარმოებია და მისი მხატვრული თავისებურება იმაშიცაა (თუგინდ სტილური), რომ მწერალმა ერთი ბულვარის ისტორიისა და მისი ყოფის თითქმის დოკუმენტალური დახატვით მთელი ეპოქის სულისკვეთება დაგვანახა. თითქოს მხოლოდ დოკუმენტურ კადრებს აღწერს ელგუჯა თავბერიძე, სინამდვილეში ამ აღწერაში გიორგი წერეთელივით თავის გულისტკივილს ატევს. გულისტკივილის მთავარი მიზეზი კი უნივერსიტეტ დამთავრებული ახალგაზრდობის პატრიოტულ სულისკვეთების ჩაქრობაა, ჩინოვნიკობისაკენ ლტოლვა და ე.წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლის შემდგომ კიდევ ახალი ახალგაზრდობის გამოსვლაა საჭირო საზოგადოებრივ ასპარეზზე ამავე საზოგადოებისთვის თვალის ასახელად.

ამ ქრონიკებს, მოგონებების სახით, XIX საუკუნის კლასიკოსთა მახვილგონიერებანიც შემოუნახავს, გიმნაზიაში სწავლების მეთოდები, პოლიციელთა სულისკვეთებაც და, რაც მთავარია, ბულვარის სტილი. ეს ის ბაღია, რომელშიაც წოდებრივი უთანასწორობა არ არსებობს, აქ ყველა ერთმანეთის ტოლი და სწორია, აქ წყდება როგორც ქალის გათხოვების, ცოლ-ის შერთვის, მზითვის ოდენობის, იმდღევანდელი სადილისათვის მასპინძლის შერჩევის, ასევე უფრო მასშტაბური საკითხებიც - მაგ. ქუთაისის არჩევნების ბედი, და მსოფლიოს მნიშვნელოვანი საკითხებიც აქვე მუშავდება, აქვე ითხოვება ტყუილიცა და ჭორიც, აქვე იმართება დუელები და ა.შ.

ელგუჯა თავბერიძე დაწვრილებით მოგვითხრობს ბულვარის ისტორიას, მოხერხებულად იმარჯვებს ისტორიკოსთა ჩანაწერებს, პუბლიცისტიკას, საარქივო მასალებს, მაგრამ არასდროს გადაჰყავს თხრობა მშრალი ინფორმაციის მოწოდებაში. მისი კომენტარები, რომლე-ბიც აგებულია პრინციპზე - სინამდვილეში როგორ იქნებოდა (როცა ურთიერთ გამომრიცხავი ფაქტები ერთმანეთს ეჯახება) - უაღრესად მხატვრულია. მათში შერწყმულია ისტორიული ფაქტების ცოდნა, დაჭერილია ეპოქის სულისკვეთება, თვალსაჩინოა მეცნიერული არგუმენტაციის უნარი და უაღრესად დახვეწილი ავტორის სტილი, რომელშიც მხატვრულობა არც ერთ მომენტში არ იკარგება. ავტორი მსჯელობს ბაღის სახელზე - ფრანგულ სიტყვა ბულვარზე, რომლის შესატყვისად და სააღერსოდ ქუთაისლებმა „გულვარდი“ იხმარეს. „ეს ხალხური სახელწოდება იმდენად პოპულარული იყო, რომ ბოლო ათწლეულებამდეც კი მოაღწია“.

ნაწარმოებში უხვადაა ჩართული „რომანული ეპიზოდები“, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია - გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკის პრინც კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგის უკვე ქმრიან აგრაფინა ჯაფარიძესთან რომანი. ეს რომანული ეპიზოდები, რა თქმა უნდა, ბულვართანაა დაკავშირებული.

ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან მრავალ ადამიანს გვაცნობს ელგუჯა თავბერიძე, წარმოგვიდგენს მათ აზრებს, ურთიერთობებს, დამოკიდებულებებს, რომელთაც მოკლე მიმოხილვაში ვერც კი ჩამოვთვლით. ნაწარმოები მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქრონიკაა, მასშტაბურია და სწორედ ამაშია მისი მნიშვნელობა. მწერლის სიტყვა მხატვრულობასთან ერთად ლოგიკური, მეცნიერული არგუმენტაციითაა მდიდარი. დასავლური დიალექტისათვის დამახასიათებელი სიტყვები ბუნებრივად ნათელს ხდის, რომ მე-19 საუკუნის მთელი საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენები სწორედ ჩვენი ქვეყნის დასავლეთში, საქართველოს „გულვარდ“ ქუთაისში მიმდინარეობს.

საკვანძო სიტყვები: ქუთაისი, ბულვარი, ქრონიკა, XIX საუკუნე, ისტორია

შესავალი: პირველი, რაც ელგუჯა თავბერიძის „ბულვარის“ წაკითხვის შემდეგ, მომინდა, ქუთაისის ბულვარის ნახვაა, ბულვარისა, რომელზედაც საოცარ ამბებს (კარგსაც და ცუდსაც) საოცრად გვიამბობს მწერალი. მომინდა, ჩემი თვალთ მენახა, როგორ შეიცვალა გიორგი წერეთლის, აკაკის, შალვა დადიანის, მამია გურიელის, კოწია ერისთავის, ნიკო ნიკოლაძისა და ზოგადად, ქუთაისის მთელი საზოგადოებისათვის ასეთი ახლობელი, ასეთი აუცილებელი და ასეთი განუშორებელი ბაღი. მომინდა, მივმხვდარიყავი, საზოგადოების რომელ ჯგუფს რომელი ადგილი უნდა დაეკავებინა ბულვარში, ან გამომეცნო, სად უყვარდა ჯდომა აკაკის, ჩემი თვალთ მენახა, ისევ თუ ყიდიდნენ ზელტცერის წყალს, თუ ის რაიმე სხვა სასმელით შეიცვალა. იქნებ, იქ, ბულვარში მჯდომს, უფრო თვალნათლივ წარმომედგინა სომბრეროქუდიანი აკაკისა და პოლიციელის ჩხუბი, ქუდი რატომ გახურავსო, ან კირილე ლორთქიფანიძე დამენახა განუყრელი შავი ქოლგით, ან დავით ხელთუფლიშვილი მეცნო თავისი წვრილი ჯოხითა და შავი ქუდით, ან ცხვირზე პენსნეჩამოვარდნილი მამია გურიელი და კიდევ ბევრი სხვაც. ასეთი განწყობა მკითხველისა არ მოაქვს ჩვეულებრივ ქრონიკას, წარსულისა თუ ახალი ამბების გადმოცემას (თუნდაც ნახევრად მხატვრულად), ეს უპირველესად მხატვრული ტექსტის თვისებაა.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: ელგუჯა თავბერიძის „ბულვარი“ მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი ლიტერატურული ნაწარმოებია და მისი მხატვრული თავისებურება იმაშიცაა (თუგინდ სტილური), რომ მწერალმა ერთი ბულვარის ისტორიისა და მისი ყოფის თითქმის დოკუმენტალური დახატვით მთელი ეპოქის სულისკვეთება დაგვანახა.

ეპოქაა, სხვა არაფერი, ევროპულად მორთული „ბარიშნა“, „ზავედენიაგასრულებული“, ნასწავლებლებში რომ მოაქვს თავი, ქართულ-რუსულ-ფრანციცულად რომ ტიტინებს, ევროპული „ტანცაობაც“ იცის და მინიმუმ ორი კავალერი მაინც მიაცილებს, გააჩნია მზითევეს, „კაიმზითვიანს“ - სამიც და ოთხიც. ტიპურია კავალრების ჩაცმულობაც - ფეხებზე იმ დროის ახალი მოდის „ლაფჩინი“, ტანზე - ჩერქესკა, წელზე - ხანჯალი, ერთი სიტყვით - ქართულ-რუსული. მწერლის კომენტარით, „ასე იმიტომ იცვამდნენ, რომ ნახევრად პატრიოტობდნენ“ (გვ. 26). რა თქმა უნდა, სწორია, მთლად უგულობას ქართველობისადმი ვერ დავაბრალებთ, მოდის გავლენაც დიდია, მაგრამ „ნახევრად პატრიოტობა“ მაინც გულს გვიკლავს, ასევე ის ფაქტიც, რომ კავალრებიდან ზოგს უნივერსიტეტიც ჰქონია გასრულებული და ჩინოვნიკობაც დათრეული. თითქოს მხოლოდ აღწერს ელგუჯა თავბერიძე, სინამდვილეში გიორგი წერეთელივით მასაც გული სტკივა, რომ უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდობის პატრიოტულ

სულისკვეთებას ჩინოვნიკობა ასამარებს და ე. წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლის შემდგომ კიდევ ახალი ახალგაზრდობის გამოსვლაა საჭირო საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ვის აღარ ნახავდით ბულვარში?! მწერალი „ბარიშნებისა“ და მათი „კავალრების“, პაემნებისა და ბულვარში შემდგარი სატრფიალო ურთიერთობების შემდგომ თავადებს წარმოაჩენს (ახალგაზრდებსაც და ხნიერებსაც), წოდებით გადიდგულეებულებს, ამპარტავნებს, თით-ქოს მთელი აღმოსავლეთის ბედი იმათ ზურგზე რომ ჰკდია, სინამდვილეში დიდკაცებთან დაახლოების მოსურნეებს ერთადერთი მიზნით - „კუჭის ამოყორვის“ სურვილით; მათ ჩინოვნიკობა მოსდევს, ადვოკატი კვიმატიძე და და მისი კლიენტი საწყალიძე. ბულვარში გასაგები ხდება, რომ „კაი ვეჟილობა კვიმატობის, სინიდისის მომეტებული გაქრობით იზომება“ (თავბერიძე 2021: 34). რა თქმა უნდა, აქ ვაჭრების ბირჟაცაა. „აღებ-მიცემობაში დაოსტატებუ-ლი ებრაელი ყოველდღე იჭერდა ქამანდით თავადიშვილებს, ისეთ სარმას გამოკრავდა, იმოდენა ვალებში გახვანჯავდა, ცხრა მოდგმას რომ გადაწვდებოდა“ (თავბერიძე 2021: 36), - წერს ავტორი. არაჩვეულებრივია შედარება: „ბულვარი, ცუდკარგი შვილების დედასავით, იმათაც ჭირისუფლობდა, ვინც ტყავდებოდა, იმათაც, ვინც ატყავებდა“.

აკაკის ამბავი, კოწია ერისთავის მიერ მახვილგონივრულად ნათქვამი, სამუდამოდ დაამახსოვრდება მკითხველს. ებრაელს უცხოელები მოუტყუებია და მოქსოვილი ქიცა (ქალების თავსაკრავი) კავკასიურ გალსტუკად გაუსაღებია. უცხოელებს ბევრი შეუძენიათ. აკაკის ებრაელი უხმია, დილისთვის სასტუმროში დაუბარებია და უცხოელების მოტყუებისთვის ხუთი მანეთის ჩუქებას დაჰირებია. კოწია ერისთავს კი აკაკი დაუბარებია მეორე დილისთვის და თუმანს შეჰპირებია (შალვა დადიანის ვარიანტით - სადილს) იმ ებრაელის მოტყუებისთვის.

ბულვარში გიმნაზიელთა ამბებსა და მათი სწავლების მეთოდებზეც შეიტყობთ, რადგან იქვეა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი და ვაჟთა გიმნაზიაც. დიდი შესვენების დროს მოწაფეები სწორედ ბულვარში იყრიდნენ თავს. მათი საუბრიდან ვიგებთ მასწავლებელთა არაკეთილსინდისიერების შესახებ. რევიზიის შიშით მგელი მასწავლებლები ცხვრებს ემსგავსებიან. არ უსწორებენ მოსწავლეს შეცდომებს იმ მიზნით, რომ რევიზიამ მათი საქმიანობა დადებითად შეაფასოს; ამიტომ მოწაფეებიც სულ რევიზიას ნატრობენ. ცხადია, რევიზორადაც ისეთი მოდის, რომელიც საგანში ვერ ერკვევა.

ყველაზე ბევრი რამ ბულვარში მოდარაჯე პოლიციელებმა იციან, თუ არ ჩავთვლით ხეებსა და ბუჩქებს, რომლებიც დაბადებიდან სიკვდილამდე ისმენენ და უცქერენ იმას, რაც ბულვარში ხდებოდა. პოლიციელები ჩინისა და ჯამაგირის მომატების მიზნით ბუჩქებშიც კი იმალებიან, იქნებ რაიმე ისეთს მოვკრათ ყური, სახელმწიფო საიდუმლოებას რომ შეიცავსო.

პოლიციაში არიან მექალთანეებიც და თავზეხელაღებულებიც. ერთ-ერთ მათგანს გლეხი იმისთვის გაუმათრახებია, რატომ ვახშამი არ მომიძხადე და მუქთად არ მაჭამეო (თავბერიძე 2021: 50).

ბულვარში დასეირნობენ დიდკაცი ჩინოვნიკებიც: დიდი „ზავედენისი ლავანი პრავიწელი“ და კოლოტივით დამრგვალებული „გლავნი გრაჟდანიცი“, დაბანდალობენ დაბერებული პაჟარნი დარჩუა და მისი ძმობილი საქულა. ინტილიგენტთა ერთი ნაწილი კენტად დაიარება, აქაოდა ჩემი ტოლი დუნიაზე არ მეგულებო. იმათში ერთი ისეთი ლიტერატორიცაა, რუსები რომ „ნეუდაჩნიკს“ ემახიან, მაგრამ, მწერლის აზრით, სულ ოპოზიციონერობა აუტანელია და ეს ნეუდაჩნიკიც ერთ კაცთან მისულა, იმას ერთი სიტყვა უთქვამს და მას შემდეგ იმ კაცის წინაშე საჯაროდ სულ ოთურმას თამაშობს, ბულვარის აკადემია კი ტაშს უკრავს. აი, ასეთი გავლენა აქვს დიდკაცს, ამპარტავნებასაც უმაღლეს აქარწყლებს, თუმცა მწერალი არ გვიძახებს, ვის გულისხმობს ამ „ნეუდაჩნიკში“ და ზოგადად მიგვითითებს, რომ ბულვარი „ნეუდაჩნიკების“ ბირჟაცაა, ფართო ალბომიცემობის ადგილიცაა, რადგან აქ ფართლელს ან სხვა რამეს კი არ ყიდიან, არამედ ხმებს (არჩევნებისას), რომელშიც ზოგი ნაღდს თხოულობს, ზოგი ზუთხს ჯერდება. ბულვარს გარეთ, ქვაფენილზე თავს იყრიან ქუთათური ჩოხოსნები – ლხინიკო უქმაძეები და „ჯიბედაჭლექიანებულები“ იმის ფიქრში არიან, დღეს სად ვისადილებ, ვინ დამპატიყებსო. ქუთაისელთა ბუნებაზე მეტყველებს მათი ერთი ჩვეულებაც, რომელსაც ავტორი შემდეგნაირად გამოიტყვის: „აქაურებს დაპატიყება უყვარდათ, საქვეყნო ვალის გადახდასა და სტუმრის გამასპინძლებაში ტოლობის ნიშანს სვამდნენ“ (თავბერიძე 2021:143); სამსონ ფირცხალავას სიტყვებით, „ქუთათურები სიკოხტავეში აქ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ტანსაცმელს აქ ფენდნენ, ცოდნასა თუ უცოდინრობას ბულვარის ქვაფენილზე აბრეხებდნენ...“ (თავბერიძე 2021: 145). ბულვარში ხდებოდა მაჭანკლობაც, მომავალი სარძლოს ან სასიძოს შეთვალეირება, მათი ნათესავების გაცნობა, უცნობების გამოკითხვაც მომავალი ოჯახის წევრის ხასიათზე, საქმიანობაზე, მზითევის ოდენობასა და ა. შ. აქვე იკრიბებოდა თანხა ვინმეს დასახმარებლად. ხანდახან ხალხის მოტყუებასაც ჰქონდა ადგილი; მაგალითად, ჰაეროსტატით კაცის ცაში გაფრენის მაგივრად ქალაქის ბუშტი აუშვიათ ზევით და ქუთაისელები განაწყენებულნი დარჩენილან. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ცულლუტების წარმოდგენებს უფრო ესწრებოდა საზოგადოება, ვიდრე ქართულ სპექტაკლებს, რომელიც სულიერ საზრდოს აწვდიდა. ბულვარი ჭორების სამჭედლოც ყოფილა. „ყველა ჭორი ბულვარში იბადებოდა და მანამ ცოცხლობდა, სანამ ახალი არ გაჩნდებოდა“ (თავბერიძე 2021: 163). ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ მამულში მომხდარზე მეტად ცხრა მთის იქითა ამბები აინტერესებდათ ქუთათურებს. ბულვარში

დუელიც მომხდარა. დავით მიქელაძე და ალექსანდრე წულუკიძე დატაკებიან ერთმანეთს.

მეთოდოლოგია: ავტორი დაწვრილებით გვიამბობს ამბავს. მოიშველიებს მაშინდელ პრესას, მასალის შესახებ არსებულ ყველა წერილს, ამბავში მონაწილეთა შესახებ კრიბავს ცნობებს საარქივო მასალებში, მოპოვებულ მასალებს ერთმანეთს უდარებს და ცდილობს წარმოგვიდგინოს, რეალობაში რა მოხდა; მაგალითად, ის გვაცნობს ზოგადად დუელის წესებს და გვიხსნის იმასაც, რით განსხვავდება ქართული დუელი ნამდვილისაგან; დაწვრილებით გვიყვება ბულვარში გამართულ სერთუკოსანთა საშინელ ჩხუბზეც 1881 წლის 27 მაისს და საბოლოოდ გამოაქვს დასკვნა, რომ „ჩხუბში მტყუნს და მართალს ძნელად გაარჩევ, ერთს მეორე ჰგონია დამნაშავე, მეორეს პირველი... ასეთია ჩხუბი, აჯაფსანდალივით არეული“ და 1881 წლის „ბულვარის დაკადაკაც არ ყოფილა განსხვავებული“ (თავბერიძე 2021: 276).

დისკუსია/შედეგები: ელგუჯა თავბერიძე დაწვრილებით მოგვითხრობს ბულვარის ისტორიას, მოხერხებულად იმარჯვებს ისტორიკოსთა ჩანაწერებს, პუბლიცისტიკას, საარქივო მასალებს, მაგრამ არასდროს გადაჰყავს თხრობა მშრალი ინფორმაციის მოწოდებაში, მისი კომენტარები, რომლებიც აგებულია პრინციპზე - სინამდვილეში როგორ იქნებოდა (როცა ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები ერთმანეთს ეჯახება) - უაღრესად მხატვრულია. მათში შერწყმულია ისტორიული ფაქტების ცოდნა, დაჭერილია ეპოქის სულისკვეთება, თვალსაჩინოა მეცნიერული არგუმენტაციის უნარი და უაღრესად დახვეწილია ავტორის სტილი, რომელშიც მხატვრობა არც ერთ მომენტში არ იკარგება. ავტორი მსჯელობს ბადის სახელზე - ფრანგულ სიტყვა ბულვარზე, რომლის შესატყვისად და საალერსოდ ქუთაისლებმა „გულ-ვარდი“ იხმარეს. „ეს ხალხური სახელწოდება იმდენად პოპულარული იყო, რომ ბოლო ათწლეულებამდეც კი მოაღწია“, - გვეუბნება ავტორი (თავბერიძე 2021: 83). ის უფრო ღრმად იკვლევს ამ მოფერებითი სიტყვის წარმოშობის მიზეზს და ხვდება, რომ ქართველებმა ფრანგული სახელწოდება, როგორც იწერება, ისე წაიკითხეს - „ბულვარდი“ და ქართული „გულვარდი“ მიურითმეს. „გულვარდი“, ფრანგულის გაუგებრობასთან ერთად, სიყვარულით მოფიქრებული, თანაც უცხოურს მიკეთილხმოვანებული სიტყვაა“ (თავბერიძე 2021: 84), - წერს ელგუჯა თავბერიძე. **„მი კეთილ ხმოვანებული“**, - ასეთ სიტყვებსა და გააზრებებში ჩანს მწერლის ოსტატობაც.

ნაწარმოებში უხვადაა ჩართული „რომანული ეპიზოდები“, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია - გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკის პრინც კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგის უკვე ქმრიან აგრაფინა ჯაფარიძესთან რომანი. კომიკურად, მაგრამ სიმართლით არის ასახული ქუთათელი ქალის მოხერხებულობა - „ყველასათვის სანეტარო

სასიძომ, კონსტანტინე ოლდენბურგმა, გათხოვილ აგრაფინა ჯაფარიძეზე იფსკვნა ჯვარი... ცოლმა, რომელიც აგრაფინა ზარნეკაუ გახდა, მოარჯულა ავარა ქმარი“. ეს სატრფიალო ეპიზოდი, გარდა იმისა, რომ მკითხველის ინტერესს იწვევს, ნაწარმოებში ჩართულია სულ სხვა მიზნით. ცოლ-ქმარმა ბალახვანში შეიძინა მამული და ნოტარიუსით დამტკიცებისას პრინცმა გადაიხადა დიდი ბაჟი ქალაქის სასარგებლოდ. სწორედ ამ თანხით შემოღობეს ბულვარი რკინის მოაჯირით.

ელგუჯა თავბერიძე ბულვარის ისტორიის გადმოცემისას გვერდს არ უვლის მასში პავილიონის - როტონდას - ჩადგმას და მასთან დაკავშირებულ ამბებს. ის საგანგებოდ არ მსჯელობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, პოლიტიკაზე ზოგადად, მაგრამ თავის სათქმელს მოხდენილად აქსოვს სხვადასხვა ამბის გადმოცემაში. აი, მაგალითად, „რასაკვირველია, ნებისმიერი შენობა, მათ შორის როტონდაც, ბულვარს დაამახინჯებდა, მაგრამ იმპერატორის სიამოვნებისათვის (იმპერატორი ალექსანდრე მესამე ჩამოდიოდა იმ დროს ქუთაისში. 1888) რაიმეს დაუშნობაზე ვინ იტყოდა რამეს, მთავარია, საჭეთმპყრობელს მოწონებოდა. მოწონებია კიდევ. უკითხავს, ვინაა ხუროთმოძღვარი და ლენჩევსკი (არქიტექტორი) ათასი მანეთის საღირალი ოქროს ბეჭდით დაუჯილდოებია“ (თავბერიძე 2021: 110). მოგვიანებით პავილიონი კოტე მესხსა და ნიკო გამრეკელს სათეატროდ გადაუკეთებიათ, მაგრამ ორ წელიწადში შენობა გადამწვარა.

პოეტურია თავი - „თავის თავს გაექცესო...“ ავტორი საინტერესოდ გადმოგვიშლის აკაკის მიერ ქუთაისის აღქმას, ქალაქისა, რომელიც უჩვეულოდ იქცევა, დარდების განსაქარვებლად ცის მაგივრად ზღვისკენ იხედება, თითქოს იქ სურს მათი ჩანთქმა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ იყურება და დარდების ჩაქვესკნელება ვერ მოუხერხებია. აკაკი ქუთაისს ვეებერთელა მთებით შემოსაზღვრულად წარმოგვიდგენს. ელგუჯა თავბერიძე, რეალობის აღქმა რომ არ დაირღვეს, კომენტარს უკეთებს მგოსნის სიტყვებს - „აკაკი ყოველივე აქაურს გრანდიოზულად წარმოსახავდა, კენჭს ლოდად გვაჩვენებდაო“ (თავბერიძე 2021: 119); აკაკის ერთ ფრაზას კი ქუთაისის ისტორიის გასაღებად მიიჩნევს - „ერთი შეხედვით, კაცი იფიქრებს, ამ ქალაქს სურსო, თავის თავს გაექცეს, მაგრამ, ტალახიდან ვეღარ ამომძვრალა და ის აკავებსო“ (იქვე). ასე ხატავს მწერალი აკაკის სიტყვებით ქუთაისს ტალახში ამოსვრილ ქალაქად, რომლის გულიც ბულვარია, მოსეირნეთაგან ადგილის ტკეპნით მისუსტებული. ეს მეტაფორული ნათქვამი კიდევ უფრო დაკონკრეტებულია ქუთაისელთა თავკუდმოგლეჯილი სირბილით, რაც უცხოელის გაკვირვებას იწვევს. ის ეკითხება აკაკის, თუ სად გარბიან ქუთაისელები, ცეცხლი ხომ არსად გაჩენილა?! „სასამართლოებსა და ნოტარიუსებში“, - პასუხობს მგოსანი.

„სახლები ხომ არ ექცევათ?“ - ამ მორიგ კითხვაზე პასუხი კიდევ უფრო მძაფრია: „არა, ბატონო, მხოლოდ ერთმანეთის დაქცევას ეშურებიან.“

ელგუჯა თავბერიძე მოგვითხრობს ქუთაისის ბულვარში გაჩენილი ხანძრის ამბავს და მას კვლავ აკაკის მონათხრობს უკავშირებს. ხანძრის შემდეგ ბულვარს სახე უცვლია, „პირდაღებულ“ ქუთაისელებს საქმე გასჩენიათ, თუ ადრე მგლის ლუკმა იყვნენ, ახლა თავად ნადირობდნენ მგელზე. „აქ ერთი უცხო სტუმარი სცხოვრობს“, - წერს აკაკი, - „რომელიც ისეთი მონადირეა თურმე, რომ თოფს არ დააცდენს, რასაც დაუმიზნებს“. აკაკიმ თავის პუბლიცისტურ წერილში „ქუთაისი“ მგელზე მონადირეები საზოგადოებისთვისაც ინატრა - „*ნეტავი ვინმე მისთანაც გვესტუმრებოდეს, რომ მგელ-კაცებზედაც ინადირებდეს*“ (წერეთელი 1990: ტ. 4, 319). პუბლიცისტმა ნართაულად საუკეთესოდ დაახასიათა ამგვარი ადამიანები: „*კრუტუნობენ კატასავით, ჰყეფენ ძაღლივით (ვითომც ერთგულებით რაღა). და ქვეყანას კი იკლებენ მგელივით*“ (იქვე). მან მგელ-კაცების ნიშნებიც გამოყო: „*დიდი პირი აქვთ, თავი პატარა, თვალები გამოპრაწული, მუცელი გაუმძღარი, მადა სვავისა, ენა გამოგდებული და კუდი გრძელი და ერთი მეორისაზე გადაბმული. გაძლებიან - იღრინებიან და თუ შიათ საცოდავად ზუვიან. მათი არც ხორცი ვარგა და არც ტყავი. ტვინი სულ არა აქვთ. ერთის სიტყვით ყოვლად უსარგებლო და მყრალი მავნე პირუტყვები არიან*“ (წერეთელი, 1990 : ტ. 4, 319). სატირაში სრულყოფილად არის ასახული იმ „მგელ-კაცთა“ ბუნება, რომლებიც ხალხს მძიმე ტვირთად აწევს. ელგუჯა თავბერიძის აზრით, უცხო სტუმარში, რომელსაც მგლებზე ნადირობით გამოუჩენია თავი, კონსტანტინე ოლდენბურგი იგულისხმება, რომლის გარეშეც იმ დროს ქუთაისში არაფერი წყდებოდა, მგლებში - თავადაზნაურობა, მგლებზე ნადირობად კი - თავადაზნაურთა „მგელკაცებად“ ქცევა, ხოლო მგელკაცებში - პრინციის შემწეობით გაყოფილ თავადაზნაურთა ნაწილი (თავბერიძე 2021: 125). აქედან გამომდინარე, მგელკაცებზე ნადირობა მათ განადგურებად კი აღარ უნდა აღვიქვათ, რაც აკაკის ოცნებაა, არამედ მათ კიდევ უფრო გაცხოველებად, რაშიც არ ვეთანხმებით ავტორს.

ელგუჯა თავბერიძე აკაკის გაზეთ „შრომაში“ დაბეჭდილ „ნაკუდალასაც“ იხსენებს და წერილის ალეგორიულ სატირასაც განმარტავს: „საშინელი მწყერობაა ამჟამად ჩვენს ქუთაისში“, - წერს აკაკი. თავბერიძის აზრით, მგოსანი მწყერებში იმ თავადებსა და აზნაურებს გულისხმობს, წინამძღოლის ან ბანკის არჩევნების დროს რაიმე სარგებლისათვის ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფს რომ მიემხრობოდნენ“ (თავბერიძე 2021: 125). ავტორის აზრით, სწორედ ამიტომაც სურდა ქუთაისის თავის თავს გაქცეოდა და ზღვის სიღრმეში ჩაეფლო დარდები, მას ხომ გული - ბულვარი - მისუსტებოდა. არაჩვეულებრივი აღქმაა გულის კვდომით ქვეყნის კვდომა და გულად

მიჩნეული ქუთაისის ბულვარისათვის კიდევ უფრო დიდი, აკაკისთვის ჩვეული გრანდიოზული მნიშვნელობის მინიჭება.

და კვლავ აკაკის ხატება ჩნდება მკითხველის წინაშე გარიბალდის წითელი ქუდით და ავტორის ამაღლებელი განმარტება: „მეტი ლოზუნგი რა საჭიროა, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, უამრავი ადამიანის თვალწინ თავზე თავისუფლების სიმბოლოთი დადიოდა, ხალხს გარიბალდს ახსენებდა, რაც, თავისთავად, მამულის იმპერიის მონობიდან გამოხსნაზე ოცნებას ნიშნავდა“ (გვ. 130),

საგულისხმოა, რომ სწორედ ბულვარზე დაიარებოდა აკაკი გარიბალდის ქუდით, რადგან ბულვარი მისივე სიტყვებით უბრალო ბაღი, სასეირნო ადგილი არ იყო. ავტორს მკითხველი თანდათან მიჰყავს ბულვარის ჭემმარიტი, მისი „გრანდიოზული“ მნიშვნელობის აღქმამდე: „ეს არის სალაცხო ანუ პარლამენტი, თავადაზნაურობის ყრილობის დროს აქ წყდე-ბოდა ბედი და უბედობა. იმ დროს ამ ასპარეზზე ყველა თანასწორია. თავადი გლეხსა ჰხვევს ხელსა და ეჩურჩულება, გენერალი - ურიას, დეკანოზი და წმინდა მამა - როსკიპს, ავაზაკი - მსაჯულს და სხვა. ერთი სიტყვით, იმ დროს ამერიკის ამერიკაა“. აკაკის ამ ჩვეული, „გრანდიოზული“ განმარტების შემდეგ ავტორი თავს უფლებას აძლევს, მგონის სიტყვები ბულ-ვარში ქუთათურთა ადგილის ტკეპნასა და ტყუილ ფაციფუცზე ქუთათურთა ჩვევად წარმოგვიდგინოს და არა სატირად „კაცია-ადამიანის“ მსგავსად, რადგან ბულვარის მნიშვნელობა აღემატება უბრალო სეირნობას. „გასეირნებაცაა და გასეირნებაც, გაზეთის დაარსებამდე ბულვარი იქცა ამბის გავრცელების მთავარ ალაგად. გაზეთი რომ დაარსდა, იქ დაბეჭდილი, გამ-ხელილ გამჟღავნებული ბულვარის მეშვეობით ეფინებოდა სოფელ-ქვეყანასო“ (თავბერიძე 2021: 137). ავტორი ხშირად იმეორებს ფრაზას, რომ „ქუთათურებს ის დღე დაკარგულად მიაჩნდათ, ბულვარში თუ არ გაისეირნებდნენო“.

აკაკის სიტყვებს - „ამერიკის ამერიკა“ - ავტორი მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ზურაბიშვილისეულ გამონათქვამებს ამატებს: „ესპანელებს მოედნისათვის პუერტა-დე-სოლ - მზის კარი, შთამბეჭდავი სახელი დაურქმევიათ, ქუთათურებმა ბულვარი - ხეივანებით შემოზღუდული ფართო ქუჩა უწოდეს, მაგრამ იმთავითვე ურეგლამენტო, თავისუფალი კლუბის ფუნქცია დააკისრეს. ათენის აგორას, ხანძთის აკადემიას, პერიპატეტიკ ფილოსოფოსების სააზპარეზო სივრცეს დაამგვანეს“ (თავბერიძე 2021: 141). სამსომ ფირცხალავას სიტყვებიც იმავეს მოწმობს: „ბულვარში გლეხი არისტოკრატს ჰგავდა და პირიქით, არისტოკრატი - გლეხს, ყველა ყველას თანასწორობით ქმნიდა იმ გამორჩეულობას, რისთვისაც დიდ-პატარები მოილტვოდნენ აქეთ“. ე. ი. საყოველთაო თანასწორობა ასაკითაც არ ყოფილა შეზღუდ-ული. სერგეი მესხი ქუთაისის ბულვარს პარიზის ყავახანებსა და კლუბებს ადარებს,

რომლებშიც იკრიბებოდნენ არა მარტო განსასაჯელად, არამედ გადაწყვეტილების გამოსატანად.

ნიკო ნიკოლაძე ქუთაისის ახირებულ ქალაქს უწოდებს და აკვირვებს აქაურთა თხოვნა, უკვე დაგებულ რკინიგზა გადააკეთონ და ქუთაისის გავლით გაიყვანონ. ნიკოს აზრით, „ჩრდილოეთის არცერთ ხალხში არ მოხერხდებოდა ისეთი საზოგადო ცხოვრება, საქვეყნოდ საქმეების იმდაგვარად საყოველთაო განხილვა, მით უფრო - მართვა, როგორც ჩვენში“ (თავბერიძე 2021: 189). აღსანიშნავია, რომ ელგუჯა თავბერიძე ყოველთვის აფასებს იმ საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამებს, რომლებიც ნაწარმოებში მოჰყავს, აფასებს ნიკო ნიკოლაძესაც, რომელიც კარგად ერკვევა მსოფლიოს ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში. ინგლისს ნიკო ნიკოლაძე თავისუფლების ორანჟერეას უწოდებს, სადაც საზოგადო ცხოვრება ისეთ პირობებში ღვივდება, როგორც პეტერბურგში ნესვი და ანანასი. ჩრდილოეთისგან განსხვავებით, სამხრეთში მცენარეები ღია ცის ქვეშ ხარობს, რაც განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრების წესსაც. იტალი-ელეები საზოგადო საქმეებს ღია ცის ქვეშ არჩევენ, ფრანგები ყავახანების წინ. ნიკოლაძის აზრით, ჩვენი იტალიელებსა და ფრანგებს ვგავართ - „ჩვენი ძველები ცაცხვების ჩრდილში არიგებდნენ საქმეებს. აქ გადაწყვეტილს კიკანონის ძალა გააჩნდა. ნიკოს თქმით, ცაცხვების ჩრდილი მე-19 საუკუნეში ბულვარმა შეცვალაო“, - წერს ელგუჯა თავბერიძე, რითაც ნიკოლაძის ნააზრევს ქუთაისის ბულვარის თავისებურებას უკავშირებს.

ნაწარმოების ავტორი აკაკის სიტყვებს, ბულვარი „ამერიკის ამერიკააო“, ნიკო ნიკოლაძის სიტყვებს უპირისპირებს, „მაინცდამაინც ამერიკის გამართვას ნუ მოვთხოვთ ქუთაისსო“ და განსხვავებული თქმის საფუძველს შემოქმედთა ბუნებასა და საკითხის სხვადასხვა კუთხიდან დანახვაში ხედავს. თავბერიძის თქმით, აკაკი „რეალისტური შტრიხებით ცდილობდა ბულვარის გამორჩეულობა დაენახვებინა“ მკითხველისათვის, ნიკოლაძე კი „ირონიულ ელ-ფერს ამჯობინებდაო“ (თავბერიძე 2021: 200).

კიდევ მრავალ, ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან, ადამიანებს წარმოგვიდგენს ელ-გუჯა თავბერიძე, მათ აზრებს, ურთიერთობებს, დამოკიდებულებებს და, რა თქმა უნდა, არა მარტო ბულვარისა და მისი მკვიდრებისადმი, იქ მომხდარი ამბებისადმი, რომელთაც მოკლე მიმოხილვაში ვერც კი ჩამოვთვლით. ნაწარმოები მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქრონიკაა, მასშტაბურია და სწორედ ამაშია მისი მნიშვნელობა. მწერლის სიტყვა მხატვრობასთან ერთად ლოგიკური, მეცნიერული არგუმენტაციითაა მდიდარი. დასავლური დიალექტისათვის დამახასიათებელი სიტყვები, რომელთა მცირე რაოდენობა ამოვიწერეთ - „გახვანჯავდა“, „გაიშტრიმა“, „უჯლიქვა“, „მიჭყავა“, „რაწკარუწკი“, „შეუკვრიხინებია“, „ჩაგულისყურებოდნენ“ - ბუნებრივად ნათელს ხდის, რომ მე-19 საუკუნის მთელი საქართველოსათვის დამახასიათებელი

მოვლენები სწორედ ჩვენი ქვეყნის დასავლეთში, საქართველოს „გულვარდ“ ქუთაისში მიმდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **თავბერიძე, 2021:** – თავბერიძე, ე., „BOULVERD“ მეცხრამეტე საუკუნის ქუთაისის ბულვარის ბულვარული ქრონიკა“, „საგამომცემლო ცენტრი“, ქუთაისი, 2021;
2. **წერეთელი, 1990:** – წერეთელი ა., „რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად“, ტ. IV, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1990.

A Story about a Young Man Seeking the Hand of King Tamar in Taoian Folklore
თქმულეზა თამარ მეფის ხელის მაძიებელ ჭაბუკზე ტაოურ ფოლკლორში

Tina Shioshvili

PhD in Philology, Professor at Batumi

Shota Rustaveli State University

E-mail: shioshvili.tina@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-4745-9260>

Abstract: In one of the most ancient regions of Georgia, Tao, the memory of one of the most beloved Georgian kings, King Tamar, has survived until recently. The oral tradition of the Taoel Georgians is rich with narratives about the reign of King Tamar. Among these legends is the story of the tragic death of a young man who was separated from Tamar, and it is spread in many versions across the folklore of almost all corners of Georgia.

The Taoist legend, which includes the story of the young man's tragic death separated from King Tamar, along with other narratives related to Tamar, serves as additional evidence that the folkloric creativity of the Taoist Georgians is an integral part of the unified Georgian cultural space.

Key words: Tao, Legend, King Tamar, Parkhali, Gorisjvari, Folklore.

თინა შიოშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

ელ-ფოსტა: shioshvili.tina@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-4745-9260>

აბსტრაქტი: საქართველოს ერთ-ერთ უძველეს მხარეში ტაოში ბოლო დრომდე შემორჩა ერთ-ერთი უსაყვარლესი ქართველი მეფის, თამარ მეფის ხსოვნა. ტაოელ ქართველთა ზეპირი ტრადიცია მდიდარია თამარ მეფის მეფობის შესახებ თქმულებებით. ამ ლეგენდებს შორის არის თამართან განშორებული ჭაბუკის ტრაგიკული სიკვდილის ამბავი და იგი მრავალი ვერსიით არის გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ფოლკლორში.

ტაოური ლეგენდა, რომელიც თამარ მეფისგან განშორებული ჭაბუკის ტრაგიკული სიკვდილის ისტორიას თამართან დაკავშირებულ სხვა გადმოცემებთან ერთად მოიცავს დამატებით მტკიცებულებას იმისა, რომ

ტაოელი ქართველების ფოლკლორული შემოქმედება ერთიანი ქართული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: ტაო, ლეგენდა, თამარ მეფე, პარხალი, გორისჯვარი, ფოლკლორი.

ტაოში, როგორც სხვა ისტორიულ ქართულ რეგიონებში - შავშეთსა და კლარჯეთში - ბოლო დრომდეა შემორჩენილი ქართველთა უსაყვარლესი მეფის - თამარის ხსოვნა.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის მოამაგე და მკვლევარი სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი წერილში “მაჰმადიანთ საქართველოდამ” წერს: “როგორც მაჰმადიანთა საქართველოს სხვა ნაწილებში, ისე ართვინისა და არდანიშვილის მაზრების მაჰმადიანებს ახსოვთ უკვდავი სახელი თამარ დედოფლისა” (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008: 170).

ტაოურ ზეპირსიტყვიერებაში უხვად შემორჩა თამარ მეფის მიერ ეკლესია-მონასტრების მშენებლობის თემატიკის შემცველი ნარატივები; ისტორიული საქართველოს ამ ვრცელი რეგიონის მოსახლეობის მეხსიერებაში ბოლო დრომდე ძვირფასია ხსოვნა დედოფლისა, რომელმაც, მათი შეხედულებით, აღაშენა იშხანი, ოშკი, ოთხთა ეკლესია და პარხალი.

თამარ მეფის ციკლის ტაოური საისტორიო ზეპირსიტყვიერება მდიდარია, აგრეთვე, ლეგენდებით, თქმულებებითა და გადმოცემებით, რომლებიც მოგვითხრობენ ქვეყნის დიდებული მმართველის მიერ წარმოებულ სარწყავი არხების მშენებლობებზე (თაყაიშვილი, 1991: 220-221; ცინცაძე, 2017: 223). ეროვნული ზეპირსიტყვიერების ამ ნიმუშებით თამარ მეფე წარმოგვიდგება ეკლესია-მონასტრების, ქალაქების, ციხე-სიმაგრეების მშენებლობათა სულისჩამდგმელად და ხშირად - უშუალო მონაწილედაც (შიოშვილი, 2014: 16).

გარდა სამშენებლო თემატიკისა, ტაოელ ქართველთა ისტორიულმა მეხსიერებამ მწირად, მაგრამ მაინც, შემოინახა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად დაფიქსირებული თამარზე გამიჯნურებული ჭაბუკის თავგანწირვასა და მდინარეში დახრჩობასთან დაკავშირებული ლეგენდის ვარიანტიც.

სოფელ ელიასხეველი მთქმელის - 65 წლის პენსიონერი პედაგოგისაგან - შევქი თოფჩუსაგან 2017 წლის 27 ივლისს ჩვენ მიერ ჩაწერილი ნაამბობის თანახმად, რომელსაც ლეგენდის ელფერი უკვე აღარ შერჩენია და თქმულების სახე მიუღია, “თამარა დოდოფალი ერთ კაცს შეჰყვარებია. თამარა პარხალში ჩასულა. ამ დროს მდინარე პარხალი ადიდებული ყოფილა. თამარას უთქმია:

- თუ გადაცურავ, შენი ვიქნებიო”.

მთქმელის დასკვნით, “წასულა ი კაცი და ვერ გადაცურა, დამჩვალა”.

ქართულ ფოლკლორში ეს ტრაგიკული სიუჟეტის შემცველი ნარატივი გორის ჯვრის//გორის ციხის აშენებას უკავშირდება. ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც ზეპირსიტყვიერების ცნობილმა მოამაგემ - ხალხოსანმა პოეტმა იოსებ დავითაშვილმა ჩაიწერა 1977 წელს (ქ. ხ. ს. ს., 1961: 97), მოგვითხრობს:

ერთხელ გორში მყოფ თამარ მეფეს საყვარელი ქორი გაუფრინდა და იმ ადგილას დაჯდა, სადაც ახლა გორიჯვარის ეკლესიაა აშენებული. მდინარე მტკვარი ადიდებული ყოფილა და ქორის გამოყვანა ძალზე საეჭვო გამხდარა. თამარს უბრძანებია:

“ - ვინც ჩემ ქორს გამომგვრის, რასაც მთხოვს, იმას მივცემო”.

თამარზე გამიჯნურებული ყმაწვილი კაცი დაუფიქრებლად შეცურებულა აბობოქრებულ მდინარეში. თავგანწირული ვაჟკაცის შემხედვარე თამარს შეშინებია, ვაითუ ისეთი რამ მომთხოვოს, რისი გაცემაც არ შეიძლებაო, პირჯვარი გადაუწერია და უთქვამს:

“ - ღმერთო, თუ ეს განზრახვა ჰქონდეს იმ ყმაწვილ კაცს, ცოცხალს ნუ გამოიყვანო!”

მართლაც, ჭაბუკი მტკვარში დამხრჩვალა.

თამარი ძალიან დაღონებულა და მისთვის თავშეწირული ჭაბუკის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად უბრძანებია:

“ - ის კაცი იქ დამარხეთ, სადაც ქორი იყო და ჯვარი დაუდგით, რომ იმ ადგილს მივაგნო; მე მსურს, ზედ ეკლესია დავადგა და თქვენც იცოდეთ, ამ ეკლესიას “ქორის ჯვარი” ერქმევაო”.

იმ ადგილას ერთ კვირაში აუგიათ ეკლესია, რომელსაც ახლა “ქორის ჯვარს” ეძახიან (შიოშვილი, 2014: 76).

ლეგენდის იმერული ვარიანტითაც (ხ. ს., 1964: 233), გორის ციხე თამარმა ააგო მასზე შეყვარებული ჭაბუკის ხსოვნის ნიშნად, რომელიც მისი შევარდენის გამოსაყვანად გადაეშვა ტბაში და დაიღრჩო მას შემდეგ, რაც უხერხული დაპირებით შეცბუნებულმა თამარმა ღმერთს შესთხოვა, ჭაბუკი ტბის ტალღებში დაღუპულიყო (შიოშვილი, 2014: 76).

ლეგენდა “დაიღუპოს, თუ ცუდი განზრახვით მოდის” (ხ. ს., 1964: 234-235) გორის ციხის აგებას უკავშირებს იდენტურ სიუჟეტს, ოღონდაც აქ თამარზე შეყვარებულ ჭაბუკს მეფის მიმინო ჰყავს გადასარჩენი. მეფე ქალის ხელის მაძიებელი ვაჟკაცი აქაც იღუპება თამარის ჩანაფიქრის გამოისობით, მაგრამ, როგორც სხვა ვარიანტებშიც ვხვდებით, “ინანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშვა მტკვრის კალაპოტში და დასწრიტა, თვით ბორცვზედ ააგო მაგარი გორის ციხე” (შიოშვილი, 2014: 77).

მსგავსი ვარიანტი გამოაქვეყნა მოსე ჯანაშვილმა “მასალათა კრებულში” 1904 წელს. ლეგენდა ახლავს გორის გეოგრაფიულ-ისტორიულ აღწერილობას; იგი მოგვითხრობს:

მტკვრისა და ლიახვის შესართავთან იდგა ტბა, შიგ ბორცვი იყო ამოწეული კუნძულივით. ერთხელ თამარ მეფე მახლობელ ტყეში ნადირობდა. მისი შევარდენი გაფრინდა და იმ კუნძულის ბორცვზე ჩამოჯდა. მეფემ ბრძანა:

“ - ვინც გამოიყვანს, რასაც მთხოვს, იმას მივცემო”.

ერთმა ჭაბუკმა გაბედა და ტბაში გადაეშვა. თამარს შეეშინდა, ხელი არ მთხოვოსო და მისი დახრჩობა ინატრა; მართლაც, ვაჟკაცი დაიხრჩო. შეწუხებულმა თამარ მეფემ არხი გაუჭრა ტბას, დაწრიტა და იმ ადგილას, გორაკზე, გორის ციხე ააშენა (შიომშვილი, 2014: 77).

თქმულების ერთ-ერთი იმერული ვარიანტით (“თამარი და მიმინო”), თამარის საყვარელი მიმინოს გამომყვან ვაჟკაცს გულში მეფობის სურვილი გააჩნია და ამის გამო იღუპება: შუამდე იყო მიღწეული ვაჟი, რომელსაც მკლავზე მეფის საყვარელი მიმინო ეჯდა, როცა ნაპირზე დაიწყეს ლაპარაკი:

“ - აბა, რას იტყვისო, რას ინდომებსო?

- რას იტყვის და ნეფობას იტყვის, თქმა რათ უნდა მაგასო?!

თამარმა ყური ათხოვა ამ ლაპარაკს, შეხედა წყალში ამ ბიჭს და სთქვა:

- თუ მაგ გაქვს გულში, გაგწყვეტია მიწაო!

ის თქვა და წაიღო წყალმა ის ვაჟკაცი და მიმინოც” (შიომშვილი, 2014: 78).

1882 წელს “მასალათა კრებულში” დაბეჭდილი თქმულების ქართლური ვარიანტის თანახმად, ის ადგილი, სადაც ახლა გორის ციხეა აგებული, დაფარული იყო ტბით; შუაში კი პატარა კუნძული იყო. ერთხელ ამ მიდამოში თამარ მეფე მიბრძანებულა სანადიროდ, თან ჰყოლია თავისი საყვარელი გაწვრთნილი შევარდენი. ნადირობისას შევარდენი გადაფრინდა ტბაზე და კუნძულზე ჩამოჯდა. თამარმა მიმართა თავის ამაღას:

“ - ვინც შავარდენს გადამირჩენს, ჩემს ნახევარ სამეფოს მივართმევო”.

ერთი მამაცი ვაჟკაცი გადაეშვა ცხენით ტბაში, მიცურდა და გამოჰყავდა შავარდენი, მაგრამ უკან დაბრუნებისას შავარდენიანად და ცხენიანად ტბის ტალღებმა შთანთქა. თამარი ძალიან შეწუხებულა, უბრძანებია, ტბის წყალი მტკვრისათვის შეეერთებინათ, ტბა დაეცალათ და გორაკზე ციხე აეშენებინათ” (ქ. ხ. ს. ს., 1961: 235).

თქმულების ზოგადქართული ვარიანტების მსგავსად, ტაოური თქმულების ჭაბუკიც მდინარეში იხრჩობა, რაკი თამარი დაპირდა, რომ თუ ადიდებულ პარხლისწყალს გადაცურავდა,“ მისი გახდებოდა“. ტაოურ, ძალზე მოკლე, ვარიანტში არ იკვეთება, თუ რატომ , რა მიზნით უნდა გადაეცურა თამარის ხელის მამიებელ ვაჟკაცს აზობოქრებული მდინარე; ამის გარკვევაში გვეხმარება სხვადასხვა დროს ქართლში ჩაწერილი მრავალრიცხოვანი ვარიანტები, რომელთა თანახმადაც დგინდება, რომ ადიდებული მტკვრის გაღმა ნაპირზე დარჩენილა თამარის საყვარელი ქორი და მისი აქეთა ნაპირზე გამოყვანა იყო საჭირო; სწორედაც, ამ მცდელობას

ემსხვერპლა ქართული ჭაბუკი და მის პატივსაცემად და მოსაგონებლად ააგო თამარმა გორის ჯვრის (ქორის ჯვრის) ეკლესია.

მოხმობილი ნარატივებიდან კარგად ჩანს, რომ ტაოური თქმულება თამარზე შეყვარებული ვაჟის ადიდებულ მდინარე პარხალში დახრჩობისა ძირძველი ქართული თქმულების ვარიანტია და სავსებით შესაძლებელია, რომ მისი გენეზისი პარხლის ტაძრის აგებასთანაც იყოს დაკავშირებული, მით უფრო, რომ ტაოელებს დღესაც სჯერათ, რომ პარხლის ტაძარი თამარმა ააშენა.

ამრიგად, მიუხედავად ჟამთა სიავისა და ისტორიული ძნელებდობისა, ტაოელთა ისტორიულმა მეხსიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა საქართველოს ისტორიაში “ოქროს ხანად” წოდებული ეპოქის დიდებული შემოქმედის - თამარ მეფის უკვდავი სახის შუქ-ჩრდილები; საქართველოს სხვა რეგიონების ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილი მეფე ქალზე გამიჯნურებული ჭაბუკის ტრაგიკული დაღუპვის შემცველი ნარატივი ტაოელებსაც შემორჩათ, რითაც კიდევ ერთხელ ხდება საცნაური, რომ არც თამარ მეფე იყო დაზღვეული ადამიანური ცთომილებებისაგან, თუმცა, მონანიებაც შეეძლო, რაც მის მიერ დიდებული ეკლესია-მონასტრების აგებით გამოიხატა.

თამარ მეფეზე გამიჯნურებული ჭაბუკის ტრაგიკული სიკვდილის სიუჟეტის შემცველი ტაოური თქმულება, თამარის თემატიკის სხვა ნარატივებთან ერთად, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ტაოელ ქართველთა ფოლკლორული შემოქმედება ბოლომდე ერთიანი ქართული კულტუროლოგიური სივრცის ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი-ბავრელი, 2008 – სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, “წერილები ოსმალთა საქართველოზე”, თბილისი;
2. თაყაიშვილი, 1991 – ექვთიმე თაყაიშვილი, “სამუსლიმანო საქართველო”. - კრებულში “დაბრუნება”, ტ. I, თბილისი;
3. ქ. ხ. ს. ს., 1961 – “ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება”, ტ. I, თბილისი;
4. შიომვილი, 2014 – თინა შიომვილი, “თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში”, თბილისი;
5. შიომვილი, 2022 – თინა შიომვილი, “ტაოური ფოლკლორი”, ბათუმი;
6. ცინცაძე, 2017 – მერი ცინცაძე, მამია ფალავა, მათა ბარამიძე, “ტაოური ტექსტები” - ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის კრებული”, ტ. XI, ბათუმი;
7. ხ. ს., 1964 – “ხალხური სიბრძნე”, ტ. III, თბილისი.

Original Works of the Nonfiction Genre "Nonfiction" ჟანრის ორიგინალური ნიმუში

Shorena Makhachadze

Candidate of Philological Sciences,
Professor at Batumi Shota Rustaveli State University
e-mail: shorena.makhachadze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0008-5655-0462>

Abstract: Nino Nizharadze's work, *Sad Monologues*, stands as an exemplary piece within the contemporary nonfiction genre. This collection encapsulates all the defining characteristics of nonfiction, including the subjective analysis of biographical moments presented in an engaging manner, the illumination of real facts, events, and personal histories from the narrator's perspective, as well as elements of self-analysis and retrospection. The genre's eclectic nature is evident in the inclusion of various forms such as diary entries, essay sketches, miniatures, and even poetry. In nonfiction literature, the author's subjective and emotional engagement with the events is paramount.

Nizharadze's authentic narrative style and refined expression facilitate a profound understanding and perception of her perspective, outlook, and emotional state by the reader. *Sad Monologues* distinguishes itself through the objective presentation of facts combined with the author's emphasized subjective stance and emotional connection to the events and individuals depicted. Additionally, Nizharadze's meticulous attention to detail and her skill in creating vivid portraits of diverse characters contribute to the work's originality and appeal. The harmonious blend of these techniques results in an innovative and captivating example of artistic-documentary prose within the nonfiction genre.

Keywords: Non-Fiction Genre; History; Reality; Epoch.

შორენა მახაჩაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: shorena.makhachadze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0008-5655-0462>

აბსტრაქტი: სტატიაში გაანალიზებულია ბათუმელი მხატვრის ნინო ნიჟარაძის Non-Fiction ჟანრის წიგნი „სევდიანი მონოლოგები“, რომელმაც

დაგვარწმუნა, რომ ნინო ნიჟარაძეს თანაბრად ეხერხება კალმით და ფუნჯით ხატვა. ხელოვანი ბავშვობიდანვე დედის ნაჩუქარ ბლოკნოტში იწერდა შთაბეჭდილებებს, ჩანახატებს, პორტრეტებს, რეფლექსიებს, რაც მთავარია, ყველა ეს ჩანაწერი იყო გულწრფელი, მხოლოდ ავტორის თვალისთვის განკუთვნილი. მრავალფეროვანი, ექსპრესიული და ფერადოვანია ეს ჩანაწერები, მათში კარგადაა შერწყმული ერთმანეთთან ღიმილი და ცრემლი, მსუბუქი ირონია და ზოგჯერ - თვითირონიაც. ეს ტექსტი ერთი ოჯახის ცხოვრების მაგალითზე ნათლად გვიჩვენებს ეპოქის სურათს, მასში, ასევე, ოსტატურად იხატება მწერლის თანამედროვეთა პორტრეტებიც.

ნინო ნიჟარაძის „სევდიანი მონოლოგები“ „ხედვის ახალი რაკურსით, ახალი პერსპექტივით“ აჩვენებს მკითხველს ულამაზესი, საკუთარი სტილის მქონე, ელეგანტური ბათუმელი მხატვრის, პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის პიროვნებას, ხელოვანის მემამბოხე და ნატიფ სულს, ქართული ოჯახის ღირსეულ დედასა და ერთგულ მეუღლეს, სტუმართმოყვარე დიასახლისსა და თავმდაბალ შემოქმედს, რომელიც ყველაზე რთულ, მძიმე ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც არ კარგავს ღირსებას, იუმორის გრძნობას, ჭირსა შიგან გამაგრების უნარს და, რაც მთავარია, ყველგან და ყოველთვის რჩება ქართულისა და საქართველოს ერთგულ მეხოტბედ.

საკვანძო სიტყვები: Non-Fiction ჟანრი; ისტორია; რეალობა; ეპოქა.

„რასაც ვერ დავხატავ... დავწერ, და პირიქით, თუ ვერ დავწერ, იქნებ დავხატო...“ - ეს სიტყვები უნიჭიერესი ბათუმელი ხელოვანის ნინო ნიჟარაძის მოგონებათა წიგნიდანაა - „სევდიანი მონოლოგები“ რომ ჰქვია. ეს წიგნი თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთი პოპულარული "Nonfiction" ჟანრის ორიგინალური ნიმუშია. მასში ყველაფერია, რაც ამ ჟანრს ახასიათებს: ბიოგრაფიული მომენტების სუბიექტური ანალიზი და მათი შეძლებისდაგვარად საინტერესო ფორმით გადმოცემა, რეალური ფაქტების, მოვლენების, ადამიანების ისტორიების მთხრობელის პოზიციიდან გაშუქება, თვითანალიზი და რეტროსპექცია, ჟანრობრივი ეკლექტიზმი და ა.შ. ლიტერატურული არა-გამონაგონი, არამხატვრული ლიტერატურა გვიყვება სხვადასხვა ამბავს, რა თქმა უნდა, თხრობა მიმდინარეობს ავტორის პოზიციიდან, ჩვენ საგნებსა და მოვლენებს, პიროვნებებს აღვიქვამთ მისი პერსპექტივიდან, თუმცა აქ უმთავრესია, რომ ნებისმიერი ფაქტი, საგანი თუ ადამიანი, ვის შესახებაც ეს ისტორია მოგვითხრობს, უნდა იყოს რეალური, არა-გამონაგონი. სწორედ ასეთი ტექსტია „სევდიანი მონოლოგები“, რომლის მთავარი პერსონაჟი თავად ავტორია. ჩვენ ვეცნობით ტიპური საბჭოთა ინტელიგენტების, პროფესორების, ბათუმის პედაგოგიკის რექტორის - ნადიმ ნიჟარაძისა და, ასევე, ბპი-ს პროფესორ ნადია ჯიბუტის ნაბოლარა,

ნებიერა ქალიშვილს, რომელსაც ლადი ბავშვობიდან გამოყვა ადამიანების რწმენა და სიყვარული, ბუნების აღქმისა და სამყაროსთან თანაზიარობის გასაოცარი უნარი, მთხრობელი-პერსონაჟი ჩვენს თვალწინ იზრდება და ყალიბდება შესანიშნავ მხატვრად, პედაგოგად, ხელმძღვანელად, ამასთან ის ყველა სფეროში უზადო პროფესიონალია და, რაც მთავარია, ცხოვრებისეული წინააღმდეგობების მიუხედავად, ბოლომდე რჩება დახვეწილ, იმავდროულად, პრინციპულ ინტელიგენტად.

„სევდიანი მონოლოგები“ (ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2023; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ წიგნიდან, მიუთითებთ მხოლოდ გვერდებს) ახალი ნიუანსებით ამდიდრებს, სულ სხვა რაკურსით გვიჩვენებს ყველასათვის ცნობილი ბათუმელი ხელოვანის სახე. უპირველეს ყოვლისა, დაგარწმუნებთ, რომ ნინო ნიჟარაძეს ბუნების, ადამიანებისა თუ გრძნობების მხოლოდ მხატვრის ფუნჯითა და ფერებით გადმოცემა კი არა, სიტყვიერად ხატვაც ეხერხება. მის მიერ დახატული პეიზაჟები, პორტრეტები, გრძნობები უაღრესად დამაჯერებელია, რეალისტურია. როცა „ფუნჯი ყველა თემას ვერ იმორჩილებს“, ის მოიშველიებს სიტყვების მაგიას, ქართული ენით ხომ სამყაროში არსებული ყველა ფერის, ყველა გრძნობის, ყველა აზრის გამოხატვა შეიძლება. ეს ქართველმა სიტყვის დიდოსტატებმა: რუსთაველმა, ვაჟამ, გალაკტიონმა, გამსახურდიამ და სხვებმა და სხვებმა დაამტკიცეს. სხვათა შორის, ლადო გუდიაშვილი წერდა ამ უკანასკნელის შესახებ: ეს კაცი მარტო მწერალი კი არა ნამდვილი მხატვარია, მისმა ნაწერებმა უამრავი ტილოს შექმნა შთამაგონესო; ან, რად ღირს „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, ვიქტორ ნოზაძის მიერ ენციკლოპედიურად შესწავლილი, გალაკტიონის მიერ მხატვრული სახის, მელოდიისა და ფერების უჩვეულო სინთეზით მიღწეული ღვთაებრივი ჰარმონია, ვაჟას მიერ ჯადოსნურად ამეტყველებული, სულჩადგმული ბუნება, რომელი ერთი გავიხსენოთ და ეს ყველაფერი უმდიდრესი და ულამაზესი ქართული ენის დამსახურებაცაა. ამაზე ასე დაწვრილებით იმიტომ ვსაუბრობ, რომ, ჩემი აზრით, მხატვრული სახის, ფერისა და მელოდიის ორგანული ერთიანობა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების თანმხლებია, რომელ ჟანრსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს ის.

ნინო ნიჟარაძე მშობლიური ენის, ქართული ანბანის თაყვანისმცემელია. ამის დასტურია მისი ნამუშევრების ალბომში შესული ქართული კალიგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშები, ასევე, მემუარებში დახვეწილი სტილით, მსუყე ლექსიკით, ლამაზი ქართულით მოთხრობილი ამბები ახლო თუ შორეული წარსულისა. გავიხსენოთ, როგორ გადმოგვცემს ავტორი ქართული შრიფტის გრაფიკული გამოსახულების დანახვაზე უცხოელების რეაქციას: „რა მშვენიერებაა, რა სიფაქიზე... რა შრიფტია ასეთი?“ - მსგავსი შემახილებით აღსავსე არაერთ ეპიზოდს ნახავთ წიგნში და ისინი მკითხველშიც სიამაყის განცდას აღძრავენ.

ნინო ნიჟარაძეც ოსტატურად იყენებს ქართული ენის უმდიდრეს შესაძლებლობებს, რათა გულწრფელად, ხატოვნად და ემოციურად გაგვიზიაროს თავისი ცხოვრების მღელვარე ისტორიის ფრაგმენტები, გვიჩვენოს, ვინ თუ რამ მოახდინა მისი, როგორც პიროვნების, მოქალაქისა და ხელოვანის ფორმირებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა, რა შთაბეჭდილებები გამოიყვანა და რატომ.

მოხდენილად შეაფასა ეს წიგნი თავადაც უნიჭიერესმა ბათუმელმა ხელოვანმა, პოეტმა ვახტანგ ღლონტმა, როცა თქვა: ავტორი „ფერებით წერს და სიტყვებით ხატავს“ (3).

ნინო ნიჟარაძეს გაუმართლა: როგორც ზემოთაც ვთქვით, ის საქართველოში ცნობილი მეცნიერების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, საუკეთესო ინტელექტუალებისა და ხელოვნების თავყვანისმცემელთა გარემოცვაში, ბავშვობა გაატარა ბათუმის უმშვენიერეს ბულვარში, ზღვის პირას, ლაღად, თავისუფლად, ცხოვრების გზაზე შეხვდა და ურთიერთობდა გამორჩეულ ადამიანებთან, ცხოვრების თანამგზავრად კი ბედმა სულითა და ხორცით მისი ჯუფთი „საყვარელი მხატვარი“ მოუვლინა - შესანიშნავი ფერმწერის, ვახტანგ ბესელიას სახით, ორი მშვენიერი ვაჟიც აჩუქა უფალმა, სხვა რაღა უნდა ინატროს ადამიანმა? მაგრამ მხატვარი-ქალის სიტყვიერი მონოლოგები მაინც სევდანარევია, რადგან ეს ყველაფერი წუთისოფელში ხდება, რომელიც „თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა“, ყველაზე საყვარელ ადამიანებს ართმევს, ათას განსაცდელს მოუვლენს...

ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ნინო ნიჟარაძის „სევდიანი მონოლოგები“ არაა ტიპური მემუარისტული ტექსტი, ესაა მასში ძირითადი აქცენტი გადატანილია არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პიროვნების ცხოვრების ან ქვეყნის ისტორიის გარკვეული მომენტების გადმოცემაზე, არამედ გამოკვეთილია ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებმაც საბჭოთა იმპერიის განაპირა კუთხეში, აკაკი ბაქრაძეს თუ დავესესხებით, „ხელოვნების მოთვინიერების ეპოქაში“, ელიტურ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ოჯახში აღზრდილი, განებივრებული, ნაბოლარა ფერიასავით გოგონასაგან ჩამოაყალიბა თვითმყოფადი, არაორდინალური ხელოვანი. სწორედ ამ თვითდაკვირვების, თვითანალიზის საინტერესო პროცესის ჩვენებაა ეს ტექსტი და, ვფიქრობ, ამ ინტროსპექციითაა ის განსაკუთრებით ძვირფასი და საინტერესო. თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ წიგნში თქვენ ნახავთ იმპრესიონისტულ ჩანახატებს ექსპრესიული რემარკებით. ასე ვეცნობით პატარა ასაკიდანვე ფიქრისა და განსჯისაკენ მიდრეკილ, მოსმენისა და აღქმის ნიჭით დაჯილდოებულ, იმავდროულად, მდიდარი ფანტაზიისა და წარმოსახვის მქონე გოგონას, რომელსაც, მართალია, სუსხიანი საბჭოთა რეალობა ხშირად აფხიზლებს, შეახსენებს თავს, ილუზიებსაც უფანტავს, თუმცა ვერ ახერხებს მისი თავისუფლებისმოყვარე, ამაყი, დამოუკიდებელი, თან მეოცნებე, ჰუმანური ბუნების შეცვლას.

მკითხველი თვალნათლივ ხედავს, რომ ნინო ნიჟარაძის ასეთ პიროვნებად და ხელოვანად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა ბათუმმა, რომლის ულამაზესი ბულვარი, ფაქტობრივად, მისი ეზო იყო, საიდანაც მაგნოლიების მათრობელა სურნელი ფანჯრებში იღვრებოდა, ზღვამ, რომლის ტალღების შრიალში იძინებდა, ფანტასტიკური მშვენიერების აის-დაისებმა, საცხოვრებელი სახლის იდუმალი ისტორიებითა და სიძველის სურნელით გაჯერებულმა კედლებმა, იქ მცხოვრებმა კოლორიტულმა ადამიანებმა, მშობლების უახლოესმა გარემოცვამ, პიროვნული ხიბლით, ინტელექტით, ტალანტითა და იუმორით სავსე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა (მარტო ლადო გუდიაშვილის, თენგიზ აბულაძის, ჭაბუა ამირეჯიბის გახსენება რად ღირს!) - ყველამ თავისი წილი შეიტანა ნიჟიერი, ცნობისმოყვარე გოგონასაგან თვითმყოფადი, სხვებისგან განსხვავებული ხელოვანის ჩამოყალიბებაში.

ფაქიზი და დასამახსოვრებელი შტრიხებით იხატება „ბათუმი, ენგელსის ქ. №1 XX საუკუნის 50-იანი წლები...“ (21); აქ მდებარეობდა არქიტექტურული სისადავით გამორჩეული თავად მიხეილ ნაკაშიძის აგურით ნაშენი მოოქროსფრო ევროპული სტილის ორსართულიანი სახლი მანსარდით, სადაც ზაფხულობით გამოქვაბულის სიგრილე, ხოლო ზამთრობით - თბილი სიმყუდროვე სუფევდა. ნინო ნიჟარაძე დიდი სიყვარულითა და ტაქტით აცოცხლებს ამ მშვენიერი სახლისა და მისი, არანაკლებ მომხიბლავი, მკვიდრი თუ „მუდმივი მდგმურების“ ცხოვრებისა და ურთიერთობის ეპიზოდებს.

ნინო ნიჟარაძე სიყვარულით გვიხატავს დედის - სრულიად ახალგაზრდა ნიჟიერი მეცნიერის, ენერგიული და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებული ნადია ჯიბუტის სახეს, რომელიც მშვენივრად უთავსებდა ერთმანეთს მკვლევრის, საზოგადო მოღვაწისა და შვილების მეგობრის, მრჩევლის, მკურნალის მოვალეობებს, რომლის „ფრთის ქვეშ“ (6) მთელი ბავშვობა თავს უსაფრთხოდ, მყუდროდ და კომფორტულად გრძნობდა. ადამიანური ურთიერთობის მაღალი კულტურით გამორჩეული ქალბატონი ნადიას დამსახურებაც იყო, რომ სხვადასხვა პროფესიისა თუ ეროვნების სტუმრები თავს შინაურულად და ბედნიერად გრძნობდნენ ნიჟარაძეების „ღირსებითა და იუმორით“ (13) გამორჩეულ ოჯახში. ქალბატონი ნადია იყო „ყველა გარემოებაში, შინ თუ გარეთ, ღირსეული, გონიერი, სიახლეების მიმღები და ყოველთვის - ქალი“ (88), ამიტომაც ცხოვრების გზაზე თან დაჰყვება შემოქმედს დედის, როგორც მისი ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯის განმსჯელ-დამფასებლის, ხატება.

აქვე იხატება მამის - ნადიმ ნიჟარაძის „ერთი შეხედვით ძლიერი, სულიერად მომწიფებული და ამავე დროს ბავშვურად მიამიტური სახე-პორტრეტი, რომლის გამომეტყველებაში იკითხება ერთდროულად

პრინციპულობა, ინტელექტი, იუმორი, სევდა და... სიმორცხვე“ (8), რომლის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი შვილები იყო.

ნინო ნიჟარაძეს აქვს უნარი, თითქოს უმნიშვნელო დეტალით გვიჩვენოს ადამიანური ურთიერთობების ხასიათი, გრძნობათა სიღრმე და სიფაქიზე: თეატრში წასასვლელად ვარდისფერ ბლუზაში გამოწყობილ ქალბატონ ნადიას, მისი მშვენიერებით დაბნეული ბატონი ნადიმი ასეთი სიტყვებით ამკობს - „ატმის ყვავილს ჰგავხარ... ქალბატონო... ნადია!“ (13) - ამას ენის ბორძიკით ამბობს და ეს ერთი სიტყვა ფსიქოლოგიურად ზუსტად ახასიათებს მისი ემოციის გულწრფელობას და დამოკიდებულებას სათაყვანო მეუღლის მიმართ.

ოჯახური ღირებულებები უმთავრესია მოგონებათა ავტორისთვის და ამიტომაც ასე კარგად გვიხატავს ევროპული ქალაქ ბათუმის მკვიდრი ტრადიციული და პროგრესული ოჯახის ქართულ-ევროპულ კულტურასა და ესთეტიკას. უმშვენიერეს გარემოსა და ოჯახში ლაღად იზრდებოდა გოგონა, რომელსაც, ქალაქად თუ გურიის სოფელში მყოფს, ზრუნვა და ალერსი არ მოკლებია, სილამაზის შეგრძნების უნარი და თავისუფლების მათრობელა გრძნობა ბავშვობიდან მოყვებოდა. ღვთით ბოძებულ ნიჭთან ერთად, ალბათ, ამანაც განაპირობა ქვეყნად ყველაზე თავისუფლებისმოყვარე, მემბოხე და ბოჰემური პროფესიის - მხატვრობის არჩევა, რისთვისაც არაერთხელ მადლობა შეუწირავს უზენაესისთვის: „ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა მომანიჭა უფლება პროფესიად მხატვრობა ამერჩია, რაც მუდამ თავისუფლებასთან ასოცირდება“ (211). ხელოვნებაში ყველა ახალი მიმდინარეობის საწყისებთან ხომ მხატვრები დგანან: იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, თუნდაც პოსტმოდერნიზმი, მეტამოდერნიზმი და ბევრი სხვა, რომლებიც მხატვრობიდან ხელოვნების სხვა სფეროებში, მათ შორის, ლიტერატურაშიც წარმატებით დამკვიდრდნენ.

ნინო ნიჟარაძის გამოცდილი ოსტატ-პორტრეტისტის კალმით იხატებიან კარის მეზობლები, ძმადნაფიცი ნუკრია, თავისი დობილის მცველი რაინდი, თავად მიხეილ ნაკაშიძის თხემით ტერფამდე არისტოკრატი, სორბონის უნივერსიტეტდამთავრებული, პარიზის სილამაზის კონკურსის პრიზიორი, ერთადერთი ღვთისმორწმუნე ქალბატონი სამეზობლოში - თამარ ნაკაშიძე, რომელმაც პატარა ფანტაზიორი და ცნობისმოყვარე გოგონა მესაიდუმლედ აირჩია. იხატებიან „თამარის ამირეჯიბები“, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, გამოირჩეოდა მისი დისშვილი - გენიალური ჭაბუა ამირეჯიბი - თავისი „ჩახრინწული ხმის ტემბრითა და თხრობის განსაკუთრებული მანერით“ (78).

არანაკლები ხელოვნებით ხატავს ნინო ნიჟარაძე მცირე თუ უფრო ხანგრძლივი დროით შემოსტუმრებული მრავალეროვანი ოჯახების წარმომადგენლებს, რუს „დომკომს“ თუ ამერიკელ სტუმარს და, რაც მთავარია, თითოეული მათგანისთვის პოულობს დასამახსოვრებელ შტრიხს,

გარეგნობისა თუ ხასიათის განუმეორებელ დეტალს, რაც მკითხველს თვალწინ ცოცხლად წარმოუდგენს კოლორიტულ სახეს ამა თუ იმ ადამიანისა და არა მარტო: რად ღირს თუნდაც „მონოლოგი როიალი“: ინსტრუმენტი „შემოაბრძანეს“ დიდ დარბაზში და მას შემდეგ „მუსიკა განეფინებოდა გულსა და გონებაში“, ამრავალფეროვნებად მომავალი ფერმწერის შთაბეჭდილებებს, უვითარებდა არა მარტო ყურთასმენას, არამედ „გულთასმენასა და სულთასმენას“ (53).

„ცოლისდის“ სემანტიკას გადმოსცემს სპარსულიდან შემოსული თურქული ტერმინი **ბაჯანალი** (باجناق/bacanak). ფერეიდნულში ნასესხები სიტყვის სემანტიკა შეცვლილია. შდრ. სპარსულში **ბაჯანალი** – „ცოლის დის ქმარი“.

მდრ. **ბაჯანალი** (მესხ., აჭარ., ჩვენებ. მეტყვ.) – ქვისლი (ღლონტი, 1984; ფუტკარაძე, 1993);

ფერეიდნულში გვხვდება ქართული სიტყვა **ქვისლი** ფონეტიკური სახესხვაობით – **ქუსლი**: მე **ქუსლი** არა მყავ, ჩემ დედაკაცი მარტუკა ყორია (მარტყოფი).

ქუსლის პარალელურად იხმარება სპარსული ტერმინი **ჰამრიშ** (همريش).

საინტერესოა ქართული ტერმინი **ფეჯი**, რომელიც ფერეიდნულ დიალექტში სრულიად განსხვავებული სემანტიკით, კერძოდ, „მეორე ცოლის“ აღსანიშნავად გამოიყენება.

მე ყმაწილი არ მყვანდა და ჩემ ქმარმა ფეჯდ მამიყვანა (ჩულრუთი).

სარწმუნეობის მიხედვით, ირანში მრავალცოლიანობა დაშვებულია, თუმცა მსგავსი ფაქტები დღესდღეობით ძალიან იშვიათად დასტურდება.

კახურში (ქიზიყურში) ანალოგიური მნიშვნელობით დასტურდება **ფეჯი** – ქმრის წინანდელი ცოლი მეორე ცოლისათვის და ცოლის წინანდელი ქმარი მეორე ქმრისათვის (ს.მენტეშ.) (ღლონტი, 1984).

დასკვნა. გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნულში, ქართული ენობრივი სამყაროსგან ოთხსაუკუნოვანი იზოლირებისა და სპარსული ენის ძლიერი გავლენის პირობებში, საკმაოდ კარგადაა დაცული ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ქართული ლექსიკა. ქართულ სიტყვაფორმათა ნაწილი (სიძე, ზალი, მაზლი, მული, დედამთილი, მამამთილი...) დღემდე აქტიურად გამოიყენება, ნაწილი კი სპარსული (ან სპარსულის გზით შემოსული არაბული, თურქული) ლექსიკური ერთეულების პარალელურად იხმარება (ძმა/დაშია, და/ბაჯი). გვხვდება დიალექტისთვის სპეციფიკური ტერმინებიც (ძოლი, გასადევარი, ყორი, გერბიჭი, გერყორი, ფეჯი). ამასთან, ზოგი ქართული სიტყვა (შვილიშვილი, შვილთაშვილი, ბიცოლა...) შესაბამისმა უცხოურმა მასალამ (ნავა, ნათიჯა, ზანამუა...) სრულად ჩაანაცვლა. ბილინგვურ გარემოში, სადაც სპარსული სახელმწიფო ენაა და ყველა სფეროში ფუნქციონირებს, ხოლო ქართული ენა ფერეიდნულ ქართველთათვის საშინაო სამეტყველო კოდს წარმოადგენს, ქართული ენობრივი ფაქტების შეზღუდვა-შევიწროების პროცესი ბუნებრივია, რაც საფრთხეს უქმნის დიალექტის თვითმყოფადობას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

აბულაძე, 1973: – აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

ბერიძე... 2020: – ბერიძე მარინა, ბაკურაძე ლია, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2020.

გოგინაშვილი, 1991: – გოგინაშვილი იოსებ, ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გამომც. „მეცნიერება“, 1991.

კიკვიძე, 1991: – კიკვიძე ქეთევან, ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინები სპარსულ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1991.

<https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/June/Dissertations/kikvidze-natesauri-disertacia.pdf>

ორბელიანი, 1991: – ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1991.

სოსელია, 1979: – სოსელია ეთერ, ნათესაობის ტერმინთა ანალიზი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1979.

უთურგაიძე..., 1985: – უთურგაიძე თედო, ჩხუბიანიშვილი დარეჯან, გიუნაშვილი ჯემშიდ, ფერეიდნული ტექსტები, იკე, ტ. XXIII, თსუ-ს გამომც., თბილისი, 1985.

ფერეიდნული დიალექტური ტექსტები (პირადი არქივი).

ფუტკარაძე, 1993: – ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993.

ქეგლ: – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> დამოწმება: 14.10.2023.

ღლონტი, 1984: – ღლონტი ალექსანდრე, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1984.

ქღვ: – ქართული დიალექტური კორპუსი. <http://corpora.co/#/corpus>. 22.10.2023.

ქობალია, 2010: – ქობალია ალიო, მეგრული ლექსიკონი, გამომც. „არტანუჯი“, თბილისი, 2010.

ჩიქობავა, 2010 (1927): – ჩიქობავა არნოლდ, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, შრომები, 1, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2010. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №7, ტფილისი. 1927.

ჭინჭარაული, 2005: – ჭინჭარაული ალექსი, ხევსურული ლექსიკონი, გამომც. „ქართული ენა“, თბილისი, 2005.

ჭიჭინაძე, 1990: – ჭიჭინაძე ზაქარია, ქართველები სპარსეთში, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1990.

ამიდ, 1993: – ამიდ ჰასან: ამიდის ლექსიკონი, გამომც. ამირქაბირ, თეირანი, 1993 (1371. فرهنگ عمید, انتشارات امیرکبیر, تهران).

მუნში, 1972: – მუნში ისქანდერ, ალამ არაფ აბას, თეირანი, 1972 (ترکمان, اسکندر (1350. بیک. عالم آرای عباسی, انتشارات امیرکبیر, تهران).

ეთნოლოგია / Ethnology

Modern Aspects of Ajarian Handiwork (Knitting, Embroidering and Coloring)

აჭარული ხელსაქმის თანამედროვე ასპექტები
(ღებვა, ქსოვა, ორნამენტი)

Lia Lursmanashvili

Doctor of Technical Sciences,
Technical University of Georgia, professor,
E-mail: l.lursmanashvili@yahoo
Tel: +995 593 61 93 76

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-9453-5820>

Nino Khabeishvili

Doctor of Technical Sciences,
Faculty of Architecture, Urbanism and Design
Head of risk assurance service, professor,
E-mail: n.khabeishvili@gtu.ge
Tel: +995 599 23 36 11

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-0044-4221>

Gulnara Kvantidze

Senior Curator of the National Museum of Georgia
Academic doctor
Email: gegulikovkantidze@yahoo.com
Tel: +995 577 57 03 47

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5582-0693>

Nato Pailodze

Academic Doctor of Engineering Sciences,
Akaki Tsereteli State University Assistant Professor,
e-mail: nato.pailodze@atsu.edu.ge
Tel: ++995 577 62 53 71

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-7298-6281>

Nanuli Abesadze

Academic Doctor of Engineering Sciences,
Akaki Tsereteli State University guest teacher,
e-mail: Nanuli.abesadze@atsu.edu.ge
Tel: +995 568 383 709

ORCID: <https://orcid.org/0009-0009-5191-544X>

Abstract: Inevitable globalization makes it essential for small countries to maintain their national identity in order to manifest themselves in the modern world. Proper care of own cultural heritage is nation's pivotal priority, the cornerstone of society's prosperity. Georgian culture is continuously rejuvenating national treasure that is a unique blend of traditions and modernity. Cultural heritage is a fathomless source of country's continuous development, society's self-awareness, aestheticism, spirituality, intellectual development and the mainspring for the harmonious society.

Close cooperation with tourism, one of the highly prioritized industries in modern Georgian economy, will help all other industries in their revival. Growing needs of tourists can be met by the local resources if economic activity will be increased in the respective industries. Based on tourists needs, different types of products must be created that will simultaneously showcase both, our aesthetic tastes in arts and experience in using modern technologies.

This study is focused on the Adjarian handiwork, specifically modern aspects of weaving, coloring, embroidering and ornamentation.

Goal of the study is to inform scientific society about the similarity levels of fabric types, weaving, embroidering, and coloring techniques between historical ornaments and modern, XXI century, Adjarian knitting and embroidering art products (clothing accessories, home décor etc.)

For the study of historical ornaments finished products, photo, audio (interviews with locals) and video evidences were gathered by the group of scientists that traveled various mountainous regions of Adjara in 2023. Parallel study of the authentic modern knitting and embroidering products were conducted using the items stored in private (family) collections all around Adjarian region.

The research was carried out with the funding of Shota Rustaveli National Science Foundation (№ FR-21-19932) of Georgia.

Key words: Georgian ornament, dyeing, knitting, Adjarian handiwork, tradition.

ლია ლურსმანაშვილი
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
ელ.ფოსტა: l.lursmanashvili@yahoo
ტელ: +995 593 61 93 76
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-9453-5820>

ნინო ხაბეიშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ელ.ფოსტა: n.khabeishvili@gtu.ge

ტელ: +995 599 23 36 11

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-0044-4221>

გულნარა კვანტიძე

ისტორიის აკადემიური დოქტორი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი

ელ.ფოსტა: gegulikokvantidze@yahoo.com

ტელ: +995 577 57 03 47

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5582-0693>

ნატო ფაილოძე

საინჟინრო მეცნიერებების აკადემიური დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი,

ელ.ფოსტა: nato.pailodze@atsu.edu.ge

ტელ: +995 577 62 53 71

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-7298-6281>

ნანული აბესაძე

საინჟინრო მეცნიერებების აკადემიური დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი,

ელ-ფოსტა: Nanuli.abesadze@atsu.edu.ge

ტელ: +995 568 383 709

ORCID: <https://orcid.org/0009-0009-5191-544X>

აბსტრაქტი: გლობალური გამოწვევების ფონზე, მცირერიცხოვანი ერის კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი თანამედროვე სამყაროში დამკვიდრებისთვის, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და სისტემატური განვითარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობაა. საქართველოს კულტურა უნიკალური ეროვნული საგანძურია, რომელშიც ტრადიცია და თანამედროვეობა ორგანულადაა შერწყმული, ხოლო თვითგანახლების უნარი უწყვეტი პროცესია. კულტურული მემკვიდრეობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლების, აზროვნებისა და ესთეტიზაციის, ინტელექტის, სულიერების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წყარო და ჰარმონიული საზოგადოების ფორმირების საწინდარია.

საქართველოში მრეწველობის აღორძინებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმი. ტურისტთა გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება სავსებით შესაძლებელია ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ბაზაზე ამა თუ იმ სფეროში სამეურნეო საქმიანობის განვითარებით. უნდა შეიქმნას პროდუქციის ისეთი სახეობები, რომელიც ტურისტთა მოთხოვნების ნუსხაში აღმოჩნდება და ამავე დროს, უფრო მეტად წარმოაჩენენ ჩვენს მხატვრულ ესთეტიკურ გემოვნებას, სამეწარმეო ტექნოლოგიურ ცოდნასა და გამოცდილებას.

ნაშრომში წარმოდგენილია აჭარული ხელსაქმის, კერძოდ ქსოვის, ღებვის, ქარგვისა და ორნამენტის თანამედროვე ასპექტების კვლევა.

კვლევის მიზანია, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ იქნას ინფორმაცია XXI საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამზადებული აჭარული ნაქსოვი ნაწარმისა და მხატვრული ნაქარგობის (სამოსის აქსესუარები, დეკორატიული ნივთები და სხვ.), მასალის რაობის, ქსოვისა და ქარგვის ტექნიკის, ფერის მიღებისა და დეკორის ტრადიციულ ორნამენტთან მსგავსების ხარისხის შესახებ.

საკვლევ ობიექტებს, რომელიც ნივთიერის გარდა მოიცავს ფოტო, აუდიო (ინტერვიუები კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან) და ვიდეო მასალას, მეცნიერთა ჯგუფმა თავი მოუყარა 2023 წელს მაღალმთიანი აჭარის სხვადასხვა რეგიონში განხორციელებული ექსპედიციის დროს. თანამედროვე ნაქსოვი და ნაქარგი პროდუქციის კვლევის თვალსაზრისით პარალელურ მასალად გამოყენებულია აჭარის რეგიონულ, კერძო მუზეუმებში დაცული და ყოფაში (ოჯახებში) შემორჩენილი ავთენტური ნივთიერი მასალა⁸².

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (№ FR-21-19932) დაფინანსებით.

საკვანძო სიტყვები: ქართული ორნამენტი, ღებვა, ქსოვა, აჭარული ხელსაქმე, ტრადიცია.

შესავალი. მცირერიცხოვანი ერის კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი თანამედროვე სამყაროში დამკვიდრებისთვის, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა, დაცვა და სისტემატური განვითარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობაა.

საქართველოს კულტურა უნიკალური ეროვნული საგანძურია, რომელშიც ტრადიცია და თანამედროვეობა ორგანულადაა შერწყმული,

ხოლო თვითგანახლების უნარი უწყვეტი პროცესია. კულტურული მემკვიდრეობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლების, აზროვნებისა და ესთეტიზაციის, ინტელექტის, სულიერების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წყარო და ჰარმონიული საზოგადოების ფორმირების საწინდარია. საქართველოში მრეწველობის აღორძინებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თანამშრომლობა ქვეყნის პრიორიტეტულ ნუსხაში მოქცეულ სფეროსთან-ტურიზმთან. ტურისტთა გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება სავსებით შესაძლებელია ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ბაზაზე ამა თუ იმ სფეროში სამეურნეო საქმიანობის განვითარებით. უნდა შეიქმნას პროდუქციის ისეთი სახეობები, რომელიც ტურისტთა მოთხოვნების ნუსხაში აღმოჩნდება და ამავე დროს უფრო მეტად წარმოაჩენენ ჩვენს მხატვრულ ესთეტიკურ გემოვნებას, სამეწარმეო ტექნოლოგიურ ცოდნასა და გამოცდილებას.

ქართული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული დარგები ტურიზმის ინტერესთა სფეროშია მოქცეული. აქედან გამომდინარე, ასეთი ტექნოლოგიის დამუშავება და დახვეწა ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხისა და გაუმჯობესებული სამომხმარებლო თვისებების ნაწარმის დამზადებას.

უაღრესად საყურადღებოა ნატურალური ნედლეულის გამოყენების, ნარჩენების მინიმალიზაციისა და ღებვის ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები, რაც ეკონომიკურადაც მიზანშეწონილია.

ნაშრომში წარმოდგენილია აჭარული ხელსაქმის, კერძოდ ქსოვის, ღებვის, ქარგვისა და ორნამენტის თანამედროვე ასპექტების კვლევა.

საზოგადოდ, აჭარული ხელსაქმის თანამედროვე ასპექტებს აქტიურად სწავლობენ ქართველი მკვლევარები და შესაბამისად პუბლიკაციებში განიხილავენ სხვადასხვა ნიმუშებზე (ნაქსოვი ნაწარმი, ქვის რელიეფები, ჭედურობა, სამკაულები, და ა. შ.) გამოსახული ორნამენტების კვლევლებს. ბოლოდროინდელი ქართული პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია ნ. რაზმაძის „ქსოვილის ორნამენტი აჭარიდან“ (თბილისი, 2021), ლ. ლურსმანაშვილის „Color Harmonization in Georgian Ornaments“ (თბილისი, 2022), გ. კვანტიძის „Modern Aspects of Tushetian Handicraft (Coloring, Knitting, Decor)“ (გორი, 2023), ნ. ქარციძის „Glazed ceramic vessel with the image of a bird from the Kutaisi Historical Museum“ (Liverpool, United Kingdom, 2024) და სხვა მკვლევართა ნაშრომები.

მეთოდები: კვლევის მიზანია, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ იქნას ინფორმაცია XXI-ე საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამზადებული აჭარული ნაქსოვი ნაწარმისა და მხატვრული ნაქარგობის (სამოსის აქსესუარები, დეკორატიული ნივთები და სხვ.) მასალის რაობის, ქსოვისა და ქარგვის ტექნიკის, ფერის მიღებისა და დეკორის ტრადიციულ ორნამენტთან მსგავსების ხარისხის შესახებ.

საკვლევ ობიექტებს, რომელიც ნივთიერის გარდა მოიცავს ფოტო, აუდიო (ინტერვიუები კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან) და ვიდეო მასალას, მეცნიერთა ჯგუფმა თავი მოუყარა 2023 წელს მაღალმთიანი აჭარის სხვადასხვა რეგიონში განხორციელებული ექსპედიციის დროს. თანამედროვე ნაქსოვი და ნაქარგი პროდუქციის კვლევის თვალსაზრისით პარალელურ მასალად გამოყენებულია აჭარის რეგიონულ, კერძო მუზეუმებში დაცული და ყოფაში (ოჯახებში) შემორჩენილი ავთენტური ნივთიერი მასალა.

კვლევის ამ ეტაპზე გამოვლინდა გარკვეული სახის უზუსტობები და დარღვევები როგორც ფერების, ასევე ორნამენტის თვალსაზრისით. ამავდროულად დაფიქსირდა ტრადიციული მეთოდებით ქსოვისა და ქარგვის ტექნიკის გამოყენება და სხვ.

მსჯელობა: რთვა და ქსოვა ისტორიულად შორეულ წარსულში, ჯერ კიდევ ნეოლითური ეპოქის ხანაში ჩაისახა, რისი დასტურიცაა არქეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილი ქსოვილის ნაშთები, ძაფის დასამზადებელი ხელსაწყოები და საქსოვი იარაღები. მარყუჟულ ქსოვილებს ადამიანი ძველთაგანვე აწარმოებდა. მისი საწყისი ფორმები მარყუჟული წვნის წესიდან მომდინარეობს.

ქართული ხალხური ტრადიციული ქსოვის წესების შესწავლა მრავალმხრივ საინტერესოა, როგორც ტექნიკის ისტორიის, ისე მატერიალური კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. დღეისათვის ის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, როგორც გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც ტექსტილური ინდუსტრიის კვალდაკვალ ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას.

ხალხური ქსოვის ერთ-ერთი სახეობაა – ჩხირებით „წინდურად ქსოვა“. იგი ფართოდ იყო და არის გავრცელებული საქართველოს, კავკასიის, ევროპისა და აზიის ხალხთა ყოფაში. ჩხირებით ნაქსოვის მსოფლიოში ყველაზე უძველესი ნიმუში მოპოვებულ იქნა საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლზე, სტეფანწმინდაში, „ყაზბეგის განძთან“ ერთად (ძვ.წ. VII-VI სს.).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საქართველოში ჩხირებით იქსოვებოდა ძირითადად სამოსის ელემენტები: ფეხსამოსი – წინდა-პაიჭი, ფეხსაცმელი – თათები, ძირგამოკერებული თათი, თათმანი, ჩარუხი, ფაჩუჩი, მესი, ქალამანი (კახეთი, ქართლი, იმერეთი, მესხეთი, აჭარა), ხელთათმანი, ქუდი, თავშალი, მხრის შალი, შარვალი, პალტო, კერესი, ხალათი, ჩიხორა (ქვედატანი), ქისა და სხვ.

ნაქსოვი წარმოადგენს მარყუჟული თვლების რიგს, რომელიც წარმოქმნილია ერთი უწყვეტი ძაფისაგან. ყოველი მომდევნო რიგი მარყუჟების საშუალებით უკავშირდება წინა რიგს. თვლები ერთმანეთთან გარკვეული კანონზომიერებითაა გადახლართული, რითაც შექმნილია თვლების რიგი, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად.

ჩხირებით ქსოვის დროს საქსოვ მასალად ძრითადად მატყლი იყო გამოყენებული. იყენებდნენ აბრეშუმსა და ბამბასაც. ნაქსოვზე სახეების გამოყვანის მიზნით ზოგჯერ ოქროსა და ვერცხლის ძაფსაც ხმარობდნენ. საბა ძაფის შესახებ შემდეგნაირ განმარტებას იძლევა: „ძაფი არს წვრილად დართული აბრეშუმი, ყაჭი, სელი და მისთანანი; შითი წვრილი მატყლის ძაფი და ღაზლი-სხვილი; აშვი-რკინისა და სპილენძის ძაფი და ოქროსთმა-ოქროსა და ვერცხლის ძაფი. წვრილი ნასთი და წმინდა ნასთი წვრილი. მატყლის ნართით (აჭარაში „ღაზლი“) ქსოვდნენ როგორც დაბალყელიან, ისე მაღალყელიან წინდებს, პაჭიჭებს, ფეხსაცმელებს-თათებს, ქუდებს, შარვალს, ზედატანს, მხრის შალებს, თავშელებსა და სხვ. ხოლო აბრეშუმის, ყაჭისა და ბამბის ძაფისაგან მაღალყელიანი წინდები, პაიჭები, ხელთათმანები, ქისა და თავსაფარი იქსოვებოდა. საქსოვ ძაფს ძირითადად სახლში ამზადებდნენ. მატყლს რეცხავდნენ, ჩეჩავდნენ, ართავდნენ თითისტარზე ან ჯარაზე. ნართის ხარისხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაქსოვის იერსახისათვის. ამიტომ, მის დამუშავებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და იცავდნენ შემდეგ პირობებს:

1. ნართი თანაბრად უნდა ყოფილიყო დართული, რადგან არათანაბარი სისქის ნართიდან ქსოვილიც არათანაბარი გამოდიოდა.

2. ნართი არ უნდა ყოფილიყო ზედმეტად შეგრებილი. იგი რომ ზედმეტად არ დაგრებილიყო, საჭირო იყო ზომიერების დაცვა როგორც რთვის, ასევე ძაფის დროს. ზომაზე მეტად დაგრებილი ნართი ჩხირებით ქსოვისას იგრიხებოდა და ქსოვილიც უხეში, „ხმელი“ გამოდიოდა. ამიტომ, ნართი რომ რბილი გამოსულიყო, სპეციალურად რბილ მატყლს არჩევდნენ. ამ მხრივ საუკეთესო იყო ბატკნის მატყლი. თუ ასეთი ნართისათვის ზრდადამთავრებული ცხვრის მატყლს იყენებდნენ, მაშინ ჩეჩვისას გრძელ ბეწვებს მოაშორებდნენ. ძაფის სისწორისა და სისუფთავის მიზნით ნართს სპეციალური ჩხირით, რომელსაც სახვეწს უწოდებდნენ ასუფთავებდნენ. სახვეწი ლითონის წვრილ ჩხირს წარმოადგენდა და მის ნაცვლად ზოგჯერ წინდის ჩხირსაც იყენებდნენ. ზოგიერთი ნაწარმის (მხრის შალები, თავშელები, ზოგჯერ წინდაც). მოსაქსოვად დაუმახავ ნართსაც იყენებდნენ. დუნედ დართული ძაფისაგან მოქსოვილი ნივთები საპონწყალში გარეცხვის დროს კარგად ითელებოდა.

დართულ-დამახულ ნართს, რა მასალისაგანაც არ უნდა ყოფილიყო დამზადებული, ხშირად წინასწარ ღებავდნენ სხვადასხვა ფერად. ამისათვის იყენებდნენ ბუნებრივ მცენარეულ საღებარებს. მცენარეული წარმოშობის საღებარი უფრო მყარია, გამძლე და უხუნადი. შესაღებად გამოიყენებოდა: ნარინჯბალახი, კანაფი, თრიმლი, ენდრო, თხმელა, რკო, წყავი, ვაშლის ხის ქერქი, კაკლის ნაჭუჭები (ღეჭებო), ხახვის ფურცელი, ჭიაფერა, ნიგვზის ფოთლები, თუთის ფოთლები, დამწვარი შინდის წვენი, ნაცარწმენდილი, მუხის ქერქი (ნედლი). დიდი გამოყენება ჰქონდა ბალახეულს: წალიკას,

ლეფანს, კანაფურას, დვალურას, ჭინჭარს, მაკაფია ბალახსა და სხვ. კარჭლის წებერა ლებავს წაბლისფრად, ლეფანი – ყავისფრად, წალიკა – ყვითლად, ნარინჯბალახი – ნარინჯისფრად, ენდრო – წითლად, მაკაფია ბალახი – ყავისფრად, ჭინჭარი – მწვანედ, კანაფი, დვალურა, მუხისა და ვაშლის ქერეჭი – ყვითლად და სხვ. მცენარეულ საღებავებში ურევდნენ შაბს, მარილს, ნაცრის-ძალს/ნაცრის ტუტას. ასე შემზადებული საღებავი ძლიერად ეკიდება ნართს.

აჭარაში ძირითად ფერებად ითვლება: წითელი (ყირმიზი), ყვითელი, ვარდისფერი (ფემბერეგი), მწვანე (იემილი), ყავისფერი (ყეფერენგი), ინისფერი, კვერცხის გულის ფერი, ნარინჯისფერი, ჟანგისფერი, ჭიაფერასფერი, ხახვის ფურცლისფერი ფერი.

„წინდური“ წესით ქსოვისას იყენებდნენ 2 ან 5 ჩხირს. საქსოვი ჩხირები ორნაირი იყო: ა. „წინდის ჩხირები“ – დაახლოებით 1 მტკაველი სიგრძის ლითონის ჩხირია, რომლის წვერები გლუვია, სიგლუვე ხელს უწყობს, რომ ქსოვის დროს ნართი არ გაიძენდოს. ბ. „შალის ჩხირები“ – წინდის ჩხირებზე თითქმის ორჯერ გრძელია და უფრო სქელი. მას ლითონის, შინდის ხის ან ბამბუკისაგან ამზადებდნენ. შალის ჩხირის ერთი ბოლო, საქსოვი თავი, გლუვი წვერით თავდება, მეორე ბოლო მოკაულია ან გამსხვილებული. წინდის ჩხირებით ქსოვისას ხუთ ჩხირს იყენებდნენ, ხოლო შალის ჩხირებით ქსოვისას – ორს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში წინდის საქსოვად ხის ჩხირებსაც იყენებდნენ, რომელსაც შინდის, თხილისა და ურთხმელის ხისაგან ამზადებდნენ. ქსოვის დაწყების წინ, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ძაფის სიმსხოდან გამომდინარე ჩხირების ზომა. ამიტომ, აბრეშუმისა და ბამბის ძაფით ქსოვისას წმინდა ჩხირებს ხმარობდნენ, ხოლო მატყლის ნართისათვის შედარებით მსხვილ ჩხირებს ხმარობდნენ. ჩხირებით ქსოვისას საჭიროა ქსოვილის ყველა თვალი თანაბარი ზომისა იყოს. მქსოველს ძაფი მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე აქვს გადახვეული და ძაფიც თავისუფლად უჭირავს. ძაფი არ უნდა უჭერდეს, რომ თვალი თანაბარი ზომის გამოვიდეს. ზომაზე დიდთვლებიანი ქსოვილი თხელი, არამტკიცე გამოდის „გაწლაწული“, ასეთ ქსოვილს გამძლეობაც ნაკლები აქვს. იმ შემთხვევაში, თუ თვლები ზომაზე ნაკლებია, ქსოვილი ხმელი, მოუხეშავი გამოდის. ელასტიურობაც ზომაზე ნაკლები აქვს. ქსოვა 2 ჩხირით წარმოებს თუ 5-ით, თვლები გამოკრეფა – ქსოვა 2 ჩხირით ხდება, დანარჩენი ჩხირები რიგრიგობით იღებს მონაწილეობას. ერთი ჩხირი მარცხენა ხელში უჭირავთ, მეორე კი მარჯვენაში. ჩხირი ძირითადად 3 თითს უჭირავს – ცერს, საჩვენებელსა და შუა თითს. საქსოვი ძაფის ნაწილი მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზეა გადახვეული. ქსოვა უმთავრესად მარჯვენა ჩხირით წარმოებს, რადგან ქსოვის მიმართულებაც მარჯვნიდან მარცხნივ მიმდინარეობს. მარცხენა ჩხირი ქსოვის პროცესში შედარებით პასიურ მდგომარეობაშია. მხოლოდ ქსოვის

დამთავრებისას, ე.წ. პირის გადაქნისას მარცხენა ჩხირიც თანაბრად მონაწილეობს.

ქსოვა იწყება თვლების ჩაწყობით, რაც ერთი ან ორად მოკეცილი ძაფით სრულდება 2 ან 3 ჩხირზე. 2 ჩხირით ქსოვისას თვლებს 2 ჩხირზე ჩააწყობენ, ხოლო 5 ჩხირით ქსოვისას 2-ზე ან 3-ზე. განსაზღვრული რაოდენობს თვლების ჩაწყობის შემდეგ ერთ ჩხირს გამოაცლიან რომ ჩაწყობილი თვლები მოდუნდეს და ჩხირს ადვილად შეეძლოს ქსოვისას ახალი თვლების გამოღება-გამოკრეფა. ჩაწყობილი თვლების გამოკრეფა ხდება ცალმხრივ და ორმხრივ. „წინდას მოვქსოვთ ჭალებით, 5 ჭაღით დევწყებთ წინდის ქსოვას. ჯერ ნამატს ვქსოვთ. ნამატის მერე ვქსოვთ სწორეთ. მერე ფარცხს. ქუსლთან მისლამდე ფარცხია, ქუსლის შემდეგ – ყელი. ყელის ზეიდან პრუნჭულას გაკეთებთ და მერე გუდ, ქნით ყელს, გაკეთებთ წინდი ყელს ძაფს იდაყვზე მოახოვდით.“ შევლებევდით. იქნებოდა: იემლი (მწვანე), კვეიფერაი, ნარინჯი, ყირმიზი, მორი (ლურჯი), ყვითელი, შავი” (ნოლაიდელი, 2017: 176). „გვქონდა ხუთი წინდის ჩხირი. ვიწყებთ ქსოვას. დეიწყოვ შვიდ თვალ. გადმუაცვამ, გადმუაცვამ, ეი და, მერე უმატებ თან ქენერებში (კიდებზე). დიდი გინდა, ბევრ თვალ გახდი, პაწაი გინდა, დატევ. ჯერ მოქსოვ ტუჩს. მერე ახვალ საქუსარზე. მერე წახვალ – ზედას, ყელს, გუუკეთებ, მერე პრუნჭიას მოქსოვ, მერე უკვეთავ და წინდიყელს დუუტიებ” (ნოლაიდელი, 2017: 92), “წინდის ქსოვის დროს ჯერ ნამატინა ავათაო, მერე თათი ავათაონა, ქუსლი გამუაზა. მერე ყელს მოქსოვ და გადაქნი. წინდა ვიცი ჭრელი, საია, პრუნჭულაი, წკენტიანი; ჯივანყაშიც ვიცი. ჭრელი წინდა ფერადი ძაფებითა მოქსოვილი, ნაწილ-ნაწილაა ფერადი; საია – სადეთ მოქსოვნილია, პრუნჭულაი – რეზინიანი რომაა; ჯივანყაშიც ფერად-ფერადია. ჭრელი კიდევ სხვანაირია“ (ნოლაიდელი, 2017: 168).

როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ცხადად ჩანს, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა ორი ტიპის საქსოვი მოწყობილობა: ვერტიკალური საქსოვი დაზგა ანუ ბეჭსაშუვრიანი საქსოვი ყდები და ჰორიზონტალური ანუ დგიმსავარცხლიანი საქსოვი მოწყობილობა. ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგებზე მხოლოდ ტანსაცმლისათვის განკუთვნილი ქსოვილები იქსოვებოდა. ვერტიკალურ დაზგებზე კი ქსოვდნენ როგორც შალს, ისე ხალიჩებს, ფარდაგეს, ჯეჯიმებს, ხურჯინსაფენებს, ხაკს და სხვ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი საქსოვი დაზგები იყო გავრცელებული. თუმცა, ზოგიერთ კუთხეში, ორივე ტიპის საქსოვი დაზგა თანაარსებობდა. საქართველოს მთიანეთში ძირითადად ვერტიკალური საქსოვი დაზგა გამოიყენებოდა. ბარში კი ჰორიზონტალური. ეს ორი დაზგა კონსტრუქციით მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთსაგან.

დგიმ-სავარცხლიანი საქსოვი დაზგა ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ ტიპის დაზგას კახეთში „საფეიქრო“-ს

უწოდებდნენ, გურიაში „სამექსლოზო“-ს, სამეგრელოში – „ომუალე“-ს, სვანეთში – „ლაჯმარ“-ს, ზემო რაჭაში – „ქსელს“, აჭარაში – „ქსელს“ და „საფრექო“-ს. ამ დაზგაზე იქსოვებოდა არამარტო შალის, არამედ აბრეშუმის, სელის და ბამბის ქსოვილებიც. განსხვავდებოდა მხოლოდ ამ ქსოვილებისათვის განკუთვნილი სავარცხლის სახეები. ყველაზე წმინდა სავარცხელი აბრეშუმის ქსოვილის მოსაქსოვად იხმარებოდა. ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა საქართველოში მიჩნეულია საქსოვი დაზგის უძველეს ტიპად. საქსოვი დაზგა წარმოადგენს 4 ბოძზე გაწყობილ საქსელს. აქედან წინა 2 დაბალია, ხოლო უკანა 2 მაღალი. ბოძებში გაყრილია ერთმანეთის პარალელურად წყვილი დირეები. საქსელის უკანა მხარეს დირეს დასობილი აქვს 19 ხის კბილი ძაფის განლაგებისათვის. უკანა ბოძებს თავი შეკრული აქვს ოთხკუთხედად სათავის ჯოხით. წინისაკენ გამოშვებულია 2 ოდნავ მოხრილი მკლავი, რომელზედაც დაგებულია ქსლის ჩამოსაკიდებელი ულუ 2 ტაბაკით.

საფრექო დიღია – ორ მეტრომდე სიგრძე და მეტრნახევრამდე სიგანე აქვს. „საფრექო ძირშია გადგმული“; აქვს ოთხი ყდა. აქვს, ასევე: დგიმი, სავარცხალი, მაქოქი/მაქვა, მაქვაში მასრა (მასურა), საფერხულები, ლილვი (ლივრი, რვილი, ლეირი, ლული, ლური). ლილვის გარგანი/ჯიხვი, დაშნები, ჩიტები/ თოკები/ჭიკჭიკები. საქსოვი დაზგის/ქსელი/საფრექო/ სამექსლო კეთდება წიფლის, ნამვის ან თელისაგან; სავარცხლის ყდა ხისაა, კბილები კი – ლერწმის კანის ან ბამბუკის, დგიმს ბამბის ძაფისაგან ამზადებენ. ვქსოვდით შალს საფრექოზე. ჯერ ძაფს დაქსელავდენ დოლაბზე, მემრე დგიმ-სავარცხალში გეიტანდენ, მერე საფრექოზე გადაადებდენ. ჩაქდებოდა ქალი შით და ქსოვდა. „საფრიქოს აქ საფერხულები, რომლებიც შეერთებული იყო დგამთან ბაწრებით. მოქსოვდი, ყდას მუუჯახებდი. მაქოქში მასრა იყო. მასრაზე იყო ძაფი-მისაქსველი. მისაქსველად ნაგულას იხმარდენ. სათვალავი იყო. სიფართე უნდა ყოფილიყო ასე, 20 სმ. სიგრძე, ზათი (კიდევ), რამდენიც გინდა, მოქსოვ – ხუთი, შვიდი, ათი ადლი“ (ნოღაიდელი, 2017: 92).

ჩვენი ქვეყნის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განვითარებული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი - ქართული ორნამენტი.

ორნამენტი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი საერო-საეკლესიო სამოსში, ფეხსაცმელში, ხალიჩურ ნაწარმში, იარაღში, სამკაულში, ქვითხურობაში, ხითხურობაში, მეთუნეობაში და სხვ. ფერთა უხვი პალიტრითაა გადმოცემული ორნამენტი ფერწერულ იკონოგრაფიაში, ხელნაწერ წიგნებსა და მინიატიურებში. ორნამენტი, როგორც ქართული კულტურული

მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის მატარებელია.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ორნამენტი შესწავლილია როგორც მხატვრული, ასევე სიმბოლური თვალსაზრისით.

მიუხედავად საკითხის კვლევის არსებული მდგომარეობისა, ჯერ კიდევ არ მომხდარა ქართული ორნამენტის სისტემატიზაცია, ფორმისა და სიმბოლური მახასიათებლების მიხედვით და მათი რაციონალური გამოყენება საფეიქრო ტექნოლოგიებში, ორიგინალური ფორმისა და ფერის შენარჩუნებითა და დაცვით. ქართულ მეცნიერებაში ორნამენტის სიმბოლიკის კვლევის საკითხები სათავეს იღებს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. თავდაპირველად, შესწავლის ობიექტი ორნამენტის ფორმის ანალიზი და სტილთა ისტორიული მონაცვლეობა იყო, რასაც შემდეგ დაემატა სემანტიკური საკითხების კვლევა. განუზომელია: ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, გიორგი ჩუბინაშვილისა და სხვათა შრომები წინარე და შემდგომი ქრისტიანული კულტურის ობიექტების შესწავლაში.

ორნამენტული სიმბოლიკის კვლევას საქართველოში საფუძველი ჩაუყარა პროფესორმა გიორგი ჩიტაიამ თავის 1925 წელს გამოცემულ ნაშრომში, რომელიც ეძღვნებოდა სვანურ საკურცხილს, მან დაამუშავა სიცოცხლის ხის მოტივი ქართულ ორნამენტში, სადაც გამოყო 2 ტიპი: „ბარული“ ანუ ლაზური, რომელიც ძირითადად მცენარეულ და ცხოველურ მოტივებს შეიცავს და „მთისა“ – გეომეტრიული ორნამენტი.

სამწუხაროდ, დროის მსვლელობასთან თუ ისტორიულ კატაკლიზმებთან ერთად დღითიდღე იცვლება, კვდება და იკარგება აჭარული ხელსაქმე. იქაური ადამიანის სრულიად განსხვავებულ და შეცვლილ ბუნებრივ პირობებთან შეგუების უნარის, ტექნიკური პროგრესის თუ დროის მსახვრალი ხელის წყალობით თანდათან მივიწყების ბურუსით იმოსება აჭარული ხელოსნობისა და შინამრეწველობის ამსახველი მასალა, შესრულების ავთენტური ხერხები და ადათ-წესები, აჭარულ-ლაზური სამოსისა და აქსესუარების დეკორისა და კოსტიუმში გამოყენებული ძირითადი ფერების შესწავლის მიზნით, კვლევის ობიექტად ავირჩიეთ საქართველოს მუზეუმებში დაცული აჭარული და ლაზური ტრადიციული სამოსი და აქსესუარები, რომლებიც XIX-XX სს. განეკუთვნება. ასევე ველზე მოპოვებული მასალა. შესწავლილია დეკორის მასალა და შესრულების ტექნიკა. სიღრმისეული კვლევისათვის გამოყენებულია სამკაულზე, ხალიჩურ ნაწარმზე, ავეჯზე, სახლის ინტერირზე, ლითნისა და კერამიკულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებზე დატანილი ორნამენტის სახეები.

კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ აღნიშნულ რეგიონში სამოსის შესამკობად ძირითადად იყენებდნენ აბრეშუმის ფერად ძაფებს, ვხვდებით ოქრომკედ-ვერცხლმკედით შესრულებულ ნაქარგობებსა, შესამკობად

გამოყენებული ჩანს ვიწრო და განიერი ბუზმენტები, არშიები, ყაისნალითა და ფირფიტებით ნაქსოვი ზონრები, თავსაბურავებ ამკობდნენ ლითონის სხვადასხვა ფორმისა და ზომის სამკაულებით და ფირფიტებით. სამოსის ერთ-ერთ ძირითად შესამკობელს ვერცხლის სარტყელები წარმოადგენს.

აღნიშნულ სამოსში გამოყენებული ორნამენტის სახეებიდან გეომეტრიული მოტივი პირვანდელია და მცენარეულ, ანთროპომორფულ და ზომომორფულთან შედარებით ძველია. რაც შეეხება ფერთა შეხამებას, აქ საქმე გვაქვს მეზობელი თურქეთის კულტურის ზეგავლენასთან, რომელიც მყვირალა ფერებით ხასიათდება. თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ აჭარულ-ლაზურ კოსტიუმში მრავალრიცხოვანი ფერთა გამის ქართლი გემოვნებით ხდებოდა შეხამება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, აჭარულ-ლაზურ სამოსში დომინანტი ფერებია: ჟოლოსფერი, ყვითელი, ლურჯი, წითელი, მწვანე და შინდისფერი. დეკორი გეომეტრიულია. არც თუ იშვიათად ვხვდებით დახრილი ჯვრის კომპოზიციებს.

აჭარული ორნამენტის სახეები მეტად ღირებული და მნიშვნელოვანია, როგორც ტერმინოლოგიურად, ასევე შინაარსითაც. თუ დავაკვირდებით აჭარული კოსტუმის ორნამენტს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ განსაკუთრებით მდიდრულად იგი ქალის სიხმაზეა წარმოდგენილი. „ახალგაზრდა ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიხმის შემადგენელი ნაწილების შემკობაში, რაც ნაირნაირი სახეებითა და დახვეწილი ქარგულობით ხასიათდებოდა. შესამკობ მასალად იყენებდნენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ყაინთებს, ფერად ძაფებს და ღილებს. ფერთა შეხამებასაც ყურადღება ექცეოდა. ერთმანეთთან იყო შეხამებული წითელი და შავი, ყვითელი და მწვანე, შავი და მწვანე. სახეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა სიხმაზე გამოყვანილი ორნამენტი. აქ ვხვდებით, როგორც გეომეტრიულ და მცენარეულ, ასევე ზომომორფულ მოტივებს. სიხმაზე გამოყენებული მცენარეული ორნამენტების ხალხური სახელწოდებებია: სამყურა, ნამვიტოტა, ზვინა, კუკულები, ვარდი და ა.შ აქვეა სამეურეო იარაღების სტილიზებული გამოსახულებანი, კერძოდ ხერხიკბილა, ნამგალი და კავები. გეომეტრიული ორნამენტიდან გვხვდება სამკუთხედები, ოთხკუთხედები, ტეხილი ხაზები. მნიშვნელოვანია მზის სიმბოლოსა და ჯვრის შენიღბული გამოსახულებანი. ეს სახეები ისე არიან ურთიერთმერწყმულნი და ზომიერად განფენილნი, რომ საბოლოო ჯამში სიხმას მდიდრულ ელფერს აძლევდა“ (სამსონია, 2005: 65).

ზემო აჭარულ ქალთა სამოსში ჭარბადაა გამოყენებული ყვითელი ფერი. აჭარული სამოსის კაშკაშა ფერთა სიუხვე (წითელი, ჟოლოსფერი, მწვანე, ხაკისფერი, შინდისფერი, ლურჯი) სავარაუდოდ, თურქულ სამყაროსთან მჭიდრო იძულებითი კონტაქტის შედეგი უნდა იყოს. ლაზურ სამოსში აჭარულთან შედარებით ნაკლები ფერებია გამოყენებული. აქაც,

აჭარულის მსგავსად, სამოსის ძირითად ფერებად შერჩეულია არა რომელიმე ერთი და ორი ფერი, არამედ რამოდენიმე, როგორცაა – იისფერი, შინდისფერი, ლურჯი და მწვანე. მეორეულ ფერებად კი დომინანტ ფერთა ტონებს ეძიებდნენ., ნაცრისფერი, ყავისფერი, წითელი თუ სხვ. ქალის სამოსზე ტიპოლოგიურად წარმოდგენილია როგორც ერთსახოვანი – გეომეტრიული, მცენარეული, ანთროპომორფული და ზოომორფული სახეები, ასევე შერეულსახა – გეომეტრიულ-მცენარეული, მცენარეულ-ანთროპომორფული, გეომეტრიულ-ანთროპომორფული, მცენარეულ-ზოომორფული და გეომეტრიულ-ზოომორფული მოტივები. ხშირია მცენარეთა სტილიზებული დეკორები. მცენარეული მოტივები ქართულ სამოსზე გაცილებით ხშირადაა წარმოდგენილი, ვიდრე სხვა დანარჩენი. ჭარბობს ასევე სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. ხაზოვან ფიგურათა შესამკობლად გამოყენება ნაწილობრივ აჭარულ სამოსშიც აღინიშნება. აჭარული სამოსი, გურულის მსგავსად, ხერხისპირულის ორნამენტიც იმკობოდა. ასევე გამოიყენებდნენ რომბებს, კვადრატებს, წრეებს, სწორ, ზიგზაგ და ტეხილ ხაზებს. ირიბი, ორი პარალელური დახრილი ხაზისგან შემდგარი ჯვრის გამოსახვა აჭარელთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიცაა დადასტურებული. ამგვარ ჯვარს აჭარლები შენიღბულ ჯვარს უწოდებენ. თურქეთთან არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, ისინი იძულებულნი იყვნენ ჯვარი დაემალათ. სამოსის გარდა, შენიღბულ ჯვარს გამოსახავდნენ სახლის ქერსა და ჯამეს შიგა ინტერიერში. ფარულად ჯვრის გამოსახვის გარდა, აჭარულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დაფიქსირებულია მკვეთრად გამოსახული ჯვრებიც, რომლებიც თან ახლავს ციურ სხეულებს.

ბორჯღალი გეომეტრიული ხაზებისაგან შემდგარი მარტივი არქაული ორნამენტი, რომელიც მზის, მცხუნვარების, სიცოცხლის, მარადიულობის, ბედნიერებისა და ჯანმრთელობის მნიშვნელობითაა ცნობილი ცივილიზებული ხალხების უძველეს კულტურებში. ბორჯღალს ქართულ ენაში რამდენიმე შესატყვისი აქვს. ესენია: ბორჯღალა, მეგრული ბარჩხალი და აჭარული ბორჩხალი. ბორჯღალი საქართველოში მასობრივად გავრცელებული ორნამენტი. განსაკუთრებული სიხშირითა და ვარიაციებით იგი გამოსახულია ხითხურობაზე. ამ ორნამენტით საქართველოს ყველა კუთხეში ამკობდნენ კიდობნებს, სკივრებს, სახლის შიგა და გარე ინტერიერს, ავეჯსა და სხვ. ბორჯღალის ორნამენტი ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ოქრომჭედლობაში, ხალიჩურ ნაწარმზე და ა.შ.

ქართულ ორნამენტიკაში მარადიულობის აღმნიშვნელი გეომეტრიული ელემენტი – სპირალური ფიგურა, აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ზემო აჭარულ ჩაცმულობაში ფიგურირებს. გეომეტრიულ სიმბოლოებში მცენარეულის შერევა შედარებით გვიანდელ პერიოდს – XX საუკუნის დასაწყისს ემთხვევა. ერთმა მეორის ჩანაცვლება

სრულად ვერ მოახერხა და საბოლოოდ შერეულ ტიპად დარჩა. ასევე არის ისეთი შემთხვევები, როცა ზოომორფული გამოსახულება გეომეტრიული მოხაზულობებითაა გამოსახული. მაგალითისთვის ავიღოთ ხარი, ცხვარი და ირემი. ხარის გამოსახულება ხევსურულ ორნამენტში რქის სახითაა მოცემული, ირმის გამოსახულება სტილიზებული ირმის რქის მოხაზულობით მოხეური ტანსაცმლის დეკორში იკითხება, ხოლო ცხვარი წარმოდგენილია ფშაურსა და აჭარულში სპირალური, ხვიარა ორნამენტის სახელწოდებით.

მცენარულ მოტივებს იყენებდნენ მოსაქარგ ქსოვილზეც. საქარგავ სახედ იყენებდნენ ლობიოს, მაცვლისა და ჯონჯოლის ყვავილებს, გაშლილ და გაუშლელ ვარდებს, ოთხ, ხუთ, ექვს და რვაფურცლა ყვავილებს, სამყურა ბალახს; დეკორს ქმნიდნენ მუხისა და მარწყვის ფოთლებით, ხან რტოებითა და ტოტებით. ქართული ნაქარგობისთვის სახასიათოა მანების, ხორბლის თავთავების, სიმინდის ღეროების (მხოლოდ აჭარაში), ნუშის გულებისა და ვაზის ორნამენტი.

ვაზის გამოსახულებას იყენებდნენ ხეზე კვეთილობაზეც. ამკობდნენ სახლის ფასადებს, აივნებს, შიგა ინტერიერს აჭარაში, დეკორატიულ ნივთებს, ლითონის ჭურჭელს, იარაღს, სამკაულს, სამოსის ელემენტებს.

მანის ორნამენტი საქართველოში სავარაუდოდ, სპარსეთიდან გავრცელდა. მანის ორნამენტი ხშირადაა წარმოდგენილი არა მარტო ქართული სამოსის დეკორზე, ასევე ოქრომჭედლობაში, ხითხურობაში, ხალიჩურ ნაწარმზე, მეთუნეობაში და ა.შ. გამორჩეული სიხშირით იგი აჭარულ ხითხურობაშია დადასტურებული. მანის დეკორითაა შემკული აჭარული სახლის შიდა და გარე ფასადები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები და ა.შ.

ორნამენტებით მდიდარია ხალიჩები – ჯეჯიმები, რომელსაც მაღალმთიან აჭარაში ხმარობდნენ იატაკზე დასაფენად, საწოლებზე – „სექვებზე“ გადასაფარებლად, აგრეთვე კედელზე გასაკრავად. „ხალები“ – როგორც ადგილობრივად ეძახიან იქსოვება მატყლის მისაქსელით და გამოირჩევიან თავისებური ხალიჩური ორნამენტის სტილით. სურათის კომპოზიციაში მოცემულია უმეტესად გეომეტრიული ორნამენტები: რომბები, კვადრატები, სამკუთხედები, მცენარეული კომპოზიციები კი თითქმის არ გვხვდება.

და ბოლოს, ჩვენს მიზანს შეადგენს ასევე, აჭარის ტრადიციული ყოფისა და კულტურის ამსახველი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალებით ჩაფწვდეთ და პრაქტიკულად ავითვისოთ აჭარული ქსოვის, ღებვის, ქარგვის, ორნამენტული ხელოვნების, ფარდაგების, ჯეჯიმების და სხვათა შექმნის ხელოვნების საიდუმლო. მოხსენებაში მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი, სამეცნიერო პროექტით დაგეგმილი შესასრულებელი ამოცანებისა. თქვენს წინაშე პრეზენტაციის სახით

წარმოდგენილი ფოტომასალა კი მაგალითია იმისა, თუ რა გამოწვლილვითაა მოძიებული მუზეუმებში დაცული და ველზე მოპოვებული მასალები. რომელიც წარმოადგენს ტრადიციული ქართული ყოფა-ცხოვრებისა და თანადროულობის სინთეზს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოღაიდელი, 2017: – ნოღაიდელი ნ., „ვეიქრობის ტრადიცია და ლექსიკა (აჭარა)“, გამომცემლობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი, ბათუმი, 2017, გვ. 227.
2. რაზმაძე, 2021: – რაზმაძე ნ., „ქსოვილის ორნამენტი აჭარიდან“, თბილისი, 2021, გვ. 144
3. სამსონია 2005: – სამსონია ი., „ხალხური ტანსაცმელი აჭარაში“, ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა. გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2005, 187გვ.
4. Kartsidze, 2024: – Kartsidze N., Ugrekheldze I., Sarava N., Sulaberidze D., Glazed ceramic vessel with the image of a bird from the Kutaisi Historical Museum. *Global Science: Prospects and Innovations. Proceedings of VII International Scientific and Practical Conference* , Liverpool, United Kingdom.: Cognum Publishing House. Retrieved from, 2024, pp. 412-420.
5. <https://sci-conf.com.ua/vii-mizhnarodna-naukovo-praktichna-konferentsiya-modern-research-in-science-and-education-7-9-03-2024-chikago-ssha-arhiv/>
6. Kvantidze, 2023: – Kvantidze, G., Lursmanashvili, L., Pailodze, N. and Abesadze, N., Modern Aspects of Tushetian Handicraft (Coloring, Knitting, Decor). *History, Archaeology, Ethnology* [Online], 2023, no. IX, pp. 230-241. <http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/361>. Date accessed: 18 may 2024. (In Georgian)
7. Lursmanashvili, 2022: – Lursmanashvili L., Kvantidze G. and Failodze N., Color Harmonization in Georgian Ornaments. *Georgian Scientists* 2022, Vol. 4, no. 5, pp. 369-382. doi.org/10.52340/g.s.2022.04.05.41 (In Georgian)


ილუსტრაციები

1. მზევინარ ირემაძე მქარგველ ქალბატონებთან ერთად. მზევინარ ირემაძის სახელოსნო. სოფ. ღორჯომი.
2. მზევინარ ირემაძის სახელოსნოში შესრულებული ნაქარგი და ნაქსოვი ნივთიერი მასალა. სოფელი ღორჯომი
3. ნაქარგობა. ავტორი ლამარა ირემაძე. სოფ. ღორჯომი
4. აჭარული შალის წინდები. ავტორი სედა ირემაძე. სოფ. ღორჯომი

5. აჭარული შალის პაჭიჭები. ჭვანას ეთნოგრაფიული მუზეუმი. დამარსებული და ხელმძღვანელი ტარიელ ბოლქვაძე
6. სატანსაცმლე სკივრის ფრაგმენტი, თუნუქის ფურცლებით გალამაზებული. XX ს. I ნახ. რამინი დანიძის ოჯახის კერძო საკუთრება. სოფ. მირვათი
7. აჭარული ფარდაგის ფრაგმენტი. ნუშიე ცინცაძის ოჯახის კერძო საკუთრება. XX ს. I ნახ. სოფ. კირნათი
8. აჭარული ჯამეს ჭერის მოხატულობა. სოფელი მარადიდი.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3.



სურ. 4.



სურ. 5.



სურ. 6.



სურ. 7.



სურ. 8.

დიდ მადლობას მოვახსენებთ ბატონ აკაკი ბერიძეს ექსპედიციის სწორი და საინტერესო მიმართლებით წარმართვისათვის. იმ წვლილისათვის, რაც შეიტანა აჭარის ორნამენტის კვლევის საქმეში.

Georgian Traditional Clothing Silhouette and Its Coding
ქართული ტრადიციული სამოსის სილუეტი და
მისი კოდირება

Nino Dolidze

Candidate of technical sciences,
Professor at Akaki Tsereteli State University
e-mail: nino.dolidze@atsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0142-7463>

Khatuna Darsavelidze

PhD in Engineering Sciences,
Akaki Tsereteli State University
e-mail.: khatuna.darsavelidze@atsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0000-2754-9448>

Abstract: Creation of modern clothing collections using ethnic elements requires a detailed knowledge of traditional clothing as a primary source from the designer. Over time, museum samples of national costume will become more unique and valuable, and access to them will be even more limited. One of the approaches to solving the mentioned problem is the creation of a database and search information program in a single digital format by systematizing clothing elements.

Based on the above, the preservation of Georgian traditional clothes in an innovative way (in digital form), contactless virtual access and use as needed is a current direction of scientific research. In order to solve the set task, it is important to conduct an analysis of the constructive-compositional characteristics, among which the silhouette shape of the garment is an important indicator. It has been assigned the first level in the classification of elements of traditional clothing.

In order to determine the silhouette, the museum exhibits were studied in the regional and national museums, in particular, the dress forms included in the ethnosamos complexes, the quality of their clothing on the body.

The analysis of the ethnoforms of the Georgian dress revealed that three types of silhouettes are common: extended, straight and extended. The frequency of meetings of the mentioned forms according to the regions and accordingly the percentage ratio of the meeting from the total number was determined. Based on the number of meetings of silhouette forms, their coding was carried out using the methods of mathematical statistics.

The results of the conducted research showed that among the silhouette forms of

the dress, the drawn silhouette is the most often found, the extended silhouette is less common, and the straight silhouette is relatively rare, although the difference between the number of meeting the mentioned silhouettes is not significant.

Thus, the results obtained from the conducted research will be used during the formation of the electronic bank of traditional clothing characteristics, based on which a program will be developed, through which it will be possible to obtain comprehensive information about museum samples without direct contact with them.

Key words: (traditional clothes), (constructive features), (silhouette), (coding), (electronic bank).

ნინო დოლიძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

ელ-ფოსტა: nino.dolidze@atsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0142-7463>

ხათუნა დარსაველიძე

საინჟინრო მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: khatuna.darsavelidze@atsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-2754-9448>

აბსტრაქტი: ეთნოელემენტების გამოყენებით თანამედროვე ტანსაცმლის კოლექციების შექმნა დიზაინერისაგან მოითხოვს ტრადიციული სამოსის, როგორც პირველწყაროს, ზედმიწევნით ცოდნას. დროთა განმავლობაში ეროვნული კოსტიუმის სამუზეუმო ნიმუშები გახდება უფრო უნიკალური და ფასეული, მათთან წვდომა კი კიდევ მეტად შეიზღუდება. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს ერთიან ციფრულ ფორმატში მონაცემთა ბაზისა და სამიუზეო-საინფორმაციო პროგრამის შექმნა სამოსის ელემენტების სისტემატიზაციით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ტრადიციული სამოსის ინოვაციური მეთოდით (ციფრული სახით) შენახვა, კონტაქტის გარეშე ვირტუალური წვდომა და საჭიროებისამებრ გამოყენება სამეცნიერო კვლევის აქტუალური მიმართულებაა.

დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლების ანალიზის ჩატარება, მათ შორის

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამოსის სილუეტური ფორმა. მას ტრადიციული სამოსის ელემენტების კლასიფიკაციაში პირველი საფეხური აქვს გამოყოფილი.

სილუეტის დადგენის მიზნით რეგიონალურ და ეროვნულ მუზეუმებში შესწავლულ იქნა სამუზეუმო ექსპონატები, კერძოდ ეთნოსამოსის კომპლექსების შემადგენლობაში შემავალი კაბის ფორმები, მათი ტანზე გამოწყობილობის ხარისხი.

ქართული კაბის ეთნოფორმების ანალიზმა გამოავლინა, რომ ძირითადად გავრცელებულია სილუეტის სამი სახე: გამოყვანილი, სწორი და გაფართოებული. განსაზღვრულ იქნა აღნიშნული ფორმების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით და შესაბამისად შეხვედრის პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენობიდან. სილუეტური ფორმების შეხვედრათა რაოდენობიდან გამომდინარე, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, განხორციელდა მათი კოდირება.

ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ კაბის სილუეტურ ფორმებს შორის ყველაზე ხშირად გამოყვანილი სილუეტი გვხვდება, უფრო ნაკლებად გაფართოებული, ხოლო შედარებით იშვიათად სწორი სილუეტი, თუმცა აღნიშნული სილუეტების შეხვედრის რაოდენობათა შორის სხვაობა არცთუ მნიშვნელოვანია.

ამრიგად, ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება ტრადიციული სამოსის მახასიათებლების ელექტრონული ბანკის ფორმირების დროს, რის საფუძველზე დამუშავებული იქნება პროგრამა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება სამუზეუმო ნიმუშების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება მათთან უშუალო კონტაქტის გარეშე.

საკვანძო სიტყვები: ტრადიციული სამოსი, კონსტრუქტორული მახასიათებლები, სილუეტი, კოდირება, ელექტრონული ბანკი.

შესავალი: ქართული ტრადიციული სამოსი ერის მატერიალური კულტურის და ჩვენი ისტორიული ფასეულობების თვალსაჩინოებაა. ასწლეულების განმავლობაში ის თაობებისათვის გახლდათ მათი იდენტობის, ღირებულებების და მსოფლმხედველობის განივთებული ცნება. (ნ. დოლიძე...2017: 380, Dolidze, N...2024:243-247) ეროვნული სამოსისადმი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება და პოპულარული ხდება ტანამედროვე კოლექციების დაგეგმარება თანამედროვე ქართული ეროვნული სამოსის ელემენტების გამოყენებით. (Долидзе Н...2018) გლობალიზაციის და საერთო კოსმოპოლიტური სივრცის პირობებში პატარა ერებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია მატერიალური კულტურის ძეგლების, ჩვენს შემთხვევაში კი ქართული ტრადიციული სამოსის ახალ

თაობებამდე მათი ავთენტურობის სრული დაცვით გაცნობა და მოტანა. ქართული ტრადიციული სამოსის ყოველმხრივ შესწავლა შეუძლებელია სამუზეუმო ორიგინალებთან უშუალო კავშირის გარეშე, რაც გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, მუზეუმის შესაბამის ფონდებთან შეზღუდული წვდომის გამო. გამოფენათა ექსპოზიციები და ილუსტრირებული ალბომ-კატალოგები კი არ იძლევა სრულ, ამომწურავ წარმოდგენას ფონდებში დაცული კოლექციების შესახებ.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს ერთიან ციფრულ ფორმატში მონაცემთა ბაზისა და საძიებო-საინფორმაციო პროგრამის შექმნა სამოსის ელემენტების სისტემატიზაციით.(*И. Угрехелидзе...2019: 368-371*)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ტრადიციული სამოსის ინოვაციური მეთოდით (ციფრული სახით) შენახვა, კონტაქტის გარეშე ვირტუალური წვდომა და საჭიროებისამებრ გამოყენება სამეცნიერო კვლევის აქტუალური მიმართულებაა.

ასეთი ამოცანის გადაჭრა საჭიროებს შესაბამისი მონაცემთა ბაზის ფორმირებას, რომელიც სისტემატიზებულს გახდის ინფორმაციას ტრადიციული სამოსის შესახებ.

სამეცნიერო სტატიაში განხილულია ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქტორული მახასიათებლების ანალიზი და ელექტრონული ბანკის ფორმირების საკითხები ერთერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლის სილუეტის ფორმის მაგალითზე.





კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლების ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამოსის სილუეტური ფორმა.








სილუეტის დადგენის მიზნით რეგიონალურ და ეროვნულ მუზეუმებში შესწავლილ იქნა სამუზეუმო ექსპონატები, კერძოდ ეთნოსამოსის კომპლექსების შემადგენლობაში შემავალი ელემენტის -კაბის ფორმები და მათი ტანზე გამოწყობილობის ხარისხი.






ქართული ტრადიციული კაბის სილუეტის საფუძველს გეომეტრიული ფორმები (მართკუთხედი, ტრაპეცია) (ცხრ. 1) წარმოადგენენ. კვლევის შედეგად დადგენილ იქნა გავრცელებული სილუეტური ფორმების შეხვედრათა სიხშირე და განხორციელდა სილუეტური ფორმებისათვის კოდირება, შეხვედრათა სიხშირის მნიშვნელოვნების გათვალისწინებით – კლებადობის პრინციპით.

კაბის სილუეტის გეომეტრიული ფორმა

ცხრილი 1.

	გავრცელების რეგიონი	სამოსის ესკიზი	სილუეტური ფორმა	გეომეტრიული ფორმა
	ქართლი, კახეთი, იმერეთი		გამოყვანილი სწორი	
	თუშეთი		სწორი გაფართოებული	
	ფშავი		გამოყვანილი	
	ხევსურეთი		სწორი გაფართოებული	

	მთიულეთი		გამოყვანილი	
	ხევი		გამოყვანილი	
	ლეჩხუმი		გამოყვანილი	
	რაჭა		გამოყვანილი	
	სვანეთი		სწორი გაფართოებული	
0	სამეგრელო		გამოყვანილი	

1	აფხა- ზეთი		გამოყვან- ილი	
2	გურია		გამოყვან- ილი	
3	აჭარა		სწორი გაფართოებუ- ლი	
4	მეს- ხეთ-ჯავახე- თი		გაფარ- თოებული	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართული კაბის ეთნოფორმების ანალიზმა გამოავლინა, რომ ძირითადად გავრცელებულია სილუეტის სამი სახე: გამოყვანილი (გამოყვანილობის სხვადასხვა ხარისხით), სწორი და გაფართოებული. განსაზღვრულ იქნა აღნიშნული ფორმების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით და შესაბამისად შეხვედრის პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენობიდან (ცხრ.2).

კაბის სილუეტის შეხვედრათა სიხშირე

ცხრილი 2.

რეგიონი	სილუეტი	შეხვედრათა რაოდენობა	შეხვედრის %
ქართლი-კახეთი, იმერეთი,	გამოყვანილი	36	37,1 %

	ფშავი, მთიულეთი, ხევი, ლეჩხუმი, რაჭა, სამეგრელო, აფხაზეთი, მეს. ჯავახ.			
	თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, ლეჩხუმი, აჭარა, მესხ-ჯავახ.	გაფართოებული	31	31,9 7%
	თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, რაჭა, სვანეთი, აჭარა	სწორი	30	30,9 3%
	სულ		97	

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს კაბის სილუეტურ ფორმებს შორის ყველაზე ხშირად გამოყვანილი სილუეტი გვხვდება, უფრო ნაკლებად გაფართოებული სილუეტი, ხოლო შედარებით იშვიათად სწორი სილუეტი, თუმცა აღნიშნული სილუეტების შეხვედრის რაოდენობათა შორის სხვაობა არცთუ მნიშვნელოვანია.

სილუეტური ფორმების შეხვედრათა რაოდენობიდან გამომდინარე, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, განხორციელდა მათი კოდირება. კოდის პირველი ციფრი – 1 მიენიჭა ყველაზე ხშირად შემხვედრ ფორმას, ხოლო დანარჩენი, შესაბამისად, კლებადობის მიხედვით. (ცხრ. 3).

კაბის სილუეტური ფორმების კოდირება

ცხრილი 3.

კოდის ციფრი	სილუეტი
1	გამოყვანილი
2	გაფართოებული
3	სწორი

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნება ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონული ბანკის ფორმირების პროცესში, რომელშიდაც მოცემულია იქნება ტრადიციული სამოსის არამხოლოდ ეთნოგრაფიული დახასიათება (სამოსის ფოტო, გარეგნული აღწერა) და კონსტრუქციული ანალიზი (სამოსის ტექნიკური ესკიზი, კონსტრუქციოლი ელემენტები, სამოსის განფენა, სილუეტი, გამოჭრილი დეტალების რაოდენობა), არამედ კომპოზი-

ციური ანალიზიც (მასალა, მისი გარეგნული სახე, ფერი, ფაქტურა, დეკორატიული გაფორმება, დეკორის ფერი).

ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონული ბანკის მიხედვით შედგენილი იქნება პროგრამა, რომლის საშუალებით დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება მოიძიოს საჭირო ინფორმაცია–საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტრადიციული სამოსის შესახებ. აღნიშნული პროგრამის გამოყენება კოსტიუმის დიზაინერს საშუალებას მისცემს სწრაფად იქნას ორიენტირებული შემოქმედებით საქმიანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. დოლიძე, მ. დათუაშვილი, ი. უგრეხელიძე, ი. ჩარკვიანი, ქ. ჩირგაძე, ლ. ლურსმანაშვილი, გ. კვანტიძე „ქართული ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი“ აწსუ გამომცემლობა ქუთაისი, 2017. 380 გვ.

2. И.Угрехелидзе, Н. Долидзе, Х.Дарсавелидзе Формирование информационной базы грузинской национальной одежды. International scientific jurnal Theoretical and Applied Science 09(77) 2019 Pages: 368-371

3. Долидзе Н., Дарсавелидзе Х. 2018. Проектирование современной одежды на основе грузинского национального костюма. Международная научно-практическая конференция «Актуальные проблемы современного дизайна». Украина

4. Dolidze, N., & Darsavelidze, Kh. „Research on awareness of traditional Georgian clothing“ Philadelphia, USA ISJ Theoretical & Applied Science 02(130) 2024 Pages: 243-247

Ethnolinguistic Aspects of Games
თამაშობათა ეთნოლინგვისტური ასპექტები

Tamila Lomtadze

PhD in History, Chief scientific researcher,
Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University,
e-mail: Tamila.lomtadze@bsu.edu.ge
Tel: +995 593 37 13 94
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6163-5876>

Nanuli Nogaideli

MA in Philology, Researcher at the Department of Folklore, Dialectology and Immigrant
Literature Studies, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University;
e-mail: Nanuli.nogaideli@bsu.edu.ge
Tel: +995 595 919 800
ORCID: <https://orcid.org/0009-0006-7688-4844>

Abstract: The game is one of the most important and ancient spheres of human activity. Modern cultural studies consider the game as a culture-forming factor. In this sense, the game is older than culture, precedes it and creates it. Culture is created in the form of a game. Among the many functions of the game, one of the most important is the representation of the mythical, sacred past. Our article is devoted to games with such a function. The main act of cosmogony in the imagination of people was the creation of the cosmos, that is, an ordered world, from formless chaos. Human has always had a desire to "return" to this mythical past, which he managed to do, including through play. Through play, Human periodically "revived" the sacred past and repeated the act of creating the world. Such games include the games of Tckvedobila//Gaglezhila//Nishkha, Nishkha, Barbaluka, Tsetsktobia, Almobia and others, preserved in the ethnographic life of Adjara. In mythology, chaos and disorder are represented by demons, dragons. Order is established in the world through the victory of good deities over dragons. It is this mythological motif that found its embodiment in the game Tckvedobila//Gaglezhila//Nishkha, Nishkha, Barbaluka, which depicts the confrontation and struggle between the Goddess-Barbaluka, personifying the Sun, and Nishkha, personified in the form of a dragon. The game embodies the motif of the dragon stealing the sun, which is widespread in the ethnographic life and folklore of the Georgian people. In other games (Fire, Almobia), the sun is replaced by its earthly symbols - fire and flag. Thus, these games repeat the mythical story of the victory of good and light over chaos and dark forces. At the same time, the games provide additional ethnographic material for the restoration of ancient forms

of customs, explanation of their functional purpose and cult content. In this regard, the linguistic material preserved by these games is invaluable. This material helps us to explain their genesis and transformation. Just like, for example, the games of Mokuchalieba, Bugobia, Etsrobia, which preserved elements of the traditional holiday "Bosloba" and the name of the deity Bosla, phonetically transformed into "Bola". Thus, the games over time lost their original practical meaning, but retained their sacred content, the closest connection with the myth and remain the most important source for the study of human consciousness in archaic thinking.

Keywords: Game, culture, myth, ritual

თამილა ლომთათიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ელ-ფოსტა: Tamila.lomtadze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6163-5876>

ნანული ნოღაიდელი

ფილოლოგიის მაგისტრი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: Nanuli.noghaideli@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0006-7688-4844>

აბსტრაქტი: თამაში ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი სფეროა. თანამედროვე კულტუროლოგიური კვლევები თამაშს კულტურის შემქმნელ ფაქტორად განიხილავს. კულტურა სწორედ თამაშის ფორმით იქმნება. ამ თვალსაზრისით, თამაში კულტურაზე უფროსია, წინ უსწრებს და ქმნის მას. თამაშის უამრავ ფუნქციას შორის ერთ-ერთია მითოსური, საკრალურ მნიშვნელობის მქონე წარსულის რეპრეზენტაცია. ამ ფუნქციის მქონე თამაშებს ეძღვნება ჩვენი სტატია. ადამიანების წარმოდგენაში კოსმოგონიის მთავარი აქტი უფორმო ქაოსისაგან კოსმოსის, ანუ მოწესრიგებული სამყაროს შექმნა იყო. ადამიანს მუდამ ქონდა ამ მითოსურ წარსულში „დაბრუნებისკენ“ სწრაფვა, რასაც, სხვა ქმედებებთან ერთად, თამაშის საშუალებით ახერხებდა. თამაშის მეშვეობით ადამიანი პერიოდულად „აცოცხლებდა“ საკრალურ ხანას და სამყაროს შექმნის აქტს იმეორებდა. ასეთ თამაშებს განეკუთვნებოდა აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი თამაშები წყვედობილა//გაგლეჯილა//ნიშხა, ნიშხა, ბარბალუკა, ცეცხლობია,

ალმობია და სხვ. მითოლოგიაში ქაოსს, უწყესრიგობას დემონები, დრაკონები, გველეშაპები განასახიერებენ. სამყაროში წესრიგის დამყარება ხდება კეთილი ღვთაების დრაკონებზე გამარჯვებით. სწორედ ეს მითოლოგიური მოტივია განსახიერებული თამაშში წყვედობილა//გაგლეჯილა//ნიშხა, ნიშხა, ბარბალუკა, სადაც გადმოცემულია მზის განმასახიერებელი პერსონაჟის - ქალ-ბარბალუკასა და ბოროტი ძალების განმასახიერებელი, გველეშაპის სახით პერსონიფიცირებული ნიშხას დაპირისპირება და ჭიდილი. თამაშში განასახიერებს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფასა და ფოლკლორში ფართოდ გავრცელებულ გველეშაპის მიერ მზის მოტაცების მოტივს. სხვა თამაშებში (ცეცხლობია, ალმობია) მზე ჩანაცვლებულია მისი მიწიერი სიმბოლოებით - ცეცხლითა და დროშით//ალმით. ამგვარად, ეს თამაშები იმეორებს ქაოსის, ბნელი ძალების დამარცხების, სიკეთისა და სინათლის გამარჯვების მითოსურ ისტორიას. ამავე დროს, თამაშები დამატებით ეთნოგრაფიულ მასალას იძლევა წეს-ჩვეულებათა უძველესი ფორმების აღსადგენად და მათი ფუნქციონალური დანიშნულებისა და საკულტო შინაარსის ასახსნელად. ამ მხრივ ფასდაუდებელია ის ლინგვისტური მასალა, რაც ამ თამაშებმა შემოგვინახა და რაც მათი პირველსაზრისის ახსნაში გვეხმარება. ისე, როგორც, მაგალითად, თამაშები მოკუჭალიება, ბუღობია, ეწრობია, რომლებმაც შემოინახეს დღეობა „ბოსლობის“ ელემენტებიცა და ღვთაება ბოსლას ფონეტიკური სახეცვლილება „ბოლა“.

ამდენად, მართალია, თამაშებმა დროსთან ერთად პირვანდელი პრაქტიკული საზრისი დაკარგეს, მაგრამ საკრალური შინაარსის მატარებელი, სარიტუალო დანიშნულების მქონე ეს თამაშები, ინარჩუნებენ უმჭიდროვეს კავშირს მითთან და არქაული ხანის ადამიანის ცნობიერების შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ რჩებიან.

საკვანძო სიტყვები: თამაში, კულტურა, მითოსი, რიტუალი

შესავალი: თამაში არის ადამიანის აქტივობის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს მრავალფეროვან ტრადიციულ სოციო-კულტურულ პრაქტიკაში. თამაშის, როგორც კულტურის ფენომენის თეორიული გააზრება იწვევს როგორც ანთროპოლოგების, ასევე, ფილოსოფოსების, სოციოლოგების, კულტუროლოგების, პედაგოგების, მედიკოსების და სხვ. ინტერესს. მისი მნიშვნელობის განსაზღვრის მრავალი ასპექტიც არსებობს, რომლებშიც თამაში სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა აზრობრივ კონტექსტში განიხილება. ეს მრავალფეროვნება განპირობებულია იმითაც, რომ თამაშს, როგორც კულტურის მოვლენას მრავალი ფუნქცია აქვს (სოციალიზაციის, აღმზრდელითი, განმავითარებელი, ფიზიოლოგიური, გასართობი, კომუნიკაციური, თვითრეალიზაციის, თერაპიული, მოდელირების.....) და თითოეულ დისკურსში თამაშის სხვადასხვა

ინტერპრეტაცია ექცევა. მათში თამაშს განიხილავენ, როგორც მეტაფორულ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ესთეტიკურ, კულტუროლოგიურ, ფილოსოფიურ, ანთროპოლოგიურ კატეგორიას. დღეს თამაშს აკავშირებენ მხოლოდ ბავშვების სამყაროსთან. იგი ბავშვების გასართობ საშუალებადაა მიჩნეული, მაგრამ სინამდვილეში თამაში ცხოვრების ერთგვარ სიმბოლურ ფორმას წარმოადგენს და დაკავშირებულია ისეთ სფეროებთან, როგორცაა, მაგია, საკულტო ქმედებები, რწმენა-წარმოდგენები..... თამაში, როგორც გარკვეული საზრისის მქონე ადამიანური აქტივობა, მაღლდება ხელოვნებისა და კულტურის დონემდე. თამაშს არ აქვს არანაირი მატერიალური საფუძველი, არაა განსაზღვრული რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მასში შერწყმულია წარმოსახვა და სინამდვილე. იგი რეალობის ერთგვარი ალტერნატივაა, გასვლაა ყოველდღიური რუტინიდან, ეს არის სხვა სამყაროში გამავალი ერთგვარი „ფანჯარა“, ზებუნებრივ ძალებთან კავშირის დამყარების ერთგვარი საშუალება. კაცობრიობას დავიწყებული აქვს თამაშის საკრალური, რიტუალური ბუნება და თამაში ძალზე პროფანირებულია, მაგრამ რეალურად ყველა ტრადიციული თამაში კავშირშია საკულტო პრაქტიკასთან და თავის თავში ინახავს დაფარულ, საკრალურ აზრს. ამ თვალსაზრისით თამაშები ინახავენ გასული ეპოქების და უკვე მივიწყებული მაგიურ-რელიგიური პრაქტიკის, არქაული მსოფლმხედველობის კვალს.

მეთოდოლოგია: თამაშობების მიმართ სხვადასხვა თეორიული მიდგომები არსებობს. ჩვენი კვლევა ეყრდნობა თამაშების თეორიის ანთროპოლოგიურ ასპექტს, რომელიც თამაშს აღიარებს ადამიანის თავისუფალი თვითგამოხატვის ფორმად. თამაშის ფენომენი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იყო სხვადასხვა სფეროს მეცნიერთა ინტერესის საგანი. თამაშების თეორიის ჩამოყალიბება სათავეს იღებს ისეთი მოაზროვნეების ნაშრომებში, როგორც იყო ფ.შილერი, გ.სპენსერი, ვ.ვუნდტი. ისინი ხაზს უსვამდნენ თამაშის ესთეტიკურ ღირებულებას და განიხილავდნენ მას, როგორც დრამატურგის, თეატრალური წარმოდგენების, სანახაობების, დღესასწაულების, კარნავალების საფუძველს. მე-20 საუკუნეში თამაშების თეორია განავითარა ნიდერლანდელმა ისტორიკოსმა და კულტუროლოგმა იოჰანეს ჰაიზინგამ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „Homo ludens“ („კაცი მოთამაშე“). ჰაიზინგა თამაშს განიხილავდა, როგორ ადამიანური კულტურის შემქმნელ, მაფორმირებელ ფაქტორს, როგორც კულტურის მაცოცხლებელ სულს, რომლის გარეშეც ვერ იარსებებს კულტურა, რადგან იგი თავდაპირველად თამაშდებოდა. კულტურის წარმოქმნის თამაშისეული კონცეფცია შემდგომში განავითარეს ი.გასეტმა, ე.ფინკმა, ჰ.ჰესემ, ჰ-გ.გადამერიმ.... სწორედ თამაშის შესახებ არსებული თანამედროვე კულტუროლოგიური თვალსაზრისი უდევს საფუძველად მოცემულ კვლევას.

მსჯელობა: ანთროპოლოგიაში კარგად ცნობილი შეხედულებით (დიურკჰეიმი, ელიადე...), უძველესი ადამიანები სამყაროს, დროს ყოფდნენ პროფანულ და საკრალურ დროდ ანუ დროდ, რომელიც ხმარდება შრომით საქმიანობას, არსებობაზე ზრუნვას და დროდ, როცა ადამიანები ზრუნავენ სულიერებაზე, კულტებს ემსახურებიან, დღესასწაულებს მართავენ. ასეთ საკრალურ დროს ასახავს სწორედ ზოგიერთი თამაში, რომელიც ძალიან ხშირად ინსცენირებული მითოსია.

თამაშის თეორიის თანახმად, „პირველყოფილი საზოგადოება თავის საღმრთო მოქმედებას, რომელმაც ქვეყნის ხსნა უნდა უზრუნველყოს – ზიარებას, მსხვერპლშეწირვას, მისტერიას ასრულებს წმინდა თამაშში. მითოსსა და კულტში კი სათავეს იღებს კულტურული ცხოვრების უდიდესი მამოძრავებელი ძალები: სამართალი და წესრიგი, ვაჭრობა, რეწვა, ხელოსნობა და ხელოვნება, პოეზია, სიბრძნე და მეცნიერება. მაშასადამე, ყველა ესენი თამაშობრივი ქცევის ნიადაგში არიან ჩაფესვებულნი. ამდენად, წმინდა თამაში თავისთავად არის კულტურის ერთ-ერთი საფუძველი და მისი მონაწილე“ (ჰაიზინგა, 2004:15-16). სტატიაში ჩვენ გვინდა განვიხილოთ თამაშის ერთ-ერთი ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, როგორცაა დაბრუნება ადამიანის საკრალურ, მითოსურ წარსულში. სხვა ფუნქციებთან ერთად კულტუროლოგები გამოყოფენ თამაშებს, რომლებითაც ადამიანი სამყაროს შექმნის კოსმოგონიური აქტის ხელახლა გათამაშებას ცდილობს. ასეთი თამაშები მრავლად შემოგვინახა, როგორც მსოფლიოს სახვადასხვა ხალხის, ასევე, საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მათ შორის აჭარის ეთნოკულტურამაც. ასეთ თამაშობათა რიცხვს განეკუთვნება აჭარაში გავრცელებული “წყვედობილა//გაგლეჯილა”//, ”ნიშხა-ნიშხა ბარბალუკა”, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული თამაშის „ჭუპან-ჭუპანობას”, „დედამთილობას”, „გაგლეჯილას”, „ხელჩამბულას” იდენტურია. ამ უძველეს თამაშს საფუძვლად უდევს ქაოსისა და კოსმოსის, შავბნელი და ნათელი ძალების შერკინება და ამ ჭიდილში სიკეთის გამარჯვება და კოსმიური წესრიგის დამყარება. „ქაოსის დამარცხება კოსმოსის ანუ წესრიგის გამარჯვება, სიკვდილისაგან ახალი სიცოცხლის აღორძინება, სიკეთისა და სინათლის დამკვიდრება მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა. ამიტომ, მითოსურ ცნობიერებაში ბრძოლა ერთ-ერთ უმთავრეს რიტუალად გაიაზრებოდა“ (ხიდაშელი, 2001:32). თამაშის დროს ბარბალუკას და ნიშხა-ნიშხას ორ თანაბარ ჯგუფად გაყოფილი მოთამაშეები ხელიხელჩაკიდებულნი ერთმანეთის პირისპირ მწკრივდებიან. ნიშხა-ნიშხას მწკრივიდან ერთი მოთამაშე გაიქცევა, დაემგერება ბარბალუკას მწკრივს და ცდილობს მის გაწყვეტას. თუ ეს შეძლო, მაშინ მწკრივის ერთი მონაწილე თან მიყავს ტყვედ, ხოლო თუ ვერ მოახერხა, თვითონ ხდება ტყვე და იქვე ებმება მწკრივში. ეს თამაში ასახავს ქართველთა უძველეს წარმოდგენას მზისა და შავბნელი ძალის – გველემპის ბრძოლისა. თამაშის მთავარი

პერსონაჟი ბარბალუკა (ქალ-ბარბალუკა) ქართველი ხალხის სათაყვანებელი მზის ქალ-ღვთაების სახელია და ნათელი მზის განსახიერებაა, ხოლო ნიშნა გველეშაპის სახით პერსონიფიცირებულ შავბნელ ძალას უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამ ორი – ნათელი და ბნელი ძალების ჭიდილი და დაპირისპირება წარმოადგენს ამ თამაშის საფუძველს. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფასა და ფოლკლორში ფართოდაა ცნობილი გველეშაპის მიერ მზისა და მთვარის მოტაცების მოტივი. გველეშაპისაგან მნათობთა გადასარჩენად ხალხი სხვადასხვა მაგიურ ხერხს მიმართავდა. მაგალითად, მზის დაბნელების დროს ასტეხდნენ ხმაურს, თოფის სროლას, რადგან სწამდათ, რომ მზეს გველეშაპი უპირებდა გადაყლაპვას და ამ მოქმედებებით გველეშაპს „მზეს პირიდან გააგდებინებდნენ“ (ლომთათიძე, 2014:191). მსგავსი წარმართულ წარმართულ-მითოლოგიური სიუჟეტები და სათამაშო წყობა (მოთამაშეთა გაყოფა ორ ჯგუფად და თითოეულ მწყობრში საკუთარი მთქმელის ყოლა) დამახასიათებელია სხვა ქართული საწესო სანახაობებისა და მისტერიებისთვისაც (ჯანელიძე, 1983:49-51), რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ეს „წმინდა თამაშები“ უდებენ საფუძველს უძველეს წარმოდგენებს, რომლებშიც მითოსური სიუჟეტებია განსახიერებული.

ამგვარად, ქართული საბავშვო თამაშობა „ნიშნა-ნიშნა“ ასახავს ნათელი და შავ-ბნელი, კეთილი და ავი ძალების ჭიდილის კოსმიურ-მითოლოგიურ სიუჟეტს (ბარდაველიძე, 2006:121). მართალია, დღეს ამ თამაშს გამოცლილი აქვს მითოლოგიური არსი, მაგრამ ამჟამად, რომ წარსულში ამ თამაშით ერთგვარად იმეორებდნენ სამყაროს შესაქმნის მითოსურ აქტს, ბრუნდებოდნენ საკრალურ წარსულში, განასახიერებდნენ ქაოსზე წესრიგის გამარჯვების, სიკვდილისაგან ახალი სიცოცხლის აღორძინების, სიკეთისა და სინათლის დამკვიდრების მითოსურ ისტორიას.

„ნიშნა-ნიშნასთან“ გარკვეულ მსგავსებას ავლენს აჭარაში შემონახული „ცეცხლობია“ ანუ „ათეშოინი“/„ართოშანი“. ამ თამაშის დროს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მოთავსებულია ხაზიდან თანაბარი მანძილით დაშორებული ორი „ცეცხლი“, რომლებსაც იცავს ორი გუნდი. ორივე გუნდის მონაწილეები ცდილობენ ერთმანეთს მოტაცონ „ცეცხლი“. რომელი გუნდის წარმომადგენელიც შეძლებს „ცეცხლის“ მოტაცებას და „საზღვარზე“ გადატანას, ის ითვლება გამარჯვებულად

თამაშის ამოსავალი წერტილია ცეცხლის დაცვა. მისი უპატრონოდ დატოვება არ შეიძლება. ერთი მოთამაშე მას გამუდმებით იცავს. თუ მოწინააღმდეგე მხარე მას დაეპატრონა, თამაში წაგებულია. ცეცხლობიაში ჩანს ცეცხლის გაღმერთებისა და მასზე განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის კვალი, რაც უძველესი ადამიანის ცხოვრებაში ცეცხლის როლითა და სასიცოცხლო მნიშვნელობით იყო განპირობებული. „ცეცხლობია“ მიჩნეულია ამირანის მიერ ღმერთებისათვის ცეცხლის მიტაცების მითოლოგიური სიუჟეტის განსახიერებად. იგი გატაცებული ცეცხლისათვის

თავგამეტებული ბრძოლის ერთგვარ ინსცენირებას უნდა წარმოადგენდეს (ნოღაიდელი, 1986:83).

ცეცხლი მზის მიწიერ სიმბოლოდ აღიქმება. იგივე დამოკიდებულება ჩანს თამაშის ერთ-ერთ სახეობაში, რომელსაც „ალმობია“ ანუ „დროშობია“ ეწოდება. თამაში იმავე შინაარსისაა, ოღონდ მისი მთავარი ატრიბუტი არის დროშა//ალამი. მოთამაშეები ამ შემთხვევაში ცეცხლის ნაცვლად დროშის მოტაცებას ცდილობენ. გამარჯვებულად ის გუნდი ითვლება, რომელიც დროშას დაისაკუთრებს. თამაშში იკვეთება დროშისადმი, როგორც საკულტო ატრიბუტისადმი, მოწიწებისა და მისი გაფრთხილების უძველესი ჩვეულების ნაშთი.

ქართულ ეთნოგრაფიაში დადასტურებულია კავშირი დროშასა და მზის კულტს შორის. მიჩნეულია, რომ მზის კულტმსახურებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი სიცოცხლის ხის სახესხვაობად მიჩნეულ წმინდა დროშას ანუ „ალვისტანს“ უკავია. დროშა წმიდათაწმიდაა სათემო და სატომო სალოცავებში. მასზე ხელის შეხება მხოლოდ ხუცესს ან მკადრეს შეუძლია. იგი ინახებოდა მთავარ საკულტო ნაგებობაში და ხატობის დროს გადმოაბრძანებდნენ სპეციალურად მისთვის განკუთვნილ დროშათსაბრძან კოშკში. მასთან ახლოს ტარდებოდა მსხვერპლშეწირვა და, საერთოდ, ქართველები ყველა მთავარ მოვლენას დროშას უკავშირებდნენ და თავდადებით იცავდნენ მას. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში დროშა არის არა მხოლოდ ღვთაების სიმბოლო, არამედ მისი განსახიერება (ბარდაველიძე, 1939:58-65). აჭარაში არ ჩანს დროშის საკულტო დანიშნულებით გამოყენების ჩვეულება, მაგრამ დროშისადმი განსაკუთრებული თავყვანისცემის კვალი დროშობიას ანუ ალმობიას თამაშშია შემონახული. ამ შემთხვევაში თამაში ინახავს ქართველთა უძველესი რელიგიური წარმოდგენის კვალს, რწმენას დროშის საკულტო დანიშნულების შესახებ, რომელიც აჭარელთა კოლექტიური მეხსიერებიდან გამქრალია და მხოლოდ თამაში გვევლინება დამხმარე ეთნოგრაფიულ მასალად ამ რწმენა-წარმოდგენების აღსადგენად და არქაულ ყოფაში ამ კულტის არსებობის დამადასტურებლად.

გარდა უძველესი რწმენების აღდგენის საშუალებისა, თამაშები ძალზე საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისითაც. შინაარსობრივად განსხვავდება ცნებები „თამაში“ და „თამაშობანი“. „თამაშის“ ქვეშ იგულისხმება საბავშვო თამაშები, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობდეს ერთი ან რამდენიმე ადამიანი, მაშინ, როცა „თამაშობანი“ არის სწორედ იმ სანახაობა-გასართობთა სახელწოდება, რომელიც უკავშირდება თამაშის, როგორც კულტურის ელემენტის წარმოშობის საწყისებს. მასში მონაწილეობს ადამიანთა დიდი რაოდენობა, ის გულისხმობს გარკვეულ საწესო ქმედებებსაც.

თამაშებს ახლავს მაგიური სიტყვიერება, ტექსტუალური მასალა, რომელშიც აისახება უძველესი „მიტოსური აზროვნება“ ანუ სიტყვიერ სიმბოლოებად გარდაქმნილი გარესამყარო (ჯორბენაძე, 1997:46) თამაშების ლექსიკა ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების მრავალ ანარეკლს ინახავს და როგორც დამატებითი ეთნოგრაფიული მასალა, გვერდითი, დამხმარე ფაქტორი ხშირად საინტერესო მასალას იძლევა საუკუნეების სიღრმეში წარმოშობილი წეს-ჩვეულებების არქეტიპების აღსადგენად და ამა თუ იმ კულტის არსებობის დამადასტურებლად. თამაშის ეს ფუნქცია კარგად ჩანს მესაქონლეობასთან დაკავშირებული უძველესი რიტუალის - ბოსლობის გენეზისის შესწავლისას. ბოსლობა დღესასწაულის სახით აჭარაში არ შემონახულა, მისი არსებობა აჭარაში საბავშვო თამაშის „მოკუჭალიების“ ანალიზის მეშვეობით დასტურდება, რადგან სწორედ ამ თამაშში შემონახა მესაქონლეობის მფარველი ღვთაების ბოსლას სახელი.

ბოსლობა მესაქონლეობასთან დაკავშირებული აგრარულ-რელიგიური დღესასწაულია, რომელიც ახალი წლის ხალხურ დღესასწაულთა ციკლშია მოქცეული და საქონელ-ფრინველის სიმრავლისთვისა და სიჯანსაღისათვის არის განკუთვნილი. მსგავსი რიტუალები შემონახულია რაჭაში, სვანეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ ის მხოლოდ მცირედი ფრაგმენტის სახით შემოგვინახა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ რიტუალი საქონლის ნაყოფირების მიზნით სრულდებოდა, თუმცა აჭარაში ბოსლობის დღესასწაულის სახელწოდება არ დასტურდება. „ბოსლას“, როგორც მესაქონლეობის ღვთაების სახელი შემონახულია მხოლოდ აჭარაში გავრცელებული თამაშში მოკაჭულიება. თამაში განასახიერებს ბოსლობის რიტუალურ მხარეს: ქალი ზურგზე მოიკიდებს ბავშვს და ნელი რხევით შემოატარებს კერის ირგვლივ. ამ მოქმედებას ახლავს ტექსტიც: „კუჭა შენა, კიდობანა, კუჭა, კუჭა, ბოლა, ბოლა ბუუ!“. თამაშში განსახიერებულია სქესობრივი აქტის სიმულაცია, რაც ბოსლობის რიტუალის მთავარი ნაწილია, ხოლო თანმხლებ ლექსში ნათლად ჩანს ტერმინ „ბოსლა“-ს ფონეტიკურად სახენაცვალი ფორმა „ბოლა“ (-ს ბგერა დაკარგულია). ამგვარად, მოკუჭალიება აჭარაში საბავშვო თამაშის სახით შემორჩენილი ბოსლობის ფრაგმენტია, რომლის ლექსიკური მასალა ადასტურებს აჭარაში მესაქონლეობის მფარველი ღვთაების არსებობას (ლომთათიძე, ნოლაიძელი, 2014:90).

ლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა როგორც თამაშების თანმხლები ტექსტუალური მასალა (გათვლები, გართიმული და გაურთიმავი საკრალური ტექსტები, კითხვა-პასუხები, გამოცანები...), ასევე, ე.წ. „სიტყვიერი თამაშები“ - შაირობა, კავია, ზოგჯერ სკაბრეზული გამონათქვამები ან ანეგდოტები, შეჯიბრება მახვილსიტყვაობაში, იმპროვიზირებული ლექსები, რაც აჭარაში ყველა სახალხო დღესასწაულის თუ საწესო რიტუალის შემადგენელი ნაწილია (შუამთობა, ფადიკო...),

აგრეთვე, კითხვა-პასუხის სახით შემორჩენილ თამაშები („ამის პატრონმა რა ქნას“, „სად დააჯენ“, „ჩემი სტუმარია“, „დათვობია“, „მელაკუტკუტობანა“ და სხვ.). ეს ტექსტები ინახავენ ბევრ არქაულ, ძველქართულ ტერმინს და საშუალებას იძლევიან ღრმად ჩავიხედოთ თამაშობათა გენეზისის საკითხებში.

დასკვნა: ამგვარად, თამაშთან, როგორც კულტურის ფენომენთან, გადაჯაჭვულია ადამიანის მოღვაწეობის პირვანდელი და უმნიშვნელოვანესი სახეობები. ეს თამაშები კაცობრიობის გარიჟრაჟს, მითიურ ეპოქას უკავშირდება, ამიტომაც მათში ასახული და შენახულია უძველესი შეხედულებები გარესამყაროზე, არქაული რწმენა-წარმოდგენების კვალი. თამაშები ძალიან ხშირად ინსცენირებული მითოსია. ისინი გარკვეულ მითოსურ შინაარსს განასახიერებენ. ასეთი თამაშები არის არა მხოლოდ უძველესი რიტუალების სახენაცვალი, ტრანსფორმირებული ფორმა, არამედ ამ რიტუალების პირველსახე.

აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი უძველესი რწმენა-წარმოდგენის კვალი სწორედ საბავშვო თამაშებშია შემონახული. ზოგი თამაში თავის დროზე რიტუალურ ქმედებას წარმოადგენდა და დღეს გასართობადაა ქცეული. მართალია, ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მიზეზი აჭარაში ისტორიული ვითარებაა, მაგრამ უპირველესად ეს გამოწვეულია იმით, რომ თამაშს სოციალურ-კულტურული ფუნქციებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა არქაული ჩვეულებებისა და ღირებულებების შენარჩუნება და კვლავწარმოება. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ თამაშებმა დროსთან ერთად პირვანდელი საზრისი დაკარგეს, მათი შესწავლა საშუალებას იძლევა დავადასტუროთ აჭარაში ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსებობა ან დანიშნულება.

გართობა-თამაშობანი მნიშვნელოვანია ლინგვისტური თვალსაზრისით და ერთგვარ დამხმარე მასალას წარმოადგენს არა მხოლოდ თავად თამაშების პირველსაზრისის ასახსნელად, არამედ აჭარაში ამა თუ იმ რიტუალის ან წეს-ჩვეულების საკულტო შინაარსის გასააზრებლად. ამდენად, თამაშებმა დროსთან ერთად პირვანდელი პრაქტიკული საზრისი დაკარგეს, მაგრამ საკრალური შინაარსის მატარებელი, სარიტუალო დანიშნულების მქონე ეს თამაშები, ინარჩუნებენ უმჭიდროვეს კავშირს მითთან და არქაული ხანის ადამიანის ცნობიერების შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ რჩებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარდაველიძე, 2006: - ბარდაველიძე ვერა, „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ)“, გამომც. „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2006

ლომთათიძე, ნოლაიდელი, 2014: - ლომთათიძე თამილა, ნოლაიდელი ნანული, „საბავშვო გართობა-თამაშობათა ხალხური საწყისები და ლექსიკა აჭარაში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, X, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014

ლომთათიძე, 2014: - ლომთათიძე თამილა, „ხალხური აგრარული კალენდარული წეს-ჩვეულებები აჭარაში“, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014

ნოლაიდელი, 1986: - ნოლაიდელი ნანული, „ხალხური საბავშვო თამაშობანი აჭარაში (მასალები)“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, VIII, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1986

ჯანელიძე, 1983: - ჯანელიძე დიმიტრი, „ქართული თეატრის ისტორია“, წიგნი I, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1983

ჯორბენაძე, 1997: - ჯორბენაძე ბესარიონ, „ენა და კულტურა“, გამომც. „ქართული ენა“, თბილისი, 1997

ხიდაშელი, 2001: - ხიდაშელი მანანა, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, გამომც. „ნეკერი“, თბილისი, 2001

ჰაიზინგა, 2004: - ჰაიზინგა იოჰან, „Homo ludens“ („კაცი მოთამაშე“) კულტურის თამაშში წარმოშობის შესახებ“, გერმანულიდან თარგმნა გია ნოდიაშვილი, გამომც. „მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი“, თბილისი, 2004

Viticulture in Historical Meskheta according to Old Turkish Defters
მევენახეობა ისტორიულ მესხეთში ოსმალური
დავთრების მიხედვით

Dali Nikolaishvili

PhD in geography, Professor, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, National member of International
Cartographic Association (ICA)
e-mail: dali.nikolaishvili@tsu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-6540-3682>

Avtandil Ujmajuridze

PhD in History,
Ivane Javakhishvili Center
e-mail: ujmajuridzeavto@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-8571-0455>

Davit Sartania

PhD in history, TSU Museum, Vice-director,
Head of Ivane Javakhishvili Center
e-mail: davit.sartania@tsu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5248-2801>

Abstract: Ottoman defters of the 16th century contain rich socio-economic data of a certain region of Meskheta, a part of Georgia conquered by the Ottomans. This makes it possible to uncover Georgian traditional forms of natural resource use and the level of Georgian substratum against the background of centuries-long Ottoman domination. This time, the subject of our study is the Ottoman defters of 1574 and 1595 (registers of Gurdjistan Vilayet). One of the areas of research is to determine the dynamics of change in the way of life of Georgians, which is currently represented by us as the branch of viticulture.

The Battle of Sokhoista in the year 1545 was the main milestone of the victory of the Ottoman expansion, following which the Georgians gradually surrendered their positions. This is why these defters are important, as they were written in 1574 and 1595, about 20 years apart. Thus, they allow us to study the dynamics of various issues, although fail to present a complete picture, since the administrative-territorial unit of the same name (Gurdjistan Vilayet) occupied different areas in 1574 and 1595. Only the territory of Didi Artaan Liva was the same according to the defter of 1574, which corresponds to the total area of Didi Artaan and Panak Livs in 1595.

The research has shown that viticulture was one of the most important areas in the Gurjistan Vilayet. This is evidenced by the tax on vineyards, which was levied on almost all settlements. As well as the syrup tax (sweet juice mainly made from grapes). In 1595, in comparison with 1574, the tax on vineyard and syrup in Didi Artaan Liva decreased (in Didi Artaan and Panak Livas), although their share against the background of agricultural taxes did not change and amounted to 1.7%. Against the background of many agricultural taxes, this figure is not small at all what is clear evidence that the traditional economic structure of the population of Georgia has not changed from this point of view.

Key words: Ottoman defters, Georgian substrate, Gurjistan Vilayet, Viticulture, XVI century.

დალი ნიკოლაიშვილი

გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი, თსუ
გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო
კარტოგრაფიული ასოციაციის (ICA) ეროვნული
წარმომადგენელი

ელ-ფოსტა: dali.nikolaishvili@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-6540-3682>

ავთანდილ უჯმაჯურიძე

ისტორიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის ცენტრი.

ელ-ფოსტა: ujmajuridzeavto@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-8571-0455>

დავით სართანია

ისტორიის დოქტორი, თსუ გეოგრაფიის
მუზეუმი, დირექტორის მოადგილე, ივანე
ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი,

ელ-ფოსტა: davit.sartania@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5248-2801>

აბსტრაქტი: XVI საუკუნის ოსმალური დავთრები შეიცავს მდიდარ ინფორმაციას ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობილი ნაწილის – მესხეთის გარკვეული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. ეს შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ქართული ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ფორმები და ქართული სუბსტრატის დონე ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ფონზე. ამჟამად ჩვენი კვლევის საგანია

1574 და 1595 წლების ოსმალური დავთრები (გურჯისტანის ვილაიეთის დავთრები). კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა ქართული ცხოვრების წესის ცვლილებების დინამიკის დადგენა, რომელსაც ამჟამად მევენახეობის დარგით წარმოვადგენთ.

ოსმალური ექსპანსიის გამარჯვების მთავარი ნიშნული იყო 1545 წ. სოხოისტას ომი, რომლის შემდეგაც ქართველები თანდათანობით თმობენ პოზიციას. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი აღნიშნული დავთრები, რადგანაც ისინი 1574 და 1595 წლებშია დაახლოებით ერთმანეთისაგან 20-წლიანი დაშორებით შედგენილი. ამიტომ ისინი სხვადასხვა საკითხის დინამიკაში შესწავლის საშუალებას იძლევა, თუმცა სრული სურათის წარმოჩენა მაინც შეუძლებელია, ვინაიდან ერთი და იგივე სახელწოდების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს (გურჯისტანის ვილაიეთს) 1574 და 1595 წლებში ერთნაირი ტერიტორიული მომცველობა არ ჰქონდა. ერთადერთი ტერიტორიული თანხვედრაა 1574 წლის დავთრისეული დიდი არტაანის ლივა, რომელიც შეესაბამება 1595 წლის დავთრის დიდი არტაანისა და ფანაკის ლივებს ერთად.

კვლევამ აჩვენა, რომ მევენახეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა გურჯისტანის ვილაიეთში. ამაზე მიუთითებს ვენახზე გადასახადი, რომელიც გაწერილია თითქმის ყველა დასახლებაზე. ასევეა გადასახადი შირაზე (ტკბილი წვენი, რომელიც უმთავრესად მზადდებოდა ყურძნისაგან). 1595 წელს, 1574 წელთან შედარებით, დიდი არტაანის ლივაში გადასახადი ვენახსა და შირაზე შემცირდა (დიდი არტაანისა და ფანაკის ლივებში), თუმცა მათი წილი სამეურნეო გადასახადების ფონზე არ შეცვლილა და შეადგენს 1,7 %-ს. იმ უამრავ სამეურნეო გადასახადის ფონზე ეს მაჩვენებელი მცირე სულაც არაა. ეს კი თვალნათლივ აჩვენებს იმას, რომ ქართული მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო სტრუქტურა, ამ თვალსაზრისით, არ შეცვლილა.

საკვანძო სიტყვები: ოსმალური დავთრები, ქართული სუბსტრატი, მევენახეობა, გურჯისტანის ვილაიეთი, XVI საუკუნე.

შესავალი: XVI საუკუნის ოსმალური დავთრები შეიცავს მდიდარ ინფორმაციას ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობილი ნაწილის – მესხეთის გარკვეული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. ეს შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ქართული ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ფორმები და ქართული სუბსტრატის დონე ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ფონზე. ქართული სუბსტრატის გამოვლენის შესაძლებლობას, პირდაპირი თუ ირიბი გზით, გვაძლევს არაერთი მონაცემი, რომლებიც ამ დავთრებშია შესული. ესენია: 1) ქართული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა (მევენახეობა, მეღორეობა), რომლებიც

ნაკლებად იყო დამახასიათებელია ოსმალურ სამეურნეო კულტურაში; 2) ქართული ტოპონიმია და 3) ქართველებისათვის / ქრისტიანებისათვის დამახასიათებელი ანთროპონიმია.

ჩვენი კვლევის სფეროში ამჯერად ექცევა მხოლოდ ერთი საკითხი – მევენახეობა.

არაერთი არქეოლოგიური მონაპოვართა და ისტორიული დოკუმენტით დასტურდება, რომ ვაზს და საერთოდ, მევენახეობა-მელვინეობას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურაში და რომ საქართველო მევენახეობისა და მელვინეობის ერთ-ერთი მთავარი კერაა მთელს მსოფლიოში. ამ თემაზე უამრავი ნაშრომი არსებობს [ბოხოჩაძე, 1963; კეცხოველი, რამიშვილი, ტაბიძე, 1960; კიკვიძე, 1976; ფრუიძე, 1974; ჯავახიშვილი, 1986]. შემთხვევითი არაა, რომ ლონდონის ღვინის მუზეუმში № 1 პავილიონი საქართველოს აქვს დათმობილი.

ივანე ჯავახიშვილმა კარგად წარმოაჩინა მევენახეობა-მელვინეობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებაში და წერდა, რომ „ამ დარგის უაღრესობა ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობისათვის იმ საგულისხმო გარემოებითაგანც ჩანს, რომ მიწაწყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ ნაწილად, მთად და ბარად, გაყოფა ... სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული: სანამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საითგანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზითგან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული“ [ჯავახიშვილი, 1986, გვ. 303]. იგი ამასთანავე საუბრობდა იმაზე, რომ მევენახეობა-მელვინეობას საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს დამპყრობლებსაც კარგად ესმოდათ და სწორედ ამიტომ რომ თემურ-ლენგმა და შაჰ-აბაზმა ქვეყნის ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს [ჯავახიშვილი, 1986, ტ. 5, გვ. 618]. ეს გზა გამოიყენებს ოსმალებმაც.

კვლევა დაეფუძნა 2 ისტორიულ წყაროს:

▪ 1574 წლის დავთარი – ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილიებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, 2016 წ.;

▪ 1595 წლის დავთარი – თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, 1941; 1947 წწ.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: 1941 წელს ს. ჯიქიამ გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ოსმალეთის მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი ქართული სამთავროს –

სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის აღწერის დავთრის ქართული თარგმანია [ჯიქია, 1941]. იგი შესრულებულია არაბული გრაფიკით (სიაკათი) და ჩაწერილია თურქულად. მას მოჰყვა დადგენილი დედნის გამოცემაც [ჯიქია, 1947], ხოლო შემდგომ დავთარს სპეციალური გამოკვლევაც მიუძღვნა [ჯიქია, 1958]. ამ გამოცემებით მკვიდრი ნიადაგი შეიქმნა არაერთი ოსმალური ძეგლის თარგმნისა და სპეციალური გამოკვლევებისათვ რეგორიცაა 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თარგმნილი თურქულიდან ქართულად ნოდარ შენგელიას მიერ [2016]; 1694-1732 წლების „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი“, თარგმნილი თურქულიდან ქართულად ცისანა აბულაძის მიერ, გამოიცა [1979]; „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ – თარგმნილი თურქულიდან ქართულად ზაზა შაშიკაძისა და მირიან მახარაძის მიერ [2011 წელს]; „ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი“, თარგმნილი თურქულიდან ქართულად მირიან მახარაძისა და ნოდარ შენგელიას მიერ [2008] და სხვ.

მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში უპირველესად განხორციელდა „ძველ დავთრებში“ არსებული მონაცემების იდენტიფიკაცია, სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია, გის-ის მონაცემთა ბაზის შექმნა, შესაბამისი პირობითი აღნიშვნების შემუშავება და თემატურ რუკათა სერიის შედგენა. ამ მიზნით მოხდა რუკაზე მოცემული ობიექტების სხვა წყაროებთან ურთიერთშეჯერება, რისთვისაც გამოყენებული იქნება კვლევის შედარებითი, სემანტიკური, რექტორსპექტიული კარტოგრაფირებისა და სხვა მეთოდები. განხორციელდება „ძველ დავთრებში“ შესული ობიექტების გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი. კვლევის პროცესში მოეწყო აგრეთვე რამდენიმე ექსპედიცია თურქეთსა (ართვინისა და არტანის პროვინციები) და საქართველოში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი). ადგილზე მოხდა ცნობების შეგროვება წინასწარ შედგენილი სტანდარტული კითხვარის მიხედვით.

დისკუსია/შედეგები: როგორც დავთრებიდან ირკვევა, გადასახადი ვენახზე გაწერილი იყო ცალკე და სხვა აგროკულტურასთან კომბინაციითაც. კერძოდ, ეს გადასახადები შემდეგი ფორმებითაა მოხსენიებული: „ვენახი“, „ვენახი და ბაღი“, „ვენახი და ბოსტანი“, „ვენახი და ბამბის ნაკვეთი“, „ვენახი და წისქვილი“, „ვენახი, ბაღი, საყანე მიწა და სახლი“, „ვენახი, ბაღი და საყანე მიწა“, „ვენახი, ბაღი, საკალოე მიწა და ყანა“ და მრავალი სხვა. ეს ვარიაციები არ გვაძლევს შესაძლებლობას დავადგინოთ ზუსტად რამდენი იყო გადასახადი მხოლოდ ცალკე ვენახზე.

1574 წლის დავთრის მიხედვით, გადასახადები ხილზე, შირასა ვენახზე და მასთან კომბინაციაში სხვა აგროკულტურებთან ჯამურად შეადგენდა 221 142 ახჩას (სამეურნეო გადასახადების თითქმის 7 %), ხოლო 1595 წლის დავთრის მიხედვით – 187 685 ახჩა (12 %-ზე მეტს) (ცხრ. 1). ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1574 წლის დავთრის მიხედვით მევენახეობის

წილი უფრო დაბალი იყო, ვიდრე 1595 წლის დავთარშია. მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი დასკვნა, ვინაიდან 1574 წლის დავთარი გაცილებით მეტი სიზუსტით ასახავს ვენახზე გაწერილ გადასახადს, ვიდრე 1595 წლის დავთარი. რა არის ამის მიზეზი? უპირველესად ის, რომ პირველ შემთხვევაში ვენახზე გადასახადი გაწერილია მხოლოდ 3 (ვენახი; ვენახი და ბამბის ნაკვეთი; ვენახი და ბაღი), ხოლო მეორე შემთხვევაში – 24 (ვენახი; ვენახი და ბაღი; ვენახი და ბოსტანი; და სხვ.) კომბინაციაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1595 წლის დავთარში გაწერილი გადასახადი ვენახზე გავრდილად წარმოჩინდება მაღალგადასახადიან აგროკულტურებთან კომბინაციაში როგორცაა მაგალითად, ხილი და ბოსტანი. თუმცა აღნიშნული მონაცემებიდან ნამდვილად შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება, რომ ორივე დავთრის მიხედვით, მევენახეობა დაწინაურებულ დარგად წარმოჩინდება, თუმცა სახეზეა მისი არათანაბარი ტერიტორიული განაწილება.

ცხრ. 1. ვენახზე გაწერილი გადასახადები (ახჩა)


გადასახადის ტიპი	1574	1595	ზრდა	შემცირება
ვენახი	2889	1951	938	
ვენახი და სხვა	442	6194		5752
შირა (უშირი)	217 311	179 540		37 331
ამ სამის ჯამი	221 142	187 685		33 457
სამეურნეო	2 072 287	1 525 118		547 169
გადასახადთა საერთო ჯამი	3 403 614	9 391 732	5 988 118	

1574 წლის დავთრის მიხედვით, გადასახადი ვენახზე (კომბინაციებით) გაწერილია ყველა (ოთხივე) ლივაში, ხოლო 1595 წლის დავთრის მიხედვით – 8 ლივიდან 5-ში (დიდი არტანის, პეტრესა და ჩრდილის ლივების გარდა). მათ შორის მაქსიმალური გადასახადი მოდიოდა თორთომისა და ახალქალაქის ლივებზე (შესაბამისად დავთრებისა: 1050 და 5186 ახჩა). მევენახეობის ტერიტორიული განაწილების თვალსაზრისით, გარკვეული განსხვავებაა თანამედროვე ვითარებასთან შედარებით, მაგალითად, 1595 წლის დავთრის მიხედვით, გადასახადი ვენახზე ახალქალაქის ლივაში 7-ჯერ და მეტად აღემატებოდა ახალციხის შესაბამის მაჩვენებელს. ამჟამად კი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომელიც თითქმის მთლიანად ემთხვევა ახალქალაქის ლივას, ვაზი დღეს თითქმის აღარ გვხვდება.

ვენახებზე გაწერილ გადასახადს თუ 1 კომლზე გაანგარიშებით გავაანალიზებთ, კიდევ ერთ თავისებურებას დავინახავთ, კერძოდ, განსხვავებაა 1 კომლზე გადასახადი როგორც დავთრების, ისე თვით ერთი

ახჩა). სამივე ეს ლივა ქმნიდა ვენახზე გადასახადის 95 %-ს [ნიკოლაიშვილი, სართანია, უჯმაჯურიძე და სხვ., 2021].

შირა ტკბილი წვენია, რომელსაც უმთავრესად ყურძნისაგან, თუმცა სხვადასხვა ხილისაგანაც ამზადებდნენ. გ. ტივაძე ფიქრობს, რომ ოსმალები „შირას“ ყურძენზე დაწესებულ გადასახადს უწოდებდნენ [ტივაძე, 1946, გვ. 158]. იგი ასევე მიუთითებს, რომ ოსმალური დამპყრობლები ვაზის გასანადგურებლად (ვინაიდან დაკავშირებული იყო მეღვინეობასთან) სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდნენ. ქართულმა მოსახლეობამ ეს, უპირველეს ყოვლისა, ყურძენზე მძიმე გადასახადების დაწესებით შეიგრძნო. გადასახადები იმდენად დიდი იყო, რომ მისი გადახდის შემდეგ მევენახეს ყურძნის შემოსავლიდან თითქმის აღარაფერი რჩებოდა. მიუხედავად ამისა, მევენახეობაზე მთლად ხელის აღება ქართული მოსახლეობისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა.



ნახ. 2. ჯამური გადასახადი ვენახზე სხვა აგროკულტურებთან კომბინაციაში (1595 წლის დავთარი)

საერთო რაოდენობის თითქმის 1/2-ია. ამასთან სოფლების 1/4-ზე მეტი (347-დან 96 სოფელი) იხდიდა გადასახადს შირაზე. ყველაზე მაღალ გადასახადს (5000 ახჩაზე მეტს) იხდიდა 11 სოფელი. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო სოფ. არსისი, რომელიც შირაზე იხდიდა 20 000 ახჩას.


1595 წლის დავთრის მიხედვით, სამიწათმოქმედო გადასახადებს შორის (მემარცვლეობის გამოკლებით) ყველაზე დიდი ადგილი ეკავა

1574 წლის დავთრის მიხედვით, გადასახადი შირაზე გაწერილია ყველა (ოთხივე) ლივაში, ხოლო 1595 წლის დავთრის მიხედვით – 8 ლივიდან 7-ში (დიდი არტაანის ლივის გარდა).

1574 წლის დავთრის მიხედვით, შირაზე გადასახადის სიდიდით განსაკუთრებით გამორჩეული იყო დიდი არტაანის ლივა. ჯამურად აქ მასზე იხდიდნენ 35 067 ახჩას, რაც ვილაიეთში შირაზე გადასახადის

მევენახეობა-მეხილეობაზე გაწერილ გადასახადებს და შირაზე მოდიოდა თითქმის 1/2. ვენახზე გაწერილის მსგავსად, ყველაზე მაღალ გადასახადს (90 440 ახჩა) აქაც იხდიდა ახლაქალაქის ლივა. მასზე მოდიოდა მთელს ვილაი-ეთში შირაზე გაწერილი გადასახადის 1/2-ზე მეტი. შემდეგ ადგილზე იდგა ხერთვისის ლივა (45 200 ახჩა).

შირაზე გადასახადის მიხედვით დიდი განსხვავებაა სოფლების მიხედვითაც. არის სოფლები, სადაც საერთოდ არ არის გადასახადი, თუმცა ზოგიერთი სოფელი სპეციალიზებულია მასზე, მაგალითად, სოფ. ჭაჭკარი (ახალქალაქი ლივის თმოგვის ნაპიე). 1574 წლის დავთრის მიხედვით, აქ შირაზე გადასახადი შეადგენდა სამეურნეო გადასახადების საერთო ჯამის მნიშვნელოვან ნაწილს და აღემატებოდა მემარცვლეობაზე გაწერილსაც კი. ანალოგიური ვითარებაა სოფ. ჰამარდალში (თორთომის ლივის ფერთეგრექის ნაპიე), სადაც 1595 წლის დავთრის მიხედვით, შირაზე გაწერილი გადასახადი აღემატება სამეურნეოს (ნახ. 3).



ნახ. 3. სოფლების – ჭაჭკარისა (ა) და ჰამარდალის (ბ) სამეურნეო გადასახადები (ახჩა)

ამდენად, ორი დავთრის შედარებამ დაგვანახა, რომ მევენახეობა საკმაოდ დაწინაურებული დარგი იყო და 20-წლიან პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. თუმცა სრული სურათის წარმოჩენა მაინც შეუძლებელია, ვინაიდან ერთი და იგივე სახელწოდების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს (გურჯისტანის ვილაიეთს) 1574 და 1595 წლებში ერთნაირი ტერიტორიული მომცველობა არ ჰქონდა. ერთადერთი ტერიტორიული თანხვედრაა 1574 წლის დავთრისეული დიდი არტაანის ლივა, რომელიც შეესაბამება 1595 წლის დავთრის დიდი არტაანისა და ფანაკის ლივებს ერთად.

დასკვნები

❖ მევენახეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო გურჯისტანის ვილაიეთში. ამაზე მიუთითებს ვენახზე გადასახადი, რომელიც გაწერილია თითქმის ყველა დასახლებაზე. ამაზევე მიგვანიშნებს გადასახადი შირაზე.

❖ 1595 წელს, 1574 წელთან შედარებით, დიდი არტანის ლივაში გადასახადი ვენახსა და შირაზე შემცირდა (დიდი არტანისა და ფანაკის ლივებში), თუმცა მათი წილი სამეურნეო გადასახადების ფონზე არ შეცვლილა და შეადგენს 1,7 %-ს. იმ უამრავ სამეურნეო გადასახადის ფონზე ეს მაჩვენებელი მცირე სულაც არაა.

❖ ასევე გაზრდილია გადასახადი მევენახეობაზე (კომლების მიხედვით).

მხარდაჭერა

სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული კარტოგრაფირება-ანალიზი ძველი თურქული დავთრების მიხედვით“ (HE-18-448).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, 2011: თარგმნილი თურქულიდან ქართულად ზაზა შაშიკაძისა და მირიან მახარაძის მიერ, 2011.

2. ბოხოჩაძე ა., 1963: – მევენახეობა-მელვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

3. გუგუშვილი პ., 1953: – მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ. // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, თ. V, 1951, გვ. 281-351.

4. გურჯისტანის ვილაიეთის., 1941: - „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ / თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და წინასიტყვაობა ქართულ-რუსულ ენებზე დაურთო სერგი ჯიქიამ; საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომც., თბილისი, 1941.

5. გურჯისტანის ვილაიეთის., 1958: - „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ / თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და წინასიტყვაობა ქართულ-რუსულ ენებზე დაურთო სერგი ჯიქიამ; საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, წ. 3. გამოკვლევა. ხელნაწერის აღწერილობა, შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის / ს. ჯიქია. – საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომც., თბილისი, 1958.

6. კეცხოველი ნ., რამიშვილი ნ., ტაბიძე დ., 1960: – საქართველოს ამპელოგრაფია. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960.

7. კიკვიძე ი., 1976 – მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ., 1976.

8. ნიკოლაიშვილი., 2021: - ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ., უჯმაჯურიძე ა., კირთაძე დ., კვეტენაძე მ. „მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით“, ცნობარი, თბილისი, 2021.

9. ფრუიძე ლ. 1974: – მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. წგნ. 1.,რაჭა. თბ., 1974.

10. ჯავახიშვილი ივ., 1986: – ქართველი ერის ისტორია. // თხზ. 12 ტომად, ტ. V. თბ., 1986.

11. ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი: 2008: თარგმნილი თურქულიდან ქართულად მირიან მახარაძისა და ნოდარ შენგელიას მიერ.

12. ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ): 1979 – თარგმნილი თურქულიდან ქართულად ცისანა აბულაძის მიერ.

13. ჯიქია ს. – 1958: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. გამოკვლევა. ხელნაწერის აღწერილობა, შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. „საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა“ დასტ.

რელიგიის ისტორია / History of Religion

The issue of Restoration of Autocephaly of the Georgian Orthodox Church
(The Commission for the Agreement on Georgian-Russian Church Interests, 1917)

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხისათვის
(რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისია, 1917 წ.)

Irina Arabidze

PhD in History, Research Scientist of the
Department of Modern and Contemporary
History Ivane Javakhishvili Institute of
History and Ethnology, TSU
e-mail: irina.arabidze@tsu.ge
ORCID: 0009-0009-7030-9330

Abstract: After the declaration of restoration of the independence of the Church of Georgia (March 12 (25), 1917), the Church had to struggle for the full implementation of its autocephalous rights in Revolutionary Russia. The latter contradicted with the goals of the Petrograd Provisional Government and Russian Church.

The Government appointed Professor Vladimir Beneshevich by Petrograd University as its trustee for the affairs of the Church of Georgia. Together with the Autocephalists, he was to develop „the basic Provisions of the legal status of the Church of Georgia within the Russian State“. He was to head the Commission for the Agreement on Russian-Georgian Church Interests. The Commission was established by the Decree of the Provisional Government and operated in Tbilisi from April 21 to June 3, 1917.

The need for its formation arose from the claims of the representatives of the Russian Church on the property of the former Exarchate of Georgia, which originally belonged to the old Iberian Catholicosate or the Georgian clergy. After the restoration of autocephaly, this property should have remained under the ownership of the Georgian Church.

It was evident from the title that the commission's task was to divide the churches, monasteries, and other property of the Georgian Church along national lines. This approach contradicted the spirit of the laws of both the Ecumenical and local church councils.

The appointment of the scholar known as the best canonist and a good-thinking person was met with joy by the Georgian society, but Beneshevich disappointed their expectations.

The Commission sessions discussed the issues of belonging to the churches and monasteries, Church institutions and buildings located at the territory of the former Catholicate of Iveria. The details of the Commission's work have not been discussed in the scholarly literature.

The goal of the article is to fill the history of Georgia and of its Church with the details and facts mentioned in the Protocols of the Agreement Commission sessions. The main source of the article is these minutes.

Georgian side does not highly assess the Protocols in terms of fully reflecting the real situation at the Commission sessions, but the criteria and arguments presented by the Georgian and Russian sides to prove the ownership of churches and monasteries are interesting. At the same time, they are also important for the history of the Controversial churches and monasteries;

The Protocols confirm the facts of distortion by Russian monks of the appearance of churches and frescoes. This was mentioned not only by Georgian but also by Russian members of the commission. This is one of the pieces of evidence that the claim by Russian church authorities, asserting that the purpose of settling Russian monks in Georgian monasteries was also to protect the monuments there, does not correspond to reality.

The Protocols reflect the unfair and tendentious approach of the Chairman of the Agreed Commission, Vladimir Beneshevich, on the issue of Autocephaly of the Church of Georgia;

The Protocols, although indirectly, confirm the opinion of the Autocephalists, according to which Commissioner Beneshevich is evaluated as a biased judge; materials from the Protocols also

More or less, give us an idea of the tense environment in which the defenders of the independence of the Church of Georgia had to work.

Keywords: Autocephaly of the Church of Georgia; Agreement on Russian–Georgian Church Interests; Agreement Commission; Vladimir Beneshevich; Controversial church-monasteries.

ირინა არაბიძე

ისტორიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის
განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: irina.arabidze@tsu.ge
ORCID: 0009-0009-7030-9330

აბსტრაქტი: დამოუკიდებლობის აღდგენილად გამოცხადების (1917 წლის 12 (25) მარტი) შემდეგ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა სრულად განხორციელება პეტროგრადის დროებითი მთავრობისა და რუსეთის ეკლესიის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა.

ახალ პირობებში საქართველოს ეკლესიის მოწყობის მიზნით მთავრობამ თბილისში თავის რწმუნებულად პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი გამოგზავნა. მას ქართულ მხარესთან ერთად უნდა შეემუშავებინა „რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებები“. ბენეშევიჩს დაევალა ასევე რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი/რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელი კომისიის ხელმძღვანელობა. აღნიშნული კომისიის შექმნის საჭიროება, განაპირობა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა პრეტენზიებმა საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ივერიის ძველი საკათოლიკოსოს ან ქართველი სამღვდელოების საკუთრება იყო და ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეკლესიას უნდა დარჩენოდა.

დასახელებიდანაც ჩანდა, რომ კომისიის ამოცანას საქართველოს ეკლესიაში ეკლესია-მონასტრებისა და სხვა საკუთრების ეროვნული ნიშნით გაყოფა წარმოადგენდა. ეს კი მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონების სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა.

კომისია თბილისში 1917 წლის აპრილის ბოლო დეკადიდან ივნისის დასაწყისამდე მოქმედებდა. „საუკეთესო კანონისტად და კარგი მიმართულების ადამიანად“ ცნობილ მეცნიერთან მუშაობის პერსპექტივას ქართველი საზოგადოება სიხარულით შეხვდა (ჭურნალები, 2016: 143), მაგრამ საბოლოოდ ბენეშევიჩმა მათი იმედები არ გაამართლა.

რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელი კომისიის შემადგენლობა, მისი მუშაობის მსვლელობა და შედეგები სამეცნიერო ლიტერატურაში დეტალურად განხილული არ ყოფილა. სტატიის მიზანია კომისიის სხდომის ოქმებში დაფიქსირებული ფაქტებით საქართველოსა და

მისი ეკლესიის ისტორიის შევსება; ძირითად წყაროს სწორედ აღნიშნული ოქმები წარმოადგენს.

ქართული მხარე სხდომებზე არსებული ვითარების სრულად ასახვის კუთხით ოქმებს მაღალ შეფასებას არ აძლევდა. მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანია ამა თუ იმ დაწესებულებისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთრეობის დასამტკიცებლად ქართული და რუსული მხარეების მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმებისა და არგუმენტების გაანალიზება.

ოქმებით დასტურდება რუსი ბერების მიერ ფრესკებისა და ეკლესიების გარეგნული იერსახის დამახინჯების, მათი ნაშთების განადგურების ფაქტები. ამის შესახებ აღნიშნული აქვთ შემთანხმებელი კომისიის არა მარტო ქართველ, არამედ რუს წევრებსაც, რაც ერთ-ერთი მოწმობაა იმისა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება რუსული საეკლესიო ხელისუფლების მტკიცება, თითქოს ქართულ მონასტრებში რუსი ბერების ჩასახლების მიზანი იქ არსებული ძეგლების დაცვა-პატრონობაც იყო.

ზოგიერთი ოქმის დამატებაში ქართული მხარის მიერ ასახულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისადმი შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარის, ვლადიმერ ბენეშევიჩის უსამართლო, ტენდენციური მიდგომა;

ოქმები, თუმცა ზოგჯერ არაპირდაპირ, გვიდასტურებს ავტოკეფალისტთა აზრის ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვითაც დროებითი მთავრობის რწმუნებული ბენეშევიჩი არაობიექტურ მსაჯულადაა შეფასებული;

მასალა მეტ-ნაკლებად გვიქმნის წარმოდგენას იმ დაძაბულ გარემოზე, რომელშიც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დამცველებს უხდებოდათ მუშაობა.

საკვანძო ფრაზები: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისია; გამმიჯვნელი კომისია; ვლადიმერ ბენეშევიჩი; სადავო ეკლესია-მონასტრები.

შესავალი: 1917 წლის 12 (25) მარტს ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რუსეთის ბატონობის ქვეშ მოქცეული საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის ცხოვრებაში. დღის წესრიგში დადგა ბრძოლა რევოლუციურ რუსეთში საქართველოს ეკლესიის უფლებათა განხორციელებისათვის, რასაც პეტროგრადის დროებითი მთავრობა და რუსეთის ეკლესია ეწინააღმდეგებოდნენ.

მთავრობამ თავის რწმუნებულად საქართველოს ეკლესიის საქმეთათვის პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი დანიშნა

და ავტოკეფალისტებთან ერთად „რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებების“ შემუშავება დაავალა. მასვე უნდა ეხელმძღვანელა რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი/რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელი კომისიის მუშაობისთვის. აღნიშნული კომისია პეტროგრადის დროებითი მთავრობის განკარგულებით დაარსდა და თბილისში 1917 წლის 21 აპრილიდან 3 ივნისის ჩათვლით მოქმედებდა.

მისი შექმნის საჭიროება განაპირობა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა პრეტენზიებმა საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ივერიის ძველი საკათოლიკოსოს ან ქართველი სამღვდელოების საკუთრება იყო და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სამართლიანობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ადგილობრივი ეკლესიის დაქვემდებარებაში უნდა დარჩენილიყო.

მთავრობის რწმუნებულად ბენეშევიჩის დანიშვნას ავტოკეფალისტები სიხარულით შეხვდნენ. პეტროგრადელი ქართველებისაგან მას საუკეთესო კანონისტად და, ზოგადად, კარგი მიმართულების ადამიანად იცნობდნენ. ქართული მხარე ეკლესიის უფლებათა ცხოვრებაში განხორციელების წარმატების იმედს შემთანხმებელი კომისიის მუშაობის შედეგებზე ამყარებდა, მაგრამ პროფესორმა მათი იმედების გაცრუება თბილისში ჩამოსვლიდანვე დაიწყო (ჟურნალები, 2016: 102).

ბენეშევიჩის კომისიის სხდომებზე ქართულ და რუსულ მხარეებს შორის ეკლესია-მონასტრების, საეკლესიო დაწესებულებებისა და ცალკეულ შენობათა კუთვნილების – მატერიალური და სულიერი ინტერესების გამიჯვნის საკითხების განხილვას საქართველოს ეკლესიის უფლებების სრულად აღდგენისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კომისიის მუშაობის დეტალები სამეცნიერო ლიტერატურაში განხილვის საგანი არ ყოფილა. მის შესახებ ზოგადი ინფორმაცია გადმოვეცი 2008 წ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხთან მიმართებაში დროებითი მთავრობის რწმუნებულ ბენეშევიჩის საქმიანობის შესახებ დაწერილ სტატიაში. სტატიის გადამუშავებული ვარიანტი სათაურით: „ვლადიმერ ბენეშევიჩის საქმიანობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის პროცესში (1917 წ.)“ დაიბეჭდა 2023 და 2024 (განმეორებით) წლებში კრებულში „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები“, რომელშიც შესულია 2004-2023 წლებში ჩემ მიერ გამოქვეყნებული თუ კონფერენციებზე წაკითხული სტატიებისა და მოხსენებების გადამუშავებული ვერსიები. მ. შ. ბენეშევიჩის საქმიანობის შესახებ სტატიის ნაწილად შემოკლებული სახითაა წარმოდგენილი 2023 წელს კონფერენციაზე – „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა

გზაჯვარედინზე II“ – წაკითხული და კონფერენციის მასალებში გამოსაქვეყნებლად მომზადებული წინამდებარე სტატია.

ამჟამად ჩემი მიზანია რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისიის მუშაობის დეტალურად განხილვა. კომისიის სხდომის ოქმებში დაფიქსირებული ფაქტებით საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორიის შევსება. მკითხველისათვის იმ ეკლესიებისა და მონასტრების ჩამონათვალის გაცნობა, რომელთა შესახებაც იმსჯელა კომისიამ, ე. ი. რომელთა კუთვნილებას საქართველოს ეკლესიისადმი რუსული მხარე (მის შემადგენლობაში ბერძენი და ოსი მართლმადიდებლების წარმომადგენლები) სადავოდ მიიჩნევდა.

სტატიის ძირითადი წყარო არის შემთანხმებელი კომისიის სხდომის ოქმები (საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 323). ასევე ვიმოწმებთ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებსა (1917 წ.) და აღნიშნული კომისიის ცალკეული წევრების პირად არქივებში დაცულ ინფორმაციებს.

ძირითადი წყარო რუსულ ენაზეა. მისი თარგმანი განვახორციელე სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობისა და კონტექსტის გათვალისწინებით. საკითხის კვლევა კი წყაროების კრიტიკულ ანალიზთან ერთად ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ვაწარმოე.

დისკუსია/შედეგები: პეტროგრადის დროებითი მთავრობის რწმუნებულის, პროფესორ ვლადიმერ ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისია 1917 წლის აპრილში თბილისში შედგა. დასახელების მიუხედავად თავმჯდომარე აღნიშნავდა, რომ კომისიას ინფორმაციის შემკრები, სათათბირო ფუნქცია ჰქონდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 45, 84).

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობიდან ბენეშევიჩთან ავტოკეფალიის საკითხებზე მოსალაპარაკებლად 7 აპრილს (ჯერ კიდევ თბილისში მის ჩამოსვლამდე) არჩეული იყვნენ: გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზები: კორნელი კეკელიძე, ნიკიტა თალაქვაძე, კალისტრატე ცინცაძე და საერო პირი სერგი გორგაძე (ჟურნალები, 2016: 52-53).

მთავრობის რწმუნებულმა, თავის მხრივ, 17 აპრილს ორივე მხარისაგან მოითხოვა, შემდგარიყო სამ-სამკაციანი კომისია ამდენივე კანდიდატით. ასე, რომ ბენეშევიჩთან მუშაობისთვის კომისიის წევრები რამდენჯერმე იყვნენ არჩეული და ქართულ მხარეს დასახელებულთა გარდა წარმოადგენდნენ: დეკანოზი გიორგი გამრეკელი, მღვდლები: ქრისტეფორე ციცქიშვილი, ალექსი მიქელაძე, ერისკაცები: ექვთიმე თაყაიშვილი, იპოლიტე ვართაგავა, სხდომის მდივნები – სოფრომ მგალობლიშვილი, დავით ნახუცრიშვილი. სხვადასხვა სხდომაზე გამოძახებული იყვნენ ან ქვეკომისიაში

მონაწილეობდნენ: არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), დეკანოზი ანტონ თოთიბაძე, მოსე ჯანაშვილი, პეტრე კიზირია, ანტონ ნატროშვილი და სხვ. (ჟურნალები, 2016: 75-76, 90, 92, 132; საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 5, 66).

რუსთაგან შემთანხმებული კომისიის წევრები იყვნენ დეკანოზები: იოსებ ორეხოვი, ალექსანდრე რაზუმოვსკი, მღვდლები: ალექსი ნოგატირევი, ალექსანდრე ნოვიკოვი, საეროთაგან – მიხეილ ვინოგრადოვი, ვიქტორ ტიხვინსკი, პეტრე ბეკლემიშევი, მდივნები: ალექსანდრე დავიდოვი, ალექსი ორნატსკი, მიხეილ ბელიაევი, იაკობ მარშაკი. სხვადასხვა სხდომაში რუსეთის მხარეს აქტიურად მონაწილეობდნენ: ყოფილი მეფისნაცვლის საბჭოს კანცელარიის საქმეთა მმართველად ნამსახური ვლადიმერ ოსეცკი, როგორც ა/კავკასიის საეკლესიო ცხოვრების მცოდნე; ასევე ბერძენ და ოს მართლმადიდებელთა წარმომადგენლები: ხარლამპ სინგარევისი, კონსტანტინე ნალპანისი, დეკანოზები: ნიკოლოზ პოლიტოვი, ქრისტეფორე ჯიოევი, მღვდლები: თევდორე სანაკოევი, ალექსანდრე ბეგიზოვი, მასწავლებელი გ. სანაკოევი (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 5, 6, 22, 29, 30, 48, 54, 61, 66, 69, 76; „Кавказский календарь“, 1916: 323, 758, 759, 762). ისინიც ქართველებს ზოგიერთი ეკლესიისა თუ მონასტრის საკუთრებაში ეცილებოდნენ.

კომისიის რუსი წევრები რუსი სამღვდლოებისა და საეროთა აღმასკომიდან იყვნენ არჩეულნი. ამ უკანასკნელის მიერ 1917 წლის 25 მაისს ამიერკავკასიის რუსული საეკლესიო კრებისათვის თავის უფლებამოსილებათა გადაბარების შემდეგ აღნიშნულმა კრებამ შემთანხმებული კომისიის წევრები ხელახლა აირჩია და რწმუნებით აღჭურვა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 76).

შემთანხმებული კომისიის სხდომები თბილისში, სინოდის კანტორის შენობაში მიმდინარეობდა. კომისიის წევრთა წინასწარ განსაზღვრული თანაბარი რაოდენობის პრინციპი ბენეშევიჩმა თავიდანვე დაარღვია. 21 აპრილის სხდომას (№1 ოქმი) რუს წევრებთან ერთად თავმჯდომარის მიწვევით ესწრებოდნენ სინოდის კანტორის პროკურორი მიტროფანე პოპოვი, ეგზარქოსის კანცელარიის მმართველი ნიკოლოზ დობროვოლსკი, სინოდის კანტორისა და ეგზარქოსის კანცელარიის ოთხი მოხელე. სწორედ ეს უკანასკნელნი იყვნენ კომისიის მდივნებად დასახელებულნი, რის შესახებაც ზემოთაა აღნიშნული (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 6, 8-9; იქვე, აღწ. 1, ს. 6489, ფურც. 24).

რუსული მხარის წარმომადგენელთა რიცხვის ასეთი ზრდის მიუხედავად კომისიის ქართველ წევრთა რაოდენობის მატების საჭიროება ბენეშევიჩმა ვერ დაინახა. მან აღნიშნა, რომ საკითხები ხმათა უმრავლესობით არ გადაწყდებოდა, კომისიის წევრთა უსაზღვრო ზრდა შეუძლებელი იყო (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 8-9).

შემთანხმებელი კომისიის სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აშკარა მტრის, მ. პოპოვის დასწრებას ქართველთა მხრიდან პროტესტი მოჰყვა. კომისიის თავმჯდომარის პასუხი იყო, რომ იგი მიიწვია არა როგორც სინოდის კანტორის პროკურორი ან კომისიის წევრი, არამედ როგორც „მისთვის სასარგებლო პირი“, კომისიისთვის სხვადასხვა ცნობის მიმწოდებელი.

ქართველებმა მოითხოვეს, ოქმში დაეფიქსირებინათ თავმჯდომარის აღნიშნული განცხადება და ბენეშევიჩს პოპოვის შესახებ თავისი პასუხი საქართველოს ეკლესიის მმართველი ორგანოსთვის წერილობით ეცნობებინა. დეკანოზმა ნიკიტა თალაქვაძემ პოპოვის დასწრების შემთხვევაში ოქმების ხელმოწერაზე უარი განაცხადა. ქართული მხარის ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად პოპოვი კომისიის თითქმის ყოველ სხდომას ესწრებოდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 8, 12, 18, 22 28, 32, 56, 58, 68, 84, 87).

ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით მოქმედმა კომისიამ სულ 19 სხდომა გამართა. საქმეში დაცულია 17 ოქმის ასლი. ისინი შედგენილია სინოდის კანტორის მდივან ალექსანდრე ალექსანდრეს ძე დავიდოვის (დავითაშვილი) მიერ. მდივანს აღნიშნული აქვს ორი ოქმის ნაკლებობის მიზეზი: 17 მაისის №13 ოქმზე კომისიის წევრებს ხელი არ მოუწერიათ და ამის გამო არც ასლი გაცემულა; 2 ივნისის მე-18 სხდომას დავიდოვი არ ესწრებოდა, მდივანი იყო ბელიაევი და ოქმი არ შეუდგენია (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 67-68, 86-87).

დავიდოვის განცხადებით, საქართველოს ეკლესიის მხრიდან შემთანხმებელი კომისიის მდივნებად დასახელებული პირები ოქმების წარმოებას შეუძლებლად თვლიდნენ. არადა, თუნდაც უნებლიე გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო, ოქმები მათაც შეედგინათ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 22, 28, 32, 56, 76, 82, 87, 88).

შემთანხმებელი კომისიის სხდომის ოქმებთან დაკავშირებით ავტოკეფალისტები აღნიშნავდნენ, რომ მათში არ იყო ასახული საეკლესიო ინტერესების გამიჯვნისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ბევრი ფაქტი და დეტალი, რომელიც სხდომებზე განიხილებოდა (ჟურნალები, 2016: 137). ასეთი ნაკლოვანების დროს ქართული მხარე ოქმის კითხვისას, ხელმოწერამდე, წარადგენდა დამატებას, განსაკუთრებულ აზრს ან იქვე აღნიშნავდა მიზეზებს, რის გამოც ოქმს ხელს არ აწერდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 5-6, 89). აქედან გამომდინარე, ოქმების დამატებებში ყურადღება მახვილდებოდა ზოგიერთ უსამართლობაზე, რაც სხდომის დროს გამოიკვეთა, მაგრამ მდივანმა არ დააფიქსირა. მაგ.: 26 აპრილის ოქმის კითხვისას მღვდელმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა მოითხოვა დამატების სახით აღენიშნათ სხდომაზე პროფ. ბენეშევიჩის განაცხადი, რომ შერეულ და

სადავო საქმეთა გადაწყვეტის ერთადერთი შესაძლებლობა სინოდის კანტორის განახლება-შევსება იყო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 5-6).

იქვე დეკანოზ კალისტრატეს მოთხოვნით დაფიქსირდა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ოქმში გამოტოვებული იყო. ამ შემთხვევაშიც საქმე ბენეშევიჩის მოსაზრებას ეხებოდა. მას სხდომაზე განუცხადებია, რომ ანჩისხატის ტაძარში მღვდლის შეცვლა ან ქართული ეპარქიისთვის სასულიერო პირის კურთხევა მთავარეპისკოპოს პლატონს (როჟდესტვენსკი) უნდა შეესრულებინა, რომელსაც დროებითი მთავრობა ჯერ კიდევ საქართველოს ეგზარქოსად იხსენიებდა. ეპისკოპოს ლეონიდს კი ყოველივე ამისთვის ყოფილი ეგზარქოსის ნებართვა სჭირდებოდა. დეკანოზ კალისტრატეს შეკითხვისთვის – მაშინ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება დროებითი მთავრობის მიერ (1917 წლის 27 მარტი) რაშილა გამოიხატებო – ბენეშევიჩს პასუხი არ გაუცია (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 5-6).

კომისიის თავმჯდომარის ხსენებული აზრები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იგნორირებას ნიშნავდა. პროტესტის გამოხატვა აუცილებელი იყო. ქართულ მხარეს იმედი არ ჰქონდა, რომ ამას შედეგი მოჰყვებოდა, მაგრამ პეტროგრადის მთავრობის რწმუნებულის მიკერძოებულობა მაინც უნდა დაფიქსირებულიყო. ბენეშევიჩის ზოგიერთი ტენდენციურობისა და უსამართლო ქმედების შესახებ ჩვენთვის სწორედ ამ გზით გახდა ცნობილი.

ქართველთაგან ოქმების შედგენაზე უარი რუსულად წერის აუცილებლობით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული, რაც საქართველოს ეკლესიის უფლებებს შელახავდა. აქვე ალბათ გასათვალისწინებელია კომისიის მდივნების შეთანხმების უპერსპექტივობაც. კომისიის თავმჯდომარე მათგან ოქმების სწორედ რუსულად და ურთიერთშეთანხმებით წერას მოითხოვდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 9).

შეთანხმებულ კომისიაში ა. დავიდოვის მდივნობა თვითონ ბენეშევიჩმა ურთულეს შრომად შეაფასა და მას დიდი მადლობა გადაუხადა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 88-89).

მუშაობის დასაწყისში ბენეშევიჩმა კომისიას მიზნად დაუსახა ღონისძიებათა ნუსხის შემუშავება, რომელთაგან ნაწილს თვითონ ადგილზე გადაწყვეტდა, ნაწილს – დროებითი მთავრობა და უწმ. სინოდი. საბოლოო შედეგი კი უნდა ყოფილიყო „ძირითად დებულებათა“ ცხოვრებაში გატარება.

ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით კომისიამ ითათბირა „ქართული“ და „არაქართული“ ეკლესიებისა და მონასტრების გამიჯვნის, სანთლის ქარხნის, თბილისის სასულიერო სემინარიის კუთვნილების, ა/კავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის მოწყობის საკითხებზე.

ქართული მხარის სურვილის მიუხედავად საქართველოს ეკლესიისთვის უმნიშვნელოვანესი მრავალი საკითხი საერთოდ განუხილველი დარჩა: კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის საცხოვრებლით უზრუნველყოფა, უმაღლესი სასწავლებლის დაარსება და სხვ.

ეკლესია-მონასტრების სია, რომლებზეც შემთანხმებულ კომისიაში მსჯელობა უნდა წარმართულიყო, თავიდანვე ცნობილი არ იყო. ბენეშევიჩმა იგი მხარეებს დაგვიანებით, 3 ივნისს წარუდგინა და, როგორც სხდომის ოქმშია აღნიშნული, მასში შეიტანეს კომისიის მუშაობის შედეგები (ინფორმაცია ეკლესია-მონასტრების მიკუთვნების შესახებ). სია საქმეში დაცული არ არის, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, კომისიის სხდომის ოქმებიდან შეძლებისდაგვარად სრულად ამომეკრობა დასახელებები იმ ეკლესია-მონასტრებისა, რომელთა შესახებაც იმსჯელა კომისიამ. ცალკე გთავაზობთ ეკლესიათა ჩამონათვალს, რომლებიც მხოლოდ წარდგენილი იყო სადავოდ, განხილვა კი მასალის შეკრებისა და კომპეტენტურ პირთა მოსმენის შემდეგ იგეგმებოდა.

ეკლესია-მონასტრთა სიას კუთვნილების შესახებ ინფორმაციის გარეშე გთავაზობთ, რადგან კომისიის მუშაობა ცნობების შემგროვებელ ხასიათს ატარებდა და მან გადაწყვეტილებები, ისიც არა საბოლოო, მხოლოდ რამდენიმე ეკლესიის შესახებ მიიღო.

თბილისის ტერიტორიაზე არსებულთაგან განიხილეს: იერუსალიმის ჯვართამაღლების, სიონის ტაძრის და მასზე მიწერილი ალექსანდრეს ბაღში არსებული ეკლესია-სამლოცველოს, დიდუბის ღვთისმშობლის, კუკიის წმ. ნინოს, ყოველთა წმინდათა და ალექსანდრე ნეველის, ავლაბრის მიქაელ მთავარანგელოზისა და სასაფლაოს პეტრე-პავლეს, ვერის იოანე ღვთისმეტყველისა და წმ. ნიკოლოზის, სოლოლაკის ამაღლების, ხარფუხის წმ. ნიკოლოზის, „ნახალოვკის“ (ნაძალადევის) ივერიის ღვთისმშობლის, საბურთალოს წმ. გიორგის, წმ. თომას (აისორებისად წოდებული) ეკლესიების კუთვნილების საკითხი.

ქალაქ თბილისის გარეთ არსებულთაგან მოისმინეს მხარეთა მოსაზრებანი წინწყაროს მიძინების, პატარა ირაგის წმ. ელიას (წმ. ილიას), რეხას მთავარანგელოზის, ხანდისის ჯვართამაღლების, ბიჭვინთისა და სოხუმის სასაფლაოს ეკლესიათა კუთვნილების შესახებ.

სადავოდ იყო მიჩნეული ასევე: თბილისის რკინიგზის აღდგომის, თბილისის მაზრის III „საბლაღჩინო“ (ქართულად – სამთავარხუცესო) ოლქის დასახლება ახალ გეორგიევსკის ეკლესია, იმავე თბილისის მაზრის V ოლქიდან კვირაცხოვლის ეკლესიის, ძველი მანგლისის, ზორჯომის იოანე ნათლისმცემლისა და წმ. ოლღას, ბაკურიანის, ბესტავანთსოფლის, ყორნისის, ხურვალეთის, ზახორის, წოლდის, ისროლისხევის, სასირეთის, გომის, ხეთის, ცხინვალის, იმერხევის, ქარელის, სანებელის, ავნევის, ვაკის, ოქონის, აძვის, ბობნევის, ჭვარების, ხცისის, წრომის, აწრისხევის, ვანათის,

დისევის, მერეთის, ჭარბის, გუჯარეთის, დუშეთის, მღეთის, ფასანაურის, ახალგორის, კუცხოეთის, კობის, აბანოს, მჭადიჯვრის, ხანდისის ჯვართამაღლების, გუმბათის კვირაცხოვლის (წმ. თომას), წინწყაროს, ოფრეთის, იმირის, ედიქილისას (2010 წლიდან სოფ. საყდრიონი), ბაქოს ფერისცვალების ეკლესიათა კუთვნილება.

ოქმები გვაწვდის მონაცემებს განხილულ ტაძართა მშენებლობის ინიციატორების, დაფინანსების წყაროებისა და მრევლის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. ქართულმა მხარემ რამდენჯერმე აღნიშნა მრევლის ეროვნულ შემადგენლობაზე რუსიფიკაციის პოლიტიკის გავლენის ან ამავე პოლიტიკის სასარგებლოდ მონაცემთა გაყალბების შემთხვევები (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 20, 32-33).

კომისიის სხდომის №6 ოქმში მითითებულია, რომ დეკანოზ ალექსანდრე რაზუმოვსკის განსაკუთრებული აზრი ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიის კუთვნილების შესახებ პოზიციის გამოსახატავად დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს გადაეცა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 25). აქვე აღვნიშნავ, რომ კომისიის საქმეში დაცული არ არის ამ და არც სხვა შემთხვევებში (№5 და №8 ოქმები) რუსთა მიერ გამოთქმული განსაკუთრებული აზრები და ქართველთა პასუხები (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 21, 33). შესაძლოა, ისინი სხდომის ოქმების დედნებთან ერთად კომისიის თავმჯდომარემ პეტროგრაღში ასლების გადაღების გარეშე წაიღო.

კომისიამ დაადგინა იმერეთის, გურია-სამეგრელოს, აფხაზეთის ეკლესიათა კუთვნილების შესახებ ცნობები ეპისკოპოსებისაგან მოეთხოვა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 30). თუმცა აფხაზეთის ზოგიერთი ეკლესიისა და მონასტრის საკითხის განხილვა მხარეებმა კიდევ მოასწრეს.

იმ სიწმინდეთა თუ სხვა ქონების შესახებ, რომელთა კუთვნილებაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, საჭიროდ ჩაითვალა დამატებითი ცნობების მოძიება. შედეგი კომისიის საქმეში დაცული არ არის.

ეკლესიათა კუთვნილებასთან დაკავშირებით მსჯელობის მაგალითად თვალი გავადევნოთ დიდუბის ტაძრის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს. დეკანოზმა ალექსანდრე რაზუმოვსკიმ ტაძარი სადავოდ მიიჩნია, რადგან მრევლი რუს-ქართველთაგან შედგებოდა, ღვთისმსახურება ორივე ენაზე მიმდინარეობდა, გალავანში ორივე ეროვნების წარმომადგენელნი იმარხებოდნენ და სკოლაც ორივე ეროვნების ბავშვებისთვის არსებობდა.

მისივე თქმით 5-6 წლის წინ სინოდის კანტორის ბრძანებაც კი არსებობდა დიდუბის შერეულ სამრევლოდ გამოცხადების შესახებ. იყო საუბარი დიდუბელი რუსებისთვის ახალი ტაძრის აშენებაზეც. კომისიის სხდომაზე დამსწრე მ. პოპოვმა განმარტა, რომ ბრძანება მართლაც იყო და საქმეში ჩაკრულია მრევლის სია, რომელთაგან უმეტესობა რუსები არიან.

ქართული მხარის წარმომადგენელთა ნაწილმა განაცხადა, რომ რუსი მრევლის რაოდენობის გაზრდა გამოიწვია გორის მაზრის სადგურ

მიხაილოვოდან (დღევანდელი ხაშური) ა/კავკასიის რკინიგზის საამქროების თბილისში გადმოტანამ. კუკიის წმ. ნიკოლოზის ტაძრიდან (დღევანდელი ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ტაძარი) დიდუბის ტაძრამდე მართლმადიდებელი ეკლესია არ იყო და ქართველებმა რუსები თავის ეკლესიაში სტუმართმოყვარულად მიიღეს. თუ სტუმრების რაოდენობა მეტად გაიზარდა, ვიდრე მასპინძლებისა, არ შეიძლება მასპინძლებმა დატოვონ ეს სახლი. მითითებულ გარემოებათა გამო ტაძრის ჩათვლა სადავოდ უსაფუძვლო იყო.

დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ, როგორც ტაძრის ყოფილმა წინამძღვარმა (1903-1912), 1911 წლისათვის მრევლის ეროვნული შემადგენლობის შესახებ კომისიას უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა: რუსულ ოჯახთა რაოდენობა, რომლებიც მრევლის სიაში პოლიციის მიერ ჩატარებული აღწერის შედეგად მოხვდნენ, იყო 432 ოჯახი; ქართველთა რაოდენობა უშუალოდ ტაძრის გარშემო – 286 ოჯახი, 208 ოჯახი კი დიდუბის მიდამოებიდან. აქედან გამომდინარე, ქართული ოჯახი იყო 494, რუსული – 432. სიები დამოწმებული იყო სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის მიერ და მრევლი ორჯერ იყო მოწვეული ტაძრის მნათესა და სამზრუნველოს ასარჩევად. რუსთა მხრიდან არჩევნებზე მოვიდა მხოლოდ 21 კაცი, ქართველთაგან – თითქმის ყველა. რუსები არ გამოცხადდნენ, რადგან სინამდვილეში იყვნენ ყაზანის ღვთისმშობლის (სამისიონერო II), იოანე ნათლისმცემლის (სამისიონერო III), რკინიგზის აღდგომის ეკლესიების მრევლი. არჩევნები რუსთა გამოუცხადებლობის გამო ჩაშლილად გამოცხადდა. მეორე არჩევნებზეც მსგავსი ვითარება დაფიქსირდა. ეგზარქოსმა ინოკენტიმ (1909-1913), რომელიც დიდუბის ტაძრის შერეულ სამრევლოდ ცნობისთვის თავის ძალასა და გავლენას იყენებდა, უწმ. სინოდი შეცდომაში შეიყვანა. მან არჩევნების შედეგები არ დაამტკიცა. მას შემდეგ, 1917 წლისთვისაც კი, დიდუბის ტაძარში მნათე დანიშნული იყო და სამზრუნველო არ არსებობდა (საპატრ. არქივი, აღწ. 1, ს. 323, ფურც. 10-11, 32-33).

თავმჯდომარემ კომისიას შესთავაზა, ტაძარი ეცნოთ ქართულად და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, დაეკმაყოფილებინათ რუსთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნები. ქართველები ამ შეთავაზებას დათანხმდნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 11).

დიდუბის ეკლესიის შესახებ შემთანხმებელ კომისიაში გამართული მსჯელობა მაგალითია, თუ როგორ ცდილობდნენ მრევლის ეროვნული შემადგენლობის შეცვლას თვითმპყრობელი ხელისუფლების ერთგული რუსი სასულიერო პირები.

შემთანხმებელ კომისიაში განხილული სადაო მონასტრები შემდეგია: მარტყოფის წმ. ანტონის და მასზე მიწერილი წმ. სამებისა და წმ. ნინოს (იგივე ფერიცვალების) სავანეები, საფარის, ზარზმის, ტიმოთესუბნის,

ბოდბის, კაბენის, მამკოდის, მცხეთის წმ. ოლღას, გერის, ახტალის, ჰუჯაბის, სოხუმის ეპარქიიდან: დრანდის, ვასილისკო-ოქროპირის, მოქვის მონასტრები.

მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ მონასტრების მესაკუთრეობის დასამტკიცებლად წარმოდგენილი არგუმენტები. ქართველები მსჯელობდნენ ადგილობრივი ეკლესიისათვის ამა თუ იმ სიწმინდის რელიგიურ, საგანმანათლებლო და კულტურულ მნიშვნელობაზე ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. მოჰქონდათ ცნობები მათი მშენებლობის ინიციატორთა, ქტიტორთა, სატაძრო მიწის მფლობელთა, მრევლის ეროვნული შემადგენლობისა და საეკლესიო ჩანაწერთა წარმოების ენის შესახებ. ასევე მიუთითებდნენ, რომ მონასტრებში არსებული ვითარება ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის ეროვნული მისწრაფებების შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

კომისიის რუს წევრებს მოჰქონდათ მონაცემები ეკლესიის მრევლისა თუ მონასტრების მკვიდრთა ეროვნულ შემადგენლობაზე, რუსთა მხრიდან გაღებულ მატერიალურ დანახარჯებსა და ტაძრის არქიტექტურულ ტიპზე. ამ უკანასკნელ არგუმენტს ქართული მხარე იმთავითვე უარყოფდა. მისი მითითებით, საეგზარქოსოს არსებობის პერიოდში საქართველოში ტაძრები, ქართველთა სურვილის გაუთვალისწინებლად, რუსული სტილით ახლდებოდა – ეს ფაქტი კუთვნილების საფუძვლად ვერ გამოდგებოდა. რუსულ მხარესთან ერთად კომისიის თავმჯდომარეც საკითხისათვის ისტორიული ხასიათის ცნობების მნიშვნელობას არ აღიარებდა, უპირატესობას თანადროულ ვითარებას ანიჭებდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 16, 65, 67).

შემთანხმებელი კომისიის სხდომაზე ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოთქმული აზრის მიხედვით, ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადებასთან ერთად ყველა ქართული სიწმინდე საეგზარქოსოს გამგებლობიდან საქართველოს ეკლესიას უნდა დაბრუნებოდა. ეს იქნებოდა გათვალისწინება სიძველეთა ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობისა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ეკლესიას არც ერთი მონასტერი არ დაუბრუნდებოდა. მსჯელობის საგანი შეიძლება გამხდარიყო მეორე მხარის მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილება (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 34, 36, 40, 41-43).

რუსთა მხარის ინტერესების დამცველი ვლადიმერ ოსეცკი აღნიშნავდა, რომ შემთანხმებელ კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა მონასტერთა თანადროული რელიგიურ-საგანმანათლებლო მიზნები და არა მათი ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა მეცნიერებისათვის; ყურადღება უნდა მიექციათ არა იმისთვის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა გადარჩენილ შენობასა ან ნანგრევს საქართველოს ეკლესიისათვის, არამედ იმისთვის, თუ ვინ რა მიზნით იყენებდა მას.

რუსეთის ბატონობის პირობებში მონასტერთა დანიშნულებას, მიზნებს რუსი საერო და სასულიერო ხელისუფალნი განსაზღვრავდნენ. აქ მომრავლებული რუსი ბერ-მონაზვნები, რა თქმა უნდა, თვითმპყრობელი ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდნენ.

შემთანხმებელი კომისიის 1917 წლის 5 მაისის №8 ოქმის მიხედვით ოსეცი ალიარებდა, რომ მონასტრებში უმეტესობა ტაძრებისა ძველი – ქართული იყო. მიუხედავად ამისა, იგი სვამდა კითხვას, თუ მიტოვებულ ნანგრევებზე მონასტერი დაარსებული იყო რუსების მიერ, ყველა მისი ბინადარი ხომ არ უნდა წასულიყო თავისი სამყოფლიდან? (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 34).

ოსეცი ქართველებს სთავაზობდა, ბოდბის მონასტრის შესახებ ცალკე ემსჯელათ, რადგან იქ მონასტერი სრულად დაცული ეკლესიის გარშემო ჩამოყალიბდა. ამავე დროს იგი მხარს უჭერდა ამავე მონასტრის ილუმენია ანასტასიას (ვისოცკაია) უსამართლო ხელისუფლების შენარჩუნებას (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 34; ჟურნალები, 2016: 163; თალაქვაძე, 2013: 40).

კომისიის ქართველმა წევრებმა პროტესტი გამოთქვეს ბოდბეში მონასტრის რუსთაგან დაარსებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსე ჯანაშვილმა მიუთითა, რომ იქ მონასტერი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ მონახულებამდეც (1888 წ.) არსებობდა. ეკლესია და წმ. ნინოს საფლავი განახლდა მიხეილ-გობრონ საბინინის ინიციატივითა და შეგროვებული თანხებით. სერგი გორგაძისა და არქიმანდრიტ ნაზარის აზრით კი ბოდბის მონასტრის რუსთაგან დაარსების მტკიცებისათვის არგუმენტად არ გამოდგებოდა სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის მიერ შედგენილი ე. წ. რუსული მონასტრების ნუსხა. ბოდბე მონასტრად იწოდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ მხოლოდ ერთი ბერი ცხოვრობდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 43, 45). შედეგად თავმჯდომარე დაეთანხმა ინფორმაციას მონასტრის ქართველების მიერ დაარსების შესახებ.

დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ ძველ მონასტერთა მიმართ ქართველების დამოკიდებულების ასახსნელად აღნიშნა, რომ რუსები გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ თავიანთი რომელიმე სიწმინდის განახლებას და იქ არარუსის ჩასახლებას, თუნდაც ის ნანგრევების სახით ყოფილიყო შემორჩენილი. თუ ქართველებმა რუსები მონასტრებში მშობის გამო შეუშვეს, ეს არ იძლევა ფლობის ხანდაზმულობაზე ლაპარაკის უფლებას. მისივე აზრით, რუსებს მონასტრებზე თავიანთი უფლებები არ უნდა განეცხადებინათ, მხოლოდ მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილება შეიძლებოდა მოეთხოვათ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 44).

დეკანოზმა ალექსანდრე რაზუმოვსკიმ მოინდომა მონასტრები თუ მათი ნანგრევები საქართველოს ეკლესიისთვის მნიშვნელოვან და უმნიშვნელო კატეგორიებად დაეყო. ქართველთა ისტორიული სიძველეების რუსთა მიერ

ფლობასთან დაკავშირებით მანვე აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი იცავდნენ მათ და ქართველებს ამ სიწმინდეებით სარგებლობაში სიძნელებს არ უქმნიდნენ; თავიანთი შრომით მოიყვანეს მონასტრები არსებულ მდგომარეობამდე. არ შეიძლება ითქვას, რომ რუსები თვითნებურად ფლობენ ამ მონასტრებს. მიტაცებას ადგილი არ ჰქონია. ამ მოვლენას აკონტროლებდა უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება – უწმ. სინოდი და სინოდის საქართველოში მოქმედი დაწესებულება. ქართველები აქამდე არ აპროტესტებდნენ მონასტრების ფლობას რუსების მიერ. დეკანოზ ალექსანდრეს დასკვნით, ნანგრევებიდან აღდგენილი მონასტრები, რომლებსაც არ ჰქონდათ არანაირი რელიგიური და ისტორიული მნიშვნელობა, რუსულად უნდა ჩათვლილიყო (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 34, 41-42).

კომისიის ქართველი წევრები არ დაეთანხმნენ ამ აზრს და აღნიშნეს, რომ საქართველოს ეკლესიისთვის ყველა ნანგრევს ჰქონდა მნიშვნელობა. მათი მდგომარეობა დამძიმდა, რადგან რუსთა ბატონობის ხანაში ქართველებს თავიანთი სიწმინდეების განკარგვის უფლება არ ჰქონდათ. რუსების მხრიდან თუნდაც დაცვა ქართული სიწმინდეებისა არ უნდა გამხდარიყო კრიტიკიუმი საქართველოს ეკლესიის ნანგრევებისა თუ ქვების მიკუთვნების საკითხის გადასაწყვეტად (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 34, 43).

შემთანხმებელი კომისიის სხდომაზე დასახელდა ერთადერთი ფაქტი, როცა საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა (1906-1908, სოფისკი) მცხეთის ჯვრის მონასტრის რუსი ბერებისაგან განახლების დაწყების საკითხი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის სხდომაზე დასვა. უარის მიღების შემდეგ კი რესტავრაცია მართლაც აღარ უწარმოებიათ. დეკანოზმა რაზუმოვსკიმ ეს შემთხვევა იმის სამტკიცებლად გამოიყენა, რომ ქართველების სურვილი გაითვალისწინეს (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 41).

დეკანოზმა კალისტრატემ და იპოლიტე ვართაგავამ ყურადღება გაამახვილეს, რომ სხვა დროს მსგავსი ფაქტი არ ყოფილა და ქართველებს არ შეეძლოთ ძლევამოსილი ეგზარქოსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ახლა ეკლესია „გაბედულად აცხადებს თავისი თვითგამორკვევისა და თვითმყოფადობის უფლებებს... ითხოვს თავისი საკუთრების დაბრუნებას, რომლითაც აქამდე მის დაუკითხავად სარგებლობდა რუსული საეკლესიო ხელისუფლება,... რომელმაც მიითვისა საქართველოს ეკლესიაზე საკუთრების უფლება და თავისი ინტერესების, შეხედულებების მიხედვით სცემდა განკარგულებებს. ის გარემოება, რომ რუსები სახლდებოდნენ დაცარიელებულ ქართულ მონასტრებში, არ გამოდგება სამართლიანობისა და ამ მონასტრებზე რუსთა უფლებების დამადასტურებლად“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 42).

ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ ქართველებს აღარ შეეძლოთ ზრუნვა თავიანთი მონასტრების აღდგენაზე მას შემდეგ, რაც ეკლესიის კუთვნილი მამულები რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. რუსეთის ხელისუფლების ვალდებულებას ქართველების, როგორც თავისი მოქალაქეების მიმართ, მონასტრების აღდგენაც წარმოადგენდა. ქართველებს ჰქონდათ უფლება, მიეღოთ საშუალებები მონასტრების განსახლებლად. რუსები მხოლოდ აახლებდნენ, არ აშენებდნენ ახალ, დამოუკიდებელ მონასტრებს. მონასტრებთან დაკავშირებით კი სიმბიძის ცენტრს სწორედ წმინდა ადგილი წარმოადგენდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 43).

შემთანხმებელი კომისიის რუსმა წევრებმა საკითხის გადასაწყვეტად სამოქალაქო კანონების გამოყენების აზრიც კი წამოაყენეს, მოინდომეს, მონასტერთა მფლობელობა ხანდაზმულობის გათვალისწინებით მაინც შეენარჩუნებინათ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 43).

სიწმინდეების განკარგვის ხანდაზმულობაზე საუბარი დეკანოზებმა კორნელიმ და კალისტრატემ შეუძლებლად მიიჩნიეს, რადგან რუსეთი საქართველოს უკვე საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ფლობდა. სხვადასხვა მიზეზთა გამო მიტოვებულ მონასტრებთან ქართველებს კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონდათ, რუსებისთვის იქ ლოცვა არ დაუშლიათ, მაგრამ მათი განახლების უფლება არ მიუციათ. მით უმეტეს, რომ რუსი ბერების მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად იყო იმ დრომდე შემონახული მონასტრების გარეგნული სახის დამახინჯებისა ფრესკების განადგურების მაგალითები. ქართველებმა რუსი ბერების მხრიდან ვანდალიზმის ფაქტის დამადასტურებლად გამოიყენეს 6 წლის წინ საფარის ტაძრისა და ფრესკებისთვის გადაღებული სურათები, რომლებიც ისტორიული და ეთნოგრაფიული საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა. მეტიც, ოსეცკიმ თავად წაიკითხა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრისა და ამავე საზოგადოების კავკასიის განყოფილების საქმეთა მმართველ ლეონიდ ზაგურსკის ცნობები საფარის მონასტრის შესახებ. რუსებმა ვერ უარყვეს, რომ საფარის მონასტრის ეკლესია 1872 წლისთვის ძველ ეკლესიათა შორის ყველაზე უკეთ იყო დაცული. დეკანოზმა ალექსანდრე რაზუმოვსკიმ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საჭირო გახდა ტაძრის სახურავის რესტავრაცია, ფრესკებს კი რუსი ბერ-მონაზვნები რუსულ მონასტრებშიც აზიანებდნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 38, 44).

მონასტერთა კუთვნილების საკითხის განხილვისას რუსი ბერების დანაშაულის ფაქტები კაბენის მონასტრთან დაკავშირებითაც გამოიკვეთა. თავმჯდომარემ კომისიის 1917 წლის 5 მაისის სხდომაზე (ოქმი №8) წაიკითხა

1903 წ. მონასტრის დაარსების, წინამძღვრად რუსი არქიმანდრიტის, დავითის (მუხრანოვი)⁸³ დანიშვნის მასშტაბები.

ექვთიმე თაყაიშვილმა კომისიას მოახსენა, რომ კაბენის მონასტერში რუსი ბერების ჩასახლებისა და მათ მიერ იქ არსებული ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთების განადგურების განზრახვას დაუპირისპირდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება. მან შუამდგომლობით მიმართა სინოდის აქაურ კანტორას, აეკრძალათ ბერებისთვის ნანგრევების ხელის ხლება. ბერებმა ითხოვეს, ეჩვენებინათ, თუ რის გამოყენებით შეიძლებოდა მშენებლობა. არქეოლოგიური საზოგადოების წარმომადგენლებმა მისცეს ბერებს აუცილებელი მითითებანი, წაუყენეს უპირობო მოთხოვნა, რომ ნანგრევები დარჩენილიყო ხელუხლებელი. ბერებმა მიცემული სიტყვა დაარღვიეს – მთავარი ტაძრის ნანგრევები მთლიანად გაანადგურეს, რამაც არქეოლოგიური საზოგადოების წევრების აღშფოთება გამოიწვია. სინოდის კანტორამ დაადასტურა ბერების საქციელი. მონასტრის წინამძღვარს მოსთხოვეს მთავარი ტაძარი შემონახული ფოტოების მიხედვით აღედგინა, მაგრამ მდგომარეობა დღემდე უცვლელია. რუსი ბერების მისვლამდე შემორჩენილი ნანგრევები კი ნამდვილად თამარ მეფის მიერ აშენებულ ეკლესიას ეკუთვნოდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, 35; თალაქვაძე, 2013: 27).

დეკანოზმა კალისტრატემ აღნიშნა, რომ 1896 წ. ამ მონასტრის მონახულებისას აღმოსავლეთ ფასადი მთლიანად იყო შემონახული და ფრესკებში ზოგიერთი სახე ნათლად განირჩეოდა. სოფელ ბორბალოს მცხოვრებნი ხშირად მიდიოდნენ იქ სალოცავად. ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, იქვე ლოცულობდნენ კიკეთელებიც.

ოსეცკიმ განაცხადა, რომ გაგონილი აქვს აღნიშნული ნაშთის მიწისძვრისაგან დაზიანების შესახებ, იმ დონეზე, რომ ბერებმა საჭიროდ ჩათვალეს ადგილის გასუფთავება. მწელი დასაშვებია, რომ ბერებს შეძლებოდათ წმინდანების სახის განადგურება. თუ ეს მოხდა, ამაში უფრო მეტად დამნაშავე არიან ქართველი არქეოლოგები, რომლებიც ასე გაუფრთხილებლად მოექცნენ ნანგრევებს საერთოდ და, კერძოდ, კაბენის მონასტრისას.

ექვთიმე თაყაიშვილმა მას უპასუხა, რომ არქეოლოგები უძლურნი იყვნენ, მაშინ, როცა კავკასიის მთავარმართებელ თავად გრიგოლ გოლიცინის (1896-1905) მცდელობამაც, დაეცვა ნანგრევები, შედეგი კი ვერ გამოიღო.

შემთანხმებულ კომისიაში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წარდგენილი ფოტოები ნათელყოფდა ტაძრის ნაშთების არსებობას და მათი გადამღები, I

⁸³. მისი გვარის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით მღვდელ გიორგი მაჩუროშვილს.

კლასიკური გიმნაზიის დირექტორის მეუღლე იყო ცოცხალი თვითმხილველი ბერების მხრიდან ჩადენილი ვანდალიზმისა. მას კიდევაც უთხოვია ბერებისთვის არ დაენგრიათ ნაშთები. ექვთიმე თაყაიშვილმა შემთანხმებელ კომისიაში ასევე მიიტანა სინოდის კანტორის მიმართვა არქეოლოგიური საზოგადოებისადმი (1909 წლის 30 მაისი), ზემონახსენებ არქიმანდრიტ დავითის წინამძღვრობის პერიოდში კაზენის მონასტრის კედლის თვითნებური დამუშავების შესახებ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 36, 40).

არქიმანდრიტმა ნაზარმა (ლექავა) განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია ამ ნანგრევების განადგურების მოტივი: ის იდგა მონასტრის ნაგებობათა შორის და თვალეში ეჩხირებოდა ბერებს.

თავმჯდომარემ მონასტრის გახსნის შესახებ სინოდის კანტორის თანხმობიდან წაიკითხა ის ადგილი, სადაც ბერებს უფლება ეძლეოდათ, აეღოთ ქვები ნანგრევების ბოლო რიგებიდან, რადგან ისინი საშიში იყო იქ მყოფთათვის.

დეკანოზმა ნიკიტა თალაქვამემ გაახმოვანა ბორბალოს საზოგადოების აღმასკომის განცხადება, რომ მიღებულია ზომები მონასტრისთვის იმ მიწის ჩამოსართმევად, რომელიც მას იჯარით აქვს გაცემული. ეს ნიშნავს, რომ ირგვლივ მოსახლენი მონასტრისადმი კეთილგანწყობილნი არ არიან. რუსულმა საეკლესიო ხელისუფლებამ არ გაამართლა ის მიზნები, რისთვისაც ქართულ მონასტრებში რუსი ბერები ჩასახლან. მათ არა მარტო ვერ შეინარჩუნეს ძველი ძეგლები, არამედ გაანადგურეს ისინი (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 36).

კომისიის წევრთა მსჯელობის შედეგად ბენეშევიჩმა ასეთი დასკვნა გამოიტანა: იურიდიულად რუსები აღდგენილი მონასტრების სრულუფლებიანი მესაკუთრენი არიან. მათი მოქმედების კანონიერება უწმ. სინოდის ბრძანებებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, რაც აშენებულია რუსების მიერ, იურიდიულად ეკუთვნით რუსებს, მაგრამ ამგვარი მიდგომა გადამწყვეტი ვერ იქნება. მონასტრებს, როგორც ძველ სიწმინდეებს, ისტორიულ-არქეოლოგიურ მნიშვნელობასთან ერთად აქვთ რელიგიური მნიშვნელობა, რაც განსაკუთრებით ფასეულია ქართველებისთვის. ქართველი ხალხის მიერ შექმნილი რელიგიური სიწმინდეები და რელიგიური ცხოვრების ცენტრები – მონასტრები – უნდა ეკუთვნოდეს ქართველებს. ეს ძირითადი პრინციპია. სხვა გარემოებანი (შემონახულია თუ არა ნანგრევები, როდის და ვის მიერაა აღდგენილი) კარგავენ მნიშვნელობას. თუ მოსახლეობას ახსოვს სიწმინდე, ის მისი რელიგიური ცხოვრების ცენტრია. ე. ი. ყველა სიწმინდე – როგორც ქართველთა მიერ ჩამოყალიბებული, ქართველებით დასახლებული ადგილების რელიგიური ცენტრი – პრინციპულად ქართველების საკუთრებას წარმოადგენს და გადავა საქართველოს ავტოკეფალური

ეკლესიის საკუთრებაში, მაგრამ ნაგებობები, რომლებიც აშენებულია რუსების მიერ, შეადგენს რუსთა საკუთრებას და იქნება მათ გამგებლობაში (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 44-45).

აქვე აღვნიშნავ, რომ შემთანხმებელი კომისიის სხდომის ოქმებში განხილულ სადავო ეკლესია-მონასტერთა შორის არ გვხვდება საქართველოში რუსების მიერ ახალ ადგილზე დაფუძნებული სიწმინდეები.

საკითხზე მსჯელობისას გამოვლინდა საქართველოში ბენეშევიჩის თითქმის ორთვიანი (1917 წლის 11 აპრილი-3 ივნისი) საქმიანობისთვის დამახასიათებელი ორმაგი სტანდარტი. ის გადაწყვეტილებებს რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის დიდმპყრობელური ინტერესებიდან გამომდინარე იღებდა, ამავე დროს ქართველი საზოგადოებისაგან თავისი მოქმედებების სამართლიანად მიჩნევას მოითხოვდა. იგი არ ითვალისწინებდა, რომ ძველი რელიგიური ცენტრების მშენებლობა-განახლებისთვის სახელმწიფო ხაზინიდან გაღებული თანხები საქართველოს საერო თუ საეკლესიო ქონებით იყო უზრუნველყოფილი. საიდან გამომდინარეც, რუსულ მხარეს მხოლოდ თავის კერძო შეწირულობებზე შეიძლებოდა განეცხადებინა მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილების პრეტენზია. მღვდელ ქრისტეფორე ციცქიშვილის მითითებას – ხაზინის თანხა და ტაძრების მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწა რუსული არ არისო – კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამას მნიშვნელობა ექნებოდა ქართველთა ინტერესების განხილვისას (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 323, ფურც. 24). ე. ი. ეს გარემოება გათვალისწინებული იქნებოდა ამა თუ იმ ეკლესია-მონასტრის რუსთა მფლობელობაში გადასვლის შემდეგ ქართველთა მატერიალური და სულიერი ინტერესების დაკმაყოფილებაზე მსჯელობისას.

ეკლესია-მონასტრების ასეთი განაწილება წარმოადგენდა დარღვევას მსოფლიო საეკლესიო კანონების სულისკვეთებისა და წმ. მამათა სწავლებისა, რომელთა მიხედვითაც ეკლესია ტომობრივად არ უნდა დაყოფილიყო. კერძოდ, საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. აღნიშნული დარღვევა პეტროგრადის დროებითი მთავრობის 1917 წლის 27 მარტის დადგენილებით იყო განპირობებული, საქართველოს ეკლესიამ იგი არაერთხელ გააკრიტიკა. ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ შემუშავებულ „ძირითად დებულებებში“ ისიც იყო განაცხადებული, რომ ამ „ანტოკანონიკურის პრინციპის შემოტანისათვის“ საქართველოს ეკლესია პასუხისმგებლობას იხსნიდა, მთავრობის გადაწყვეტილებას იძულებით ემორჩილებოდა (ქურნალები, 2016: 79).

ბენეშევიჩის განმარტებით, საეკლესიო ინტერესების გამიჯვნასთან დაკავშირებით კომისიის მიერ შესრულებული სამუშაო შუალედური იყო.

იგი მხარეებს მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციით უნდა შეეცხოთ. საბოლოოდ კი უმაღლესი ხელისუფალნი გადაწყვეტილებათა მიღებისას გამოიყენებდნენ. ეკლესია-მონასტერთა და საეკლესიო დაწესებულებათა კუთვნილების საკითხის გადაწყვეტამდე კი მათ მართვა-გამგეობაში არაფერი უნდა შეცვლილიყო.

მეტეც შემთანხმებული კომისიის თავმჯდომარე ისევ ამიერკავკასიის მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ საუბრობდა და ავტოკეფალისტებს ეკლესიის მმართველ ორგანოთა სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორაში გაერთიანების პროექტს სთავაზობდა (საპატრ. არქივი, აღწ. 1, ს. 323, ფურც. 46, 56). რასაც საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიაში ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა.

რუსულ-ქართული საეკლესიო ინტერესების გაყოფასთან დაკავშირებული მუშაობა ქართველებისთვის ძალიან მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ თავმჯდომარე მათ აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებას არ აძლევდა, უყვიროდა, როცა მის შეხედულებას ეწინააღმდეგებოდნენ; არ ერიდებოდა წერილობით მუქარასაც, რომ მათ კომისიის სხდომებზე დასწრების უფლებას მოუსპობდა და სხვ. (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6489, ფურც. 26).

ძლიერი მორალური ზეწოლის მიუხედავად, საეკლესიო ცხოვრებაში ერთგვარი წესრიგის დასამყარებლად, ქართული მხარე კომისიის მუშაობაში ბოლომდე მონაწილეობდა.

1 ივნისის სხდომაზე ბენეშევიჩმა თავის გამგზავრებასთან დაკავშირებით კომისიის მომავალი საქმიანობა დაგეგმა. მისი აზრით, მუშაობა დროებით შეწყდებოდა; ორივე მხარე განიხილავდა ერთობლივად შესრულებულ სამუშაოს; შემდეგ დაიწყებდა მასალის შეგროვებასა და საერთო კრებების რეგულარულად გამართვას (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 84-86).

№19 ოქტომბრის თავმჯდომარის მიმართ კომისიის წევრების გამოსამშვიდობებელი მიმართვები. რუსთა სახელით დეკანოზმა იოსებ ორეხოვმა ბენეშევიჩს საქმის ობიექტურად და ყურადღებით წარმოებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წარმომადგენლებმა მთავრობის რწმუნებულის მუშაობით იმედგაცრუება ამ შემთხვევაშიც არ დაფარეს და აღნიშნეს, რომ მან ვერ გაამართლა ქართველი ხალხის იმედები, რომ მისი თავმჯდომარეობით კომისიის მუშაობას საქმე წინ არ წაუწევია, რომ „ძირითად დებულებათა“ დამტკიცებისთვის ბენეშევიჩმა თავისი დიდი უფლებამოსილება არ გამოიყენა. ქართველებმა მას მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს და საქმის წარმატებით გაგრძელების იმედი გამოთქვეს (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 89).

ბენეშევიჩმა უპასუხა, რომ ის დარჩა ისეთად, როგორც იყო და ვინმეს ნდობის დამსახურება მიზნად არ ჰქონია. მას შეუძლია იმოქმედოს იმ ნდობის საფუძველზე, რომელიც დაიმსახურა, როგორც მეცნიერმა. მთავრობის რწმუნებულმა არც მუშაობის ნელი ტემპი აღიარა; ყველაფრის გათვალისწინება რომ ვერ მოხერხდა, მისთვის პეტროგრადში უფლებამოსილების სწრაფი მინიჭებით ახსნა; „ძირითად დებულებათა“ დამტკიცება კი საკუთარ უფლებებზე აღმატებულად გამოაცხადა.

ამ უკანასკნელი განმარტების სიცრუე იმავე, 1917 წლის ივნისში დადასტურდა. პეტროგრადში ჩასული საქართველოს ეკლესიის დელეგაციისთვის (მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგამე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე) ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ „დებულებათა“ დამტკიცების შეყოვნებაში წვლილი ბენეშევიჩსაც მიუძღოდა. მას პეტროგრადის მთავრობისთვის დეპეშით უთხოვია, საქართველოს ეკლესიის უფლებები მის ჩასვლამდე არ დაედმტკიცებინათ. ეს მაშინ, როცა თბილისში ავტოკეფალისტებს არწმუნებდა, „დებულებათა“ დამტკიცების დაჩქარება ხელისუფალთ სამჯერ მაინც შევახსენეო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465, ფურც. 3-4).

3 ივნისის სხდომაზე გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ბენეშევიჩმა ყურადღება გაამახვილა გაზეთებში მის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებზე და საქართველოს ეკლესიის საკითხში საკუთარი საქმიანობის უარყოფითად შეფასება უსამართლობად მიიჩნია: „თავდასხმების მიუხედავად, ვიყავი ობიექტური და მიუკერძოებელი, არაფერს შეეძლო სწორი გზიდან ჩემი გადახვევა... როგორც მეცნიერი ვარ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი და ასეთადვე დავრჩები“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, ფურც. 89). რეალურად კი ის საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხს რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავდა და ამის შესახებ ქართული მხარისთვის განცხადებულები ჰქონდა (ყურნალები, 2016: 66).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველად ბენეშევიჩის ჩათვლა ნამდვილად შეუძლებელი იყო, თუმცა მოგვიანებით ვლინდებოდა მისი, როგორც მეცნიერის თანაგრძნობა ქართველებისადმი (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივანე ჯავახიშვილის ფ., ს. 1626, ფურც. 1; იქვე, ს. 1630, ფურც. 1; იქვე, ს. 1628, ფურც. 1).

ავტოკეფალისტებს სჯეროდათ, რომ მთავრობის რწმუნებულს გაცილებით ფართო უფლებამოსილება ჰქონდა, ვიდრე თვითონ აცხადებდა. ამ მიმართულებით ეჭვი პროფესორმა ნიკო მარმაც გააძლიერა. მან 1917 წლის 5 ივნისს, ავტოკეფალიის საკითხებთან დაკავშირებით ეკლესიის დროებითი მმართველობის მოსაზრებათა მოსმენის შემდეგ აღნიშნა, რომ

საქართველოში ბენეშევიჩი თითქოს სხვა პიროვნებად ქცეულა – ორი თვის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია მაშინ, როცა ქართული, ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაც შეეძლო. იგი საქართველოდან ისე წავიდა, ერთი საკითხიც ბოლომდე არ გადაუწყვეტია (ჟურნალები, 2016: 143).

ავტოკეფალისტები ნიკო მარის მოსაზრებათა მოსმენის შემდეგ კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ საქმის დასაჩქარებლად პეტროგრადში დელეგაციის გაგზავნის საჭიროებაში (ჟურნალები, 2016: 143).

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები პეტროგრადში 1917 წლის 14 ივნისს ჩავიდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ „ძირითად დებულებათა“ დამტკიცების დასაჩქარებლად, მაგრამ პროცესი მაინც გაჭიანურდა. ბენეშევიჩის მოხსენების საფუძველზე მთავრობამ 25 ივლისს საქართველოს ეკლესიის უფლებები შეკვეცილი სახით დაამტკიცა, შეინარჩუნა 1917 წლის 27 მარტის აქტით ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფა, მთავრობის მხრიდან ეკლესიის კონტროლი, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული საზღვრების უგულებელყოფა. დადგენილების სიახლეს წარმოადგენდა ეკლესიის საჭეთმპყრობლისთვის მცხეთის მთავარეპისკოპოსისა და სრულიად ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქის წოდების მინიჭება. თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია არაოფიციალური გზებით წინასწარ იყო გავრცელებული და მის თავიდან ასაცილებლად ქართველები პირადი ურთიერთობების გამოყენებასაც შეეცადნენ.

25 ივლისის დადგენილებაში პატრიარქის წოდების ფორმულირება ქართულმა დელეგაციამ და ეკლესიის მმართველმა უმაღლესმა ორგანომ გააპროტესტეს, მაგრამ უშედეგოდ.

ავტოკეფალისტებმა, ეკლესიის საჭეთმპყრობლის ახლად დამტკიცებული წოდებიდან გამომდინარე, თბილისში რუსი მღვდელმთავრის დასმისთვის ხელის შესაშლელად 1917 წ. 13 აგვისტოს თბილისის სამიტროპოლიტო კათედრა აღადგინეს. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე) ტფილელად აკურთხეს (გაზ. „საქართველო“, №179: 1).

იმავე 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა გადატრიალებამ, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ლოცვით-ეკვარისტული კავშირის გაწყვეტამ ხელი შეუშალა რუს-ქართველთა შემთანხმებელი კომისიის მუშაობის შედეგების საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში რეალიზაციას – საქართველოს ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფის კიდევ უფრო გაღრმავებას.

კომისიის სხდომის ოქმები, მიუხედავად იმისა, რომ მას ქართული მხარე სხდომებზე არსებული ვითარების სრულად ასახვის თვალსაზრისით მაღალ შეფასებას არ აძლევდა, გვაწვდის ინფორმაციას საქართველოს ეკლესიისა და ქვეყნის ისტორიის ფურცლების შესავსებად. საქმეში დაცული მასალა

მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კომისიაში წარმოებული მუშაობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა ცხოვრებაში გახორციელებისთვის ბრძოლის ერთ-ერთ ასპარეზს წარმოადგენდა. ამავე დროს ის პეტროგრადში, ხელისუფლების მაღალ ინსტანციებში საქართველოს ეკლესიის საკითხებზე მსჯელობისთვის იყო განკუთვნილი.

კომისიის სხდომებზე ქართველი მდივნების მიერ ოქმების რუსულად წერაზე უარის თქმა (თუმცა მათ ეს მიზეზი პირდაპირ არ განუცხადებიათ) საქართველოს ეკლესიის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ დასტურად მიმაჩნია.

ოქმებში ტადართა თუ მონასტერთა მესაკუთრეობის დასამტკიცებლად ქართული და რუსული მხარეების მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმები და არგუმენტები გარდა იმისა, რომ თავისთავად საინტერესოა, მნიშვნელოვანია სადავო ეკლესია-მონასტრების ისტორიის თვალსაზრისითაც;

ოქმებით დასტურდება რუსი ბერების მიერ ეკლესიების გარეგნული იერსახისა და ფრესკების დამახინჯება-განადგურების ფაქტები. ამის შესახებ შემთანხმებული კომისიის ქართველი წევრების მიერ გამოთქმულ აზრებს რუსებიც ვერ უარყოფდნენ. ეს კი ერთ-ერთი დადასტურებაა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება რუსული საეკლესიო ხელისუფლების მტკიცება, თითქოს ქართულ მონასტრებში რუსი ბერების ჩასახლების მიზანი იქ არსებული ძეგლების დაცვა-პატრონობაც იყო.

კომისიის ქართველი წევრების მიერ ოქმებში შეტანილმა დამატებებმა ასახა და ისტორიას შემოუნახა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხისადმი შემთანხმებული კომისიის თავმჯდომარის ტენდენციური, უსამართლო მიდგომის ზოგიერთი ფაქტი.

მასალა გვიდასტურებს ავტოკეფალისტთა აზრის ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვითაც პროფ. ბენეშევიჩი დროებითი მთავრობის ინტერესების გამტარებლად და არაობიექტურ მსაჯულადაა შეფასებული.

კომისიის სხდომის ოქმები ასევე მეტ-ნაკლებად გვიქმნის წარმოდგენას იმ დაძაბულ გარემოზე, რომელშიც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დამცველებს უხდებოდათ მუშაობა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზ. „საქართველო“, №179 – გაზეთი „საქართველო“, 14.08.1917, №179.
2. თალაქვაძე, 2013 – ნიკიტა თალაქვაძე, მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბილისი, 2013.
3. ჟურნალები, 2016 – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი), გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, 2016.

4. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 323.
5. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6465.
6. საპატრ. არქ., ს. 6489 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6489.
7. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივანე ჯავახიშვილის ფ., ს. 1626 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 1626.
8. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივანე ჯავახიშვილის ფ., ს. 1628 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 1628.
9. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივანე ჯავახიშვილის ფ., ს. 1630 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 1630.
10. „Кавказский календарь“, 1916 – „Кавказский календарь“ на 1917 г., Тифлисъ, 1916.

The Unwritten Custom about Christian Women
„უწერელი ჩუეულება“ ქრისტიანი ქალების შესახებ“⁸⁴

Nino Gagoshashvili

Researcher at the Shota Rustaveli

Institute of Georgian Literature,

Tbilisi Ivane Javakhishvili State University

e-mail: ngagochac@yahoo.fr

ORCID: <https://orcid.org/0009-0001-8048-6324>

Abstract: In the official Canonical tradition, the laws passed by world and local Church Assemblies enjoy unwavering authority. Excerpts from Epistles or other works by the Holy and Blessed Fathers of the Church, which are approved as tradition and cannot be changed or denied by anyone; are also approved by the V-VI Church Assemblies.

As for the first three centuries, during this period the Church life is directly connected with the Apostolic tradition, custom; examples of which can be found in *Didache* (75-85), in the Epistle of Clement of Rome *To the Corinthians* (ca. 95 AD), in Justin's *Apology* (middle of the 2nd century), in the Synodal Acts of the local Churches (2nd and 3rd centuries), in the Decrees by the Apostles and others.

This so-called Customary Law has become a source of eternal inspiration for the Canonical tradition. This is confirmed by Canon 6 of the First World Church Assembly and Canon 2 of the Second World Church Assembly. In the same vein, the letter of Basil the Great To Amphilochius *On the Holy Spirit*, which shows the special importance of the old rule in spreading the faith of the Apostles and in the Holy tradition of the Church, is the basis of many other rules developed at world and local Church Assemblies. It says: "Numerous righteous and enlightening teachings preserved in the Church were handed down to us in writing, and some of them, which come from the tradition of the Apostles, were kept secret from us. ... If

⁸⁴სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ქალთა ქრისტიანულ-ასკეტური და მონაზვნური ცხოვრების ტრადიცია და მისი გამოვლენა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში (IV-XIII ს-ის დასაწყისი)“ (PHDF-22-3795) – ფარგლებში.

The article was prepared in the framework of the project – "The tradition of women's Christian-ascetic and monastic life and its revelation in ancient Georgian historical writing (beginning of IV-XIII centuries)" (PHDF-22-3795) funded by Shota Rustaveli National Science Foundation.

we try to change these "unwritten rules" as not having much power ... our preaching will become just empty words."

This "unwritten rule" or the "custom", which is equal in force to the Law, allows us to reconsider the existing Laws about the place and role of women in the Church of Christ, collected from the Christian Canonical Collection *The Law of the Great Faith*. The Laws mostly concern the place of women in the family, marriage, Church; there are rules that the Law of Faith attributes to "custom" and does not specify, etc. These issues are particularly relevant due to the growing interest to the gender studies.

Key words: Custom; woman; The Great Faith Canon; Old and New Testament; Epistle.

ნინო გაგოშაშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შოთა რუსთაველი ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: ngagochac@yahoo.fr
ORCID: <https://orcid.org/0009-0001-8048-6324>

აბსტრაქტი: ოფიციალურ კანონიკურ ტრადიციაში შეურყეველი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე მიღებული კანონები. V-VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ ასევე აპრობირებულია ეკლესიის წმინდა მამების ნაშრომთა ამონარიდები, რომლებიც აღიარებულია, როგორც ჩვეულება/ტრადიცია და დაცული უნდა იყოს.

სწორედ ჩვეულებას უკავშირდება ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის ეკლესიის ცხოვრება. ამის მაგალითებს ვპოულობთ „დიდაქეში“ (75-85), კლიმენტი რომაელის ეპისტოლეში „კორინთელთა მიმართ“ (დაახლ. 95 წ.), იუსტინეს „აპოლოგიაში“ (II ს. შუახანები), ადგილობრივი ეკლესიების სინოდალურ აქტებში (II და III საუკუნეები), „მოციქულთა განწესებანში“ და სხვ.

შემდეგ ეს ე. წ. ჩვეულებითი სამართალი ქრისტიანული კანონიკური ტრადიციისათვის მარადიული შთაგონების წყარო გახდა. ამას ამტკიცებს I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 კანონი („ძუელნივე წესნი იპყრობოდედ...“) და II მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 კანონი („...ბარბაროზებრთა წარმართთა შორის მყოფთა ეკლესიათა ღმრთისათა განგებაი ჯერ-არს მამათა მიერ დამტკიცებულსაებრ ჩუეულებისა“). ამავე სულითაა აღსავსე ბასილი დიდის წერილი „ამფილოქეს მიმართ სულისა

წმიდისათვის“, რომელიც წარმოაჩენს ძველი წესის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოციქულთა რწმენის გავრცელებისა და ეკლესიის წმინდა ტრადიციაში, არის საფუძველი მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე შემუშავებული სხვა მრავალი წესისა. მასში ნათქვამია: „სჯული და ეკლესიაში დაცული არაერთი განმანათლებელი სწავლება წერილობით გადმოგვეცა, ზოგიერთი კი, რომლებიც მოციქულთა ტრადიციიდან მომდინარეობს, საიდუმლოდ გვებოძა. ... თუ ვცდებით, ხელვეყთ ეს „უწერელი წესნი“, როგორც არცთუ ისე დიდი ძალის მქონე ... ჩვენი ქადაგება მხოლოდ ლიტონი სიტყვა გახდება“.

სწორედ ეს „უწერელი წესი“, იგივე „ჩუელება“, რომელიც ძალით კანონის თანასწორია, იძლევა საშუალებას, ახლებურად გავიაზროთ ქრისტეს ეკლესიაში ქალის ადგილისა და როლის შესახებ არსებული ზოგიერთი კანონი, ამოკრებილი ქრისტიანული კანონიკური კრებულიდან „დიდი სჯულისკანონი“. კანონები უმეტესად ეხება ქალის ადგილს ოჯახში, ქორწინებაში, ეკლესიაში, გვხვდება წესები, რომლებსაც სჯულის კანონი ტრადიციას მიაწერს და არ განმარტავს და ა. შ. ეს საკითხები მეტად აქტუალურია გენდერული კვლევების მიმართ მზარდი ინტერესიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: ჩუელება; ქალი; დიდი სჯულისკანონი; ძველი და ახალი აღთქმა; ეპისტოლე.

შესავალი: საეკლესიო სამართლის ფუნდამენტურ წყაროს წარმოადგენს წმინდა მამათა მიერ შემუშავებული და საეკლესიო კრებებზე დადგენილი კანონები, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ ეპოქაში წარმოშობილი საეკლესიო პრობლემები და მათი გადაჭრის ფორმები. საუკუნეთა განმავლობაში ამ კანონთა საშუალებით განაცხადებს ეკლესია „უტყუელ“ ქრისტიანულ რწმენას.

ტერმინი „კანონი“ გამოხატავს ყოველივე იმას, რაც ეკლესიის მიერ კანონიკურად, ანუ სულიწმინდის უშუალო მონაწილეობით მიიღეს ეკლესიის დიდმა მამებმა. ამა თუ იმ დროში შექმნილი კანონი განუყრელად უკავშირდება უმთავრეს რელიგიურ პრინციპს - ქრისტეს განცხადების საიდუმლოს. გარდა ამისა, ის უზრუნველყოფს როგორც ეკლესიის მისტერიული არსის უცვალეობას, ასევე მორწმუნეთა მიერ ქრისტეს მაცხოვრებელი მოძღვრების შეურყენელად დაცვასა და განმტკიცებას.

ოფიციალურ კანონიკურ ტრადიციაში შეურყვეველი ავტორიტეტით სარგებლობს მოციქულთა განწესებანი, შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებასა და ადგილობრივ კრებებზე მიღებული კანონები, ასევე ამონარიდები ეკლესიის წმინდა და ნეტარი მამების ეპისტოლეებიდან და შრომებიდან და აქვთ იგივე ძალმოსილება, როგორც ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე მიღებულ კანონებს (აპრობირებულს V-VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე);

ეპისტოლეების ფრაგმენტები ეკუთვნით მთავარეპისკოპოს დიონისე ალექსანდრიელს, პეტრე ალექსანდრიელს, გრიგოლ საკვირველთმოქმედს, ბასილი დიდს, გრიგორი ღვთისმეტყველს, ამფილოკე იკონიელს, ტიმოთე ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსსა და სხვებს. თითოეული მათგანი არის წყარო მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სამართლისა, გაერთიანებულია კანონიკურ კრებულში „დიდი სჯულის კანონი“ და წარმოადგენს ბიზანტიურ-ბერძნული წარმოშობის საკანონმდებლო ძეგლის – „ნომოკანონის“ – ქართულ რედაქციას. მასში შესულია XII საუკუნის ქართული საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლიც „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა“.

ყველა ადგილობრივი ეკლესია და, თავისთავად, ქართულიც, ვალდებულია ისარგებლოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შემუშავებული ამ საკანონმდებლო ძეგლებით. აქედან გამომდინარე, „ქართული საეკლესიო სამართალი, ერთი მხრივ, მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობას ემყარება და მისი საეკლესიო კანონმდებლობის სათავეს მსოფლიო კრებები შეადგენს, მეორე მხრივ კი ასეთს წარმოადგენს საქართველოს ადგილობრივი კრებები, როგორც ივანე ჯავახიშვილი უწოდებდა – „ადგილობრივი კრებანი“ (ჯავახიშვილი, 2010: 6).

საეკლესიო კანონები იყოფა დოგმატურ (სწავლამომდგრებით) და პრაქტიკულ (საეკლესიო წესრიგის მკაცრად განმსაზღვრელ) კანონებად, მათი მთავარი თემებია: კანონიკური საიდუმლო ხელდასხმები, ადგილობრივი ეკლესიების ადმინისტრაციული საკითხები, მსჯავრი ერესებისა და სქიზმისათვის, კანონები იერარქიისა და მორწმუნე მრევლის ღვთივსათნო ცხოვრებისა და ზნეობის დაცვის აუცილებლობის შესახებ, საეკლესიო სამართლით წესრიგდება საოჯახო და საქორწინო სამართლის საკითხები და სხვ. მათ შორისაა კანონები ქალთა შესახებ, რომლებიც აჩვენებს, თუ რამდენად განუყოფელია ქრისტიანი ქალის იდეალი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტისგან; რამდენად შეცვალა ქრისტიანობამ ქალისადმი დამოკიდებულება ქრისტიანულ სამყაროში; რა სოციალური, ყოფითი, იურიდიული ნორმები განსაზღვრავდა ქალთა ცხოვრების წესს; რა კულტურული სტერეოტიპები იჩენდა თავს ქალთა საზოგადოებრივი და საეკლესიო ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში, მაგ. ქორწინებისას, სულიერ გზაზე შედგომისას და ა. შ.

ამჯერად ყურადღება გამახვილდება „დიდი სჯულისკანონიდან“ ამოკრებილ იმ რამდენიმე კანონზე, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ საადათო/ჩვეულებით სამართალს, იგივე „უწერელ ჩუეულებას/წესს“ და მიემართება ქრისტიან ქალებს.

ამ ტიპის კვლევის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გენდერული კვლევების მიმართ გაჩენილი ინტერესი, რაც ითხოვს ისტორიულ პროცესებში ქალის ადგილისა და როლის უფრო

სრულყოფილად წარმოჩენას. აქედან გამომდინარე, ქალთა ქრისტიანული ცხოვრების ტრადიციის ფორმირებისა და გამოვლენის თავისებურებანი არაერთი მიმართულებით შეისწავლება. სწორედ ამ თავისებურებათა გამომწვევი მიზეზების გაანალიზება - საეკლესიო სამართლის ნორმების შესწავლითა და წმინდა მამათა სწავლებებზე დაყრდნობით - კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს ქრისტეს ეკლესიაში ქალისადმი დამოკიდებულებას.

მსჯელობა/შედეგები: „დიდი სჯულის კანონში“ მოძიებულია ასამდე კანონი, რომლებშიც საუბარია ქალთა უფლება-მოვალეობებზე, აქედან დაახლოებით ორმოცდაათი კანონი უკავშირდება უშუალოდ ქალებს, დანარჩენი კი თანაბრად ეხება ორივე სქესის წარმომადგენლებს. მათგან უმეტესობა ზნეობრივ-პრაქტიკული ხასიათისაა, ანუ მიუთითებს ქალის როლის შესახებ ქრისტეს ეკლესიაში, ოჯახში, საზოგადოებაში, განსაზღვრავს მისი ქცევის ნორმას, ადგილს ღვთისმსახურებაში, ასწავლის ზნეობის დაცვის აუცილებლობას საეკლესიო ცხოვრებაში და ა. შ.

ქრისტიანული საეკლესიო სამართლის ნორმები შთაგონებულია წმინდა წერილით და საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს; ეს განპირობებულია ახალ აღთქმასა და ეკლესიის წმინდა ტრადიციაში ძველი აღთქმის ქრისტოცენტრულობით, რომლის მიხედვითაც ძველი აღთქმა დაწერილია სულიწმინდის კარნახით და მოიცავს საღვთო ჭეშმარიტებანს.

ამასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ეკლესიის რწმენა ეთანხმება იმთავითვე შეუვალ ერთობას ძველ და ახალ აღთქმას შორის. ამის გამოა, რომ ეკლესია იყენებს ძველ აღთქმას თავის სწავლებებში, ისევე როგორც ლიტურგიკაში და, ზოგადად, სულიერ ცხოვრებაში“. ეს ნიშნავს, რომ ძველი აღთქმის მცნებანი და სწავლებანი სულაც არ არის უცხო ახალი ჭეშმარიტების შესაცნობად და ის ქრისტიანული ეკლესიისთვის, მისი კანონიკისათვის, უფრო მეტიც, წმინდა ტრადიციისათვის (მაგ. ათი მცნება, ქორწინებისა და ღვთისმსახურების ხელისშემშლელი პირობები, სამართლის კრიტერიუმები და სხვ.) - მეტად ღირებულია (იხ.: Phidas, 1998: 42).

ცხადია, უმთავრესი წყარო და საფუძველი მთელი ქრისტიანული კანონიკური ტრადიციისა არის ახალი აღთქმა, რომელიც მოიცავს სწავლებას ქრისტეს გამომხსნელი ღვაწლის შესახებ, მოციქულთა საქმეებს, მათ როლს ეკლესიის დაფუძნების პროცესში და ა.შ. ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ეკლესიის საღვთისმსახურო გამოცდილება სწორედ **მოციქულთა ტრადიციას** უკავშირდებოდა. ამის მაგალითებს მეტ-ნაკლებად ვპოულობთ *დიდაქეში* (75-85 წწ.), კლიმენტი რომაელის ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (დაახლ. 95 წ.), ეგნატე ანტიოქიელის ეპისტოლეებში (II ს.), იუსტინეს *აპოლოგიაში* (II ს-ის შუახანები), ირინეოს ლიონელის შრომებში (I ს-ის. დასასრული), ადგილობრივი ეკლესიების

სინოდალურ აქტებში (II და III საუკუნეები), *მოციქულთა განწესებანში* (IV ს. შუახანები) და სხვ.

გარდა წერილობითი კანონებისა, ქრისტიანული ეკლესიაში არსებული ეს „ჩუეულება“, „უწერელი წესი“ (აუცილებლად აღსასრულებელი დაუწერელი წესი, კანონი), კანონიკური ტრადიციისათვის მარადიული შთაგონების წყარო გახდა. ამას ამტკიცებს ბასილი დიდის ეპისტოლე „სულისა წმიდისათვის ნეტარისა ამფილოქეს მიმართ“. ამ წერილში წმინდა მამა ძველ წესს მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე შემუშავებული მრავალი კანონის საფუძვლად მიიჩნევს და წინ წამოსწევს მის განსაკუთრებულობას. ბასილი დიდის თანახმად, „რჯული და ეკლესიაში დაცული არაერთი განმანათლებლური სწავლება წერილობით გადმოგვეცა, დანარჩენი კი მოციქულთა ტრადიციიდან მომდინარეობს და საიდუმლოდაა მონიჭებული. თუმცა ერთსაც და მეორესაც თანაბარი მნიშვნელობა აქვს რწმენის გავრცელებისა და განმტკიცების პროცესში და არავის აქვს უფლება მათი დაკნინებისა. ...მაგრამ თუ ვეცდებით ხელვყოთ ეს „უწერელი წესნი“, როგორც არცთუ ისე დიდი ძალის მქონე, მოგვეზღვება თვით უფლის სახარებიდან და, უფრო მეტიც, ჩვენი ქადაგება ლიტონი სიტყვა გახდება“ (დიდი სჯულისკანონი, 1975:506).

ბასილი დიდი ამ „ჩუეულების“ პრაქტიკაში გამოყენების შესახებ საუბრობს ასევე თავის კანონიკურ ეპისტოლეში დიოდორე ტარსელის მიმართ. წმინდა მამა ამბობს: „აწ ძალად გუაქუს მოცემული ჩუენდა უწერელი ჩუეულებაი, რომელი ძალითა სწორ არს სჯულისა, ამისთვის რამეთუ წმიდათა კაცთა მიერ მოცემულ არიან ჩუენდა ეგევითარისა მის ჩუეულებისა წესნი“ (დიდი სჯულისკანონი 1975: 498). ეს სიტყვები კიდევ ერთი დამოწმებაა იმისა, რომ „უწერელი ჩუეულება“ თავისი ძალით კანონის თანასწორია, რადგან წმინდა კაცთა მიერ არის დადგენილი.

ამასვე ამტკიცებს ტრულის საეკლესიო კრების მე-2 კანონი (დიდი სჯულისკანონი, 1975, 371-373), რომელშიც საუბარია მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებებსა და ეკლესიის მამებზე, რომელთა მიერ შემუშავებულ კანონებს ქრისტიანული ეკლესია კანონიკურად აცხადებს. მათ შორის მოხსენიებულია წმინდა კვიპრიანე კართაგენელისა (+258) და მასთან ერთად შეკრებილი მამების მიერ მიღებული კანონებიც, რომელთა განწესებაც, როგორც **ჩვეულება/ტრადიცია**, მხოლოდ წმინდა მღვდელმთავრისადმი დაქვემდებარებულ განსაზღვრულ ადგილებში იყო შენარჩუნებული და სხვა ეკლესიებზე არ ვრცელდებოდა. მიუხედავად ამ კანონების ლოკალურობისა, კრებამ ისინი (ზემოხსენებულ კანონებთან ერთად) ნორმად მიიჩნია და დაადგინა: *არავის აქვს ნება ხელყოს ეს კანონები, უარყოს ან შეცვალოს. თუკი ვინმე მას დაარღვევს ან შეურაცხყოფს, დაისჯება ამავე კანონების განჩინებით, ხოლო თუ ვინმე ღირსი გახდება*

შენდობისა, იმ კანონებითვე მიიღებს კურნებას, რომელთა წინაშეც სცოდა (შდრ.: დიდი სჯულისკანონი 1975,373).

საეკლესიო სამართალში გვხვდება არაერთი კანონი, რომლებიც ქალის ადგილს ეკლესიაში სწორედ ამ ჩვეულებითი სამართლიდან⁸⁵ გამომდინარე განსაზღვრავს. მაგალითად, ამ მხრივ საყურადღებოა მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების 70-ე კანონი (ასევე ლაოდიკიის კრების 44-ე კანონი), რომელშიც ნათქვამია: „არა უხმს დედათა უბნობაი ჟამსა წმიდისა ჟამისწირვისასა, არამედ, ხმისაებრ მოციქულისა პავლესსა, დუმილით მდგომარეობაი, რამეთუ არა ბრძანებულ არს მათდა სიტყუად, არამედ დამორჩილებად, ვითარცა შჯულიცა იტყვის. ხოლო უკუეთუ სწავლის რაიმე უნდეს, სახლსა შინა თვისთა ქმართა ჰკითხედ მათ...“ (I კორ. 14: 34-35)⁸⁶.

თავად ეს კანონი არაფერს განმარტავს, იგი ქალებს ღვთისმსახურებისას მხოლოდ დუმილისკენ მოუწოდებს, წმინდა იოანე ოქროპირი (+407) კი წერს, რომ მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების აღნიშნული კანონი შესაბამისობაშია ძველ აღთქმასთან, კერძოდ, „დაბადების“ შემდეგ მუხლთან: „ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევაჲ შენი და იგი გეუფლებოდეს შენ“ (3:16). წმინდანის აზრით, პავლე მოციქული ზემოხსენებული სიტყვებით ბრძნულად მოუწოდებს ქალებს არა მარტო ეკლესიაში დადუმებისკენ, არამედ მორჩილებისკენ. ამ უპირველესი ქრისტიანული სათნოებით (მორჩილებით) უნდა გამოირჩეოდნენ ისინი ქრისტეს ეკლესიაში, ქმრებთან თუ მოძღვრებთან ურთიერთობისას; მაგრამ,

⁸⁵ საეკლესიო სამართალი ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებს ბუნებით სჯულს, რომელიც, შეიძლება ითქვას, ზემოდან (ღვთისგან გამოცხადებით მოცემულ რჯულამდე), ბუნებითად არის ჩანერგილი ადამიანის გულში, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში. ბუნებითი სამართალი სისტემურადაა გავრცობილი პლატონთან, არისტოტელესთან, განსაკუთრებით კი სტოიკოსებთან და დიდი გავლენა იქონია რომაულ სამართალზე. ამ საკითხთან დაკავშირებით გამორჩეულად საინტერესოა ციცერონის ერთი ციტატა: „ეს (ბუნებითი სჯული) არის ჭეშმარიტი კანონი, მართალი სამართალი, ბუნებასთან შესაბამისობაში, განფენილი ყოველ კაცში, უზენაესი ჭეშმარიტება, რომელიც მოგვიწოდებს, ყოველივე ადვასრულოთ წესისა და რიგის თანახმად, რაც ბოროტს აგვაშორებს, დაგვიფარავს, მას ვერ შეცვლის ვერც სხვა კანონები და ვერც ბოროტის მანქანება!“ (ციცერონი: III, 22, 33).

⁸⁶ ამერიკელი მეცნიერის, რობინ სქროგის, მტკიცებით, მოციქულის ეს მოსაზრება შეუსაბამოა იმასთან, რასაც პავლე ზოგადად ქალებზე წერდა. კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლის ეს მუხლი კი მის მიერაა ჩამატებული, ვინც დევტეროპავლიები (Δευτεροπαύλειες) და სამოძღვრო ეპისტოლეები (Ποιμαντικέ επιστολέ) შეადგინა და ისინი შეცდომით პავლე მოციქულს მიაწერა (Rodney Stark, 2011: 118-136).

როგორც წმინდა მამა ამბობს, „თუ მათ არც ლაპარაკი შეუძლიათ და არც შეკითხვის დასმა, მაშ, რატომ უნდა ესწრებოდნენ ლიტურგიას? – რათა მოუსმინონ იმას, რაც საჭიროა და შინ, ქმრებთან გაარკვიონ, თუ რამ გაუგებარია... პავლე მოციქულმა ცოლებს მასწავლებლად ქმრები დაუნიშნა, ეს კი ორივესთვის სარგებლის მომტანია: ცოლები მოკრძალებას სწავლობენ, ხოლო ქმრები ყურადღებიანი ხდებიან“ (<https://bible.by/fater/53/14/34/>).

ფსევდოკლიმენტი ამ ტიპის საკითხთან დაკავშირებით *მოციქულთა განწესებანის* მე-3 წიგნში განმარტავს, რომ ქალებს არ აქვთ უფლება ასწავლონ ეკლესიაში, მათ მხოლოდ უნდა ილოცონ და მოძღვრებს მოუსმინონ. „თავად მაცხოვარს ქალები არასოდეს გაუგზავნია საქადაგებლად! ეს რომ საჭირო ყოფილიყო, უპირველესად, თავად უფალი მოუწოდებდა მათ ამისკენ... ხოლო თუ ცოლის თავი ქმარია, მაშინ უსამართლოა სხეულის დანარჩენი ნაწილების თავზე ბატონობა!“ (<https://predanie.ru/book/69474>).

როგორც ვხედავთ, არც იოანე ოქროპირი და არც ფსევდოკლიმენტი არ ავრცობენ საკითხს, ქალის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების მიზეზად მხოლოდ ძველი სჯულიდან მომდინარე ტრადიციას (იქვე მიუთითებს კიდევ ძველი აღთქმის წიგნის თავსა და მუხლს) და ახალ აღთქმას ასახელებენ.

კანონიკურ სამართალში არის არაერთი კანონი, რომლებიც სხვაგვარად მოქმედებს ქალებისთვის და სხვაგვარად – მამაკაცებისთვის. სამაგალითოდ მოვიხმობთ წმინდა ბასილი დიდის რამდენიმე კანონს, რომლებიც შესულია ეპისტოლეში „ამფილოქეს მიმართ იკონიელ ეპისკოპოსისა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, 472).

აღნიშნულ ეპისტოლეში წმინდა მამის მე-9 კანონი აცხადებს უფლის განჩინებას, რომლის მიხედვითაც ქორწინება „სიძვის მიზეზის გარეშე“ არ უნდა დაირღვეს: „ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვინიერ სიტყვისა სიძვისა, მან ამრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“ (მათ. 5,32); ეს წესი, ამბობს მოძღვარი, თანაბრად ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს, თუმცა სხვას გვიჩვენებს ჩვეულება (**„ხოლო ჩუეულებასა არა ესრეთ აქუს ესე“**), რომლის მიხედვითაც, ქალებს უფრო მკაცრად მოეკითხებათ აღნიშნული ცოდვისთვის.

ამ კანონის მიხედვით, ჩვეულება ქალებს უბრძანებს, არ გაშორდნენ მრუმ და სიძვის ჩამდენ მეუღლეებს. მაგრამ თუ ქალი მაინც წავა ქმრისგან, ჯერ უნდა გაირკვეს, რა მიზეზით დაარღვია მან ქორწინება. აქ ეკლესიის მოძღვარი გამოყოფს სამ შემთხვევას და სამივეჯერ დათმობისაკენ ქალს მოუწოდებს: 1. „უკუეთუ [ცოლი] იცემებოდა მეუღლისაგან თვისისა და ვერ თავს ისხმიდა წყლულებათა, მოთმინებაი უხმდა უფროის, ვიდრე განშორებაი“. 2. „უკუეთუ სახმართაგან ზღვეულებაი შეემთხვეოდა და ვერ თავს-იდებდა, არცა ესე მიზეზ არს ღირსი სიტყვისაი“ 3. „ხოლო უკუეთუ

სიძვასა შინა ცხოვრობდა თანაცხედრეული და ამისთვის დაუტევა, არა მოგვიღებთ ესე კრძალულებათა ჩუეულებასა შინა საეკლესიოსა“ (დიდი სჯულისკანონი, 75:479). მაშასადამე, ქალს უნდა დაეთმინა ცემა, აეტანა სილატაკეში ცხოვრება, ქმრის უქონლობა, შეგუებოდა თანამეცხედრის სიძვას, რადგან მამაკაცისთვის ამ ცოდვის აკრძალვის შესახებ არაფერს ამბობს საეკლესიო ჩვეულება და, ამასთან, არც ურწმუნო ქმარი უნდა მიეტოვებინა, რადგან, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „რაი იცი, დედაკაცო, აცხოვნო თუ ქმარი შენი?“ (I კორ. 7:16).

ამ წესს განამტკიცებს და სხვა ელფერს სძენს ბასილი დიდის 21-ე კანონი, რომლის მიხედვითაც, თუ დაქორწინებული მამაკაცი ცოლქმრულ სარეცელს შებღალავდა, ისეთ სასჯელს მიიღებდა, როგორსაც „მსიძავი“, რადგან არ არსებობდა კანონი, რომელიც „მრუშობის ბრალს წაუყენებდა მას“. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მამაკაცი უნდა დასჯილიყო როგორც მრუში, ვინაიდან დაქორწინებულმა შესცოდა, მაგრამ მრუში მამაკაცის დასასჯელად კანონის არარსებობის გამო მისთვის მოქმედებდა კანონი „მსიძავებისთვის“ (დაუქორწინებელთათვის).

ამავე კანონის მიხედვით, სიძვის ჩამდენ მამაკაცს ცოლთან ცხოვრება არ ეკრძალებოდა, მრუში ქალი კი ვერასდროს დაბრუნდება ქმართან საცხოვრებლად, რადგან „შეგინებულ“ იყო. ე.ი. ქალს უნდა შეეწყნარებინა სიძვისგან „მოქცეული“ ქმარი, ხოლო მამაკაცს „შეგინებული დედაკაცი“ სახლიდან უნდა გაეგდო, მიუხედავად იმისა, რომ ორივემ ერთნაირად დაარღვია ქორწინების საიდუმლო.

მნიშვნელოვანია, რომ ბასილი დიდის 48-ე კანონი აღიარებს მამაკაცის ბრალს, თუკი იგი ცოლს სიძვის მიზეზის გარეშე გამორდებოდა; თუმცა იქვე აცხადებს, რომ ქმრისაგან მიტოვებული ქალი, ნებისმიერ შემთხვევაში, უქორწინებელი უნდა დარჩეს, ვინაიდან მახარებელმა მას „მემრუშე“ (თუნდაც პოტენციური) უწოდა და, ამგვარად, სხვასთან შეუღლება აუკრძალა. წმინდა მამის აზრით, შეუძლებელია ქმარს ბრალი დავდოთ ცოლის მრუშად ქცევისათვის, ცოლი კი სხვა მამაკაცთან შეუღლების გამო არ დაისაჯოს, მით უფრო, თუ ქალი ამ შემთხვევაში უფლისაგან არის „მემრუშედ სახელდებული“ (იხ. მათ. 5, 32).

ამ შემთხვევასაც, ისევე როგორც მე-9 კანონში აღწერილ ვითარებას, ბასილი დიდი ჩვეულებასთან აკავშირებს და ამბობს, რომ ყოველივე იმის ახსნა, რასაც კანონი გვაგვალდებულებს, ადვილი არ არის, მაგრამ, ჩვეულება ამას გვიბრძანებს“ (**„ესე ვიდრემე სიტყუად არა ადვილ არს, ხოლო ჩუეულებასა ესრეთ უპყრიეს“** (დიდი სჯულისკანონი, 1975: 485)). თავის სიტყვას დიდი მოძღვარი კვლავ ძველი აღთქმის ციტირებით განამტკიცებს: „თუ ქმრის ცოლი სხვა ქმარს შეუერთდება, აღარ უნდა მიუბრუნდეს თავის ქმარს, არამედ იგი შეგინებულია“ (იერემ. 3,1); „ვისაც ჰყავს მრუში დედაკაცი,

ის უგუნურია და უღმრთო" (იგავ. 18,23)" (იხ. დიდი სჯულისკანონი, 1975: 479).

ჩვეულებითი სამართლის ამ და სხვა დანარჩენი კანონების დაცვას რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქრისტეს ეკლესიაში, ეს კარგად ჩანს ბასილი დიდის ეპისტოლეში „სულისა წმიდისათვის“, რომელშიც ჩვეულების დასაცავად მოიხმობს ქრისტიანული ტრადიციისათვის ისეთ ცნობილ მაგალითებს, რომლებსაც ყოველი მორწმუნე ქრისტიანი აღასრულებს: „იმისათვის, რომ მორწმუნეებს ჯვრის სახედ გამოგვესახა ჩვენი რწმენა იესო ქრისტეს მიმართ, ვინ დაგვიწერა? ლოცვის ჟამს აღმოსავლეთით მიბრუნება რომელმა წიგნმა გვასწავლა? სულიწმინდის მოწვევის დროს წარმოსათქმელი სიტყვები რომელმა წმინდანმა დაგვიტოვა წერილობით?...“ მას მიაჩნია, რომ სარწმუნოებითი სჯულის საიდუმლო ადამიანის გონებისთვის ადვილად „ხელთსაგდებელი“ არ არის და სწორედ ამის შეცნობაში გვეხმარება „უწერელი წესის“ არსებობა ქრისტეს ეკლესიაში (იხ. დიდი სჯულისკანონი, 1975: 506-507).

ბასილი დიდის მოხმობილი სიტყვები მიგვანიშნებს, რომ არის ჩვეულებები, რომლებიც ყოველგვარი განსჯის გარეშე უნდა ვალიართ და ეს არ აკნინებს ქრისტიანობის მაცხოვრებელ არსს. თუმცა, ბუნებრივია, არსებობს ისეთი ძველი წეს-ჩვეულებებიც, რომლებიც ქრისტიანობას არ გაუთავისებია. ასეთი ძალიან ბევრია. ბასილი დიდი ერთ-ერთ „ცდომაზე“ საუბრისას ახსენებს „ჩუეულების წესს“, დაკავშირებულს მის ეპოქაში არსებულ ტრადიციასთან, რომლის მიხედვითაც მამაკაცს უფლება ჰქონდა დებთან დაქორწინებულიყო, ხოლო ქალს – ძმებთან. ძველი აღთქმის მიხედვით, მამაკაცს ცოლისდის შერთვა მხოლოდ ცოლის გარდაცვალების შემდეგ შეეძლო (ლევიტ. 18, 18), ქრისტიანობა კი ამ წესს არ იზიარებს. წმინდა მამა განმარტავს, რომ ამგვარი წესები მხოლოდ მათ უნდა აღასრულონ, „რომელნი სჯულსა ქუეშე არიან“ (რომ. 3, 19), რადგან თუ ვინმე ძველ რჯულს სრულად დაემორჩილება, მაშინ მან, იუდეველთა მსგავსად, უნდა წინადაიცივითოს, შაბათიც დაიცვას და აკრძალული საქმლისგანაც თავი შეიკავოს; ქრისტიანები კი, ბუნებრივია, ამ ვალდებულებებისგან თავისუფალი არიან და ძველი აღთქმიდან იღებენ მხოლოდ იმას, რასაც ახალი რჯულისთვის სასარგებლოდ მიიჩნევენ (დიდი სჯულისკანონი, 1975: 499).

მამასადამე, „უწერელი“ ჩვეულება და, უშუალოდ, ქალთა შესახებ არსებული ჩვეულებითი სამართლის ზემოთ მოხმობილი კანონები (ისევე როგორ არაერთი სხვა), ქრისტიანული ეკლესიის მიერ მიღებულია რწმენის განსამტკიცებლად, ზნეობის დასაცავად და „წინაგანსაწყობელ ძალად“ ბოროტების წინააღმდეგ. ის ძალმოსილებით კანონის თანასწორია და მხოლოდ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენება. ამავდროულად, სამართლის ეს ნორმები ეფუძნება ქრისტიანული ეკლესიის

ისტორიის კანონიკურ წყაროებს, გამომდინარეობს თავად ეკლესიის ცხოვრებიდან და განაცხადებს ახალი აღთქმის ეკლესიის ნებასა და სულს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია, 1989: – „ბიბლია“, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989 (ძველი და ახლი აღთქმის ციტატები მოხმობილია ამ წიგნიდან)
2. დიდი სჯულისკანონი, 1975: – „დიდი სჯულის კანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე.გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1975.
3. ჯაფარიძე, 2010: – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“ (საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი, კანონები და დადგენილებები), მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2010, გვ. 6.
4. Phidas, 1998: – Phidas Vlassios, „Droit Canone“, Centre orthodoxe du patriarcat oecumenique, Chambezy, Geneve, 1998
5. Stark, 2011: – Rodney Stark, „The Triumph of Christianity“, Pub. HarperOne, Australia, 2011, გვ. 118-136. თარგმნა გურამ პაპავამ).
6. ციცერონი, „სახელმწიფოს შესახებ“: – <https://www.scribd.com/document/516040173/%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98>

The Problematic Events of 1997 in the Georgian Orthodox Church – Exit from the World Council of Churches

1997 წლის პრობლემური მოვლენები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლა

Lasha Deisadze-Sharvashidze

Phd in History, Invited Lecturer at

Akaki Tsereteli State University

e-mail: lasha.deisadze1@atsu.edu.ge

Tel: +995 555 98 03 69

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-3268-6491>

Abstract: The Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia, in its centuries-long history of existence, repeatedly faced internal and external challenges.

One of the acute ones was the complexly problematic issue raised in the Georgian Church in 1997, when there was an active demand that the Georgian Orthodox Church leave the international religious organization "World Council of Churches". This request was voiced by the members of many monasteries, various clergy and part of the parish. They published official letters in which they announced that they were severing the Eucharistic connection with the Catholicos-Patriarch of All Georgia and Patriarchate of Georgia. The mentioned letters were printed in the contemporary press.

The situation was very serious and at the same time connected with acute threats, since there was a danger of schism (split) in the Orthodox Church of Georgia. At the same time, the Church of Georgia found itself in the danger of self-isolation in the international arena, however, the situation demanded urgent and reasonable decisions to be made in order for the Church of Georgia to avoid schism.

On May 20, 1997, the meeting of the Holy Synod of the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia took place, which made a decision on the withdrawal of the Georgian Church from the World Council of Churches. At the same time, impose canonical punishments on those persons who broke the Eucharistic unity with the Catholicos-Patriarch of All Georgia and the Patriarchate of Georgia.

Keywords: Church of Georgia, World Council of Churches, Ecumenism, schism.

ლაშა დეისაძე-შარვაშიძე

ისტორიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
ელ-ფოსტა: lasha.deisadze1@atsu.edu.ge

ტელ: +995 555 98 03 69

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-3268-6491>

აბსტრაქტი: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არაერთხელ აღმოჩნდა შიდა თუ გარე გამოწვევების პირისპირ, რომელთა შორის ერთ-ერთი მწვავე იყო 1997 წელს საქართველოს ეკლესიაში წამოჭრილი კომპლექსურად პრობლემური საკითხი, როდესაც აქტიურად წარმოიშვა მოთხოვნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაეტოვებინა საერთაშორისო რელიგიური ორგანიზაცია „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“. აღნიშნულ მოთხოვნას ახმოვანებდა არაერთი მონასტრის შემადგენლობა, სხვადასხვა სასულიერო პირი და მრევლის ნაწილი. ისინი ოფიციალურ წერილებს აქვეყნებდნენ, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ წყვეტდნენ ექვარისტიულ კავშირს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საქართველოს საპატრიარქოსთან. ხსენებული წერილები იბეჭდებოდა იმჟამინდელ პრესაში.

ვითარება მეტად სერიოზული და ამავდროულად მწვავე საფრთხეებთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან წარმოიშვა სქიზმის (განხეთქილება) წარმოქმნის საშიშროება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამასთანავე, საქართველოს ეკლესიას დაემუქრა საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩენის საფრთხე. სიტუაცია ითხოვდა გადაუდებელი და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას, რადგან აუცილებელი იყო საქართველოს ეკლესიას, პირველ რიგში, მოსალოდნელი სქიზმა აეცილებინა.

1997 წლის 20 მაისს გაიმართა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ეკლესია-ათა მსოფლიო საბჭოდან საქართველოს ეკლესიის გამოსვლის შესახებ. ამავდროულად კანონიკური სასჯელები დაედოთ იმ პირებს, რომლებმაც ექვარისტიული ერთობა გაწყვიტეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საქართველოს საპატრიარქოსთან.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ეკლესია, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, ეკუმენიზმი, სქიზმა.

შესავალი: 1917 წელს აღდგა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია, რომელიც ას ექვსი წლის მანძილზე რუსეთის იმპერიის მიერ უკანონოდ იყო გაუქმებული. 1917 წლის ხსენებული მოვლენის შემდგომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობები მართლმადიდებელ თუ სხვა ეკლესიებთან ძირითადად მხოლოდ წერილობითი სახით შემოიფარგლებოდა. 1948 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან საქართველოს ეკლესიაში გამოიგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი, რომ საქართველოს ეკლესია გამხდარიყო ხსენებული საერთაშორისო რელიგიური ორგანიზაციის წევრი (დეისაძე-შარვაშიძე, 2019: 178).

1962 წლის 4 მაისს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის მამამთავრობისას, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაიგზავნა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ საქართველოს ეკლესიამ ოფიციალურად განაცხადა თანხმობა აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ (დეისაძე-შარვაშიძე, 2019: 178). იმავე წელს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე მოხსენებით წარდგა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონფერენციაზე, სადაც ვრცლად მიმოიხილა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის შესახებაც ისაუბრა.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაწევრიანებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მყოფი დამოუკიდებლობაწართმეული საქართველო პირველად და ოფიციალურად გავიდა მსოფლიო არენაზე, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი თავისი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახით, რაც მაშინ უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

საქართველოს ეკლესიის წევრობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში აქტიურად გაგრძელდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით მეხუთის მამამთავრობისას. 1977 წლის 25 დეკემბერს კი საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელიც 1978-1983 წლებში გახლდათ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი. ხსენებულ პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა და ახალ ფაზაში გადავიდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. ეწყობოდა ვიზიტები საქართველოში უცხოეთიდან და პირიქით. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობა შედგა 1980 წლის 26-29 სექტემბერს, როდესაც

საქართველოს არაოფიციალური ვიზიტით ეწვია ავსტრიის ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეზიდენტი, ქალაქ ვენისა და სამეფო სასახლის მთავარეპისკოპოსი, ფრანც კიონიგი, რომელმაც საქართველოში სტუმრობისას განაცხადა: „ამ სამი დღის განმავლობაში, რომელიც საქართველოში უნდა გავატაროთ, შესაძლებლობა გვქეძება უფრო კარგად გავიცნოთ სიცოცხლით სავსე თანამედროვეობაცა და სახელოვანი წარსულიც ქართველი ხალხისა და მისი ეკლესიისა“, – აღნიშნა კარდინალმა („ჯვარი ვაზისა“, №2, 1980: 47).

აღნიშნული ვითარება სხვადასხვა ფორმით გაგრძელდა 1997 წლამდე, ვიდრე მწვავედ არ წამოიჭრა საკითხი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოსვლის შესახებ.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიაში 1997 წელს განვითარებული პრობლემური მოვლენების შესახებ საკმაოდ მოცულობითი მასალები არსებობს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე პერიოდიკასა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ იმჟამად ხსენებული საკითხის თაობაზე გამოცემულ საინფორმაციო ბიულეტენებში.

„მეამბოხეთა“ წერილები 1997 წელს ძირითად იბეჭდებოდა გაზეთ „დილის გაზეთში“, რომელმაც მნიშვნელოვანი მასალები შემოგვინახა აღნიშნული უკვე ისტორიის ნაწილად ქცეული მოვლენების შესახებ. ასევე, საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული საინფორმაციო ბიულეტენები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ამ პრობლემური ვითარების ირგვლივ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური პოზიციის შესახებ. ასევე ამ მხრივ საინტერესოა დეკანოზ ბასილ კობახიძის ავტორობით გამოცემული ნაშრომი „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილების შემოტანის მცდელობის შესახებ“ (თბილისი, 1997 წელი).

ჩვენს მიერ განსახილველად გამოტანილი საკითხი მიმოხილულია პროფესორ სერგი ვარდოსანიძის მონოგრაფიაში “XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“ (თბილისი, 2011 წ.).

1997 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში განვითარებული ხსენებული პრობლემური პროცესები განხილულია ჩვენს მიერ შესრულებულ სადოქტორო დისერტაციაში „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე)“ (თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2019 წ.).

მეთოდოლოგია: საკვლევია საკითხის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მასალების შინაარსის შესწავლისას და გააზრებისას გამოვიყენეთ წყაროების

კრიტიკული ანალიზის, მათი ერთმანეთთან შედარებისა და შეჯერების მეთოდები. სტატიის შექმნის პროცესში შესაბამისი მუშაობისას ასევე ვიხელმძღვანელებთ აღწერილობით-ნარატიული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით.

დისკუსია/შედეგები: 1997 წელს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დაიწყო რთული და მეტად პრობლემური პროცესები. საქართველოს ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობის გამო, ეკუმენიზმში მონაწილეობის ბრალდებით საქართველოს საპატრიარქოსადმი, მონასტრების უმრავლესობამ, მათ წინამძღვრებმა და წევრებმა მასობრივად დაიწყეს საპროტესტო წერილების გამოქვეყნება პრესაში, სადაც დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ საქართველოს საპატრიარქოს და წყვეტდნენ ექვარისტიულ ერთობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან. „შიომღვიმის მონასტერი წყვეტს ექვარისტიულ კავშირს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, ეკუმენისტური მწვალებლობის გამო... ბეთანიის მონასტერი წყვეტს ექვარისტიულ კავშირს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან ეკუმენისტურ მწვალებლობაში მონაწილეობის გამო ...დავითგარეჯის ლავრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა გაწყვიტა ექვარისტიული კავშირი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან ეკუმენისტური მწვალებლობის გამო და გადადგა წინამძღვრობიდან („დილის გაზეთი“, №94, 1997: 14). ამბოხებულებმა გამოაქვეყნეს „ღია წერილი პატრიარქს“, რომელშიც თექვსმეტ პუნქტად გადმოსცეს თავიანთი მოთხოვნები.

დაუმორჩილებლობის გამომცხადებლებმა ასევე გამოაქვეყნეს „ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს“, სადაც წერდნენ: „ჩვენ კარგად ვგრძნობთ იმ დამაბულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც დღეს საქართველოშია, რის გამოც ყოველმხრივ ვცდილობთ, მხოლოდ რელიგიური მოტივით ნაკარნახევი ჩვენი ქმედება ვერავინ შეძლოს რაიმე ანტისახელმწიფოებრივი თუ ანტისაზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოიყენოს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია საპარლამენტო მცირე დროებითი კომისიის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლებას შეეძლება ჩვენი ნებისმიერი ნაბიჯის გაკონტროლება. ამასთან, მზად ვართ გულწრფელი და ამომწურავი პასუხი გავცეთ ხელისუფლების ნებისმიერ კითხვას... აგრეთვე მართლმადიდებლური შემწყნარებლობიდან გამომდინარე, არ ვაპირებთ ვინმეს მოვუწოდოთ სხვა კონფესიის მაღიარებელ კონკრეტულ პირთა წინააღმდეგ...

უშუალოდ ბატონ პრეზიდენტს ვთხოვთ! გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი, რათა საპატრიარქოს მიერ ჩვენს მიმართ გამოყენებული ზომები თანხმობაში იყოს, როგორც საზოგადოებაში დამკვიდრებულ სამართლებრივ ნორმებთან, ასევე ქრისტიანულ ზნეობრივ პრინციპებთან.

რიცხოვრივი თვალსაზრისით, ვართ რა უმცირესობაში, ჩვენი ადამიანური უფლებების დაცვა ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული დემოკრატიის ავტორიტეტის ზრდას...

დასასრულს დავსძენთ, რომ ჩვენი მოკრძალებული თხოვნაა – დაგვეხმარეთ შევინარჩუნოთ მონასტრის მართლმადიდებლური სული და ამქვეყნად უხმაუროდ გავიაროთ ბერული ასპარეზი.

შიომღვიმის მონასტერი: მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი გიორგი, არქიმანდრიტი იოანე, მღვდელი ნიკოლოზი, ბერი კირიონი, მორჩილი ბესარიონი, მორჩილი გურამი, მონასტრის მრევლთან ერთად.

ბეთანიის მონასტერი: მონასტრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი ანდრია, ბერი ევტიქი, ბერი გაბრიელი.

დავითგარეჯის ლავრა: ლავრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი გრიგოლი, მორჩილი ზურაბი“ („დილის გაზეთი“, № 94, 1997: 14).

აღნიშნული წერილები გვამღვეს შესაძლებლობას, ვივარაუდოთ, რომ „მეამბოხენი“ გარკვეული დროის მანძილზე საფუძვლიანად ემზადებოდნენ ხსენებული პროცესების წამოწყებისა და წარმართვის მიზნით. მათ თადარიგიც კი დაიჭირეს და უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტსა და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსაც კი მიმართეს, რათა სახელმწიფოებრივ-სამოქალაქო დონეზე დაეცვათ საკუთარი უფლებები. ეს გარემოება ცხადს ჰყოფდა, რომ აღნიშნული მეტად არასახარბიელო პროცესი არ დარჩა მხოლოდ საეკლესიო გარემოში და ის გარკვეულწილად შემხებლობაში იყო ქართულ საქვეყნო-სახელმწიფოებრივ სივრცესთანაც. დაუმორჩილებლობის გამომცხადებელთა ღია წერილის საპასუხოდ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „მე, როგორც ჭეშმარიტ მორწმუნეს, მჯერა, რომ ეკლესიაში გათიშვა არ მოხდება და საქართველოს პატრიარქი მიიღებს ბრძნულ გადაწყვეტილებას“ („დილის გაზეთი“, № 95, 1997: 1).

შექმნილი ვითარება დროულ მოქმედებასა და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას ითხოვდა, რათა საქართველოს ეკლესიაში არ მომხდარიყო მისი არსებობის თითქმის ორი-ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ჯერ არმომხდარი ფაქტი – განხეთქილება. სულ მალე ცნობილი გახდა, რომ უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მოწვევით 1997 წლის 20 მაისისთვის ჩაინიშნა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც უნდა ემსჯელა შექმნილ სიტუაციაზე და სათანადო განჩინება მიეღო. წმიდა სინოდის სხდომის ჩანიშვნის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის სახელით გაკეთდა განცხადება, რომელშიც ასევე ვკითხულობთ: „ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ნიშნავს განხეთქილების ჩადენას. განხეთქილების მოქმედი განემორება ღვთის მადლსა და ეკლესიას.

საქართველოს საპატრიარქო გამოთქვამს მწუხარებას მომხდარი ფაქტის გამო და მოუწოდებს მათ სინანულისაკენ“ („დილის გაზეთი“, №95, 1997: 3).

ასევე, პრესაში გამოქვეყნდა წერილი შემოქმედის (გურია) ეპარქიის შემოქმედის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ნიკოლოზისა და ჯიხეთის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანდრიას სახელით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ეს ხსენებული არქიმანდრიტებიც უერთდებოდნენ მოთხოვნას საქართველოს ეკლესიის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან გამოსვლის შესახებ და ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისინიც გაწყვეტდნენ ექვარისტიულ კავშირს საქართველოს საპატრიარქოსთან („დილის გაზეთი“, № 96, 1997: 3). ამ წერილის შესახებ კი საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი იტყობინებოდა: „ერთ-ერთ ცილისმწამებლურ განცხადებაში ფიგურირებს ჯიხეთის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანდრიას სახელი. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებაზე მას ხელი არ მოუწერია და მისი სახელი მისივე ნებართვის გარეშე იქნა გამოყენებული“ (კობახიძე, 1997:20).

საქართველოს უახლეს ისტორიაში მრავალი მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები. ქვეყანაში ახალი ჩავლილი იყო სამხედრო გადატრიალების გზით ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა, ხოლო მისი თანმდევი ურთულესი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება სამწუხაროდ, კვლავ მძლავრი იყო. იმ ეტაპზე ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება... აღნიშნულ ვითარებაში საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილება სრულიად მართებული და გონივრული გახლდათ, რომ ეკლესიაში შექმნილი, ფაქტობრივად კრიზისული ვითარების შესახებ ემსჯელა. წმიდა სინოდი წარმოადგენს უმაღლეს მმართველობით ორგანოს ეკლესიაში და სწორედ მის მიერ მიღებულ განჩინებაზე იქნებოდა დამოკიდებული საქართველოს ეკლესიის შემდგომი მდგომარეობა, რაც უთუოდ საკმაოდ მკვეთრად აისახებოდა ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო-საზოგადოებრივ ვითარებაზეც.

იმჟამად „მეამბოხე“ მღვდელმსახურთა მხრიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თითქოს მათ მხარდაჭერა ჰქონდათ ათონის წმიდა მთაზე მოღვაწე სასულიერო პირებისგან, რის შესახებაც, ოდნავ მოგვიანებით, 1997 წლის 18 ივნისს, ათონის წმიდა მთის განმგებლობამ წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და კატეგორიულად უარყო ინფორმაცია მათი მხრიდან ზემოხსენებულ მღვდელმსახურთა რაიმე ფორმით მხარდაჭერის შესახებ (კობახიძე, 1997: 23-24). ათონის წმიდა მთიდან მოსული ამ წერილით ცხადია, რომ სამწუხაროდ, „მეამბოხენი“ ზოგიერთ შემთხვევაში ავრცელებდნენ ყალბ ინფორმაციასაც...

1997 წლის 20 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელიც დაახლოებით ხუთი საათის მანძილზე მიმდინარეობდა. სხდომის მდივანი გახლდათ ფოთის ეპისკოპოსი (ამჟამად ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი) გრიგოლი (ბერბიჭაშვილი). თავად სხდომის მიმდინარეობის დროითი ხანგრძლივობაც კი ცხადს ჰყოფს, რაოდენ უმნიშვნელოვანესი და ძლიერ საჭირობოტო საკითხი განიხილებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და სრულიად საქართველოსთვის...

კრების დასრულების შემდგომ განცხადება გააკეთა სხდომის მდივანმა, რომელმაც განაცხადა: „უკანასკნელ ხანს ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ცდილობს, მიანიჭოს ეკლესიოლოგიური ხასიათი თავად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის მრწამსს. ამ ეკუმენისტურ ორგანიზაციაში ნაკლებად არის გათვალისწინებული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესები, ამიტომ 1995 წლის სექტემბერში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე გამოითქვა აზრი ეკუმენისტური მოძრაობიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესაძლო გამოსვლის შესახებ. წმიდა სინოდმა გაითვალისწინა ყოველივე ზემოთქმული და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე განაჩინა: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს ამბობს ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან“ (ვარდოსანიძე, 2011: 167).

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა 1997 წლის 20 მაისის სხდომაზე ასევე იმსჯელა იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომლებმაც ეკუმენიზმში მონაწილეობის ბრალდებით ევქარისტიული კავშირი გაწყვიტეს საქართველოს ეკლესიასთან და ისინი გაათავისუფლა მონასტრების წინამძღვართა პოზიციებიდან (ვინც იკავებდა აღნიშნულ პოზიციას) და აუკრძალა მღვდელმოქმედება, ხოლო იგივე ქმედების ჩამდენ ბერებსა და მორჩილებს აეკრძალათ წმიდა ზიარების მიღება. მიუხედავად დასჯისა, ხსენებულმა სასულიერო პირებმა მადლობა გადაუხადეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა თეიმურაზ დედაბრიშვილის წერილით „მართლმადიდებლობის ზეიმი“, სადაც კათოლიკოს-პატრიარქისადმი სამადლობელთან ერთად ასევე აღნიშნული იყო: „ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას სათანადო კეთილისმყოფელი ფონი ბატონი პრეზიდენტის ოფიციალურმა განცხადებამაც შეუქმნა...“ („დილის გაზეთი“, № 96, 1997: 3).

1997 წლის ივლისში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა საღმრთისმეტყველო კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს

ეკლესიიდან 1997 წლის მაისიდან განდგომილ სასულიერო და საერო პირთა მხრიდან წამოყენებული ბრალდებების განხილვა. ხსენებული კომისია იუწყებოდა: „საქართველოს ეკლესია დღემდე იჩენს სულგრძელებას და ელის ცდუნებული შვილების დაბრუნებას... ეკლესია კვლავ ცდილობს დიალოგი აწარმოოს განდგომილებთან.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ასეთმა სულგრძელმა პოზიციამ ის შედეგი გამოიღო, რომ იმ განდგომილ პირთაგან, რომლებიც, მართალია, ჩამოშორდნენ დედაეკლესიას, მაგრამ არ შეერთებიათ სხვა სქიზმატურ დაჯგუფებებს, რამდენიმე პიროვნება უკვე დაუბრუნდა დედაეკლესიას, ხოლო ამ ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩანს, ახლო მომავალში დაუბრუნდება მას“ (საინფორმაციო ბიულეტენი № 1, 1998: 1,3).

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 1997 წლის 20 მაისის სხდომის განჩინებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ნამდვილად გადაურჩა სქიზმასა და განხეთქილებას. დღესდღეობით, აღნიშნული მოვლენების შემდგომ, საქართველოში რჩება მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც, სამწუხაროდ, კვლავ არ იმყოფება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათან ევქარისტიულ ერთობაში, თუმცა, სქიზმის საფრთხე საქართველოს ეკლესიაში იყო გაცილებით მრავლის მომცველი. ასევე, შესაძლოა ითქვას, რომ 1997 წლის 20 მაისის სინოდური გადაწყვეტილებით საქართველოში თავიდან იქნა აცილებული უცხოური სქიზმატური დაჯგუფებების მასობრივი თარეში, რომლებიც გამოიყენებდნენ შექმნილ სიტუაციას და საქართველოში ფართო მასშტაბებით შემოიჭრებოდნენ.

მეორე მხრივ კი უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ხსენებული განჩინებით საქართველოს ეკლესია საერთაშორისო არენაზე, ფაქტობრივად, აღმოჩნდა იზოლაციურ გარემოში და შესაბამისი ოფიციალური საერთაშორისო რელიგიური ტრიბუნიდან, შეხვედრებსა და თუ სხვა ფორმატის სამუშაო სივრცეში აღარ გაისმის საქართველოს უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ხმა, თუმცა, საქართველოს ეკლესია 1997 წლის 20 მაისის სინოდურმა განჩინებამ იხსნა სქიზმისა და განყოფისაგან, რაც შექმნილი ურთულესი სიტუაციიდან ერთადერთი მართებული და შედარებით უვნებელი გამოსავალი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეისაძე-შარვაშიძე, 2019: – დეისაძე-შარვაშიძე ლ., „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე)“ (სადოქტორო დისერტაცია,

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი), თბილისი, 2019.

2. ვარდოსანიძე, 2011: – ვარდოსანიძე ს., „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“, თბილისი, 2011.
3. კობახიძე, 1997: – დეკანოზი ბასილი (კობახიძე), „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილების შემოტანის მცდელობის შესახებ“, თბილისი, 1997.
4. საინფორმაციო ბიულეტენი № 1, 1998: – საქართველოს საპატრიარქო, საღვთისმეტყველო კომისია, „საინფორმაციო ბიულეტენი № 1“, თბილისი, 1998.
5. გაზეთი „დილის გაზეთი“, № 94, 1997.
6. გაზეთი „დილის გაზეთი“, №95, 1997.
7. გაზეთი „დილის გაზეთი“, № 96, 1997.
8. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, №2, 1980.

**Tomis, „Prima Sedis Episcopalis” of the Church of Scythia Minor.
Historical and Legal Testimonies about the Juridical Status of its Primate**
ტომის მცირე სკვითის ეკლესიის „Prima Sedis Episcopalis“
ისტორიული და სამართლებრივი მოწმობები მისი წინამძღოლების
სამართლებრივი სტატუსის შესახებ

Nicolae V. Dură

PhD in Canon Law, Academician, Ovidius University
of Constanta; Academy of Romanian Scientists;
Georgian National Academy of Sciences
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-1175-5551>

Abstract: About the status of the Primate of a local autocephalous Church, constituted within an ethnic and geographical framework - as it was the case with the Church of the Roman province "Scythia Minor" - we have reliable evidence both from historical and legal sources (State and Church).

In order to write the pages of this study, with an interdisciplinary content (historical and juridical), we have resorted to first-hand sources, i.e. to the testimonies provided by the historical sources, the State and Church legislation of the first millennium and the text of the "Episcopal Lists" (Notitiae Episcopatum), which has been of real use to us both in terms of knowledge of the history of the ancient legal institutions of the Church in the Danubian-Pontic area, i.e. in the geographical area of Romanian territory between the Lower Danube and the Black Sea, namely of the province Dobrudja, and, ipso facto, of the evolutionary process of the constitution of the legal status of its Primate, i.e. of archbishop of the metropolis of Tomis and metropolitan of the Roman province of Scythia Minor.

Key words: the Bishops of Tomis, episcopal See, eparchial autonomy, Roman province

ნიკოლაი დურა

კანონიკური სამართლის დოქტორი; აკადემიკოსი;
კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი; რუმინეთის
მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია, რუმინეთი

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-1175-5551>

აბსტრაქტი: ადგილობრივი ავტოკეფალური ეკლესიის წინამძღვრის სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც ეთნიკურ და გეოგრაფიულ სივრცეში ჩამოყალიბდა – როგორც ეს მოხდა რომის პროვინცია „მცირე სკვითიის“ ეკლესიის შემთხვევაში – გვაქვს სანდო მტკიცებულებები როგორც ისტორიული, ასევე სამართლებრივი წყაროებიდან (სახელმწიფო და ეკლესია).

ამ კვლევის, რომელიც ისტორიულ და სამართლებრივ ასპექტებს აერთიანებს, შექმნის მიზნით, გამოვიყენეთ პირველწყაროები, კერძოდ, ისტორიული დოკუმენტების მოწმობები, სახელმწიფოსა და ეკლესიის კანონმდებლობა პირველი ათასწლეულის განმავლობაში, ასევე „ეპისკოპოსთა სიები“ (*Notitiae Episcopatum*), რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც დუნაი-შავი ზღვისპირეთის ეკლესიის უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ისე იმ ევოლუციური პროცესის გასაანალიზებლად, რომელიც განსაზღვრავდა ტომის მიტროპოლიის მთავარეპისკოპოსისა და რომის პროვინცია მცირე სკვითიის მიტროპოლიტის სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: ტომის ეპისკოპოსები, ეპისკოპოსთა კათედრა, ეპარქიული ავტონომია, რომის პროვინცია

Proimion. Towards the end of the Neolithic period, "about 2000 years before Christ"⁸⁷, on the western shore of the Black Sea (Dobrogea/Dobrudja) and "in the Carpatho-Danube regions" arrived the northern tribes of the Thracians, among them the "Getae"⁸⁸, ones of our forefathers, who, according to the testimony of Herodotus, "were the bravest and most righteous of the Thracians" (*Historia*, IV, 93), whose "tribes bear many names each according to the land in which they live, but all have similar customs in all" (*Historia*, lb. V)⁸⁹.

Also, on the western shores of the Black Sea, in the 7th century (BC) arrived the "Iranian-speaking Scythians (Cithyranians)"⁹⁰, who - in time - were assimilated by the native Thracian tribes, and in particular by the "Getae" (Getae), of whom the

⁸⁷ M. Eliade, *Români. Scurtă istorie* (Romanians. A Brief History), Ed. Teșu, Bucharest, 2021, p. 11.

⁸⁸ G. Kvesitadze, N. V. Dură, *The Roots of the Georgian and Romanian Science and Culture*, Ed. Academiei Oamenilor de Știință din România, București, 2017, p. 71.

⁸⁹ Apud Herodot, *Cele mai frumoase Istorii (The most beautiful Histories)*, trad. A. Piatkowski and F. Vanț-Ștef, Ed. Humanitas, București, 2018, p. 237.

⁹⁰ M. Eliade, *Romanians ...*, p. 13.

Latin poet Ovid († 17), who lived the last years of his life in Tomis as relegated, wrote a "libellum" of poems in their language⁹¹, i.e. in the Getae-Dacian language.

In one of his Epistles, St. Apostol Paul makes mention about the „Scythians” (Colos. 3: 11)⁹², that is about the inhabitants of Scythia Minor, whose territory was located between Danube and Black Sea. Therefore, it is not excluded that the Apostle of Gentiles also preached the Gospel of Christ to the „Getae”, our ancestors who lived in the same geographical area, that is in Romanian Dobrudja.

According to the testimony handed down by the Christian historiography of the ancient Church (Martyrologies, works of Greek and Latin Christian writers (Origen, Tertullian etc.), Saint Andrew the Apostle ordained a bishop not only at the western Black Sea coast, that is at Tomis (Constanta of today), but also to south of the Danube, bishop Amplie at Odysos⁹³ (Varna / Bulgaria), a site of an ancient Thracian-Getae-Dacian city. This bishop is celebrated by the Orthodox Church on 31 October.

In the Roman province of Scythia Minor, the Bishop of Tomis occupied the "first place (τὸ προστάσιων)" among his colleagues in the episcopate, since he was ordained bishop by St. Andrew the Apostle, who also brought to Christ his brother, St. Peter the Apostle (John 1: 35-42), and preached the "Gospel of God" (Εὐαγγέλιον Θεοῦ) (Rom. 1:1) in "Asia Minor, Thrace, Macedonia, on the shores of the Danube River and along the Black Sea coast"⁹⁴, i.e. at Tomis on the shores of the "Pontus Euxin" of the Getae (ancestors of the Romanians), at Kobuleti on the Georgian shores of the Black Sea in the Adjara region etc.

The primacy of the bishop of Tomis was also due to the political-administrative importance of the city in which this one had his episcopal See, that is in the metropolis (capital) of the Roman province of Scythia Minor, i.e. in the city of Tomis, hence the double legitimacy of its primacy (apostolic and legal), that made that the tomitan bishop of the Church of Getae-Dacians of the Roman province of Scythia Minor to have the status of "πρῶτον" or „primas” (*primate*), that is of „first

⁹¹ On Ovid's relegation to Tomis, and his book of poems written in the Getic language, see N. V. Dură, *About "Publius Ovidius Naso" († 17 p. Chr. n.) and His Poems Written in the "Getae" Language*, in *Diversity in Coastal Marine Sciences*, ed. by C. Finkl, C. Makowski, Springer 2018, p. 67-78.

⁹² *The Bible or the Holy Scripture*, Ed. IMBOR, București, 2001, p. 1690.

⁹³ In the Byzantine Sinaxary, we meet the locality Diopolis. See *Holy Apostles Stakhys, Apelles, Amplias, Urban, and Narcissus of the 70*, <https://www.oca.org/saints/lives/2023/10/31/103132-holy-apostles-stakhys-appelles-amplias-urban-and-narcissus-of-the>

⁹⁴ *Apostle Andrew, the Holy and All-Praised First-Called*, <https://www.oca.org/saints/lives/2023/11/30/103450-apostle-andrew-the-holy-and-all-praised-first-called>

bishop”, and for this reason „the protos” (cf. can. 34 ap.; 9 Antioch and 39 Constantinople) rejoiced of „primacy ... over the other bishops who had dominion over their diocese”, that is their „παροκίας”, but they could "nothing more significant to do without him" (can. 9 Antioch)⁹⁵.

In the ecclesiastical language, the bishops of those dioceses (episcopates) were led by their protos, who had usually his episcopal See in the metropole (capital) of the respective territory. In fact, even the byzantine canonists make reference, in their comments, to the principle dispositions of the 34 apostolical canon⁹⁶, which were confirmed both by the Fathers of the First Ecumenical Council (cf. can. 4), and by Fathers of the Council of Antioch (341).

I. About the primacy of the Bishop of Tomis. Historical and legal testimonies

According to the provisions of apostolic canon 34 - drafted in the second half of the third century - "the bishops of every nation (τοὺς ἐπισκόπους ἐκάστου ἔθνους) should know the first among them (τὸν ἐν αὐτοῖς πρῶτον), and to count him chief (ὡς κεφαλὴν), and to do nothing else without his consent; ... but neither let him (the first) ... do anything without the assent of all" (apostolic can. 34)⁹⁷.

Among the fundamental canonical principles of the administrative-territorial organization of the Church, the first principle enunciated by the text of this canon is the ethnic principle, followed by other principles, like the principle of autocephaly, synodality and eparchial autonomy.

At that time, the word "ἐπαρχίας" (eparchy) not only had the meaning of a province, that is an administrative-territorial unit of the Roman Empire, but also designated a local church constituted in a well-defined geographical area, primarily taking into account the ethnic criterion, as was the case of the Church of Scythia Minor in *illo tempore*.

In their commentaries on apostolic canon 34, the Byzantine canonists of the 12th-13th centuries stated that the primates of each eparchy were "the hierarchs of the metropolis (τοὺς τῶν μητροπόλεων ἀρχιερεῖς)"⁹⁸, that is of each city which was the capital of the respective province. But it should not be ignored or concealed the fact that the organization of the metropolitan type and the title of metropolitan of an

⁹⁵ Rhali, G. A.; Potli, M, *Σύνταγμα τῶν θείων καὶ ἱερῶν κανόνων (Syntagma of the Divine and Holy Canons) (Athenian Syntagma)*, vol. III, Athens, 1853, p. 140.

⁹⁶ Ibidem, p. 141.

⁹⁷ Ibidem, vol. II, Athens, 1852, p. 45.

⁹⁸ I. Zonara, *Comentariu al can. 34 ap.*, in *Athenian Syntagma*, vol. II, p. 45.

eparchy were officially adopted in the year 325 by the Ecumenical Church, namely by the Fathers of the First Ecumenical Council.

Concerning the hierarchs whom apostolic canon 34 calls "the first bishops of every nation", Theodore Balsamon stated that the bishops that were "πρῶτοι" (the first) were "those who ordained" other hierarchs, but that they were not allowed to do anything of "the most significant" without the consent of the other bishops⁹⁹. But, in accordance with the provision of apostolic canon 34, "neither may the protos (ὁ πρῶτος) do anything without the consent of the others, for only thus will the judgment of good understanding (ὁ τῆς ὁμονοίας ὅρος) be guarded"¹⁰⁰.

If we consider that the bishop „protos” is the forerunner of the archbishop, we could better understand the testimony given by the patriarch Photius, who used the title of archbishop (ἀρχιεπίσκοπος) for two bishops of Alexandria¹⁰¹ of the third century, namely Dionysius archbishop of Alexandria (248-265) and Petros archbishop of Alexandria (300-311). Indeed, the first bishops of the „great city of Alexandrinoaus (Ἀλεξανδρέων)” (can. 30 Syn. IV ec.) bore the title of archbishop from the second half of the third century. This title of archbishop also has been assigned to St. Athanasius (Apologia contra Arianos, 71).

In his work "Against Heresies", written between 374 and 377, Epiphanius of Salamis also gives that title both to him and to Meletius, bishop of Lycopolis¹⁰² (Epiphanius 69, 1, 3); the Council of Ephesus (431) assigned this title to Pope Celestin and Cyril of Alexandria (Mansi, IV, 1124, 1145); the Council of Constantinople of 449 assigned this title to bishop Flavian of Constantinople and the emperor Theodosius the II applied this title to the exarch of Caesarea in Cappadocia (Mansi, VI, 599)¹⁰³ etc.

წარმოდგენილი ნიმუშების მაგალითზე ბათუმის არქიტექტურაში უპირატესობა ენიჭება კონსტრუქტივიზმის იმ ნაკადს, რომელშიც ნაკლებად ჩანს ეროვნული და მოდერნისტული ტენდენციების სინთეზი. ბათუმის კონსტრუქტივისტულ შენობებში რომანტიზირებული ელემენტები (ნახევარწრიული და ისრულთაღოვანი ღიობები, დაყრდნობილი ხის აივნები) მხოლოდ ერთეულ ნიმუშებში (საცხოვრებელი სახლი წმ.სევერიანე აჭარელის, ა.პუშკინის ქუჩებზე) გვხვდება. ეროვნული მოტივების მოკრძალებულად გამოყენების მიუხედავად, ეს ნაგებობები ეროვნული და კონსტრუქტივისტული ფორმების შერწყმის ექსპერიმენტული ქმნილებებია. ბათუმის შენობებისათვის უპირატესად დამახასიათებლებელია „ინტერნაციონალური“ მიმართულების კონსტრუქტივისტული ტენდენციები, რომელიც ემყარება სადა, ლაკონური, გეომეტრიული, ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მოცულობებისა და ფორმების დინამიკას.

ქალაქის განაშენიანების ჩამოყალიბებული კამერული მასშტაბის გათვალისწინებით, ბათუმის არქიტექტურულ ნიმუშებს გამოარჩევს მეტ-ნაკლებად ზომიერი მასშტაბი, სიმკაცრე, სისადავე, გეომეტრიულობა, ლაკონურობა, ფასადის ტეხილი აბრისებისა და გეომეტრიული სეგმენტების დინამიკური სტრუქტურა, კედლის სადა, გლუვი სიბრტყეების ფენესტრაცია სწორკუთხა, თაღოვანი და ისრული ფორმის ღიობებით, სადარბაზოსა და კიბის უჯრედთა მომნიშვნელი ვერტიკალური ღერძის აქცენტირება, აივნების მოქლონიანი შეერთების რკინის სადა ნახატის ან შელესილზედპირიანი მოაჯირები. თითქმის ყველა მათგანის სახასიათო დეტალია ფასადის კომპოზიციური ღერძის აღნიშვნა საბჭოთა სიმბოლოებით (საუწყებო ემბლემები, ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ნამგალი, ურო).

ბათუმის ნიმუშებისაგან განსხვავებით, თბილისის კონსტრუქტივისტულ არქიტექტურაში ადგილობრივი ტრადიციების გავლენა, ასევე, გამოხატულებას ჰპოვებს, ძველთბილისური საცხოვრებელი სახლის ფორმებით ნასაზრდოები, ეზოსპირა ხის აივნების კონსტრუქტივისტულ გააზრებაში (მანია:2013:245). ბათუმის საცხოვრებელი ნაგებობებში კი თითქმის უარყოფილია ეზოსპირა აივნებიანი ფასადების ტრადიცია. საცხოვრებელი სახლების ფასადებზე შედარებით იშვიათია ტერაზიტული ლესვის გამოყენების მაგალითები.

ბათუმის საცხოვრებელი სახლები გამოირჩევა კომპლექსური ან ურბანული კვატალური განაშენიანების თვალსაზრისით და დიდ როლს თამაშობს ქალაქგეგმარებითი სივრცითი სტრუქტურის შექმნაში. მთელი კვარტლის მასშტაბის განმსაზღვრელი ყველაზე მაღალსართულიანი შენობებიც ამ სტილის პრინციპებითაა გადაწყვეტილი, რაც „ბათუმური კონსტრუქტივიზმის“ ფასეულობას წარმოადგენს. ეს ნაგებობები, ისევე, როგორც თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების (აბასთუმანი, წყალტუბო, ბორჯომი და სხვ.) ნიმუშები, თავისი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებებით, ქართული კულტურის მეტად საინტერესო ისტორიული ეტაპის განუყოფელი ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამაშუკელი, 2019: - ამაშუკელი თ., არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი (1921-1956 წლების თბილისის არქიტექტურის მაგალითზე), სადოქტორო ნაშრომი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისი, 2019.
2. ბერიძე, 1955: - ბერიძე ვ., ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია, „ქართული ხელოვნება“, ტ. 4, საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 61-100.

3. გენგიური, 2011: - გენგიური ნ., კონსტრუქტივიზმი და 1920-იანი წლების ქართული არქიტექტურა, კრებული „სახელოვნებო პროცესები 1900-1930“, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“, თბილისი, 2011, გვ. 207-226.

4. თუმანიშვილი, 2014: - თუმანიშვილი დ., კვლავ „უხერხული მემკვიდრეობის“ გამო, ჟურნალი „აკადემია“, № 3, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისი, 2014, გვ. 5-20.

5. თუმანიშვილი, 2019: - თუმანიშვილი დ., საბჭოური არქიტექტურის გაგებისათვის, ჟურნალი „აკადემია“, № 7, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისი, 2019, გვ. 16- 28.

6. ინგა, 1936: - ინგა, ვაშენოთ ჩქარა, ლამაზად და იაფად, გაზეთი „მუშა“, 12. 02. 1936.

7. მანია, 2013: - მანია მ., მოდერნიზმი თბილისის არქიტექტურაში, „საქართველოს სიძველენი“, N16, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 237-259.

8. მანია, 2013: - მანია მ., ბათუმის ინტურისტი-პოსტკონსტრუქტივიზმის გამორჩეული ნიმუში, „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, IV, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2013. გვ.318-333.

9. ჯანზერძე, 1971: - ჯანზერძე ნ. “ქართული საბჭოთა არქიტექტურა - განვითარების გზა”, თბილისი, გამომცემლობა “ხელოვნება” 1971.

10. Хан-Магомедов, 1996:- Хан-Магомедов С., Архитектура советского авангарда.Книга первая . Проблемы формообразования.Москва: Стройиздат. 1996.

11. Хан-Магомедов, 2007:- Хан-Магомедов С., Моисей Гинзбург, Москва, изд. Фонд "Русский авангард", 2007

12. Гинзбург, 1928 : - Гинзбург М., Конструктивизм в архитектуре, Первая конференция общества современных архитекторов, 1928. <https://tehne.com/event/arhivsyachina/arhiv-sa-konstruktivizm-v-arhitecture-doklad-m-ya-ginzburga-1928>

ილუსტრაციები



სურ. 1-2. საცხოვრებელი სახლი. ზუბალაშვილის ქუჩა № 39



სურ. 3-4-5 . საცხოვრებელი სახლი. წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩა № 55



სურ. 6-7. საცხოვრებელი სახლი შ. დადიანის ქუჩაზე






სურ. 8-9-10. საცხოვრებელი სახლები წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩაზე (№№ 63, 65, 67)



სურ. 11. საცხოვრებელი სახლი. ა. პუმკინის ქუჩა № 61




სურ. 12. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დასახლება




სურ. 13. საცხოვრებელი სახლი პ. მელიქიშვილისა და მ. აბაშიძის ქუჩების კვეთაში



სურ. 14. საცხოვრებელი სახლი ა. წერეთლის ქუჩაზე



სურ. 15. საცხოვრებელი სახლი კ. გამსახურდიასა და ვ. გორგასლის ქუჩების კუთხეში



სურ. 16. საცხოვრებელი სახლი ვაჟა-ფშაველასა და სტ. ზუბალაშვილის ქუჩების კვეთაში.



სურ. 17. საცხოვრებელი სახლი ზ. გორგილაძის, 26 მაისისა და პ. მელიქიშვილის ქუჩებზე



სურ. 18. საცხოვრებელი სახლი ვ. გორგასლის, ფარნავაზ მეფისა და ლუკა ასათიანის ქუჩებზე

განათლება / Education

Considering the Finnish Approach to the Issue of Establishing Tolerance towards Cultural Diversity in the Georgian Educational System

კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობის დამკვიდრების საკითხისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფინური მიდგომის გათვალისწინებით

Naile Mikeladze

PhD in Philology, Senior Researcher
at Niko Berdzenishvili Institute,
Batumi Shota Rustaveli State University;
e-mail: naile.mikeladze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0008-7225-1067>

Abstract: In the paper, attention will be focused on the innovative methods and approaches applied by the world's leading countries. Globalization, technology development has put the world in front of the biggest challenges. The modern vision has somewhat changed the attitude of society and teenagers towards a number of issues. Each country is doing its best, trying to meet new challenges.

It is widely known that today, in the conditions of globalization and technological development, one of the fields that has faced a great challenge is education. The mission, purpose and priorities of education itself have changed. Accordingly, there was a need for transformation of education. In this regard, the Ministry of Education of Georgia is doing its best, but a number of issues still remain unsolved problems.

This and a number of other issues are discussed in the work presented, the analysis of which will help students to better manage the learning process and have goal-oriented results.

We think that the mentioned material will not lack interest, both for school and higher educational centers.

Key words: innovative approaches, Finnish educational system, literature, teaching and learning.

ნაილე მიქელაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ელ-ფოსტა: naile.mikeladze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0008-7225-1067>

აბსტრაქტი: წარმოდგენილ მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იქნება ინოვაციურ ხერხებსა და მიდგომებზე, რომელთაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები მიმართავენ. გლობალიზაციამ, ტექნიკის განვითარებამ მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა. თანამედროვე ხედვამ გარკვეულწილად შეცვალა სოციუმის, მოზარდის დამოკიდებულება რიგი საკითხებისადმი. თითოეული ქვეყანა მაქსიმუმს აკეთებს, ცდილობს ფეხი აუწყოს ახალ გამოწვევებს.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დღესდღეობით გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ერთ-ერთი სფერო, რომელიც დიდი გამოწვევის წინაშე დადგა – განათლებაა. შეიცვალა თავად განათლების მისია, მიზანი და პრიორიტეტები. შესაბამისად, გაჩნდა განათლების ტრანსფორმაციის საჭიროება. ამ მხრივ საქართველოს განათლების სამინისტრო მაქსიმუმს აკეთებს, თუმცა რიგი საკითხები, მაინც რჩება გადაუჭრელ პრობლემად.

ამდენად წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია ამ და სხვა რიგ საკითხებზე, რომელთა ანალიზი მსმენელებს დაეხმარება უკეთ მართონ საგაკვეთილო პროცესი და მიზანზე ორიენტირებული შედეგები ჰქონდეთ.

აღნიშნული მასალა ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, როგორც სასკოლო ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო ცენტრებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური მიდგომები, ფინური საგანმანათლებლო სისტემა, ლიტერატურა, სწავლა-სწავლება.

ოდითგანვე მსოფლიოში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ხელოვნება, ლიტერატურა ჩვენი ქვეყნის, ერის, ისტორიულ წარსულს ასურათხატებდა და მსოფლიო ცივილიზაციათა ჭრილში ივანებდა. საგულისხმოა ისიც, რომ „კულტურა ჩვენ სახეს ქმნის და გავლენას ახდენს ჩვენს იდენტობასა და ქცევაზე. კულტურა ჩვენი არსებობის ფორმაა“ (ქამუშაძე, 2019: 3).

გლობალიზაციამ, ტექნიკის განვითარებამ მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა. თითოეული ქვეყანა მაქსიმუმს აკეთებს, ცდილობს ფეხი აუწყოს ახალ გამოწვევებს, გამოცდებს, რომელიც

ტექნოლოგიათა ბუმმა გამოიწვია. დღესდღეობით „გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ერთ-ერთი სფერო, რომელიც დიდი გამოწვევის წინაშე დადგა – განათლებაა. შეიცვალა თავად განათლების მისია, მიზანი და პრიორიტეტები. შესაბამისად, გაჩნდა განათლების სისტემების ტრანსფორმაციის საჭიროება“ ნინო იმნაიშვილი, <https://at.ge/2021/04/02/ganatileba-2> . დღეს, ამ მხრივ საქართველოში ბევრი რამ კეთდება. განათლების სამინისტრო მაქსიმუმს აკეთებს, თუმცა რიგი საკითხები, მაინც რჩება გადაუჭრელ პრობლემად.

მოზარდის მსოფლმედველობრივი აღზრდის ინტერესები გარდაუვლად მოითხოვს სწავლა-სწავლების ახალ მიდგომებს, ინოვაციებს. ის ითვალისწინებს მხატვრული ლიტერატურის არა მხოლოდ ცალკეულ ფაქტებში, ცალკეულ ნაწარმოებებში გარკვევას, არამედ ლიტერატურის სწავლება მიზნად ისახავს ლიტერატურის ცალკეულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირის დამყარებას. მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მთლიანობაში გააზრებას. პედაგოგებმა თითოეული ნაწარმოები უნდა განიხილონ ისტორიზმის და სხვათა პრინციპით (სხვადასხვა ქვეყანათა მსგავს ისტორიასთან შედარება-შეპირისპირების გზით).

მდიდარი ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა მოგვცემს მეცნიერულ-თეორიული შეხედულებების ფორმირების, წარსულის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის სიღრმეში წვდომის, მისი საერთო ტენდენციების, ჩასახვისა და განვითარების გრძელ ისტორიული პროცესის შესწავლის გზას. ცხადია, დამეთანხმებით, საკითხს თუ ასე მივუდგებით მათი, ბავშვების, ინტერესი უფრო მეტად გაიზრდება.

ქართული ლიტერატურის თვისობრივად ახალი, ღრმა იდეურ შინაარსი. მისი ნოვატორული ბუნება როდი აიხსნება მხოლოდ სინამდვილის განსაკუთრებული ხასითით. ამ საქმეში გარკვეულად დიდი როლს თამაშობს, კლასიკური, მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია და სხვ. ცხადია, ლიტერატურის ისტორიის სასკოლო პროგრამა, მისი სწავლება აღრმავებს და აფართოებს მოსწავლეთა წარმოდგენებს დღევანდელი მსოფლიოზე. ხელს უწყობს მათში ნაციონალური, ეროვნული სიამაყის გრძნობის აღზრდას, ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარების კანონზომიერებათა კონკრეტულ-ისტორიული მდგომარეობით მათი განპირობებულობის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას.

ახალი ინოვაციური სწავლების მიზანი განაპირობებს ისტორიულ-ლიტერატურულ სწავლებაში ისტორიზმის ჰეგემონიურ, გაბატონებულ მდგომარეობას. პროგრამებში მასალათა მხოლოდ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგების, მიმოხილვითი და მონოგრაფიული თემების შესწავლისას ლიტერატურული პარალელების ხერხისა და სასკოლო-

ლექციური როლის გაფართოება-გადღიერების აუცილებლობას. ახალი საზოგადოების აშენება შეუძლებელია დაბრკოლებებისა და სიძნელების გადალახვის გარეშე. ხოლო სიძნელებთან ბრძოლის პირველი წრთობა სწორედ სკოლამ უნდა გამოუმუშავოს მოსწავლეს. პედაგოგიკის კლასიკოსი უშინსკი სწავლებას ყოველთვის განიხილავდა ნებისყოფისა და მოვალეობის გრძნობის აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. „მარტო ინტერესზე დაფუძნებული სწავლება, – წერდა იგი, – არ იძლევა მოსწავლის თავდაჭერისა და ნებისყოფის განმტკიცების შესაძლებლობას, ვინაიდან სწავლებაში ყველაფერი საინტერესო როდია. საჭიროა ბევრი რამ ნებისყოფის ძალით შევითვისოთ“. და ისინიც დავაინტერესოთ.

სკოლაში ერთ-ერთ სირთულეს, ლიტერატურის სწავლებისას ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი წარმოადგენს. ყველა პერიოდი ითვალისწინებს მთელ რიგ მიმოხილვით თემებს. ეს მიმოხილვები უმთავრესად შეეხება ამა თუ იმ ეპოქის ისტორიულ -ლიტერატურულ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ კულტურული მდგომარეობის ამა თუ იმ ლიტერატურული მიმართულების ზოგად დახასიათებას. ის მეტწილად სცილდება ხელოვნების სათავეებს, მსჯელობებისა და არგუმენტაციასა ლოგიკულად იღებს შედარებით აბსტრაქტულ მეცნიერულ ხასიათს.

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა ლიტერატურის სწავლების კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას ემყარება მონათესავე დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინების: ფილოსოფიის, ლიტერატურისმცოდნეობის, ენთმეცნიერების, ისტორიის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მონაცემებს. განვიხილოთ ამ კავშირის ხასიათი და მიმართება.

ისე როგორც ცხოვრებაში ასახვას საფუძვლად უდევს „ცოცხალი ჭკრეტა“. ცხოვრებისეული მოვლენების შესწავლა და შეგრძნება, ლიტერატურის სწავლებაშიც პირველ რიგში ემყარება მოსწავლის მიერ ტექსტის უშუალო აღქმას, მის მიერ ნაწარმოების შინაარსის შეგრძნებას, მასზე დაკვირვებას. ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზის პროცესში მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით და ხელმძღვანელობით ახდენს ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებების გააზრებას, ნაწარმოების იდეური შინაარსის აბსტრაქტიზებას, იმსჭვალება სიმპათიით ან ანტიპათიით ამა თუ იმ ლიტერატურული პერსონაჟისადმი, შეგნებულად ითვისებს ნაწარმოებში გამოსახულ მოწინავე საზოგადოებრივ იდეალებს და იყენებს ამ გზით მიღებულ ცოდნას ცხოვრებაში, პრაქტიკაში. მაშასადამე, „არცოდნიდან ცოდნისაკენ“ მიმავალი გზა ეს არის სწავლების პროცესში შემეცნების დიდაქტიკური გზა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მოსწავლის შემეცნებას საფუძვლად უდევს არა ბუნებაში ჯერ კიდევ შეუცნობელის შეცნობა, არამედ მეცნიერებაში უკვე დადგენილი და ხელოვნებაში გადმოტანილი ჭეშმარიტების ათვისება.

„დღეს სკოლების მთავარი ამოცანაა მოსწავლეების მომზადება იმ ყოველდღიურ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რასაც მათ თანამედროვე ცხოვრების სტილი სთავაზობს. სწორედ ამ უნარებს გამოავლენს მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამაც (PISA), რომელიც 15 წლის მოზარდების ცოდნას სამი მიმართულებით ამოწმებს. ესენია წიგნიერება, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. კვლევა ყოველ 3 წელიწადში ერთხელ ტარდება და მასში 70-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს ავტორი: ნინო იმნაიშვილი, <https://at.ge/2021/04/02/ganatileba-2>.

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთ მუხლში (მუხლი 18. სკოლის საერთო კულტურა) გარკვევით წერია: „1. სკოლამ საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით), წარმოდგენილ მუხლში, ყურადსაღებია, ერთ-ერთი პუნქტი: ე) კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრება –, შემწყნარებლობა (ტოლერანტობა) გულისხმობს ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათმორისი დიალოგის წარმართვაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ“;

ისტორიულად საქართველო მსოფლიოში იმ ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომელიც გამოირჩეოდა ეთნოკულტურათა შორის განსაკუთრებული ურთიერთობებით. ტოლერანტობა და საქართველო ურთიერთგამომრიცხავი ფრაზა კი არა, სისლხორცეულად გააზრებული ცნება იყო, რომელიც ლამისაა მათი ცხოვრების წესად ქცეულიყო. საქართველოში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ უცხო ეროვნების ადამიანები: ებრაელები, სომხები, რუსები... ოდითგანვე შოვინიზმი ქართველისთვის მიუღებელ ცნებად რჩებოდა (ქართველი და ცუდი დამოკიდებულება სხვადასხვა ერებისადმი არ არსებობს). არც დღესაა ეს საკითხი დღის წესრიგში. უბრალოდ თანამედროვე გამოწვევების ზღვარმა მეტად უნდა განავითაროს ის ისტორიული ერი, რომელიც მკვლევართა, ისტორიკოსთა, მოგზაურთა ნაწერებში(ჟან მურიე, შარდენი, სტრაბონი, მარი ბროსე და სხვ.) გამორჩეულ ადგილს იკავებს. საქართველოს ისტორიული წარსულმა გარკვეულწილად დალი დაასვა ჩვენს ცხოვრებას. გამუდმებულმა ომებმა,

თავდასხმებმა, დამოუკიდებლობის დაკარგვამ და სხვა გარემოებებმა ჩვენს ქვეყანაში განათლება დეგრადაციისაკენ წაიყვანა.

შესაბამისად, დამოუკიდებლობა დაბრუნებული ქვეყანა ცდილობს ისევ დადგეს ევროპის იმ ქვეყანათა შორის, რომელ ქვეყნებთანაც საგანმანათლებლო კავშირები ჯერ კიდევ წინარე საუკუნეებიდან ჰქონდა.

დღეს, მსოფლიოში, აპრობირებული, ყველაზე წარმატებული მოწესრიგებული განათლების სისტემა, მაღალრეიტუნგული სასწავლო პროექტები აქვს ფინეთის სახელმწიფოს. მათი განათლების სისტემა მთელ მსოფლიოშია აღიარებული. დღეს უამრავი ქვეყანა ცდილობს, ის მეთოდები თუ მოდელები გამოიყენოს და დანერგოს თავის ქვეყანაში, რასაც ამ ქვეყანაში წლებია წარმატებულად ახორციელებენ. კვლევებმა არაერთხელ ცხადყო, რომ „ფინეთი ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მთელ ევროპაში. მისი სახელმწიფო სისტემა ისეა აწყობილი, რომ სისტემა მართავს ქვეყანას და აკონტროლებს ყველას და ყველაფერს და არა ინდივიდები. ვინც არ უნდა მოვიდეს სათავეში, სისტემა მას არ მისცემს იმის საშუალებას, რომ გადაუხვიოს ამ სისტემის პრინციპებს. ასეა ყველა სფეროში, მათ შორის, განათლების სისტემაში, ჯანდაცვაში და ა.შ. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ მოახერხა ფინეთმა ამ გაყინულ მიწაზე, სადაც არც ნავთობია, არც ოქრო, არც ბრილიანტები, არც მზე, არც წელიწადის ოთხი სეზონი (ძირითადად, ზამთრიდან ზაფხულში ვხდებით და ზაფხულიდან ისევ ზამთარში), სადაც ზამთარში არ თენდება და ზაფხულში არ ღამდება, ასეთი ძლიერი, გამართული, მდიდარი და ჰუმანური სახელმწიფოს შექმნა. პასუხი ერთია: ამ ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი არის ამ ქვეყნის მოქალაქე და ყველა კანონი, ყველა ინსტიტუცია ამ მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს.

<https://www.mshoblebi.ge/article/22485-ra-aris-pinuri-skolebis-mtavari-upiratesoba-da-rogor-miagcies-pinelebma-am-shedegebs-ekskluziuri-interviu-pinuri-skolis-kartvel-ped>

აქედან გამომდინარე, საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც უდიდესი ბუნებრივი რესურსები გააჩნია. ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტი სწავლა-განათლება უნდა იყოს და არა სხვა იდეალები. ერს, რომელსაც უდიდესი წარსული, კულტურული მემკვიდრეობა და სულიერი საგანძური გააჩნია მსოფლიო ბაზარზე განათლების დონით არ უნდა გამოირჩეოდეს. ტოლერანტობის რიგი საკითხები იკვეთება ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში შექმნილ „ვეფხისტყაოსანში, სადაც რაინდული იდეალები უმაღლეს ზღვარს აღწევს.

მსოფლიოში მულტკულტურალიზმი ოდითგანვე აღიარებდა ქვეყანათა შორის კულტურის აღიარებას, განსხვავებულის პატივისცემას, მის დაფასებასა და მხარდაჭერას. ბუნებრივია, „კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის აღიარება და მისი შენარჩუნების

აუცილებლობა თანამედროვე სამყაროსათვის გამოწვევაა. დღეს, ტექნიკის სწრაფი განვითარებისა და გლობალიზაციის გამო, აუცილებელია კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნვა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იუნესკომ მსოფლიო მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით შექმნა სპეციალური ნუსხა. 2001 წ. კი მიიღო უნივერსალური კულტურული მრავალფეროვნების დეკლარაცია. 2002 წელს გაერომ 21 მაისი კულტურული მრავალფეროვნების დღედ გამოაცხადა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა ამ დღეს განსხვავებულად, თუმცა ერთნაირი პათოსით აღნიშნავს“ (ქამუშაძე, ჭუმბურიძე, CCIIR), Tbilisi, 2019: 3).

ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია და განსხვავებული ჯგუფების, ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში მოითხოვს, რომ სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია მოითხოვოს, რომ სახელმწიფოს ეთნიკური პოლიტიკა კარგად გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას ეყრდნობოდეს. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, როდესაც ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ გეზად აღიარა არა ეთნიკური, არამედ სამოქალაქო იდენტიფიკაცია იდენტიფიკაცია(ჯანიაშვილი, 2008:1) ცხადია, მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერისა და რასის ადამიანს პატივისცემით უნდა მოექცეს.

ყურადსაღებია, ფინეთის საგანმანათლებლო კანონები, მიდგომები და სასკოლო გარემო, პირობები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობს მოზარდის ჩამოყალიბებაში. ისმება კითხვა, ფინეთში სკოლა რა ცოდნასა და უნარებს აძლევს მოსწავლეს? „ფინეთში სკოლა არ არის ის ადგილი, სადაც ბავშვი მხოლოდ საგნებს სწავლობს. სკოლაში ბავშვი პირველ რიგში ყალიბდება თავისუფალ პიროვნებად და თავისუფალ მოქალაქედ. ბავშვები არიან ამ ქვეყნის მომავალი. მათ უნდა მართონ ეს ქვეყანა და მათ უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოს წარმატებულად ფუნქციონირება მომავალში. ისინი უნდა იყვნენ ამ ქვეყნის სრულყოფილი მოქალაქეები, ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ ბავშვებს ამ უნარებს პატარაობიდანვე უვითარებენ და ასწავლიან <https://www.mshoblebi.ge/article/22485-ra-aris-pinuri-skolebis-mtavari-upiratesoba-da-rogor-miagcies-pinelebma-am-shedegebs-ekskluziuri-interviu-pinuri-skolis-kartvel-ped>

შესაბამისად, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საუკეთესოდ მიჩნეული განათლების მოდელი ფინეთს აქვს და ის უკვე წლებია არც კარგავს პოპულარობას „პიზას“ რეიტინგის პირველ ათეულში. ფინურ განათლების სისტემაში მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა „თანასწორობა“. ყველაფერი 1963 წელს დაიწყო, როცა ფინეთის პარლამენტმა მიიღო თამამი გადაწყვეტილება და ახალი ეკონომიკის აშენების გზაზე პრიორიტეტად სახელმწიფო განათლება აირჩია. მანამდე

ფინეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების უმეტესობა 6 კლასის შემდეგ ტოვებდა სკოლას. დანარჩენები კერძო სკოლებში სწავლობდნენ. მხოლოდ პრივილეგიურებულ ფენას ჰქონდა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. ამიტომ ფინური განათლების სისტემის რეფორმის პირველი პრინციპი სწორედ თანასწორობა გახდა. „ეს იყო უბრალოდ იდეა, რომ ყველა ბავშვს უნდა ესწავლა ძალიან კარგ საჯარო სკოლაში. თუ ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ კონკურენტუნარიანი, პირველ რიგში, გვჭირდება, რომ განათლება მივცეთ განურჩევლად ყველას“, – პროფესორი პასი სალბერგი, წიგნის „ფინური გაკვეთილები“ ავტორი.

ამ ქვეყანაში, დღეს, ყველა ფინელი მოსწავლისთვის უფასოა განათლება, სასკოლო კვება და ჯანდაცვა. ფინეთის ყველა სკოლას აქვს საერთო ეროვნული მიზნები. შედეგად, ყველა მოზარდი იღებს ერთსა და იმავე ხარისხის განათლებას, მიუხედავად იმისა, ის ცხოვრობს რეგიონსა თუ საუნივერსიტეტო ქალაქში. განსხვავება ქვეყნის ყველაზე ძლიერ და ყველაზე სუსტ მოსწავლეს შორის კი ყველაზე მცირეა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რასაც ვერ ვიტყვით ჩვენს ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაზე.

2023 წლის ერთ-ერთი შეხვედრის დროს(საერთაშორისო კონფერენცია), პირად საუბრებში გამოიკვეთა აზრი გვეთანამშრომლა (ჩვენ უნივერსიტეტსა და ჰელსინგის უნივერსიტეტს) ჩვენი მიზანია, დავნერგოთ სიახლეები, მოვაწყოთ ინტერაქტიური ჩართვები, განვახორციელოთ პროექტები ამ ორ ქვეყანას შორის, რათა სამომავლოდ დავნერგოთ რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს განათლების დონის ამაღლებას ჩვენს ქვეყანაში ვფიქრობთ, გავაცნოთ ფინეთის სკოლების მოდელი და მათი საინტერესო მიდგომები და რესურსები დავნერგოთ ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეებში. აღნიშნული კი მისასაღმებელი იქნება არა მარტო სკოლაში, არამედ უმაღლეს სასწავლებლებში. რამეთუ ეროვნული, მულტიკულტურალიზმული ცნობიერების ამაღლება აუცილებელია ამ საფეხურზეც.

ფინეთის სახელმწიფოს არაერთი განსხვავებული მოდელი აქვთ. „მათი რეფორმის წარმატება პირველად 2000 წელს დამტკიცდა, როცა „პიზას“ ტესტებში ფინეთმა პირველი ადგილი დაიკავა წიგნიერებაში. სამი წლის შემდეგ ფინელები დაწინაურდნენ მათემატიკაში, 2006 წელს კი საბუნებისმეტყველო საგნებში. თუმცა ფინეთში ამბობენ, რომ „პიზას“ შედეგები მათთვის პრიორიტეტი არ არის, რადგან უპირველესი, რასაც მათი განათლების მოდელი ეწინააღმდეგება – ეს შეჯიბრებითობა, სტანდარტიზებული ტესტები, ქულები და რეიტინგებია. „ჩვენ ვასწავლით მოსწავლეებს იმას, თუ როგორ ისწავლონ და არა იმას, თუ როგორ ჩააბარონ გამოცდა“, – ამბობს ფინეთის სკოლის მასწავლებელი. მათ სკოლებში განსაკუთრებული ადგილი სულიერება, თვითშემეცნებას ენიჭება. ისინი

პატივს სცემენ წინაპართა წეს-ჩვეულებებს. ყოველივეს, რაც მათი ქვეყანის ისტორიულ წარსულს აერთიანებს. ასევე ყურადსადება, ისიც რომ „ფინელი მოსწავლე სკოლაში 7 წლის ასაკში შედის. მანამდე არის თავისუფალი ბავშვობის წლები, რომელიც ფინელების აზრით, არ უნდა იყოს დაკავშირებული სავალდებულო განათლებასთან. ფინეთში ამბობენ, რომ ეს უბრალოდ არის გზა იმისა, რომ აცადო ბავშვს, იყოს ბავშვი. სკოლაში სავალდებულო მხოლოდ პირველი 9 წელია. ყველაფერი ამ 9 წლის შემდეგ, ანუ 16 წლის ასაკში, არის არჩევითი“ . მათ საგაკვეთილო პროცესები ისე აქვთ გადანაწილებული, რომ ბავშვს ნაკლები დავალებები აქვს დასაწერი. სკოლაში მხოლოდ ხუთ საათს ჩერდებიან. ფინელ მოსწავლეებს მსოფლიოში ყველაზე ნაკლები საშინაო დავალება აქვთ. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ნახევარი საათი დღეში, თანაც იმდენად საინტერესო გარემოში, რომ ბავშვები ვერც კი გრძნობენ დროს. მათ აქვთ რამდენიმე შუალედი კვებისათვის, რეკრეაციული აქტივობებისა და უბრალოდ დასვენებისთვის. ასევე სასწავლო მოდელი გამოირჩევა ეროვნული სტანდარტიზებული გამოცდების არქონით. ფინეთში მოსწავლეების სწავლის ხარისხი ფასდება არა ტესტებით, არამედ სხვადასხვა მეთოდით, რომელიც აქცენტს აკეთებს მოსწავლის ზოგად განვითარებაზე, გამომუშავებულ უნარებზე და არა დამახსოვრებასა და რაოდენობრივ ქულებზე.

ამდენად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ის მთავარი მიდგომა, რაც ფინეთს აქვს სკოლებში, ესაა თავისუფალი სივრცე, სადაც ბავშვები ნაკლებად იტრესებიან და აქვთ მეტი მზრუნველობა სოციუმისაგან.

რაც მთავარია, იგივე გარემოა შექმნილი მასწავლებლებისთვის. პედაგოგებისთვის სათანადო პირობების შექმნაც ამავე მოდელის ნაწილია იმისთვის, რომ ისინი იყვნენ პროდუქტიულები და ბავშვებთან გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი. გარდა ამისა, მასწავლებელი ფინურ სკოლაში არის თვითმმართველი. მათ აქვთ თავისუფლება, რომ თვითონვე დაგეგმონ თავიანთი სასწავლო პროცესი. თავად პედაგოგის განათლების დიდი ნაწილი კი ეთმობა იმის სწავლას, თუ როგორ უნდა მოარგონ სწავლების პროცესი სხვადასხვა ტიპის მოსწავლეს <https://at.ge/2021/04/02/ganatileba-2/>.

დაბოლოს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სწავლა-სწავლების მიდგომებმა მათში უნდა აამაღლოს შემეცნებითი ცოდნა ისტორიული წარსულის შესახებ, დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი(ბავშვმა განასხვავოს ერთმანისაგან კარგი და ცუდი).ეთნოკულტურული აზროვნება, რომელიც გააძლიერებს მათში ტოლერანტობის მნიშვნელობასა და დანიშნულებას ჩვენს ქვეყანაში_ყოველივე ზემოაღნიშნული კი გააძლიერებს მენტალურ კავშირს წინაპრებსა და ტრადიციულ კულტურასთან და რაც მთავარია, მსოფლალქმითი, ანუ თითოეული მოქალაქის, ჯგუფის, და საერთოდ,

კაცობრიობის თვითშემეცნებისათვის მიიღოს ის საზრდო, რომელიც მისცემს საშუალებას ცხოვრებაში დამკვიდრებისა და არსებობისა.

ამდენად, თაობა თუ ამ იდეებით იქნება შთაგონებული, მაშინ საქართველოს მომავალი წარმატებული იქნება და დაიჭერს ადგილს წამყვან ქვეყანათა შორის.

ამდენად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თეორიულ მეცნიერული მომზადებულობის არე და მასშტაბი უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივად სხვა საგნის მასწავლებლის ცოდნის მასშტაბებისაგან. მას მოეთხოვება ფართო, ყოველმხრივი და სრულყოფილი ცოდნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ზუსტმეცნიერებათა და სხვათა ზოგადი ცოდნა, რათა მისი გაკვეთილები იყოს საინტერესო და ნაყოფიერი, მით უმეტეს დღეს, როცა ტექნოლოგიებმა გადაფარა ყველა ინტერესთა წყარო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეა ქამუშაძე, რუსუდან ჭუმბურიძე, „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“, გამომც. „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებატაშორისი ურთიერთობების ცენტრი“(CCIIR), Tbilisi, 2019 წ.
2. ნინო იმნაიშვილი, <https://at.ge/2021/04/02/ganatileba-2> .
3. <https://www.mshoblebi.ge/article/22485-ra-aris-pinuri-skolebis-mtavari-upiratesoba-da-rogor-miagcies-pinelebma-am-shedegebs-ekskluziuri-interviu-pinuri-skolis-kartvel-ped>

სოციოლოგია / Sociology

Gender Issue in the Middle East according to the Publications Published in Georgian Press of the Beginning of XX Century

გენდერული საკითხი მახლობელ აღმოსავლეთში XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული შავიზღვისპირული კორესპონდენციების მიხედვით

Sopio Makhatchashvili

Assistant professor at Rize Recep

Tayyip Erdogan University

e-mail: sophio.makhatchashvili@erdogan.edu.tr

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-1083-9865>

Abstract: Since the 70s of the 19th century, the Georgian press has actively focused on the events taking place in the Middle East, the interest in which has not slowed down even at the beginning of the twentieth century. On the contrary, the dynamic development of political processes in this region aroused and deepened the interest of the Georgian society even more, as evidenced by the frequency and diversity of published publications. Among the many interesting issues that are presented in these correspondences, the gender problem has an important place.

20th century In the Georgian press of the beginning, the tendency to bring "women's issues" to the forefront and to actively discuss them is clearly visible. Naturally, when discussing the good and bad of the Middle East, focusing on the mentioned issues would not be less interesting for the Georgian society at that time. It is thanks to this interest that we will get important information, through which it is possible to study the situation in the region in terms of gender in the mentioned period. Our present article aims to present this situation in a clear way.

We think that the collage of viewpoints on gender issues by different authors: Yase Rachveli, Arthur Laist, Davit Chikovani, Gerasime Nadareishvili and others, seen from different perspectives and presented in correspondences, will attract the attention of both specialists working on gender issues and the general public interested in the Georgian press of that time.

Key words: gender issue, Middle East, Black Sea correspondences, Georgian press.

სოფიო მახაჭაშვილი
რიზეს რეჯევ ტეიფ ერდოღანის
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
ელ-ფოსტა: sophio.makhatchasvili@erdogan.edu.tr
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-1083-9865>

აბსტრაქტი: XIX ს. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართული პრესის ფოკუსში აქტიურად იყო მოქცეული მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, რომელთა მიმართაც ინტერესი XX საუკუნის დასაწყისშიც არ განელეზულა. პირიქით, ამ რეგიონში პოლიტიკური პროცესების დინამიურმა განვითარებამ ქართული საზოგადოების ცნობისწადილი კიდევ უფრო გააღვივა და გააღრმავა, რაზედაც გამოქვეყნებული შავიზღვისპირული კორესპონდენციების სიხშირე და მრავალფეროვნება მეტყველებს. იმ მრავალმხრივ საინტერესო საკითხთა შორის, რომლებიც ამ კორესპონდენციებშია წარმოდგენილი, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გენდერულ პრობლემატიკას.

XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში აშკარად იკვეთება „ქალთა საკითხების“ წინა პლანზე წამოწევისა და მათზე აქტიური მსჯელობის ტენდენცია. ბუნებრივია, მახლობელი აღმოსავლეთის ავ-კარგის განხილვისას, აღნიშნულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებაც არ იქნებოდა ინტერესმოკლებული იმდროინდელი ქართული საზოგადოებისთვის. სწორედ ამ ინტერესს უნდა ვუმაღლოდეთ იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციების სიუხვეს, რომლითაც შესაძლებელია აღნიშნულ პერიოდში რეგიონში გენდერული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესწავლა. ჩვენი წინამდებარე სტატია სწორედ ამ მდგომარეობის თვალნათლივ წარმოჩენას ისახავს მიზნად.

ვფიქრობთ, გენდერულ საკითხებზე სხვადასხვა ავტორების: იასე რაჭველის, არტურ ლაისტის, დავით ჩიქოვანის, გერასიმე ნადარეიშვილის და სხვათა მიერ განსხვავებული პერსპექტივებიდან დანახული და კორესპონდენციებში წარმოდგენილი თვალსაზრისების კოლაჟი, როგორც გენდერულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების, ასევე იმდროინდელი ქართული პრესით დაინტერესებული ფართო საზოგადოების ყურადღებასაც მიიქცევს.

საკვანძო სიტყვები: გენდერული საკითხი, ახლო აღმოსავლეთი, შავიზღვისპირული კორესპონდენციები, ქართული პრესა.

გენდერული პრობლემატიკა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი აქტუალური თემაა და XX ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული, დისკუსიისა თუ პოლემიკის საგნად არაერთხელ ქცეულა მსოფლიო

საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო სივრცეში, არანაკლებ აქტიურად განიხილებოდა ჯერ კიდევ XIX ს. 70-იანი წლებიდან მოწინავე ქართულ საზოგადოებაში, თუმცა არა ამ ტერმინით, რასაკვირველია.

სიტყვა „გენდერი“ (ინგლ. gender; ლათ. Genus – გვარი) – როგორც სოციალური სქესის აღმნიშვნელი ცნება-ტერმინი XX ს. 70-იანი წლებიდან შემოვიდა და დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.¹

ტერმინი „გენდერი“ სოციალურ მეცნიერებებში ადამიანის სქესობრივი კუთვნილების სოციო-კულტურული ასპექტის აღსანიშნად გამოიყენება. ანუ, ესაა განსხვავება კაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით. ასეთია ამ ტერმინის ძირითადი ფორმულირება (თუმცა სპეციალისტები მას არაერთგვაროვნად განმარტავენ¹). ამ ტერმინის მიღმა მოიაზრებენ ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. გენდერული როლები განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის (ბრანდერი, 2004). იგი არ ფოკუსირდება მარტო ქალებზე, არამედ კაცებზეც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მდგომარეობის ქალების მდგომარეობისთვის შედარების ხარჯზე მოხდეს ქალების დისკრიმინაციის დემონსტრირება, არამედ თვით მამაკაცურობის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის შესასწავლადაც.

„გენდერი არის სოციალური კატეგორია, რომელიც ისტორიულად არსებობს და ეპოქებისა და კონტექსტის გათვალისწინებით მუდმივ ცვლილებას განიცდის“ (საბედაშვილი, 2006: 112). აქედან გამომდინარე, გენდერი არის ქცევის კულტუროლოგიური მახასიათებელი, რომელიც დადგენილია საზოგადოებაში და შეესატყვისება მოცემულ სქესს კონკრეტულ კულტურულ დროსა და სივრცეში (ანთელავა, 2002).

ის პრობლემატიკა, რასაც თანამედროვე გენდეროლოგები ამ ცნების მიღმა მოიაზრებენ, არახალია და მას თითქმის ყოველთვის აღიარებდნენ და განიხილავდნენ კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში მეტ-ნაკლები დოზით (კიკვაძე, 2010: 34). მათ შორის ქართული აზროვნების ისტორიაშიც არაერთი ნიმუშის გახსენებაა შესაძლებელი, თანამედროვე გენდეროლოგიის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების (გენდერის, როგორც სოციო-კულტურული ფენომენის შესახებ) ისტორიულ ჭრილში გააზრებაში რომ დაგვეხმარება. ამის დასტურია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული პირველივე ტექსტი „შუშანიკის წამება“, რომელიც ჯერ კიდევ V საუკუნეში სწორედ ამ პრობლემატიკის აღიარებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამასვე მოწმობს შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ფრაზაში ჩატეული მთელი თანამედროვე გენდეროლოგიური თეორია „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა

ხვადია“, რომელიც ექოდ გასდევს მთელს ნაწარმოებს და იმ ეპოქის გამოძახილს წარმოადგენს...

XIX ს. მეორე ნახევრიდან ამ საკითხის აქტუალობა თვალსაჩინო და საგრძნობია იმჟამინდელ ქართულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე გაბნეულ პუბლიკაციებში, რომლებშიც „დედათა საქმის“ ანუ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით არსებული პრობლემატიკა სამსჯავროდაა გამოტანილი ფართო საზოგადოების წინაშე და მწვავე პოლემიკის საგნადაც ქვეულა არაერთგზის.

ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიები: „ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი“(1877 წ. №16); „ისტორიული სურათები“ (1882 წ. № 4, 5, 6); „ქართველი ქალის“ წერილი „საყურადღებოდ“ (1889 წ. 4 მარტი); ილია ჭავჭავაძის გამოხმაურება აღნიშნულ წერილზე: „დედათა საქმის გამო“ (1889, 6 მარტი); „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში“ (1893 წ. 31 დეკემბერი) და სხვ.

ამ სტატიებში წარმოდგენილი პრობლემატიკა დაწვრილებით აქვს გაანალიზებული ენობრივ-გენდერული რაკურსით ეროვნული იდენტობის გენდერული მარკერების ძიებისას ზ. კიკვაძეს ნაშრომში „ენა, გენდერი და ნაციონალიზმი“ (გამომც. „უნივერსალი“, 2010 წ.), რომელიც მომზადდა 2010 წ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – ბექდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას „ივერია“ – ფარგლებში. როგორც კვლევის ავტორი შენიშნავს, გენდერული პრობლემატიკის შემცველ სტატიებში, განსაკუთრებით საყურადღებოა აღნიშნული საკითხების განხილვისას გამოკვეთილი პრობლემისადმი ილია ჭავჭავაძის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური მიდგომა, რაც უაღრესად დიდ იმვიათობას წარმოადგენდა იმ დროში. კონცეპტუალურად საკითხის ამ რანგში დაყენება ილიასეულ მსჯელობას ღირებულებას უნარჩუნებს გენდერული კვლევების დღევანდელი მდგომარეობის თვალსაზრისითაც (კიკვაძე, 2010).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული პრობლემატიკის მიმართ იმ დროს არ იყო ცალსახა დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებაში. ილიას მიერ აქტიური პოზიციის დაკავებამ ამ საკითხთა მიმართ, მათი სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ ჭრილში წარმოჩენამ, გარკვეული გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, რაც შემდგომ პერიოდში აისახა კიდევ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით განხორციელებულ ქმედებებში, კერძოდ, ქალთა განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში; ქალთათვის ფართოდ დეკლარირებულ საარჩევნო უფლებების მინიჭებაში; საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა აქტიურ ჩართულობაში,

რაც დაგვირგვინდა კიდეც დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში 5 ქალი დეპუტატის არჩევით და სხვა.

საზოგადოებრივი აზრის მომწიფება და მზაობა ამგვარი ცვლილებებისათვის, გარკვეულწილად, იმ პუბლიკაციათა დამსახურებადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ქართულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა და აქტუალობა და ინტერესი არც XX საუკუნის დასაწყისში დაუკარგავს; რომელთათვისაც ნიშნულია, ფაქტობრივად, XX ს. მეორე ნახევრის გენდეროლოგიური დისკურსისათვის დამახასიათებელი სტილით საუბარი; დღეისთვისაც მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთა; რომელთა შინაარსიცა და პათოსიც საოცარი სიზუსტით მეორდება თანამედროვე გენდერულ გამოკვლევებში წარმოდგენილი საპროგრამო დებულებების რანგში (კიკვაძე, 2010).

არანაკლებ საყურადღებოა ისეთი პუბლიკაციები, რომლებიც უშუალოდ არ ასახავს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს; განიხილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ვითარება, რომელიც თემატურად ეხმიანება ქართული საზოგადოების ინტერესებს. აშკარაა, რომ ამგვარი პუბლიკაციები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვისაა გამიზნული და ამა თუ იმ გამოცემის სარედაქციო პოლიტიკაზე მიგვანიშნებს. სტატიის ავტორის დამოკიდებულება განსახილველი საკითხის მიმართ, ავტორისეული კომენტარები და საკითხის წარმოჩენის პერსპექტივა მკაფიოს ხდის რედაქციის არჩევანს.

ამგვარ სტატიათა რიგს მიეკუთვნება XX ს. საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ოსმალეთის იმპერიის რეგიონებიდან მოწოდებული კორესპონდენციები, რომლებიც გვაწვდიან იმ დროისთვის მახლობელ აღმოსავლეთში გენდერული თვალსაზრისით არსებული ვითარების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციებს. ჩვენი სტატიის მიზანი სწორედ მათი გაანალიზება და იმ შტრიხების გამოწვლილვაა, რედაქციის პოზიციას რომ წარმოაჩენს. გარკვევა იმისა, თუ რამდენად ეხმიანება აღნიშნული პუბლიკაციები „დედათა საქმის“ ნაციონალურ განზომილებებს.

ვინაიდან პუბლიკაციები ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ლოკაციიდან, ძირითადად, შავიზღვისპირეთის რეგიონებიდანაა მოწოდებული და ამ რეგიონში არსებულ ვითარებას ასახავს, პირობითად შავიზღვისპირულ კორესპონდენციებად მოვიხსენიებთ.

რამდენადაც იმჟამად გამომავალი ყველა პერიოდული გამოცემისთვის თვალის მიდევნება და მათში თავმოყრილი ინფორმაციების გაანალიზება შეუძლებელია ერთი სტატიის ფარგლებში, მასალის მოცულობიდან გამომდინარე, არჩევანი რამდენიმე მათგანზე შევაჩერეთ: „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და „სახალხო გაზეთი“. ეს ის გამოცემებია, რომლებიც მეტ-ნაკლებად სრულად ასახავდნენ საქართველოში იმხანად მიმდინარე

საზოგადოებრივ პროცესებს და ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის თვალის მიდევნების საშუალებასაც იძლევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინი „გენდერი“ სოციალურ მეცნიერებებში ადამიანის სქესობრივი კუთვნილების სოციო-კულტურული ასპექტის აღსანიშნად გამოიყენება. ამ ტერმინის მიღმა მოიაზრებენ ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. გენდერული როლები განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის (ბრანდერი, 2004). გენდერი არის ქცევის კულტუროლოგიური მახასიათებელი, რომელიც დადგენილია საზოგადოებაში და შეესატყვისება მოცემულ სქესს კონკრეტულ კულტურულ დროსა და სივრცეში (ანთელავა, 2002).

როგორი იყო სოციალურად კონსტრუირებული გენდერული როლები XX ს. დასაწყისის ოსმალეთში? ამის შესახებ წარმოდგენა რომ შეგვექმნას, საკმარისია თვალი გადავავლოთ გაზეთ „ივერიის“ 1909 წ. №40 დაბეჭდილ იასე რაჭველის პუბლიკაციას „მგზავრის შენიშვნები“. მასში ავტორი საკუთარი თვალთ ნანახსა და განცდილ ამბებს გადმოგვცემს. ლაზებით, ანუ ჭანებით მჭიდროდ დასახლებულ სოფელ არხავში გავლისას პუბლიცისტის ყურადღება სწორედ ქალების მდგომარეობას მიუქცევია. ნანახს იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე, რომ მკითხველისთვის მაისი გაზიარება გადაუწყვეტია.

„გზაში რამოდენიმე ქალი და კაცი შეგვხვდა, კაცს დაუკავებია ხელში თოფი, შეიარაღებულიყო თავიდან ფეხებამდის, თოფით, ლივერვერით, ხანჯლით, დანით და კოხტა მოკლე ჩაქურა ტანისამოსში მიუძღვის პირუტყვივით დიდი ტომრით დატვირთულს თავის „მვირფასს ნახევარს“ და მედიდურად მიდის წინ, უკან საბრალო ქალი მისდევს ნახევრად წელში მოღუნული და მიყვება ქმარს სახლისკენ. ან კიდევ ყაძახს დაუკავებია თოფი ხელში, თავიდან ფეხებამდის შეიარაღებულა, ჩაუცვამს მშვენიერი ჩაქურა ტანისამოსი და ყანის ჭიშკართან ან ღობესთან დგას; ქალს კი დაუკავებია ხელში ნამგალი, სჭრის სიმინდს, კონავს და შემდეგ კარგა დიდ შეკვრას იგდებს ზურგზე და მიაქვს სახლში, ქმარი კი წინ მიუძღვის თავმომწონეთ.“

ამ მონაკვეთში პუბლიკაციის ავტორი ნათლად აღწერს ქალისა და მამაკაცის სოციალურად კონსტრუირებულ გენდერულ როლებს მახლობელ ლაზისტანში, სადაც „ქმრები სრულიად არაფერს ფიზიკურად სახლში არ აკეთებენ. ყანას, ბაღებს, ძროხას, ქათამს და აგრეთვე სრულიად ოჯახსაც ქალი უვლის. კაცი მხოლოდ ბატონია ცოლის და იცავს ვითომ ცოლშილსა და ოჯახს გარეშე მტრისაგან.“ თვალშისაცემია მამაკაცთა უფლებრივი მდგომარეობა, რომლებიც მათ მიერ დამკვიდრებული ნორმებით ცხოვრებას აიძულებდა ქალებს. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ამ რეგიონისთვის არაა დამახასიათებელი. რომ „ქალის

მდგომარეობა, საზოგადოდ ოსმალეთში საშინელებაა, მეტადრე მდაბიო ხალხის ქალებისა, მაგრამ ქალაქებში ბევრად უარესი.“ ავტორი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს ქალაქელ ქალთა მდგომარეობის უარესობაში. თუმცა ყურადღებას ამახვილებს თავად ქალების განწყობასა და მორჩილ დამოკიდებულებაზე საკუთარი „როლის“ მიმართ; რომლებიც უდრტვინველად იტანენ „ამ ისტორიულის უკანონო და უსვინდისო მოქმედებას,“ და იმდენად არიან შეგუებულნი თავის მდგომარეობას თუ დარწმუნებულნი ცხოვრების ამგვარი წესის სისწორეში, რომ „თვითონ ქმრებზე რომ უთხრათ, ეს ასე არ უნდა იყოსო, არაფრის გულისათვის არ დაგიჯერებენ.“

ი. რაჭველი აღმოფოთებას ვერ მალავს ლაზისტანელი ქალების საშინელი მდგომარეობის გამო და ამავდროულად გაკვირვებულია მათი ბედისადმი მონური მორჩილებით. „ზოგსა ჰგონია, ოსმალეთის ახალმა მთავრობამ ქალებს უფრო თავისუფლება მიანიჭაო, მაგრამ ეს მართალი არ არის“ – აღნიშნავს იგი გულდაწყვეტით. სტატის გამოქვეყნების თარიღს და კონტექსტს თუ გავითვალისწინებთ, როცა ქალთა მოძრაობა მთელს ევროპაში აქტიურ ფაზაშია შესული და საქართველოშიც საკუთარი უფლებების დასაცავად სულ უფრო მეტი ქალი ჩნდება საზოგადოებრივ ასპარეზზე, პუბლიცისტის გაკვირვება გასაგებია. თუმცა, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მან, ვინც მანამდე თითქმის 20 წელი ოსმალეთში, კერძოდ სტამბოლში, გაატარა და კარგად იცნობდა იქაურ ყოფას, ისიც მშვენივრად უწყოდა, რომ მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანებები არაა საკმარისი საზოგადოების ცხოვრების წესის შესაცვლელად, განსაკუთრებით დედაქალაქიდან მოშორებულ პროვინციებში. ადგილზე არსებულმა სოციუმმა თუ არ გააცნობიერა ცვლილებების აუცილებლობა და შეგნებულად არ მოახდინა გენდერული როლების კონსტრუირება, ქალისა და მამაკაცის სოციალურ-კულტურული ფენომენის შეცვლა და ფორმირება მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონებსა თუ ბრძანებულებებს ადვილად არ ექვემდებარება. ამისათვის წლებია საჭირო და შესაძლოა ათწლეულებიც.

ქალის უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით ოსმალეთში არსებული ვითარება ისტორიულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში საფუძვლიანადაა შესწავლილი და საინტერესოდ წარმოდგენილი მათა ბუქურის სამეცნიერო ნაშრომში „ქალი თურქეთში“ (2012). ავტორი ისტორიული წყაროებისა და საარქივო მასალების გამოყენებით მეტ-ნაკლებად სრულ ინფორმაციას გვაწვდის მუსლიმურ აღმოსავლეთში ქალის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მისი როლის შესახებ, როგორც ოსმალეთის იმპერიის, ისე თურქეთის რესპუბლიკის პერიოდში.

როგორც უკვე ვთქვით, ი. რაჭველი ზემოხსენებულ პუბლიკაციაში აღნიშნავს, რომ „ქალაქებში ბევრად უარეს“ ყოფაში არიან ქალები, თუმცა

მეტს არაფერს ამბობს ამი შესახებ, არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს „უარეს ყოფაში“. XX საუკუნის ქართულ პრესას თუ გადავავლებთ თვალს, ამოვიკითხავთ, რომ ახალმა საუკუნემ დასაწყისიდანვე ოსმალელ ქალთა ცხოვრებაშიც შემოიტანა სიახლე.

გაზეთი „ივერია“ 1901 წ. მეთხუთმეტე ნომრის ფურცლებიდან იუწყებოდა: „ოსმალეთის სულთანის არამხანის ქალები ეს რამდენიმე კვირაა დიდ სიხარულში არიან თურმე: სულთანმა ნება მისცა ერთ ფოტოგრაფს, ამ ქალების სურათები გადაიღოს. ეს ახალი საქმეა ოსმალელ ლამაზებისათვის და სულთანმა ფოტოგრაფს მანამდე არ მისცა სურათის გადაღების ნება, ვიდრე მან მაჰმადიანობა არ მიიღო. ფოტოგრაფს დიდძალი სურათები გადაუღია თურმე და პარიჟში გაუგზავნია, სადაც გამოფენის გამართვას აპირებს.“

გაზეთ „ივერიაში“ 1905 წ. №178 დაბეჭდილია არტურ ლაისტის პუბლიკაცია „პარასკევ დღეს სტამბოლში (ჩემი მოგონებანი)“, რომელშიც ტრადიციული პარასკევი დღის აღწერის ფონზე სტამბოლელ ქალთა ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე ამახვილებს ყურადღებას. მწერლის ცნობისმოყვარე და მახვილ მზერას არაერთი მომენტი დაუფიქსირებია ახალგაზრდა ბანოვანთა თავისუფალი ქმედებისა, რომელიც „საშინელ მდგომარეობად“ სრულიადაც არ აღიქმება; მორიდების ზღუდეები რომ გადაულახავთ და თუ „რომელიმე ბებერმა ხელი არ შეუშალა“, სიცილითა და ოხუნჯობით რომ აგებებენ „თავის ტურფა თვალების ისრებს“ ეგზოტიკის მამიებელთა ცნობისმოყვარე მზერას.

დროის გასატარებლად და საჭიროად ერთად შეკრებილი რამდენიმე ცნობილი კაცის ოჯახის ქალები ხალიჩებზე სხედან, შარბათს, ტკბილეულობასა და ხილს მიირთმევენ და საუბრობენ. იქვე მათი სუფთად და კოხტად ჩაცმული ბავშვები მშვიდად თამაშობენ. ასეთი ლამაზი ბავშვები და მოსიყვარულე დედები სხვაგან არსად მინახავსო, – დასძენს ავტორი ამ იდილიური სურათის აღწერისას.

„იქ, სადაც ახალგაზრდა ქალები ან რომელიმე მდიდრის ჰარამხანის ქალებია, დროს უფრო მხიარულად ატარებენ: მღერიან, თარს უკრავენ, პაპიროსს ეწევიან და, იმისდა მიუხედავად, რომ თავზე შავი ყორანივით დასტრიალებს ზედამხედველი, – საჭურისი-არაბი, – გამველ-გამომველ მამაკაცებს თავს აწონებენ, ეარშიყებიან.“

ცხენზე კოხტად გამოჭიმულ ოფიცრებთან მოკეკლუცე ახალგაზრდა ქალების დაუფარავ არშიყს კარგად ამჩნევს ქალთა მფარველი – ეშმაკი საჭურისი, მაგრამ ძველებურ სისასტიკეს აღარ მიჰმართავენო, შენიშნავს ავტორი და ამას თავისუფლების მოსაპოვებლად ოსმალელ ქალთა ბრძოლის შედეგად მიიჩნევს: „დიდი ხანია ოსმალელი ქალი თავის უფლების მოსაპოვებლად იბრძვის და ევროპიელი ქალები, რომლებიც კი ოსმალეთის

სახლებში დაიარებიან, ერთხმად ამტკიცებენ, რომ ოსმალელმა ბანოვანებმა კარგა ხანია ქმრებს ხმა ჩააწყვეტინესო.“

ოსმალელი ქალების საყვარელ საპარასკევო გასართობთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი თეატრს ეკავა, რომლის სცენებზე იდგმებოდა „ვითომ ოსმალური“, მაგრამ ხშირად ევროპის ცხოვრებიდან აღებული შინაარსის წარმოდგენები, რომლებშიც ხშირად ფარდას ხდიდნენ ხოლმე ჰარამხანის ცხოვრებასაც. ქალებს განსაკუთრებით „კამედიები“ მოსწონდათ. ამ წარმოდგენებზე მთელი თეატრი ქალებითაა ხოლმე სავსეო, შენიშნავს ოსმალთა მეტისმეტი გულკეთილობით, გულწრფელობით, თავაზიანობით და სტუმართ მოყვარეობით მოხიბლული პუბლიცისტი.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პუბლიკაციის ავტორი გახლავთ ცნობილი გერმანელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის მეგობარი და თანამოაზრე, არტურ ლაისტი და იგი 1905 წ. დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (№178). მის მონათხრობში ნამდვილად იგრძნობა ოსმალეთის ახალი მთავრობის მიერ ქალებისათვის უფრო მეტი თავისუფლების მინიჭების შედეგი, რაც იასე რაჭველმა 1909 წელს დაბეჭდილ ზემოთ მოხსენიებულ პუბლიკაციაში არ თუ ვერ შენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ამავე პუბლიკაციაში თავადვე აღნიშნავდა: „ქალები საზოგადოდ ხელუხლებელია ოსმალეთშიო.“ იასე რაჭველს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ რეალობის აღქმის უუნარობას ან ტენდენციურობას. მან მანამდეც და შემდგომ წლებშიც არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა და მნიშვნელოვანი ცნობა მიაწოდა ქართულ საზოგადოებას ოსმალეთში მიმდინარე საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური პროცესების შესახებ მისი იქ ცხოვრების პერიოდში. ალბათ, უფრო იმის ხაზგასმას ცდილობდა, თუ რამდენად აფერხებს ცივილიზაციას სიახლის მიმართ კონსერვატული დამოკიდებულება, რომელიც მკაფიოდ იკვეთება პროვინციული სოფლის ყოფის ფონზე, სადაც უდრტვინველად აგრძელებენ „ისტორიულის უკანონო და უსვინდისო მოქმედებით“ დამტკამპულ ცხოვრებას; საგანგებოდ უსვამს ხაზს პროვინციულ ქალთა ჩაცმულობასაც.

„...აქაურობაზე არა თუ ქმრიანი ქალები და გასათხოვარნი, თვით ათი-თორმეტი წლის ბავშვებიც კი თავიდან ფეხებამდის ჩადრში გამოხვეული დადის. სამი დღეა, რაც აქ სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დავდივართ და არც ერთი ქალის, ახალგაზრდა არც მოხუცებულის სახე არ დაგვინახავს,“ – წერს ავტორი და აქვე განმარტავს, რომ ამგვარი ჩაცმულობა სულთან ჰამიდის ბრძანების გამო არაა, პირიქით, ახსენებს სულთნის სრულიად საწინააღმდეგო ბრძანებას. მას ეშინოდა ჩადრში გამოხვეული ქალებისა, რადგან საფრთხეს ხედავდა მათში: შესაძლებლად თვლიდა, ჩადრში კაციც გახვეულიყო და შეუმჩნევლად მოეკლა სულთანი.

განსხვავებულად აღწერს ზემოხსენებულ პუბლიკაციაში სტამბოლელი ქალების ჩაცმულობას არტურ ლაისტი. „სახე სრულიად დაბურული მარტო

იმათა აქვთ, ვისაც დასანახი და საჩვენებელი არა მოეპოვებათ რა, ე.ი. ბებერ ქალებს – წერს იგი. ახალგაზრდები კი ნიკაპამდე ჩამოფარებულ თეთრ, თხელ პირბადეს ატარებენ, რომელიც სახის ნაკვეთებს ვერ ფარავს და მათი კოპწია ტუჩები და თეთრი კბილებიც კი შეუმჩნეველი არ რჩება ავტორისთვის. არც ოსმალელი ქალების სადღესასწაულო მორთულობის ევროპული შტრიხები გამორჩენია მის მახვილ თვალს: აბრეშუმის ჩადრის ქვეშ მჩენი პარიზის უკანასკნელ მოდაზე შეკერილი კაბა, ხელთათმანები და ძვირფასი ბათინკები. „ამ ქალებს დიდი ხანია უარ უყვიათ ძველებური, ოსმალური „მოდა“ და უკვე „გალიბერალებულან“ – ასკვნის ავტორი (ა. ლაისტი).

ამგვარი „გალიბერალების“ ნიშნები შედარებით პატარა ქალაქების მაცხოვრებლების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩაცმულობასაც დაეტყო, რასაც კონსერვატულად მოაზროვნე უფროსი თაობის მამაკაცები აღშფოთებით შეხვდნენ. მეტადრე სკვერში სასეირნოდ გამოსული შლაპიანი ქალების გამოჩენა აღიზიანებდათ და ღიად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას: წინად ტრაპიზონში შლაპიანს ვერ ჰნახავდით, ახლა კი 30 შლაპიანი კაცი და 20 ქალია. აბა რა ქალის საქმეა ბაღში მოსვლა და სკამზე ჯდომა, ისინი სახლში უნდა იყვნენ და ჭილოფზე ფეხმოკეცილნი ისხდნენო – შეუჩივლია იასე რაჭველისთვის ერთ „თათარს გულნატკენად“ („ცნობის ფურცელი“, 1904 წ., №2566). მსგავსი აზრისა და დამოკიდებულების საჯაროდ გაცხადების მიღმა ადვილია ქალთა რეალური ყოფის სირთულისა და უფლებრივი მდგომარეობის წარმოდგენა ამგვარ კონსერვატულ საზოგადოებაში. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებულება ქალაქის ქუჩების შეთვალთვლებისას უცხო თვალისთვისაც კი ადვილად შესამჩნევი იყო.

„...ესეთი განკერძოება, დედაკაცის დამონავება და დამცირება. აქ ყოველი სახლი ერთგვარი სატუსალოა, რომელშიაც ისლამის მიმდევართ დაუმწყვდევიანთ თავიანთი დედები და დები“ – ვკითხულობთ 1911 წ. (№232) „სახალხო გაზეთში“ „ნამის“ ფსევდონიმით (სავარაუდოდ სურგულაძე პეტრე როსტომის ძე (1873 – 1931)) დაბეჭდილ პუბლიკაციაში „წერილი საზღვარ-გარეთიდან (ტრაპიზონი)“. აშკარაა, იმდენად აღუშფოთებია ამგვარი სურათის ხილვას პუბლიცისტი, რომ არც ცდილობს მის დამალვას ან შელამაზებას. თუმცა ამავე წერილში გვაცნობს ტრაპიზონში მცხოვრები განათლებული ლაზი (ჭანი) კაცის აზრს, რომელიც სოფელ ათინიდან ყოფილა ჩამოსული და სასამართლოში მუშაობდა გამომძიებლად. იგი ქალს ოჯახის ბურჯად და მშობლიური ენის (ლაზურის) საიმედო მცველად აღიარებს. აქვე ერთ საინტერესო ინფორმაციასაც გვაწვდის. ამ პატივცემულ ჭანს ზეპირად წაუკითხავს კორესპონდენტისთვის ერთი ახალგაზრდა ქალის მიერ ლაზურ ენაზე შეთხზული პოემა. სამწუხაროდ, არც ამ „პატივცემული ჭანის“, არც პოემისა და არც მისი ავტორის ვინაობას არ ასახელებს: „ეს პოემა პატივცემულ ჭანს ჩაწერილი ჰქონია, მაგრამ ჩემდა

სამწუხაროდ, თავის სოფელ ათინაში დაუტოვებია“ – წერს გულდაწყვეტით პუბლიცისტი. თუმცა ქალის ნიჭის აღიარებისა და პატივისცემის დასტურად ნამდვილად გამოდგება მის მიერ შეთხზული პოემის ზეპირად დასწავლა ამ „პატივცემული ჭანის“ მხრიდან.

თავშეკავებულია და დელიკატურად უვლის გვერდს აღნიშნულ საკითხზე საუბარს პუბლიცისტი დ. ჩიქოვანი, რომელმაც 1912 წ. ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა სოფლები შემოიარა და რამდენიმე პუბლიკაციაც მიუძღვნა ამ ვოიაჟს სათაურით „ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში“, რომლებიც „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა 1912 წელს (№612). „თვით ქალების მდგომარეობაზე ვერას ვიტყვი, რადგან საშუალება არ არის შრომობენ, როგორც ოჯახში, ისე ტყესა და ყანებში. რასაც მოგახსენებთ ყოველივე უცბად ნახული ან გაგონილია. დიდხანს რომ ვინმემ იცხოვროს მათ შორის - მრავალ საყურადღებო ცნობებს შეაგროვებს“ – წერს იგი. რისი შემჩნევა იყო შესაძლებელი „საზოგადოდ მაჰმადიანებში“ დ. ჩიქოვანი არ აკონკრეტებს.

ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის რელიგიურ ასპექტებზე საუბარს არ გაუბრბის იგივე „ნამის“ ფსევდონიმით 1912 წ. გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილის – „ალბანეთის“ ავტორი. იგი ქრისტიანული რწმენის, რომელიც დედაკაცში ისეთსავე ადამიანურ პიროვნებას სცნობს, როგორც მამაკაცში, ჩანაცვლებას მუსულმანობით, კულტურულ უკანდახევად მიიჩნევს. მისი გაგებით, ეს „ხალხის ერთი ნახევრის უპიროვნო მონად ქცევაა, რაც მეტად ამცირებს მთელი ხალხის კულტურულ ღონეს. მაჰმადიან ალბანელებში აუცილებლივ ქალის მდგომარეობა ფრიად დაბალ საფეხურზეა“ – დაასკვნის იგი ალბანელთა ყოფა-ცხოვრების გაცნობის შემდეგ („სახალხო გაზეთი“, № 624, 1912)

XX ს. დასაწყისში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური პროცესები ალბანეთსა და ბალკანეთის სხვა ქვეყნებში, ოსმალეთის იმპერიიდან რომ ცდილობდნენ თავის დაღწევას და ბალკანეთის ომის სახელითაა შესული ისტორიაში, აქტიურად შუქდებოდა იმჟამინდელ ქართულ პრესაში, ერთადერთ მასობრივ მედიასაშუალებაში. ქართული საზოგადოების გაცხოველებული ინტერესი აღნიშნული მოვლენებისადმი გასაგებიც იყო: ქვეყანა, რომელიც თავად განიცდიდა იმპერიის ბრჭყალების სიმწვავეს და მისგან დახსნის გზებისა და საშუალებების ძიებაში იყო, სხვა ქვეყნებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ გამოჩენილი ყურადღება და თანაგრძნობა ეროვნული იდეოლოგიის გატარების ერთადერთ საშუალებად რჩებოდა მკაცრი საცენზურო პირობების გამო, განსაკუთრებით იმ სასტიკ რეაქციულ პერიოდში XX ს. დასაწყისში რომ სუფევდა საქართველოში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითქმის ყოველდღიურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებიდან მოწოდებული ცნობები ფრონტის წინა ხაზზე, სხვადასხვა

ქვეყნის, მათ შორის ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებსა თუ კულუარებში განვითარებული მოვლენების შესახებ. უყურადღებოდ არ რჩებოდა რედაქციისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინფორმაცია, თუნდაც მცირეოდენი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი. იბეჭდებოდა სპეციალურად მივლინებული კორესპონდენტების მიერ მომზადებული მიმოხილვითი ხასიათის ვრცელი პუბლიკაციებიც.

ამ კორესპონდენციებიდან რამდენიმე მათგანი ომის პირობებში ქალთა ყოფისა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლის გააქტიურების შესახებ გვაწვდის მეტად ღირებულ ინფორმაციებს. ნიმუშად გამოდგება „სახალხო გაზეთის“ 1912 წ. №244-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რომელიც იტყობინება მაკედონიაში მიმდინარე საომარ მოქმედებების გამო გამოქცეული, ნახევრად შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალი ბავშვებისა და ქალების საშინელი მდგომარეობის შესახებ, რომელთა უბედურებას რილის მთებში გადმოსვლისას დიდთოვლობა დაემატა და საშინელ დღეში აღმოაჩინა. მათ დახმარება ესაჭიროებოდათ, მაგრამ მანამ მათ მისაშველებლად ადგილობრივი ხელისუფლება და სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოება რამეს მოიმოქმედებდა, ეს უკანასკნელნი შიმშილითა და სიცივით იხოცებოდნენ. ბულგარეთში მცხოვრებმა ინგლისელმა ქალებმა ვერ აიტანეს მათი საცოდაობის გულგრილად ყურება და პირველები დაეხმარნენ ამ გაჭირვებულებს. ამავე ქალებმა დააარსეს სოფიაში უფასო სასადილო და სამკერვალო, სადაც ამზადდებდნენ ზამთრის ტანსაცმელს მაკედონიიდან გამოქცეული ქალებისა და ბავშვებისათვის; გამოუნახეს თავშესაფრები და სასმელ-საჭმელსაც მუქთად ურიგებდნენ. ამ გვარად, საბრალო ქალებმა და ბავშვებმა პირველი დახმარება ინგლისელი ქალებისაგან მიიღეს – ვიგებთ საინფორმაციო ტექსტიდან. ეს წერილი ერთ-ერთია ევროპელ ქალთა საზოგადოებრივი აქტივობისა და სოლიდარობის მაგალითების წარმომჩენი პუბლიკაციებიდან, ქართველ ქალთა წახალისებასა და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმისათვის მათი ენერჯის მომართვას რომ ისახავდა მიზნად. ქართულ პრესაში აქტიურად შუქდებოდა 1910 წლიდან ევროპაში ფართოდ გაშლილი ქალთა მოძრაობა, რადგან იგი სრულად შეესაბამებოდა „ქალთა საკითხის“ ნაციონალურ განზომილებებს, XIX საუკუნის ბოლოდან რომ იღებდა სათავეს და ილიასეული გზის გაგრძელებას წარმოადგენდა.

და არა მარტო ევროპაში, მახლობელ აღმოსავლეთშიც შეინიშნება ქალთა მოძრაობის ორგანიზება, რაც უყურადღებოდ არ დარჩენია ქართულ პრესას. „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის №81-ში დაიბეჭდა „ბერლინერ თავებლატისთვის“ სტამბოლელი კორესპონდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. „ოსმალელ ქალთა მიტინგი სტამბოლში“ – ასეა დასათაურებული სარედაქციო წერილი, რომლიდანაც ვგებულობთ ოსმალელ ქალთა გააქტიურების შესახებ, რომელთაც სტამბოლში მიტინგი

გაუმართავთ. წერილში აღწერილია ვისი ორგანიზებით მოეწყო მიტინგი და რა მიზანს ემსახურებოდა იგი.

კრების ორგანიზება პრინცესა ნიმუტ-ხანუმისა და მაჰმუდ-მუხტარ-ფაშის მეუღლის ინიციატივით მომხდარა. პირველად ილაპარაკა ფახმი-ალიხ-ხანუმმა, ოსმალელი ისტორიკოსის, ჯევატ-ფაშის ქალმა. მოლაპარაკე გატაცებით ამტკიცებდა ბრძოლის გაგრძელების საჭიროებას. იგი ამბობდა: ოსმალეთმა მსხვერპლი უნდა შესწიროს სამშობლოს დასაცავადო და მოუწოდებდა ოსმალელ ქალებს, ყოველ მხრივ დახმარებოდნენ ოსმალეთის ჯარს. შემდეგმა გამომსვლელმა ფეიმე-ნესტეხ-ხანუმმა, მგრძნობიარე და ლამაზი სიტყვით დაასურათა ბალკანეთის ომის მიმდინარეობა, აღინიშნა მოკავშირე სახელმწიფოების სისასტიკე და სიმკაცრე. ოსმალელმა მოსწავლე ქალებმა წაიკითხეს ლექსები. ილაპარაკა ცნობილმა მწერალმა ქალმა ხალიდე-ხანუმმა, რომელსაც კრება აღტაცებით მიეგება. მან მოაგონა კრებას ოსმალთა სახელმწიფოს დიადი წარსული და მოწოდებაც შესაბამისი გააჟღერა: რითაც კი ძალა შეგწევთ, ჯარს დაეხმარეთ ოსმალეთის მტრებთან საბრძოლველადო.

ამ ემოციური გამოსვლების პათოსს შეესაბამება კრების დადგენილება: „ოსმალეთის ჯარს გამამხნევებელი დეპეშა გაეგზავნოს და სთხოვოს, იბრძოლოს დედათა, ცოლთა და დათა პატივისა და ღირსების დასაცავად. გადაწყდა, დეპეშები გაეგზავნათ ასევე ევროპის გვირგვინოსანი ქალებისთვის და ეთხოვათ, „დაეცვათ ოსმალეთი მოკავშირე სახელმწიფოთა სიმხეცისაგან.“ კრების ბოლოს ყველამ თვისი ძვირფასი სამკაული მოიხსნა და ძვირფას სამშობლოს დასაცავ თანხას შესწირა“ – იტყობინება სტამბოლელი კორესპონდენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით „სახალხო გაზეთის“ რედაქცია.

წერილში აშკარად იგრძნობა სტამბოლელ ქალთა პათოსით აღფრთოვანება, რაც რედაქციის პოზიციას ამჟღავნებს: გაერთიანება და ეროვნული ენერჯის მიმართვა ყველაზე ძვირფასის, სამშობლოს დასაცავად, რაშიც ქალებს მამაკაცებთან ერთად უდავოდ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ. ეს უნდა იყოს სტამბოლელ ქალთა პათოსით რედაქციის აღფრთოვანების რეალური მიზეზი. ეს ერთგვარი მოწოდება იყო კონსოლიდაციისა და საერთო მიზნისათვის ერთიანი ძალით ბრძოლისაკენ, რაც ასე სჭირდებოდა იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებას.

მეორე მხრივ კი, დასტურდება ოსმალელი ქალების მამაკაცთა ჩრდილიდან გამოსვლისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისთვის მზაობა XX ს. 10-იანი წლებიდან; შეიმჩნევა ქალთა მასობრივი მოძრაობის ორგანიზებისკენ სწრაფვის ტენდენცია. აქაც უკვე მართლდება ილია ჭავჭავაძის მიერ ჯერ კიდევ 1889 წელს გამოთქმული ცნობილი წინასწარმეტყველური ვარაუდი: „შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა

მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთელავა ლ., „კულტურა და გენდერი (გენდერული პრობლემატიკა საქართველოში)“, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002.

2. ბოსტაშვილი ნ., „იასე რაჭველი (მეხუზლა) წერილები თურქეთიდან“, „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

3. ბრანდერი ვ., „კომპასი“ (სახელმძღვ. ადამიანის უფლებათა განათლ. სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით), თბილისი, 2004.

4. ბუქური მ., „ქალი თურქეთში“, თბილისი, 2012.

5. კიკვაძე ზ., „ენა, გენდერი და ნაციონალიზმი“, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2010 .

6. საბედაშვილი თ., „ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები“(სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის), თბილისი, 2006 .

7. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., №2566

8. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., №2579

9. „ივერია“, 1897 წ. , № 164

10. „ივერია“, 1898 წ. , №131

11. „ივერია“, 1901 წ. , № 15

12. „ივერია“, 1901 წ. , № 75

13. „ივერია“, 1901 წ. , № 98

14. „ივერია“, 1901 წ. , № 198

15. „ივერია“, 1905 წ., №178,

16. „ივერია“, 1905 წ., №244

17. „ივერია“, 1909 წ. , № 40

18. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., №203

19. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., №232

20. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 421

21. „სახალხო გაზეთი“, 1911წ., №470,

22. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., №81

23. „სახალხო გაზეთი“, 1912წ., №587,

24. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., №612

25. „სახალხო გაზეთი“, 1912წ., № 624-625

Some Aspects of the Activities of the Creative Intelligentsia of Batumi
(A sociological analysis)

ქ.ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის ზოგიერთი
ასპექტი (სოციოლოგიური ანალიზი)

Nugzar Chkhaidze

Doctor of philosophy, sociologist
Batumi Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute's Ethnology
and Sociological Research Department
Senior researcher

e-mail: nugzar.chkhaidze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-2795-791X>

Abstract: In the present paper, we discuss various aspects of work and life of creative intelligentsia living in Batumi. First of all, the content of the concept of "intelligentsia" itself is clarified and the emphasis is placed on the variety of its scientific definitions, which in turn is due to the wide range of social groups considered under the intelligentsia. As for sociology, following characteristics are direct subject of study in a certain sociological research: professional affiliation of the respondents; their specific field of activity; amount of income; dynamics of the financial situation over the last five years; Promotion of creative activity by governmental and private structures (including aspects of material well-being); the possibility of implementing a private commercial project by creative intelligentsia,; existence of contacts with foreign colleagues; Willingness to work abroad in a creative direction; involvement in artistic projects implemented by the government; Assessing the state of Georgian culture in general and comparing it with European culture; National culture development prospects; Recommendations on how to increase the role of creative intelligence in public life; presentation of the main hindering factors that prevent creative intelligence in professional activity; Particular attention was paid to determining the relationship between the concepts of "intelligentsia" and "intellectual", including their similarities and differences, as well as the specifics of the use of these terms in scientific literature. A very important place in this article is devoted to finding out what the so-called "the red intelligentsia" represented actually, whether they were a group artificially created by the Soviet communist government, or they were sincere eulogists of a classless, communist society. A certain place in the article is devoted to clarifying the internal structure of the intelligentsia, their types - creative, technical, scientific, administrative, pedagogical intelligentsia, etc., their role in the spiritual life of the country. In the end, this work, St. Based on the results of a sociological survey of Batumi's creative

intelligentsia, it allows to identify the main problems that hinder their professional activities.

Key words: intelligenction, intellectual, creative intelligentsia, culture, artist.

ნუგზარ ჩხაიძე

ფილოსოფიის დოქტორი, სოციოლოგი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და
სოციოლოგიური კვლევი სგანყოფილების
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
e-mail: nugzar.chkhaidze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-2795-791X>

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომში, განხილულია, ქ. ბათუმში მცხოვრები შემოქმედებითი ინტელიგენციის მოღვაწეობის და ყოფაცხოვრების სხვადასხვა ასპექტი. უპირველეს ყოვლისა ზუსტდება თვით ცნება „ინტელიგენციის“ შინაარსი და აქცენტი კეთდება მისი მეცნიერული განმარტების მრავალგვარობაზე, რაც თავის მხრივ, განპირობებულია ინტელიგენციის ქვეშ მოაზრებულ სოციალური ჯგუფების ფართო სპექტრით. უშუალოდ კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის შესწავლის საგანს კი წარმოადგენენ შემდეგი სახის მახასიათებლები: რესპონდენტთა პროფესიული კუთვნილება; მათი კონკრეტული საქმიანობის სფერო; შემოსავლის ოდენობა; მატერიალური მდგომარეობის დინამიკა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში; სახელისუფლებო და კერძო სტრუქტურების მხრიდან შემოქმედებით საქმიანობაში ხელშეწყობა (მათ შორის მატერიალური სახის); შემოქმედებითი ინტელიგენციის მიერ, კერძო კომერციული პროექტების განხორციელების შესაძლებლობა; შემოქმედებითი კონტაქტების არსებობა უცხოელ კოლეგებთან; საზღვარგარეთ პროფესიით მუშაობის სურვილი; ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სახელოვნებო პროექტებში ჩართულობა; ზოგადად ქართული კულტურის დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და მისი ევროპულ კულტურასთან შედარება; ეროვნული კულტურის განვითარების პერსპექტივები; რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს შემოქმედები ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; იმ ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორების წარმოჩენა, რომლებიც ხელს უშლიან შემოქმედებით ინტელიგენციას პროფესიულ საქმიანობაში.

ყურადღება გამახვილდა ცნებების „ინტელიგენცია“ და „ინტელექტუალი“-ს ურთიერთმიმართების, მათ შორის მსგავსების და განსხვავების დადგენას, ასევე ამ ტერმინების გამოყენების სპეციფიკას სამეცნიერო ლიტერატურაში. ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი აღნიშნულ სტატიაში ეთმობა იმის გარკვევას, თუ რას წარმოადგენდა რეალურად ე.წ.

წითელი ინტელიგენცია, იყო ის საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი ჯგუფი, თუ ისინი იყვნენ უკლასო, კომუნისტური საზოგადოების გულწრფელი მეხოტბეები.

გარკვეული ადგილი სტატიაში ეთმობა ინტელიგენციის შიდა სტრუქტურის გარკვევას, მათ სახეობებს – შემოქმედებით, ტექნიკურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ, პედაგოგიურ და ა.შ. ინტელიგენციას, მათ როლს ქვეყნის სულიერი ცხოვრების საქმეში. საბოლოო ჯამში, ეს ნაშრომი, ქ. ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, იძლევა იმის საშუალებას, რომ იდენტიფიცირებული იქნას ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც აფერხებენ მათ პროფესიულ საქმიანობას.

საკვანძო სიტყვები: ინტელიგენცია, ინტელექტუალი, შემოქმედებითი ინტელიგენცია, კულტურა, ხელოვანი.

შესავალი: ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტია შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელსაც ქვეყნის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეაქვს. ის არის საქართველოს სულიერების ბალავარი. თავისი საქმიანობით შემოქმედებითი ინტელიგენცია ქმნის, ინახავს და საზოგადოებაში ავრცელებს კულტურულ-სამეცნიერო ფასეულობებს. შემოქმედებითი ინტელიგენცია შეიძლება ზოგადად განვიხილოთ ისეთ სოციალურ ჯგუფად, რომლის პროფესიული საქმიანობის საფუძველია მაღალი საგანმანათლებლო დონე და შემოქმედებითი ხასიათის გონებრივი შრომა. მას განსაკუთრებული როლი აკისრია საქართველოს ისტორიაში-უპირატესად, მხოლოდ შემოქმედებით ინტელიგენციას ძალუმს, მოახდინოს ჩვენი ერის არსებობის მანძილზე შექმნილი კულტურული ფასეულობების აკუმულირება, შესწავლა, მისი განვითარების პერსპექტივების დასახვა და მთლიანობაში კი მთელი საზოგადოების სულიერი ცხოვრების წარმართვა.

თემის აქტუალობა ჩვენი აზრით განპირობებულია იმით, რომ პოსტსაბჭოთა, დამოუკიდებელ საქართველოში, შემოქმედებითი ინტელიგენციის პრობლემატიკის კომპლექსური სოციოლოგიური შესწავლა სათანადოდ ჯერ არ განხორციელებულა. აღნიშნული კვლევით ჩვენ შევეცადეთ გამოგვესწორებინა ეს ხარვეზი.

დღემდე, სამწუხაროდ, არ არის შემუშავებული „ინტელიგენციის“ საყოველთაოდ მიღებული, უნიფიცირებული განმარტება რაც შეეხება თვით ტერმინ „ინტელიგენციას“ ის ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ცოდნას, გონიერებას და განათლებულობას ნიშნავს. ტერმინი „ინტელიგენცია“ პირველმა გამოიყენა ნაკლებადცნობილმა რუსმა მწერალმა პეტრე ბობორიკინმა მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში. მან ეს სიტყვა „ისესხა“ გერმანული ენიდან. შემდეგ ეს ტერმინი გავრცელდა კონტინენტის

სხვა ენებშიც ანუ „დაუბრუნდა“ ევროპას. პ. ბობორიკინმა ამ ტერმინის შემოტანით იმ პირების გამოცალკავება და კატეგორიზაცია სცადა, რომლებსაც აერთიანებდა გონებრივი შრომა. თავიდანვე გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენდა იმ სოციალური ჯგუფების დადგენა, რომლებიც შეიძლება მიკუთვნებული ყოფილიყვნენ ინტელიგენციას. ინტელიგენციის საქმიანობის სპექტრი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ცალმხრივად განმარტება გაძნელებულია. მაგ. არსებობს შეხედულება, რომ ინტელიგენციად, მხოლოდ შემოქმედებითი ინტელიგენცია (მეცნიერები, მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები და ა. შ.) უნდა ჩაითვალოს. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც, ინტელიგენციის შემადგენლობაში შედის გონებრივი შრომით დაკავებული ყველა პირი: ტექნიკურ-საინჟინრო, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული, სამართლებრივი ორგანოების და ა. შ. პერსონალი.

ინტელიგენციის რაობის თაობაზე არსებობს თვალსაზრისი, რომ ინტელიგენციის წარმომადგენლებად, შეიძლება მივიჩნიოთ ისინიც კი, ვინც სპეციფიკური ხასიათის ინტელექტუალურ-პრაქტიკული ხასიათის საქმიანობას ახორციელებს (დიზაინერი, მოდელიორი, დეკორატორი, ოქრომჭედელი და ა. შ.). გვხვდება ინტელიგენციის ცნების ისეთი უცნაური ინტერპრეტაციაც, რომლის მიხედვითაც ინტელიგენციას შეიძლება მიეკუთვნებოდეს მხოლოდ ის პირები, რომელთა საქმიანობის ძირითადი ვექტორია ხელისუფლების კრიტიკა. ინტელიგენციის ცნების დეფინიციისას, არსებობს ისეთი უკიდურესი წარმოდგენებიც, რომელთა მიხედვითაც საინჟინრო-ტექნიკური ინტელიგენცია საერთოდ არ მიეკუთვნება ინტელიგენციას. ასეთად კი მხოლოდ შემოქმედი ინტელიგენცია შეიძლება ჩაითვალოს. ერთ-ერთი განმარტებით კი ინტელიგენტობა საერთოდ არ ნიშნავს რაიმე სახის შემოქმედებითი პროდუქციის შექმნას, საკმარისია პიროვნება იყოს განათლებული, კულტურული და მაღალი ზნეობის მატარებელი.

ზოგადად უნდა ითქვას,, რომ „ინტელიგენციის“ ცნება, უნდა განვიხილოთ, როგორც ისტორიულად განვითარებადი კატეგორია. რაც შეეხება ჩვენ დამოკიდებულებას ამ ტერმინთან, ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ ინტელიგენციას ფართო გაგებით შეიძლება მიკუთვნებული იქნას ყველა ის პირი, ვინც უპირატესად დაკავებულია გონებრივი, არაფიზიკური შრომით.

ძალიან საყურადღებოა ტერმინ „ინტელექტუალის“ დამკვიდრება ჩვენთან. ის საბჭოთა კავშირში თითქმის არ გამოიყენებოდა (ძირითადად დასავლეთის ქვეყნებში იყო გავრცელებული). არსებობს მოსაზრება, რომ ამ ორ მსგავს ტერმინს „ინტელიგენცია“ და „ინტელექტუალი“ შორის არ უნდა დაისვას ტოლობის ნიშანი, რადგან შეიძლება მიეკუთვნებოდეს ინტელიგენციას და არ იყო ინტელექტუალი. დასავლეთში დამკვიდრდა

შეხედულება, რომ ინტელექტუალები შეიძლება ეწოდოს მხოლოდ გონებრივი შრომით დაკავებულ იმ პროფესიონალებს, რომლებიც ქმნიან მაღალი დონის ინტელექტუალურ პროდუქციას და გამოირჩევიან შემოქმედებითი (კრეატიული) აზროვნებით.

არსებობს ასევე მოსაზრება, რომ ცნება „ინტელიგენცია“ წარსულს ჩაბარდა და მისი გამოყენება არქაიზმია - ჩვენ არ შევუდგებით ამ პოსტულატის სიღრმისეულ განხილვას, უბრალოდ გამოვთქვამთ მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ მიგვაჩნია რომ „ინტელიგენცია“ და „ინტელექტუალი“ ფაქტობრივად იდენტური, ერთი შინაარსის ცნებებია, რომელთაც აერთიანებს ის პარადიგმა, რომ მასში მოიაზრებიან გონებრივი, არაფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები. ამ ტერმინების გამოყენების სპეციფიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ ტერმინი „ინტელექტუალი“ ხმარებაში დამკვიდრდა უპირატესად დასავლეთში, ხოლო ტერმინი „ინტელიგენცია“ კი ძირითადად საბჭოთა კავშირში და პოსტსაბჭოთა სივრცეში („ინტელიგენცია“ რომ ხმარებადი ტერმინია, ჩანს იქედანაც, რომ ის ხშირად გამოიყენება გაეროს ოფიციალურ დოკუმენტებში).

ინტელიგენციაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით, ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ეხება ინტელიგენციის ადგილს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. საბჭოთა კავშირში, მარქსისტული იდეოლოგიიდან გამომდინარე „არსებობდა“ ორი კლასი (მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა) და ინტელიგენცია, როგორც სოციალური ფენა და არა კლასი ანუ სხვადასხვა სოციალური ჯგუფი მოქცეული იყო ამ ორ კლასსა და ინტელიგენციაში. ამის შედეგად მივიღეთ აბსურდული სიტუაცია. მაგ. უმაღლესი კლასის პილოტი მიეკუთვნებოდა მუშათა კლასს, ხოლო ფოსტის რომელიღაც რიგითი კლერკი კი, ითვლებოდა მოსამსახურედ. სოფლად უფრო უცნაური სიტუაცია იყო. მაგალითად ცნობილია რომ საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში დასაქმებულები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებდნენ, ე. ი. მათი შრომის ხასიათი იდენტური იყო, მაგრამ მათ სხვადასხვა კლასს – მუშათა კლასს და კოლმეურნე გლეხობას მიაკუთვნებდნენ, საკუთრების ფორმებთან კავშირის გამო – საბჭოთა მეურნეობებში მიწა და წარმოების საშუალებები სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო კოლმეურნეობებში კოოპერაციულს. საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულებს სახელიც კი გამოუძებნეს – მუშათა კლასის აგრარული რაზმი.

საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო გარემოებას გვინდა გავუსვათ ხაზი: 1960-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში შეიმჩნეოდა უმაღლესდამთავრებულთა (განსაკუთრებით პედაგოგთა) სიჭარბე, ამის გამო ბევრი მათგანი ვერ საქმდებოდა პროფესიის

მიხედვით. ასეთი ვითარების გამო, ინტელიგენციის ნაწილი იძულებული გახდა დასაქმებულიყო ფიზიკური შრომით (ქარხნებში, ფაბრიკებში, ტაქსისტებად და ა. შ.). ასეთი კატეგორიის ხალხს ოფიციალურმა საბჭოთა დოქტრინამ „მიანიჭა“ შემდეგი სტატუსი – „მუშა-ინტელიგენტი“. ეს ყველაფერი აიხსნებოდა იმით, რომ ასეთი ქმედებით საბჭოთა ინტელიგენციამ „აჩვენა“, ვითომდა თავისი მაღალი ზნეობრივი სახე, რადგან ისინი „ნებაყოფლობით“ დაეუფლენ მუშათა პროფესიებს, რითაც „აამაღლეს“ ამ სფეროში დასაქმებულთა პრესტიჟი (ამ ქმედებით, მათი აზრით, „ინტელექტუალური“ ხასიათი შესძინეს მუშათა პროფესიებს). სინამდვილეში, როგორც აღვნიშნეთ ასეთი ვითარების მიზეზი იყო თავისი პროფესიით ინტელიგენციის დაუსაქმებლობა.

მთელი ეს უაზრობა გამოწვეული იყო იმით, რომ საბჭოთა იდეოლოგიას არ სურდა მარქსისტული კლასობრივი თეორიის მიღმა გასვლა და სურდა მთელი საზოგადოება რადიკალიზებული, ორ კლასსა და ერთ სოციალურ ფენაში მოექცია. ზოგიერთი ფუნდამენტალისტი კომუნისტი უფრო შორს მიდიოდა და სოციალისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე, სადაც „ნაწინასწარმეტყველები“ იყო განსხვავებების წაშლა ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, დარწმუნებულები იყვნენ რომ მალე კლასები საერთოდ გაქრებოდა და შეიქმნებოდა უკლასო საზოგადოება. აღსანიშნავია, რომ ამავდროულად იბლოკებოდა, დასავლეთში, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის აღსაწერად გამოიყენებული სტრატეგიკაციის მოდელი, რომელიც საზოგადოებას დიფერენცირებულად, უფრო გაშლილად, სტრატეგების (ნიშნავს შრეს) მიხედვით ახარისხებდა (გამოყოფილია დაახლოებით 400 სტრატა). მაგალითად, ისმის კითხვა, რომელ კლასს შეიძლება მივაკუთვნოთ გამოჩენილი სპორტსმენი, რომლის წლიური შემოსავალი მილიონობით დოლარს შეადგენს? – ის არც მუშაა, არც გლეხი და არც ინტელიგენტი. სტრატეგიკაციის თეორიის მიხედვით მისი ადგილი საზოგადოებაში თავისი პროფესიით და შემოსავლებითაა განპირობებული. ამ ფაქტის წარმოჩენაც კი საკმარისია იმის დასამტკიცებლად რომ მარქსისტულმა კლასობრივმა თეორიამ და მისმა პრიმიტიულმა საბჭოთა მოდელმა სრული კრაზი განიცადა. დღეს მისი ადგილი საზოგადოების სტრატეგიკაციულმა დაყოფამ დაიკავა. შეიცვალა ტერმინოლოგიაც, მაგ. თითქმის აღარ იხმარება ტერმინი პროლეტარი, სამაგიეროდ ფართოდ გამოიყენება ახალი სოციალური სინამდვილის აღმნიშვნელი სიტყვა საშუალო კლასი, რომლის ძირითადი მახასიათებელია მატერიალური შემოსავლის ოდენობა და არა სხვა რაიმე პარამეტრები.

ძალიან საინტერესოა ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის შინაარსობრივი ტრანსფორმირება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. კომუნისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ინტელიგენციას,

განსაკუთრებით მწერლებს შეეძლოთ დიდი ზეგავლენა მოეხდინათ ხალხთა მასებზე და დაიწყეს ახალი ტიპის, „წითელი“, „მუშურ-გლეხური“ ინტელიგენციის შექმნა. მათ ძირითად მოვალეობად დაუსახეს „გავლენის აგენტის“ ფუნქციის შესრულება, რომელთა მთავარი ამოცანა იყო კაპიტალისტურ სამყაროსთან დაპირისპირება და უკლასო, კომუნისტური მომავლის პროპაგანდა. სამწუხაროდ ქართული ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი, მმართველი კომუნისტური პარტიის ფასადი და იდეოლოგიური საყრდენი გახდა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ინტელიგენციად „გადაკეთებული“ პირები ისე შეეზარდნენ სახელისუფლებო სტრუქტურებს, რომ მოკლე დროში საბჭოთა სახელმწიფოს პრივილეგირებული პერსონები გახდნენ, რაც გამოიხატებოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათი ბინებით, აგარაკებით, ფულადი ჯილდოებით და სხვა სიკეთეებით უზრუნველყოფაში ამასთან ერთად. ე. წ. ელიტური ინტელიგენციის გადაბირების სხვა მეთოდებიც გამოიყენებოდა, მაგ. „მაღალრეიტინგიან“ ინტელიგენტებს იწვევდნენ სხვადასხვა პარტიულ თუ სახელისუფლებო თათბირებზე, შეყავდათ საზღვარგარეთ მიმავალ დელეგაციებში. საინტერესო ინტელიგენციის გადაბირების ერთ-ერთი სახე იყო ე.წ. სპეცგამანაწილებლები, სადაც „დამჯერე“ ინტელიგენტები, პარტიულ ნომენკლატურასთან თანაბრად, მიზერულ ფასებში, იძენდნენ დეფიციტურ საქონელს.

საბჭოთა სახელმწიფოს ამგვარი პოლიტიკის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა ინტელიგენციის განსაკუთრებული ფენა, ე. წ. წითელი ინტელიგენცია, რომელიც პარტიულ-სახელისუფლებო ელიტასთან იყო შეზრდილი და ფაქტიურად იმდროინდელი საზოგადოების ზედაფენას, საბჭოთა ნომენკლატურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მისი ძირითადი მისია იყო კომუნისტური პარტიის ინტერესების გატარება ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭოთა პოლიტიკური დოქტრინის მიხედვით, ინტელიგენციას, რადგან ის ფენაა და არა კლასი, არ შეეძლო ეთამაშა დამოუკიდებელი პოლიტიკური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი მთავარი ფუნქცია იყო, ხალხის „სამსახურში“ ყოფნა, „დიადი“ ამოცანის – უკლასო საზოგადოების აშენების საქმეში. ამასთან ერთად ინტელიგენციას არ უნდა ჰქონოდა თვითკმარი იდეოლოგიური კრედოც – ის მთლიანად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული პროლეტარიატის მსოფლმხედველობაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ, ინტელიგენციის „მოთვინიერების“ უფრო კარგად წარსამართავად, მისი კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში უფრო „მყარად“ მოქცევის მიზნით, კულტურის სფეროში დააწესა შემოქმედებითი სტანდარტი – სოციალისტური რეალიზმი. ყველა შემოქმედი ინტელიგენტი ვალდებული იყო ემოღვაწა ამ სტანდარტის ფარგლებში. ვინც არ იმუშავებდა ამ „თარგით“, ის სხვადასხვა ფორმით

ისჯებოდა (მაგ. არ აქვეყნებდნენ საბჭოთა იდეოლოგიისთვის „მიუღებელი“ ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს).

საბჭოთა პერიოდის ინტელიგენციის დაყოფა პირობითად შეიძლება ორ ძირითად სტატუსურ ჯგუფად – ერთს წარმოადგენდა პრივილეგირებული ინტელიგენცია, რომელთა „ელიტურობა“ განისაზღვრებოდა არა იმდენად შემოქმედებითი მიღწევებით, არამედ სახელისუფლებო სტრუქტურებთან სიახლოვით და იდეოლოგიურ კონიუნქტურაზე „მორგებით“ (მაგ.რა დაბალი დონის არ უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი პროდუქცია(თეატრი, კონო, მწერლობა, მუსიკალური ნაწარმოები და ა.შ.), თუ იქ ხოტბა იქნებოდა შესხმული საბჭოთა კავშირისადმი, ლენინისადმი, კომპარტიისადმი და სხვა, ხელისუფლებისათვის მისაღები თემებისადმი, მათი ავტორები ძალიან ხშირად იღებდნენ სხვადასხვა სახის ჯილდოებს და პრემიებს. მეორე ჯგუფში კი შედიოდა შემოქმედი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომლებიც მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, ემიჯნებოდნენ კომუნისტურ კულტურულ პოსტულატებს და ქმნიდნენ არაიდეოლოგიზირებულ, ხშირად ანტისაბჭოთა ნაწარმოებებს.

ინტელიგენციის იმ თვალსაჩინო წარმომადგენლების ნაწილი, რომლებმაც ვერ „აუწყვეს დროს ფეხი“, რეპრესირებული იქნენ. ზოგიერთები დახვრიტეს (მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი), ზოგიერთები თავიანთი შემოქმედების გამო ციხეში იხდიდნენ სასჯელს (მაგალითად, ზვიად გამსახურდია). მათი ძირითადი ბრალი ანტიკომუნისტური, ბურჟუაზიული, საზოგადოებისათვის „მავნე“ კულტურის გავრცელება იყო.

ინტელიგენციაზე საუბრისას, გვინდა შევეხოთ „წითელი“ ინტელიგენციის „ფსევდოდისიდენტურ“ ნაწილს. ამ ხელოვანებს ორმაგი სახე ჰქონდათ. მათი საქმიანობის თავისებურება გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთი მხრივ ისინი ქმნიდნენ შინაასრით არასაბჭოთა ხასიათის ნაწარმოებებს, იღებდნენ „არასწორ“, „ბურჟუაზიული“ იდეოლოგიით „გაჯერებულ“ ფილმებს, ხოლო მეორე მხრივ, მიუხედავად შემოქმედებითი „ოპოზიციონერობისა“, ისინი, საკმაოდ იყვნენ „შეზრდილი“ სახელისუფლებო სტრუქტურებთან და მათდამი ლოიალობას გამოხატავდნენ. მაგ. რომელიმე მწერალს შეიძლება დაეწერა „დისიდენტური“ რომანი, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკებდა (ქარაგმულად) საბჭოთა წყობას, კომუნისტურ იდეოლოგიას, მაგრამ ამავე დროს მათ პარტიულ ხელმძღვანელობასთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. ამ „უცნაურობის“ ახსნა შემდეგნაირად შეიძლება – საქართველოში მართველ ძალას (კომპარტია) ინტელიგენციის იდეური მრწამსი ნაკლებად აინტერესებდა, მთავარი იყო ის, რომ „ელიტური“ ინტელიგენცია ხელისუფლებისადმი მტრულად არ ყოფილიყო განწყობილი.

ქართული „წითელი“, ვითომდა დისიდენტური ინტელიგენციის სახე, ნათლად გამოჩნდა 1991-1992 დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების დროს, როცა ბევრი ე.წ. ხელოვანი მოგვევლინა სამხედრო-კრიმინალური პუტჩის იდეოლოგიად და გვერდში დაუდგნენ ამ „რევოლუციის“ მთავარ შემომქმედს, საქართველოში კრემლიდან მოვლენილ „სისხლიან სატრაპს“ ე. შევარდნაძეს, რითაც ნილაბი ჩამოიხსნეს და აჩვენეს თავიანთი ნამდვილი, ანტიქართული სახე.

ქართულ ინტელიგენციაზე მსჯელობისას, უპრიანი იქნება მოკლედ შევაფასოდ მისი ეროვნული ფრთა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ, პატრიოტული იდეოლოგიის ფორმირებაში. მას შეიძლება ჰქმმარიტი, ეროვნული ინტელიგენცია ვუწოდოთ.

ასეთ დეფინიციას არსებობის უფლება აქვს და მასში უნდა მოიაზრებოდნენ პატრიოტი, თავისუფალი საქართველოსათვის მებრძოლი ინტელიგენტები (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, დიმ. ყიფიანი, მ. მაჭავარიანი, ზ. გამსახურდია და სხვანი). ჰქმმარიტ, ეროვნულ ინტელიგენტებად არ შეიძლება მოიაზრებოდნენ ის შემოქმედი პირები, რომლებიც წარმატებულნი იყვნენ თავიანთ შემოქმედებაში, მაგრამ არ ადარდებდათ ქართველი ერის ბედი. ნამდვილი, ჰქმმარიტი ინტელიგენცია კი, ჩვენი ისტორიის კრიტიკულ მომენტებში ერის სულიერ წინამძღოლობას კისრულობდა. იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, ქართველი ერის თვითმყოფადობის და მისი კულტურის გადარჩენისთვის.

სამწუხაროდ, დღეისათვის, ინტელიგენციამ დაკარგა ის სტატუსი, მიმზიდველობა და ხიბლი, რაც მას ადრე ჰქონდა. დღეს პრესტიჟის მხრივ, მოწინავე პოზიციებზე გავიდნენ სხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები, მაგ. ბიზნესმენები.

მეთოდოლოგია: საკვლევი პრობლემატიკიდან გამომდინარე, ჩვენი სოციოლოგიური კვლევის ობიექტად ანუ სამიზნე ჯგუფად შერჩეულნი იქნენ, ქ. ბათუმის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრები შემოქმედებითი ინტელიგენციის (მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები და ა.შ.) ის წარმომადგენლები, რომლებსაც გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, რესპონდენტების სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე, იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა რომლებიც ამუხრუჭებენ ან პირიქით ხელს უწყობენ ქ. ბათუმის შემოქმედებით ინტელიგენციას თავიანთ საქმიანობაში.

გამოკითხვის დაწყებამდე, რესპოდენტთა ნაწილმა შეკითხვები დაგვისვა სოციოლოგიური კვლევის კონფიდენციალურობის თაობაზე. მათთან ამ საკითხის ირგვლივ გასაუბრების შემდეგ, ისინი დარწმუნდნენ რა აღნიშნული სოციოლოგიური კვლევის სრულ ანონიმურობაში, აქტიურად,

ენტუზიაზმით, ჩაებნენ გამოკითხვის პროცესში, რამაც მათ პასუხებს მეტი გულწრფელობა და სანდოობა შესძინა.

სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა ანკეტური გამოკითხვის წესით. მათ პასუხი გასცეს დახურულ, ნახევრად ღია და ღია კითხვებზე. ღია კითხვები ძირითადად დასმული იყო იმ საკითხების ირგვლივ, რომელთა პრობლემატიკა რთული და მრავალფეროვანია, ამიტომ ასეთი ტიპის კითხვებზე, გაშლილი, დეტალიზებული ფორმით გაცემული პასუხების მეშვეობით, რესპონდენტებიდან უფრო სრული ინფორმაციის მიღება გახდა შესაძლებელი ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხის შესახებ.

სულ გამოკითხული იქნა ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის 100 წარმომადგენელი.

წყაროები/ლიტერატურის მიმოხილვა – იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი სოციოლოგიური კვლევა ემპირიული ხასიათისაა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე გაგვიძნელდა ამ საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული სოციოლოგიური პუბლიკაციების მოძიება. გამომდინარე აქედან, ჩვენ დავეყრდენით ზოგიერთ იმ წყაროს, რომლებშიც ძირითადად ზოგადი სახითა განხილული ინტელიგენციასთან დაკავშირებული საკითხები.

სოციოლოგიური კვლევის შედეგები. ჩვენ მიერ ჩატარებულ ემპირიულ სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100 რესპონდენტმა. გამოკითხულთა პასუხები საკმაოდ საყურადღებო ინფორმაციას იძლევა მათი ყოფა-ცხოვრების და შემოქმედების ზოგიერთი საკითხის თაობაზე.

კვლევის დასაწყისში, მასში მონაწილე ბათუმელი შემოქმედებითი ინტელიგენციის პროფესიული კუთვნილება იქნა დადგენილი. ის საკმაოდ მრავალფეროვანია, რასაც ადასტურებს მათი ჩამონათვალიც – ხელოვნებათმცოდნე, სხვადასხვა საგნის პედაგოგი, მხატვარი, მუსიკოსი, არქიტექტორი, დიზაინერი, თეატრის რეჟისორი, თეატრის მსახიობი, კულტურის სფეროს მენეჯერი, ლექტორი, მეცნიერი, ქორეოგრაფი, თეატრმცოდნე, მწერალი, პოეტი, ხელოვნების თეორიის და ისტორიის სპეციალისტი, ხის და ლითონის დეკორაციაზე მომუშავე, სცენის გაფორმების (ინტერიერი, ექსტერიერი) სპეციალისტი, ბალეტის ქორეოგრაფი, მოქანდაკე, ჟურნალისტი, თეატრის მენეჯერი, ოპერის მომღერალი, თოჯინების თეატრის რეჟისორი, საბავშვო სტუდიის თანამშრომელი, ეთნოლოგი, ესტრადის მომღერალი და ა.შ.

ძალიან მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის გარემოება, რომ ყველა გამოკითხული პირი კმაყოფილია არჩეული პროფესიით, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ ადამიანებმა შემოქმედებითი პროფესიები აირჩიეს თავიანთი სურვილის და მიდრეკილებების და არა სხვა ფაქტორების გამო.

რესპონდენტთა პასუხებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ სამსახური არასდროს არ გამოუცვლია მათ 35,4%; 10,4% გამოიცვალა ერთი სამსახური; 6,3% ორი,

ხოლო 47,9% იმუშავა სამსა და მეტ სამსახურში. როგორც ვხედავთ ჯამურად იმ ხალხის რაოდენობა ვისაც გამოცვლილი აქვს სამსახური, საკმაოდ ჭარბობს იმ შემოქმედი ინტელიგენციის ოდენობას, რომლებსაც სამსახური არ გამოუცვლიათ.

გამოკითხულთა 67,1% მიაჩნია, რომ აქვს სტაბილური შემოსავალი (ძირითადად ხელფასის სახით), ხოლო 32,9% შემოსავალი არასტაბილური (ანუ არარეგულარული) სახისაა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულებას გამოთქვამს ერთ-ერთი რესპონდენტი – „სტაბილური ხელფასი არ არის საკმარისი ღირსეული არსებობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ვარ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ჩემი შრომა არ ფასდება, რაც ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ მაქვს მცირე ხელფასი“. ამ პასუხის ინტერპრეტირება ცალსახად შეიძლება – სტაბილური ხელფასი მართლაც არ არის კეთილდღეობის გარანტია. მთავარია შემოსავლის მცირე ოდენობა, რომლის თაობაზეც პრეტენზია აქვს რესპონდენტს.

ზემოთაღნიშნული საკითხის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ იმის გარკვევა, თუ როგორ შეიცვალა გამოკითხულთა მატერიალური მდგომარეობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პერიოდში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა თავისი მატერიალური მდგომარეობა რესპოდენტთა 8,1%; უმნიშვნელოდ – 37,5%, იგივე დარჩა 33,2%; უმნიშვნელოდ გაუარესდა – 6,4%; ძალიან გაუარესდა – 8,5%; პასუხის გაცემა უჭირს 6,3%. როგორც ვხედავთ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჯამურად გამოკითხულთა უმეტესობისთვის მატერიალური მდგომარეობა ან იგივე დარჩა ან სხვადასხვა დონით გაუარესდა კიდევაც.

რესპოდენტთა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ჩვენ მათ პასუხებზე დაყრდნობით გავარკვეით, რომ სახელისუფლებო და ბიზნესსტრუქტურები სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიების (პროექტების) განხორციელებისას ნაკლებად რთავენ ამ საქმეში ბათუმელ ხელოვანებს. ამ საკითხთან დაკავშირებით თითქმის ყველა გამოკითხულის შეფასება იდენტურია და ერთ-ერთი რესპოდენტის პასუხს ესადაგება შინაარსობრივად. ის ამბობს: „ვის რაში სჭირდება ადგილობრივი ხელოვანების აზრი. მერია, ჩვენ, არასდროს არაფერს გვეკითხება. ძირითადად აკეთებენ იმას, რასაც თბილისიდან ჩამოყვანილი „კონსულტანტები“ ჩასძახებენ. ჩვენ აზრს იშვიათად, დაბალი დონის რაღაც კულტურული ღონისძიების ჩატარების დროს გვეკითხებიან, ისიც ზერელედ. ამასთან ერთად ძალიან უმნიშვნელო თანხით ანაზღაურებენ ჩვენს მიერ გაწეულ შრომას“.

კითხვაზე – „გაქვთ თუ არა კერძო პრაქტიკა?“, გამოკითხულთა 27,4% აცხადებს, რომ აქვს ასეთი პრაქტიკა, ხოლო 72,6% არა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ არც ერთი რესპოდენტი არ ასახელებს, თუ რა სახის კერძო

საქმიანობას ეწევა. ეტყობა მათი კერძო პრაქტიკა უფრო მეტად „არალეგალური“ ხასიათისაა და ამიტომაც ისინი არ არიან დაინტერესებულები ამ ინფორმაციის გამჟღავნებით.

კითხვაზე „გაქვთ თუ არა კონტაქტები თქვენ საზღვარგარეთელ კოლეგებთან?“ პასუხები ასეთია – რესპონდენტთა 7,4% თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან, 11,3% მათთან აქვს სუსტი, უმნიშვნელო კონტაქტები; ხოლო 81,3% მათთან არავითარი კომუნიკაცია არ აქვს. როგორც ვხედავთ, ბათუმელ ხელოვანთა უმეტესობას არ აქვს არავითარი საშუალება თავისი შემოქმედება უშუალოდ გააცნოს უცხოელ კოლეგებს.

კითხვაზე – „თქვენი ოჯახის წევრებიც შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან?“ პასუხები შემდეგნაირია: აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა ოჯახების 63,7% სრული შემადგენლობით (რასაკვირველია ბავშვების გამოკლებით) შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან, ხოლო ოჯახების 36,3% კი, სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებისაგან შედგება.

ქართული კულტურის სფეროში არსებული მდგომარეობის თაობაზე რესპოდენტებს დავუსვით ღია კითხვა – „თქვენი აზრით, ზოგადად, რა მდგომარეობაშია დღეს ქართული კულტურა, მისი რომელი სფეროა აღმავლობის გზაზე და რომელი განიცდის კრიზისს?“ ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი თვალსაზრისებია გამოთქმული: „დღეს ქართული კულტურის ყველა სფერო კრიზისშია, განსაკუთრებით კი მწერლობა“; „ხალხური შემოქმედება და საოპერო ხელოვნება აღმავლობის გზაზეა, ხოლო კინოინდუსტრია და თეატრი რეგრესს განიცდის“; „ბევრი შემოქმედებითი კოლექტივი ენთუზიაზმზე მუშაობს, რადგან ძალიან მცირე დაფინანსება აქვთ. წარმატება აქვთ მხოლოდ იმ სახელოვნებო ჯგუფებს, რომლებსაც ბ. ივანიშვილი აფინანსებს. ასეც არ შეიძლება“; „ყველა შემოქმედებითი კოლექტივი „მსუყედ“ უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, რადგან თუ რამეს შეუძლია საქართველოს წარმოჩენა მსოფლიოში, ეს ქართული ხელოვნებაა“; „ქართული კულტურა ყოველთვის იდგა მოწოდების სიმაღლეზე, უბრალოდ მას მეტი პოპულარიზაცია სჭირდება; „წარმატება მხოლოდ ცალკეულ შემოქმედებით კოლექტივებს (მაგ. „ერისიონი“) აქვთ, ხოლო მთლიანად ქართული კულტურა არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია“; „ზოგადად, როგორ დღეშია ქართული კულტურა ძნელი შესაფასებელია. „კარგად“ კი არიან ის ცალკეული საემისრულებლო კოლექტივები, რომელთა ხელმძღვანელობა ახლოსაა ხელისუფლებასთან“; „ნებისმიერი სახელოვნებო ჯგუფის „წარმატება“ დამოკიდებულია ქ. ბათუმის მერიის კულტურის სფეროს მესვეურების კეთილგანწყობაზე“; „ქართული კულტურა საგანგაშო მდგომარეობაშია, იმიტომ, რომ ამ სფეროში დასაქმებულებს თითქმის არ აქვთ ხელშეწყობა სახელმწიფოსგან. მოაზროვნე შემოქმედი ადამიანები „გარბიან“ დასაქმების

უფრო შემოსავლიან სფეროში“; „ქართული კულტურა პოსტსაბჭოთა სივრციდან გამოსვლის გარდამავალ ეტაპზე“; „ქართული კულტურა კარგ მდგომარეობაშია, რასაც მოწმობს ის წარმატებები, რასაც აღწევენ ჩვენი ხელოვანები საზღვარგარეთ“.

დღეს საზოგადოებაში დისკუსიის საგანი ხდება საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ემუქრება ქართული კულტურის თვითმყოფადობას უცხოური „მასკულტურის“ ფართო „შემობიჯება“ საქართველოში. ამ საკითხის თაობაზე კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული – „როგორ ფიქრობთ, ზოგადად, დღევანდელი ქართული კულტურა მთლიანობაში ეროვნულ ფესვებზე დგას, თუ მასში შეიმჩნევა კოსმოროლიტური (არაეროვნული) კულტურის გავლენა?“. გამოკითხულთა ცალკეული პასუხების შინაარსი, შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული – „ქართველებს უდიდესი კულტურა გვაქვს, მაგრამ უცხოური „ლიბერალური“ კულტურის ექსპანსია საქართველოში ამუხრუჭებს და ბოჭავს მის განვითარებას“; „ქართული კულტურის „ევროპეიზაცია“ ანადგურებს მის ეროვნულ ფესვებს და უზღუდავს განვითარების პერსპექტივებს“; „ქართული კულტურა დეგრადირების გზაზეა, რაც უცხოური, მდარე ხარისხის კულტურის ჩვენს ქვეყანაში ინტენსიურ შემოჭრას მოჰყვას“ „უცხოური კლასიკური კულტურის ჩვენს ქვეყანაში შემოსავალს მივესალმები, კოსმოპოლიტურის (არაეროვნულის) – არა“; „სამწუხაროდ, დღეისათვის ეროვნული კულტურის განვითარებას ჩვენში ნაკლები ყურადღება ეთმობა. აქცენტი გადატანილია უცხოური კულტურის ჩვენთან დანერგვაზე, ქართულის შეზღუდვის ხარჯზე“; „ჯერჯერობით ქართული კულტურა ეროვნულ ნიადაგზე დგას, მაგრამ მასში, თანდათანობით სულ უფრო იჭრება კოსმოპოლიტური ელემენტები“; „უფროსი თაობა ქართული ტრადიციული კულტურის მიმდევარია, ხოლო ახალგაზრდობა უფრო კოსმოპოლიტური, არაეროვნული კულტურისკენ იხრება“; „სხვა ერების კულტურიდან, რაღაცეების გადმოღება დასაძრახი არაა“; „ნამდვილი დასავლური კულტურა ჩვენთვის მისაღებია, ჩვენთვის მიუღებელია სულიერებისგან დაცლილი ფსევდოდასავლური კულტურა“; „საქართველოში ბოლო დროს ერთ ცუდ ტენდენციას აქვს ადგილი – უცხოური კულტურა უფრო ფასდება და მეტი ასპარეზი აქვს, ვიდრე ქართულს“; „საქართველოში აშკარად იკიდებს ფეხს კოსმოპოლიტური კულტურა. მაგ. ისმენ „თანამედროვე“ ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებს, მაგრამ მასში ქართულს ვერაფერს აღმოაჩენ“; „ჩვენი ქართული კულტურული იდენტობა თანდათან იკარგება. ეს ყველაფერი გლობალიზაციის ბრალია, როცა უპირატესობა ქართულთან შედარებით ენიჭება უცხოურს (თუგინდ დაბალი დონის)“; „ხდება ჩვენი კულტურის „გადაკეთება“ უცხოურ ყაიდაზე, რაც ზოგიერთს ქართული კულტურის „გათანამედროვეებად“ მიაჩნია“; „რთული საკითხია, ვფიქრობ, რომ არსებობს ნაღდი ქართული კულტურა მინარევების გარეშე და ასევე

შეჯერებული უცხოურთან“; „ჩვენ ჩაკეტილი სამყარო არ ვართ, ამიტომ ვერსად გავექცევით უცხოური კულტურების გარკვეულ ზეგავლენას“; „სამწუხაროდ ე.წ. ლიბერალების მიერ ინერგება მოსაზრება, რომ კოსმოპოლიტური, ეროვნულობისგან დაცლილი კულტურა პროგრესულია, ხოლო ქართული ჩამორჩენილი, რეტროგრადული“; „კოსმოპოლიტური არ ნიშნავს დასავლურ კულტურას, მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა არ შეიძლება. კოსმოპოლიტურს ეროვნული სახე არ აქვს, ხოლო ნებისმიერ დასავლურ კულტურას ეროვნულობის ბაზაზეა წარმოქმნილი (მაგ. იტალიური ოპერა, ფრანგული კინო, ესპანური მხატვრობა და ა.შ.)“; „ქართული კულტურა ძირითადად ქრისტიანულ ფესვებზე დგას, ხოლო კოსმოპოლიტიკური კულტურა ანტიქრისტიანულია და თავისთავად ანტიქართული“; „ქვეყნის ბედი თუ გადარდება, როგორ შეიძლება ქართულ კულტურას პატივს არ სცემდე“; „კოსმოპოლიტური კულტურა სინამდვილეში კონტრკულტურაა და მიუღებელია ჩვენი ხალხისთვის“; „ე.წ. კოსმოპოლიტური (ფსევდოდასავლური, არატრადიციული) კულტურა იმათ აწყობთ, ვისთვისაც სამშობლო, ტრადიცია, და მშობლიური ენა მეორეხარისხოვანია. გამომდინარე აქედან, ჩვენ, ქართველები ყველანაირად უნდა ვეწინააღმდეგებოდეთ ასეთი კულტურის საქართველოში დამკვიდრებას“; „ქართული კულტურა არ გამოიჭრება ევრო-ამერიკული კულტურის თარგზე, ამიტომ ჩვენთან პრიორიტეტი ეროვნულ კულტურულ ფასეულებს უნდა მიენიჭოს“; „ევროპაში უნდოდან კულტურაში დაენერგათ მულტიკულტურალიზმი, მაგრამ მან კრაზი განიცადა“; „არ შეიძლება სხვადასხვა ერების კულტურების ერთმანეთთან შედარება და მათი მოწინავე და ჩამორჩენილ კულტურებად დაყოფა. ყველა ეროვნული კულტურა დასაფასებელია, ისინი ქმნიან კულტურათა მრავალფეროვნებას. ერთი რომელიმე ხალხის კულტურა, როგორ აღმატებულადაც არ უნდა წარმოგვიდგინონ ის, ვერ ჩაანაცვლებს სხვა ერების კულტურას“; „ზოგადი საკაცობრიო კულტურა მითია და მეტი არაფერი. ევროპაში ეროვნული კულტურები დომინირებენ და არა ეროვნულობისგან შორის მყოფი, რაღაც ზოგადი, უსახო, აღრეული, კოსმოპოლიტური კულტურები“; „სხვადასხვა ერების კულტურებს შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირურთიერთობები და არა ქიშპობა. არ არსებობს დიდი და პატარა ერების კულტურები. ყველა ერის კულტურა მნიშვნელოვანია მისი ორიგინალობით (მაგ. რამდენი კარგი იტალიური სიმღერა არ უნდა არსებობდეს, ისინი თავისთავადობით და ესთეტიკური დონით ვერ იქნება ქართულ ხალხურ სიმღერების საპირწონე)“.

საკვლევი თემის ირგვლივ სრული სურათის შესაქმნელად, ჩვენ გავარკვეით ისიც, თუ როგორი აზრი აქვთ რესპოდენტებს, ქართულ და ევროპულ კულტურების დამოკიდებულების მიმართ. გამოკითხულთაგან არც ერთი პირი არ ფიქრობს, რომ დღევანდელი ქართული კულტურა

ევროპულს ძალიან ჩამორჩება; 2,6% აზრით ქართული კულტურა ევროპულთან შედარებით ცოტათი ჩამორჩენილია; რესპოდენტთა 75,3% თვალსაზრისით ქართული და ევროპული კულტურები ერთი დონისაა; 3,7% მიიჩნევს, რომ ქართული კულტურა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ევროპული“; ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კი უჭირს გამოკითხულთა 18,4%. გამოდის, რომ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის უმეტესობას ქართულ და ევროპულ კულტურებს თანაბარძალოვან მნიშვნელობას ანიჭებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგიერთი რესპოდენტის მოსაზრება შემდეგნაირია – „კულტურების შედარება უხერხულია. ყველა ერის კულტურა თვითმყოფადობით ფასდება. უკეთესი და უარესი კულტურები არ არსებობს. ჩვენთვის მთავარია პატივი ვცეთ ქართულ კულტურას“; „კულტურა სპორტი არაა, სადაც უპირატესობა რაოდენობრივი მაჩვენებლებით ფიქსირდება“; „კულტურათა დაპირისპირება არაკორექტულია. ჩვენთვის მთავარია ვიამაყოთ დიდი ქართული კულტურით“; „არის კულტურის სფეროები სადაც ჩვენ ვჯობივართ ევროპას (ფოლკლორი), ზოგიერთ სფეროში ისინი უფრო წინ არიან (სიმფონიური მუსიკა). საბოლოო ჯამში ეს კულტურები ერთმანეთს ავსებენ“; „სხვადასხვა ერების კულტურების შედარება არაკორექტულია, მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი–ქართულმა კულტურამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ჩვენი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში“.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხებმა აჩვენა, რომ რესპოდენტების აბსოლუტური უმეტესობა ქართულ და ევროპულ კულტურებს თანაბარძალოვან მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ფაქტი იმაზეც მიანიშნებს, რომ ამ საკითხისადმი სუბიექტური, მიკერძოებული მიდგომა უმნიშვნელოა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო თუ რას ფიქრობს ქ. ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენცია ქართული კულტურის მომავალზე. ამის გაგებას ჩვენ შევეცადეთ შემდეგი კითხვის მეშვეობით – „ზოგადათ, როგორ აფასებთ, ქართული კულტურის განვითარების პერსპექტივებს?“ რესპოდენტთა ზოგიერთი წინადადება ამ საკითხის ირგვლივ ასეთია: „ქართული კულტურის განვითარება დიდათაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ კულტურულ პოლიტიკას გაატარებს ჩვენი სახელმწიფო, როგორ სპონსორობას გაუწევს ბიზნესი ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციას“ ; „ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით უნდა იყოს დაცული“; „ქართული კულტურა დინამიურად განვითარდება მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, სხვა ალტერნატივა არაა, თორემ ქართული კულტურა გადაგვარდება რესტორნების და სახინკლეების კულტურად“. „ქართული კულტურა რომ განვითარდეს, ის მუდმივად უნდა ითვისებდეს რაიმე უცხოურ კულტურულ ფასეულობებს. ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდებარე საქართველო, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ითვისებდა გარკვეულ კულტურულ კომპონენტებს,

როგორც ევროპიდან, ასევე აზიიდან. აღსანიშნავია, რომ არაქართული წარმოშობის კულტურულ-ცივილიზაციური ფასეულობების ქართულ „ყაიდაზე“ გადმოყვანის შემდეგ, მათ ქართული სახე ეძლეოდათ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურის განვითარებას პერსპექტივა აქვს, მხოლოდ სხვა ქვეყნების კულტურებთან მჭიდრო კავშირის შემთხვევაში“; „ქართული კულტურის მომავალი მხოლოდ ტრადიციულის და ნოვაციურის ჰარმონიულ სინთეზში უნდა ვეძებოთ“; „თუ ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება არ იქნება ქართული კულტურა ვერ განვითარდება. ეროვნული კულტურის პატრონობა მხოლოდ პატრიოტებს შეუძლიათ“; „ჩვენ კულტურას განვითარების პერსპექტივები ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯეროვანი ყურადღება მიექცევა ეროვნულ პოზიციებზე მდგომ კულტურის მუშაკებს(მწერლებს, მეცნიერებს, მუსიკოსებს და ა.შ.)“; „თუ ქართულ კულტურას ხელისუფლებიდან ხელშეწყობა არ ექნა, მის განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მას მომავალი აქვს მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან კარგი დაფინანსების პირობებში“; „კულტურა ვერ განვითარდება, თუ არ შეიქმნა კულტურული ობიექტების (კულტურის სახელები, მუზეუმები, მხატვართა საგამოფენო დარბაზები, მუზეუმები და ა.შ.). ფართო ქსელი“. „კულტურის განვითარებისთვის საჭიროა ტალანტების მოძებნა და მათი მხარდაჭერა“; „კულტურის სფეროს ზედა ეშელონებში მაღალი რანგის პროფესიონალების დანიშვნის გარეშე, ქართული კულტურა ვერ განვითარდება. უვიცი „ჩინოვნიკი“ ქართული კულტურის განვითარებას შეაფერხებს“; „თუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ბავშვთა ახალი სახელოვნებო სტუდია-სასწავლებლები არ გაიხსნება, არსებული ინტელიგენციის შემდეგ, მათი საქმის ღირსეული გამგრძელებლები აღარ გვეყოლება და ჩვენი კულტურის განვითარებაც შეფერხდება“;

ინტელიგენციის შემოქმედებაზე დიდი გავლენა აქვს მისი ცხოვრების და შრომის პირობებს. ამ საკითხის გასარკვევად, რესპონდენტებს მოუწიათ პასუხის გაცემა შემდეგ კითხვაზე – „თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს პირადად თქვენი და მთლიანად საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობები?“. ზოგიერთი პასუხი შემდეგი შინაარსისაა: „მშვიერი ინტელიგენტი ვერაფერ მნიშვნელოვანს ვერ შექმნის. ამიტომ საჭიროა ადამიანთა ამ ჯგუფს მკვეთრად გაეზარდოს ხელფასი, რათა მათ ხარისხიანი შემოქმედებითი პროდუქცია შექმნან. არ შეიძლება ინტელიგენტი ყოველდღე თავის რჩენაზე ფიქრობდეს“; „უნდა გაუმჯობესდეს ინტელიგენციის ცხოვრების მატერიალური პირობები. ინტელიგენტი ძირითადად უნდა ფიქრობდეს მხოლოდ თავის პროფესიულ კარიერაზე და არა ყოველდღიურად თავისი სოციალური პრობლემების მოგვარებაზე“; „შემოქმედ ინტელიგენციაზე ხელფასთან ერთად, გარკვეული

პერიოდულობით უნდა გაიცეს პრემიები. ეს დამატებით სტიმულს მისცემს მათ საქმიანობას“; „ახალგაზრდა, დამწყებ შემოქმედ პირებს, ბინები უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ“; „აუცილებელია შრომით კანონმდებლობაში ისეთი მუხლების შეტანა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტელიგენციის მაღალ მატერიალურ კეთილდღეობას“; „სახელმწიფომ შემოქმედებით შრომით დასაქმებულ ადამიანებზე უნდა გასცეს ყოველთვიური სახელფასო დანამატი“. „თუ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა არ შეიცვალა, შემოქმედებითი შრომით დაკავებული მოქალაქეების მდგომარეობა არ გაუმჯობესდება“ „მდიდარი ადამიანები გვერდში თუ არ დაუდგნენ ხელოვანებს, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა ძალიან დაბალია. სახელმწიფოს უამრავი პრობლემა აქვს გადასაჭრელი (მათ შორის საგარეო ვალები), ამიტომ იმის მცირე შანსია, რომ ხელისუფლებამ ინტელიგენციისთვის მოიცალოს“;

ჩვენი სოციოლოგიური გამოკითხვის ბოლო, შეკითხვა ეხებოდა იმ ხელშემშლელი ფაქტორების ფიქსირებას, რომლებსაც აწყდება თავიანთ საქმიანობაში ქ. ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენცია. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთი რესპონდენტის პასუხს ამ ღია კითხვაზე – „ძალიან ბევრი დილექტანტია შემოქმედებით სფეროში. ისინი ცდილობენ ნამდვილ, მაღალი დონის პროფესიონალ სპეციალისტებს ხელი შეუშალონ მუშაობაში“; „ხელშეკრულების გამო, იძულებული ვარ ვიღაცას მოვუხატო აბაზანა, აგარაკზე საქეიფო ადგილას გავუკეთო დეკორი და ა.შ. ანუ უსახსრობის გამო ხელოვანი გავხდი ხელოსანი. ე. ი. ხდება ჩემი სრული დეკვალიფიკაცია“; „ჩემი შემოქმედებითი საქმიანობისთვის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია ჩემი შრომის მწირი დაფინანსება“; „კულტურის სფეროს ბიუროკრატია, შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაღვალს სუბიექტურად, მიკერძოებულად აფასებს. ამ ბიუროკრატიასთან დაკავშირებული პირები, მათთან საქმის „ჩაწყობის“ გზით, სხვადასხვა სახის კონკურსებში დაუმსახურებლად იმარჯვებენ და იღებენ საკმაოდ დიდ ფინანსურ სარგებელს. ჩვენ კი – პატიოსანი მუშაკები ვრჩებით „ხახამშრალი“. გამომდინარე აქედან, ნეპოტიზმი და პრივილეგიები შემოქმედებით სფეროში ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს და ხელისუფლებასთან დაკავშირებული ხელოვანთა „კასტა“ უნდა საბოლოოდ აილაგმოს“. „ხელშემშლელი პირობაა ხელოვანების ქალაქის მერიასთან ჰორიზონტალური ურთიერთობების არქონა“; „სახელმწიფო თითქმის არ აფინანსებს სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების გამოცემას, ხოლო მე ამის სახსრები არ მაქვს“; „კულტურის სფეროს მესვეურები, ნაკლებად გვისმენენ დარგის სპეციალისტებს. მათთან, ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხზე საუბარი საუბრად რჩება ანუ როგორც იტყვიან „ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. ჩვენ სამართლიან პრეტენზიებს, ხელმძღვანელობა აინუნშიც არ აგდებს, რაც ძალიან აფერხებს შემოქმედებითი ინტელიგენციის

საქმიანობას“; „მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია ხელმძღვანელობის „უკიდევანო“ დილექტანტიზმი“; „ბათუმელ მხატვართა საქმიანობაში, მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია, ფერწერული ტილოების რეალიზაციის დაბალი დონე, გამოსავალს ვხედავ მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის მოწყობაში. მნელად რეალიზებადი ფერწერული ტილოები, სასურველია, შეიძინოს სახელმწიფომ (კულტურის სამინისტრომ) და საჩუქრად გადასცეს სხვადასხვა ორგანიზაციებს. ასეთი გზით შესაძლებელი იქნება მხატვრების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება“. „არ არის დაცული საავტორო უფლებები“; „ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი ჩემ საქმიანობაში არის ის გარემოება, რომ კულტურის სფეროს ზოგიერთი „ვაიჩინოვნიკი“ უხეზად ერევა ჩემ საქმიანობაში და მაიძულებს მისი „კულტურული პრინციპების“ მიხედვით ვიმოღვაწეო“; „ჩემი შემოქმედებითი საქმიანობა იზღუდება სხვადასხვა სახის უაზრო რეგულაციებით“; „ჩემი პროფესიისთვის, მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია საკონცერტო დარბაზების სიმცირე“; „საქმე ფერხდება იმიტომ, რომ კულტურის სფერო გაივსო არაპროფესიონალებით“; „ადგილი აქვს ხელოვანთა შეზღუდვას პარტიულ-პოლიტიკური ნიშნით“; „ფინანსები არასწორად განიკარგება ხელმძღვანელობის მხრიდან“; „ვარ მხატვარი, მაგრამ არ მაქვს საკუთარი სახელოსნო“; „ჩემი საქმიანობის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია ის, გარემოება, რომ ბათუმში არის მაღალი დონის მომღერლებით დაკომპლექტებული საოპერო დასი, მაგრამ არ არის ოპერის თეატრი. ამიტომ ჩვენს ქალაქში აღზრდილი, ოპერის მომღერლების ნაწილი, საზღვარგარეთ მოღვაწეობს. ოპერის თეატრის დაარსება, დაამშვენებს ჩვენს ქალაქს და გადააქცევს მას, საოპერო ხელოვნების ერთ-ერთ ცენტრად შავიზღვისპირეთში“.

დასკვნა. საკვლევ თემასთან დაკავშირებით, სოციოლოგიურ ანკეტაში დასმულ შეკითხვებზე, რესპონდენტებმა საკმაოდ კვალიფიციური პასუხები გასცეს. მათი ანალიზის საფუძველზე კი გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება. აღმოჩნდა, რომ მრავალ საკითხთა შორის, ქ. ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის მთავარი პრობლემაა, მათი შრომის დაბალი ანაზღაურება. დამოუკიდებელ საქართველოში, საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით შემოქმედებითი ინტელიგენცია გათავისუფლდა კომუნისტური იდეოლოგიური „მარწუხებისგან“, მაგრამ დაბალი შემოსავლების გამო, მათი ნაწილი, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით იძულებული იყო „მორგებულიყო“ სახელისუფლებო სტრუქტურების ნებას, რადგან სხვა გზით, თავიანთი პროფესიების „დაბალბიუჯეტურობის“ გამო, ვერ იუმჯობესებდნენ თავიანთ მატერიალურ მდგომარეობას. გამომდინარე ასეთი ვითარებიდან, საჭიროა, შემოქმედებითი ინტელიგენციის უკლებლივ ყველა წარმომადგენელს, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, დაენიშნოს შესაფერისი ანაზღაურება,

რომელიც უნდა გაიცემოდეს მათზე მაშინაც კი, როდესაც ისინი, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ქმნიან შემოქმედებით პროდუქციას ანუ იმყოფებიან „შემოქმედებითი პაუზის“ მდგომარეობაში. მატერიალური ხელმოკლეობა აბრკოლებს თანამედროვე ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის განვითარების პროცესს, რაც უარყოფითად აისახება მთლიანად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე.

ასეთი სიტუაციის გადალახვის გზად, ჩვენ გვესახება შემოქმედებითი ინტელიგენციის დახმარების ფონდის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ამ სოციალური ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერა. ჩვენი აზრით, ამ წამოწყების რეალიზაციის მიზნით, კარგი იქნება თუ კულტურის სამინისტრო „შეაწყობს“ ქართული საზოგადოების მდიდარ ფენას (მხოლოდ პარლამენტში 51 მილიონერი დეპუტატია), რათა მათ, დროგამოშვებით მაინც დააფინანსონ, შემოქმედი, პატრიოტი ხელოვანი ადამიანები, თორემ რა გამოდის, დღეს, მაგალითად, „პოლიტიკოს – მილიონერის“ მ. ხაზარაძის ფონდის „საბას“ ძირითადი ნომინანტები ერთი და იგივე, არაქართული მენტალიტეტის ვაიმწერლებია. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი გრანტებიც უმეტესწილად ასეთ არაეროვნული, კოსმოპოლიტური, ულტრალიბერალური შეხედულებების მატარებელ „შემოქმედებით“ ინტელიგენციაზე ნაწილდება. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ქ. ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციას მრავალი პრობლემა აწუხებს, რომელთა სრულყოფილად გადაჭრა შეუძლებელია სახელმწიფოს დახმარების გარეშე. ამავე დროს ამ საქმეში დიდი როლი შეიძლება ითამაშონ ბიზნესმენებმაც.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქ. ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენცია, ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ქ. ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის მძლავრი ინტელექტუალური, ზნეობრივი და ჰუმანისტური პოტენციალის გათვალისწინებით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენ ქალაქს აქვს ყველა შანსი, უახლოეს მომავალში გახდეს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები – სტრატეგიის განაცხადი. თბილისი, 2005

ქართველი ინტელიგენცია საბჭოთა პერიოდში. ინფორმაცია მოპოვებულია საიტიდან [http:// sites.google.com/a/iliauni.edu.ge/1921- sakartvelo/kartveli-intelligentsia-sabchota-periodis/](http://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/1921-sakartvelo/kartveli-intelligentsia-sabchota-periodis/)

ეკოლოგია / Ecology

Black Sea Submarine Power Cable Project: Georgia's New Transit Perspective შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი: საქართველოს ახალი სატრანზიტო პერსპექტივა

Giuli Giguashvili

PhD in Economics, Professor at
Gori State University

e-mail: giuligiguashvili@gu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-5657-7544>

Abstract: In the modern world, along with the growth of the population and the production process, the demand for energy increases, which consequently causes a shortage of energy resources and exacerbates the problems related to climate change. In order to solve the problem of exhaustible resources, the world began to use renewable energies: wave, wind, biomass, solar, geothermal, and hydropower. Sustainable energy development implies a synergy of energy efficiency, renewable energies, and policy development, which in turn requires the availability of resources, significant investments, strong political will, and cooperation between different regions and countries.

The Black Sea underwater electric cable project provides a new opportunity for the development of the energy sector of Georgia. The project implementation initiative that belongs to Georgia is already a reality today. On December 17, 2022, the "Project of the Century" was signed, which ensures the export of green energy to the European Union through the Black Sea. The project aims to connect the South Caucasus region with South-Eastern Europe. It will contribute to the strengthening of energy security, the development of the renewable energy sector, and the increase of transit opportunities between the mentioned regions.

The Black Sea submarine electric cable project will connect the electrical systems of Georgia, Azerbaijan, Romania, and Hungary. The project is significant for all parties involved in it. However, there are relevant questions, in particular, what economic benefits the project can bring to Georgia and what should be done to get the maximum benefits. It is important that Georgia is represented in the project not only as a transitor but also as an exporter.

The article evaluates the transit potential of the Black Sea submarine electric cable project and the stimulating role of the project on participating countries' energy

security and green energy production. Opinions are expressed about the challenges and economic benefits related to the implementation of the project.

Key words: energy security, renewable energy, Black Sea energy cable, transit potential of Georgia.

გიული გიგუაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

ელ-ფოსტა: giuligiguashvili@gu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-5657-7544>

აბსტრაქტი: თანამედროვე სამყაროში, მოსახლეობის რაოდენობის და წარმოების პროცესის ზრდასთან ერთად, იზრდება ენერჯიაზე მოთხოვნა, რაც შესაბამისად იწვევს ენერგორესურსების დეფიციტს და ამწვავებს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამოწურვადი რესურსების პრობლემის მოგვარების მიზნით, მსოფლიომ დაიწყო განახლებადი ენერჯიების: ტალღების, ქარის, ბიომასის, მზის, გეოთერმული, წყლის ენერჯიების გამოყენება. ენერჯიის მდგრადი განვითარება გულისხმობს ენერგოეფექტიანობის, განახლებადი ენერჯიებისა და პოლიტიკის შემუშავების სინერჯიას, რომელიც თავის მხრივ, მოითხოვს რესურსების ხელმისაწვდომობას, მნიშვნელოვან ინვესტიციებს, ძლიერ პოლიტიკურ ნებასა და თანამშრომლობას სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებს შორის.

საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის განვითარების ახალ შესაძლებლობას იძლევა შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი. პროექტის განხორციელების ინიციატივა, რომელიც საქართველოს ეკუთვნის, დღეს უკვე რეალობას წარმოადგენს. 2022 წლის 17 დეკემბერს ხელი მოეწერა „საუკუნის პროექტს“, რომელიც ევროკავშირში, შავი ზღვის მეშვეობით, მწვანე ენერჯიის ექსპორტს უზრუნველყოფს. პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებას. იგი ხელს შეუწყობს ენერჯეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, განახლებადი ენერჯიის სექტორის განვითარებას და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს აღნიშნულ რეგიონებს შორის.

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის ელექტროსისტემებს დააკავშირებს. პროექტი მნიშვნელოვანია მასში მონაწილე ყველა მხარისთვის, თუმცა აქტუალურია კითხვები, კერძოდ რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს პროექტმა და რა უნდა გაკეთდეს მაქსიმალური სარგებლის მისაღებად. მნიშვნელოვანია, რომ

საქართველო პროექტში არა მხოლოდ ტრანზიტორის, არამედ ექსპორტიორის სტატუსითაც იყოს წარმოდგენილი.

სტატიაში შეფასებულია შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტის სატრანზიტო პოტენციალი, პროექტის მასტიმულირებელი როლი მონაწილე ქვეყნების ენერგოუსაფრთხოებასა და მწვანე ენერჯის წარმოებაზე; გამოთქმულია მოსაზრებები პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევების და ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ენერგოუსაფრთხოება, განახლებადი ენერჯია, შავი ზღვის ენერგოკაბელი, საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი.

მსოფლიო გლობალური რისკების გამწვავების ეპოქაში, როცა თითქმის ყოველდღიურად ვიღებთ შემამფოთებელ ინფორმაციას ბუნებრივი კატაკლიზმების: მიწისძვრების, ცუნამების, ზვავების, წყალდიდობების, ტყის მასიური ხანძრების და სხვ. შესახებ, კიდევ უფრო იზრდება გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობა. მდგრადი ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიზნები (SDGs), სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებთან ერთად, აქტიურად განიხილავს, კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს, და ძირითადად ორიენტირებულია მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე (Giguashvili, 2022: 573-580).

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების დოკუმენტში. ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფის თანახმად, მხარეებმა თავიანთი ურთიერთობები უნდა ააგონ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით (ასოცირების შესახებ შეთანხმება., 2021: 426). მდგრადი განვითარების პრინციპების უპირატესობები და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა ასახულია „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“-ში (ხედვა 2030., 2022). სტრატეგიაში (ამოცანა 14.1) გათვალისწინებულია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შემცირება (ხედვა 2030., 2022: 168), რაც ითვალისწინებს მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნას, რომელიც გაძლიერდება აუცილებელი კომპონენტებით: საქართველოს ძირითადი მდინარეების აუზში ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, გვალვა, ძლიერი ქარი, მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) გამოვლენა, ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელისა და სადამკვირვებლო პუნქტების გაფართოება; ამინდისა და ჰიდროლოგიური პროგნოსტიკული მოდელების დანერგვა.

ამოცანის შესრულება მინიმუმამდე დაიყვანს კლიმატური კატასტროფებით გამოწვეულ ეკონომიკურ ზარალს და რაც ყველაზე მთავარია, შექმნის ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ადამიანური მსხვერპლის მაქსიმალურად თავიდან აცილების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, რომლის აუცილებლობაზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა 2023 წლის 3 აგვისტოს შოვში დატრიალებულმა ტრაგედიამ, როცა მეწყერმა 33 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ექსპერტთა ნაწილი ხშირ შემთხვევაში მსგავს არასასურველ მოვლენებს გარემოსადმი უდიერ დამოკიდებულებას (ტყეების გაჩეხვას, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას და სხვა) უკავშირებს. არადა, 21-ე საუკუნეში, ენერჯიაზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფას და საკუთარი რესურსების მაქსიმალურად ათვისებას. საქართველოში ელექტროენერჯის გენერაციის 80% ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის. ქვეყანაში 26 ათასზე მეტი მდინარე გვაქვს, თუმცა არსებული მდინარეებიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ეკონომიკურად მიზანშეწონილი პოტენციალის მხოლოდ 20%-მდეა ათვისებული (Giguashvili, 2022a).


არსებული ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა ბოლო პერიოდში საქართველოში იმდენად გამწვავდა ნეგატიური განწყობა ჰიდროელექტროსადგურების მიმართ, რომ მუდმივად გვჭირდება იმის დასაბუთება, რამდენად სარგებლიანია ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა იმ ზიანის საპირწონედ, რასაც ისინი აყენებენ გარემოს და ადამიანებს; დარგის ექსპერტები ცდილობენ დააზუსტონ: სიმართლეა თუ არა, რომ ჰესების მშენებლობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან მოდის წინააღმდეგობაში. კვლევებით დასტურდება, რომ ხშირ შემთხვევაში, ჰესების აშენება მართლაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწების და ტყეების დატბორვას; ნეგატიურად ზემოქმედებს მიკროკლიმატზე, ზრდის ტენიანობას, ცვლის ლანდშაფტს, იზრდება მეწყერული პროცესების გააქტიურების საშიშროება. ამდენად, ჰესების მშენებლობისას გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა მოსალოდნელი რისკი, რათა შესაძლებელი იყოს მათი მინიმალიზაცია; განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ქვეყნის ჰიდრორესურსის გონივრული და გამართლებული ათვისება.

კვლევები ადასტურებს, რომ საშუალოდ, 1 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობის ეფექტი მშპ-ზე 10 წლიან პერიოდში 2.16 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ, როცა მისი არ აშენების შემთხვევაში ეს ეფექტი თითქმის 3.5-ჯერ ნაკლებია, თითქმის - 0.62 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ამასთან, დამატებით, ჰესები გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფენ ქვეყნის

უსაფრთხოებისა და ელექტროენერჯის მიწოდების გაცილებით მაღალ დონეს (ადგილობრივი., 2020).

ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა ახასიათებს მზარდი ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანას და გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფორმაციით, ბოლო სამი წლის განმავლობაში მოთხოვნა წელიწადში საშუალოდ 6.7%-ით იზრდებოდა, ხოლო გენერაცია ამავე პერიოდში - საშუალოდ 3.9%-ით. შესაბამისად იზრდება ენერგოდამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებთან (წლიური ანგარიში, 2021). ცალკე პრობლემაა საქართველოში კრიპტოვალუტის წარმოების მაღალი ტემპი, რაც დიდი ოდენობით ენერჯიას მოიხმარს.

დიაგრამა 1
ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2021 წელს



წყარო: <https://www.gse.com.ge/>

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში, საქართველოს მთავრობა ენერგოდამოუკიდებლობის და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განახლებადი ენერჯიების წარმოებას. ჩვენი ქვეყანა მდიდარია განახლებადი ენერჯიის ისეთი წყაროებით, როგორცაა ქარის ენერჯია, მზის ენერჯია, გეოთერმული ენერჯია და ბიომასა. თუმცა, ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ქარისა და მზის ელექტროსადგურების მშენებლობისადმი ინტერესი. სულ უფრო და უფრო მცირდება ქარის ტურბინების და მზის პანელების თვითღირებულება, რის გამოც ქარის და მზის ენერჯიის ათვისება სულ უფრო მიმზიდველი ხდება. მათი ელექტროსადგურების მშენებლობას ბევრად ნაკლები დრო სჭირდება ვიდრე ჰესებს. ასევე მინიმალურია მათზე ე.წ. საოპერაციო ხარჯები. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით, 2025 წლისთვის შესაძლებელია დაახლოებით 500 მგვტ ქარის და 250 მგვტ მზის სადგურების ინტეგრაცია (ათწლიანი გეგმა, 2023: 292). საპროგნოზო მაჩვენებლებით, 2024 წლისათვის ქვეყნის განახლებად

ენერჯიებზე მომუშავე ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 4067 მგვტ-ს, ხოლო 2030 წლისათვის 6265 მგვტ-ს მიაღწევს (ხედვა 2030., 139).

ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერჯიის მოხმარების ზრდის მაღალი დონე და ელსადგურების შესაბამისი სიმძლავრით უზრუნველყოფა აუცილებელს ხდის გადაცემის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას. 2022 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მისმა წილმა 7,5% შეადგინა, 2023 წლის დასაწყისითვის კი უკვე 7,9%-ია (geostat.ge, 2023). მნიშვნელოვანი მიღწევები ფიქსირდება მსოფლიო მასშტაბით, 2022 წელს, UNCTAD-ის მიერ მონიტორინგის ქვეშ მყოფმა 100-მა საპენსიო ფონდმა გააუმჯობესა ინვესტიციები განახლება ენერჯიებში და მოახერხა წიაღისეული საწვავისგან განთავისუფლება. საანგარიშო ფონდების ორმა მესამედმა აიღო ვალდებულება, რომ მათ საინვესტიციო პორტფელებში 2050 წლისთვის წიაღისეული საწვავი აღარ შეგვხვდება (Giguashvili., 2023).

საქართველოს ენერგოსექტორში ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და საიმედოობის უფრო მაღალი სტანდარტების მისაღწევად საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ (სსე), როგორც გადაცემის სისტემის ოპერატორმა, შეიმუშავა გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2030 წლამდე პერიოდისათვის. აღნიშნული გეგმა დამტკიცებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 9 აგვისტოს № 1-1/343 ბრძანებით (წლიური ანგარიში, 2021: 48). საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა შესასრულებლად სავალდებულო აქტია. გეგმა გათვლილია პერიოდზე 2023 წლიდან 2033 წლის ჩათვლით (ათწლიანი გეგმა, 2023).

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს გადამცემ ქსელს აქვს პოტენციალი შეასრულოს რეგიონული ენერჯეტიკული ჰაბის ფუნქცია და შეიძინოს სტრატეგიული მნიშვნელობა კავკასიის და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ენერჯეტიკული ინტეგრაციის ამოცანათა გადაჭრაში, რაც გულისხმობს მეზობელი ქვეყნების სიმძლავრის შეკრება-განაწილებას და მათ შორის ელექტროენერჯიის მიმოცვლას და ვაჭრობას, საქართველოს გადამცემი ქსელის გავლით. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში გათვალისწინებული ელსადგურების ჯამური სიმძლავრე მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს ენერგოსისტემის დაგეგმილ ჯამურ მოხმარებას 2023-24 წლებში, ამიტომ ამ სიმძლავრის გატანა უნდა მოხდეს მეზობელ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ საქართველოდან ელექტროენერჯიის მიღების ინტერესი. ქართველი და მეზობელი ქვეყნების (მაგალითად, საქართველო-თურქეთი, საქართველო-სომხეთი) სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის და ჩატარებული გაანგარიშებების საფუძველზე, გამოვლენილი იქნა

საქართველოს ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის გაძლიერების აუცილებლობა, კერძოდ:

- თურქეთთან ახალი 350 მგვტ სიმძლავრის მუდმივი დენის ჩანართის ბლოკი და ახალციხეში, შესაბამისი 400 კვ ტრანსსასაზღვრო ელექტრო გადამცემი ხაზი ახალციხე-თორთუმი;

- რუსეთთან ახალი 500 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოკი;

- სომხეთთან ახალი 500 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი მარნეული-აირუმი;

- აზერბაიჯანთან კავშირის ხაზების შემდგომი გაძლიერების კუთხით უკვე დასრულებულია 330 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი „გარდაბანის“ გაორჯაჭვიანება, რომლის გამტარუნარიანობა 263 აღწევს 500 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი „მუხრანის ველის“ გამტარუნარიანობას და შეუძლია სრულად დაარეზერვოს ის.

ელექტროენერჯის მიმოცვლა ხორციელდება: საქართველოდან რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და პირიქით; ასევე რუსეთიდან თურქეთში, აზერბაიჯანიდან თურქეთში; ამ ამოცანათა შესრულებას ემსახურება საქართველოს ელექტროსისტემის სატრანზიტო გადამცემი ხაზები, თუმცა მათი გამტარუნარიანობა შეზღუდულია ქვეყნის ენერგოსისტემის მუშაობის დასაშვები სარეჟიმო პარამეტრებიდან გამომდინარე (ათწლიანი გეგმა, 2023: 215).

საქართველოს გადამცემი ქსელის რუკა 2023



წყარო: https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2023-2033_GEO.pdf

ენერგეტიკის სექტორის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გრძელდება გადამცემი ინფრასტრუქტურის, როგორც ელექტროენერჯის, ასევე ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობა. დღეისათვის საქართველოში ხორციელდება

გადამცემი ქსელის სისტემათაშორისი და სასისტემო მნიშვნელობის 16 პროექტი, რომელთა განხორციელება არსებული და სამომავლო გამოწვევების დაძლევის კარგი შესაძლებლობაა. ამ პროექტებში გაერთიანებულია გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის ელემენტები. პროექტები რამდენიმე ქვეპროექტისგან და/ან ნომინალური ძაბვის ერთი ან რამდენიმე საფეხურის ხაზებისა და ქვესადგურებისაგან შედგება. 15 მათგანი ცვლადი დენის ელექტროგადამცემი ხაზი, ქვესადგური ან ავტოტრანსფორმატორია, ხოლო 1 წარმოადგენს მუდმივი დენის ჩანართს და ცვლადი დენის ხაზს ერთად (ათწლიანი გეგმა, 2023).

ათწლიანი გეგმის თანახმად, 2023-2025 წლებში ექსპლუატაციაში შევა პროექტების 61%. აღნიშნული პერიოდი მიეკუთვნება „მოკლევადიანი დაგეგმვის“ პერიოდს. 2026-2027 წლებში გეგმის მიხედვით, ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს პროექტების 23%. აღნიშნული პერიოდი მიეკუთვნება „საშუალოვადიანი დაგეგმვის“ პერიოდს. გამოვლენილია ამ პროექტების ძირითადი მახასიათებლები და სავარაუდო ტექნიკური და ეკონომიკური მონაცემები. 2028-2033 წლებში ექსპლუატაციაში შევა - პროექტების 17 %. აღნიშნული პერიოდი მიეკუთვნება „გრძელვადიანი დაგეგმვის“ პერიოდს. 2023-2033 წლებში ახალი, რეაბილიტირებული ან გაორჯაჭვიანებული გადამცემი ხაზების ჯამური სიგრძე (ტრასის სიგრძე) დაახლოებით 1400 კმ-ია, ხოლო ქვესადგურების ჯამური სიმძლავრე - 5000 მგვა-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ 4 პროექტი ემსახურება სისტემათაშორისი კავშირების გაძლიერებას, მათ შორის 1 - თურქეთთან მუდმივი დენის ჩანართით, 1 - სომხეთთან, 1 - რუსეთთან და ერთი აზერბაიჯანთან. 6 პროექტი ემსახურება შიდა სასისტემო გამტარუნარიანობის გაზრდას და საიმედოობის ამაღლებას (ათწლიანი გეგმა, 2023).

პროექტების ექსპლუატაციაში შესვლის მოსალოდნელი თარიღები



წყარო : https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2023-2033_GEO.pdf

საქართველო მიზნად ისახავს განავითაროს ტრანსსასაზღვრო ელექტროენერგიით ვაჭრობა გადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოსა და რუმინეთს შორის შავ ზღვაში წყალქვეშა გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, რომელიც წყალქვეშა მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას ითვალისწინებს. წყალქვეშა

ელექტროგადამცემი კაბელის მთლიანი სიგრძე დაახლოებით 1195 კმ. (95 კმ. სახმელეთო და 1100 კმ. წყალქვეშა ნაწილი) იქნება, ხოლო სიმძლავრე - 1000 მგვტ. წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელი ასევე აღჭურვილი იქნება ციფრული კავშირით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ტელეკომუნიკაციას რუმინეთსა და საქართველოს შორის.

2020 წლის ივნისში მსოფლიო ბანკმა შეისწავლა და წინასწარი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე დაადასტურა საქართველოსა და რუმინეთს შორის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის ეკონომიკური მიზანშეწონილობა. შავი ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების დაკავშირება წყალქვეშა გადამცემ ხაზთან პოტენციურად შეიძლება ჩაითვალოს საერთო ინტერესის პროექტად და შეიძლება თანადაფინანსებული იყოს შესაბამისი ევროპული ფონდების და ასევე ბალკანეთის/სამხრეთ კავკასიის რეგიონის დაინტერესებული ქვეყნების მიერ. პროექტის სრული მიზანშეწონილობის შესწავლის მიზნით სსე-მ 2022 წლის 26 აპრილს გამოაცხადა მოთხოვნა ინტერესის გამოხატვის შესახებ (საკონსულტაციო მომსახურება - ფირმების შერჩევა). კვლევის ჩასატარებლად შეირჩა იტალიური კომპანია CESI. კვლევა 6 თემატურ ეტაპად, საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგეტიკული კომპანიების ჩართულობით ჩატარდება. მასში მსოფლიო ბანკი 2,5 მილიონ ევროს იხდის. კვლევა 2022 წლის 11 მაისს დაიწყო და 18 თვეში უნდა დასრულდეს. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასებისა და შავი ზღვის ფსკერის გეოფიზიკური და გეოტექნიკური კვლევები. მათი მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები და საუკეთესო გზები (წლიური ანგარიში, 2021: 45).

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი იძლევა საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარების ახალ შესაძლებლობას. პროექტის განხორციელების ინიციატივა, რომელიც საქართველოს ეკუთვნის, დღეს უკვე რეალობას წარმოადგენს. 2022 წლის 17 დეკემბერს ხელი მოეწერა „საუკუნის პროექტს“, რომელიც ევროკავშირში, შავი ზღვის მეშვეობით, მწვანე ენერჯის ექსპორტს უზრუნველყოფს. პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებას. იგი ხელს შეუწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, განახლებადი ენერჯის სექტორის განვითარებასა და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს აღნიშნულ რეგიონებს შორის.

ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, 2022 წლის 17 დეკემბერს რუმინეთის დედაქალაქში, ბუქარესტში, ოთხმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, ევროკავშირი მზადაა, ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს შავ ზღვაში ელექტროენერჯის გადამცემი წყალქვეშა კაბელის

გაყვანის პროექტს. მისი აზრით, ეს შეთანხმება ევროკავშირს სამხრეთ კავკასიელ პარტნიორებთან დაახლოებს და ორივე რეგიონს განახლებად ენერგიაზე გადასვლაში დაეხმარება. „რუსეთის ომის დაწყების შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, უარი გვეთქვა რუსულ წიაღისეულ საწვავზე და დავყრდნობოდით მეტად სანდო პარტნიორებს — ისეთებს, როგორებიც ამ მაგიდის გარშემო სხედან“, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა. მან დასძინა, რომ ეს ინიციატივა გააძლიერებს ენერგოსაფრთხოებას ევროპაში, ხოლო საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას ახალ შესაძლებლობებს მისცემს: „ეს პროექტი უდიდეს სარგებელს მოუტანს საქართველოს, ევროპული მისწრაფების მქონე ქვეყანას. მას შეუძლია, საქართველო ელექტროენერჯის ჰაბად აქციოს და ევროკავშირის შიდა ენერგობაზარს შეუერთოს. ამასთან, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროენერჯის კაბელს შეუძლია, ელექტროენერჯის მიღებაში დაეხმაროს ჩვენს მეზობლებს მოლდოვასა და დასავლეთ ბალკანეთში, ხოლო უკრაინას ენერგოსისტემის აღდგენის დაწყება გაუადვილოს“ (<https://euneighbourseast.eu/>, 2022).



წყარო: მსოფლიო ბანკი

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის ელექტროსისტემებს დააკავშირებს. პროექტი მნიშვნელოვანია მასში მონაწილე ყველა მხარისთვის, თუმცა კვლავ აქტუალურია კითხვები, კერძოდ რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს პროექტმა და რა უნდა გაკეთდეს მაქსიმალური სარგებლის მისაღებად.

დასკვნა და რეკომენდაციები: ამრიგად, საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კვლევები ჯერ არ დასრულებულა, პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და აკადემიურ ლიტერატურაში წარმოდგენილი კვლევების ანალიტიკური დამუშავების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი შესაძლებელია რეალობად იქცეს 3-4 წელში. ის მართლაც ახალი სატრანზიტო შესაძლებლობაა საქართველოსთვის. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ევროპის ბევრმა ქვეყანამ მტკიცედ

გადაწყვიტა რუსულ ენერჯიაზე უარის თქმა. ხოლო ამ პროექტით შესაძლებელი გახდება აზერბაიჯანის მწვანე ენერჯია ევროპას მიეწოდოს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის მეშვეობით. ერთი მხრივ, მდგრადი მიზნების შესაბამისად, ხელი შეეწყობა განახლებადი ენერჯის წარმოებას და მეორე მხრივ, შემცირდება ევროპის რუსეთზე ენორგოდამოკიდებულება, ხოლო საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო პროექტში არამხოლოდ ტრანზიტორის, არამედ ექსპორტიორის სტატუსითაც იყოს წარმოდგენილი. ამისათვის კი აუცილებელია საქართველოს განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება, განსაკუთრებით, ქარისა და მზის ენერჯის წარმოების განვითარება, ხოლო მისი ტრანზიტისთვის პირველ რიგში საჭიროა მდგრადი, საიმედო, ეკონომიკური და ეფექტური ელექტროგადამცემი ქსელის შექმნა, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს: მიწოდების უსაფრთხოებას, ქსელის საიმედოობას, ელექტროენერჯის ხარისხს; საკმარის გამტარუნარიანობას, განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრაციას და ევროპის ქვეყნებში ელექტროენერჯის ექსპორტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება..., 2014: - ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, 2014: გვ. 426. https://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472219609_asocirebis-shesakheb-shethankhmeba.pdf
2. ხედვა 2030., 2022: - ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია. <https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf>
3. ადგილობრივი..., 2020: - ადგილობრივი განახლებადი ენერგეტიკული რესურსების განვითარების ეკონომიკური გავლენის ანალიზი და მისი როლი ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში (2020), https://gegroupp.org/assets/project_presentation/Final_Report.pdf
4. წლიური ანგარიში, 2021: - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, წლიური ანგარიში 2021|2022. https://www.gse.com.ge/sw/static/file/ANNUAL_REPORT_2021-22_GEO_1.pdf
5. ათწლიანი გეგმა, 2023: - საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2023-2033. გვ. 292. https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2023-2033_GEO.pdf

6. geostat.ge, 2023: - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>
7. <https://euneighbourseast.eu/>, 2022: - ევროკავშირი შავ ზღვაში წყალქვეშა ელექტროკაბელის გაყვანის ინიციატივას მიესალმება. დეკემბერი 20, 2022. <https://euneighbourseast.eu/ka/news/latest-news/evrokavshiri-shav-zghvashi-cqhalkhvesha-elekhtrokabelis-gaqhvanis-initsiativas-miesalmeba/>
8. Giguashvili, 2022: - Giguashvili, G., Azmaiparashvili, M., Makasarashvili, T., & Khorguashvili, T., Aspects of sustainable economic development in post-pandemic Georgia. *ISJ Theoretical & Applied Science*, 02 (106), 573-580. Doi: <https://dx.doi.org/10.15863/TAS>
9. Giguashvili, 2022a: - Giguashvili G. (2022). THE MAIN CHALLENGES OF ENERGY INDEPENDENCE OF GEORGIA. *Grail of Science*, (21), 19–24. <https://doi.org/10.36074/grail-of-science.28.10.2022.001>
10. Giguashvili., 2023: - Giguashvili, G. ., Makasarashvili, T. ., Khorguashvili, T. ., & Orjonikidze, N. . (2023). DYNAMICS OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS IN POST-PANDEMIC GEORGIA. *Grail of Science*, (30), 23–31. <https://doi.org/10.36074/grail-of-science.04.08.2023.001>
11. The World Bank (2020). Economic Analysis of Georgia – Romania Interconnection. <https://documents1.worldbank.org/curated/en/442791598001931856/pdf/Methodology-Note.pdf>

The Ruderal Flora, Structure and Bioecological Features of the City of Batumi
ქალაქ ბათუმის რუდერალური ფლორა, სტრუქტურა და
ბიოეკოლოგიური თავისებურებანი

Irakli Mikeladze

PhD in Biology, Institute of Phytopathology and Biodiversity,
Shota Rustaveli State University of Batumi
e-mail: irakli.mikeladze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0003-1200-6787>

Lamzira Zoidze

Master in Biology,
Biology teacher at Public School №8 in Batumi
e-mail: lamzozoidze@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0009-0009-9941-9269>

Abstract: The anthropogenic transformation of vegetation began from time immemorial and continues today. An example of anthropogenic transformation is urbanization, and its accompanying spatial changes and events, - urban flora and ruderal plants, an integral part of urban flora.

Urban processes are taking place in Georgia, among them in Batumi. The paper presents research materials conducted in ruderal areas. A total of 271 species of plants have been recorded in the study area, which belong to 59 families and 178 genera.

The families distinguished by the abundance of species are: *Compositae*, *Leguminosae*, *Poaceae*, *Lamiaceae*, *Brassicaceae*, *Amaranthaceae*, *Polygonaceae* and *Rosaceae* which include 153 species, which is 47% of the described species, and the remaining 51 families include 118 species.

The following genera lead with three or more species: *Amaranthus*, *Artemisia*, *Cyperus*, *Vicia*, *Erigeron*, *Euphorbi*, *Galium*, *Geranium*, *Juncus*, *Medicago*, *Persicaria*, *Poa*, *Polygonum*, *Rubus*, *Ranunculus*, *Rumex*, *Solanum*, *Trifolium*, *Senecio*, *Sisymbrium*, *Stellaria*, *Veronica* and *Xanthium*.

According to the simple classification of life forms, annuals are represented by 131 species, and perennials - grasses, trees, shrubs and lianas are represented by 140 species.

In the study area, the plants of the ruderal ecological group are in first place with 141 species, which is 52% of the described species.

As for the origin of the described species, out of 271 species, 88 species are local and 183 species are of foreign origin.

Alien species are distributed as follows: East Asian 52 species, Mediterranean 43 species, European 39 species, North American 28, South American 13 species, Australian 1 and 7 species are cosmopolitan, the place of origin of which is not finally specified. They are spread almost all over the world.

Key words: Flora; Species; Invasion; Ruderal plant; Batumi

ირაკლი მიქელაძე

ბიოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის,
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ელ-ფოსტა: irakli.mikeladze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-1200-6787>

ლამზირა ზოიძე

ბიოლოგიის მაგისტრი,

ბათუმის №8 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
ელ-ფოსტა: lamzozoidze@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0009-9941-9269>

აბსტრაქტი: მცენარეული საფარის ანთროპოგენური ტრანსფორმაცია უხსოვარი დროიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მაგალითია ურბანიზაცია, მისი თანმხლები სივრცობრივი ცვლილებები და მოვლენები, - ურბანული ფლორა და ურბანული ფლორის განუყოფელი ნაწილი რუდერალური მცენარეები.

საქართველოში ურბანული პროცესები განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქ ბათუმში. ნაშრომში წარმოდგენილია რუდერალურ ადგილებში ჩატარებული კვლევის მასალები. საკვლევ არეალში სულ დაფიქსირებულია 271 სახეობის მცენარე, რომლებიც ერთიანდება 59 ოჯახსა და 178 გვარში.

მეტალების ჯანმრთელობის რისკის შეფასება ზღვის თევზში
მოსახლეობისთვის

Victor Ciupinã

Phd in Physics, Academy of

Romanian Scientists, Romania

ORCID: <https://orcid.org/0009-0009-7205-4394>

Abstract: Transports represent an important aspect of material production, which decisively influences on the other branches of the world economy, including international trade. Thus, the connection between the economic coordinates and the other components of the macroeconomic framework, synthesized from a theoretical point of view must take into account the interactions between: ambient, human resources, superstructure (social, political, legally, cultural, etc), economic relations, material products (technical and technological resources). Maritime transport has a special role in the temporal-spatial relationship between geographical areas, continents and current states of the world. Maritime transport has the role of creating links between all these areas, regions, and states for the performance of complex categories of economic, commercial, social and even political activities. The importance of maritime transport can be traced starting with the following aspects: historic, economic, social political, environment protection, education and scientific research.

Environmental pollution with toxic metals can lead to the possible contamination of the marine fish. The studies of levels of As, Cd, Cr, Hg and Pb is essential to estimate the health risk. The potential health risk may exist for high exposure consumers considering the possible contamination of As and Hg in particular. In this respect we discuss on Health risk of heavy metals in marine fish, Health risk assessment, Estimated of Daily Intake (EDI), Target Hazard Quotient (THQ) for non-carcinogenic risk, Carcinogenic Risk (CR), and on Statistical analysis and map.

Key words: world economy, maritime transport, the environment, technological resources

ვიქტორ ჩიუპინა

ფიზიკის დოქტორი, რუმინეთის

მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუმინეთი

ORCID: <https://orcid.org/0009-0009-7205-4394>

აბსტრაქტი: ტრანსპორტი წარმოადგენს მატერიალური წარმოების მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის სხვა სექტორებზე, მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობაზე. ამგვარად, ეკონომიკურ პარამეტრებსა და მაკროეკონომიკური ჩარჩოს სხვა კომპონენტებს შორის კავშირის ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს ურთიერთქმედებას გარემოს, ადამიანური რესურსების, სუპერსტრუქტურის (სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული და სხვა), ეკონომიკურ ურთიერთობებსა და მატერიალურ პროდუქციას (ტექნიკური და ტექნოლოგიური რესურსები) შორის. საზღვაო ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიული არელების, კონტინენტებისა და თანამედროვე სახელმწიფოებს შორის დროით-სივრცულ ურთიერთობებში. მისი დანიშნულებაა სხვადასხვა რეგიონებს, ტერიტორიებსა და სახელმწიფოებს შორის კავშირების უზრუნველყოფა ეკონომიკური, სავაჭრო, სოციალური და პოლიტიკური აქტივობების განსახორციელებლად. საზღვაო ტრანსპორტის მნიშვნელობა შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა ასპექტით: ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, გარემოს დაცვის, განათლებისა და სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით.

ტოქსიკური მეტალებით გარემოს დაბინძურება შესაძლებელია ზღვის თევზის შესაძლო კონტამინაციის მიზეზი გახდეს. აუცილებელია ასპარაგინის (As), კადმიუმის (Cd), ქრომის (Cr), ვერცხლისწყლის (Hg) და ტყვიის (Pb) დონეების შეფასება ჯანმრთელობის რისკის განსაზღვრისთვის. მაღალი მოხმარების მქონე მომხმარებლებისთვის შეიძლება არსებობდეს ჯანმრთელობის შესაძლო რისკი, განსაკუთრებით ასისა და ვერცხლისწყლის კონტამინაციის გათვალისწინებით. ამ კონტექსტში განვიხილავთ მძიმე მეტალების ჯანმრთელობის რისკს ზღვის თევზში, ჯანმრთელობის რისკის შეფასებას, ყოველდღიური მიღების შეფასებას (EDI), სამიზნე საფრთხის კოეფიციენტს (THQ) არაკარცინოგენური რისკისთვის, კარცინოგენულ რისკს (CR) და ასევე სტატისტიკური ანალიზის მაჩვენებლებსაც.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ეკონომიკა, საზღვაო ტრანსპორტი, გარემო, ტექნოლოგიური რესურსები

1. The importance and role of maritime transport in the current world

Currently, the transports are an essential part of material production, which, through their role in the movement of goods, decisively influences the world economy and specifically international trade.

Considering the current understanding, transport and port services are those works that carry out the movement of goods and people over a certain distance, loading, unloading, transshipment of goods from one means of transport to another. The development of transport and the provision of port services, on a national and international level, has led over time to a rapprochement of the countries, to a development at the same rate of trade.

This must be viewed in harmony with the surrounding environment. Thus, the connection between the economic coordinates and the other components of the macroeconomic framework, synthesized from a theoretical point of view must take into account the interactions between: ambient, human resources, superstructure (social, political, legally, cultural, etc), economic relations, material products (technical and technological resources).

The development of the environment and the economy must be seen as a component part of an integrated system, which has bidirectional links to the other components, which can influence the development of the system components, being influenced, in turn, by their evolution.

Maritime transport has a special role in the temporal-spatial relationship between geographical areas, continents, and current states of the world. Maritime transport has the role of creating links between all these areas, regions and states for the performance of complex categories of economic, commercial, social and even political activities.

The current maritime transport, in fact, represents a large number of services that have a multidimensional character, which have determined and influenced the development of other economic and social activities, but also of a legal nature.

The importance of maritime transport can be traced starting with the following aspects: historic, economic, social political, environment protection, education and scientific research.

Historically, maritime transport has had generally a major contribution to the development of human society, in particular in the Black Sea region, since antiquity, the era of great geographical discoveries, the modern era and especially the current period.

The economic development of society, the creation of new jobs on board ships, in the port industry and in the shipbuilding, industry was linked to the evolution of maritime transport.

From a social point of view, maritime ships facilitated the movement of people from one country to another, to satisfy economic or social needs, trade, and

knowledge. Currently, new requirements have appeared related to maritime transport, such as those related to tourism, scientific research, etc. Another social aspect is that related to the relationships established between those who use maritime transport, which have ensured over time, the formation of especially close relationships between the owners of maritime vessels and the beneficiaries of the transports, suppliers, intermediaries, and authorities.

The political aspect is reflected in the acts and laws developed by the state authorities. The national authorities have a particularly important role through the measures they adopt in this field, both in the sense of stimulating maritime transport activity, but also of restricting it at certain times. Also in this sense, it must be understood that political decisions have particularly important effects on maritime transport. The influence of the political factor on maritime transport is especially evident in times of crisis that occur in region.

Environmental protection has become such an important feature for maritime transport, through the implications it has, that it can no longer be ignored, also taking into account the fact that international legislation in the field of environmental protection has so many restrictions that they can affect decisions regarding to maritime transport activities. In this sense, these restrictions must be evaluated, taking into account all the costs related to environmental protection and especially to restoration in case of pollution, adding the huge fines. The consequences of maritime transport on the maritime environment do not only refer to pollution, which is of the greatest importance, but also to topographical changes of seacoasts, harbor areas, channels, straits and port basins, etc.

The educational aspect is represented by the training of both officers and sailors, as well as specialists who will work at the headquarters of shipping companies, port operators, maritime agencies, naval authorities.

From the point of view of scientific research, there is practically no fundamental field that does not produce effects on maritime transport, on shipbuilding, as well as on the training and development of human resources in the field. In this way, maritime transport has come to represent a sector of activity that facilitates, from an economic point of view, the production of material goods and the provision of services, having an important contribution to increasing the added value of products and services. On the other hand, taking into account that fish is considered a significant part of a healthy, well-balanced diet due to its exceptional nutritional properties (high-quality proteins, vitamins, essential omega-3 fatty acids). Fish and seafood are unique dietary sources of cardioprotective docosahexaenoic (DHA) and eicosatetraenoic (EPA) fatty acids. Thus, many public health authorities recommend regular fish consumption equivalent to at least 1–2

serving per week in order to prevent diet-related chronic diseases. Unfortunately, anthropogenic environmental impacts (industry, agriculture, mining) significantly increase the naturally occurring amounts of heavy metals in the environment, including the marine ecosystem. Consequently, marine organisms (fish, shellfish, crustaceans) can accumulate these metals to potentially toxic concentrations. Often, fish and other seafood represent one of the main sources of exposure to metals in the general population. Foods that contain toxic metals above the permitted levels are considered to be harmful to human health and are banned for trade by many national and international regulations.

2. Health risk of heavy metals in marine fish

Generally speaking, accelerating industrialization had dramatic consequences for human society, materialized by multiple changes. These changes has undesirable effects such as amplification of [pollutants](#) into the environment. Nowadays, heavy metals are the main ones as micropollutants and are considered of universal interest. Most heavy metals are found in factory and farm wastewater, typically dumped into marine water. These pollutants accumulate as surface sediment. Heavy metals discovered in sediments that are not reactive but are potentially hazardous are considerate as stable contaminants. Thus, pollutants from sediment get into the water, food, and habitats of organisms. Accumulation of these pollutants occurs in the food web due to the relationship between water and sediments. As a result, sediments act like a warehouse of heavy metals in the aquatic environment, mostly in estuarine, coastal, and port areas. A part of such heavy metals is adsorbed on suspended solids and organic tissue in seawater and finally deposited in sediments. As an immediate consequence, heavy metal contents in the sediments can correspond to the surrounding aquatic environment quality, in dissonance with the generally low concentration in the water column. However yes heavy metals such as Ni, Cu and Zn, play a fundamental role for aquatic life, they could be toxic at a certain level, and therefore present risks to aquatic biological diversity. The result is as, heavy metals accumulated in sediments can cause harmful effects on aquatic organisms, leading in time to impacts on the aquatic ecosystem, even threatening human health through the contaminated food chain. In conclusion, sediments are used as an environmental indicator in assessing the impacts of anthropogenic heavy metal pollution.

It is known that seaports are important areas for economic and trade activities, and therefore have become a land–sea coordinated area strongly influenced by human activities. Sea transportation, fishery, ship maintenance, and commercial activities surrounding seaports release pollutants into the adjacent waters and sediments. By

their very role, ports are a semi-enclosed water area with dike constructions, resulting in limited water circulation and slow renewal after being polluted. So, in port areas is favored accumulation of considerable pollutants, e.g, in the sediments which are considered as essential points of anthropogenic pollution.

As far as fishing port management, it is known that this activity plays an essential government role in environmental and economic aspects as it supports the fishery, being the principal food and economic resource, first for coastal localities. Determining the pollution status of fishing ports will help the planning of facilities, construction activities, drafting of management statutes, and control of pollution sources. It turned out that fishing port sediments worldwide have been to a high degree contaminated with heavy metals. Maintenance operations of fishing vessels and wastewater discharges may constitute the primary sources of heavy metals in fishing port sediments.

2.1. Health risk assessment

Increased attention is granted to analyzing the concentration of heavy metals in the muscle tissues of fish, which mainly are consumed as food. In order to assess the potential health shares in connected with heavy metal contamination in water, in most cases the studies determined the Estimated Daily Intake (EDI) and Target Hazard Quotients (THQ) taking into account the levels of heavy metals detected in the fish.

2.1.1. Estimated of Daily Intake (EDI)

It is possible to derived Human health hazards taking into consideration metal consumption via different food. More precisely, EDI calculate based on metal concentrations discovered in any food and associating on the daily consumption of that food. To calculate the value of EDI take into account metal concentration ($\mu\text{g/g}$), FIR (Food Ingestion Rate) which is the daily consumption of fish (gram day^{-1}) per capita, and Body Weigh BW). The average FIR accepted (FAO) is 55.5 g/day; the BW accepted (USEPA) is 70 kg, meaning average body weight for adults.

2.1.2. Target Hazard Quotient (THQ) for non-carcinogenic risk

The ingestion of contaminants determines the potential health risk which can be identified by assessing THQ. It is calculated as estimated daily intake (EDI)/Oral

reference doses (RfD). The reference dose (mg/person/day) accepted for Pb, Cr, Cu, and Zn is 0.0035, 0.003, 0.3, and 0.3 respectively (USEPA). To calculate THQ must take into account Exposure Duration E_D , e.g. 65 years (UESPA) and Exposure Frequency E_F considered as 365 days/year; also, the Estimated Daily Intake (EDI) which is the intake of each metal content per day, while the Average Time (AT) refers to the average exposure time for non-carcinogens (i.e., E_D multiplied by E_F).

2.1.3. Carcinogenic Risk (CR)

In the cases in which exposure to carcinogens exceed a lifetime can increase cancer's probability, called Carcinogenic Risk (CR). In literature, the value of CR is included between 10 and 6 to 10⁻⁴. If this value increases to 10⁻⁴, it is considered a carcinogenic risk (USPA). To calculate the CR must take into account: Cancer Slope Factor (CSF) described in Integrated Risk Information System (IRIS); the values of CSF in the case of for Pb and Cr are 0.0085 and 0.5 mg/kg/day respectively (UESPA).

2.1.4 Statistical analysis and map

Using the statistical methods, it was done to the concentrations of the metals previously presented. In this respect must be utilize the Pearson [correlation coefficient](#) with the aim of obtaining the correlation between these metals; is necessary to determine the location of each study area. To create the maps must use the Geographic Information System tool to present the data (GIS). In order to found where heavy metals are, was used the Inverse Distance Weighted (IDW) interpolation method from ArcMap 10.4's Spatial Analyst Tools.

3. Conclusions

Transports represent an important aspect of material production, which, through their role in the movement of goods, decisively influences the other branches of the world economy, including international trade. Thus, the connection between the economic coordinates and the other components of the macroeconomic framework, synthesized from a theoretical point of view must take into account the interactions between ambient, human resources, superstructure (social, political, legally, cultural, etc), economic relations, material products (technical and technological resources). Maritime transport has a special role in the temporal-spatial relationship between geographical areas, continents and current states of the world. Maritime transport has the role of creating links between all these areas, regions and states

for the performance of complex categories of economic, commercial, social and even political activities.

The importance of maritime transport can be traced starting with the following aspects: historic, economic, social political, environment protection, education and scientific research.

Environmental pollution with toxic metals can lead to the possible contamination of the marine fish. The studies of levels of As, Cd, Cr, Hg and Pb is essential to estimate the health risk. The potential health risk may exist for high exposure consumers considering the possible contamination of As and Hg in particular.

References

1. Jousse, G. - Gestion des risques et de la sécurité, Imestra Edition, France, 2001, 266 p.
2. Tchounwou, P.B., Yedjou, C.G., Patlolla, A.K. & Sutton, D.J. Heavy metal toxicity and the environment in Molecular, clinical and environmental toxicology, vol 101 (ed. Luch, A.) 133–164 (Springer, 2012).
3. Pappalardo, A. M., Copat, C., Ferrito, V., Grasso, A. & Ferrante, M. Heavy metal content and molecular species identification in canned tuna: Insights into human food safety. *Mol. Med. Rep.*15, 3430–3437 (2017).
4. EFSA (European Food Safety Authority). Scientific Opinion on health benefits of seafood (fish and shellfish) consumption in relation to health risks associated with exposure to methylmercury. *EFSA J.*12, 3761 (2014).
5. Taylor, C. M., Emmett, P. M., Emond, A. M. & Golding, J. A review of guidance on fish consumption in pregnancy: is it fit for purpose? *Public Health Nutr.*21, 2149–2159 (2018).
6. Vromman, V. *et al.* (2010) Dietary cadmium intake by the Belgian adult population. *Food Addit. Contam. Part A Chem. Anal. Control Expo Risk Assess.* 27(12), 1665–1673. <https://doi.org/10.1080/19440049.2010.525752> (2010).
7. EFSA (European Food Safety Authority). Statement on the benefits of fish/seafood consumption compared to the risks of methylmercury in fish/seafood. *EFSA J.*13, 3982 (2015)

ტურიზმი / Tourism

The Business Environment of the Hotel Sector in Georgia and Sustainable Development Trends

სასტუმრო სექტორის ბიზნეს გარემო საქართველოში და მდგრადი განვითარების ტენდენციები

Maia Azmaiparashvili

PhD in Ecology, Associate Professor at Gori State University; Professor at European University

e-mail: maiaazmaiparashvili@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-7868-5463>

Abstract: The hospitality sector is seen as a source of foreign exchange earnings, a means of increasing the employment of the population, a catalyst for the development of infrastructure and such sectors as construction, agriculture, food industry, trade and others. Competition is increasing in the hotel business of Georgia, there is an oversupply in the market, the number of tourists has increased, and therefore the number of hotel rooms in the country is increasing, however, there are challenges in terms of quality management in the field of hotel services. The aim of the topic is to investigate the issues of implementing ISO standards of the international management system in the field of Georgian hotel services. The objectives of the research are to determine the positive impact of international standardization of services (ISO), to study the characteristics of sustainable management of hotel services, to analyze international trends in hospitality business. It was revealed that the hotel sector should significantly improve sectoral policies with sustainable approaches, consider the need for ISO certification in management mechanisms, prioritize future-oriented green management style, set science-based carbon reduction goals, and involve hotel organizations in the green supply chain.

Key words: Hotel, Quality, ISO Standards, Sustainable, Business Environment, Certification.

მაია აზმაიფარაშვილი

ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

ელ-ფოსტა: maiaazmaiparashvili@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-7868-5463>

აბსტრაქტი: მასპინძლობის სექტორი გვევლინება, როგორც სავალუტო შემოსავლების წყარო, მოსახლეობის დასაქმების ზრდის საშუალება, კატალიზატორი ინფრასტრუქტურისა და ისეთი დარგების განვითარებისთვის, როგორცაა მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, ვაჭრობა და სხვა. საქართველოს სასტუმრო ბიზნესში იზრდება კონკურენცია, არსებობს ჭარბი მიწოდება ბაზარზე, გაზრდილია ტურისტების რაოდენობა. შესაბამისად, იზრდება სასტუმრო ოთახების რაოდენობა ქვეყანაში, თუმცა, სასტუმრო მომსახურების სფეროში ხარისხის მენეჯმენტის თვალსაზრისით, არსებობს გამოწვევები. თემის მიზანს წარმოადგენს გამოვიკვლოთ საქართველოს სასტუმრო მომსახურების სფეროში მენეჯმენტის საერთაშორისო სისტემის ISO-ს სტანდარტების დანერგვის საკითხები. კვლევის ამოცანებია მომსახურების საერთაშორისო სტანდარტიზაციის (ISO) დადებითი გავლენის განსაზღვრა, სასტუმრო მომსახურების მდგრადი მართვის მახასიათებლების შესწავლა, სასტუმრო ბიზნესში საერთაშორისო ტენდენციების გაანალიზება. გამოვლინდა, რომ სასტუმრო სექტორმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს დარგობრივი პოლიტიკა მდგრადი მიდგომებით, გაითვალისწინოს მართვის მექანიზმებში ISO-ს სერტიფიცირების აუცილობლობა, პრიორიტეტული უნდა გახადოს მომავალზე ორიენტირებული მართვის მწვანე მენეჯმენტის სტილი, უნდა დააწესოს ნახშირბადის შემცირების მეცნიერებაზე დაფუძნებული მიდგომები, სასტუმრო ორგანიზაციები ჩართოს მწვანე მიწოდების ჯაჭვში.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო, ხარისხი, ISO-ს სტანდარტები, მდგრადი, ბიზნეს გარემო, სერტიფიცირება.

შესავალი: ქვეყნებს შორის დამყარებულმა დიპლომატიურმა ურთიერთობებმა და ტექნოლოგიურმა რევოლუციებმა, მოგზაურობა დღეს მნიშვნელოვან მოვლენად აქციეს. თანამედროვე მოგზაური ხარისხზე დაფუძნებულ პროდუქტებს ირჩევს, რომელიც მისთვის კომფორტული დასვენების შესაძლებლობასთან ასოცირდება. ტურისტული განთავსების ობიექტებში, მომსახურების ხარისხის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, მსოფლიოში მილიარდობით დოლარი იხარჯება. სასტუმროს ბიზნესის წარმატების გასაღები, შეიძლება ითქვას, სტუმრის კმაყოფილება და შენარჩუნებაა. ახალი მომხმარებლის შეძენა ბევრჯერ უფრო ძვირი უჯდება ბიზნესს, ვიდრე არსებული მომხმარებლის შენარჩუნება. ყველა ჰიპერკონკურენტულ ინდუსტრიაში მეტოქეობა არანორმალურად მაღალია და კონკურენცია სასტიკი, კომპანიები დიდი ყურადღებით აკვირდებიან

კონკურენტებისა და ინდუსტრიის ლიდერების ნაბიჯებს. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO: Global standards for trusted goods and services) მიერ შემუშავებული სტანდარტები ბიზნესში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საუკეთესო საშუალებაა. ISO 9001:2015 (Quality management systems Requirements) სტანდარტი ვრცელდება მსხვილ ორგანიზაციებზე. საერთაშორისო დონეზე აღიარებულია და უპირატესობა ენიჭება ხარისხის მართვის სისტემას, რომელიც მომხმარებელთა ნდობის და კმაყოფილების გაზრდას გულისხმობს. აღნიშნული სტანდარტი 170 -ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება ადგილობრივი მცირე თუ დიდი კომანიების მიერ. ISO 9001 ხარისხის მართვის სისტემა არის ბიზნესის გაუმჯობესების მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საქმის მდგრად და უწყვეტ განვითარებას. ხარისხის მართვის სისტემის დანერგვით, წარმოებას შეუძლია: 1. გააუმჯობესოს სამუშაო პროცესები; 2. გაზარდოს კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, აამაღლოს ნდობა ბიზნესისადმი; 3. მარტივად დაამყარდეს საქმიანი ურთიერთობები უცხოელ პარტნიორებთან; 4. გაიზარდოს კომპანიის ცნობადობა და მოხდეს გაყიდვების სტიმულირება; 5. უზრუნველყოფს მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობა; 6. საჯაროდ გამოვლინდეს მენეჯმენტის ძლიერი მხარეები; 7. დაამყარდეს ეფექტური კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ა. შ. სერტიფიცირების პროცესი დამოკიდებულია კონკრეტული კომპანიის მოცულობასა და სამუშაო პროცესების თავისებურებებზე. ISO 9001 და ISO 14001 – ორივე საერთაშორისო სტანდარტია ორგანიზაციული მენეჯმენტისთვის, მაგრამ მათ აქვთ განსხვავებული მიზნები. ISO 9001 ეხმარება ორგანიზაციებს გააუმჯობესონ ხარისხის მართვა და მომხმარებელთა კმაყოფილება. ISO 14001 ეხმარება ორგანიზაციებს შეამცირონ გარემოზე ზემოქმედება და ხელი შეუწყონ მდგრადობას. ISO სტანდარტები, რომლებიც განიხილავენ მართვის სხვადასხვა ტიპს, როგორცაა, მაგალითად, ISO 9001 ხარისხისთვის და ISO 14001 გარემოს მენეჯმენტისთვის, ყველა სტრუქტურირებულია ერთნაირად. ეს ნიშნავს, რომ კომპანიებს, რომლებიც იყენებენ ISO მენეჯმენტის სტანდარტს, გაუადვილდებათ ორგანიზაციული მენეჯმენტის სხვა ასპექტების ინტეგრირება არსებულ მართვის სისტემაში. ISO 14001 სტანდარტის დანერგვით გარემოს დაცვის მენეჯმენტის ეფექტიანი სისტემით უზრუნველყოფილია ბიზნესი და საშუალებას აძლევს შეურთდეს მწვანე პოლიტიკას გლობალური მასშტაბით (<https://www.iso.org/standard/62085.html>). საერთაშორისო სტანდარტები მხარს უჭერს საერთო გლობალურ მიდგომას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საკითხში, როგორცაა კლიმატის ადაპტაცია და შერბილება,

მდგრადი ფინანსები, მწვანე ეკონომიკა, ისევე, როგორც მრავალი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებელი მთელს მსოფლიოში.

მომსახურების ხარისხი რომ ძირითადი გამოწვევაა სასტუმრო ინდუსტრიაში, ცხადად წარმოჩნდა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის სამთავრობო პროგრამაში, სადაც აღნიშნულია მომსახურების ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესების აუცილებლობა. სასტუმრო ინდუსტრიის სამომავლო განვითარებაში ჯერ კიდევ არ მოიაზრება საერთაშორისო დონეზე აღიარებული სარეიტინგო სისტემა, რომელიც მოახდენს სასტუმროთა დიფერენცირებას ISO-ს სერტიფიცირების პარამეტრების მიხედვით. მსოფლიოში მომსახურების ინდუსტრიაში გლობალური ცვლილებების პირობებში განვითარება ხდება ხარისხის დონის ამაღლების, მწვანე მენეჯმენტის, გარემოს დაცვის, მდგრადი ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების, მწვანე ინვესტიციების მოზიდვის, კვალიფიკაციური კადრების გადამზადების მხრივ. ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს სასტუმრო ბიზნესში ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტების ISO-ს სერტიფიცირების დანერგვის საკითხის შესწავლა. კვლევის ობიექტებად განისაზღვრა როგორც მაღალი კლასის ბრენდული, ისე არაბრენდული სასტუმროები. კვლევაში გამოყენებულია გამოკითხვა, ანკეტირება, ვერბალური ინტერვიუები განთავსების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ტურისტულ მომსახურებაში, ტურისტული განთავსების ობიექტებში მართვის სისტემის გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტებით განვითარება საყურადღებო საკითხად მიგვაჩნია.

ლიტერატურის მიმოხილვა: საკითხის ირგვლივ მოძიებული ბიბლიოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ ISO-ს საერთაშორისო სტანდარტიზაციის დანერგვის საკითხებს ქართველ ავტორთა მცირე ნაწილი განიხილავს. აღსანიშნავია ვ. აბულაძის, ლ. კოჭლამაზაშვილის, ლ. დოლიკაშვილის, ი. ფარესაშვილის, ბ. ბარკალაიას პუბლიკაციები. უცხოელი მკვლევარებიდან ვ. ლევკულიჩის, ა. მომოტის, დეპაკ ელდო ბაბუს, არჩინდერ კაურის, ჩ. რ.ა მატლოუბ ხუსაინის, ა.ს. კუსკოვის, ბენი ჩანის, შულც დონის და სხვათა ნაშრომები. მათგან საინტერესო მოსაზრებები აქვთ ვიქტორია ლევკულიჩს და ალექსანდრ მომოტის ნაშრომებში – „ISO სტანდარტების გამოყენება სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში“ და „ევროპული კლასტერების შედარებითი ანალიზი“. მათი მოსაზრებით დასტურდება ჰიპოთეზა, რომ რაც უფრო აქტიურია ISO 9001 სტანდარტები ევროპის ქვეყნებში, მით უფრო მაღალია დარგის განვითარების დონე, კორელაცია სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში. მეცნიერები სულ უფრო მეტად ამტკიცებენ, რომ ISO სტანდარტებს აქვთ გავლენა საზოგადოების მდგრად განვითარებაზე და დაკავშირებული არიან კეთილდღეობის ზრდასთან ისეთი ინდიკატორებით, როგორცა არის მშპ ერთ სულ

მოსახლეზე, დასაქმება, ადამიანური განვითარების ინდექსი და სხვა. შესაბამისად, მკვლევართა აზრით, დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ ISO სერთიფიკატებს მზარდი შედეგები აქვთ სასტუმროების სექტორში, აგრეთვე, დიდ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ინდუსტრიის ეფექტურობის გაუმჯობესებაზე, არამედ უზრუნველყოფენ მზარდი კონკურენციის პირობებს.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევაში ვეყრდნობით თვისებრივი კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია ემპირიული კვლევა, გამოიკითხა სასტუმრო ორგანიზაციები, გაანალიზებულია სპეციალური და ფუნდამენტური შრომები.

დისკუსია/შედეგები: ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდება ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი – სასტუმროების სფერო. იზრდება კონკურენცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. სტატისტიკური მაჩვენებლებით, საქართველოში სასტუმრო ინდუსტრია სწარაფად ვითარდება. 2022-2023 წლებში საქართველოში დაახლოებით 2,2 ათასი ეკონომიკური სუბიექტი მოქმედებდა. ეს საწარმოები ფლობენ 2 213 სასტუმროს და მსგავსი ტიპის დაწესებულებებს. ნომერთა რაოდენობამ შეადგინა 45 807 ერთეული, ხოლო სასტუმროებში დასაქმებულთა რიცხვი გაუტოლდა 23 259 კაცს (<https://www.geostat.ge/ka/>). ტურიზმის ადმინისტრაციის პროგნოზით, 2025 წლამდე საქართველოში 292 ახალი სასტუმრო აშენდება და სექტორში დამატებით 33 729 საწოლი ადგილი გაჩნდება. ოთახების რაოდენობა კი, წინასწარი გათვლებით, 17 000-მდე იქნება (<https://gnta.ge>).

სასტუმრო ბიზნესში მომგებიანობა დიდწილად დამოკიდებულია მის ეფექტიან მართვაზე. უნდა ითქვას, რომ სასტუმროს მართვა ოცდამეერთე საუკუნეში რთული ამოცანაა. სასტუმროები ერთმანეთისაგან განსხვავდება კლასიფიკაციის, ტევადობის, ადგილის, ნომრების რაოდენობის და სხვა მრავალი ნიშნით. სხვადასხვა კატეგორიის სტუმრების მიღება, მათზე ზრუნვა, საკვებისა და თავშესაფრის შეთავაზება – მუდმივად მოთხოვნადი სერვისებია და ეს მოთხოვნები განუწყვეტლივ იზრდება. თანამედროვე სასტუმროს მფლობელს დღეს სჭირდება სიღრმისეული ცოდნა ინტერნეტ-ოპერაციების, საერთაშორისო დაჯავშნის სისტემების, ფინანსების, მარკეტინგის, კლიენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის, გარემოს მენეჯმენტის, ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობი შესახებ. სასტუმრო ბიზნესის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისი წარმოებული პროდუქცია მომსახურებაა, რომლის წინასწარი დათვლა ან გაზომვა შეუძლებელია. სასტუმრო მომსახურების შეფასება მიწოდებისთანავე ხორციელდება. ჩვენი აზრით, საქართველოს სასტუმრო ბიზნესში ISO-ს სტანდარტების დანერგვა საუკეთესო ფაქტორია ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის

ხარისხიანი განვითარებისათვის. მსოფლოს მაღალი კლასის სასტუმროების დიდ ნაწილში უკვე დანერგილია ISO 9001 სტანდარტი და სერტიფიცირება, რაც არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული ხარისხის მართვის უნივერსალური სისტემა. მაგალითად, ბრენდული ტიპის სასტუმროები (Inkaterra Hotels) სარგებლობენ ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის ISO-9001 და ISO-ს 14000 სტანდარტებით, რაც წარმოადგენს ბიზნესის გაუმჯობესების ინსტრუმენტს და უზრუნველყოფს დახმარებას ბიზნესის მდგრადი და უწყვეტი განვითარებისთვის. ISO-ს 14000 სტანდარტი, კერძოდ, ეხება გარემოსდაცვითი მართვის ასპექტებს. სტანდარტები ზრდის ცნობადობას და ეხმარება საწარმოებს გამოავლინონ მწვანე მენეჯენტის ძლიერი მხარეები. ISO სტანდარტებით საქმიანობა არის გარანტი იმისა, რომ მომხმარებელმა მიიღოს ხარისხიანი მომსახურება გარემოს დაცვის, სურსათის უვნებლობის, სოციალური პასუხისმგებლობის, მწვანე ენერგეტიკით უზრუნველყოფის და კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შეთავაზებით.

სასტუმრო სექტორის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მას აქვს ყველაზე მაღალი უარყოფითი გავლენა გარემოზე (დაბინძურება, ნარჩენები, სათბურის გაზები და სხვ.). საერთაშორისო ორგანიზაცია „მწვანე შენობა ყველასათვის“ (შემდგომში – Farnek Avireal) მოუწოდებს სასტუმროებს მდგრადობის მიზნების ოპტიმიზაციისკენ. ორგანიზაცია Farnek Avireal-ი დაარსდა 1980 წელს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. არის მდგრადობის ლიდერი და აშშ-ს მწვანე შენობების წევრი, მიენიჭა პრესტიჟული Emirates Energy-ს ჯილდო. Farnek Avireal-ი მართავს უამრავ ობიექტს, მათ შორის მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობის – ბურჯ ხალიფას ტექნიკურ მომსახურებას. მათ შეიმუშავეს პროგრამა, რათა დაეხმარონ სასტუმროებს, შეამცირონ ხარჯები და დანერგონ მწვანე მოხმარება. Farnek Avireal-ი არის მრავალი ჯილდოს მფლობელი კომპანია. მისი წარმატებები გაშუქებულია მრავალი პუბლიკაციით, მათ შორის „Facilities Management Middle East and Clean Middle East“-ის მიერ. ასევე, მას აღიარებს ინდუსტრიის რამდენიმე საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანო, მათ შორის ISO და EQFM (<https://www.farneka.com/certification-awards/>).

მდგრადობის ბაზრის ლიდერი აღნიშნავს: „ჩვენ ვეხმარებით სასტუმროებსა და კურორტებს შემცირონ გარემოს დანაგვიანება ნახშირბადით. ჩვენი მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენებით, მომხმარებელს შეუძლია გამოთვალოს ნახშირბადის დიოქსიდი (CO) ემისიების ჩათვლით, უსარგებლო ენერჯისა და წყლის რეალური ღირებულება მოხმარებისას, ასევე, გამოთვალოს არარეციკლირებადი ნარჩენების წარმოება“. ორგანიზაციამ გამოიკვლია 26 სასტუმრო, რომელთა მიერ გარემოს ნახშირბადით დანაგვიანების საერთო სავარაუდო მოცულობა (ე.წ.


ნაკვალევი) არის დაახლოებით 9 მილიონი ტონა. აქედან დაახლოებით 4,6 მილიონი ტონა არის ენერჯის მოხმარების შედეგი, ხოლო 4,4 მილიონი ტონა – არაპირდაპირი ემისიების, სხვა რესურსების მოხმარების შედეგი. სასტუმროს ნომრის საშუალო ნახშირბადის ნაკვალევი დაახლოებით თანაბარია აშშ-ს ერთი საშუალო სახლის ანალოგიური მონაცემების. აშშ-ში სასტუმროს ქსელებს აქვთ შესაძლებლობა დანერგონ გარემოსდაცვითი პოლიტიკა კორპორატიულ სტრატეგიულ დონეზე და, შესაბამისად, შეამცირონ გარემოზე ზემოქმედება (<https://www.farneek.com/>).

ჩვენი კვლევის მიზანიდან გამომდინარე, შევისწავლეთ საქართველოს სასტუმროებში მდგრადი მართვის პოლიტიკა, კერძოდ ISO-ს სერტიფიცირების დანერგვის საკითხები. საინტერესო აღმოჩნდა მაღალი კლასიფილაციის ქსელური (ჰოლიდეი ინ თბილისი, ბილტმორი თბილისი, პარაგრაფი, ჰილტონი, ჯორჯიან პალასი, კოლეჯიუმ მარინა, რადისონ ბლუ ივერია და სხვა) სასტუმროების პერსონალის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულთა სტატუსი, სასტუმროს ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით, შემდეგნაირად განაწილდა: 30% იყო სასტუმროს დირექტორი, 47,5% – მენეჯერი, 16,8% – ადმინისტრატორი, რეცეფციონისტი, ოპერატორი და სხვა. (იხ.დიაგრამა №1).

დიაგრამა №1.

თქვენი პოზიცია ორგანიზაციული სტრუქტურის

101 პასუხი




გამოკითხულ რესპოდენტთა უმეტესობა – 68,3% – პასუხობს, რომ მისთვის ცნობილია ISO სტანდარტები; 31,7%-თვის კი არ არის ცნობილი (დიაგრამა №2).

დიაგრამა №2.

გსმენიათ თუ არა საერთაშორისო ISO სტანდარტების შესახებ

101 პასუხი




კითხვაზე, მიაჩნიათ თუ არა საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საწინდრად, ირკვევა, რომ 85,1%-ს მიაჩნია, ხოლო 14,9% – არა (იხ.დიაგრამა №3).

დიაგრამა №3.

მომსახურებაში ხარისხის გასაუმჯობესებლად მიაჩნიათ თუ არა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

101 პასუხი




აღმოჩნდა, რომ სასტუმროების 39% არ ითვალისწინებს ურბანულ ეკოლოგიას, მდგრადი შენობა-ნაგებობების განვითარებაზე ზრუნვას, ხოლო 49% დადებითად აფასებს და ითვალისწინებს, 10% უარყოფითად არის განწყობილი მდგრადი ეკოლოგიური სასტუმროების შენობა-ნაგებობების მიმართ (დიაგრამა №4).

დიაგრამა №4.

თქვენი დამოკიდებულება ურბანული ეკოლოგიის, მდგრადი შენობა-ნაგებობების და სივრცითი განვითარების შესახებ


101 პასუხი



კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ საწარმოთა დიდ ნაწილს – 84,2% – სურვილი აქვს სასტუმრო ინდუსტრიაში გამოიყენოს განახლებადი ენერჯიები. 15,8%-თვის ასეთი რამ სასურველი არ არის (იხ.დიაგრამა №5).

გაქვთ თუ არა სურვილი განახლებად ენერჯიებთან დაკავშირებული პროექტების განახორციელების


101 პასუხი



დიაგრამა №6 გვიჩვენებს, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმეტესობა – 73,3% –სამომავლო გეგმებში ითვალისწინებს მწვანე მენეჯმენტს, 27,7% არ ითვალისწინებს მწვანე მიდგომებს განვითარებაში. დიაგრამა №6.

სამომავლო გეგმა ითვალისწინებს თუ არა მწვანე მენეჯმენტს

101 პასუხი



კვლევებიდან ჩანს, რომ სასტუმროს სფეროში არ არსებობს ჩამოყალიბებული პოლიტიკა, რომელიც საქართველოში ISO-ს სტანდარტების პრაქტიკულად დანერგვას შეუწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის შედეგებში ჭარბობს მოსაზრება მდგრადი განვითარების, მწვანე ინვესტიციების მოზიდვის, ურბანული მწვანე ეკონომიკის, ეკოლოგიური პროდუქტების წარმოების და განვითარების, ბიზნესის მიზნები საკმარისად არ არის მიმართული მდგრად განვითარებაზე. მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია შესაბამისი სამსახურების დახმარებით ჩატარდეს კონსულტაციები სასტუმრო მომსახურებაში, ISO-ს საერთაშორისო სერტიფიცირების დანერგვის გათვალისწინებით. გლობალურ გარემოში მართვის ვექტორი მიმართული უნდა იყოს ხარისხის მართვის, გარემოს დაცვის, უსაფრთხოების, სურსათის უვნებლობის, მწვანე განვითარების მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტისკენ. მნიშვნელოვანია ქვეყანის განვითარება მდგრადი, მწვანე მოდელებით, სადაც გათვალისწინებული იქნება, რომ ეკონომიკა საზოგადოების, საზოგადოება კი ბუნების ნაწილია.

ამრიგად, სასტუმრო სექტორში მწვანე მიდგომების დანერგვა, ენერჯის გონივრული მოხმარება და მასთან ასოცირებული ხარჯების შემცირება ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას, შემცირდება დაბინძურება და მივიღებთ მომხმარებლისთვის სასურველ გარემოს. საერთაშორისო სტანდარტიზაციის პოლოტიკა გულისხმობს ISO სერტიფიცირების მოპოვებას, ინფორმაციის მიღებას, ახალი სისტემის და პროექტების განხორციელებას. სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიამ უნდა იმოქმედოს გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობით, მდგრადი ოპერაციების, მწვანე ბრენდის დანერგვით. ახალი სტანდარტების

დანერგვა დღეს ნებაყოფლობითია, თუმცა რეკომენდირებულია. ISO-ს სტანდარტებით სარგებლობა სასტუმრო ბიზნესს მოუტანს უკეთეს შედეგს, შეამცირებს საბაზრო ღირებულებას და გაზრდის სერვისის ხარისხს მდგრადი მართვის, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „კლიმატის ცვლილების მწვანე წინგი“, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, თბილისი, 2023.
2. „მწვანე მეწარმეობა“ // ევროკავშირი საქართველოსთვის, CENN, 2022.
3. „სტანდარტები და ტურიზმი“ // პროექტის № AM/GPK-05/2019.
4. ფარესაშვილი ი., „სასტუმრო ინდუსტრიის გავლენა ტურიზმის განვითარებაში“ // სამეცნიერო შრომების კრებული „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, თბილისი, 2019.
5. Acharya, Sanjit Ray, 2000:- Acharya, U.H.Sanjit Ray., ISO 9000 certification in Indian industries: A survey. Total Quality Management.
6. Legrand, W., Sloan P., Chen J., 2017:- Sustainability hospitality industry, Principles of sustainable operations, 2017.
7. Tourism and related services Hotels Service requirements Tourisme et services connexes Hôtels Exigences du service. <https://www.iso.org/obp/ui/>
8. <https://cdn.standards.iteh.ai/samples/73315/8ca7e90719b945e79cbc6adb268176b3/ISO-22483-2020.pdf>
9. Uniocking sustainability in the hospitality industry. Join Green Key (2023). Operatied by the Foundation fof Environmental Education. <https://www.greenkey.global/>
10. Levkulych, V., Momot, A., (2021). The use of ISO standards in the hospitality industry: a comparative analysis of European clusters. E3S Web of Conferences 277, 02004 (2021) ICEES. P.7-8
11. <https://www.inkaterra.com/>
12. www.sertifikasyon.net/en/detay/hoteq-500-otel-kalite-yonetim-sistemi-r/
13. <https://www.iso.org/standard/62085.html>
14. <https://www.geostat.ge/>
15. <https://gnta.ge>
16. <https://www.farneq.com/certification-awards>